ეიზენშტეინის ფირქრობს, რომ კადრი არ არის მონტაჟის ელემენტი. კადრი – მონტაჟის უჯრედია. მონტაჟი და მისგან გამომდინარე ემბრიონი კადრი ხასიათდება შეჯახებით – ორი ერთმანეთის გვერდიგვერდ მდგარი ნაჭრის კონფლიქტით (ეიზენშტეინი 2013: 15)

კინემატოგრაფიული სიჩქარე ეს არის ტემპი, რიტმი, მოლეკულური სიზუსტის ფაზები და მოკროსკოპული საზღვრები, რომლებიც

ნაჭდებვებით უკავშირდება ერთმანეთს და ქმნის კადრირების სისტემას. სიტყვების ფუტურისტული დაშლა ამ სიჩქარის გენეალოგიაში შეღწევას გულისხმობს. ბგერები იგივე კადრებია, რადგან სწორედ ტექსტუალური კადრები ქმნის ფრაზებს. როგორც კადრისების ექსპრესია ქმნის კადრს, ასევე ფუტურისტული ხედვითი ბგერები ქმნის სიტყვა-ხატს. ე. წ. ტექსტუალურ კადრს – ფოტოგრაფიულ-ბინოკულაულ ტექსტს. ფუტურისტები სიტყვის ქიუმიურ დაშლას სწორედ ეკრანული გამოსახულების დაშლის ანალოგით ახდედნენ. ამიტომაა რომ ფუტურისტულ ტექსტში ფორმა და სტრიქონები დაჩეხილია, გრაფიკული ტექნიკა მასალის რიტმულობის აქცენტრირებას ემსახურება. მხოლოდ ამით შეიძლება გამოხატო კინომონტაჟი, ასეთ ტექტსებში ფუტურისტები ეკრანულ გამსოახულებას ხედავდნენ და მათ კინომოდელებს უწოდებდნენ.

$H_2SO_4$ -ის პირველივე გვერდზე წერია: „მონტაჟი ირაკლი გამრეველისა“ ( $H_2SO_4$ : 2). ქართული ავანგარდი შეეცადა დაერღვია ერთგვაროვანი თხრობის რელიეფი კონტრ რელიეფის და მატერიალური გამომსახველობითი მეთოდების შერჩევის საფუძველზე. ქართველი ფუტურისტები სილამაზის სიჩქარეს ადიდებდნენ, სწორედ ამ ცვლადი გამოსახულების შექმნის მცდელობაა მოცემულ ტექსტში, სადაც კინოფირის აჩქარებული მოძრაობის სისწრაფის მეტაფორაა შექმნილი.

ქართველი ფუტურისტების ნამუშევრებში ასოების პორიზონტალური და ვერტიკალური და არალინეარული არასწორხაზოვანი განლაგება საშუალებას იძლევა თავისუფალი ინტერპრეტაციით წავიკითხოთ ტექსტი. რაც კინომონტაჟის შესახებ ოციან წლებში გავრცელებული შეხედულები ტექსტუალური ანალოგია. კულეშოვი წერს: თუკი გვაქვს აზრი-ფრაზა, სიუჟეტის ნაწილაკი, მთელი დრამატურგიული ჯაჭვის რგოლი, მაშინ ეს აზრი გამოხატულია, გადმლოგებულია კადრებით – ნიშნებით, როგორც აგურებით. კულეშოვის აზრით უმნიშვნელო იყო ის თუ როგორ გადავიღებდით კადრებს მთავარი იყო ის თუ როგორ მოვახდებით მათ დამონტაჟებას (ლევასო 1974: 48). შეიძლება ითქვას რომ  $H_2SO_4$ -ის ტექსტები ხშირად სწორედ მონტაჟის პრინციპულ ღერძზე დაფუძნებული ტექსტებია სადაც, აზრი იკითხება სწორხაზოვნად, არამედ რეციპნეტის თავისუფალი ინტერპრეტაციით ინდივიდუალურად როგორც მკითხველი დაამონტაჟებს და კომბინაციაში მოიყვანს ასოებს, სიტყვებსა და ფრაზებს როგორ ოპტიკა-ასკუსტიკურ საშუალებებს.

ამგვარად ცეცხლი, როგორც ლიტერატურის კოლექტიურლად შესრულების და სასურათე ცქერის მანძილზე ზეპირსიტყვიერების ჰერ-მენვტული ფორმა, მეოცე საუნეში ახალი ფორმით გამოიკვეთა

და ხალხურ მეტყველებასთნ მიბრუნების ნოვატორული მეთოდით გამოირჩა, რომელიც ცეცხლს კინოგამოსახულების ახალი ტექნოლოგიებით ცვლიდა. არა მხოლოდ ფუტურიზმის არამედ არაერთი მოდერნისტული თუ არამოდერნისტული მიმართულების მხატვრული მსოფლგანცდა მყისიერი რეაქცია იყო ოციანი წლების ახლადგამოჩენილ კინოტექნოლოგიებზე, რომელმაც მთელი ეპოქის სულისკვეთება განსაზღვრა. კინოში ზედაპირზეა სახელოვნებო დარგების მხატვრული გამოსახვის ფორმები, კინომ თვალსაჩინოდ აჩვენა ყველა სახელოვნებო დარგის და განსაკუთრებით ლიტერატურის ლაბორატორიული შემოქმედების მისტიკა. ქართველი ფუტურისტები კინოს სახელოვნებო სიახლეს ოციანი წლებისთვის დამახასიათებელი თეორიებით აღიქვავდნენ, როგორც უსიტყვო სახვით ხელოვნებას, რომელიც დინამიზმს და ექსპრესიას ყველა სხვა ხელოვნების დარგზე უკეთ გამოხატავდა. ოციან წლებში კინოსა და ლიტერატურის ურთიერთიამთება ძალიან ცოცხალი და ცნობიერი ურთიერთკავშირი იყო, რომელიც არაერთი მანიფესტით და ხელოვნების ავნგარდული ექსპერიმენტალური ბუნებით გამოიხატა. ლიტერატურამ თავისებურად დაამუშავა კინოს გამოსახულების ეკრანული გენეზისი და კოლექტიური აღქმის პრინციპები. ორ სახელოვნებო დარგს შორის, ეს იყო პირველი ეტაპი იმ ურთიერთობისა, რომელიც შემდგომ წლებში განვითარების სხვა საფეხურზე გადავიდა.

### **დამოშევანი:**

**აბაშიძე 1984:** აბაშიძე გ. მითოლოგიის ზოგიერთი საკითხი ქართულ ზეპირსიტყვიერებაში. თბილისი: „განათლება“, 1984.

**აბულაძე 2011:** აბულაძე გ. „უფრო მეტი მობრუნებულ ფოკუსში“. ლიტერატურული უურნალები 1910-1920-იანი წლები. ნიგნი მეოთხე „ლიტერატურა და სხვა“ (1924-25). თბილისი: 2011.

**ალხაზიშვილი 2011:** ალხაზიშვილი შ. „100“. ლიტერატურული უურნალები 1910-1920-იანი წლები. ნიგნი მეოთხე ლიტერატურა და სხვა (1924-25). თბილისი: 2011.

**ბელიაშვილი 2011:** ბელიაშვილი ბ.ა. „მნათობი“. ლიტერატურული უურნალები 1910-1920-იანი წლები. ნიგნი მეოთხე ლიტერატურა და სხვა (1924-25). თბილისი: 2011. თბილისი 2011 ნ.

**ბელიაშვილი 2011:** ბელიაშვილი ა. „კინსტრუქციები“. ლიტერატურული უურნალები 1910-1920-იანი წლები. ლიტერატურული უურნალები 1910-1920-იანი წლები. ნიგნი მეოთხე ლიტერატურა და სხვა (1924-25). თბილისი: 2011.

**ბელერი 2006:** ბელერი ჰ. კინომოტაჟის ასპექტები. თბილისი: 2006.

**ბერგსონი 1993:** ბერგსონი ა. ცნობილების უშუალო მონაცემები. თბილისი: თბილისის დამოუკიდებელი უნივერსიტეტი, 1993.

**ეიზენშტეინი 2013:** ეიზენშტეინი ს. ინტელექტუალური მონტაჟი. თბილისი: საზოგადოებრივი გამომცემლობა „სა. გა.“, 2013.

**ვალერი 2015:** ვალერი პ. აზრები. თბილისი: „არტანუჯი“, 2015.

**კიზირია 1992:** კიზირია დ. ლიტერატურაზე კინოს გავლენის ზოგიერთი ასპექტი თბილისი: კინოხელოვნების პრობლემები თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1992.

**ლევასო 1974:** Levaco R. (Hrsg.). *Kuleshov on Film. Writings by Lew Kuleshov*, Berkeley, Los Angeles, London: 1974, s.48.

**H<sub>2</sub>SO<sub>4</sub>:** „მონტაჟი ირაკლი გამრეკელისა“. ჟ. H<sub>2</sub>SO<sub>4</sub>. 1924.

## NINO GOGIASHVILI

*Georgia, Telavi*

*Jacob Gogibashvili Telavi State University*

### The Drama of Polikarpe Kakabadze “Three daughters” as the Transition from Modernism to Postmodernism

“Three daughters” is symbolic-mystical lyric drama in which the tragic existence of three beautiful daughters is described. However, in this modernist narrative, we can distinguish between postmodernist passages based on the theory that postmodernism is an incomplete modernism and its sequel. The action takes place in the depth of the deserted mountains. The scene lacks authenticity and somehow it is a simulacrum of the existing reality. There are no boundaries between reality and imagination, the existence and non-existence, which makes the scene unclear. Warped feminist discourse stands out in a drama--Dodo allows only women and children to enter the house. But, according to the fantasies of the daughters, only men can save them from the bonds of the system. “I have the claws of an eagle”--at the end, the voice of the first daughter, bent over the corpse, is heard and there arises the precedent of the chaos existing in reality.

**Key words:** Daughter, modernism, postmodernism, simulacrum, Dodo.

## ნინო გოგიაშვილი

საქართველო, თელავი

იაკობ გოგიაშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### პოლიკარპე კაკაბაძის ლირიკული დრამა „სამი ასული“, როგორც გადასვლა მოდერნიზმიდან პოსტმოდერნიზმზე

პოლიკარპე კაკაბაძის ლირიკული დრამა „სამი ასული“ 1919 წელს დაიბეჭდა „შვიდ მნათობში“, ე.წ. „კაკაბაძეების უურნალში“. მას „კაკაბაძეების უურნალი“ ინიციატორებისა და წამყვანი ავტორების გამო დაერქვა. ესენი იყვნენ: მხატვარი დავით კაკაბაძე, ისტორიკოსი სარგის კაკაბაძე და მწერალი პოლიკარპე კაკაბაძე. „შვიდი მნათობი“ ე.წ. „მენშევიკური“ უურნალი იყო და, ალბათ, ეს იყო მიზეზი, რომ იგი არ მოხვდა „ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის“ ფურცლებზე, და ჩრდილში მოექცა. „შვიდი მნათობი“ მოდერნისტულ პრესას განეკუთვნებოდა, მაგრამ, გარდა მოდერნულობისა, რეალობაში არსებულ ქაოსსაც ასახავდა, რაც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნას, დამოუკიდებლობის მოპოვებას და თანმდევ წინააღმდეგობებს უკავშირდებოდა. ეს იყო გადასვლა მოდერნულობიდან პოსტმოდერნულობაზე. სოციოლოგები და ლიტერატორები აღნიშნავენ, რომ პოსტმოდერნული ეპოქა გაცილებით გვიან დადგა, თუმცა, ვფიქრობთ, ეს გარდამავალი, გადაბნილი დრო შესაბამისად უნდა იქნეს შესწავლილი და აღქმული. იპაპ ჰასანის თქმით, ზოგადად, ლიტერატურული ტერმინების ისტორიული არასტაბილურობა ერთ-ერთ სირთულეს წარმოადგენს, რაც პოსტმოდერნიზმსა და მოდერნიზმზეც შეუცვლელად ვრცელდება. მოდერნიზმის დამკვიდრებას საქართველოში, რომელმაც სულ 15 წელი იარსება (1912-1927), დაემთხვა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა და დამოუკიდებლობის მოპოვება. რეალიზმის შემდეგ „წმინდა ხელოვნება“ ხალხისთვის ადვილი მისაღები არ იყო, თუმცა, არც მოდერნისტები ცდილობდნენ თავიათი ქმნილებების გახალხურებას. მოდერნისტული გრანდნარატივები, რომელთაც უნივერსალური ახსნის პრეტენზია გააჩნიათ, და სადაც ინდივიდი სამყაროს ცენტრს წარმოადგენს, ასევე, ლოგოცენტრისტული რაკურსი, რომლებიც მთავარ სააზროვნო წყაროდ ითვლება, გვიანდელ მოდერნიზმსა და პოსტმოდერნიზმში დეკონსტრუქციას განიცდის. ლიოტარის სიტყვებით, „გრანდნარატივებმა დაკარგეს ნდობა“. სწორედ ამ დინამიკას, ლიტერატურულ დისკურსში გადმოტანილს, ასახავს პოლიკარპე კაკაბაძის პიესა „სამი ასული“.

პოლიკარპე კაკაბაძის პიესა „სამი ასული“ სიმბოლისტურ-მისტიკურ-ლირიკული დრამაა, სადაც ავტორი ორიგინალური ექსპრესიულობით გადმოვცემს სამი ულამაზესი ასულის ტრაგიკულ ყოფას. თუმცა, ამ მოდერნისტულ ნარატივში ჩვენ შევიძლია გამოვყოთ პოსტმოდერნისტული პასაჟები, იმ თეორიის საფუძველზე, რომ პოსტ-მოდერნიზმი დაუსრულებელი მოდერნიზმი და მისი გაგრძელებაა. არსებობს რადიკალურად სხვაგვარი შეხედულებაც. მაგალითად, იურგენ ჰაპერმასის მიხედვით – „პოსტმოდერნიზმი - განსაზღვრება წარმოადგენს თავისითავს, როგორც ანტიმოდერნიზმს“. ჩვენ ვთვლით, რომ ტერმინი პოსტმოდერნიზმი, რომელიც მოდერნიზმის შემდგომი მდგომარეობაა, თავის თავში მოიაზრებს თვითონ მოდერნიზმის ლოგიკურ გაგრძელებას, რომელიც ქაოსითა და დესტრუქციით მიმდინარეობს და, შესაძლებელია, აღარც დასრულდეს და ეს კაცობრიობის მუდმივი მდგომარეობა იყოს. თუმცა ამ შემთხვევაშიც არსებობს სოციოლოგთა აბსოლუტურად პოლარული მოსაზრება, რომ პოსტმოდერნიზმი დასრულდა ან მალე დასრულდება და გადავა თვისობრივად ახალ მიმდინარეობაში. შესაძლებელია შევთანხმდეთ, რომ პოსტმოდერნიზმია არა მიმდინარეობა, არამედ, კულტურული კონტექსტი. ჰასანის მიხედვით, იგი, თავის თავში დეკადანის კონტაციურ მნიშვნელობასაც ატარებს, თუმცა ამის აღიარება არც ერთ პოსტმოდერნისტ თეორეტიკოსს არ სურს.

„უდაბურ მთების ( და შეიძლება საუკუნოების) სიღრმეშია ეს მოქმედება“ (კავაბაძე 1919: 78), – დრამის ამგვარი დასაწყისი უკვე ცხადყოფს ტექსტში დროისა და სივრცის განუსაზღვრელობას. სცენა მოკლებულია ავთენტურობას და, თითქოს, არარსებული ყოფიერების სიმულაკრს წარმოადგენს. პროფესორი სოსო სიგუა აღნიშნავს, რომ პიესა „სამი ასული“ სიმბოლისტური წანარმოებია და მისი „ძირითადი ღირსება ფრაზის ოსტატობასა და ლირიკულ ტრიადებშია. ავტორი პერსონაჟებს ამეტყველებს როგორც ლირიკოსი“ (სიგუა 2008: 117). რთულია არ დავეთანხმოთ ამ ფრაზის ავტორს, თუმცა, ისიც მართებულია აღვნიშნოთ, რომ ამ პიესის მთავარ ღირებულებათა წუსხაში, პირველ რიგში, მოდერნიზმიდან პოსტმოდერნიზმში შესრულებული რამდენიმე ძლიერი ლიტერატურული „პა“ უნდა მოვიაზროთ, რომელთა შესახებაც წაშრომში ვისაუბრებთ. მოგიზგიზე ბუხართან მჯდომ ასულებს მეოცნებე და მოჩვენებითად მშვიდი თვალები აქვთ და განუწყვეტლივ ჩეჩივენ მატყლს. სახლის მეპატრონე ბოროტ ქალს – დოდოს დაუტყვევებია ისინი და დღენიადაგ ამუშავებს, თვითონ კი გვერდით ოთახში იავნანას უმდერის ბავშვებს, რომლებსაც, ასულთა თქმით, არ ეძინებათ. პიესაში აღწერილი მდგომარეობა სისტემაა, რუ-

ტინა, თავისებური იერარქია, რომლის სათავეში ან ცენტრში დგას დოდო – აგრესიით მოცული ქალი, რომელიც განკარგავს ამ სისტემას. ამ დროს ისმის კარზე კაკუნი და ირლვევა ასულების „სიმშვიდე“, შემოდის „უცხოს“ პრეცედენტი, რომელიც საშიშროებას უქმნის დოდოს მოდერნულ იერარქიას. ასულთა უსაგნო, დამორჩილებულ კვაზი-არსებობას არღვევს კარზე კაკუნი, რომელიც დოდოს წესრიგის დესტრუქციას განაპირობებს. კაკუნი, როგორც სიახლის მაუნყებელი ნიშანი, სამივე ასულს სათავისო მოლოდინს უჩენს; ერთს სატრფო ჰერონია, მის გასაბედნიერებლად მოსული, მეორეს – ომში დაკარგული საყვარელი ძმა, მესამეს კი – ქრისტე, მხსნელი და მანუგეშებელი. დოდოს მუქარით შეშინებული ასულები დროულად ვერ აღებენ კარს და სასტიკ ქარში გარეთ დარჩინილი სტუმარი კვდება. პიესაში იკვეთება ის ძირითადი პოსტულატები, რაც, ჰასანის სქემის მიხედვით, პოსტმოდერნიზმს განასხვავებს მოდერნიზმისაგან. ესენია: შანსი – ჩანაფიქრის ნაცვლად (ასულებს ეძლევათ შანსი, რომ თავი დააღწიონ მტანჯველ გარემოს, ეს შანსი უცხოს კარზე კაკუნია); ანარქია – იერარქიის ნაცვლად (ისევ უცხოსგან შეტანილი ქაოსი, რომელიც საძულველ, მაგრამ შეჩვეულ წესრიგს არღვევს); არარსებობა – არსებობის ნაცვლად, რომლის ფონზეც ვითარდება მოვლენები, – ასულები პიპერრეალობაში იმყოფებიან, რომელიც არარსებული ყოფის სიმულაკრია, თუმცა ნამდვილ ყოფაზე მძაფრად ალიქმება. ასულთა ემოციები ძალიან ავთენტურია და მძიმე, მიუხედავად ავტორის მინიშნებებისა – სნეულ თვალებსა და სნეულ ღიმილზე. შესაძლებელია, დოდოს სახლი და სისტემა ფსიქიკური სნეულებაა, რომელმაც შეიძყრო ასულები. შესაძლებელია, ეს სახლი ის რეალური პიპერრეალობაა, რომელშიც ადამიანები ვიმყოფებით და ამაოდ ვცდილობთ თავის დახმას, როდესაც „კარზე კაკუნს“ გავიგებთ, ან ბოლომდე ვართავთ „დოდოს შემოჩეჩებულ მატყულს“ და არაფერი ვიცით, თუ რა ხდება ამ სახლის გარეთ. ჩვენ ვსაუბრობთ სიუჟეტის ახსნის ვერსიების მრავალგვარობაზე, რაც უკვე გამორიცხავს მოდერნული უნივერსალური კრიტერიუმებისა და სტანდარტების არსებობას. ტექსტის იდეური განფენილობა და არსი სრულიად მოულოდნელ ვარიაციებს გვთავაზობს. და რადგან ტექსტია ჩვენი საკვლევი მასალა და, აქედან გამომდინარე, მხოლოდ ტექსტიდან გამომდინარე შეგვიძლია ვისაუბროთ ნებისმიერ ლიტერატურისმცოდნეობით წიაღსვლაზე, აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის პოსტმოდერნული პასაჟები, რომლებიც ამ ტექსტში შევნიშნეთ. ჩვენი მიზანია, ნებისმიერი ტექსტის კვლევისას გავითვალისწინოთ მხოლოდ ის ნიშნები, რასაც თვით ეს ტექსტი გვთავაზობს, და არ ჩამოვაყალიბოთ აპრიორული

მიდგომა მხოლოდ ეპოქის, მიმდინარეობისა და ტენდენციების გათვალისწინებით.

პიესაში ავტორი აპელირებს ჩაკეტილ, თავსმოხვეულ, შიშიან არ-სებობაზე და ერთად-ერთ იმედზე ამ არსებობაში – სიყვარულზე, და-ძმობზე და ღმერთზე. დრამაში შემოდის სიყვარულის, და-ძმობის და რელიგიის მეტანარატივები და აქვე ხდება მათი დიფუზურობის ხაზ-გასმა; აღმოჩნდება, რომ მამაკაცი, რომელიც კარზე აკაკუნებს, პირვე-ლი ასულის მოლოდინის ნაყოფია, თუმცა, უკვე მკვდარი. ნაწარმოების შიდა ინერციიდან გამომდინარე, მეორე და მესამე ასულების იდოლე-ბიც მკვდრები არიან, რადგან არ ჩანან. პარალელი ნიცშეს – „ღმერთი მოკვდასთან“ საფუძველს ქმნის უსაყრდენო, ულმერთო სამყაროში სა-მომავლო ცხოვრების გააზრებისკენ, რასაც პიროვნება შეგუებულია კითხვებისა და შინაგანი ძვრების გარეშე. ავტორი მიგვანიშნებს ასულ-თა ავადმყოფ გამოხედვაზე, ავადმყოფ თვალებზე, მისუსტებულ ხმასა და უფერულ, ათრთოლებულ სახეზე. ჩნდება ტექსტის მრავალგვარი წაკითხვის აუცილებლობა; როგორც უკვე აღვნიშნეთ, შესაძლებელია, ტყვეობა სულიერ ავადმყოფობასთან ასოცირდება (შედ: წესტანი – ქა-ჯეთის ციხეში) ანდა, ადამიანების შიშიან, შებოჭილ ან ნიკილისტურ მდგომარეობას ასახავს. შესაძლოა, ეს მდგომარეობა არყოფნაცაა, ყოფნით სიმულირებული. მიუხედავად დიდი სურვილისა, ასულებს კარის გაღების ძალა არ ყოფნით, კანკალებენ, ფითრდებიან, ღონე ერთმევათ. რამდენჯერმე მოიკრებენ ძალას და მიდიან კარის გასახ-სნელად, თუმცა, შიშით დატყვევებულები და ძალაწართმეულები, ისევ უკან ბრუნდებიან. ტოტალური შიში განსაზღვრავს მათ უმოქმედობას და დოდოს რუტინაშ დარჩენას. დოდოს ძალაუფლება ჰიპერრეალური ძალაუფლებაა. სწორედ ჰიპერრეალური ძალაუფლებაა ამოსავალი პუნქტი უან ბოდრიარის პოსტმოდერბულ თეორიაში. დოდო, შესაძლე-ბელია, მათი ავადმყოფი გონების შეხებზული პერსონაჟიცაა, არარსე-ბული ზედამხედველი, რომელიც მათ შინაგან შიშებს ამართლებს და სნეული გონების პალუცინაციად პროეცირდება. შესაძლებელია, ასულთა სიმულაციურ ყოფაში მართლაც არსებობს დოდო, თუმცა სიმულაციაში არსებული ძალაუფლებაც სიმულაკრია და, ამგვარად, პოსტმოდერნისტულ ჰიპერრეალურ ძალაუფლებას წარმოადგენს.

ის ნიშანი, რომ დოდო მხოლოდ ქალებს და ბავშვებს უშვებს სახლ-ში, მხოლოდ მათვების ხსნის თავის დახურულ სისტემას, დამახინჯე-ბულ ფემინისტურ დისკურსადაც შეგვიძლია მივიჩნიოთ. სამივე ასუ-ლი მხსნელებად მამაკაცებს ელოდება, სამივე ასულის მოსალოდნელი და წარმოდგენილი ხსნა მამაკაცების პროგატივაა, რომელთაც დოდო თავის სამყოფელში არ აჭაჭანებს. ფემინისტური დიკურსიც პოსტმოდ-

ერნიზ-მისთვისაა დამახასიათებელი და ეს ფაქტიც ერთ-ერთი არგუ-მენტია იმის საპირნონედ, რის დამტკიცებასაც ჩვენ ვცდილობთ.

ლირიკულ დრამაში „სამი ასული“ კიდევ გამოვყოფთ პოსტმოდერნისტულ პასაჟებს. პოსტმოდერნიზმი დაუსრულებელი მოდერნიზმია და მისი გაგრძელება, როგორც უკვე აღვნიშნეთ. თუმცა, მოდერნიზმისული ჰუმანიზმი პოსტმოდერნიზმში თავისებურ მოდიფიკაციას იძენს, მთლიანი სამყაროს მასშტაბით განისაზღვრება და ადამიანს არ განიხილავს, როგორც სამყაროს ერთად-ერთ ცენტრს. პირველი ასული, მას შემდეგ, რაც გააცნობიერებს მხსნელის გარდაცვალებას, უშიშარი ხდება, უშიშარობა განსაზღვრავს მასი შემდგომი ქმედითობის აუცილებლობასა და გარდაუვალობას. კაკუნი კარზე, როგორც მოულოდნელობა, ამბივალენტურობა, აფხიზლებს მღვიძარე ძილში მყოფ ასულს და ხდება სამომავლო ქმედითობის მაპროვოცირებელი. ამიერიდან ის შექმნის თავის სამყაროს, აღარ დაემორჩილება დოდოს ანუ გარე განმსაზღვრელ ძალებს. ეს უკვე პოსტმოდერნისტული დისკურსია, სადაც ხატბი და წარმოდგენები ქმნიან სინამდვილეს. დრამაში წაშლილია ყოველგვარი ზღვარი რეალობასა და წარმოსახვას, ყოფნასა და არყოფნას შორის, რაც ისევ და ისევ, ბოდრიარისეულ სიმულაკრებსა და სიმულაციებზე გვაფიქრებს. დრამაში მხოლოდ ოდნავ შესამჩნევი ირონია ქმნის გარკვეულ გრავიტაციას. თუმცა, პიესის „სამი ასული“ დრამატიზმი სრულდება იქ, სადაც პირველი ასული, რომელიც სანუკვარი, მხსნელი სატრაფოს გვამსაა გადამხობილი, ძალას იკრებს და ფრაზით – „მე არწივის ფრჩხილები მაქვს“ – იგერიებს დოდოს ზეწოლას. ჩნდება ქაოსი, რაც პოსტმოდერნიზმისთვისაა დამახასიათებელი. დოდოს სტრუქტურა დესტრუქციას განიცდის, მეტანარატივები მნიშვნელობას კარგავენ, რადგან ისინი აღარ არსებობენ, მეორეხარისხოვანი პირველხარისხოვანი ხდება და – პირიქით. დრამა სრულდება, თუმცა, თითქოს მწერალი ფართოდ აღებს კარს და თავის პერსონაჟებს შესაძლებლობათა უამრავ ვარიანტს უჩვენებს. პირველი ასულისათვის სრულდება ძილისმიერი, თავსმოხვეული, უაზრო ყოფა და ცხოვრებისეული შესაძლებლობების მთელი კალეიდოსკოპი იხსნება. სიცოცხლისათვის ძალაა საჭირო, რომელიც პირველ ასულს უკვე გააჩნია. მისი მოლოდინი დასრულებულია, რადგან უკვე წინ უსვენია სანუკვარი საქმროს ცხედარი. მისი ფერიული ოცნება მხსნელზე მთლიანად დამსხვრეულია, სიყვარულის მეტანარატივი მკვდარია. იგი პირისპირ ეჯახება შიშველ სიმართლეს და აცნობიერებს, რომ თავისი უსუსურობით გაუშვა შანსი ხელიდან – გაყოლოდა მიჯნურს სიხარულის ქვეყანაში. სწორედ ამ გაცნობიერების საფუძველზე ეძლევა ძალა იმისთვის, რომ დოდოს დაუპირისპირდეს. მოდერნისტული ტე-

ქსტი კრიზისული ტექსტია და ასეთი კრიზისი ჩანს პიესის მთელი მიმდინარეობისას, ფინალში კი კრიზისი გადალახულია და ნაწარმოების ერთ-ერთი გმირი პოსტკრიზისულ თავისუფლების მდგომარეობაში ხვდება. თუმცა, ეს მდგომარეობა არ არის უწყვეტი, განსაზღვრული და მოსალოდნელი. მეორე და მესამე ასულები, შეშინებულები, ისევ დოდოს სტრუქტურაში და „წესრიგში“ განიცდიან სტაგნაციას, ისინი ისევ ორჭოფობის, პარადოქსულობის და ბუნდოვანების მოდერნისტულ ტყვეობაში რჩებიან; მათ არ უხილავთ თავიანთი მხსნელები – ძმა და ქრისტე, თუნდაც მკვდრები, და ამიტომ ისევ მოლოდინის მძველებად რჩებიან, პირველი ასული კი თავად ახდენს რეალობის კონსტრუირებას და თავად ქმნის რეალობას.

დასასარულს, მინდა აღვნიშნო, რომ პოლიკარპე კაკაბაძის პიესა „სამი ასული“ გარკვეულ სიახლოვეს იჩენს სემუელ ბეკეტის პიესას-თან „გოდოს მოლოდინში“, რომელიც 1952 წელს დაიწერა. გარდა იმისა, რომ მათ უანრობრივი იდენტურობა ახასიათებთ, ორივე დრამაა: ერთი – აბსურდის დრამა და მეორე – ლირიკული დრამა. ორივე პიესაში მძმე, აბსურდული, შიშისმომგვრელი მოლოდინია აღწერილი, და ამ მოლოდინის სინქრონულად – ცხოვრებისული აბსურდულობის შეგრძება, პესიმიზმი და უსაყრდენობა. ორივე პიესის პერსონაჟები თითქოს ზმანებებში ცხოვრობენ და არავითარი სუბსტანცია არ გააჩნიათ – ისინი ჰაერში გამოიკიდებული ადამიანები არიან. ორივე პიესის დინამიკის განმსაზღვრელია მოლოდინი, რომელიც, ბეკეტის შემთხვევაში სათაურშივეა გამოტანილი, კაკაბაძესთან კი მოგვიანებით მჟღავნდება. სწორედ მოლოდინის კონცეპტია ის ყველაზე თვალშისაცემი ფაქტორი, რაც ამ პიესებს ერთმანეთთან აკავშირებს. „ბეკეტმა „უმოქმედობაზე“ ააგო თავისი ნაწარმოები და დასაწყისშივე გვაუწყა, რომ „აღარაფერი გვეშველებოდა“ (Nothing to be done). არავითარი სიუჟეტი, მხოლოდ რაღაც სტატიკური სიტუაცია! დრამატურგი გონივრულად აიძულებს მაყურებელს, ელოდოს „რაღაცის“ მოხდენას სცენაზე – ისევე, როგორც მისი მანანნალები ელიან რაღაცას ცხოვრებაში“ (ბერლინი 2010) ზუსტად ამ ვიღაცაზე/რაღაცაზე დგას ორივე პიესის გმირთა მოლოდინი და არავინ იცის ამ ვიღაცის/რაღაცის ვინაობა. ეს კითხვები პიესების ბოლოშიც პასუხგაუცემელი რჩება. როდესაც ბეკეტს ეკითხებოდნენ, რას გულისხმობდა ის ამა თუ იმ რემარკაში, ის პასუხობდა: „ეს რომ მცოდნოდა, არ დაგიმაღავდით“. ბეკეტი გულისხმობდა, რომ ის უმიზნო მოლოდინი, რომელიც ადამიანებს მთელი ცხოვრების განმავლობაში აწუხებთ, მისთვისაც ამოუხსნელი იყო; მან არ იცოდა, ვინ იყო „გოდო“, თუმცა, მთელი ცხოვრება მას ელოდებოდა. ემოციური დრამის მკითხველისა და მაყურებლისთვის უცხოა

პიესაში ასეთ მოლოდინსა და მდუმარებაში გადასვლა. „აქ დუმილი ის-ეთივე დატვირთვას იძენს, როგორც ნებისმიერი დიალოგი. არაფერი აქვს საერთო ჩვეულებრივ, ყოველდღიურ სიჩუმესთან, არც სასონარკვეთით გამოწვეულ მდუმარებასთან. ეს რაღაც განსაკუთრებული, „პეკეტისეული“ სიჩუმეა, არარსებულის რეალურობა, თვით არსებობის საფუძველშივე რომ ამოიცნობა, თითქოს პირველად იყო სიჩუმე, შემდეგ კი – სიტყვა და კვლავ სიჩუმე“ (ბერლინი 2010). სწორედ ასეთი დუმილი „ისმის“ კაკაბაძის „სამ ასულშიც“. პიესები მსგავსია წყვეტილი, თითქოს ალოგიკური დიალოგებით, სიმბოლური, ხანაც პირდაპირი მინიშნებებით გრანდნარატივებზე და მათ რღვევაზე, ორჭოფობაზე ამის გამო, თვითგამორკვევაზე. თუ კაკაბაძის „სამი ასული“ მოდერნისტული პიესაა, პოსტმოდერნული პასაჟებით, ბეკეტის „გოდოს მოლოდინში“ პოსტმოდერნულ ლიტერატურას განეკუთვნება. თუმცა, რადგანაც თვითონ ბეკეტსაც აღიზიანებდა ზუსტი განსაზღვრებებით და მკაცრი კლასიფიკაციებით გატაცებული კრიტიკოსები, ჩვენც მოვერიდებით ამ პიესის ლინეარულ შეფასებას და ზუსტი მიკუთვნებულობის განსაზღვრას; ნაშრომში საუბარი გვაქვს მხოლოდ პასაჟებსა და ტენდენციებზე, და ვერ გავავლებთ მკვეთრ ზღვარს პიესაში გამოვლენილ ამა თუ იმ მიმდინარეობას შორის.

#### დამოცვებანი:

**ბერლინი 2010:** ბერლინი ნ. რატომ მაინცდამაინც „გოდოს მოლოდინში“. არილი (<http://arilimag.ge/%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%A0%C2%AD%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%9C-%E1%83%91%E1%83%94%E1%83%A0%C2%AD%E1%83%9A%A1%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%98-%E1%83%A0%E1%83%90%C2%AD%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%9B-%E1%83%9B/>)

**კაკაბაძე 1919:** კაკაბაძე პ. სამი ასული. შვიდი მნათობი. № 2. 1919.

**სიგუა 2008:** სიგუა ს. მოდერნიზმი. თბილისი: „მწერლის გაზეთი“, 2008.

**NATO GULUA**

*Georgia, Kutaisi*

*Akaki Tsereteli State University*

## **The Reception of Fiction System of Expressionism in Konstantine Gamsakhurdia's Short Story "Taboo"**

Konstantine Gamsakhurdia's artistic thinking is characterized with synthesis of National and European Awareness. Given traditional ideas and characters create complex mixture of multidimensional intellectual system, that was less acceptable for the beginning of twentieth century Modern Georgian Prose. Novelistic form, that was used by Konstantine Gamsakhurdia in the beginning of his literary work and which gave freedom to the writer in self-expressing, was based on aesthetic system of modernism and was assumed by the writer while living in Europe.

**Key words:** Expressionist artistic technique, archetypal awareness, mythologema.

### **ნათო გულუა**

საქართველო, ქუთაისი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### **ექსპრესიონიზმის მხატვრული სისტემის რეცეფცია კონსტანტინე გამსახურდიას ნოველაში „ტაბუ“**

კონსტანტინე გამსახურდიას მხატვრული აზროვნება ხასიათდება ეროვნულ და ევროპულ ცნობიერებათა სინთეზით; მასში ტრადიციული იდეები და სახეები ქმნის მრავალგანზომილებიანი აზრობრივი სისტემის რთულ შენადნობს, რაც ნაკლებად მისაღები იყო მნერლის თანამედროვე XX საუკუნის დასაწყისის ქართული პროზისათვის. ნოველისტური ფორმა, რომელსაც იყენებდა კ. გამსახურდია თავისი შემოქმედების პირველ ეტაპზე, რაც მნერალს თვითგამოხატვის დიდ თავისუფლებას აძლევდა, დამყარებული იყო მოდერნიზმის ესთეტიკურ სისტემაზე, რომელიც შემოქმედდა ევროპაში ცხოვრების დროს შეითვისა. ნოველამ, როგორც უანრმა, გამორჩეულმა მოკლე და მძაფრი სიუჟეტით, თხრობის ნეიტრალური სტილით, კვანძის მოულოდნელი გახსნით, საშუალება მისცა მნერალს ნათლად გადმოეცა ექსპრესიონიზმისათვის დამახასიათებელი მძაფრი ემოციები, ფერები, უღერადობა.

ჩვენი მიზანია, გამოვკვეთოთ კ. გამსახურდიას ნოველის „ტაბუ“ მხატვრულ სისტემაში გამოყენებული ექსპრესიონისტული ხერხები, რადგან ამ თვალსაზრისით აღნიშნული ნაწარმოები არ გაანალიზებულა ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში. თუმცა ის სხვადასხვა დროს და განსხვავებული მიდგომებით განიხილეს: ს. სიგუამ, გ. კანკავამ, ა. ნიკოლეიშვილმა და სხვებმა. ტექსტის ანალიზის XX საუკუნის სხვა შემოქმედებითი გაერთიანებებისაგან განსხვავებით, ექსპრესიონიზმის არსის განსაზღვრა საემაოდ რთულია, რადგანაც ექსპრესიულობა ზოგადად დამახასიათებელია შემოქმედებითი პროცესისათვის და მხოლოდ მისი უკიდურესი ფორმით გამოვლენის შემთხვევაში შეიძლება ვიმსჯელით გამოსახვის საშუალებათა ექსპრესიონისტულობაზე. თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობაში უდავოდაა მიჩნეული ის აზრი, რომ ქართული ლიტერატურის ტრადიციებთან ახლოს იდგა ექსპრესიონიზმი მთელი თავისი არსით, რაც ძირითადად საზოგადოების დეპუტანზაციის წინააღმდეგ ამბოხში გამოიხატებოდა. ამ მიმართულების განვითარებას ხელი შეუწყო გასული საუკუნის დასაწყისში საქართველოში მიმდინარე პროცესებმა, სოციალურ-პოლიტიკურ და ეკონომიკის სფეროში მომხდარმა ცვლილებებმა, გართულებულმა ომებით, რევოლუციებით, წინააღმდეგობრივი მოძრაობით, რეპრესიებით; ამავე დროს, ევროპული ლიტერატურის ახლოს გაცნობით. ნოველაში მრავალი ისეთი მხატვრული ხერხი და დეტალი იკვეთება, რაც ნაწარმოების ექსპრესიონისტულობას უსგამს ხაზს; მაგალითად:

- **დეფორმირებული რეალობა** – ექსპრესიონისტმა მწერალმა არსებული სასტიკი სინამდვილის – ტერორის, რეპრესიების, ძალმომრეობის – საჩვენებლად გამოიყენა მითი (აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ნოველის წარმოშობა მჭიდროდ არის დაკავშირებული რიტუალურ მაგიასა და მითებთან), სოფელ ნაჭყვედთან (იგივე ამოწყვეტილთან) დაკავშირებული მითიური ამბავი და წარმოგვიდგინა სატანის მიერ დატრიალებული ჯოჯოხეთი, როგორც მწერლიდროინდელი ეპოქის ანალოგია.

- ნოველაში **მახინჯი და სასტიკი გარემო** და ურთიერთობებია ნაჩვენები. განსხვავებული სოციალური ფენის ადამიანები დაუნდობლები არიან ერთმანეთის მიმართ, ისევე როგორც მწერლის ულვთო ეპოქაში. ერთ-ერთი პერსონაჟი – ხვარამზეც მახინჯია, როგორც სულიერად („ჭეჭენბა ღამეს მგელს მიაჭენებდა ტაბაკონისკენ“), ისე გარეგნულად (მას ფიზიკური ნაკლი აქვს – აკუმია, შემდეგ კი მორიელის დაღდასმული).

- აქცენტირებულია **პერსონაჟთათვის დამახასიათებელი ემოციები: შიში, შფოთი, უიმედობა, სასონარკვეთა, სევდა, იმედგაცრუ-**

**ება,** რაც ააშკარავებს ავტორის განწყობილებას. სწორედ ესაა – **სუბი-ექტური დამოკიდებულების ასახვა, საკუთარი ემოციური განწყობის გამოხატვა.**

• **უსუსურად და მიუსაფრად** გამოიყურება ნაჭყვედის გლეხობა თავსმოხვეული გაბატონებული კლასის – ბისკაიების ფონზე, ისევე როგორც ძრწოდა ავტორის ეპოქაში მოსახლეობა ბოლშევიზმის წინაშე.

• **მოქმედი პირები სქემატურები და აბსტრაქტულები არიან** (შავჩინხანი და ნითელჩაბალაზანი სატანა – ბოლშევიზმის სიმბოლო, ზოგადად – ბოროტება, ხვარამზე – სიმაზნჯე, დეფორმაცია, მორიელი – უბედურების, ტანჯვის მომასწავებელი, დემონური ძალების სიმბოლო).

• **მწერალი შოკში აგდებს მკითხველს თხრობის სიმძაფრით, მოულოდნელობით, მოვლენების ექსპრესიული და დრამატული განვითარებით, უმძიმესი სურათების ჩვენებით.**

• **მკითხველი ჩართულია შემოქმედებით პროცესში და იქმნება დაუსრულებლობის განცდა. მართალია მხატვრული სახეები ესკიზურია, მაგრამ დეფორმირებულია, რითაც მწერალი აკვირვებს მკითხველს, ააქტიურებს მას, თანაშემოქმედად აქცევს.**

• **თხრობა აგრესიულია და ახასიათებს ძლიერი, მკვეთრი ფერები, შტრიხები** – აგრესიულიები არიან ნოველის პერსონაჟები, მორიელი, კოლორისტიკა, რიტმიკა, ზოგადად მნერლის სტილი.

• **მისტიკა, რომლის აშკარა გამოვლინებაა ხვარამზეს წინასწარმეტყველური სიზმარი მორიელის, ზოგადად დიდი ბორიტების მოვლინების შესახებ. ასევე მთლიანად ნაჭყვედთან დაკავშირებული მითი, ის მაგიურა სივრცე, სადაც მოვლენები ვითარდება.**

• **ნოველის ორ ცენტრალურ პერსონაჟს ახასიათებს ექსპრესიონიზმისათვის ნიშანდობლივი მარტოობა, განდგომა;** კერძოდ, მთხრობელის მეორე „მეს“. ჩიხიანს თავისი ევროპელი ორეული ცივ, კრისტალის სასახლეში დამწყვდეულ **მარტოხელა** კაცს აგონებს, ხოლო მისი სიცილი – **მარტოხელას** ცივ სიცილს, სარკის ზედაპირზე გადაბნეული საპანტივის ხმას აგონებს. ცივი სიცილი, სარკის ზედაპირი, კრიალა, უფარდო ფანჯრები, კრისტალის სასახლე – მძაფრი სიცივე და **მარტოობა** იგრძნობა ამ სიტყვათშეთანხმებებში. „**მარტოობისა და დარდის დამღა**“ ამჩნევია დიაკონს არა მარტო „შიმშილისაგან დაწრეტილ, გაყვითლებულ სახეზე“, არამედ მარტოსულობა და განდგომის კვალი აშკარად იგრძნობა მის ბნელ საკანშიც: „კედლის ჭუჭრუტანები ძველი გაზეთების დაწებებული ლურსმნებზე ათას ადგილას კონკილი ძონები, თაროზე ყდაშემოცვეთილი ლოცვანები და საკითხ-

ავები, კუთხეში სიმინდის ტაროებით სავსე ხიკვები, ტახტზე გაფენილი ჭილობი, საპირეგამოფატრული მუთაქა, და ერთ კუთხეში კიდეშემომწვარი მაცხოვრის ხატი, ძველი საცეცხლური, დამჭენარი ბზის ტოტები და გახუნებული ოლარი ეკიდა“<sup>1</sup>. ნივთები ყველაზე უკეთ ახასიათებს მფლობელს, მის ყოფას, სულიერ მისნრაფებებს და საერთოდ, ცხოვრების რთულ გზას, ვიზირობთ, რომ ამ შემთხვევაში აღმავალ ხაზს: დიაკონი – მეთევზე – პირველი ქრისტიანი.

ჩვენი ნაშრომის ფარგლებში, ბუნებრივია, ყველა პრობლემას ვერ განვიხილავთ და ყურადღებას გავამახვილებთ შემდეგ საკვანძო საკითხებზე: **დეფორმირებული რეალობა და კოლორისტიკა**.

მნერლის პოზიციის გამომხატველი პირველი ტექსტური ნიშანია სათაური „ტაბუ“. ავტორიც საგანგებოდ ეხება ამ საკითხს 1933 წელს გამოქვეყნებულ ესეში „როგორ ვწერ?“: „მეტონილად სათაურიდან გამოვდივარ: ვერ გეტყვით თუ როგორ ხდება ეს, როგორ გამოუდგება ერთს ან ორ სიტყვას, სათაურში გახმაურებულს, ათასი და ათი ათასი (როგორც ახლად გაჩენილ დედას – ნაყარი ფუტკარი)“ (გამსახურდია 1963: 217). ცნობილია, რომ **ტაბუ** მკაცრი აკრძალვა და ეხება მოქმედებას, ადგილს ან ობიექტს. პოლინეზიურად ეს სიტყვა „ნმინდას“ ალნიშნავს და იმავდროულად მისი მნიშვნელობა შეიძლება, რომ სანინაალმდევოდ იქნეს გააზრებული და გამოხატოს „უწმინდური“. თუ ფრონდს მოვიშველიებთ, ტაბუს დანიშნულება ჩვენივე დაცვაა სხვადასხვა უარყოფითი ხასიათის შედეგებისგან, რადგან მის დარღვევას მძიმე შედეგები სდევს თან. ტაბუ მაგის სფეროს განეკუთვნება. ის მძლავრი სიტყვიერი მაგია. ჩვენს შემთხვევაში სიტყვიერი აკრძალვა დაკავშირებულია ყოფა-ცხოვრებასთან. ამ ჯგუფის ტაბუ დაკავშირებულია სიტყვისა და სახელის მაგიური ძალის რწმენასთან. სიტყვა და სახელი მოქმედებს იმ არსებაზე, რომელსაც ახსენებენ და მანძილს არ აქვს მნიშვნელობა; წარმოდგენის მიხედვით, ხსენება იწვევს მის გამოჩენას.

თუ სათაურს განვიხილავთ როგორც ძირითადი ტექსტის წინ მდებარე შეკუმშულ ტექსტს, რომლის დეკოდირება დაკავშირებულია ტექსტუალური ნიშნის **ტაბუს** ტექსტში მოძრაობასთან, საცნაური გახდება, თუ როგორ მუშაობდა ავტორი ტექსტზე. ნოველაში **ტაბუ** ტრადიციული მნიშვნელობითაა გამოყენებული. ის აქტიური ნიშანია ტექსტში, თანდათანობით იძენს სემიოტიკურ სილრმეს და გადაიქცევა აზრობრივი კონცეპტების დატოტვილ ბადედ. ნოველის ძირითადი ამბის მიხედვით, **ტაბუ** პირველ რიგში წითელჩაბალახანზეა დადებული. ის შეფარული ბოროტებაა, რომლის ხილული განსახიერება მორიელია და **ტაბუც** მორიელს უკავშირდება. ბოროტების აღკვეთის შემდეგ კი

**ჭაბუ** მთლიანად მითს ედება იმ პრინციპით, რომ არავინ უნდა გაიხსე-ნოს ნაჯყვედის ტრაგედია, რათა არ განმეორდეს.

ნოველის სათაური მრავალშრიანია; მასში ვლინდება აქტიური პროტესტი არსებული სინამდვილის წინააღმდეგ. ქართული მითოლო-გიური აზროვნებისათვის ნიშანდობლივი, ტრადიციული სახეები იღებს ჰიპერტროფირებულ ფორმას, უერთდება შერყვნილ, დამახინჯებულ სამყაროს სურათს როგორც წარსულის პროექციას ახლანდელ დრო-ში. ექსპრესიონიზმის ესთეტიკა მწერლის როგორც ლიტერატურულ, ისე პოლიტიკურ განწყობილებას შეესაბამა; მან მასში დაინახა ზნეობ-რივი სტიმული; პოლიტიკური იდეალი მწერლობის სფეროში გადაი-ტანა და წარსულში დაიწყო ხსნის, გამოსავლის ძიება. მისი მიზანი სა-კუთარი თავის რჩმენის აღდგენა, სულიერი აღზევება იყო.

ნოველის გმირის მიზანიც საკუთარი არსის, დანიშნულების ძიე-ბაა. მას სურს დაძლიოს მარტოობა, სკეპსისი, გაორება, მოიპოვოს დაკარგული რწმენა. „ამგვარი კრიზისის დროს მე შემიძლია მხოლოდ ვინადირო“. ყოველივე ამის მიღწევა მწერლის თანამედროვე ეპოქაში შეუძლებელია და ამიტომაც მივყავართ მითურ რეალობასთან. მითურ სივრცეში მოსახვედრად საჭიროა **გზის** გავლა, გარკვეული ტრან-სფორმაცია, გარდასახვა, მაგა.


მითოლოგება **გზა** მეტაფორულად წარმოადგენს მოქმედების მი-მართულებას. ის მსოფლიო კულტურის უნივერსალიაა. მასში თავ-მოყ-რილია გზის იდეასთან დაკავშირებული სახეები, სიმბოლოები (მაგალითად, როგორიცაა თავგადასავლის, ბედის, ბედნიერების ძიე-ბა. მ. ბახტინი თავის ნაშრომში „Формы времени и хронотопа в романе“ (Бахтина, 234: 1975) საინტერესოდ საუბრობს **გზის** ქრონოტოპზე, რადგან სწორედ გზაზე ხდება ადამიანის ცხოვრებაში სივრცისა და დროის გადაკვეთა; დრო თითქოს ერწყმის სივრცეს და გარდაიქმნება გზად. კულტურულ ცნობიერებაში მას ორი პროექცია აქვს: პორიზონ-ტალური და ვერტიკალური. პორიზონტალური – ესაა გზა დედამიწის ზედაპირზე (შუა სკნელზე), პროფანულ სივრცეზე გამავალი (საკრა-ლური ცენტრისკენ ან პირიქით; მეორე შემთხვევაში – ზედა ან ქვედა სამყაროსკენ (ზედა ან ქვედა სკნელისკენ). ჩვეულებრივ მოკვდავს შეუძლია მხოლოდ პორიზონტალური მიმართულებით იაროს, ვერ-ტიკალურად კი ფიგურალურად – სულიერადაა შესაძლებელი მოგზა-ურობა. გზის კონცეპტუალური არქეტიპი, მითოსური გაგებით, ქაოსს შეესაბამება და ვერტიკალურად სვლა განაპირობებს ხორცულ ზონა-ში, საშიშ, დემონურ, უნმინდურ ადგილზე მოხვედრას.

ჩვენს შემთხვევაში პერსონაჟი თავდაპირველად მოძრაობს პორი-ზონტალურად, ანუ გადააგგილდება პროფანულ სივრცეში. ერთი

შეხედვით, მისი მიზანი წადირობაა. თუმცა სანადიროდ წასკლა წა-ნარმოებში მხოლოდ მწერლური სტილის გამოვლინებაა, მყითხველის ინტერესის გაღვივებას ემსახურება, ნოველას თავშესაქცევი, სათავ-გადასავლო თხზულების იერს სძენს. ეს გახლავთ წანარმოების ჰორი-ზონატალური ჭრილი. როგორც ერთგან თავად ავტორი შენიშნავს, ეს ხერხი ხშირადაა გამოყენებული ქართულ მწერლობასა (რითაც სალა-ლობო გარეგნულ სახეს აძლევდნენ, მსუბუქად შეფუთავდნენ ხოლმე სერიოზულ და მნიშვნელოვან სათქმელს) და ფოლკლორისტიკაში (აქ ის პირდაპირი მნიშვნელობითაა წარმოდგენილი და ახლის ძიებას უკავშირდება).

სანადიროდ წასული პერსონაჟი აღმოჩნდება იმ კონკრეტულ დროსა და არეალში, სადაც მაგის გარკვეული ძალა ჰქონდა. „მე ენა ვერ დამიძრავს საშინელისა და საკვირველის თქმად... ეს მოხდა სწო-რედ მაშინ, ორბოძალ გზას რომ მივაღწიე. უძიროს წვეტი ქვას წამოე-დო, ზედ შუა გზაზე უკითხავად გდებულს. წავბორძიყდი“. გზაგასა-ყარზე მყოფმა პერსონაჟმა მაშინვე იგრძნო, რომ გარკვეული რეალობა დასრულდა და რაღაც საშინელი, გაურკვეველი და ენით გამოუთქმელი დაინტენი. მოსალოდნელი საშიშროება, ახალ, მითოსურ რეალობაში გა-დასვლა შემდეგ სიტყვებში გამოიხატა: „მარჯვენა თვალი და ხელფეხი დამიბრუუდა. შუბლზე ოფლმა დამცვარა. მიმინო შეტორტმანდა, ცერ-ზე სახამლავმა შეიკავა. მხარი ამექცა“.

ამ წუთიდან ჰორიზონტალურ გზას ენაცვლება ვერტიკალური, მი-ტიკური, დემონური, მითოსური სამყარო, არასივრცე, წაჭყვედის მითი – დეფორმირებულად წარმოსახული მწერლისდროინდელი სამყარო. ნოველის მიხედვით, გმირი სულიერად მოგზაურობს ამ ისტორიაში, მითში, ესაა წარსულში სვლა, ვერტიკალური გზის გავლა და მიზნის მიღწევა. გმირის ძიება სრულდება გამოსავლის პოვნით – სატანაზე, წითელ რეჟიმზე წმინდა გიორგის (რწმენის) გამარჯვებით. „საგანთა შორის მრავალი რამ არხსენებისა და დუმილის წიაღში უნდა დარჩეს-მეთქი, სამარადუამოდ“, – შენიშნავს მწერალი და სწორედ ბოლშევიკურ, სატანურ რეჟიმს ადებს ტაბუს, მორიელისა და სხვა ქვენარმავალთა მსგავსად. **ტაბუ** ბოლშევიკურ რეჟიმს! – ეს გახლავთ **ტაბუს** ბოლო აზ-რობრივი კონცეპტი და წანარმოების ვერტიკალური ხაზიც აქ სრულ-დება. **ტაბუს** მოძრაობა ტექსტში სქემის სახით შემდეგნაირად შეიძ-ლება წარმოვიდგინოთ:



აღსანიშნავია, რომ თავად ავტორი ცხოვრობდა აკრძალვებით ნიშანდობლივ ქვეყანაში და მიგვაჩნია, რომ ნოველა „ტაბუ“ მწერლის თანამედროვე ეპოქისადმი აშკარად გამოვლენილი პროტესტია.

დეფორმირებული, დამაზინჯებული სამყარო კიდევ უფრო ნათლად გამოჩნდა ნოველის **კოლორისტიკაში**. ტექსტში არსებული ფერების სიტყვათა მწკრივის გაანალიზების გარეშე აუტორის მხატვრული ოსტატობის საკითხი არ იქნება სრულყოფილად შესწავლილი. ფერთა სიმბოლიკა და მათი დეკოდირება მხატვრული ტექსტის ანალიზის მნიშვნელოვანი შრეა. ფერები ნაწარმოების მატრიცაში მყარადაა ჩაქსოვილი. ნოველაში დატვირთვით გამოყენებულ ფერებს გააჩნია ეროვნულ-ტრადიციული მნიშვნელობა, ასევე შესაძლებელია მათი ექსპრესიულ-ემოციური წაკითხვაც, აქვს როგორც აზრობრივი, ისე მწერლისული მნიშვნელობაც. ფერების შერჩევით, მათი მრავალგანზომილებიანი და მრავალშრიანი გამოსახვით ყველაზე უკეთ გამოვლინდა ნოველაში ექსპრესიონისტული მხატვრული ტექნიკა.

კ. გამსახურდიას სწორედ იმ ხანაში მოუხდა ევროპაში ცხოვრება, როცა ხელოვნების სხვადასხვა დარგში (ფერწერა, ლიტერატურა, მუსიკა, კინემატოგრაფია...) ექსპრესიონისტული მიმართულება ფართოდ იყო განვითარებული. ამიტომ მის შემოქმედებაში, ცხოვრების ბნელი მხარეების ჩვენებისას, აშკარადა ვლინდება ექსპრესიონისტული ხელოვნების ზემოქმედება. ბ. ჯორბენაძე ასაბუთებს, რომ ფერებით აზროვნება კ. გამსახურდიას მხატვრული სტილის განმსაზღვრელი ძირითადი ნიშანია. ფერი არსებითად საგნის თვისებადაა გამოტანილი, მისი შინაგანი ბუნების ამოცნობის ერთ-ერთ საშუალებადაა ქცეული (ჯორბენაძე 1982). ცნობილია, რომ მწერალი კარგად ერკვეოდა

მხატვრობაში და მისი შეფასებებიც საინტერესოა ამა თუ იმ მხატვრის ნამუშევრებზე. აღსანიშნავია მისი დამოკიდებულება მოდერნისტი მხატვრის, დავით კაკაბაძის პეიზაჟებისა და მათში გამოყენებული ფერების მიმართ. აშკარაა, კ. გამსახურდია არც ევროპელი ექსპრესიონისტი ფერმწერების მიმართ იყო გულგრილი. ექსპრესიონისტი მხატვრების (მარკ კრაგელის, ედუარდ მუნჩის, ავგუსტ მაკესა და სხვათა) ნამუშევრები გამოირჩევა სუბიექტურობით, სიმკვეთრითა და ემოციურობით, რასაც განსაკუთრებულად ნათელი, ზოგჯერ მყვირალა და კონტრასტული ფერების, „ჭუჭყაინი“ ტონების გამოყენებით გადმოსცემდნენ. წითელი, ყვითელი, მწვანე, ლურჯი... მოცემული სხვადასხვა ელფერითა და განწყობით ახლოს დგას ნოველის ფერადოვნებასა და სულისკვეთებასთან. იმდენად გამოკვეთილია „ტაბუს“ კოლორისტიკა, რომ შეიძლება ვთქვათ: აღნიშნული ნოველა არის პასუხი ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებზე მკვეთრი ფერებითა და გამომსახველობითი საშუალებებით.

ცნობილი ფაქტია, რომ კ. გამსახურდიას პალიტრა მრავალფეროვანია, თუმცა ნოველაში ძირითადად იყენებს ყვითელ, წითელ და შავ ფერებს. მართალია, მწვანეს, ლურჯსა და თეთრსაც ახსენებს, თუმცა ისინი, ზემოთ დასახელებულთაგან განსხვავებით, მრავალმნიშვნელიანობით არ გამოირჩევა. განვიხილოთ თითოეული მათგანი:

**წითელი.** წითელი ორსანყისისანი ფერია, მისი მნიშვნელობა ურთიერთსაპირისპიროა, ამბივალენტურობით ხასიათდება: თუ ერთ შემთხვევაში მის სიმბოლიკას სიცოცხლეს, კეთილდღეობას, ენერგიასა და ზაფხულს უკავშირებდნენ, სხვა შემთხვევაში – სიკვდილს, მის გადმოცემას ნარმალადგენს (ჩოლოყაშვილი 1977: 83). მნერალი თითქოს გვეთამაშება ამ ფერით. ის ფართოდ იყენებს წითლის ანტონიმურ მნიშვნელობებს, რაც ართულებს მის დეკოდირებას. პირველად ეს ფერი, უფრო ზუსტად, წითლის ელფერი – **აგურისფერი** – გვხვდება ტექსტში. **აგურისფერი ჩოხა** აცვია მთავარ გმირს, მთხრობელს. წითლის მისტიკური გამოხატულებაა ცეცხლი, ამიტომ მასთან ერთად უნდა განვიხილოთ საანალიზო ნოველაში გამოყენებული მისი სხვადახვა ელფერი, მაგალითად, **აგურისფერი** და **ხარის სისხლის ფერი** (იგივე **ცეცხლისფერი**), „როგორც მსხვერპლის დალვრილი სისხლის დიდებულება“. მსხვერპლში იგულისხმება ხარი, რომლის დალვრილ სისხლს ბიბლიის მიხედვით, ცოდვების გამოსყიდვის ძალა აქვს. მითრა კლავს ხარს, რათა მისმა სისხლმა ყოველი ცოცხალი არსების თესლი გაანაყოფიეროს. ნოველის მიხედვით, ხარი დაკლეს 23 აპრილს, გიორგობას, მისმა სისხლმა უნდა გამოისყიდოს ცოდვები, შავი მორიელი შხამისგან განწმინდოს ადამიანები. მთავარი გმირის ბაბუა სწორედ

**ხარის** **სისხლის** **ფერის** **ჩოხას** **ატარებდა.** **აგურისფერი,** **ცეცხისფერი** იგივეა რაც **ხარის** **სისხლი** **ფერი.** „ტაბუს“ მიხედვით, ამ ფერის სამოსის მატარებლებს პატივისცემით მოიხსენიებენ; მოწინება და სიყვარული იგრძნობა დღიაკონის სიტყვებში, როცა ბაბუა-შვილიშვილის სამოსისა და ჩვევების მსგავსებაზე საუბრობს: „აგურისფერი ჩოხა ჩაგიცვამს, გოლუაფირო, და უძიროები. ხელზე მიმინო ბაბუაშენსავით“. „კაციეს, ბაბუა შენს, ხარის სისხლისფერი ჩოხა ეცვა“. საგულისხმოა, რომ ეს ის დღიაკონია, რომლის ცხოვრება ქრისტეს მოციქულთა გზას მოგვა-გონებს: **დღიაკვანი, მეთვზე, პირველი ქრისტიანი.** ნოველაში 3 ჩოხაა აქცენტირებული: გმირის – **აგურისფერი,** მისი ბაბუის – **ხარის სისხ-ლისფერი** და სატანის – **შავი,** როგორც საპირისპირო შეფერილობისა და მნიშვნელობის (მასზე ქვემოთ ვისაუბრებთ).

ტექსტში ვითომდა შემთხვევით არის ნახსენები **ნითელი** მთვა-რის ეპითეტად: „ცაცხვის ქვეშ ნამორზე ჩამოვჯექი: **ნითელი მთვარე** ღრუბლებიდან გამოსულიყონ“. **ნითელი მთვარე** ჩვეულებრივი ფიზი-კური მოვლენაა. მთვარის სრულად დაბნელების დროს, სავსე მთვარე ხდება წითელი, რადგან მთვარეს მოფარება დედამინის ჩრდილი. ამ ეფექტს **სისხლიან მთვარეს** ან **მთვარის წყელას** უწოდებენ. უძველე-სი დროიდან მას საშიშროების, ომის, სიკვდილის, დალვრილი სისხლის მომასწავებელ ნიშნად მიიჩნევენ. ნოველაში მისი გამოჩენა თან მოს-დევს დღიაკონის მონათხრობს. მითოლოგიურად მთვარის ღრუბლები-დან გამოსვლა გმირის გველებაბის მუცლიდან განთავისუფლებასთან ასოცირდება, მაგრამ ამ შემთხვევაში სანინაალმდეგო ეფექტს ვიღებთ, რადგან ეპითეტი **ნითელი** მნიშვნელობას უცვლის მთვარეს და მისი ხსენება მკითხველს იმთავითვე უმძაფრებს მისტიკური ამბის მოსმე-ნით გამოწვეულ ისედაც მძიმე განწყობას.

ნითელი ფერი ნოველაში უარყოფით კონტექსტში არის გამოყ-ენებული როცა ის სატანასთან მიმართებაშია ნახსენები: **ნითური კაცი,** **ნითელჩაბალახიანი,** **ნითელი თმა,** **ნითელი წვერი,** **ნავსი თვალები,** ან კიდევ **ჯოჯოხეთის ცეცხლივით მოგიზგიზე თვალები.** შუა საუკუნე-ებში ე. წ. ალქაჯებზე მონადირეები წითურ თმას ეშმაკის თანაზიარო-ბის ნიშნად მიიჩნევდნენ. ტექსტის მიხედვითაც ნითურობა უწმინდუ-რობასთან ასოცირდება და შავგვრემანობის ოპოზიციად გვევლინება: „ჩვენ შავგვრემანები ვართ და ნუ ინებოს წმინდა გიორგ სუჯუნამ, რომ კაცისობას წითური გაგვერიოს!.. ხარბედიები დასაბამიდან შავგვრე-მანი ყოფილან“. **ნითელი ჩაბალახი – ნითელი თმის** ანალოგიაა, ხოლო **ნავსი ნითელი თვალები** გველს უკავშირდება, გველი კი სატანას, რომელმაც უნდა აცდუნოს ქალი, ჩვენს შემთხვევაში ხვარამზე. ის აკუ-მია, არასრულყოფილი, დეფორმირებული ქალი, „ულვაშიანი ქალა-ბი-

ჭა. ქალს ეძახოდნენ ხვარამზეს, მაგრამ ცხენოსნობასა და ნადირობაში ერთი ვაჟკაცი ტოლს ვერ უდებდა... არ ეშინოდა არც ღვთისა და არც ადამიანისა“. ამ პერსონაჟშია მოქცეული მწერლისდროინდელი ეპოქისათვის დამახასიათებელი მანკიერებანი.

ცნობილია, რომ ნითელი ფერი ძლიერებას გამოხატავდა და მას ძალაუფლების მქონე ხელისუფლები ანიჭებდნენ უპირატესობას. ის აქტიურად გამოიყენებოდა ჯერ კიდევ საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის დროს. მას შემდეგ ითვლება ნითელი დროშა ხელისუფლების უკანონო ქმედებათა და არსებული წესრიგის წინააღმდეგ ბრძოლის სიმბოლოდ. ასევე, ამ ფერს აკავშირებენ მასონურ მოძრაობასთან და რუსეთის დიდ ოქტომბრის რევოლუციასთან, ის ასოცირდება სიკედილთან, სისხლსა და მწერალებასთან (საგომონიანი 2016). ნოველაში ნითელი ფერი სწორედ ამ მნიშნელობითაა გააქტიურებული. ის სატანის ატრიბუტი ფერია და მასში საბჭოთა ხელისუფლება უნდა მოვიაზროთ თავისი ნითელი დროშით, ნითელი არმიით, ნითელი მოედნით, ნითელი ვარსკვლავით და, რა თქმა უნდა, უამრავ უდანაშაულო ადამიანთა დაღვრილი სისხლით.

**შავი.** შავი მსოფლიოს უმეტეს ნაწილში ნეგატიური ძალის უნივერსალური სიმბოლოა. ქართული ფოლკლორული მონაცემების მიხედვით, შავი – ქვესკნელის, უბედების, სიკვდილის, სიბძელის, ბოროტების, მარცხის, ავი ბედისწერის სიმბოლოა, მას ჯადოქრობასა და შავ მაგიას უკავშირებდნენ. ნოველაში **შავი** მოცემულია როგორც გლოვის ფერი: “ძველად მხოლოდ ასაბიები ატარებდნენ **თალბ** კაბას“. ძაძით მოსილია მორიელის მიერ განადგურებული სოფელი. შავი ფერის ჩოხა აცვია სატანას, ე. ი. **შავჩოხიანია**, რაც გველის მეტონიმიას წარმოადგენს და კიდევ ერთი ნიშანია სატანისა და მაცდუნებელი გველის ერთიანობის.

„ტაბუზე“ ცოტა ადრე დაწერილ ნოველაში „ფოტოგრაფი“ **ნითელ-ჩოხიანი** (და არა შავჩოხიანი) გვევლინება ანტიგმირად. მართებულად აკავშირებს მას რ. ნიშნიანიერ ნითელ დროშასთან და პარალელს ავლებს „ტაბუს“ ნითელჩაბალახიან პერსონაჟთან: „ნითელჩაბალახიანი“ და „ნითელჩოხიანი“ მსგავსი, ერთნაირები არიან და დიდი მწერალიც ერთ სახელს არქმევს მათ“ (ნიშნიანიძე 2014).

**შავი** ფერისაა სოფლის გამანადგურებელი მორიელი, რომელიც ნაბადივით **შემონისლულ** (მავ) ღამეს დაიბადა. ბიბლიის მიხედვით, მორიელი, გველის მსგავსად, დემონური ძალების სიმბოლოდაა მიჩნეული და იუდას უკავშირდება. მორიელის თანავარსკვლავედის ცაზე გამოჩენა კი ოდითგანა ალიქმებოდა დამანგრეველი ომების, მწერების, უბედურების მომასწავებლად. სატანის დაღიც შავია და მორი-

ელის ფორმის. ტრადიციულად მიჩნეულია, რომ სატანა თავის მოკავშირებს დაღს ადებს და ამგვარად გამოხატავს მათზე ძალაუფლებას. დაღის დადების შემდეგ ეშმაკის მიერ შეცდენილი ხვარამზეც მის სამსახურში დგას.

როგორც გამოიკვეთა, შავი ფერი 2 ასპექტითაა წარმოჩენილი ნაწარმოებში: **შავი** სატანასთან, მორიელთან, ღამესა და დაღთან მიმართებაში, როგორც ბოროტების გამომხატველი ფერი და, უფრო სუსტად გამოვლენილი, შავი, როგორც გლოვის ფერი, ძაბა. ავტორის წარმოსახვაში ძაბით იყო მოსილი არა მარტო ნაჭყვედის არე, არამედ მთელი ის სამყარო, რომელშიც ცხოვრობდა. ქვეყნის თავისუფლების დაკარგვით გამოწვეული მწერალების, გლოვის ნიშნად თავად მწერალიც ხომ ატარებდა **შავ ჩიხას**.

**ყვითელი.** ტრადიციული გაგებით, ყვითელი არის მზის ნათება. ის ენერგიისა და სითბოს სიმბოლოა, თბილი ფერია და ორმხრივი სიმბოლური დატვირთვა აქვს. ზოგჯერ ის აღიქმება, როგორც მზის ფერი, შემოდგომის, მწიფე თავთავის, გაყვითლებული ფოთლების ფერი. თუმცა, ამავე დროს ავადმყოფობასა და სიკვდილთან, იმჯერები სამყაროსთან ასოცირდება. საინტერესო ფაქტია, რომ ეს ფერი, ტრადიციულად, არ არის დამახასიათებელი ქართული სამყაროსთვის. ექსპრესიონისტები კი მას ძალიან აქტიურად იყენებდნენ. ნოველაში ყვითელი ფერი ძირითადად დიაკონთან დაკავშირებულ ეპიზოდში გვხვდება: **მოყვითალო** ფერი ელავს მის ფანჯარაში. ირგვლივ ბენლა, მხოლოდ დიაკონის სიახლოეს არის ნათელი, მის პირად ნივთებში გამოვლენილი სულიერება ანათებს გარემოს წყვდიადს. მარტო ამ პასაჟში იკვეთება ყვითელი პოზოტიური ნიშნით, როგორც სითბოსა და სულიერი სიმწიფის ფერი, ისიც სუსტად: **მოყვითალო** და არა ყვითელი. სხვა შემთხვევაში, ყოველი მისი გამოვლინება, მკითხველში იწვევს შემოდგომის ასოციაციას, ეუფლება ზამთრის (აღსასრულის) მოახლოებით გამოწვეული სევდა. „ვაზის **მოყვითანო** ფოთლებში ლალივით კრიალებენ წითელი მტევნები“, „მუქლურჯი ფრთები კენწეროშივე გაუყვითლებია – შემოდგომას თუ გვალვას“, „ძენწების მოვერცხლილ მწვანეში ყვითელი წამალი საეგბიოდ გადაუგდია მარადჟამობის მხატვარს“. განსაკუთრებული ინტენსივობითაა გამოყენებული ყვითელი ფერი დიაკონთან მიმართებაში: „მარტომბისა და დარღის დამლა დასტყობია შიმშილისაგან დაწრეტილ, გაყვითლებულ ბამბასავით გაყვითლებულ, გაბურძგვნილ წვერს“, „სამი გაყვითლებული წინა კბილიდა შერჩენია“ და სხვ.

ყვითელ ფერთან მიმართებაში, ყველაზე უკეთ გამოჩნდა ავტორის სათუთი დამოკიდებულება ძველის, ტრადიციულის მიმართ, შეუქცევადი მოვლენების, წარმავლობის მიმართ მისი განცდები და სევდიანი, შეიძლება ითქვას, უიმედო, პესიმისტური განწყობილება. ამ ნაღვლი-ან, კაეგნით აღსავსე ექსპრესიონისტულმა ფერმა ფარდა ახადა მწერლის მხატვრულ ჩანაფიქრს: ეჩვენებინა მისი თანამედროვე ეპოქი-სათვის თანმხლები სულიერი კრიზისი, სკეპსისი, მარტოსულობა. რეცეფციული მეთოდის გამოყენებამ ნოველის რეტროსპექტული ანალიზის საშუალება მოგვცა და დაგვანახა მწერლის მხატვრული ოსტატობა ქართული და ევროპული მხატვრული აზროვნების გადაკვეთაზე. ექსპრესიონიზმის ევროპულმა გაგებამ და ქართულმა ემოციურმა არქეტიპურმა აზროვნებამ ნარმოქმნა ის ორგანული შენადნობი, რითაც გამოირჩევა კონსტანტინე გამსახურდიას მხატვრული სისტემა.

### **დამოწმებანი:**

**ბახტინი 1975:** Бахтин М. М. “Формы времени и хронотопа в романе”. Вопросы литературы и эстетики. М.: Худож. лит., 1975.

**გამსახურდია 1963:** გამსახურდია კ. რვატომეული, ტ. VI. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“, 1963.

**გამსახურდია 2012:** გამსახურდია კ. ნოველები. მოთხრობები. ტ. VI. თბილისი: „პალიტრა L“, 2012.

**კანკავა 1985:** კანკავა გ. ლიტერატურული წერილები. თბილისი: „მერანი“. 1985.

**ნიშნიანიძე 2014:** ნიშნიანიძე რ. კონსტანტინე გამსახურდიას ნოველა „ფოტოგრაფი“. 2014. მის.: <http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e>

**სამოგოანი 2016:** Сагомян А. А. “Более века под красным знаменем”. “Реалии”. Независимая газета, 05.02.2016, [http://nvo.ng.ru/realty/2016-02-05/7\\_glag.html](http://nvo.ng.ru/realty/2016-02-05/7_glag.html)

**სიგუა 2002:** სიგუა ს. ქართული მოდერნიზმი. თბილისი: „სამშობლო“. 2002.

**ჩოლოყაშვილი 1977:** ჩოლოყაშვილი რ. თეთრი, წითელი და შავი ფერის გენეზისისათვის ქართულ ხალხურ პოეზიაში. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის სამეცნიერო კონფერენციის მასალები. თბილისი: 1977.

**ჯორბეგნაძე 1982:** ბესარიონ ჯორბეგნაძე, კონსტანტინე გამსახურდიას ქართული. ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში. № 3. თბილისი: 1982.

**TEA DULARIDZE**

*Georgia, Tbilisi*

*Iv. Javakhishvili Tbilisi State University*

## **Transformation of a Greek Myth in Guram Dochanchashvili's "Only One Man"**

The myth of Sceiron, killed by King Theseus, has been widely employed in literature since antiquity. This article focuses on *Only One Man*, a story by a modern Georgian writer, Guram Dochanchashvili and examines Dochanchashvili's motives for revisiting the myth. Sceiron's existential tragedy consists in his inability to love, which repeats in Dostoevsky's famous words: "[Hell is] the suffering of being unable to love". In contrast to this suffering, Dochanchashvili invokes the eternity of art and love, as expressed in passages addressed to Anna Magnani. Dochanchashvili's modernist interpretation of the myth consists in showing gradual transformation of the evil character and his regrets over the failure to find love. As Sceiron encounters Theseus, his only emotion is sorrow for losing a chance to reach love.

**Key words:** Sceiron, Theseus, *Only One Man*, Dochanchashvili's motives.

### **თეა დულარიძე**

საქართველო, თბილისი

ივ. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### **ანტიკური მითის ტრანსფორმაცია გურამ დოჩანაშვილის მოთხოვნაში „მხოლოდ ერთი კაცი“**

ძველ ბერძნულ მითოლოგიაში ერთ-ერთი ცნობილი ფიგურაა სკირონი, რომელიც ათენის მეფემ, თეზევსმა დაამარცხა. ჯერ კიდევ ანტიკურობაში ხდებოდა სკირონის მითის გადამუშავება ისეთ აფ-ტორებთან, როგორებიც იყვნენ პლუტარქოსი, პავსანიასი, ფსევდო-აპოლოდოროსი და სხვები. იმისათვის, რომ უფრო ნათელი გახდეს, თუ როგორ არის გააზრებული სკირონის ეს ტრადიციული მითი გურამ დო-ჩანაშვილის მოთხოვნაში და რატომ გამოიყენა ავტორმა ძველი ბერ-ძნული ვერსია სკირონის ახალი სახის შექმნისათვის, წარმოგიდგენთ მითის ძირითად სიუჟეტს.

ტრადიციის თანახმად, სკირონი არის ჰეროებისა და კანეთოსის ძე, თუმცა სხვადასხვა წყაროში პოსეიდონის ვაჟიშვილადაც მოიხსენიება,

ზოგან კი პელოფსის ძეა ან შვილიშვილი. სკირონი მეგარელების გმირი იყო, რომლებიც გზებს აძენებდა (Paus. I, 44), თუმცა უკვე თეზევსის თქმულებაში გარდაისხა უარყოფით პერსონაჟად. მას შემდეგ, რაც თეზევსი ქალაქ მეგარას მიუახლოვდა, ქალაქის საზღვართან ციცაბო კლდეები იყო ცად აზიდული. მათ ძირში ერთმანეთს მრისხანედ ეხ-ეთქებოდნენ ზღვის აქაფებული ზვირთები. სწორედ ერთ-ერთი კლდის თხემზე ბინადრობდა ავაზაკი სკირონი (ტრნია... 2003: 133). ეპონიმები „სკირონის კლდეები“ ან „სკირონიული გზები“ (Hdt. 8, 71) სწორედ მის სახელთანაა დაკავშირებული (DNPა 2001: 615-616). პავსანიასის თანახ-მად, სკირონი გამვლელებს იჭერდა და აძლელებდა, რომ მისთვის ფეხე-ბი დაებანათ. როგორც კი მგზავრი დაიხრებოდა, მაშინვე ფეხს აიქნევ-და და თავის მსხვერპლს ზღვის აზირთებულ ტალღებში აგდებდა. იქ მას შემზარავი კუ ელოდებოდა, რომელიც მაშინვე ნთქავდა ადამიანს. სკირონმა თეზევსის გადაგდებაც მოინდომა, მაგრამ დაასწრო ჭაბუკ-მა და თავად ავაზაკი გადატყორცნა ზღვის ტალღებში (Plt. Tes.). სკი-რონის ძვლები მაშინვე ცნობილ კლდებად გადაიქცა. არსებობს მეორე ვერსიაც, რომელიც ნაკლებადაა გაზიარებული. ამ ვერსის თანახმად, სკირონი დედალოსმა მოკლა. თეზევსის თქმულებასთან მიმართებაში სკირონი ძვ. ნ. 615 წლიდან ჩნდება ძირითადად ფრესკებზე, რომლე-ბზეც იგი ათებში ბორჯასის გვერდით ქარების ეტლზეა გამოსახული. აგრეთვე გვხვდება ძვ. ნ. V საუკუნის ლარნაკის გამოსახულებაზე, როცა თეზევსი კლავს მას. ეგინას მონეტებზე ცნობილია, რომ სწორედ ამ კუს გამოსახავდნენ. ეს მითოლოგიური პერსონაჟი ევრიპიდეს სა-ტირული დრამის „სკირონის“ მთავარი მოქმედი პირია.

სწორედ ეს მითი გამოიყენა გურამ ღოჩანაშვილმა თავის მოთხრო-ბაში „მხოლოდ ერთი კაცი“. როგორც ცნობილია, მოდერნიზმისათვის დამახასიათებელია ძველის გააზრება თანამედროვე კონტექსტში. ამ-დენად, ჩვენთვის საინტერესოა, თუ რა არის მათ შორის მსგავსება და განსხვავება და როგორ არის გამოყენებული მითი ამ მოდერნისტულ ნაწარმოებში?

მოთხრობას წინ უძლვის პლუტარქოსის ის ადგილი, სადაც სკირო-ნის ტრადიციული მითია მოთხრობილი და მის შესახებ მეგარელი ის-ტორიკოსების სხვადასხვა ვერსიაა გადმოცემული. ისინი, მეგარელები არ ეთანხმებოდნენ ძველთაძეველ ამბებს და ამბობდნენ, რომ „სკირონი არც ავაზაკი და არც ასეთი ურცხვი ვინმე იყონ; პირიქით, იგი ყაჩაღ-თა დამსჯელი და კეთილშობილი ხალხის მოყვარე და მეგობარი გახ-ლდათ... თეზევსმა, როგორც მეგარელი ისტორიკოსები დაასკვნიან, სკირონი მაშინ კი არ მოკლა, როცა პირველად მიდიოდა ათენში, არ-ამედ უფრო გვიან, მეგარელთა ხელში მყოფი ელევსინის აღების დროს,

როცა არქონტი დიოკლე მოატყუა“. ამდენად, ბერძნულ წყაროებში სკირონის როგორც დადებითი, ისე უარყოფითი ფიგურა გვხვდება. გურამ დოჩანაშვილი ცდილობს, ტრადიციული მითის საფუძველზე აჩვენოს სკირონის განსხვავებული სახე და მისი მსოფლმხედველობრივი ტრაგედია. აგრეთვე წარმოაჩინოს ის თვისებები, რომლებიც შეიძლება ამ უარყოფითი პერსონაჟის მიღმა იმალებოდეს. ადამიანურ ლირსებათაგან რა არის მისთვის მისაღები და რა მიუღებელი, რის შესაბამისადაც გამოხატავს კიდეც მათ მიმართ დამოკიდებულებას. თუმცა ეს, რა თქმა უნდა, არ ამართლებს იმ ფაქტს, რომ იგი „გამვლელ-გამომვლელთ ძარცვავდა; ზოგიერთის სიტყვით კი, უცხოელებს უტიფრად გაუშვერდა ხილმე ფეხებს და, დამბანეთო, უბრძანებდა. იმ დროს, როცა უცხოელი სკირონის ფეხების ბანას შეუდგებოდნენ, ქუსლს ჰკრავდა და შეუბრალებლად ზღვაში ჰყრიდა მათ“. მიუხედავად ამისა, ამ მოთხრობაში სკირონი ტრაგიკული პერსონაჟია. მისი ტრაგიზმი კი იმაში მდგომარეობს, რომ მას სიყვარულის არსებობის არ სჯერა, რასაც ზუსტად ეხმიანება დოსტოევსკის სიტყვები: „ჯოჯო-ხეთი არის ტკივილი იმის გამო, რომ აღარ ძალგის სიყვარული“. გურამ დოჩანაშვილი ამ ტკივილ უპირისპირებს ხელოვნების მარადიულობასა და სიყვარულს, რომელსაც ანნა მანიანისადმი მიძღვნილ არაერთ მონოლოგში გამოხატავს.

პლუტარქოსის ნაწყვეტის შემდეგ მოთხრობის საქმაოდ საინტერესო არქიტექტურას გვთავაზობს მწერალი. სკირონის ცხოვრებისა თუ სხვადასხვა მგზავრთან შეხვედრისას თავს გადახდენილი ამბების აღწერას, თითქმის თითოეულ თავს, მოსდევს ანნა მანიანის მიმართ ძალზე დიდი სიყვარულის გამომხატველი სიტყვები, რომლებითაც სკირონის საპირისპირო სახეს გვიჩენებს მწერალი. მოთხრობაში ორი დამოუკიდებელი ხაზი ვთარდება: ერთი მხრივ, ქართველი ყმანვილის გამიჯნურება იტალიელ ქალბატონზე – ანნა მანიანზე, რომელსაც სიყვარულმა მოსცენება დაუკარგა, თუმცა ამით ბედნიერია, ხოლო მეორე მხრივ, ავაზაკი სკირონის სახე, რომელსაც სიყვარულის არ სჯერა და ამის გამო იგი იტანჯება, უბედურია.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ მოთხრობაში თითქმის მთელი სისრულითაა წარმოჩენილი მითოლოგიურ პერსონაჟთა მთელი ის სპექტრი, რომლითაც საზრდოობს როგორც ანტიკური, ასევე თანამედროვე ლიტერატურა. ნაწარმოების სხვადასხვა თავში მიმოფანტულია ინფორმაცია დაწყებული ქაოსიდან წარმოქმნილი კოსმოსიდან დასრულებული ნიმუშების, ღმერთებისა და გმირების ჩათვლით. რა თქმა უნდა, შეუძლებელია თითოეულ სიუჟეტსა თუ სახელზე ყურადღების გამახვილება. ჩვენს ნაშრომში მხოლოდ რამდენიმე ეპიზო-

დის მიმოხილვით შევეცდებით, წარმოგიდგინოთ გურამ დოჩანაშვილის თვალით დანახული სკირონი. აგრეთვე ის, თუ როგორ ცდილობს მწერალი, გარკვეული თანაგრძნობაც კი გამოიწვიოს ამ ზოგჯერ დაუნდობელი პერსონაჟის მიმართ და დაგვანახოს ის მეტამორფოზა, რომელსაც სკირონი თანდათან განიცდის.

პირველივე თავში „ყაჩაღი“ სკირონი საკმაოდ წარმოსადეგ ვაჟკაცად არის დახასიათებული: „ნამდვილი ელადელი იყო – მაღალი, კუნთებასხმული, ჩამოქნილი. ამაყ კისერზე ყვითლად მბზინავი თმით შემობურვილი თავი ედგა, აუარება ოქროს ბეჭედივით ეყარა სკირონს მკვიდრად ხვეული თმა და თვით ელადელთა პირობაზეც კი უფრო მეტყველი, უფრო მბზინავი და შუქიანი, უფრო გამჭრიახი და მხნე, დიდი ცისფერი... არა, ცისფერი იქ ლურჯი იყო, თვალები პქონდა“. იგი „პურსდანატრული“ გზას გასცეკროდა და მგზავრს ელოდებოდა. მას ორი მღვიმე პქონდა, რომელთაგან ერთში ისვენებდა, ხოლო მეორეში სალამობით თავის მცირერიცხოვან არვესს შედენიდა; თუმცა ხანდახან გატრუნული იჯდა, როგორც დედის საშოში და ყოვლად უცნაური აზრები მოსდიოდა. სკირონს მაცნედ ჰყავდა წერო, რომელიც მგზავრის მოახლოებას ატყობინებდა ხოლმე: „რბილად გამოძერნილი ხაზებით ტან-ყელ ლამაზად დარკალული, მაგრამ მკვეთრნისკარტა და უშნოფეხება და მანც რაღაცნაირი ამაყი ისმსუბუქით მიმომავალი; და სულ სხვა რომ იყო იქ, მაღლა, ცაში“... სკირონს მგზავრის მოახლოებას ასე ატყობინებდა: „მოდიან, მოდიაან!“, „მოეშშურებიაან!“ ამ დროს ის უზარმაზარი კუც მსხვერპლის მოლოდინში სიხარულით წრიალს იწყებდა „ვეებერთელა“ ზღვაში.

მოთხოვთ პირველი გმირი, რომელსაც სკირონი ელობება წინ, ოდისევსის მამა, ლაერტეა. ზორბა, ხელსატევრიან, მრისხანე და თავზარდამცემ ყაჩაღს, რომელსაც „სიტყფა-პასუხიც ყაჩაღისავე პქონდა“, ახალგაზრდა ლაერტე არ შეუშინდა. მართალია, სკირონმა უცბად განაიარალა მგზავრი (მას პატარა მახვილი ზღვაში ჩაუგდო), მაგრამ მისმა გონივრულობამ, ვაჟკაცობამ და უშიშარმა ხასიათმა ისე მოხიბლა იგი, რომ „გული შეუკრთა სკირონს“. ლაერტე კატეგორიულად უარს ამბობს მისთვის ფეხების დაბანაზე, მიუხედავად იმისა, რომ შენინაალმდეგების შემთხვევაში კლდის ქიმიდან გადაგდებას უპირებს. ლაერტეს მთავარი არგუმენტი ის არის, რომ იგი ელადელია და სხვაგვარად მოქცევის უფლება არც აქვს. ასეთი პასუხის შემდეგ სკირონი განუცხადებს, რომ იგი მისნაირებს არ იმეტებს სასიკვდილოდ და თავისთან მიჰყავს სტუმარი. კუც ქვემოთ იწყებს ინტერესით წრიალს, რადგან ვერ ხვდება, რაშია საქმე და რატომ იგვიანებს მსხვერპლი. ამ ეპიზოდში ჩნდება განცდა, რომ სკირონი არცთუ ისე-

თი დაუნდობელი და საშიში პერსონაჟია ყველასათვის, როგორც ეს თავდაპირველად პლუტარქოსთან ამოკითხული მითის თანახმად იყო აღიარებული. იგი სტუმრის პატივსაცემად თეთრ ქიტონს გადაიცვამს, შემდეგ ძალიან მუქ, წითელ მოსასხამს მოიგდებს მხრებზე და დაბალ ტაბლაზე უმასპინძლდება მგზავრს. თეთრი ტანსაცმელი გამოხატავს სიწმინდეს, ქალწულებას ან სულის ზეიმს ხორცზე, ხოლო წითელი ფერი, გარდა იმისა, რომ მეფობის, სამართლიანობის, თანასწორობის სიმბოლოდ მოიაზრება, მას მინისქვეშეთის ღვთაებების ფერის დატვირთვაც აქვს და ხშირად ადარებენ სისხლს (კუპერი 1986: 51).\* ამდენად, სამოსის შეცვლა და ყურადღების გამსხვილება ქიტონისა და მოსასხამის ფერებზე, სკირონის სულიერ ტრანსფორმაციაზე უნდა მიგვანიშნებდეს. თეთრი ქიტონი, უპირველეს ყოვლისა, მშვიდობას და თუნდაც დროებით თავის საქმიანობაზე – გამვლელთა ძარცვასა და მათი კლდიდან გადაგდებაზე – უარის თქმას ნიშნავდა, თუმცა იქვე ჩანს წითელი მოსასხამი, რომელიც ამ შემთხვევაში ბოროტებასთან, კაცის კვლასთან შეიძლება გავაიგივოთ.\*\* ისიც აღსანიშნავია, რომ წითელი თეთრთან ერთად ნიშნავს სიკვდილს (კუპერი 1986: 51). საინტერესოა, რითი უმასპინძლდება ლაერტეს ავაზაკი. სკირონმა ყველაფერი გამოიტანა – გაზავებული ღვინო, თაფლი, რძე, ყველეული, თხის დამარილებული ხორცი, თუმცა არ ჰქონდა პური. შეიძლება ითქვას, რომ მისი ტაბლა სავსეა მაშინდელი დელიკატესებით, მაგრამ უპურობა ტანჯავს მას და ვერც სუფრაა სრულყოფილად წარმოდგენილი ამ

\* თეთრი – განუსაზღვრელი ტრანსცედენტული სრულყოფილება, სიმარტივე, სინათლე, მზე, ჰაერი, განათება. სიწმინდე, უცოდველობა, ღვთისმოშიშება, ხსნა და სულიერი ავტორიტეტი. როგორც აღმოსავლეთი, ასევე ძველ საბერძნეთსა და რომელ მიჩნეულია გლოვის ფერად თეთრი უკავირიდება სიცოცხლეს, მაგრამ ამავე დროის სიკვდილსა და დაკრძალვას, ქორწინებაში თეთრი ფერი გამოხატავს ძველი ცხოვრიბის სიკვდილს და ახლის აბადებას. სიკვდილის შემთხვევაში ახალ სამყაროში გადასვლას გამოსახავს. ქრისტიანობაში არის სიხარულის, დახვენილი სულის, უმნიკვდობისა და უდაბაზაულობის სიმბოლო. ყველა მნიშვნელოვანი რიტუალისას თეთრი ფერის სამოსით იმოსებან (კუპერი 1986: 52-53). სიტყვა კანდიდატი ლათინური სიტყვიდან – *candidus* – დან წარმოდგება, რაც დამაბრძმვებელ თეთრს ნიშნავს. სხვადასხვა ქრისტიანული რიტუალისას სიმბოლურად გამოხატავს სხვა მდგომარეობაში გადასვლას (ტრესიდერი 1999: 23).

\*\* წითელი – აქტიური, მამაკაცური საწყისი, ცეცხლი, ომი, ენერგია, აგრესია, რევოლუცია, იმპულსი, ემოცია, ვნებები, სიყვარული, სიხარული, დღესასწაული, სიცოცხლის ძალა, ჯანმრთელობა, ფიზიური ძალა და ახალგაზრდობა. წითელი – ემბლემური ფერია როგორც მზის ღმერთებისა, ასევე ომის ღმერთებისა და ზოგადად ხელოსუფლებისა. აქვს ნეგატიური ასპექტიც – მას ხშირად აკავშირებდნენ ბოროტებასთან, განსაკუთრებით ეგვიპტურ მითოლოგიაში... ქრისტიანულ რელიგიაში წითელი ძირითადად იყო სიმბოლო ქრისტეს მსხვერპლისა და მისი ვნებებისა... (ტრესიდერი 1999: 167-178).

ღვთიური საკვების გარეშე.\* ის ფაქტი, რომ სკირონს არ აქვს ხორბალი და პური, არაერთხელ გვხვდება მოთხრობაში, მიუხედავად იმისა, რომ იგი მძარცველია და ყველაფერზე მიუწვდება ხელი: „მაგრამ სად ჰქონდა ახლა პური, რა ხანი იყო, აღარ ეგერნა...“, „უპურკეთილოდ ამოდ-საცერი ყოფილიყოს ეს ჩემი მცირედნაგები ტაბლა, მომიტევე რომ, არ მომექევება ნელინელ ცეცხლზე უზადოდ გამომცხვარი ახლოდ-საჩინარი პური“. საკმაოდ საინტერესოა, რატომ არ „ეძლევა“ სკირონს ხორბალი ან პური და რა სიმბოლური დატვირთვა შეიძლება ჰქონდეს მას. პური სიცოცხლის სიმბოლოა. იგი სხეულისა და სულის საკვებია, რომელიც განასახიერებს ხილულ და ფორმამიცემულ სიცოცხლეს (კუპერი 1986: 28).\*\* ხორბალი არის ხორბლის ყველა ღვთაების ატრიბუტი, განსაკუთრებით ბერძნულ მისტერიებში და გამოხატავს მიწის ნაყოფი-ერებას, სიცოცხლის გაღვიძებას; იმ სიცოცხლისას, რომელიც იბადება სიკვდილიდან. ხორბლის აღმოცენება და გაზრდა მზის ძალის საშუალებით ხდება (კუპერი 1986: 95).\*\*\* სკირონს სწორედ ეს ძალა, მზის სითბო, სიცოცხლისა და სიკეთის, დაბადების მასაზრდოებელი – ხორბალი და პური – ღვთიური მაღლი აკლია. მისოვის ეს მიუწვდომელია, რადგან იგი მხოლოდ სიკვდილთან, ადამიანთა ძარცვასთან და დაუნდობლობასთან არის გაიგივებული. ტაბლასთან ლაერტე თავისი წარმომავლობისა და უდარდელი ყრმობის ამბავს უყვება მასპინძელს. იმას, თუ როგორ შესცურა „მრავალნიჩბება ხომალდით წყალმრავალ ზღვაში“, თუმცა როგორ მისწვდა მათაც მიწისმრყეველი პოსეიდონის რისხვა და როგორ გადარჩა მხოლოდ იგი , „ნელსაცხებლიან კასრს ჩაბლაუჭებული“. როცა ამ ამბავს უამბობდა ყმა, ცრემლები მოერია. სკირონმა

\* პური შეიძლება განვიხილოთ ქრისტიანულ კონტექსტშიც, თუმცა სხვა რელიგიებშიც აქვს მას სიმბოლური დატვირთვა.

\*\* პური არის აგრეთვე ერთიანობის სიმბოლო, რადგანაც ბევრი მარცვალია ერთ მთლიანობაში. როცა ტყდება და ნაწილდება, გამოხატავს დანინილებულ და გაერთიანებულ სიცოცხლეს. წმინდა პური არის ჩვეულებრივ პატარა და მრგვალი. ღვნინ არის ღვთაებრივი ექსტაზი, ხოლო პური – მანიფესტაცია სულისა, რომელიც კვდება და ისევ აღდგება. ამ დროს ადამიანი და ღვთაება ერთიანდება... (კუპერი 1986: 28).

\*\*\* ოქროს ტარო/თავთავი არის მანათობელი მზისა და ახალგაზრდა ქალწული მიწის ქორწინების ნაყოფი. ხორბლის ღვთაება იდენტიფიცირებულია ქალწულის თანავარსკვლავედთან. ხორბალი და ღვინო ერთს, როგორც პური და ღვინო, განასახიერებენ მინათომქმედებას ადამიანთა მუშაობის მოწმობას. ხორბლებული/თესლები ნარმოადგენს ნაყოფიერებასა და სიმრავეს. დაკრძალვის მრავალ კულტურასა და სამგლოვიარო რიტუალში, განსაკუთრებით ეგვიპტეში, ხმელთაშუა ზღვისპირეთში, სპარსეთში, ჩინეთში, როგორც ქრისტიანული ვნების კვირის რიტუალებში გამოიყენებოდა მარცვლეული, ხორბალი ან ქერი. მოზარდი მარცვლეული ნაშავას გმირების აღდგომას, გაცოცხლებას. სიმინდის ტარო/თავთავი არის ისისას ატრიბუტი, თესლები სერაპისის ნიშანია. ქრისტიანობაში ეკვარისტის პურის (სეფისკვერის) სიმბოლო მარცვლეული, რაც ქრისტეს სიცოცხლეს აღიმშნავს; ხორბალი და ყურძნები ერთად განასახიერებს წმინდა ვაშამს (კუპერი 1986: 95-96).

ლვინო შესთავაზა დარდის განსაქარვებლად, თუმცა იქვე დასძინა, რომ „ახლოდასაჩინარი“ პური არ ჰქონდა. ამ დანაკლის ითაკელი ლაერტე უვსებს და აღნიშნავს, რომ ამ ტაბლაზე ხორბლის მასპინძელი თვითონ იქნება. მწერალი განსაკუთრებით აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ დედამინაზე უპირველეს საკვებს „ლეჭდნენ“ ყმაწვილი ლაერტე და „გამობრძმედილი“ სკირონი. ამ ეპიზოდში ავაზაკმა დიდი ხნის შემდეგ ხორბალი დააგემოვნა. ლაერტესთან ერთად ეზიარა ლმერთის მიერ ბოქებულ საკვებს, რის გამოც მან დიდი ხნის ნატვრა აისრულა. აშკარად შეცვლილია სკინონი. რაც არ უნდა უცნაური იყოს, დამხვდურმა თავად შესთავაზა, გზას გასდგომოდა სტუმარი, რათა არ დალამებოდა. გარდა ამისა, მახვილი ჩამოჰკიდა და დასძინა, გჩუქნი, რადგან სატევარი ჩემი წყალობით დაკარგეო. სკირონი დალოცავს ლაერტეს, მას ითაკის მეფობასასაც უნინასწარმეტყველებს და ეტყვის, რომ ეყოლება შვილი ოდისევის – „დიდრონ ქალაქთა შემმუსვრელი“. ლაერტეს ამ ორაკულის შემდეგ ეპარება ეჭვი, „თვალსხივოსანი“ ათინა ხომ არ იდგა მის წინაშე, თუმცა მასპინძელი უარყოფს და სთხოვს, მასზე არც ავი თქვას და არც კარგი. როცა ლაერტე გაისტუმრა, მახვილი აღარ აუღია. მხოლოდ „ორიოდ პეშვი ხორბალი ჩაიყარა ქიტონში. ზედ ლვიძლთან გრძნობდა“. ამ თავის დასასრულს სულ სხვაგვარი სკირონია მკითხველის წინაშე. სკირონს სინაზულის გრძნობა ეუფლება. იგი „თავის ბექობზე იდგა ისევ, ჩამოჰნილი და ანურული“. ამის შემდეგ მწერალი გვთავაზობს ძალიან საინტერესო და სიყვარულით აღსავსე მონოლოგს ანნა მანიანისადმი. აქ იგი ჩამოთვლის საქართველოს დიად ქალბატონებს, რომლებითაც სხვებივით ამაყობდა და მათ ეთაყვანებოდა. ესენი იყვნენ – თამარ მეფე, ქეთევან წამებული, „მოყმის ამაღლებულზე ამაღლებული დედა, ვეფხვის დედასთან მისასამძიმრებლად მიმავალი“, „უბრალო გოგო თებრონე“. მიუხედავად ამისა, მანც იტალიელი სენიორა შეუყვარდა, რომელიც უდიდესი მსახიობი იყო და რომელმაც დაიპყრო მთელი მსოფლიოს ხალხთა გულები. „და რაღაა გასაკვირი, კაცობრიობიდან ერთი ქართველისაც შედგომილი გული რომ დაიპყარით, რომელი დიდრონი დასახლებები აღგდგომიათ წინ, სად არ შეჭრილხართ თქვენი სახითა და, კიდევ უფრო, მოძრაობებით, მაგრამ ერთგან კი განსაკუთრებით დაივანეთ თქვენ, დამპყრობელმა-აბა რომელი ბატები გადაარჩენდნენ თქვენგან თქვენს დედაქალაქს, რომს“\*. მომდევნო თავი ისევ სკირონის შესახებ თხრობას ეძღვნება.

\* მარკუს მანლიუსმა კაპიტოლიუმი იხსნა გალებისაგან ძვ. წ. მე-4 ს-ში. იგი კაპიტოლიუმის მცველთა რიცხვში იყო, როცა გალებმა სცადეს დამით ციხესიმაგრეში შეპარვა. მათ ხმაზე იუნონას ბატებმა ყიყინი დაიწყება, რის გამოც მანლიუსს გაეღვიძის და გალების დანერულ ჯარს შეებრძოლა. ამ გამარჯვების შემდეგ იგი დააჯილდოვეს და კაპიტოლიუსი (Marcus Manlius Capitolinus) უწიდეს.

გურამ დოჩანაშვილმა პირველივე თავში მძარცველი სკირონი დადებითი კუთხით წარმოგვიჩინა. მან აღიარა ლაერტეს კეთილშობილება, უშიშარობა, ვაჟყაცობა, რამაც, ფაქტობრივად, გადარჩინა ითაკელი გმირი. უფრო მეტიც, გარკვეული საზრდო, ხორბალიც კი მიიღო აგაზაქმა (საფიქრებელია, რომ აქ სულიერი საზრდო იგულისხმებოდეს).

საყურადღებოა, თუ ვის მიმართაა დაუნდობელი და ვის იმეტებს სასიკვდილოდ სკირონი, ვინ ისჯება და ვინ ვერ გაურბის სიკვდილს მის ხელში? მეითხველს შთაბეჭდილება რჩება თითქოს გარკვეული თვალსაზრისით „ამართლებს“ კიდეც სკირონს მწერალი, ვინაიდან მის წინაშე რომელიდაც უარყოფითი თვისების მქონე ადამიანები დგანან. სწორედ მათ მიმართაა დაუნდობელი ავაზაკი. ეს კარგად ჩანს მესამე თავში, რომელშიც სკირონისა და ქთესიპეს შეხვედრაა გადმოცემული. მგზავრი უკიდურესი დამცირების ფასად ცდილობს თავი გადაირჩინოს. ამის გამო ეპირფერება „ყაჩალს“. საოცარი მხატვრულობითაა წარმოდგენილი მგზავრის განცდები, განსაკუთრებით შიშის გრძნობა, რომელიც აშეარად მიუღებელია მწერლისათვის. ასე მაგალითად: „და იგივ შიშმა კოხტად აამეტყველა“, „ახედ-დახედა სკირონმა, გაქონილი სახე შეუთვალიერა“, „არა, არ იყო სიცოცხლის ლირსი“. მას შემდეგ, როცა სკირონმა ჰკითხა, ხარ თუ არა ლაჩარიო, მოგზაური სიხარულით დაეთანხმა – რა თმა უნდა, ვარო. მას სიცოცხლის შენარჩუნება სურდა. ამ ეპიზოდში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს სკირონის შეკითხვა, უყვარს თუ არა იგი ქთესიპეს, რაზედაც აგრეთვე დადებით პასუხს იღებს ავაზაკი. მასპინძელი კითხვას სვამს კვლავ სევდიანად: „და სიყვარული რომ არ არის?“ მგზავრმა თავის ყოფილ ერთ-ერთ დრაჟეანს დახედა, რომელიც სკირონმა წაართვა სხვა ძვირფასეულობასთან ერთად და სევდიანად, თუმცა დამაჯერებლად მიუგო: „როგორ არ არის, ფული იყოს და...“ სიყვარულის არ არსებობის შესახებ წუხილი, ან არსებობს თუ არა ჭეშმარიტი სიყვარული – ნანარმოებში დასმული უმთავრესი პრობლემა. უნდა აღინიშნოს, რომ ამ უსიყვარულობას, სიყვარულის ნაკლებობას სწორედ მთავარი გმირი, სკირონი განიცდის. მან ქთესიპესთან საუბარმიტი ვერ მიიღო სასურველი პასუხი. ქთესიპეს ფეხისგულები სტკიოდა, რის გამოც სხვებთან ერთად ვერ დაალწია თავი ამ განსაკდელს. ამიტომ სკირონი გადაწყვეტს შეიბრალოს და გაუშვას, რადგან, როგორც მწერალი აღინიშნავს, მას არ სჩვეოდა „უსუსურთაკვლა“. ეს კომპოზიტი კიდევ ერთი დამადასტურებელია იმისა, რომ სკირონი არ არის ყველას მიმართ დაუნდობელი, მეტიც, ზოგჯერ შემწყნარებელია. იგი თავისი კრიტერიუმებით აფასებს მოკვდავთა თვისებებს და შესაბამისად, მათ ბედსაც წყვეტს. მას შემდეგ, როცა

ქთესიპე დარწმუნდება, რომ სკირონმა შეიწყალა, იგი ფეხებს დაუკოცნის სკირონს. ეს საქციელი კი მგზავრისათვის საბედისწერო აღმოჩნდება. მისმა თვითდამცირებამ ყოველგვარ ზღვარს გადააჭარბა. „გონება აემღვრა სკირონს“, წამოაყენა და ღირსებადაკარგულს ფეხების დაბანაც მოსთხოვა, შემდეგ ზღვაში მოისროლა და ის უზარმაზარი კუ მოიმადლიერა. ცოტა ხნის შემდეგ მდვიმისკენ გაეშურა, ქიფონში „უმი შევება მოიძია“, ხორბლიან პეშვს ისვამდა შუბლზე, თვალებზე და გულზე. თითქოს ნანობდა კიდეც, მაგრამ იძულებული გახდა, ასეთი გადაწყვეტილება მიეღო.

კიდევ ერთი გმირი ხდება სკირონის მსხვერპლი. ეს არის იფიტე. მიუხედავად იმისა, რომ იგი ერთი შეხედვით უშიშარია, ეს პერსონაჟი მისმა ზღვარგადასულმა სიამაყებ და ამპარტავნებამ დაღუპა. იფიტე „მინას ჩააჩერდა ყოფილი გოროზი, მედიდური, ამაყი, დიდგულა, ზვიადი, ამპარტავანი, კეყერი, ქედმალალი და სხვა, სინანულით გადააქნია თავი“. შევრჯერ შეეცადა, იფიტეს ეგრძნო თავისი სისუსტე. სკირონმა უკანასკნელი შანსი მისცა და გამოსცადა ამპარტავანი გმირი. ბოლოს ჰკითხა, ფეხებს თუ დამბარო. იფიტემ უზარმაზარი კუს გასახარად თანხმობა განუცხადა. ეს ეპიზოდი სკირონის აშკარა უდანაშაულობის შეფასებით სრულდება. „იმ საქმეშიც, სკირონი უბრალო იყო – ყოფილმა ბლენდმა, თავად გადაწყვიტა, – ბედი“. მიუხედავად იმისა, რომ მთელი მოთხრობა აგებულია ხალხთა ძარცვის, მათი დახოცვის გაუმართლებლობაზე, მწერალი აღნიშნავს, რომ ესა თუ ის პერსონაჟი, თავისი ხასიათიდან გამომდინარე, თავად განსაზღვრავს საკუთარ ბედს. ორ ეპიზოდში (ერთი ლაერტესთან შეხვედრისას, ხოლო მეორე თეზევსთან გასაუბრების დროს) სკირონი მკაფიოდ აღნიშნავს, რომ მხოლოდ მათ სჯის, ვინც იმსახურებს ამას. სკირონისათვის მიუღებელია მხდალი, პირფერი, მხოლოდ ფულზე მეოცნებე კაცი. ადამიანი, რომელსაც გამშედაობა არ ჰყოფინის ვაჟეაცურად დაუხედეს მოწინააღმდეგეს, აგრეთვე სიკვდილის ღირსად მიიჩნევს ამპარტავან და ამაყ პიროვნებას. ამგვარი კლასიფიკაცია – ვინ არის სიკვდილის ღირსი და ვინ არა, გვაფიქრებინებს, რომ მწერალი სკირონის მიერ ჩადენილ დანაშაულს ერთგვარ გამართლებასაც კი უძებნის. ანტიკურობაში აღარებული ტრადიციის თანახმად, თავად ადამიანი იყო ყოველგვარი უბედურებისა თუ ბედნიერების საწყისი. „ოდისეაში“ ზეგვის კაცთა დამნაშავეობაზე მსჯელობს. ისინი არ ითვალისწინებდნენ ღმრთების რჩევას და შემდეგ აბრალებდნენ თავიანთ უბედურებას უკვდავ ღმერთებს.\* შეიძლება

\* ზეგვს მაგალითთასათვის ორესტესის მიერ შურისგების გამო მოკლული ეგისთოსის ამბავი მოჰყავს (ოდ., 32-43). ეგისთოსმა არ შეისმინა ჰერმესის სიტყვა, არ დაემორჩილა მას და დაიღუპა კიდეც საკუთარი ცოდვის გამო. ამგვარი რამ ემართებათ *atlasqali* – ს ჩამდება, რომელსაც მოკვდავი ჩაიდენს მიუხედავად ღმერთის გაფრთხილებისა (გორდეზიანი 2014, 104).

ითქვას, რომ ეს პრინციპია აღებული ამ შემთხვევაშიც. ტრადიციულ მითებში წარმოდგენილი სკირონი თუ ყველას მიმართა დაუნდობელი, აქ მისი სახე წანილობრივ დადებითი კუთხითაცაა წარმოჩენილი და უმ-თავრესი პასუხისმგებლობა თავად მგზავრთა დადებით და უარყოფით თვისებებზეა გადატანილი. სკირონი მოკვდავთა ხასიათის შტრიხები-დან გამომდინარე წყვეტს, ვინ არის და ვინ არ არის სიკვდილის ლირსი.

თითქმის ყველა თავში, თითქოს სასხვათაშორისოდ შეგვახსენებს მნერალი სკირონის მთავარ სატანჯველს. იგი ხშირად იჯდა „დიდი კლდის ტვინში“ და სიყვარულის არ არსებობას გლოვობდა. მას მხ-ოლოდ ეს კითხვა ტანჯავდა – რატომ არ იყო. მწერალი სკირონის მო-გონებებით ადადგენს პერსონაჟის წარსულს. განსაკუთრებით საინ-ტერესოა 15 წლის „ველად გაჭრილი“ სკირონის გაბაასება კიქრევსთან, რომელიც უხსნის, თუ რა არის სიყვარული. იგი თავისი ქალიშვილის, ტიროს სიყვარულსაც სთავაზობს, რათა ამით მაინც შეიცნოს და ირ-წმუნოს იგი. მოთხრობაში დიდი ემოციურობითაა აღწერილი, თუ რო-გორი ლალი და ბედნიერი იყო სკირონი ტიროსთან ერთად, თუმცა მისი ბედნიერება დიდხანს არ გაგრძელებულა. საოცარი დრამატიზმითაა გადმოცემული ჭაბუკის განცდები მას შემდეგ, რაც ტიროს დაკარ-გავს. იგი „შურისძიებაგერნაცულმა უბრალო სკირონმა, ადამიანმა, უსუსურმა, თავი ჩაჰყო და შიგ ამ მდინარეშივე ცხარედ იტირა, და გულქვა პოსეიდონს წვრილ-წვრილ ბზარებად ჩაუვიდა სკირონის ბევ-რი და მდუღარე, აურაცხელი, მაგრამ სულ ერთი პეშვი ცრემლი. რას ეყოფოდა... მუხანათობა ბევრი იყო და, სიყვარული კი – არ იყო, არა!“ სიყვარული რომ არ იყო, არა – ეს სიტყვები რეფრენად გასდევს მთელ ნაწარმოებს. შეიძლება სწორედ სიყვარულის ნაკლებობა გახდა მიზეზი იმისა, რამაც სკირონი ოდესლაც აიძულა მეგარელთა გზების მაშენე-ბელი გმირიდან გადაცეულიყო ყაჩალ და დაუნდობელ გმირად. თუმცა მის ასეთ იმედგაცრუებას, პესიმიზმას და უსიყვარულობას გურამ დო-ჩანაშვილი ანნა მანიანისადმი დიდ სიყვარულს უპირისპირებს ხოლმე.

მიუხედავად იმისა, რომ ბერძნულ მითოლოგიაში სკირონი ბორ-ტი პერსონაჟია, ამ წანარმოებში იგი საკმაოდ ადამიანურ და დადებით თვისებებსაც ავლენს. განსაკუთრებით ეს კარგად ჩანს ეაკოსთან შესვე-დრისას. ეაკოსი ძველი ბერძნული მითოლოგიის თანახმად, ზევსისა და ეგინას ვაჟია, კუნძულ ეგინას მითიური მეფე და აგრეთვე ტელამონისა და პელევსის მამა. სიკვდილის შემდეგ ქვესკნელის სამყაროს სამთა-გან ერთ-ერთი მსაჯულია. გურამ დოჩანაშვილის მოთხრობაში ეაკოსი მიდის სკირონთან და ქალიშვილის ხელს სთხოვს. განსაკუთრებულ ყუ-რადღებას იპყრობს ეაკოსის უშიშარი ხასიათი, რომელიც გაბედულად უმხელს სიმართლეს, რომ მისვლის კიდევ ერთი მიზეზი იყო ინტერე-

სი, მართლა ასეთი საშიში იყო თუ არა სკირონი, როგორც მას ახასი-ათებდნენ. ყაჩაღი შეცდება, თუმცა ამის პასუხად იწყებს ყვირილს, რომ სიყვარული არ არსებობს. საკმაოდ საინტერესო და ინფორმაციულია ეაკოსისა და სკირონის დიალოგი, თუმცა ეს კვლევის ცალკე საკითხია. მრავალი მითოლოგიური პერსონაჟი თუ სიუჟეტი ცოცხლდება მკითხველის წინაშე. მაგრამ ჩვენთვის საინტერესოა ის, რომ სწორედ ამ დიალოგში პირველად ახსენებს ეაკოსი „ომშიმყვან“ თეზევსს, რომელიც ყველაზე ძლიერია და რომელმაც ამორძალები დაამარცხა. ეს იმითაა აგრეთვე მნიშვნელოვანი, რომ ანტიკურ ლიტერატურაში ძალზე პოპულარული იყო თეზევსის სხვადასხვა გმირობასთან ერთად სკირონის დამარცხების თემაც, განსაკუთრებით კი ისეთ პოემაში, როგორიცაა ოვიდიუსის „მეტამორფოზები“.

ალკათოემდე, ლელეგების ციხემდე სუფევს  
სიმშვიდე, მოკვდა რაც სკირონი, მიუსაფარი  
ალარ მიიღო ძვალნა მისნი მინამ, არც ტალლამ.  
(ოვიდიუსი, მეტამორფოზები, 443-445)\*

მართალია, მოდერნიზმისათვის თემა, როგორც ანტიკურობა, ნაკლებად აქტუალურია, ვიდრე წინა ეპოქებში, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ მისი მიმდევრები მაინც ვერ უვლიან გვერდს და იგი ჩინდება ახალი კუთხით. მოდერნიზმის ხანაში ძირითადად ამუშავებდნენ პომეროსის პოემას „ოდისეას“ და ოვიდიუს ნაზონის „მეტამორფოზებს“ (DNP 2001:497-498).\*\* სკირონის დამარცხების ამბავი გვხვდება „მეტამორფოზებში“. დოჩანანშვილის მოთხრობაში დამხვდურისა და მგზავრის საუბარი ტროას მოსალოდნელი ომის წინასწარმეტყველებით სრულდება. რაც არ უნდა გასაკვირი იყო, სკირონი თავისი ნებით ატანს ქალიშვილს ცოლად: „გატან, ეაკოს, კეთილად გევლოთ“.

\* tutus ad Alcathoen, Lelegeia moenia, limes  
composito Scirone patet, sparsisque latronis  
terra negat sedem, sedem negat ossibus unda...

\*\* მე-20 საუკუნის დასაწისებელი ჩინდება მოთხრობები, განსაკუთრებით ინგლისში, რომელიც კომიკურ კონტექსტში გადამუშავებული მითები ოდისევსის შესახებ. ამ მოთხრობების ციკლს უნიდებდნენ *Tankgirl-ს*. აქ ოდისევსი ქალია, მისი ცოლი პენელოპე – კაცი კენგურუ. აგრეთვე ჩინდება შვილი ტელემაქოსი, რომელსაც თავის ნაცვლად აქვს ტელევიზორი და ა. შ... განსაკუთრებით პოპულარული იყო ჯეიმს ჯონის რომანი ულისე (1914). ჯონის ახდენს ოდისევსის მოდერნიზებას. მე-20 საუკუნის ძირითადი მოტივია ტელევიზორი, ფილმი, ძლიერი ქალი, სქესის შეცვლა და ა. შ. ოდისევსის შემდეგ ასეთივე პოპულარული ოვიდიუსის „მეტამორფოზები“, მითოლოგიური „ხაზოვანი მოგზაურობა“ და „ციკლური“ ცვლილება (DNP 2001: 497-498).

სკირონის მიმართ განსაკუთრებული თანაგრძნობა მკითხველს მას შემდეგ უჩინდება, როცა მღვიმეში ფერმქრთალი თანატოსი აღი-მართება, რომელიც ერთადერთი ღმერთი იყო, „ვისზედაც არ სჭრიდა არავითარი საჩუქარი და ქრთამი“. „წვერ-უვლაშ ახლადშეღერილი მარადი ჭაბუკი, თავით ფეხებამდე შავი და განიერი შესამოსი მძიმედ ერწეოდა, ჩამქრალი ჩირალდანი ეჭირა მაღლა აწეულ ხელში, და რკი-ნის გული გარედან ეკიდა. ლამაზი იყო? – მტრისას...“ ასეთი წარმოუდ-გენია ავტორს სიკვდილის ღმერთი. ამ ეპიზოდში უკვე ჩინდება განცდა სკირონის აღსასრულისა. მნერალი მაღალმხატვრული ოსტატობით აღწერს, თუ როგორ ემორჩილება ბედისწერას გმირი. იგი საკმაოდ წყნარი და მშვიდია. მის მიმართ მკითხველს ეუფლება საოცარი სი-ბრალულის განცდა, ვინაიდან თეზევსთან მისი შეხვედრა სიკვდილის გარდაუყალობას მოასწავებს. სკირონი თავდაჯერებულად და აუ-ლელვებლად ელოდება აღსასრულს, მაგრამ უსაშველოდ წუხს იმაზე, რომ სიყვარულამდე ველარ მიაღწევს. სკირონის ტრაგიზმი უსაზღვ-როა. სინანული კი ის ერთადერთი გზაა, რითაც მან შეიძლება მეტამორ-ფოზა განიცადოს. თითქმის ყველა რელიგიასა და კულტურაში სინან-ული და მონანიება ერთადერთი გრძნობაა, რამაც შეიძლება ადამიანი ჭეშმარიტებამდე, ღმერთისაკენ მიმავალ გზაზე დააყენოს. სიკვდილის წინ, სანამ სკირონს ზურგზე თეზევსი ძლიერ ხელს ჰკრავდა, „წყვილი ცრემლი მაინც წარმოსდინდა: ქვენასოფელი ცოტათი იმისიც იყო და, ენანებოდა“. მოთხოვნის დასასრულს მნერალი აღნიშნავს, რომ მისი სხეული არა კუმ, არამედ პატარ-პატარა თევზებმა დაღრღნეს. ეს ნი-უანსიც არ დარჩენილა გურამ დოჩანაშვილის ყურადღების მიღმა.

ამგვარად, ამ მოთხოვნის მოდერნულობა სწორედ იმაში მდგო-მარეობს, რომ ბერძნულ მითოლოგიაში ტრადიციულად უარყოფითი ფიგურა თანადათან იცვლის სახეს და სხვადასხვა ეპიზოდში დადებითი კუთხით წარმოგვიდგება. ავაზაკი ყველას არ იმეტებს სასიკვდილოდ და ლირსეულ ადამიანებს სიცოცხლეს უნარჩუნებს. დასასრულს კი, თავისი სინანულით თითქოს უარს ამბობს ბოროტებაზე, მარცხდება თავისი ნებითვე ძლიერი და ბოროტებასთან მებრძოლი გმირის წინაშე, რადგან აღარ სურს იყოს მძარცველი და კაცთა მკვლელი. ამ სიკვდი-ლით გარკვეულწილად, ნაწილობრივ მაინც ცდილობს, გამოისყიდოს თავისი დანაშაული. მოთხოვნიაში ისევ მეორდება პლუტარქოსის ის ეპიზოდი, რომლითაც იწყებს ნანარმოებს გურამ დოჩანაშვილი, ხოლო ბოლო თავი მხოლოდ ერთი წინადადებით სრულდება. იგი მიმართავს ანნა მანიანს: „ყოვლად სასარგებლო ქალბატონო, დიდო სენიორა ანნა, მანიანი... – სიყვარული არის.“

## **დამოცვებანი:**

**დოჩანაშვილი 2008:** დოჩანაშვილი გ. მოთხრობები. ტ. III. თბილისი: „აისი“, 2008.

**გორდეზიანი 2014:** გორდეზიანი რ. ბერძნული ლიტერატურა (ელინური ეპოქის ეპოსი, ლირიკა, დრამა). თბილისი: „ლოგოსი“, 2014.

**კუპერი 1986:** Cooper J. C., *Lexikon alter Symbole*, Leipzig: VEB E. A. Seemann. Verlag: 1986.

**ოვიდიუსი 1980:** ოვიდიუსი პ. ნ. მეტამორფოზები. ლათინურიდან თარგმნეს: ნ. მელაშვილმა, ნ. ტონიამ, ი. გარაყანიძემ. რედაქტორ, შესავალი წერილი და კომენტარები ა. ურუშაძისა. თბილისი: „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 1980.

**ტონია ... 2003:** ტონია ნ., დარიბაშვილი მ. ასპარეზზე გამოდიან გმირები. ბერძნული მითების სამყარო (რედ. რ. გორდეზიანი). მე-4. თბილისი: „ლოგოსი“, 2003.

**ტრესიდერი 1999:** Тресиддер, Дж. *Словарь символов*. Москва: Фаир-Пресс, 1999.

**DNPa 2001:** Der Neue Pauly. *Enzyklopädie der Antike*, Band 11. Stuttgart: Weimar: Verlag J. B. Metzler, 2001.

**DNPb 2001:** Der Neue Pauly. *Enzyklopädie der Antike*. Band 15/1, Stuttgart, Weimar: Verlag J. B. Metzler, 2001.

## **ZEINAB KIKVIDZE**

*Georgia, Kutaisi*

*Akaki Tsereteli State University*

### **Symbolist Self-portraits**

Artistic principles of Georgian Symbolists, their attitudes to European modernism, Oriental aestheticism and the Georgian tradition have in their full guise been demonstrated both in their manifestoes and letters and in their poems referred to as self-portraits. A self-portrait technique was rather popular among Tsisperqantselebi. That was the title used for their poems by Paolo Iashvili, Tsigi Tabidze, Kolau Nadiradze, Giorgi Leonidze. Sandro Karmeli has *Self-portrait in Profile*, while Grigol Robakidze named his similar poem *Self-medallion*. Georgian Symbolists frequently stated that the Tsisperqantselebi were a single poet; that opinion was best confirmed by their self-portraits in verse.

**Key words:** Symbolism, self-portrait, Tsisperqantselebi.

## ზეინაპ პიპვიძე

საქართველო, ქუთაისი  
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### სიმბოლისტური ავტოპორტრეტები

მოდერნისტული ეპოქის ლიტერატურას, მკაფიოდ გამოკვეთილი პრინციპების, თემებისა და ჟანრისივი ფორმების გარდა, ჰქონდა კიდევ ერთი დამახასიათებელი შტრიხი, რომელიც განუზომლად ზრდიდა მის თვითმყოფადობას, – მწერლობა მხოლოდ ხელოვნების დარგად არ მოიაზრებოდა და იქცეოდა ცხოვრების ერთგვარ სტილად. ლიტერატურა მწერალთათვის იყო მთლიანად ცხოვრება – ყოფაში გადმოტანილი და გასაგნებული, რაც ვლინდებოდა ქცევაში, ჩაცმაში, ურთიერთობებში, დამოკიდებულებებში, თითქმის ყველაფერში. ეს ფაქტორი განსაკუთრებით იკვეთებოდა ცისფერყანწელებთან. მათი მოღვაწეობა, ერთმანეთსა და საზოგადოებასთან ურთიერთობა ცხადყოდა, რომ ლიტერატურა ფურცლებს არ სჯერდებოდა და თითოეული შემოქმედის ყოველდღიური არსებობის ერთგვარ გამოხატულებას წარმოადგენდა.

სიმბოლიზმი თითქოს არ კმაყოფილდებოდა ესთეტიკური საზღვრებით და უპირატესად მისი შემოტანებისა და დამამკვიდრებლების სავიზიტო ბარათად იქცეოდა. თუ თვალს ერთდროულად გავადევნებთ თითოეული ცისფერყანწელის შემოქმედებასა და ბიოგრაფიას, დავრწმუნდებით, რომ მათი ცხოვრება მართლაც გადაჯაჭვული იყო მწერლობასთან და ეს ყველაფერი გამიზნულად კეთდებოდა. გრიგოლ რობაქიძის შავი პარიკი, ტიციანის მიერ წითელი მიხაკი, კოლაუნადი-რაძის ერთადერთობით გამორჩეული ჰალსტუხი მონმობდა, რომ ეს ლიტერატურული მიმდინარეობა მისი დამამკვიდრებლების ერთგვარი გარსი, უფრო სწორად ის სამოსი იყო, რომლის გარეშეც მათ ცხოვრება არ შეეძლოთ.

გასაგნებული სიმბოლიზმი ითხოვდა უფრო მკაფიო გამოხატვას. პოეტურ მანიფესტებს, ლიტერატურულ წერილებს, ევროპული და აღმოსავლური ნაკადების ქართულ ტრადიციაზე განთვალისწინებული ხელოვნებაში ცალკეული ციკლებისა და სახეების დამკვიდრებას, თითქოს, ეშველებოდა გარეგნული ფაქტორები და ისევ სიტყვისავე საშუალებით, მხატვრობისეული ხერხებით, იკვეთებოდა ქართული მწერლობისათის მანამთადე უცხო ფორმა – **ავტოპორტრეტი**. სწორედ ავტოპორტრეტებად წოდებულ ლექსებში ქართველი სიმბოლისტები მაქსიმალურად აღწერდნენ თავიანთ „მე“-ს, რომელშიც ერთდრო-

ულად აირევლებოდა მათი პიროვნულიცა და ლიტერატურული მახასიათებლები.

რეალობის პორტრეტული პრინციპით ფიქსაცია უძველეს ცივი-ლიზაციებს უკავშირდება. ჯერ კიდევ ძველ ეგვიპტეში დაუწყიათ მისი შექმნა. პორტრეტს თავიდან რელიგიურ-მაგიური დანიშნულება ჰქონდა, შემდეგში კი გაღრმავდა მისი ფსიქოლოგიური შინაარსი (ქსე 1984:165). პორტრეტის შექმნა მიზნად ისახავდა კონკრეტული ადა-მიანის სახის უკვდავყოფას. მისი ძირითადი კრიტერიუმი იყო გამოსა-ხულების მსგავსება მოდელთან, მისი სულიერი არსის სწორად გახსნა, ინდივიდუალობის, ტიპური ნიშნების წარმოჩენა.

სპეციალურ ლიტერატურაში მიუთითებენ, რომ პორტრეტში გად-მოცემულია კულტუროლოგიურად რელევანტური სამი სტრუქტურუ-ლი კონსტანტა:

1. იგი ეფუძნება ადამიანის გარეგნობის გადმოცემას;
2. სწორედ ამ გარეგნობის გადმოცემით გამოხატავს ადამიანის შინაგან სამყაროს;
3. პორტრეტს, როგორც ესთეტიკურ ფენომენს, უნდა ჰქონდეს ის-ტორიული და კულტუროლოგიური ღირებულება.

„ძირითადი მოთხოვნა, რომელიც წაეყენება ნებისმიერ პორტ-რეტს, ეს არის ინდივიდუალური მსგავსების გადმოცემა, მაგრამ ასე-ვე მნიშვნელოვანია პორტრეტის როგორც ესთეტიკური ფენომენის, ის ასპექტიც, რომლის მიხედვით მისი მნიშვნელობა სცილდება ინდივი-დის ფარგლებს და იძენს როგორც სოციალურ, ისე ეპოქის ამსახველ ნიშებს“ (აპოლონი 1997:463) ავტოპორტრეტი, რომელიც პორტრე-ტის ერთ-ერთი სახეა, გულისხმობს შემოქმედის მიერ საკუთარი თა-ვის გამოსახვას. ავტორი საკუთარ მსოფლმხედველობას, იმ გარემოს თავისებურებას, რომელიც მოლვანეობს, უსადაგებს საკუთარ ინდი-ვიდუალურ გარეგნულ შტრიხებს. ხოლო ავტოპორტრეტში ხელოვანი თითქოს დეკლარირებულად ავლენს საკუთარ მეს.

შარლ ბოდლერი მიუთითებდა, რომ პორტრეტი მოდელის დრა-მატიზებული ბიოგრაფია, ყოველ ადამიანში არსებული ბუნებრივი დრამის გახსნაა. მოდერნისტული პერიოდის შემოქმედთა გარეგ-ნობაში იკვეთებოდა მათი საკუთარი სულიერი თვისებებიცა და პო-ეტიური გენიალურობაც. გალაკტიონი თვითონვე ქმნიდა საკუთარ ავტოპორტრეტს, ხოლო სიმბოლისტების ავტოპორტრეტებად წოდე-ბულ ლექსებში მათ პიროვნულ – გარეგნულ და სულიერ თვისებებს ეხამება ლიტერატურულ-ესთეტიკური პოზიცია. ამ თხზულებებში პოეტურად მეორდება ის შეხედულებანი, რომლებიც წარმოდგენილია მანიფესტებში, სხვა ლექსებში. ავტოპორტრეტები ერთგვარი შემა-

ჯამებელი თხზულებებია, რომლებშიც თითქმის თეზისური სკრუპულობურობით ვლინდება ქართული სიმბოლიზმის ანი და ჰოე, ეკრძოდ, ყველა ის არსებითი ნიშანი, რომლებზედაც თავად ცისფერყანწელები უსვამდნენ ხაზს.

როგორც ჩანს, ავტოპორტრეტის ხერხი საკმაოდ პოპულარული იყო ცაისფერყანწელებისათვის. ზუსტად ამ სათაურით ლექსები დაუწერიათ პალლ იაშვილს, ტიციან ტაბიძეს, კოლაუნადეს, გიორგი ლეონიძეს. ავტოპორტრეტი პროფილში აქვს კარმელს, ხოლო გრიგოლ რობაქიძე იმავე მნიშვნელობის ლექსს ავტომედალიონს არქემევს. თითქმის ყველგან გამოსახვის ფორმად სონეტია გამოყენებული და ამითაც ხაზგასმულია სიმბოლისტური პოზიცია.

ავტოპორტრეტებს აქვს რამდენიმე გამაერთიანებელი შტრიხი, ერთგვარი ფორმულა, რომლის დედააზრი ერთი და იგივეა, მაგრამ, როგორც მათემატიკურ განტოლებაში, რომლის მოცემულობა ლათინური ასოებითაა განსაზღვრული და მათ მაგიერ რიცხვების ჩასმით განტოლების არსობრიობა არ იცვლება, აქაც სიმბოლიზმის ძირითადი ნიშნები სხვადასხვაგვარი, თითოეული პოეტის მიერ საკუთარი პოზიციიდან იგივეობრივად ცხადდება.

სიმბოლისტების ყველაზე დამახასიათებელი ნიშანი, რომელზედაც ისინი თვითონვე ხაზგასმით მიუთითებდნენ, არის **დენდიზმი**. „დენდი“ მომდინარეობს ინგლისური სიტყვიდან და არის სტოკორატიულ საზოგადოებაში მოდურად ჩაცმულ მამაკაცს აღნიშნავს, მისი ქართული შესატყვისა ფრანტი. ცისფერყანწელებმა ტერმინის მნიშვნელობა გააფართოვეს და მას შსოფლმხეველობრივი პოზიციის ფიქსაციის ფუნქციაც შესძინეს. ამ მხრივ მათვის ერთგვარი შაბლონი შარლ ბოდლერის დენდიზმი იყო. მისი გამორჩეული ჩაცმულობა, საზოგადოებასთან დაპირისპირება, სილამაზის კრიტერიუმებისადმი სკეპტიკური პოზიცია, ბოჭემური ცხოვრება, – იყო ესთეტიკური იდეალის თავისებური ვლენა; ქართველი სიმბოლისტებიც ცდილობდნენ მიებაძათ ფრანგი მეტრისათვის და თავიანთ ყოფაში გადმოეტანათ ანალოგიური დამოკიდებულებები. ისინი ყოველთვის მიისწრაფოდნენ, ყოფილიყვნენ გამორჩეული, ეს ხშირად ვლინდებოდა დახვეწილ ჩაცმაში, სამოსის რომელიმე დეტალზე ხაზგასმით; – ხელოვნებისადმი განსაკუთრებულ დამოკიდებულებაში; საკუთარი „მეს“ გაფეტიშებაში.

მაია ჯალიაშვილის შეხედულებით პოეტური დენდიზმისათვის შემდეგი პრინციპებია დამახასიათებელი:

1. ხელოვნურობის პრიმატი (მხატვრულ შემოქმედებასა და ცხოვრებაში)

2. ორიგინალურობა(შემოქმედებაში, ცხოვრებაში, ჩაცმაში, ქცევაში).

3. საკუთარი „მე“-ს გამორჩეულობის განსაკუთრებული შეგრძნება
4. პოეტური ნიღბების სიყვარული(სხვადყოფნის მისტერიით საკუთარი შინაგანი სამყაროს წვდომა)

5. ბოჰემა

6. სიმახინჯის ესთეტიზება (ჯალიაშვილი 2009: 67).

თავად პოეტური განსაკუთრებულად მიანიშნებენ თავიანთ დენდობაზე, პაოლო წუხდა, რომ „საქართველოში არ ინამეს მისი დენდობა“; აზიურ ხალათში ფამა ეფენდივით გამოწყობილი ტიციანი მეოცნებე და „მოლლილი“ დენდია, რომელიც გულგრილად უყურებს ირგვლივ ყოველივეს, რადგან მას თავისი, მხოლოდ მისთვის არსებული განსაკუთრებული სამყარო აქვს, სადაც მის მიერ შექმნილი გმირები, ლანდები სახლობენ. აგრეთვე ისინიც, რომელებიც კლასიკური თუ უახლესი ლიტერატურიდან მისთვის საყვარელ პოეტურ სახეებს წარმოადგენენ. ვალერიან გაფრინდაშვილი მიიჩნევდა, რომ პოეტისათვის აუცილებელი იყო პოზა, როგორც ფორმა შემოქმედებისა. პოეტური პოზა ქცევასა და ჩაცმულობაშიც უნდა გამოკვეთილიყო. ცისფერყანწელები გამოირჩოდნენ ექსტრაგანტულობით, ხშირად ქუჩაში ხმამაღლა კითხულობდნენ ლექსებს. „მათ მხარს არ უგდებდა კოლაუნ ნადირაძე, რომელიც ყოველთვის დენდივით იყო გამოწყობილი ახალ კოსტუმში; ჰქონდა ისეთი ჰალსტუხი, რომლის მსგავსი არავის გააჩნდა ქუთაისში და ყველას თვალს სჭრიდა“ (ჯალიაშვილი 2009: 73).

სიმბოლიზმისა და პოეტური დენდიზმის გამომსახველ სიმბოლოდ **ნიღაბი** მიიჩნევა. მას, როგორც პიროვნების სხვადყოფნის ფორმას, საკმაოდ დიდი ისტორია აქვს. ნიღაბის არსში კოდირებულია სიმბოლოს თვისებრიობა. ეს არის სახე, რომელიც იმავდროულად სხვაა, თავისი გრიმასებითა და გარკვეულ პოზაზე მიმნიშნებელი ნაკვთებით. უძველესი რელიგიური რიტუალები აუცილებლად ნიღბით სრულდებოდა და მასში გამოისახებოდა ღვთაების ან ტოტემისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება, ან კიდევ თითქოს მასში აისახებოდა თაყვანსაცემი ობიექტის სული. მოგვიანებით ნიღაბს დაემატა გრძნობად-ემოციური მახასიათებლების გამოხატვის ფუნქცია.

მეოცე საუკუნის მოდერნისტულმა მხატვრულმა აზროვნებამ ყურადღება გაამახვილა ნიღბის მისტიურ მნიშვნელობაზე და პოეტურ ხილვებში მიღმა სამყაროდან გამოსხივებული აბსოლიტური იდეის ძიებისას უკიდურესობამდე განავითარა იგი. „ხელოვნებაშ ჰარმონიის, ბუნებრიობისა და მშვენიერებისაგან სამყაროს დაცლას უცნაურად, პარადოქულ-ხელოვნურობის აღზევებით, კერძოდ, ნიღბის ესთეტიკით უპასუხა“ (მილორავა 2003: 70). ამაშიდაც ქართველი სიმბოლისტები შარლ ბოდლერს ბაძავდნენ, რომელსაც უყვარდა ნიღაბი, საკარნავა-

ლო კოსტუმთან მიახლოებული ტანსაცმლის ტარება. ცნობილია, რომ მას მოსწონებია ქალის თმები, მაგრამ იქვე აღუნიშნავს, მომენტობოდა, პარიკი (ე.ი.ხელოვნური) რომ ყოფილიყო, ბუნებრივია და ამიტომ მახინჯიაო. შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო ერთგვარი პოზაც, რომლითაც იმაღებოდა ნაცნობი, აშკარა და უცნობში გარდასახვით უფრო მყაფიოდ ავლენდა საკუთარ სულიერ თვისებას, პიროვნულს. გრიგოლ რობაქიძე „ავტომედალიონში“ ირგებს ნიღაბს – „ჰელადის შვილი“ და ცდილობს უცნობი დარჩეს, მაგრამ ეს შენიღბვა წარმოაჩენს მის ჭეშმარიტ არსს, რომელიც მასკის-ქერქის მიღმაა (მილორავა 2003: 72) თუმცა აღქმის მექანიზმის არასრულფასოვნება არ იძლევა მიღმურ სახესთან ხანგრძლივად და მყარად ურთიერთობის საშუალებას. აღქმისმიერი კონტაქტი მალე წყდება და რჩება ერთ სახეში გაერთიანებული ნიღაბახდილი ნაცნობი და მარადიული უცნობი – ანარეკლი. ეს ნიუანსი სრულად ასახავს რობაქიძის ძირითად ხელნერას მისტიურ-ში გაახვიოს ნაცნობი და აქციოს სხვად, რომელშიც იმაღება ყოფის საიდულოცა და ნაცნობიც. სხვადყოფნის ერთგვარი ვარიაცია სარკის ანარეკლი. სარკე აირეკლავს რეალობას, თუმცა შებრუნებულად, ამიტომაც ისიც იდუმალებისა და მისტიური ფუნქციის მატარებელია. სარკის ფუნქციას ირგებს გრიგოლ რობაქიძე: „თავაღებული მე სარკე ვარ ყველა თვალების და მასკა ჩემი ქერქი არის მხოლოდ ცვალების“. პოეტის შემოქმედება იქცევა ერთგვარ საზომ რეალობად, რომელშიც ცნაურდება სიმბოლისტური ესთეტიზმის ფენომენი – ნაცნობის მისტიკურ ორეულად ქცევა; ანალოგიური აზრის შემცველია ტიციანის სიტყვები: „სარკეში იმაღება თმათეთრი ინფანტა“. აქაც სხვადგადაქცევ-ისა და მისტიკურის იდუმალი შერწყმა შეიგრძნობა. ავტორი საკუთარი დამახასიათებელი ნიშნით – ცისფერი თვალებით, სარკეში ინფანტად გარდაისახება. ეს კი ცალკე სამყაროა, ნიღბის თავისებური ვარიაცია.

ცნობილია, რომ ცისფერყანწელებზე დიდი შთაბეჭდილება რემი დე გურმინის „ნიღაბთა წიგნს“ მოუხდენია. ტიციანი მოითხოვდა პოეტის მზერა მიმართულიყო თრიგინალური, უცხო საგნებისა და მოვლენებისაკენ და გამოეკვეთათ ისინი ისეთ ფორმებში, რომლებიც თავისი სიახლითა და მოულოდნელობით განაცვიფრებდა მკითხველს. ცისფერყანწელთა სახელებიც ნიღბებად ჩაითვალა: ტიციანი იგივე ტიტე იყო; პავლე-პაოლო, ნიკოლოზი-კოლაუ. ინგა მილორავა მიიჩნევს, რომ ეს იყო ნიღბის პირველი შერე, შედარებით ზედაპირული, ხოლო მეორე შრე, უფრო ღრმა კი პოეტურ სტრიქონებში ჩნდება: კოლომბინა, პიერო, ოფელია, ჰამბეტი, გომბეშო, თეთრი მალარმე, ყვითელი დანტე და ა.შ. უფრო გრძნობიერი აღქმის აქცენტირებას ემსახურება.

ცისფერყანწელები აცხადებდნენ, რომ ვისაც პოეტური პოზა არ გააჩნდა, მას არ ჰქონდა სინამდვილესთან პოეტური დამოკიდებულება (ჯალაშვილი 2009: 73). ეს **პოეტური პოზა** ჩანდა, რა თქმა უნდა, პირველ რიგში მათ ოხზულებებში, და ასევე, ექსტრავაგანტურ ქცევებში, გარეგნობის დეტალების აქცენტირებაში, რასაც ესთეტიკური მნიშვნელობა ეძლეოდა. პალო საკუთარ აუტოპორტრეტს გარეგნული შტრიხების აქცენტირებით იწყებს: „ამპარტავანი და ყოველთვის პირგაპარსული, ბუნებით შავი, ხელოვნურად გათეთრებული“. შავთერის სიმბოლიკა ასახავდა პიროვნების სულიერ მდგომარეობასა და სამყაროს ბინარულობასაც, რაც აუცილებლად გარეგნობაში უნდა გამოჩენილიყო. ივანე ამირხანაშვილი წერდა, რომ პაოლოს რუსთაველის ავთანდილს ადარებდნენ. „ისე მართლაც ჰგავდა შუა საუკუნეების რაინდს-იყო მაღალი, ახოვანი, ბრგე, ბრინჯაოსავით ჩამოსხმული, ჰქონდა ოვალური სახე, მაღალი შუბლი, გრუზა თმა, შავი, ბრიალა თვალები; ხმა – ბოხი და შთამბეჭდავი“ (ამირხანაშვილი 2009: 107). კოლაუნადირაძესთან შავი ცოდვილობის, არასრულფასოვნების გამომხატველია. პოეტის სულიერი მყოფობა პორტრეტის პრინციპის მიხედვით გარეგნულში გადმოიშლება:

ქვეყნიერებას მოვევლინე ცხვირგატეხილი  
ფერმერთალი სახით, ხორციანი სქელი ტუჩებით;  
თუ ვიქენებოდი მუდამ ასე ცოდვილი, შავი,  
მე ავზნიანი, დღენაკლული და საცოდავი.

სამყაროს აგრესიულობისა და საკუთარი პოზიციის დაუნდობლობის შავი ფერით გამოვლენას ცვლის ტიციანისმიერი ცისფერი თვალების აქტივაცია, როგორც გარეგნულ დეტალში კოდირებული სიმბოლისტური პრინციპი ცისფერყანწელებისა. მის თვალებში ირეკლება ის ცისფერი ტაძარი, საქართველოს ლანდური არსებისათვის რომ უნდა ეჩვენებინათ. ესეც ერთგვარი ნიღაბია, რომელსაც სიმბოლისტური ხედვით სრულყოფისათვის ემატება კიდევ სხვა დეტალები. კერძოდ, ნიღბის ვარიაციად გვესახება **დალკეული ფრაზები**, რომლებიც სიმბოლისტების ავტოპორტრეტებში ლათინური გაფორმებით გვხვდება: რობაქიძესთან ერთგვარ ლაიტმოტივს ქმნის დიონისეს ხაზი და ბედისწერის სიყვარული – *amor fati* – ესაა ნიკშესეული ფრაზა, მისივე მოძღვრების მსგავსად, მეოცე საუკუნის პირველი ნახევრის მსოფლიოსათვის მართლაც გარდაუვალ ბედისწერად რომ იქცა. პაოლოს ახალისებს მხოლოდ სალტო-მორტალე, როგორც კარნავალის, თეატრალური წარმოდგენის აუცილებელი დეტალი; როგორც ჯამბაზის ტრადიციული ილეთი; როგორც დასტური მანიფესტში გაუდერე-

ბული ფრაზისა: „ჩვენთვის პარიზი არის მსოფლიო დედაქალაქი, სა-დაც გიშურ გატაცებით ჯამბაზობენ ჩვენი ფრანგი ძმები”; როგორც სიმბოლისტებს მრნამსის შენილვის საუკეთესო ფორმა. კოლაუ ნადირაძის აუტო დაფე, იგივე სარწმუნოებრივი აქტი, თითქოს მომა-ვლის წინასწარფერეტის მიმნიშნებელია. აუტო დაფე შეა საუკუნეებში ერეტიკოსებისა და მათი თხზულებების საჯარო დაწვას ნიშნავდა. საბ-ჭოთა ინკვიზიციამ არა მარტო ცისფერყანწელთა ნაწერები აკრძალა, არამედ მათი სიცოცხლეც ხელყო. ამდენად ნადირაძის აუტო დაფე ორ-მაგი ფუნქციის მატარებლად შეიძლება ჩაითვალოს – სიმბოლისტური ნიღბის ვარიაციად და წინასწარმეტყველურ განცხადებად.

ტიციანი მალარმეს წიგნის „უმიზნო სიარულის“ სახელწოდე-ბას ლათინური ტრანსკრიფიით გვთავაზობს, ამ შემთხვევაში პო-ეტი საკუთარი ემოციებისა და შინაგანი მდგომარეობის გამჟღავნებას მიეღლოს, მაგრამ მას თითქოს საგულდაგულოდ მალავს, ნიღბავს უცხოურ სიტყვაში, თანაც ფრანგი პოეტის პრინციპებსაც ეხმიანება. ლეონიძის „ავტოპორტრეტში“ ტრამვაები თითქოს ინგლისურად ხმი-ანებენ never more, რაც ნიშნავს: არასოდეს უფრო მეტი. თითქოს პო-ეტი ამით იმ სურვილების ლოკალიზებას ცდილობს, რაც მას ავტო-პორტრეტში აქვს გამოსახული. ტრამვაის რელსით შემოსაზღვრულია კონკრეტული მიზანი. კარმელი, იგივე შალვა გოგიაშვილი, კი თავისი ფსევდონიმის ისტორიას გვიყვება:

დავკარგე გვარი, შევამცირე მისი გაისი:  
და ცრუ სახელად ავირჩიე კარმელი ძვირი.

კარმელი ბიძლიური მთაგრეხილია პალესტინაში. ჯვაროსნული ლაშქრობების დროს იეზუიტმა ბერებმა ამ მთაზე მონასტერი დაარს-ეს და დასაბამი მისცეს „კარმელისტების“ ორდენს. კარმელისტები ფეხშიშველი დადიოდნენ, ქრისტესავით უქონელნი იყვნენ და მხ-ოლოდ ღმერთს ემსახურებოდნენ. სწორედ ეს ნიუანსია გაუღერებული პოეტის სტრიქონები, სადაც ავტორი მეუდაბნოე მწირთან თავის მს-გავსებაზე საუბრობს.

პოეტური პოზა უკავშირდებოდა მოდერნიზმის ერთ-ერთ მთა-ვარ ნიშანს – დაკარგული ღმერთის სანაცვლოდ ზეკაცის ძიებას, რაც ორი პლასტით ვითარდებოდა: პირველი — სამყარო ტრიალებდა პიროვნების გარშემო; ეს ფაქტორი ამკვიდრებდა ამაღლებულ განწყო-ბას საკუთარი ეგოს მაქსიმალურად აღმატებულად წარმოსახვით და მეორე — ეპოქის გმირის ძიების დაუკავებელ სურვილს შემოქმედი მი-ჰყავდა მითოსური აზროვნების სათავეებთან. ზეკაცი იყო მითოსიდან ან ისტორიიდან თანამედროვეობაში გადმოსული რაინდი, რომელსაც

ძალუძდა ახალი სამყაროული წესრიგის დამყარება. ამიტომაც მიმართავდნენ სიმბოლისტები წარსულს, ექებდნენ გმირის იდეალს.

გრ. რობაქიძისათვის დიონისე, როგორც მოკვდავი და აღდგენადი ღმერთის სახე იყო მუდმივი განახლების მითოლოგება.

ჩემი ღერბია დიონისოს მედალიონი.

ცეცხლით სწერია: მოხარული საშურო ხმალზე.

პოეტს საკუთარ მისიად მიაჩნდა საქართველოს ბედის განახლება. ქართული მითოსური აზროვნებით მზეს უდიდესი ფუნქცია ეკისრებოდა, ის წარმოიდგინებოდა უმთავრეს ღვთაებად. სიმბოლისტებიც თავიანთ ავტოპორტრეტებში მზის ენერგიით დამუხტულნი წარმოჩინდებიან; „შევხარი მზესა“ (პაოლო იაშვილი), „და პურპურივით მზე მეცემა დაუტევნელი... მზე – ჩემი გვარის ლაშქრობაში გათეთრებული“ (გიორგი ლეონიძე). ეს ერთდროულად ნილაბიცაა და მითოლოგებაც. მზის ენერგია ჰეროიზმის განცდასაც ბადებს, რომელიც უარყოფითი კონტაციის დადებითად გაუძლერებითაა გ.ლეონიძესთან წარმოდგენილი („ვარ ბარბაროსი, ვარ ხაზარი, ვარ სარაცინი“).

სიმბოლისტები ქმნიდნენ ახალ წესრიგს მწერლობაში, თუმცა ეს არ იყო ჰაერში გამოკიდებული, გარკვეულ ნიადაგს მოწყვეტილი სიახლე. მიუხედავად იმისა, რომ მათ უარი უთხრეს ტრადიციულ ლიტერატურას, თავისი თემებითა და გამოსახვის ხერხებით, და შეეცადნენ დაემკვიდრებინათ ახალი თემატიკა, ახალი უანრობრივი ფორმები, მაინც ვერ აცდნენ „წარსულის ანდამატს“. ამის შესახებ თვითონვე მიუთითებდნენ წერილებსა და ავტოპორტრეტებშიც. მათ ლექსებში ხმანდება რამდენიმე ავტორიტეტი, რომელთა ლიტერატურული ხელწერა, ორიგინალობა და გამორჩეულობა სიმბოლისტების პოეტური ავტოპორტრეტების შექმნისას განსაკუთრებულ შტრიხს ქმნის. სიმბოლისტებმა თავიანთ წინაპრად რუსთაველი აღიარეს. მის მიერ შექმნილი ჰარმონიული სისტემა, ნატიფი ბერძნერა, ღრმააზროვანი სიტყვათშესამებანი გულგრილს ვერ ტროვებდა ვერც ერთი ეპოქის პოეტს და ვერც სიმბოლისტებმა აუცილეს მხარი ქართული პოეზიის უპირველეს დენდს; პაოლო თავისი სიტყვებით რუსთაველთან გადადის ალავერდს, ლეონიძისათვის გვირგვინის დადგმა თეიმურაზსა და ჭავჭავაძეს ხელენიფებათ.

ქართული ლიტერატურა თავისი განვითარების განმავლობაში არასოდეს ყოფილა ჩაკეტილ წრეში და მას ყოველთვის პქონდა ურთიერთობა როგორც ევროპულ ასე აღმოსავლურ მწერლობასთან. სიმბოლიზმი ქართულ სივრცეში საფრანგეთიდან შემოვიდა და ლოგოკურია, რომ ქართველი პოეტები, რომლებიც ხშირად ორიგინალში

ეცნობოდნენ ევროპელი მწერლების ნააზრევს, აღტაცებული იყვნენ მათი შემოქმედებით, თარგმნიდნენ მათ; მათ შეხედულებებს რაცხდნენ სიბოლისტურ ლოზუნგებად, ცდილობდნენ საკუთარი ლექსის „ევროპული რადიუსით“ გამართვას, რაც გამოიხატებოდა მათი იდეების გაზიარებასა და იმ პრინციპების დამკვიდრებაში, რასაც ვეცდებით ზოგადად მოდერნისტული მწერლობის თხზულებებში. ამიტომაც მათ ავტოპორტრეტებში სახელდებიან ფავორიტი პოეტები. ცისფერყან-ნელებისათვის უპირველესი პოეტი, როგორც სიმბოლიზმის ფუძემდებელი, შარლ ბოდლერი იყო, ავტოპორტრეტებში მისი სახელი როგორც სიბოლიზმის უმთავრესი ფიგურა, ისე წარმოჩინდება. და ყველასათვის საყვარელი არტურ რემბო, გიორგი ლეონიძისათვის ტყუპისცალი. ქართველი სიმბოლისტებისათვის ოსკარ უაილდის სახელიც ძვირფასი და ახლობელია: პაოლო აქცენტირებას აკეთებს მის ყელსახვევზე, ტი-ციიანი საკუთარ პროფილს უაილდისას ადარებს და მალარმეს ფურცლავს, კოლაუსათვის ევროპის ხმა ჩრდილოეთის ზღვებს მოაქვს.

ევროპულ შტრიხებთან ერთად ავტოპორტრეტებში ხაზგასულია აღმოსავლური სამყაროს დეტალებიც: პაოლოს ათრობს ხაშაშის სპარსული სურნელება, ტიციანი აზიურ ხალათში გამოწყობილა, კოლაუს ეკვატორი ეცხადება და აზიელად შეაგრძნობინებს თავს, კარმელი არაბეთში დაეძებს პოეტურ ხილვებს. ქართული სიმბოლიზმი პოეტური ფორმებისა და ბგერნერული ნიუანსების გამოკვეთისას მხოლოდ ევროპულს არ სჯერდებოდა და მიმართავდა ზოგადად ქართული მწერლობისათვის კარგად ნაცნობ აღმოსავლური პოეზიის ტკბილხმოვანების ხაზს. ქართული ტრადიციების გათვალისწინებით ევროპულისა და აზიურის შერწყმა იყო ქართული სიმბოლიზმის ძირითადი სტილიზაციის და გამოსახვის საშუალება.

ავტოპორტრეტები ეხმანებოდა პოეტთა თანადროულ ეპოქას; ცალკეული მინიშნებებითა და სიმბოლოებით ცხადდებოდა მათი დამოკიდებულება თავიანთ დროებასთან. თუმცა სიმბოლისტების თანამედროვეობა არც ისე ლალი იყო, როგორც მათს ახალგაზრდობა-ში. ცისფერყან-ნელები თვითანთი შემოქმედებით ცდილობდნენ რეალობის შეცვლას: გრ. რობაქიძეს ქვეყნის ბედის შეცვლა სურდა, პაოლო პირობას დებდა, რომ ხალხის წინაშე მუდამ მართალი იქნებოდა, კარმელისათვის უდაბნოს სხვადყოფნად ქცეულიყო ქუთაისი და საქართველო, ტიციანმა კარგად იცოდა, რომ ცხოვრება ჯოვოხეთი იყო, რომლის სამოთხედ ქცევას ლამობდა. ეს ყველაფერი მხოლოდ და მხოლოდ პო-ეზიით უნდა განხორციელებულიყო. ამიტომაც პაოლო ლამაზი რითმის ძიებაში „იცილებდა დათარსულ სიტყვებს“; კარმელისათვის პოეზია მონასტრად ქცეულიყო, რომელსაც ყველა მიზანი უკავშირ-

დებოდა; ლეონიძე პოეზიაში, როგორც რუმბში, ისე ჩაყუდებულიყო და სული ყველანაირ შხამში გამოეტარებინა; ტიციანი ლექსების ხსენები-სას ძვირფასად ინთებოდა; ლომივით კვალის დაჩინაზე საუბრობდა კო-ლაუ ნადირაძე.

პოეზიით სუნთქვა და პოეზიით ცხოვრება იყო ცისფერყანწელების სიცოცხლის მრნამსი. ისინი ხშირად აღნიშნავდნენ, რომ ცისფერყანწელები ერთი პოეტია და ეს სავსებით წარმოჩინდა მათ ავტოპორტრეტებში.

### **დამოცვებანი:**

**ამირხანაშვილი 2009:** ამირხანაშვილი ი. სახენათელი რაინდი წიგნში ცამეტნი (ცისფერყანწელები ქართულ კრიტიკულ პროზაში). ქუთაისი: საგამომცემლო ცენტრი, 2009.

**აპოლონი 1997:** ოპოლიონ, ბ. *Терминологический словарь*. Москва: Эллис лак. 1997.

**მილორავა 2003:** მილორავა ი. „სახე და ნიღაბი. საუბრები ლიტერატურასა და ხელოვნებაზე (კრებული). თეთრ სიამაყეს აქანდაკებ შენი დიდებით (ეძღვნება გრიგოლ რობაქიძეს). თბილისი: სმა, ლიტერატურის ინსტიტუტის გამოცემა, 2003.

**ქსე 1984:** ქართული საბჭოთა ენციკლოპედია (რედ. რ. მეტრეველი). ტ.8. თბილისი: 1984.

**ჯალიაშვილი 2009:** მ. ჯალიაშვილი მ. „ქართული პოეზიის დენდები – ცისფერყანწელები“. ცამეტნი (ცისფერყანწელები ქართულ კრიტიკულ პროზაში). ქუთაისი: საგამომცემლო ცენტრი, 2009.

## **NONA KUPREISHVILI**

*Georgia, Tbilisi*

*Shota Rustaveli Institute of Georgian Literature*

## **Vakhtang Kotetishvili – To the Principles of New Aesthetics**

Vakhtang Kotetishvili began philosophic and aesthetic searches still during the study at St. Petersburg and Tartu University. His first serious article “Black Word” (1916) sent to the editorial office of the magazine “Ganatleba” is left unpublished. The reason on disfavoring the letter was a sharp critical pathos. Young author was asking immunity of literary space in accordance with Ilia’s strictness, priority of such writing and journalism that would be the criterion of cultural essence of nation.

V. Kotetishvili chooses principles of psychological (and not psychoanalytical) and ethical criticism, especially disclosed in monography dedicated to Al. Kazbeg. He as a sharer of Arch. Jorjadze's theory of "Fine Lie", also attentively pays attention to literary processes present in Georgian writing as a modernism (letters about G. Tabidze, Gr. Robakidze, P. Iashvili, V. Barnov) and emphasizes revival of word phenomenon under the influence of Russian formalistic school ("seizure of word", "distant").

**Key words:** Vakhtang Kotetishvili, psychological and ethical criticism, Arch. Jorjadze.

## ნონა კუპრეიშვილი

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

## ვახტანგ კოტეტიშვილი ახალი ესთეტიკის სათავეებთან

ვახტანგ კოტეტიშვილზე, როგორც ახალი ესთეტიკის სათავეებთან მდგომ ლიტერატურსა და კრიტიკულსზე, მეტი არგუმენტირებულობით საუბარი მას შემდეგ გახდა შესაძლებელი, რაც გამომცემლობა „არტანუჯის“ მიერ 2016 წელს შეიკრიბა და გამოსაცემად მომზადდა XX საუკუნის 10-20-იანი წლების ქართულ პერიოდულ პრესაში გაპნეული მისი წერილები, რომლებმიც აღნიშნული მიმართულებით არაერთი მნიშვნელოვანი მოსაზრება დეკლარირებული. ახალგაზრდა ესთეტიკის ეს ძიებები, როგორც ვიცით, დროსა და სივრცეში მარქსისტული იდეოლოგიის დამკვიდრებასა და მის ლოგიკურ შედეგს – საქართველოში ბოლშევიკური რეჟიმის დამკვიდრებას დაემთხვა. ეს იყო მტკიცებული ცვლილებების ხანა, რომელმაც არა მარტო ესთეტიკური აზროვნების, არამედ მთელი ქართული კულტურის დივერსიფიცირება მოახდინა. ამასთან შემოქმედებითმა აზრმა მოიცვა დასავლური ფილოსოფიური და ლიტერატურულ-ესთეტიკური შეხედულებებიც, ანუ მთელი სისრულით განვითარდა პროცესი, რომელსაც მოგვიანებით „სულის კრიზისი“ ეწოდა.

ვახტანგ კოტეტიშვილი, როგორც მაშინდელი ახალი შემოქმედებითი თაობის თითქმის ყველა წარმომადგენელი, თავისი მრნამსით ილიელი იყო, თუმცა ეს უსაფუძვლო მიკერძოების ან რამე დოზით კონსერვატიზმის გამოვლინებად არ უნდა მივიჩნიოთ. პირუკუ, ეს იყო არგუმენტირებული სწრაფვა განახლებისა და რეფორმირებისკენ, რომელიც ახლისა და ძველის სინთეზირებას გულისხმობდა .

სწორედ ამიტომ ჩვენი კულტურის ევროპული რადიუსით გამართვის მცდელობამ სრულიად კონკრეტული სახე შეიძინა. „ქართული ლიტერატურის სინამდვილეში მოხდა ევროპული მოდერნიზმის ერთგვარი ინტერპრეტაცია. იგი გამოვლინდა როგორც ტრადიციისა და ნოვაციის სინთეზი“ (ჯალიაშვილი, 2006: 57). არჩ. ჯორჯაძის, გრ. რობაძიძის, გ. ქიქოძის ფილოსოფიურ-ესთეტიკური ნააზრევი, შთაგონებული ევროპული კულტურული რეფორმაციის სულით, პოლიტიკურად თავისი ადგილის მაძიებელი ქვეყნის ინტერესებსაც ითვალისწინებდა. საბოლოო მიზანი, ცხადია, ამ ასპარეზზე თვითდამკვიდრება და ევროპულ კულტურულ წიაღში დაბრუნება იყო, რაც როგორც ეკონომიკურ, ისე მენტალურ სირთულეებთან იყო დაკავშირებული. ამიტომაც წერდა არჩ. ჯორჯაძე: „ჩვენ ნელ-ნელა სრულიად მოვწყდით მსოფლიო აზროვნების ცხოვრებას და ეხლა ხელმეორედ შობილთ, ვერ გვეძედება იმ ფართო ცხოვრების ფარგალში ფარგალში შედგმა“.

ვ. კოტეტიშვილმა თავისი ესთეტიკური მრწამისის ჩამოყალიბება ილიას კრიტიკული ნააზრევის ანალიზით დაიწყო. 20-იან წლებში, როდესაც მთელი სისრულით იწყო გამოვლენა ფართო ერუდიციასა და ღრმა აზროვნებაზე დაფუძნებულმა მისმა შემოქმედებითმა ამოცანამ – შეექმნა ახალი დროის ადეკვატური ეროვნული ესთეტიკის საფუძვლები – ქვეყნდება ორი წერილი, სათაურით „ქართული კრიტიკა“ (გაზ. ქართული სიტყვა, 1923-24 წ.წ. № 3, №10-11), რომელშიც, პირველ ყოვლისა, როგორც საფუძველთა საფუძველი, ლიტერატურული საქმიანობისადმი ილიასეული მიდგომის პრინციპებია გაზიარებული. ავტორის აზრით, ილიამ აჩვენა ა) ჩვენი ქვეყნისთვის „ლიტერატურის სასიცოცხლო მნიშვნელობა; ბ) მიუხედავად იმისა, რომ „არ შეუქმნია ესთეტიკური კრიტიკის დასრულებული თეორია“, საკუთარი წერილების სახით მოგვცა სწორედ ამგვარი კრიტიკის შთამბქეჭდავი ნიმუშები. აქვე აქცენტირებულია ილიას კიდევ ერთი თვისება, რომელიც ვ. კოტეტიშვილისთვის აგრეთვე სანიმუშოა: „რევოლუციონერი აზროვნებაში მაინც არ მოსწყდა ეროვნული ცხოვრების ფესვებს...“ (ქართული კრიტიკა, გაზ. ქართული სიტყვა, 1923, № 3).

თუმცა ამ სწორ ორიენტირებს წინ უძლოდა საკუთარი ინტონაციის ძიება, რომელიც სრულად შეძლებდა ახალგაზრდა ლიტერატორის სამწერლო სარბიელზე მართებულად პოზიციონერობას. პირველივე წერილში „შავი სიტყვა“, რომელიც ჟურნალ „განათლებისთვის“ იყო განკუთვნილი და 1914 წლით თარიღდება, ვახტანგ კოტეტიშვილმა ახალ კონტექსტში ლიტერატურასთან პასუხისმგებლიანი დამოკიდებლების, ერთგვარი „მკაცრი სიტყვის“ პრიმატზე ისაუბრა. წერილი მკვეთრად გამოხატული კრიტიცისტული პათოსის გამო რედაქციამ დაიწყო (იგი

პირველად მხოლოდ ახლა დაიბეჭდება – ნ. კ.), თუმცა ამის გამო მის ავტორს მაშინ მომძლავრებულ ეპიგონიზმთან შეურიგებლობის მუხტი არ განელებია: „დღეს ჩვენი ინიციატივა სუსტია, ზანტი. თვით ინიციატორი ხშირად მოუმზადებელი, შუაზე გარინდებული, აზრ-გაურკვევებული და უეჭვო. მათში იშვიათად არის ნოვატორის სულისკვეთება... და ეს ადგილი ასახსნელია; ორიენტაციის ნაკლებობა, ცოდნის სიღრმის ანუ ღრმა ცოდნის უქონლობაა ამის მიზეზი... კარგა ხანია მკაცრი სიტყვა დაგვეკარგა. გამუდმებულმა შიშმა მოგვიტება რაინდი სული... და ჩვენი მწერლობა გადაიქცა საჯირითოდ. ყველა ცდის თავის ძალ-ლონეს... სამწერლო დოლი ყველასთვისაა...“. უყურადღებოდ არც მაშინდელი უქონალ-გაზეთებია დატოვებული. რეზიუმირებულია მათი ჩამორჩენილობა და არაა დეკვატურობა. ამასთან აღიარებულია ლოგო-კური აუცილებლობა არსებული კონტექსტის ობიექტური აღმის გაძლიერებისა: „...როლის უკეთესი შემსრულებელი გამოჩნდება. არც ისე ღარიბია საქართველო. თორემ გადახედე საკაცობრიო დოლს... სად მიფრენენ და სად მივჩანჩალებთ“. პროგნოზები, რომელსაც ფართო საზოგადოებისთვის უცნობი პუბლიკისტი გამოთქვამდა, ნაწილობრივ გამართლდა, თუმცა მაშინ ეს დაკვირვებები რედაქციისთვის, როგორც აღვნიშნეთ, არადამაჯერებელი აღმოჩნდა.

ვახტანგ კოტეტიშვილის ინტერესს, ცხადია, დასავლეთ ევროპის ცნობილი ფილოსოფობი და კრიტიკოსები, ახალ-ახალი ესთეტიკური მიმდინარეობების შემქმნელები ინვევდნენ. იგი, როგორც ფსიქოლოგიურ – ისტორიული პროფილის მქონე ფილოლოგი (როგორც ცნობილია, სწავლობდა ჯერ პეტერბურგ-პეტროგრადის, შემდეგ დორპატის, იგივე ტარტუს, უნივერსიტეტების ფსიქო-ნევროლოგიურ და ისტორიულ-ფილოლოგიურ ფაკულტეტებზე) კარგად იცნობდა როგორც პოზიტივიზმზე დაფუძნებულ იპოლიტ ტენის ნატურალისტური ანალიზის მეთოდს, მის ე.წ. კულტურულ-ისტორიულ სკოლას, სენტ ბევის ბიოგრაფიულ მეთოდს, ასევე გეორგ ბრანდესისეულ შედარებით-ისტორიულ და ფსიქო-ბიოგრაფიულ მეთოდთა სინთეზიტების ტენდენციას. თუმცა პოზიტივიზმი, რაზედაც აგებული იყო ამ კრიტიკულ-ესთეტიკულ იდეათა ძირითადი მიმართულებანი, ვ. კოტეტიშვილისთვის ძალიან მალე უინტერესი გახდა. და ეს მიუხედავად იმისა, რომ ილიას, ვაჟას, განსაკუთრებით კი ყაზბეგის შემოქმედებითი პორტრეტის შექმნისას სახეზეა ყველა ზემოაღნიშნული მეთოდის მეტ-ნაკლები მხატვრურ-ესთეტიკური რეპრეზენტაცია. ამასთან კულტურათა დიალოგის, კულტურულ გავლენათა დიაპაზონისა და შედეგების კვლევა ვ. კოტეტიშვილისთვის აშეარად სცილდებოდა ესთეტიკური ძიებების სფეროს და სახელმწოფოებრივ მნიშვნელობას იძენდა. ამ თვალსაზ-

რისით მსგავსება გ. ქიქოძისა და ვ. კოტეტიშვილის შეხედულებებს შორი, თუ გავითვალისწინებთ ეპოქის კონტექსტს, თვალსაჩინო და ლოგიკურია: „უკვდავება ერსაც და პიროვნებასაც უმთავრესად ხელოვნებამ უნდა მიანიჭოს. ამიტომ ხელოვნების აღორძინება უნდა იქცეს ჩვენს მთავარ მიზნად. თითქოს ეს აზრი უკვე სდევს ქართულ საზოგადოებას და ჩვენ დღევანდელ შემოქმედებას უკვე შებირვება დაეტყო. ხდება ძვრა. საამისოდ უკვე ათრთოლდა საქართველოს მეოცე საუკუნე. და აქ გვმართებს შემოქმედებითი პოტენციის გამოჩენა. ისტორიულ ფერფლს უნდა გამოვტაციოთ ქართული თვისება და თანამედროვე ხელოვნებაც ამ თვისებებზე დავამყნოთ. სხვანაირად საქართველო ვერ იარსებებს... ქართულ ფერში ქართული ცეცხლი. ეს არის საქართველოს აღთქმა. ამ გზით უნდა წავიდეს ჩვენი მომავალი ხელოვნება“ (ქართულ ხელოვნების გამარჯვება, გაზ. პოეზიის დღე, 1921, 7 მაისი).

„ქართულ ნიადაგზე გადაშლილი ხელოვნების“ იდეა ვ. კოტეტიშვილისათვის საუკეთესოა იმ ესთეტიკური ორიენტირების მიღებისა და გათავისებისათვის, რომელსაც განათლებული ევროპა გვთავაზობს. თუმცა საკუთრივ წარსულ სულიერ მემკვიდრეობასთან მიმართების საკითხიც არ არის მეორეხარისხოვანი და ამიტომაც იგი მთელი სისრულითა დასმული: „...ნარსულ საუკუნეების მნერლობა ძვირფასი მსხვერპლია ქართულ სიონში მიტანილი. როგორც პატრიოტებს, ჩვენ გვიყვარს ის ნაცარი, რომელიც ენის განმენდის კრემატორიუმმა დაგვიტოვა, მაგრამ როგორც ე ს თ ე ტ ე ბ ს, რ ო გ თ რ ც ა ხ ა ლ ი ს ა უ ხ ჯ ი ს მ ა ძ ი ე ბ ლ ე ბ ს, კარგა ვერ გამოგვადგა ეს ჩაფერ-ფლილი მემკვიდრეობა“ (Coup D' etat, გაზ. „პოეზიის დღე“, 1922, №1). და ამ გადაცდომის მიზეზად ავტორი შეცვლილი დროის მოთხოვნების უგულებელყოფასა და ცნებათა აღრევაში ხედავს: „დღევანდელი ჩვენი პატრიოტობა აზროვნების ამაღლებით, ხელოვნების გაშლით, სიცოცხლის სილრმეში შექრით უნდა გამოიხატოს. ფილოსოფია საქართველოში, მეცნიერება, ტექნიკა... ეს უნდა გადავაქციოთ მსოფლიო ისტორიის პუნქტებად. ვინც შესძლებს ამას, ის იქნება პატრიოტი...“ (იქვე).

ქართულ ხელოვნებაში ვ. კოტეტიშვილისათვის განსაკუთრებით საგანგაშოა ესთეტიკურ კრიტერიუმთა არარსებობა: „...შემოქმედებითი სტიქია ბობოქრობს და რაღაც ქაოტურ ატმოსფეროს ქმნის“ – აცხადებს იგი წერილში „ესთეტიკური კრიტიკა“ – „ყველა გემოვნება ამეტყველებულია, ყველა თავისი პრეტენზით დადის: „ლამაზია“, „დიდია“, „დაბალია“, „მისაღებია“, „მიღებულია“, „ბანალურია“ და სხ. გაიზარდა უზომოდ დაუსაბუთებელ სიტყვათა ლექსიკონი. რატომ არის „ლამაზი“ ან „დიდი“ და სხ. სად არის ის კრიტერიუმები, რომლითაც იგი

განიხილავს შემოქმედებით მოვლენებს. არის და არც არის“ (ესთეტიური კრიტიკა, გამ. „ლაშარი“, 1923, №1). ვ. კოტეტიშვილი მიჩნევს რომ სრული ანალოგია შეიძლება ვაპოვოთ შემდეგ მოვლენებს შორის: ისევე როგორც არისტოტელეს მიერ ლოგიკის კანონების შექმნამდე არსებობდა ლოგიკური აზროვნება, ხოლო ფილოსოფიაში შემეცნების თეორიის არსებობამდე – ფილოსოფიური მსჯელობა, სწორედ ასეა ხელოვნებაში, სადაც მუდმივად არსებობდა „ლირებულებითი იდეა, თუმცა არ იყო ჩამოყალიბებული ესთეტიური შემეცნების თეორია“. წერილის ეს პოზოცია ავტორი მიერ განსაკუთრებულადაა აქცენტირებული: „აშკარაა, რომ არსებობს ესთეტიური მსჯელობა, და არსებობს ის რაღაც „საზომი“, ხშირად ფორმულის გარეშე დარჩენილი, რომლის საშუალებითაც ვიწონებთ ან ვიწუნებთ შემონაქმედს. ეს ესთეტიური მსჯელობა მეცნიერული მსჯელობის ანალოგიაა. ხელოვნების სფეროში აუცილებელია შემეცნების თეორიის პარალელის არსებობა. საძიებელია ესთეტიური მსჯელობის და შეფასების საფუძვლები, რაზედაც უნდა ემყარეობოდეს ნამდვილი კრიტიკა. ამისთვის კი უნდა მოხდეს დაბრუნება კანტის კრიტიკულ ფილოსოფიასთან, სადაც სხვათა შორის დაისვა კითხვაც: არსებობს თუ არა ხელოვნება, ე.ი. ჭვრეტა და გრძნობა საყოველთაო ესთეტიური ლირებულებით? ბოლო უნდა მოეღოს ე.წ. „საღი აზრის“ ხეტიალს ხელოვნებაში... ხელოვნებასაც ექნება თავისი უმაღლესი ალგებრა, რომელიც ინტუიციის იქით იმაღება. იქით უნდა იყვეს ესთეტიური მსჯელობის გზაც“ (იქვე). მაშასადამე, დასკვნა შემდეგი თანმიმდევრობით შეიძლება დალაგდეს: ხელოვნებას უსათუოდ სჭირდება ესთეტიკური კრიტერიუმები, რომლებიც ჭეშმარიტი კრიტიკის საფუძვლად უნდა იქცეს. ამიტომაც იწყებს ვ. კოტეტიშვილი ქართული კრიტიკის ისტორიის აღნერას უურნაალ „ცისკრიდან“ ცის-თერყყანელთა ოპტურებამდე, მაგრამ იმისთვის კი, რომ ესოდენ ნანატრი ესთეტიკური კრიტერიუმები შემთხვევითი ხასიათის არ აღმოჩნდეს, მისი აზრით, საჭიროა მიბრუნება იმ ფილოსოფიურ საწყისებთან, ამ შემთხვევაში კი ეს კანტის ესთეტიკური შეხედულებებია (გავიხსნოთ, რომ თავად კანტი ესთეტიკას უწოდებდა სწავლას გრძნობითი შემეცნების შესახებ – ნ.კ.), რომლებიც მის სიმყარეს განაპირობებენ.

მართლაც, კანტის მიხედვით (მხედველობაში გვაქვს მისი „მსჯელობის უნარის კრიტიკა“, 1790), ხელოვნება, როგორც ადამიანის შინაგანი აქტივობის ყველაზე ღრმა ფენა, ახალი სინამდვილის შექმნით იძლევა თავისუფლებისა და ბუნების (იგივე აუცილებლობის) ჰარმონიზირების საშუალებას. „ის, რასაც ჩვენ მშვენიერს ვუწოდებთ, ჩვენში სიამოვნებას იწვევს, რადგან ჰარმონიაშია ჩვენს ესთეტიკურ გრძნობებთან. ესთეტიკური ჩვენ მოგვწონს ჩვენი რაიმე სხვა ინტერე-

სისა და ცნების გარეშე. ესთეტიკურის ჭვრეტისას აღძრულ გრძნობას კანტი თამაშის მდგომარეობას „უწოდებს“ (თევზაძე, 1974:). ვინაიდან ხელოვნების ნიმუშით ტყბობა „თამაში ჩართულობა“, კანტის მიხედვით, იგი გამორიცხავს რაციონალურსა და უტილიტარულ დამოკიდებულებას მშვენიერებასთან. მშვენიერია ის, რაც მოგწონს ყოველგვარი მიზანშე ზონილობის (მიზანშეუწონლობა, როგორც მთელისა და მისი ნაწილების ჰარმონია, კანტისეული ესთეტიკის უმთავრესი კატეგორია), რამე კონკრეტული განზრახვის გარეშე (ესთეტიკა 1989: 138). კანტისეული შეხედულება ხელოვნებაში უმიზნო სილამაზის შესახებ, ცხადია, გამოიყენა არჩ. ჯორჯაძემ თავისი „მშვენიერი ტყუილის“ თეორიის შექმნის დროს (ჯორჯაძე 1989: 16), რაც ვ. კოტეტიშვილისთვის ასევე ფუნდამენტური მნიშვნელობის იყონ. აი, დაახლოებით ის პირველსაწყისები, რომლისკენაც სურდა ესთეტიკური აზრის შეეტრიალება ვ. კოტეტიშვილს, სურდა საამისოდ ყველაზე არახელსაყრელ დროს – უტილიტარული ხელოვნების უმთავრესი მეთოდის, სოციალისტური რეალიზმის, აღზევების წინა ეტაპზე. სწორედ ამ ახალ ესთეტიკაზე დაყრდნობით ვარაუდობდა იგი თანამედროვე, ამსთან უკიდურეასდ გართულებული მხატვრულ-ესთეტიკური აზროვნებისა და ფუნქციური კრიტიკის დაფუძნებას.

თანამედროვე ხელოვნების ფორმების აუთვისებლობას ვ. კოტეტიშვილი ქართველ მწერალთა განათლების დაბალ დონეს მიაწერს. იგი იგონებს ჯერ კიდევ უურნალ „ცისკრის“ ფურცლებზე ო. არდაზიანის გალაშქრებას ქართულ გარემოში იაფთასიანი ლექსებით უზომო გატაცების წინააღმდეგ და ამ ტრადიციის ურყეობაზე სწუხს. გრ. რობაქიძეც საგანგებოდ ითხოვდა მწერალთა აკადემიის გახსნას, რათა იქ მიღებული ფართო და ღრმა ფილოსოფიურ – ესთეტიკური განათლებით შესაძლებელი გამხდარიყო მწერალთა საკმაოდ დიდი ჯუფების ერთგვარი სელექციორება, მათგან მხოლოდ შემოქმედებითი უნარით გამორჩეული, თავისი არსით განახლებისა და რეფორმირებისათვის გასხნილი ადამიანების გამორჩევა. აზრს ჩვენი მწერლობის განახლების შესახებ კი იგი თანმიმდევრობითა და მთელი სერიოზულობით ავითარებს: „„მე ცა მნიშნავს და ერი მზრდის...“ მაგრამ დღეს იმავ მოტივის გამორჩება ერთობირება აზრსაც, ყურსაც. დღეს დაკარგულია ის მთლიანობა, მაგრამ ჯერ არ დაკარგულა მისი გადამღერების შესაძლებლობა. არის ახალი ცდაც, მაგრამ პოეზიის ძველი ფორმა ვერ უძლებს ახალი სულის პოეტური მოტივების გადმოცემას.. ძველი მეტრი მთელი თავისი სიმეტრიული ფორმებით, ბოლო წყობილებით გაცვდა. სიტყვათა ა ხ ა ლ ი კ ო მ ბ ი ნ ა ც ი ა ა საჭირო. ოდნავ ეს უკვე იგძნო ჩვენმა ახალმა პოეზიამ, რომ ბოლო დავარცხნილ ლექსმა

ამოქამა თავი. მრავალი ხმა არის საჭირო, რიტმის მრავალსახეობა, რომ შესაძლებელი გახდეს განცდების ფიქსაცია“ . ამ პოზიციამ ვ. კოტეტიშვილი იმავე არჩ. ჯორჯაძის მიერ დაწყებული სიტყვის ირაციონალურ ბუნების კვლევის გაგრძელების აუცილებლობამდე მიიყვანა. ოციან ნლებში ზედიზე დ ქვეყნდება მისი უმთავრესი ლიტერატურული წერილები: „ლიტერატურული აზროვნება“, „Coup D'etat“, „სიტყვის დაპყრობა“, „ესთეტიური კრიტიკა“, „მუნჯი ინკვიზიტორი“, „ქართულ ხელოვნების გამარჯვება“, „სიძველის ბალასტი“, „ახალი გზით“, რომლებშიც ახალი ლიტერატურული აზროვნების შემქმნელი ფართო ერუდიციის მქონე ლიტერატურისა და ესთეტის რეფლექსიები ჩანს.

ქართული მწერლობის უპირველეს ამოცანად ვ. კოტეტიშვილს „სიტყვის დაპყრობა“ მიაჩნია. იგი „სიტყვის სისტემის გადაშენების“ ფაქტზე ამახვილებს ჩვენს ყურადღებას და სტილური რეფორმაციის საჭიროებას აღიარებს: „კარგი იყო ის სტილი, რომლითაც დღემდე წერდნენ, მაგრამ, როგორც ამბობენ, ყოველ ეპოქას აქვს თავისი სტილი. მე კი ვიტყოდი, რომ ყოევლ სტილს აქვს თავისი ეპოქა და დღეს ეს სტილი ძიების პროცესშია...“ („სიტყვის დაპყრობა“, 1923). საუბრობს რა სიტყვის არა მხოლოდ ფორმალურ, არამედ საგნობრივ ღირებულებაზე, ვ. კოტეტიშვილი საკითხის სპეციფიურობასა და სირთულეზე მიგვანიშნებს: „ სამწუხაროდ, როგორც ბევრი რამ საქართველოში, იღიას... ვაჟას, ყაზბეგის... მიერ სიტყვის დაპყრობა ეპიზოდური იყო. დღეს საქმე ისევ ახლად იწყება, მაგრამ ამ დასაწყისში, მე მგონია, არის მრავალი საცდური. მართალია, ჩვენ ვეძებთ სიტყვებს ახალს, ნოუიერს, მაგარს, მაგრამ სიტყვა არც ისე ადვილად დასამორჩილებელია, როგორც ბევრს ჰგონია. სიტყვების ძიება არ კმარა, საჭიროა მისი დაპყრობა, რომ მკითხველის ნინ გაატარო, როგორც იარაღაყრილი ტყვეები. ეს დაპყრობა კი არ არის ჯერ...“ (იქვე). ყველაზე მნიშვნელოვანი გზავნილი კი მაინც ისა, რომლითაც ვ. კოტეტიშვილი ქართული მწერლობის და, საერთოდ, ქართული კულტურის ისტორიაში თანამედროვეობაზე ორიენტირებული მხატვრული და ესთეტიური აზროვნების დამკვიდრების აუცილებლობას წარმარჩებს. აი, ეს მოსაზრებაც: „დღეს ხელოვნებაში გათავდა მოზეიმე ოლიმპის ხმამაღალი სიცილი და სიმღერა, ვინაიდან დღეს შემოქმედება ამღერება კი არ არის, არამედ „შემოქმედება აზროვნებია“ (იქვე). თავისუფალი, უმიზნო ხელოვნების ახალ ესთეტიკურ ფორმასა და შინაარსზე ფიქრი, რომელიც საქართველოს პირობებში, ვ. კოტეტიშვილის აზრით უნდა ყოფილიყო ეროვნულ (მისი აზრით, უფრო აზიურ) ფესვებზე დაფუძნებული, დისტანციორებული მორიგი „რუსული ხორბლის“ (ტ. ტაბიძე) მოძალებისან, დიდხანს ვერ გაგრძელდა.

1932 წელს, მას შემდეგ, რაც შემოქმედებით გაერთიანებათა და დაჯგუფებათა ფაქტობრივი აკრძალვა სახელმწიფო დონეზე მიღებული ცნობილი დადგენილებით გაფორმდა, შეწყდა კიდევ იმ უალრესად ცოცხალი და საინტერესო ლიტერატურული აზროვნების დემონსტრირება, რომელსაც ერთხანს „კულტურ-პოლიტიკის“ მაღიარებელი ქართული შემოქმედებითი ინტელიგენცია ახდენდა. ვ. კოტეტიშვილი მთლიანად გადაერთო ფოლკლორულ ძიებათა სფეროში და აქაც შესანიშნავი ნაშრომები დატოვა. თუმცა მისთვის არც ფოკლორისტიკის დათმობა სურდათ. შესანიშნავი მეცნიერი და მკვლევარი სწორედ ამ ნიადაგზე წარმოქმნილ ხელოვნურ წინააღმდეგობას ემსხვერპლა. ეროვნული ესთეტიკის ჩამოყალიბების „მწერლობის ერთ-ერთ დარგად გააზრებული კრიტიკის გათანადროულებისა და მწერალთა ინტელექტუალური დონის ამაღლებისკენ მიმართული მისი მცდელობები კი სტალინიზმის „მარადიული ზეიმისა“ და ჩეკას ჯურლმულების დისონანსურ კაკაფონიაში ჩაიკარგა.

### დამოცვებანი:

**გაჩერილაძე 1990:** გაჩერილაძე მ. ვახტანგ კოტეტიშვილი. თბილისი: 1990.

**თევზაძე 1974:** თევზაძე გ. იმანუელ კანტის კრიტიკიზმი და ევროპული ფილოსოფია. თბილისი: 1974.

**ესთეტიკა 1989:** ესთეტიკა (Словарь) под общим ред. А. А. Беляева. Москва: 1989.

**კოტეტიშვილი 1967:** კოტეტიშვილი ვ. რჩეული ნაწერები. ტ. II. თბილისი: 1967.

**კოტეტიშვილი 1923:** კოტეტიშვილი ვ. „სიტყვის დაპყრობა“. გაზ. „ქართული სიტყვა“, № 1. 1923.

**კოტეტიშვილი 1922:** კოტეტიშვილი ვ. “Coup D etat”. გაზ. „პოეზიის დღე“. №1. 1922.

**კოტეტიშვილი 1923:** კოტეტიშვილი ვ. „ესთეტიკური კრიტიკა“. გაზ. „ლაშა-რი“, № 1. 1923.

**კოტეტიშვილი 1921:** კოტეტიშვილი ვ. „ქართულ ხელოვნების გამარჯვება“. გაზ. „პოეზიის დღე“. 1921, 7 მაისი.

**მსოფლიო ... 1989:** Зарубежная литературно-эстетическая мысль рубежа XIX-XX веков. Москва: 1989.

**ჯალიაშვილი 2006:** ჯალიაშვილი მ. ქართული მოდერნისტული რომანი. თბილისი: 2006.

**ჯორჯაძე 1989:** ჯორჯაძე ა. რჩეული ნაწერები. თბილისი: 1989.

**NESTAN KUTIVADZE**

*Georgia, Kutaisi*

*Akaki Tsereteli State University*

## **Literary Fairy Tale in Georgian Modernist Prose**

As is known, a clearly structured and complete plot attaches special contextual meaning to a literary fairy tale. The author's will as well as distinct aesthetic, moral and social problems which can be more or less typical to all the nations and epochs are put in the foreground. The renewal of the XX century Georgian literature became connected with modernist aesthetics and was expressed through the diversity of genre and a new narrative technique. Soon after this process a literary fairy tale appeared in the Georgian modernist prose as well. It is a new stage in the development of the Georgian literary fairy tale.

**Key words:** Literary Fairy Tale, Georgian literature, Modernist Prose.

### **ნესტან ქუთივაძე**

*საქართველო, ქუთაისი*

*აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

### **ლიტერატურული ზღაპარი ქართულ მოდერნისტულ პროზაში**

ლიტერატურულ ზღაპარს, რომელსაც თავის დროზე საკმაოდ ხან-მოკლე სიცოცხლეს უწინასწარმეტყველებდნენ, დიდი მიზიდულობის ძალა აღმოაჩნდა და კიდევ უფრო საგულისხმო გახდა უკანასკნელი ორი საუკუნის, განსაკუთრებით კი, ბოლო ათწლეულების განმავლობაში, რაც უდავოდაა დაკავშირებული დროში ტრანსფორმაციის იმ უნიკალურ შესაძლებლობასთან, მეტაფორიზაციისა და მხატვრული ასახვის იმ მდიდარ თავისებურებებთან, მას რომ გამოარჩევს სხვა ჟანრებისაგან.

ცნობილია, რომ ლიტერატურული ზღაპრის უმთავრესი მახასი-თებლებია: ფანტასტიკური სიუჟეტი ან სიუჟეტისათვის რელევანტური ჯადოსნური ელემენტი, რეალური, გამოგონილი ან ზღაპრული გმირები, ნინა პლანზე წამონეული ავტორის ნება, გამოკვეთილი ეს-თეტიკური, მორალური თუ სოციალური პრობლემები, რომლებიც შესაძლებელია ყველა ხალხისა და ეპოქისათვის მეტ-ნაკლებად საერთო იყოს. ეს ასპექტი მას განსაკუთრებული შინაარსობრივ დატვირთ-

ვას სძენს მისთვის, ასევე, დამახასიათებელ მკაფიოდ სტრუქტური-რებულ და მთლიან სიუჟეტთან ერთად. ლიტერატურული ზღაპრის კიდევ ერთ განსაკუთრებულ თვისებას მისი ფოლკორულ ტექსტთან ორგანული კავშირი წარმოადგენს, რაც თავისთავად განაპირობებს სწორედ ტრადიციული კლიშეებისა თუ სახე-კონცეპტების რეპრეზენტაციით ახალი შინაარსობრივი, გამომსახველობითი თუ სტილისტური ფორმების წარმოქმნას. ამ თვალსაზრისით, ლოგიკურია, რომ მოდერნისტული მწერლობა დაინტერესდა ამ ლიტერატურული ჟანრით, რასაც ხელს უწყობდა უკვე არსებული ლიტერატურული ტრადიცია, ჟანრის პოპულარულობა, ასევე, ვერ უგულვებელვყოფთ მოდერნისტულ ესთეტიკაში მითის განსაკუთრებულ ფუნქციას, რომელსაც ეს ავტორები ზღაპართანაც უნდა მიეყვანა, რაც მოხდა კიდევ ევროპასა თუ რუსეთში (ო. უალდი, ა. ახმატოვა ა. ბელი, კ. ბალმონტი...).

მოდერნისტული ლიტერატურის მიერ შექმნილი ქაოსისა და აბსურდის სამყაროს, ამ სამყაროსა თუ ისტორიის პირისპირ მდგარი შეძრუნებული, დაეჭვებული და უსუსური ადამიანის მხატვრულ ინტერპრეტაციასთან ერთად ალტერნატივის – დროში მყარი ფასეულობების ძიება იყო. ამ დისკურსში ბოროტისა და კეთილის დიალექტიკური წინააღმდეგობა სამყაროს ალსასრულს კი არ მოასწავებდა, არამედ კანონზომერი მოვლენა იყო. აქ, კიდევ უფრო თვალსაჩინოდ, ჩვეულებრივი და არაჩვეულებრივი ერთმანეთის პარალელურად არსებობდა და მოდერნისტული პროზისათვის ასე ნიშანდობლივი რეალისტური და ირეალური პლასტიკის მონაცვლეობით იქმნებოდა ახალი მხატვრული სინამდვილე. შესაძლებელია მოდერნისტებისათვის უმთავრეს მიზანს არ წარმოადგენდა ადამიანის დაფარული სულიერი შრეების ჩვენება ისევე, როგორც ეს იყო დამახასიათებელი იმ ავტორებისათვის, რომლებიც სხვა მხატვრული მეთოდით ახდენდნენ საზოგადოებრივყოფითი პრობლემების რეპრეზენტირებას, მაგრამ, რამდენადაც მათთვის მნიშვნელოვანი იყო, მტრულად განწყობილი სამყაროს წინაშე პირისპირ მდგარი უსაყრდენო და მარტოსული ადამიანი, მის სულში, ცნობიერსა თუ არაცნობიერში მიმდინარე ფსიქოლოგიურ პასაუებს, შინაგან განცდებს, ფიქრებს, შეგრძნებებს საკმაოდ დაუთმეს ყურადღება და არაერთი საგულისხმო სიახლე შეიტანეს მის მხატვრულ ასახვაში. მტრულად განწყობილი სამყარო ბოროტების სახით არსებობდა, მასთან ბრძოლა სხვის დაუხმარებლად მოდერნისტული ლიტერატურის გმირისთვის ისევე შეუძლებელია, როგორც ფოლკლორულ ტექსტში მავნესთან გამკლავებაა წარმოუდგენელი შემნის გარეშე. ასეთ მოცემულობაში განსაკუთრებით მიმზიდველი ხდება ფოლკლორული ზღაპრის მყარი ჟანრობრივი სტრუქტურა როგორი თავისებურე-

ბით აგრძელებს ფუნქციონირებას სხვა მხატვრულ კანონზომიერებას დაქვემდებარებულ ტექსტში. „მორალური ფილოსოფია და ფსიქოლოგიური საფუძველი, პოეტიკის კანონები და ზღაპრის, როგორც ხალხური შემოქმედების ერთ-ერთი უძველესი სახის სტილი, ისეთია, რომ მწერლები, პოეტები და დრამატურგები ყოველთვის მიმართავდნენ მას თანამედროვეობის უმნიშვნელოვანეს კითხვებზე პასუხების ძიებისას თუ ადამიანური ყოფიერების „მარადიული“ პრობლემების მხატვრული გააზრების მიზნით. ზღაპარი (როგორც ხალხური შემოქმედების სახე) უნიკალურია იმიტომაც, რომ შეუძლია ლიტერატურულ ნაწარმოებში ტრანსფორმირება ისე, რომ არ დაიშალოს“ - წერს (ავტინიკოვა 2009) მოდერნისტებიც, როგორც დემიურგები, ლიტერატურულ ზღაპარს მიმართავენ, რათა ხელოვნების ნაწარმოების სახით შექმნან ახალი რეალობა და დაეხმარონ ადამიანს ეჭვებით სავსე სამყაროში საკუთარი ფუნქციისა თუ არსებულ კითხვებზე პასუხების პოვნაში.

მეცნიერის აზრით, XX საუკუნის დასაწყისის ზღაპარი რთული ტექსტია, რადგანაც ის ერთანირადაა დაკავშირებული ხალხურ და მსოფლიო კულტურასთან, მითოლოგიასთან და, ასევე, გამოიჩინება მრავლებანრულობით, რომელთაგან გამოყოფს: ზღაპარ-ნოველას, ზღაპარ-ლეგენდას, ზღაპარ-თქმულებას, ზღაპარ-ლირიკულ მინიატურას, ზღაპარ-მითს და ა. შ. ხოლო იმ ფაქტს, თუ რატომ მიმართეს XX საუკუნის პირველი მეოთხედის ავტორებმა ზღაპარს, ხსნის არამხოლოდ ამ უანრისათვის არსებითი „სასწაულისა და იდუმალის ესთეტიკის მიზიდულობით“, არამედ საკუთარი მითის შექმნისა და მისი საშუალებით აზრის სიღრმისა და ფანტაზიის დახვენილობის, ასევე, ერის სულიერი სიღრმეების წვდომის შესაძლებლობით (ავტინიკოვა 2009). მართალია, ავტინიკოვას ეს შეხედულება XX საუკუნის დასაწყისის რუსულ მწერლობას უკავშირდება, მაგრამ ის კარგად გამოხატავს მოდერნისტული ესთეტიკის ერთ-ერთი ძირითადი ელემენტის – მოთოსმოკლებულ დროში ახალი მითისებმნადობის კონცეფციას, რაც თავის მხრივ მნიშვნელოვანი დისკურსი იყო ქართულ ხელოვნებაში. ამასთან ადასტურებს ლიტერატურათმცოდნეთა მიერ არაერთხელ გამოთქმულ შეხედულებას იმასთან დაკავშირებით, რომ ლიტერატურული ზღაპარიც ისევე აირეკლავს თავის ეპოქის ლიტერატურულ-ესთეტიკურ თავისებურებებს, როგორც ნებისმიერი სხვა მხატვრული ტექსტი.

XX საუკუნის დასაწყისის ქართული მწერლობის განახლება მოდერნისტულ მსოფლალქმას დაუკავშირდა, რაც უანრობრივი მრავალფეროვნებითა და თხრობის ახალი ტექნიკით გამოიხატა. ამ პროცესის კვლადაკვალ ქართულ მოდერნისტულ პროზაშიც გაჩნდა ლიტერატუ-

რული ზღაპარი, ზღაპარი-მინიატურა, ფეერია – თავისებური სახე-სხვაობა ზღაპარი-მინიატურისა. მიუხედავად იმისა, რომ ქართველ მოდერნისტ ავტორთა შემოქმედებაში გამოვლენილი ეს ტენდენცია არაა მასშტაბური ხასიათის, თავად ქართული ლიტერატურული ზღაპრის განვითარებაში თვისებრივად ახალი ეტაპია, რომელიც კარგად აჩვენებს ქართული ხალხური ზღაპრის მდიდარ ტრადიციას, XIX საუკუნის ქართული თუ უცხოური მწერლობის გამოცდილებას, რაზეც მეტყველებს ის ფაქტი, რომ ისეთი ავტორები, როგორებიც არიან: პო, ჰაუპტმანი, მეტერლინგი, უაილდი ... კარგად არიან ცნობილი ამ პერიოდის ქართველი მკითხველისთვის.

XX საუკუნის დასაწყისის ქართული ლიტერატურის განახლების საქმეში არაერთი ამ პერიოდის ქართველი შემოქმედები მონანილეობენ, როგორც ქართული ლიტერატურული ზღაპრის ავტორებიც. მათ მიერ ტექსტები საყურადღებოა არამხოლოდ ამ კონტექსტში, არამედ ლიტერატურული ზღაპრის უანრული მახასიათებლების ინდივიდუალური ხელწერით გამოვლენის გამოც. ამ თვალსაზრისით, პირველ რიგში უნდა დავასახელოთ ნიკო ლორთქიფანიძე, რომლის ზღაპრებმა შესანიშნავად აჩვენეს ეპოქის ლიტერატურული პროცესისათვის დამახასიათებელი თავისებურებანი, ასევე, ოსტატურად ნარმოაჩინეს კლასიკური ზღაპრის რელევანტური ელემენტების ავტორისეული გააზრების შედეგად ფოლკლორული ტექსტის კანონზომიერების რღვევის თავისებურებანი. ამის კარგი მაგალითებია: „ცხოვრების მეფე“, „ზღაპარი მეფის სასახლეში“ და „ზღაპარი“.

„ცხოვრების მეფეს“ ავტორი “სამარადისო ზღაპრებად” მიიჩნევს და ხაზს უსვამს დაწერის ადგილს, დროსა და ვითარებას. შექმნის ადგილი – ბოსელი – აბსოლუტურ კონტრასტშია იმ ჰარმონიასა და ფერიულ მშვენიერებასთან, რომელიც მასშია აღნერილი. საინტერესოა თხზულების კომპოზიცია. საკუთრივად მწყობრ სიუჟეტურ ქარგაზე, ფაქტობრივად, რამდენიმე ზღაპარია აგებული, რაზეც ავტორი თავად მიგვანიშნებს, როცა ნაწარმოებს სამარადისო ზღაპრებს (და არა ზღაპარს) უწოდებს. ესენია: I. მეფის ასული ამბავი; II. ოქრომჭედლის თავგადასავალი და III. მეფეთა მეფის ამბავი. ნიკო ლორთქიფანიძე არ მისდევს კლასიკური ზღაპრის სიუჟეტს, რომლისაგან განსხვავებით გმირი ბედნიერებას დაუბრკოლებლად აღნებს, მაგრამ ბედნიერება, რომელიც მეფის ასულისა და ოქრომჭედლის სამეფოში სუფევს, სამუდამო რომ ვერ იქნება, მიგვანიშნებს მეტატექსტად ჩართული ოქრომჭედლის ზღაპარი: „ატყდა ოქრომჭედლის სამეფოში ტირილი და კბილთა ღრჯენა, რადგან დაიკარგა სურვილი წარმოებისა, გაძლა გული და ალარა იყო რა საიდუმლ“, – გვეუბნება მწერალი (ლორთქიფანიძე

1959: 143). ასეთი ბოლო უნდა ვივარაუდოთ ბედნიერი დედოფლისა და ოქრომჭედლის ყოფისაც. მწერლის აზრით, მიღწეულით კმაყოფილება კვდომის ტოლფასია, ამდენად დედოფლის ბედნიერებაც დროებითა, მაგრამ თავად ეს პრობლემა მარადიულია. ამიტომ უწოდა კომპოზიციურად კარგად შეკრულ ერთ ნაწარმოებს ნიკო ლორთქიფანიძემ სამარადისო ზღაპრები.

თხზულების – „ზღაპარი მეფის სასახლეში“ არსი პესიმისტურია. კლასიკური ზღაპრისგან განსხვავებით უფლისწული საერთოდ ანებებს თავს მზეთუნახავის ძებნას. ნაწარმოებში ერთდროულად ორი სივრცეა. ტექსტში ასახული რეალურ-ყოფითი სივრცე და ერთ-ერთი პერსონაჟის მიერ ნაამბობი ზღაპრის სივრცე. ნაწარმოების მოქმედი პერსონაჟები განსხვავებულ დამოკიდებულებას ამჟღავნებენ ზღაპრის სივრცეში მომხდარ ამბავთან. ამ პლასტით ცხადი ხდება ავტორის პოზიცია, რომ გარესამყაროს მიმართ ერთნაირი მგრძნობელობა არ ახასიათებს მწერალსა და ჩვეულებრივ ადამიანს, რაც იმპრესიონიზმის ესთეტიკისათვის ნიშანდობლივი აპოლიტიკურობის, ინდივიდუალიზმის, ასევე, ხელოვნების ფუნქციით განსაკუთრებული დაინტერესების გამოხატულებაა (ნ. ლორთქიფანიძის ზღაპრების მხატვრულ თავისებურებებზე უფრო დეტალურად იხ. კუტივაძე 2010: 27-34).

ლიტერატურული ზღაპარი, როგორც ჟანრი, საგულისხმოა ჯაჯუჯორჯივიას პროზაში. ავტორს მაღალი შეფასება მისცა ისეთმა ცნობილმა კრიტიკოსმა, როგორიც გახლდათ კიტა აბაშიძე, რომელმაც მისი თხზულებები ო. უალიძის ზღაპრებასაც შეადარა. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ 1910-იანი წლების ქართული ტექსტების ერთი ნაწილის ლექსიკური ქსოვილი აშკარად განიცდის მსგავსებას ოსკარ უაილდის ზღაპრების მხატვრული ენასთან, რაც სიტყვის, როგორც იდუმალის გაცხადებული ნიშნის, გააზრების მოღერნიზმისული თავისებურების გამოხატულებაა. ამდენად, ჯორჯივიას დახვეწილი და ფერადოვანი ენა არამხოლოდ მოგვაგონებს უაილდის ტექსტებს, არამედ თავისი დროს ლიტერატურული პროცესის ნიშან-თვისების ერთ-ერთი გამოვლინებაცაა.

ანტიკური სახეებით ალუზირება ქართველ მოდერნისტთა შემოქმედებაში ერთ-ერთი გავრცელებული მხატვრული ხერხია. ამ თვალსაზრისით, საყურადღებო მიმართება მყარდება მითსა და ლიტერატურულ ზღაპარს შორის. ამ შემთხვევაშიც, თითქმის ისევე, როგორც ფოლკლორულ ტექსტში, შესაძლებელია ვისაუბროთ მყარად ჩამოყალიბებული სტრუქტურისა და მისი რელევანტური ელემენტების ტრანსფორმაციის თავისებურებებზე და რაც წარმატებით რეპრეზენტირდება სხვა არაერთ ლიტერატურულ ჟანრში. ამ კუთხით საყურადღებო

მასალას გვაწვდის ჯაჯუ ჯორჯიკიას თხზულებები: „შენ ვინა ხარ?“, „ქალი, რომელსაც თავისი სახე არ უნდა ენახა“, „სიყვარულის აპოლოგია“, რომლებშიც წარმატებით გამოიყენა ავტორმა სირინოზისა და ნარცისის მითები, ასევე, ვენერასა და იუპიტერის მხატვრული სახეები და სხვ. ამ მცირე მასალზე დაყრდნობითაც შესამჩენია, რომ ანტიკური მითები ის ნაყოფიერი საფუძველია, რომელზეც წარმატებით ამოიზრდება ლიტერატურული ზღაპარი, ერთგვარი ახალი ზღაპარი-მითი.

მხატვრული სტრუქტურის თვალსაზრისითაც და კონცეპტუალურად გამოირჩევა ჯორჯიკიას ზღაპარი „კოშკის საიდუმლო“. სპარსეთის მეფის გამოგონილმა მითმა კოშკში მყოფი ლამაზი ასულის შესახებ ბიძგი მისცა შემოქმედებით აღმავლობას ქვეყანაში. „იმ ცარიელმა კოშკმა აღზარდა არა ერთი მგოსანი, მეცნიერი, მწერალი, მემუსიკე ხელოვანი. – დიახ, ამ კოშკმა დიდი სამსახური გაუნია სპარსელებს, – თქვა მეფემ და სული განუტევა“ (ჯორჯიკია 1986: 61), – ამბობს ავტორი. 1911 წელს დაწერილი ეს ტექსტი უფრო მეტ აქტუალურობას იძენს შემდგომი პერიოდის მოვლენების კონტექსტში და ნათლად ამჟღავნებს ხელოვნების წინასწარმეტყველური ბუნების არსას. ზღაპარი თავისი სპეციფიკით ამგვარ შესაძლებლობას აშკარად მოიცავს, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს ნოვალისის მოსაზრებას, რომ კარგი მეზღაპრე წინასწარმეტყველია.

სტილისტური თვალსაზრისით, განსაკუთრებით საინტერესო ზღაპარი-მინიატურების ციკლი „შინიდან გაპარული ზღაპრები“, რომელიც საგულისხმოა იმითაც, რომ სხვა ზემოთ განხილული ტექსტებისაგან განსხვავებით, მას თავად ავტორი უწოდებს ზღაპრებს და ძირითადად იმავე მოტივებზეა აგებული, რომლებიც უფრო ვრცელი მოცულობის ტექტებში გვხვდება.

უნდა ითქვას, რომ ჯაჯუ ჯორჯიკიას ლიტერატურული ზღაპარი გამოირჩევა სტილის დახვენილობით, თემატური მრავალფეროვნებით და აშკარად აჩვენებს ავტორის შემოქმედებით პოტენციალს.

ახალი ლიტერატურული გემოვნების ჩამოყალიბებისათვის დიდი ძალისხმევა გასწიეს „ცისფერყყანელებმა“, რომელთაც უმნიშვნელოვანესი წვლილი შეიტანეს ეროვნული კულტურის ევროპული მწერლობის გამოცდილებით გამდიდრებასა და გამრავალფეროვნებაში. ქართული სიმბილისტური პროზის მხატვრულ თავისებურებებზე საუბარი წარმოუდგენელია სანდრო ცირეკიძის „შემოქმედების გარეშე. ის ფაქტი, რომ სანდრო ცირეკიძეს „ყველაზე თამამ ექსპერიმენტატორადაც“ (ჯალიაშვილი 2010: 3) მოიხსენიებენ მისი წვლილის აღიარებაა.

ბუნებრივია, ახალი პოეტური სამყაროს შექმნა, რომელიც ევროპულ ფილოსოფიურ წანამძღვრებსა და მწერლობის მიღწევებზე იქნე-

ბოდა დაფუძნებული, მხოლოდ სანდრო ცირკების პოეტურ კრედოს არ წარმოადგენდა, მაგრამ საგნები, როგორც მხატვრულ სახეებად გარდაქმნილი სამყაროს არსობრივი ნიშნები, ძალზე დამახასიათებელი ინდივიდუალურ გამოვლინებას პოულობდა არამხოლოდ მის ლექსებში, არამედ კიდევ უფრო მძაფრად წარმოჩნდებოდა მის მინიატურებში. ბუნებრივია, ამგვარი ესთეტიკური მიდგომით, გამოუთქმელის შემცნებითა და მისი განზოგადებას მდიდარი შესაძლებლობებით გამოიჩინა სანდრო ცირკების ზრაპარი-მინიატურები, რომელთაგან უნდა გამოვყოთ: „NOCTURNE“, „ლურჯთვალა“ და ლიტერატურული ზღაპარი: „მუნჯი მოციქული“.

„NOCTURNE“ კარგად ცნობილი ტექსტია, მაგრამ მას ამჯერად ყურადღება გვინდა მიგაპყოთ, როგორც ლიტერატურულ ზღაპარს. ბროლის კოშკში დატყვევებული მშვენიერი დედოფლის ალუზინებით შემოთავაზებულია კაფეში მჯდომი მომხიბვლელი არსება, რომელიც ერთდროულად რეალურიცაა და ლანდურიც. დედოფლის მნუხარებას მხოლოდ პოეტი განიცდის, რადგან მისი მოხელთება მხოლოდ შემოქმედის მგრძნობელობით შეიძლება და კონკრეტული შტრიხებიც (ლურჯი თვალები, ალმასის საყურებები, თალხი კაბა გიშრის ღილებით) საცნაური მხოლოდ იმისთვისაა, ვისაც მისი მნუხარების განცდა შეუძლია (ცირკები 2010: 49-50). რა თქმა უნდა, როგორც მოსალოდნელი იყო ფრაგმენტულია ეს სურათი და სიუჟეტის განვითარებაც და ამბავიც აქ წყდება.

განსხვავებულია მეორე მინიატურა – „ლურჯთვალა“, რომელიც ზღაპრის ტრადიციული კლიშეთი იწყება, მაგრამ წინადადებას – „იყო და არა იყო რა, ჩემს დედოფალზე უკეთესი ვინ იქნებოდა?!“ კითხვა-ძახილის ნიშანი ორაზროვნად აქცევს და მინიატურის დასასრული ორი შესაძლო ვარიანტის სახით არსებობს. ორივეს თავისი ადრესატები ჰყავს ტექსტის მიხედვით. თუ მგოსნები და მუსიკოსები „სასოებით შესცემროდნენ ბროლის კოშკს“ (ცირკები 2010: 116), მეცნიერებმა იქ მხოლოდ თოვლი დაინახეს. აღნიშნული ზღაპარი კარგად აჩვენებს საგნების ხელოვნებაში გადმოტანის ავტორისეულსა და აძავე დროს მოდერნისტებისათვის დამახასიათებელ თავისებურებებს. სანდრო ცირკები თავის ესეში – „პარალელები“ წერდა: „პოეზიაში მოვლენები იწმინდებიან და მარადიულის შრიალი ისმის იმათ იქიდან. ნივთები აითვისებიან, როგორც ნიშნები გამოუთქმელის და სახეები ხდებიან ღირებულებათ“ (ცირკები 2010: 167). ამ მოსაზრების ოსტატური მხატვრული რეალიზებაა აღნიშნული ტექსტი, რომელმაც კარგად აჩვენა სამყაროს პოეტური (მოდერნისტული) და რეალისტური აღქმის თავისებურება.

გვინდა შევჩერდეთ სანდრო ცირკეკიძის კიდევ ერთ ზღაპარზე – „მუნჯი მოციქული“. ბედნიერი დედოფალი იჭვით აავსო მუნჯმა მოციქულმა – ბოროტმა სულმა და ძონძებში გახეულ მოხეტიალე მათხოვრად აქცია, რომელსაც აღარ ძალუძს თავი დააღწიოს მუნჯ მოციქულს. საყოველთაო ფასეულობებში დაეჭვებისა და ღირებულებათა გადაფასების ეპოქაში ასეთი მხატვრული სახის შექმნა ავტორის პოზიციადაც შეიძლება იქნას აღმული. საყურადღებოა, რომ ცირკეკიძის იმ მინიატურებში, რომლებშიც ვერ ვისაუბრებთ ზღაპრის ნიშან-თვისებებზე, კულტივირდება გაუტეხელი, ერთგული ქვეშევრდომების მყოლი დედოფლის მხატვრული სახე, რაც ერთგვარი მცდელობაა დროში მოვლენათა და განცდათა გამთლიანებისა („რაინდთა ლანდები“, „რომანი“).

ცირკეკიძის ზღაპარ-მინიატურები ისევე, როგორც მთელი მისი შემოქმედება, გამოირჩევა დახვეწილი სტილითა და თითქმის გამოქანდაკებული ფრაზებით, რომლის ყოველ სიტყვასაც თავისი განუმეორებელი ფუნქცია აქვს მინიჭებული. „...მოდერნისტები ზღაპარში რეალობიდან „გასვლის“ და ტრანსცენდენტთან ზიარების ჩინებულ საშუალებას ხედავდნენ...“, -აღნიშნავს ლევან ბრეგაძე (ბრეგაძე 2016: 428). სანდრო ცირკეკიძის ზღაპარ-მინიატურები ამ თვალსაზრისითაც საგულისხმო თხზულებებია და კარგად გვარჩნმუნებს ზოგადად ლიტერატურული ზღაპრის ჟანრობრივი თუ იდეოლოგიური არსენალის მრავალფეროვნებაში.

სერგო კლდიაშვილიც ერთ-ერთი ის „ცისფერყანწელი“ გახლდათ, ნიჭიერი ფერმწერის სისადავით, მოვლენათა არსის ძიებითა და ორიგინალური ხედვით რომ გამოირჩეოდა. „აზნაურ ლახუნდარელის თავგადასავალი“ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თხზულებაა, რომელიც საყურადღებოა შინაარსობრივი პლანით და კიდევ უფრო მეტად სტრუქტურული თვალსაზრისით. ალსანიშნავია, რომ მას ქართული ლიტერატურული ზღაპრის განვითარებაში საეტაპო მნიშვნელობასაც ანიჭებენ (მ. ქურდიანი). თხზულებაში ოსტატურადაა გამოყენებული ავტორის ნიღბის საკმაოდ გავრცელებული ტექნიკა. გარდა ამისა, ის ავლენს სხვა მნიშვნელოვან თავისებურებებსაც, თუმცა ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ მასში ძალიან მკრთალია მოდერნიზმისათვის დამახასიათებელი ნიშნები. ნანარმოებში ორი ქრონოტოპი მოქმედებს. ერთი თითქმის სტატიკურია და შვიდ დღეს გრძელდება – ბაბუა მასპინძლობს მეგობარს, რომელიც უყვება თავის თავგადასავალს, რომელიც პირველისაგან აბსოლუტურად განსხვავებული დრო-სივრცული მოდელია (აერთიანებს მრავალ ქვეყანასა და სხვადსხვა დროს). შესაძლებელია ვისაუბროთ მესამე – ავტორის ქრონოტოპზეც, რომელშიც წინა ორივე მოდელი ერთდროულად აღდგება.

ზეპუნებრივი ძალით დაჯილდოებულ ჯორზე ამხედრებულ ლა-სუნდარელს სხვადასხვა ქვეყანაში არსებული ჩვეულებრივი თუ არაჩვეულებრივი ვითარება საინტერესო გამოცდილებით ამდიდრებს, მაგრამ ამჯერად გამოვყოფთ ერთ ეპიზოდს – სახელმწიფოს სადაც ადამიანს ჯერ სიკვდილით სჯიან და შემდგომ არკვევენ, დამნაშავეა თუ არა. თუ გამართლებულად მიიჩნევენ, იქაურ მოქალაქეებს ავალ-დებულებებს, „ამიერიდან და მარადის ისე მოიხსენიოთ, როგორც თა-ვისი ქვეყნის გულშემატკივარი და გულწრფელად მოყვარული ადა-მიანიო...“ (კლიფიაშვილი 1975: 30). ავტორი მიგვანიშნებს, რომ ეს ძევლი წესია და მას ვერ შეცვლიდნენ, სქოლიოში კი მკითხველს შეახსენებს, რომ შოტლანდიაში ამგვარ სამართალს „ჯერატის სასამართლოს“ უწოდებდნენ (კლიფიაშვილი 1975: 30). ეს ეპიზოდი შესაძლებელია ტოტალიტარული სახელმწიფოს ალეგორიადაც ყოფილიყო გააზრებული, რომ არა აღნიშნული ექსტრატექსტური დეტალი. მაინც გვინდა შევნიშნოთ, რომ საბჭოთა ტოტალიტარული სისტემა არაფრით გასხვავდებოდა შუასაუკუნეებისა თუ კიდევ უფრო გვიანდელი ეპოქების სისასტიკისგან და, ბუნებრივია, ეს დისკურსი მუდმივად აქტუალური იქნება, მიუხედავად მისი მხატვრული ინტერპრეტაციის თავისებურებებისა. ცნობილი ლიტერატურათმცოდნის ტოპოროვის მოსაზრების თანახმად, „ნანარმოების „გზას“ აქვს ჰორიზონტალური (ფიზიკური) და ვერტიკალური (სულიერი) ფორმა. გმირის მოგზაურობაც მხოლოდ სულიერ პლანშია შესაძლებელი იყოს ვერტიკალური, ჰორიზონტალური სვლა კი ხელენიფება როგორც გმირს, ის ჩვეულებრივ მოკვდავს (ტოპოროვი 1983). ლახუნდარელიც ჰორიზონტალურად გადის გზას. ბრუნდება იქ, საიდანაც დაინყო მისი უწნაური მოგზაურობა. აქ ჩვენ ვერ ვისაუბრებთ რთულ სულიერ პლასტებზე, მაგრამ გმირი მაინც იძენს გარკვეულ გამოცდილებას, რომელიც ამგვარად ფორმულირდება – სამყარო ძალიან მრავალფეროვანია და ეს ადამიანმა აუცილებლად უნდა განიცადოს.

საყურადღებოა სერგო კლდიაშვილის კიდევ ერთი თხზულება – „გამოუცნობი საიდუმლო“. ათგვერდიასტექსტს ავტორი უწოდებს რომანს, რომელიც შედგება პროლოგის, ეპილოგისა და ხუთი წიგნისაგან. მაო-მაოს მთავრის ასული ორ სახელგანთქმულ რაინდს უყვარს. მათი დაპირისპირება ვერაგობითა სავსე. საბოლოოდ ლირსებაშელახული რაინდი – გოდერძი – თავს იკლავს, რაზეც ავტორი შენიშნავს, რომ ასეთი გადაწყვეტილება მეუღლის დაუინებული თხოვნის გამო მიიღო, რითაც, ფაქტობრივივად, გაიზიარა მისი შეხედულება ხელოვნების ბუტაფორიულობის შესახებ. ამგვარი ფინალი თავისი არსით უფრო პოსტ-მოდერნისტულ თამაშს უახლოვდება. საგულისხმოა, რომ ხელოვნების

ბუტაფორიულობის შესახებ საუბრობს თავის ერთ ესეში სანდრო ცი-რეკიძეც, რომლის მოსაზრება: „სოფელს დიდი ხანია გაუტნდა ორეული და მიჩვენებებით დასახლდა ქვეყანა (ცირეკიძე 2010: 161) კონცეპტუა-ლური თვალსაზრისით პირდაპირ კავშირშია სერგო კლდიაშვლისეული ლანდების ესთეტიკასთან ისევე, როგორც სანდრო ცირეკიძის მოსაზ-რება „პოზია ქვეყნის ბუტაფორიული გამართლებაა“ (ცირეკიძე 2010: 163) პირდაპირ პარალელს პოულობს კლდიაშვილის ზღაპრის დასას-რულთან და მის ავტორისეულ ინტერპრეტაციასთან.

სერგო კლდიაშვილი ზღაპარი ჟანრობრივი თავისებურებების გამოვლენის თვალსაზრისით უაღრესად საგულისხმოა. ავტორი მთლი-ანად დასცილდა ფოლებორულ ტექსტს და მის განმსაზღვრელ მახა-სიათებლებს, რითაც მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართული ლიტერატურული ზღაპრის გავითარებაში.

გვერდს ვერ ავუვლით გრიგოლ რობაქიძის ზღაპარ „ორი ქმას“, რო-მელიც მოგვიანებით 1941 წელს გამოქვეყნდა გერმანულ ენაზე. მასში არაერთი ლიტერატურული ტენდენცია აირეკლა. სარწმუნოდ მიგვაჩნია ნუგეშა გაგნიძის ვარაუდი, რომ ავტორი უნდა იცნობდეს ქართულ ხალხურ ზღაპარს – „სასწაულ-მოქმედი პერანგი“, ამავე სახელწო-დების ძველგვიპტურსა და ძმები გრიმების ზღაპრებს (იხ. გაგნიძე 2011: 198-211). რა თქმა უნდა, მწერალი საკუთარი კონცეფციის შესაბამისად რეპრეზენტირებს. ჩრდილოეთითა და სამხრეთით ბედნიერების საძებ-ნელად წასული ძმები შეძლებენ ყველა წინააღმდეგობის გადალახვას. უფროსი ძმის დახმარებით უმცროსი ჯერ გაცოცხლდება, შემდგომ კი შეასრულებს რთულ დავალებას – პატარძალს ოქრომკერდით წაქსოვ გაუკერავ პერანგს დაუბრუნებს და პრინცესასთან ერთად პერანგზე დამჯდარი ცაში აფრინდება (რობაქიძე 2016: 32-35).

ტრადიციული ჯადოსნური ზრაპრის შესაბამისად, ტექსტში გვაქვს ფუნქციური წრეები – ანტაგონისტის, მაენის, შემწის, ცრუგმირის, გმირის, გვაქვს ასევე, ჯადოსნური საგანი, ჯადო-სასწაული, რაც არსებითია, როდესაც ლიტერატურულ ზღაპარზე ვსაუბრობთ. მარ-თალია, ეს ყველაფერი დამორჩილებულია ავტორის წებას და მოდი-ფიცირებულია მისი სურვილისამებრ, მაგრამ არსი შენარჩუნებულია. აღსანიშნავია, რომ მწერალი ძირითადად ინარჩუნებს ფოლკლორული ზღაპრისათვის დამახასიათებელ ლაკონურ სტილს და არ მიმართავს ფსიქოლოგიურ პასაჟებსა თუ გმირთა მოქმედების დამატებით მოტივირებას.

ზღაპრის გასაზრებლად მნიშვნელოვანია მწერლის მიერ ძმების გამგზავრების მიმართულების შერჩევა, რაც, ბუნებრივია, შემთხ-ვევითი არ არის. სამხრეთითა და ჩრდილოეთით წასული ძმები ხვდები-

ან ერთმანეთს და უნდა ვივარაუდოთ, რომ ბეჭნიერი ქორწინებაც აუცილებლად და სამუდამოდ შედგება, რადგან ზეცაში გაფრინდნენ. რობაქიძის „მიერ ჩრდილოეთის და სამხრეთის არჩევა ძმების გამგზავრების მიმართულებებად შემთხვევით არ უნდა იყოს. საქართველოსთვის ჩრდილოეთით ევროპული ქვეყნებია, ხოლო სამხრეთით აღმოსავლური ქვეყნები. მნერალი კი, როგორც ზღაპარს დართული მინიატურები და მინანერი ცხადყოფენ, განსაკუთრებულ აქცენტებს სწორედ სპარსეთზე აკეთებს“ (გაგნიძე 2011: 198-211). ეს ძალზე მნიშვნელოვანი და ორიგინალური პასაჟია, მით უფრო, რომ აკაკი წერეთელთან ცხრაკლიტულში დამწყდეული მზეთუნხავი გამოსახსნელია, ვაჟასთანაც, რომელიც ასევე ამუშავებს სამი ძმის მოტივს, აქცენტირება რუსთა ქვეყანაზე და მასთან დაკავშირებული მოლოდინის გაცრუებაზეა. აკაკისა და ვაჟას, რომელთა შემოქმედებაც გრ. რობაქიძისათვის ძალზე მნიშვნელოვანი იყო, ზღაპრებში დამუშავებულ ამ თემებს აბსოლუტურად განსხვავებულ გააზრებს სძენს „გველის პერანგის“ ავტორი, რაც შემთხვევით არ არის. მას არ ავიწყდება თავისი დატყვევებული და ბედკრული ქვეყანა, მაგრამ ისიც საყოველთაოდაა ცნობილი, რომ გრ. რობაქიძე მთელი თავისი შემოქმედებით ნერგავდა ურყევ რწმენას, რომ საქართველო მოიპოვებდა თავისუფლებას და მას ამ გზაზე ერთნაირად უნდა ეძებნა მოკავშირე სამხრეთითაც და ჩრდილოეთითაც, რომელშიც, თუ დაწერის თარიღსაც გავითვალისწინებთ, ნაკლებსავარაუდოა, რუსთი იგულისხმებოდეს, ამასთან ტექსტი შესაძლოა ასევე გააზრებულ იქნას, როგორც აღმოსავლეთისა და დასავლეთის კულტურული დიალოგის მხატვრული ინტერპრეტაცია და მეტაფორიზაცია.

როდესაც ვსაუბრობთ ლიტერატურულ ზღაპარზე, როგორც უანრზე, რომელიც ქართველ მოდერნისტ მნერალთა შემოქმედებაში მეტ-ნაკლებად გამოვლინდა, გვერდს ვერ ავუვლით ალექსანდრე აბაშელის ნანარმოებს „ატმის ყვავილი“. თხზულება ლიტერატურული ზღაპრის არაერთ მახასიათებელს შეიცავს და, მიუხედავად იმისა, რომ იგი, საქმაოდ გვიან, ავტორის გარდაცვალების შემდეგ გამოქვეყნდა, მოდერნისტული ესთეტიკის განმაპირობებელ ნიშანთა და სახე-სიმბოლოებითაც საკმაოდ დატვირთულია. ეს გამოიხატება ფერადოვანი ენობრივი ქსოვილით, სომბოლურ-მეტაფორული გააზრებით დატვირთული პლასტით და ამავდროულად მეტი, თუმცა რამდენიმეშრიანი სიუჟეტური სტრუქტურით, რაც მას მნიშვნელოვან ლიტერატურულ ტექსტად აქცევს.

ტექსტში ზღაპრის კლიშეების გადათამაშება არაერთხელ ხდება. ასევე, ვხვდებით ფოლკლორული ზღაპრებისათვის კარგად ნაცნობ

მოტივს – მამის დარიგების კვალდაკვალ წასულ შვილს და ისეთ გზა-სივრცულ მოდელს, როგორიცაა: „ბევრი იარა თუ ცოტა იარა“, მაგრამ ავტორი თითქმის არ მიჰყვება ზღაპრის კანონზომიერებას და კიდევ ერთხელ უბრუნდება სიკვდილ-სიცოცხლის ფილოსოფიურ გააზრებას, პიროვნული სკეპსისით შეპყრობილ ადამიანს, სწორედ ამ სკეპსისის გამო რომ უსხლტება ხელიდან ბეჭნიერება. ბეჭნიერების ილუზორულობის კარგად ნაცნობი თემის გაღრმავება აქ ბუნებრივად ხდება სიყვარული-სიკვდილის არქეტიპით, რომლის ვარირებით, ფაქტობრივად, ტექსტში სამი დამოუკიდებელი ამბავი (ნადირის სიყვარულის ამბავი, ატმის ყვავილის ზღაპარი, ზღაპარი სიკვდილის ყვავილზე) იკვრება ერთ მთლიანობად.

ნაწარმოებში ალუზირდება ო’ჰენრის „უკანასკნელი ფოთლის“ ზოგიერთი პასაჟი. მნიშვნელოვანია, ასევე, ატმის ყვავილი და ატ-მის ხე, როგორც მეტაფორები. ხე ბიბლიის მიხედვით სიცოცხლის ხის სიმბოლოა, რომელშიც ღმერთი იგულისხმება. სწორედ მათთანაა დაკავშირებული ტექსტის უმთავრესი მსოფლმხედველობრივი ხაზი, რომელშიც კარგად გამოიკვეთა სიკვდილის ესთეტიზაციის ასე კარგად ნაცნობი თეზა და კიდევ ერთხელ მიეცა მხატვრული ფორმა სიყვარული-სიკვდილის ტრაგიკულ არქეტიპს. თუ მეტატექსტებში გადაულახავი ნინაალმდეგობა თავს იჩენს დაბალი ფენიდან გამოსული სატრფოს მიუღებლობის ფორმით, მოდერნისტულმა ტენდენციამ სწორედ იმით იჩინა თავი, რომ ახალი ინტერპრეტაციისას ბოროტ სულად, აჩრდილად მოგვევლინა სატრფოს სულში ჩასახლებული ეჭვი, რომლის მაპროვოცირებელ იმპულსად სხვა ტექსტი, სხვისი ისტორია იქცა, რაც თავისთავად, ანგარიშგასანევი ფაქტორია, როდესაც ლიტერატურული ზღაპრის თავისებურებებს ვიკლევთ.

ატმის ყვავილის მეტაფორაში გალაკტიონთან ერთდება მშვინიერება და სიკვდილი. საგულისხმოა, რომ ალექსანდრე აბაშელის ერთ-ერთი საკმაოდ ცნობილი ლექსია „ატმის ყვავილები“, რომელშიც ატმის ყვავილი ქალის მიერ მოძღვნილი სიყვარულია, შავი მამალი რომ ემტერება. ასე რომ, შემთხვევით არც აბაშელის პროზაულ ტექსტში ჩნდება საათაური – ატმის ყვავილი. იგი კარგად აჩვენებს მარადიულს ცვალებად სამყაროში. ასევე, ყველა იმ თავისებურებას, რომელიც ახასიათებს ავტორის ნარატივს ხალხური მეზღაპრის ტექსტისაგან განსხვავებით.

ლიტერატურული ზღაპრის მხატვრული ტრანსფორმაციისა და ინტერპრეტაციის თავისებურებების გამოვლენით ძალზე საგულისხმოა დემნა შენგელაია. ამ თვალსაზრისით, ცალკე კვლევის ობიექტია რომანი „სანავარდო“, რომელშიც მწერალმა წარმატებით გამოიყენა

სწორედ მითი-ზღაპრის ფორმა და იგი მთლიანად დაუქვემდებარა ნაწარმოების დედააზრის სიმბოლურ-მეტაფორულ გააზრებას. დემნა შენგელაიას დამოუკიდებელი სახითაც აქვს გამოქვეყნებული ლიტერატურული ზღაპრები, რომელთაგან აღსანიშნავია ჩრდილოეთის პატარძალი, განსაკუთრებით კი ნაცარქექია. ეს უკანასკნელი ტიპური ფოლკლორისტული ხასიათის ნაწარმოებია და მასში ნაცარქექიას სახის ძალზე საინტერესო გადააზრებასთან გვაქვს საქმე, მაგრამ იგი ცაკლე მსჯელობას მოითხოვს.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ლიტერატურული ზღაპრის განვითარება XX საუკუნის პირველ მეოთხედში სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსულ ავტორთა შემოქმედებაში, მიუხედავად იმისა, რა მოცულობით მიმართა მას ამა თუ იმ მწერალმა, აშკარად დაუკავშირდა მოდერნისტულ ესთეტიკას და იმ სახლებს, რომლებმაც სწორედ მოდერნისტული გამოცდილების კვალდაკვალ არაერთი მნიშვნელოვანი სიახლე მოიტანა ქართულ ლიტერატურაში. განსაკუთრებით ნაყოფიერი ამ თვალსაზრისით აღმოჩნდა ზღაპარი-მინიატურა, კიდევ უფრო მეტად რომ წარმოაჩინა ავტორის ინდივიდუალური ხელწერა და დაშორდა ფოლკლორულ საწყისს, თუმცა ეს სრულებით არ ნიშნავს, რომ ავტორები უარს ამბობენ ფოლკლორული ზღაპრების გადამუშავების არანაკლებ ნაყოფიერ ტრადიციაზე, რომელიც ზოგადადაც გავრცელებულია 1930-იან წლებში.

მოდერნისტული ეპოქის ზღაპრებმა ქართულ მწერლობაშიც ისევე, როგორც სხვა ქვეყნების ლიტერატურაში, აჩვენა ავტორთა ლიტერატურულ ესთეტიკური თუ ფილოსოფიურ-მორალური მრწამისი, წარმოაჩინა თავად ამ უანრის მყარი და არსებითი ელემენტები – ფანტასტიკური დეტალის შემცველი სიუჟეტი, რომელიც შესაძლებელია გართულებული იყოს ქვესიუჟეტებით. მეტაფორული გააზრებისას კი ვიღებთ რამდენიმეპლანიან ტექსტს არაერთგვაროვანი ინტერპრეტაციის შესაძლებლობით, რაც განზოგადების მაღალი ხარისხის გამო მისი დაწერის შემდგომ განვითარებული მოვლენების არსაც შესაძლოა გამოხატავდეს, გარდა იმისა, რომ ოსტატურად წარმოაჩინს ქართველ მწერალთა დახვეწილ გემოვნებასა და ენობრივი ფენომენისადმი განსაკუთრებულად ფაქტიზ დამოკიდებულებას.

## **დამოცვებანი:**

**ავტონომვა 2009:** Овчинникова, Л. В. *Русская литературная сказка XX века: История, классификация, поэтика, тема диссертации и автореферата по ВАК 10.01.01, 10.01.09*, доктор филологических наук. <http://www.dissercat.com/content/content/russkaya-literaturnaya-skazka-xx-veka-istoriya-klassifikatsiya-poetika#ixzz2tb5a4Z9C>

**ბრეგაძე 2016:** ბრეგაძე ლ. „უახლესი ლიტერატურული პროზის მიმართება ზეპირსიტყვიერებასთან“. მხატვრული აზროვნების ტრანსფორმაციის ფორმები ქათულ ფოლკლორში (რედ.-ები: ი. რატიანი, რ. ჩოლოყაძვილი). თბილისი: „სამშობლო“, 2016.

**გაგნიძე 2011:** გაგნიძე ნ. „რობაქიძის ლიტერატურული ზღაპარი „ორი ძმა“. V საერთაშორისო სიმპოზიუმის „ლიტერატურამცოდნების თანამედროვე პრობლემები“ მასალები. ნანილი II. თბილისი: ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2011.

**კლდიაშვილი 1975:** კლდიაშვილი ს. თხზულებათა კრებული. ტ. III. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“, 1975.

**კუტივაძე 2010:** კუტივაძე ნ. „ლიტერატურული ზღაპარი ნიკო ლორთქი-ფანიძის შემოქმედებაში“. ლიტერატურული დიალოგები. V (რედ. ა. ნიკოლეიშვილი). ქუთაისი: „ანსუ გამომცემლობა“, 2010.

**ლორთქიფანიძე 1959:** ლორთქიფანიძე ნ. თხზულებათა სრული კრებული 4 ტომად. ტ. I. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“, 1959.

**ტოპოროვი 1983:** Топоров, В. Н. *Пространство и текст. Текст: семантика и структура*. Москва: 1983. [http://ec-dejavu.ru/p/Publ\\_Toporov\\_Space.html](http://ec-dejavu.ru/p/Publ_Toporov_Space.html)

**რობაქიძე 2016:** რობაქიძე გრ. ორი ძმა. არავი (რედ. მ. ბერძე). ახალციხე: „ახალციხის უნივერსიტეტი“, 2016.

**ჯალიაშვილი 2010:** ჯალიაშვილი მ. „სანდრო ცირეკიძე“. ცირეკიძე ს. რაინდთა ლანდები (რედ.-ები: რ. ჩხეიძე, ე. თავპერიძე). ქუთაისი: საგამომცემლო ცენტრი, 2010.

**ჯორჯიება 1986:** ჯორჯიება ჯ. სავიზიტო ბარათი. თბილისი: „მერანი“, 1986.

**ANNA LETODIANI**

*Georgia, Tbilisi*

*Shota Rustaveli Institute of Georgian Literature*

## **Understanding of Black Color in the Art of Terenti Graneli**

Work provides analysis of the substance of black color in the art of Terennti Graneli, based on various theories and views about the colors (Turner, Goethe, Kandinsky, Loucheur and others), as well as color symbolic.

Studies showed that in Terenti Graneli's art, black color is associated with sadness, sorrow, grief, rejection of life, grave, death, hopelessness, negative mood. In perception of black color, in Terenti Graneli's poems the general cultural experience, information in the collective mind dealing with this color is taken into consideration, though, with negative connotation only. In our opinion, in Terenti Graneli's art, understanding of colors mostly in the negative context (and this is applicable not only to black but also to yellow, white, red, blue) should be regarded as individual vision of the world, some kind of expression of inner, psychological condition and signs of personal nature, stylistic characteristic of writing and thinking.

**Key words:** Color; Graneli.

### **ანა ლეთოდიანი**

*საქართველო, თბილისი*

*შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი*

### **შავი ფერის გააზრება ტერენტი გრანელის შემოქმედებაში**

ნებისმიერი ფერი გარკვეული თვალსაზრისით ზემოქმედებს ადამიანის ემოციებზე, განწყობილებაზე. ფერთა ნაწილი აღაგზებს ნერვულ სისტემას, ზოგიერთი მათგანი, პირიქით, ამშვიდებს (რუ-ბინშტაინი: [http://www.gumer.info/bibliotek\\_Buks/Psihol/rubin/](http://www.gumer.info/bibliotek_Buks/Psihol/rubin/)). ადამიანს უყვარს ესა, თუ ის ფერი, აქვს საკუთარი ფერი (ბოდრიარი: [http://www.gumer.info/bogoslov\\_Buks/Philos/Bod\\_SisV/02.php](http://www.gumer.info/bogoslov_Buks/Philos/Bod_SisV/02.php)). რომელიმე ფერისათვის უპირატესობის მინიჭება, მისი აღქმა-გააზრება დიდ-ნილად ეფუძნება, როგორც ობიექტურ მახასიათებლებს (სინათლე, სისუფთავე, ხარისხი, ფაქტურა და სხვა), ისე აღმქმელის სუბიექტურ

თვისებებს (ემოციურ – მორალურ ფაქტორი (ბოდრიარი: [http://www.gumer.info/bogoslov\\_Buks/Philos/Bod\\_SisV/02.php](http://www.gumer.info/bogoslov_Buks/Philos/Bod_SisV/02.php)), ნერვულ – ფსიქიკური წყობა, ასაკი, სქესი, ინტელექტი და ა. შ). დიდი მნიშვნელობა აქვს, აგრეთვე ნაციონალურ და სოციო-კულტურულ გარემოს, კოლექტიურ ცნობიერებაში არსებულ ინფორმაციას. თუმცა სავსებით შესაძლებელია, ადამიანის ინდივიდუალური ტემპერერემენტიდან და ხასიათიდან გამომდინარე, ამა თუ იმ ფერისადმი დამოკიდებულება შეიცვალოს (იტენი: [https://vk.com/doc-21974283\\_233051160?dl=1776aa24179b123421fe](https://vk.com/doc-21974283_233051160?dl=1776aa24179b123421fe)). ხედვის ობიექტური ასპექტებს სპექტრალურ – ფიზიკური ოპტიკის, ხოლო სუბიექტურს, ფიზიოლოგიისა და ფსიქოლოგიის საშუალებით შეისწავლიან.

ფერი სხვადასხვაგვარ ასოციაციას იწვევს, სიმბოლურ მნიშვნელობათა ფართო და რთული დიაპაზონი გააჩნია (ტრესიდერი: [http://www.gumer.info/bibliotek\\_Buks/Culture/JekTresidder/655.php](http://www.gumer.info/bibliotek_Buks/Culture/JekTresidder/655.php)).

დღესდღეობით საკმაოდ აქტუალურია, ფერსა და ადამიანის ფსიქიკას მორის კავშირის, ასევე ფერთა სიმბოლიზმის პრობლემის კვლევა.

ფერს, როგორც გამოსახვის მრავალფუნქციურ საშუალებას, აქტიურად მიმართავს ხელოვნების სხვადასხვა დარგი, მათ შორის, ბუნებრივია, ლიტერატურაც. მხატვრულ ტექსტში ფერის გამოყენება უპირველესად, განპირობებულია ფერის სიმბოლური თვისებებით, უნარით წარმოშვას მრავალი ასოციაცია. ამა თუ იმ მნერლის შემოქმედებაში ფერის სიმბოლიკასთან დაკავშირებულმა ასოციაციებმა, ფსიქოლოგიურმა გააზრებამ, მისი სტილის, ასევე, რომელიმე კონკრეტული შიმართულების, თუ ეპოქის შესახებაც შეიძლება მოგვაწოდოს გარკვეული სახის ინფორმაცია.

ფერს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა რომანტიკოსთა, მოგვიანებით, სიმბოლსტთა შემოქმედებაში. სიმბოლისტ მწერალთა ლექსიკონში ფერს გამორჩეული ადგილი უჭირავს. იგი ასახავს, ავტორის მდგომარეობას, ემოციებს, შესწევს ნაწარმოების დაფარული აზრის გადმოცემის უნარი (ბელი: [http://www.gumer.info/bogoslov\\_Buks/Philos/bel/](http://www.gumer.info/bogoslov_Buks/Philos/bel/)).

ამდენად, საინტერესოდ გვეჩვენება ტერენტი გრანელის შემოქმედებაში ფერთა სიმბოლური, თუ ფსიქოლოგიური თვალსაზრისით კვლევა. ამჯერად, მხოლოდ შავი ფერის მნიშვნელობის გააზრებას შევეცდებით. ძირითადად დავეყრდნობით: ტერენტის, გოეთეს, კანდინსკის, ლუშერის თეორიებსა და შეხედულებებს, ასევე გავითვალისწინებთ შავი ფერის შესახებ არსებულ სხვა ინფორმაციასაც.

ფერი სამყაროს შეცნობის, მისი მოწესრიგების ერთ-ერთ საშუალებად მიიჩნევა. აქედან გამომდინარე, ფერთან დამოკიდებულების

თვალსაზისით მხატვრული, განსაკუთრებით, კი ლირიკული ნაწარმო-ებების შესწავლა ხელს უწყობს მათი თავისებურებების უფრო ღრმად გაგებას, ავტორის სამყაროსადმი დამოკიდებულების, მისი მსოფლ-ალქმის უკეთ გამოვლენას (ვეჯბიცაია: <http://www.philology.ru/linguis-tics1/wierzbicka-96b.htm>).

ლირიკაში, რომელიც გვარეობრივი სპეციფიკიდან გამომდინარე, ადამიანის და სამყაროს ურთიერთობის სუბიექტურ ასახვას ეფუძნება შიგახედვის პოზიციიდან (რატიანი 2012: 389), ყველაზე მეტად ვლინდება ავტორის: გრძნობები, ემოციები, შთაბეჭდილებები. ტერენტი გრანელის ლექსები განსაკუთრებით გამოიჩინევა მძაფრი განცდებით, განწყობილებებით, ემოციებითა თუ ასოციაციებით. ასეთივე დამოკიდებულება იჩენს თავს შავ ფერთან მიმართებით. საინტერესოა რას გამოხატავს შავი ფერი ზოგადად, და რა აზრობრივი დატვირთვით გვხვდება ის გრანელის შემოქმედებაში.

შავი (ისევე, როგორც ფერთა დიდი ნაწილი) ამბივალენტურობით ხასიათდება. ფსიქოლოგთა დაკვირვებითა, თუ სიმბოლიკის თვალ-საზრისით, მისი ნეგატიური მნიშვნელობა ამგვარია: ლამე, სიბნელე, იდუმალება, სიჩუმე, სიცარიელე, ცოდვა, შიში, ნარევა, დათრგუნვა, ბოროტება, უბედურება, წყვდიადში დანთქმა, დარდი, გლოვა, სიკვდილი, უარყოფა, სასოწარკვეთა, შური, სიამაყე, მწუხარება, უსინდისობა, უცვლელობა, სისასტიკე, ხრწნა. მას დემონურ ფერად მიიჩნევენ (თეთრის საპირისპიროდ), აქვს ენერგიის შთანთქმის უნარი. შავი ჭარბი რაოდენობით შეიძლება გამანადგურებელი იყოს. რაც შეეხება ამ ფერის პოზიტიურ სიმბოლიკას, აღმოსავლეთში იგ ასოცირდება: სილამაზესთან, სიმშვიდესთან, დასვენებასთან, სიხარულთან (იაპონია), მუსლიმთათვის შავი სიყვარულის ფერია („თვალის სიმავე“ (საყვარელი ადამიანი) „გულის სიმავე“ (სიყვარული)). ის გამოხატავს ასევე: ღირსეულობას, დახვეწილობას, ელეგანტურობას, სექსუალურობას, კლასიკურობას (ნემკინი: [http://elib.altstu.ru/elib/books/Files/va2010\\_01\\_02/pdf/047nemykin.pdf](http://elib.altstu.ru/elib/books/Files/va2010_01_02/pdf/047nemykin.pdf), <http://mikhailkevich.narod.ru/kyrs/Cvetovedenie/main10.html>, <http://symbolist.ru/color/black.html>; <http://www.symbolsbook.ru/article.aspx?id=559>, [http://www.ifnm.de/produktionen/Farben/michaela-leiblich/HTML/schwarz\\_wir.html](http://www.ifnm.de/produktionen/Farben/michaela-leiblich/HTML/schwarz_wir.html); კუპერი: <http://psy.rin.ru/razdel/80/Cvet-v-nashej-zhizni-M-Kuper-A-Me-t-juz.html>).

შავი უძველეს, ძირითად ფერთა სამეულის (თეთრი შავი, წითელი) ერთ-ერთი წევრია. პირველყოფილი ხალხების საკრალურ ნახატებში ყველაზე ხშირად, სწორედ, დასახლებულ ფერებს ვხვდებით. კიტა მე-გრელიძის აზრით, წითლის, შავისა და თეთრის პირველადობის მიზე-ზი ადამიანის პრაქტიკულ საქმიანობაზე დაკვირვებით უნდა აიხსნას,

მაგალითად, თუ წითელი სისხლის ფერს წარმოადგენდა, შავი ნახშირის ფერი იყო, რასაც მონმობს კაცობრიობის უძველესი საცხოვრებელი ადგილებიდან მიღებული მონაცემები (მეგრელიძე 1990: 246). ანა ვეუბიცკაიაც ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ფერითი კონცეპტები „ადამიანთა გამოცდილების უნივერსალურ ელემენტებს“ უკავშირდება და ეს უნივერსალური ელემენტები უხეშად შეიძლება ასე განისაზღვროს: დღე, ღამე, მზე, ცეცხლი, მცენარე, ცა, მიწა (ვეუბიცკაია: <http://www.philology.ru/linguistics1/wierzbicka-96b.htm>). ვიქტორ ტერნერის შესედულებით, ძირითადი ფერების სიმბოლიკის ძირები ადამიანის ფსიქობიოლოგიურ გამოცდილებაში უნდა ვეძებოთ. რაც შეეხება შავის ფსიქობიოლოგიურ გამოცდილებას, იგი ღამის, სიბრტყის ფერია. ღამით ადამიანის აქტივობა შესუსტებულია, ის ნაკლებადაა ორიენტირებული გარემოში, არ არის დაცული სტიქიური, უბედურებებისა თუ მტაცებელი ცხოველებისაგან. ამდენად, ამ ფერის ნეგატიური აღქმის ერთ-ერთი/არქეტიპულ საფუძველს, სწორედ გარესამყაროსთან ადამიანის მიმართება წარმოადგენს.

შეიძლება ითქვს, რომ ფერთა სიმბოლიკის გააზრებისათვის დასახელებულ ტრიადას არქეტიპული მნიშვნელობა ენიჭება.

ვიქტორ ტერნერი, სამხრეთ აფრიკის ერთ-ერთი ტომის, ნდემბუს ცხოვრების წესისა და წარმოდგენების აღწერის საფუძველზე, საინტერესო ცნობებს გვაწვდის პირველყოფილი ხალხების „ფერთა კლასიფიკაციის“ შესახებ. იგი შენიშვნაეს, რომ ამა თუ იმ ფერს სხვადასხვა კულტურაში შეიძლება ჰქონდეს მრავალგვარი მნიშვნელობა და კონოტაციის ფართო ველი, თუმცა, ადამიანური, ფიზიოლოგიური კომპონენტი, როგორც წესი, არსებობს ნებისმიერ აბორიგენთა განმარტებებში (ტერნერი: [http://royallib.com/read/terner\\_viktor/simvol\\_i\\_ritual.html#383643](http://royallib.com/read/terner_viktor/simvol_i_ritual.html#383643)).

ტერნერის გადმოცემით, ნდემბუს ტომისათვის შავის სიმბოლიკა ამბივალენტურია. იგი: ბოროტებას, უილბლობას, უწმინდურებას, ტანჯვას, ავადმყოფობას, ჯადოქრობას, სიკვდილს, სქესობრივ ლტოლვას, ასევე ნაყოფიერებასა და მეუღლეობრივ სიყვარულს უკავშირდება. ამ ტომში განსაკუთრებით აფასებენ შავკანიან ქალეს, ოღონდ როგორც კარგ საყვარელს და არა ცოლს.

ნდემბუს წევრები შავი საღებავით ღებავდნენ ხოლმე შენირულთა გვამებს, რაც ბიოლოგიურთან ერთად რიტუალურ სიკვდილსაც მოასწავებდა.

მიიჩნეოდა, რომ ბოროტი ძალებისაგან თავის ასარიდებლად ადამიანს უნდა ჩაეცვა შავი ფერის ტანისამოსი, გაეკეთებინა ამავე ფერის სამკაულები, რათა ბოროტ ძალებს ამ ადამიანებისადმი შური არ გას-

ჩენოდათ. ამავე მიზეზით (ბოროტი ძალებისაგან დასაცავად), ახალ-შობილს სხეულზე შავი ფერის საღებავით ახატავდნენ წერტილებს ან სხვადასხვა ფიგურას.

შავი ჯადოქრობისა და მისნობის ფერს წარმოადგენდა. თუკი ნდემ-ბუს ტომის წევრებს, რომელიმე თანატომელზე ეჭვი გაუჩინდებოდათ, რომ ის ან მისი ოჯახის რომელიმე წევრი ჯადოქრობდა, ასეთი ადა-მიანის საცხოვრისს შავი საღებავით მონიშნავდნენ ხოლმე და მერე ამ ადგილს ერიდებოდნენ (ტერნერი: [http://royallib.com/read/terner\\_viktor/simvol\\_i\\_ritual.html#383643](http://royallib.com/read/terner_viktor/simvol_i_ritual.html#383643)).

ვასილი კანდინსკი ფერის შესახებ საკუთარ კონცეფციაში, ყურ-ადლებას ამახვილებს ფერის ფსიქოლოგიური ზემოქმედების ორ მთა-ვარ ფაქტორზე: „სითბო – სიცივე“ და „სინათლე – სიბნელე“. პირველი ფაქტორი უკავშირდება ყვითლისა და ცისფრის ურთიერთობას. ეს ორივე ფერი, კანდინსკის ტერმინოლოგით, დაკავშირებულია „პორი-ზონტალურ მოძრაობასთან (მიმართულებასთან)“. ყვითელი „მოძ-რაობს“ მაყურებლისაკენ, ცისფერი კი პირიქით, მაყურებლისგან. ფერის ადამიანზე ზემოქმედების მეორე ფაქტორი თეთრისა და შავის ურთიერთობაა. კანდინსკი ამ შემთხვევაშიც საუბრობს მოძრაობაზე, მიმართულებაზე. ოღონდ ამჯერად მის „სტატიკურ“ ფორმაზე.

კანდინსკის თეორიის თანახმად, შავი „არაფრობაა“, მასში არ ჩანს რაიმე შესაძლებლობა. ის არის მარადიული სიჩუმე მომავლის გარეშე, დასრულებული პაუზის ნიშანი (კანდინსკი: <http://www.wassilykandinsky.ru/book-116-10-73.php>).

ფსიქოლოგთა დაკვირვებით, შავი: ავტორიტარიზმს, ავტორიტეტ-ულობას, აგრესიას გამოხატავს. ეს ფერი ცნობისმოყვარეობას იწვევს, რადგან რაღაც საინტერესოსა და შესაძლებელია, საშიშსაც მალავდეს. შავი ცხოვრების უხალისოდ აღქმის სიმბოლოსაც წარმოადგენს. ამ ფერის მუდმივად არჩევა გარკვეული კრიზისული ფსიქოლოგიური მდგომარეობის არსებობასა და სამყაროს აგრესიულ მიუღებლობაზე მიუთითებს, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ სხვა ფერთა შორის უპირატესობას მას ანიჭებენ ([http://zhurnal-razvitie.ru.., ნემკინი: http://elib.altstu.ru/elib/books/Files/va2010\\_01\\_02/pdf/047nemykin.pdf](http://zhurnal-razvitie.ru.., ნემკინი: http://elib.altstu.ru/elib/books/Files/va2010_01_02/pdf/047nemykin.pdf)).

ტერენტი გრანელის შემოქმედებაში, შავი ნამდვილად არ არის ის ფერი, რომელსაც გამოყენების თვალსაზრისით, განსაკუთრებული უპირატესობა ენიჭება (ასეთია, თეთრი ფერი, თუმცა, მასაც მხოლოდ უარყოფითი კონტაციით ვხვდებით). იგი დაახლოებით მე – 4 – მე – 5 ადგილზეა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ გრანელთან საკმაოდ ხშირად ვხვდებით ფერებს, არცთუ იშვიათად, ერთ სტროფში შეიძლება რამ-

დენიმე ფერიც იყოს გამოყენებული, ფერი ფიგურირებს ლექსების სა-  
თაურმიც („ცისფერი სიშორე“). „ცისფერი სინათლე“).

გრანელთან შავი ფერი ასოცირდება: იმედგაცრუებასთან, უიმე-  
დობასთან, ზოგადად, უარყოფით განცდებთან („ჩემი იმედი სამუ-  
დამოდ რომ დამარცხდება, ვით მონაზონი, შავ ძაძებით შევიმოსები“  
(„მკრთალი სილუეტი“) (გრანელი 1972: 3); „ღამებმა დაფარეს უამრავი  
სურვილი“ („მგლოვიარე სერაფიმები“) (გრანელი 1972: 80); ბოროტე-  
ბასთან, ცოდვასთან, მწუხარებასა და მოწყენილობასთან („რომ სულში  
ირგვლივ ბოროტების შავი ნისლია, და ჩემი ტანი ცოდვებისგან დამძიმე-  
ბული“ („საიდუმლო მისალმება ჭლექინ სამრეკლოს“) (გრანელი 1972:  
13); „ვერ გავარღვიე ბოროტების შავი რკალები, მუდამ თან დამდევს მე  
უსაზღვრო მოწყენილობა“ („ვედრება უფალთან“) (გრანელი 1972: 28).  
ერის ფრომი აღნიშნავს, რომ სიცხადე მხოლოდ წარსულთან მიმართე-  
ბით არსებობს, მომავალთან დაკავშირებით კი, ნათელი მხოლოდ ისაა,  
რომ ოდესმე მოვა სიკვდილი. ეს უდევეს საფუძვლად „მწუხარების ნიშ-  
ნად“ შავი ფერის სამოსის ჩაცმას ([http://filosof.historic.ru/books/item/f00/  
s01/z0001028/](http://filosof.historic.ru/books/item/f00/s01/z0001028/)). გრანელის შემოქმედებისათვის არ არის უცხო მომავ-  
ლის ამგვარი ხედვა, პირიქით, მასთან შავი ფერი ხშირად უკავშირდება  
სიკვდილს, დალუპვის მოლოდინს, „ნინ უჯსერულია და შავი ნისლი მახ-  
ვევია ირგვლივ“ („გულიდან სისხლის წვეთები“) (გრანელი 172: 43); „ჩემი  
გზა მიდის სამარისაკენ, და ნაპრალებთან წევს შავი ღამე“ („მოგზაუ-  
რობა თბილისისაკენ“); (გრანელი 1972: 68). სიკვდილის შემდეგ დროც  
შავ ფერთან არის გაიგივებული და უარყოფით კონტექსტში გაიაზრება  
(„წამოვა წვიმა, ქარიშხალი და მოწყენილ საფლავზე დამაყრის ყვითელ  
ფოთლებს. ასე, დროთა შავი წვეთებით დახავსდება ჩემი სამარე, ზედ  
წამოიზრდება ბალახი“ („სიკვდილის შემდეგ“) (გრანელი 1972: 50). შავს,  
ისევე, როგორც თეთრს გორეთ საერთოდ არ მიიჩნევს ფერებად. მის-  
თვის ისინი აბსოლუტურ სიბნელესა (შავი) და აბსოლუტურ სინათლეს  
(თეთრი) წარმოადგენს. ფერები მათ შორისაა განთავსებული. სინათ-  
ლის მატების დროს ფერები შავიდან თეთრისკენ „მოძრაობს“, ხოლო  
კლებისას, პირიქით, საპირისპირ მიმართულებით (მას მოჰყავს ასეთი  
მაგალითი, გამოენისას სინათლის მატებასთან ერთად, ღამის შავი ცა  
გალიავებას იწყებს, ჯერ მუქი ლურჯი ხდება, შემდეგ, თანდათანობით  
(ცისფერს იღებს) (გოეთე: [http://www.wissen-im-netz.info/literatur/goethe/  
farbenlehre/1-i/02.htm](http://www.wissen-im-netz.info/literatur/goethe/farbenlehre/1-i/02.htm)). შავისა და თეთრის მსგავს აღქმას გრანელთანაც  
ვხვდებით (რთული სათქმელია, ეს, ცნობიერ, თუ არაცნობიერ დო-  
ნეზე ხდება). ზოგჯერ, მის ლექსებში შავი ფერი პირდაპირ არც არის  
დასახელებული, თუმცა, შავის ასოციაციას ქმნის: სიბნელე, ღამე,  
შუალამე, უკუნი, როგორც სინათლის, ფერის ნაკლებობა („შუალამეა,

**რაღაც ვერ ვისცენებ, და ახლა მინდა იყოს გათენება**“ („ღამის მოუსვენ-რობა“) (გრანელი 1972: 61); „**დაბნელდა სივრცე, დაბნელდა ბინა, დამ-გლოვიარდნენ სახლის მინებიც**“ („მიცვალებულის დღიურიდან (თემა სიკვდილის შემდეგ“) (გრანელი 1973: 62); „**საღაც მე ვდგავარ, იქ სიბ-ნელეა, იქთ არავინ არ იხედება**“ (გრანელი 1972: 149); „**ჩვენს ცხოვრე-ბას თანაბარს შთანთქავს დამე უკუნი**“ („მწუხარე მელოდია“) (გრანელი 1972: 8). ხანდახან, შავთან, ღამესთან მიმართებით გამოყენებულა მსაზღვრელები „საშინელი“, „მძიმე“, „უსაშევლო“, რაც კიდევ უფრო ამძაფრებს, ლექსებში გამოხატულ ისედაც მძიმე ემოციურ ფონს: „**რა ვქნა, შავი ღამეა, მძიმე და უსაშველო...**“ (გრანელი 1972: 117); „**მიდის ფერნასული დღე, ღამე მომიახლოვდა, ღამე მომიახლოვდა, შავი და საშინელი**“ („ცისფერი სიმორე“) (გრანელი 1972: 30). შეიძლება დაგა-სახელოთ ისეთი შემთხვევებიც, როცა გრანელთან თეთრი და შავი ფერი წარმოადგენს არა ოპოზიციურ წყვილს, არამედ, უარყოფითი მნიშვნელობის მქონე სინონიმებს, ასოცირდება სიკვდილთან/თვითმ-კვლელობასთან („**შავი ფიქრები გროვდება ისევ, დგება წამების თეთრი საათი**“ („პირეტი პატიმარი“) (გრანელი 1972: 93); „**ქრიან ფიქრები თე-თრი და შავი, და ეს დღეები სახეს მიცვლიან.** ახლა ხომ დროა, მოვიკლა თავი, მეტის მოთმენა არ შემიძლია“ (გრანელი 1972: 115); „**და მე აღარ მშორდება შავი ფიქრი დაღუპვის**“ (გრანელი 1972: 121).

ფსიქოლოგთა შეხედულებით, ფერის დადებითი ან უარყოფითი მნიშვნელობით აღქმა ადამიანის სულიერ მდგომარეობაზეა დამოკიდე-ბული. მაქს ლუშერი აღნიშნავს, რომ ფერი მუსიკის მსგავსად, გრძნო-ბათა ენაა, ან სხვაგვარად, რომ ვთქვათ, ფერი ერთგვარი „ვიზუალი-ზებული გრძნობაა“. მაქს ლუშერის თეორიის მიხედვით, ადამიანის ფერთან დამოკიდებულება, რომელიმე ფერისთვის უპირატესობის მინიჭება, მეტ-ნაკლები სიზუსტით განსაზღვრავს აღმქმელის ემოცი-ური მდგომარეობასა და პიროვნული ხასიათის ნიშნებს. ლუშერის აზ-რით, ეს ფაქტი ფსიქოლოგიური მდგომარეობის საზომიცაა. როცა ადა-მიანი ოპტიმიზმითაა აღსავსე, ირჩევს ენერგიულ ფერებს (ყვითელს და წითელს), ამ დროს, როგორც წესი, უარყოფს სიმშვიდის, სინყნარის გამომხატველ მაგალითად, ლურჯასა და ყავისფერს, ასევე არარსე-ბობის ფერს, შავს (ლუშერი: file:///C:/Users/User/AppData/Local/Temp/Rar\$EXa0.882/cvet\_vashego\_haraktera/LUSHER.HT).

ლუშერის მიხედვით, შავი უარყოფის ფერია. ფსიქოლოგთა დაკ-ვირვებით, „**დათრგუნულობა**“ (ფრონდი), ან „**ჩრდილი**“ (იუნგი), რო-გორც ნებისმიერი ფსიქიკის არაცნობიერის ნაწილი, სიზმარში ხშირად სიმბოლიზდება შავ ფიგურებისა და ცხოველების სურათების სახით (<http://www.symbolonline.de/index.php?title=Schwarz>).

გრანელის ლექსებიდან ზემომოხმობილი სტრიქონები მოწმობს, რომ მასთან საერთოდ უგულებელყოფილია შავი ფერის პოზიტიური გააზრება, შესაბამისად, ბუნებრივია, ის არ აღიქმება: სიყვარულის, სილამაზის, ელეგანტურობის, დახვეწილობის ფერად და ძირითადად, ნეგატიური დატვირთვა აქვს: მოწყენილობასთან, დარდთან, მწუხარებასთან, სიცოცხლის უარყოფასთან, სამარესთან, სიკვდილთან, უიმედობასთან, ზოგადად, უარყოფით განწყობილებასთან ასოცირდება. როგორც კვლევამ გვიჩვენა, პოეტი სხვა ფერებსაც, მაგალითად: ყვითელს, თეთრს, ლურჯს, წითელს უმეტესად, ნეგატიურად აღიქმება. თუმცა, ეს არცაა გასაკვირი, რადგან მინორული განწყობილება, მარტოობის/მარტოსულობის, გაუცხოების განცდა, სიკვდილი არა მხოლოდ მისი შემოქმედების, ასევე ცხოვრების ლაიტმოტივიც იყო. გრანელთან, შავი ფერის აღქმისას, გათვალისწინებულია ამ ფერის შესახებ ზოგადკულტურული გამოცდილება, კოლექტიურ ცნობიერებაში არსებული ინფორმაცია, თუმცა, მხოლოდ ნეგატიური კონოტაციით. ვფიქრობთ, ტერენტი გრანელთან ზოგადად, ფერის, უმთავრესად. უარყოფით კონტექსტში გააზრება სამყაროს ინდივიდუალურ ხედვად, შინაგანი, ფსიქოლოგიური მდგომარეობისა, თუ პიროვნული ხასიათის ნიშნების ერთგვარ გამოვლენად, ნერის და აზროვნების სტილურ თავისებურებად უნდა მივიჩნიოთ.

### დამოცვებანი:

**ბელი:** Белый А. *Символизм как мирапонимание*. [http://www.gumer.info/bogoslov\\_Buks/Philos/bel/](http://www.gumer.info/bogoslov_Buks/Philos/bel/);

**ბოდრიარი:** Бодрийяр Ж. *Система вещей* [http://www.gumer.info/bogoslov\\_Buks/Philos/Bod\\_SisV/02.php](http://www.gumer.info/bogoslov_Buks/Philos/Bod_SisV/02.php);

**გოეთი:** Johann Wolfgang von Goethe. *Zur Farbenlehre*. <http://www.wissen-im-netz.info/literatur/goethe/farbenlehre/1-i/02.htm>;

**გრანელი 1972:** გრანელი ტ. ლირიკა. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“, 1972.

**ვეჟბიცკაი 1996:** Вежбицкая А. Язык. Культура. Познание. Москва: 1996. <http://www.philology.ru/linguistics1/wierzbicka-96b.htm>;

**იტენი:** Иттен, И. *Искусство цвета*. [https://vk.com/doc-21974283\\_233051160?dl=1776aa24179b123421ferTa](https://vk.com/doc-21974283_233051160?dl=1776aa24179b123421ferTa);

**კანდინსკი 1910:** Кандинский В. В. *О духовном в искусстве*. 1910. <http://www.wassilykandinsky.ru/book-116-10-73.php>;

**კუპერი ... :** Купер М., Мэтьюз А. *Психология – Что мы знаем о цвете? – Цвет в нашей жизни*. <http://psy.rin.ru/razdel/80/Cvet-v-nashei-zhizni-M-Kuper-A-Me-t-juz.html>;

**მეგრელიძე 1990:** მეგრელიძე კ. აზრის სოციალური ფენომენოლოგია. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამოცემლობა, 1990.

**ნემკინი:** Немыкин В. В. *Символика цвета*. [http://elib.altstu.ru/elib/books/Files/va2010\\_01\\_02/pdf/047nemykin.pdf](http://elib.altstu.ru/elib/books/Files/va2010_01_02/pdf/047nemykin.pdf);

**რატიანი 2012:** რატიანი ი. „ლიტერატურული გვარები და უანრები“. ლიტერატურისმცოდნეობის შესავალი. თბილისი: GCLA Press, 2012.

**რუბინშტაინი:** Рубинштейн С. *Основы общей психологии*. [http://www.gumer.info/bibliotek\\_Buks/Psihol/rubin/](http://www.gumer.info/bibliotek_Buks/Psihol/rubin/);

**ტერნერი:** Тэрнер, В. *Символ и ритуал*. [http://royallib.com/read/terner\\_viktor/simvol\\_i\\_ritual.html#383643](http://royallib.com/read/terner_viktor/simvol_i_ritual.html#383643);

**ტრესიდერი:** Трессидер Д. *Словарь символов*.

[http://www.gumer.info/bibliotek\\_Buks/Culture/JekTresidder/655.php](http://www.gumer.info/bibliotek_Buks/Culture/JekTresidder/655.php);

[http://www.ifnm.de/produktionen/Farben/michaela-leiblich/HTML/schwarz\\_wir.html](http://www.ifnm.de/produktionen/Farben/michaela-leiblich/HTML/schwarz_wir.html);

<http://mikhailkevich.narod.ru/kyrs/Cvetovedenie/main10.html>;

<http://www.symbolsbook.ru/article.aspx?id=559>;

<http://www.symbolonline.de/index.php?title=Schwarz>;

<http://symbolist.ru>;

## TRISTAN MAKHAURI

*Georgia, Tbilisi*

*Iv. Javakhishvili Tbilisi State University*

### For the Origin of the Pseudonym “Graneli”

The paper deals with the pseudonym “Graneli”, Terenti (Graneli) Kvirkvelia, Georgian modernist poet of the XX century. There are considered four probable versions in the article and introduced the idea about the fact that the word “Graneli” is connected with the Holy Grail.

**Key words:** Terenti Graneli, Graali.

### ტრისტან მახაური

საქართველო, თბილისი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### ფსევდონიმ „გრანელის“ წარმომავლობისათვის

ქართული მოდერნიზმის ისტორიაში ტერენტი გრანელი ერთ-ერთი გამორჩეული ფიგურაა. XX საუკუნის ქართული პოეზია წარმოუდგენელია ამ სახელის გარეშე. ტერენტის ნამდვილი გვარი იყო კვირკველია

(ზოგი ვერსიით: კვირკვაია) და პირველად „ტერენტი წალენჯიხელის“ ფსევდონიმით იბეჭდებოდა (1917-1919 წლები). დიდ ინტერესს იწვევს ფსევდონიმი „გრანელი“, რომლის შესახებაც თვითონ პოეტს არავითარი ცნობა არ დაუტოვებია. როგორც მისი ბიოგრაფიები მიუთითებენ, ტერენტიმ ეს ფსევდონიმი 1919 წელს აიღო.

ხსენებული ფსევდონიმის თაობაზე არსებობს რამდენიმე მოსაზრება:

1. ტერენტის დების – მაშინ და ზოზია კვირკველიების გადმოცემით ფსევდონიმის არჩევას საფუძვლად დაედო ლათინური სიტყვა „გრანუმ“, რაც მარცვალს ნიშნავს. ეს სიტყვა პოეტს გადატანით მნიშვნელობით აურჩევია: „მეც პატარა, ობოლი მარცვალი, სამყაროს უმცირესი ნაწილი ვარო“ (გრანელი 1972: 172). ამ მოსაზრებას ეჭვქვეშ არ აყენებს გრანელოლოგის ფუძემდებელი, კრიტიკოსი და მთარგმნელი ლერი ალიმონაკი. იგი ერთ-ერთ ბოლო ინტერვიუშიც ამბობს: „შეიძლება იყოს გრან, გრანულიც – „მე პატარა მარცვალი ვარ“ (ლექსმცოდნეობა 2015: 318). ამავე საკითხს ეხება ლიტერატორი მანანა გვეტაძე, რომელსაც უჭირს ბოლომდე გაიზიაროს ალნიშვნული მოსაზრება: „პოეტმა ფსევდონიმად გრანელი აირჩია. შესაძლოა ეს კეთილხმილონი გვარი, როგორც ზოგიერთები ფიქრობენ, მცირე ნაწილაკის – გრანის აღმნიშვნელი სიტყვიდან მოდის, ამრიგად, გრანელი დაკავშირებულია პატარასთან, მცირესთან. მაგრამ თვით პოეტს არასოდეს დაპბადებია აზრი თავისი პიროვნების თუ ლირიკის სიმცირის გამო. პირიქით, თავის ლექსებში ის არაერთხელ გამოთქვამს აზრს თავისი სიდიდისა თუ გენიალობის გამოც კი“ (გვეტაძე 1981: 169).

2. ტერენტი ეტროდა „აბესალომ და ეთერის“ ოპერაში მარეხის როლის შემსრულებელ იტალიელ ქალს, გვარად გრანელს და მისი სიყვარულით აურჩევია ეს ფსევდონიმი (ამ შეხედულების ავტორები ეყრდნობიან სერგი ჭილაძისა და თენგიზ ვერულავას ჩანანერებს). ლერი ალიმონაკის მიერ მოპოვებული ცნობის მიხედვით კი „თბილისში ჩამოსული იყო იტალიელი დირიჟორი, რომელმაც დადგა ოპერა „ქრისტინე“. აფიშებზე ეწერა მისი გვარი „გრანელი“ (ლექსმცოდნეობა 2015: 318), თუმცა ლერი ალიმონაკი არც ამ ვარაუდს და არც მომღერალ ქალთან დაკავშირებულ ვერსიას არ იზიარებს.

3. იოსებ კვარაცხელიას მოგონების მიხედვით ტერენტიმ ფსევდონიმი აიღო ტოპონიმ გაგრისა და ქალის სახელის – ნელის შეერთებით: გაგრა-ნელი – გაგრაანელი – გრანელი. ეს ერთობ გულუბრყვილო და ნაკლებად სარწმუნო ცნობაა. რომ შემორჩენილიყო გაგრელი ნელი-სადმი მიძღვნილი ტერენტის ლექსების ციკლი ან დღიურები და მასთან მიმოწერები, მაშინ ადვილად ვირწმუნებდით, რომ ხსენებული ფსევდონიმი სწორედ ასეთი გზით დაიბადა, მაგრამ, რაკი ასეთი ფაქტები

არა გვაქვს, ბუნებრივია, ამ მოსაზრების არავითარი ხელჩასაჭიდი საფუძველი აღარ არსებობს.

4. ტერენტის სიყრმის მეგობარი და თანამოაზრე პოეტი კონსტანტინე გაჩეჩილაძე (კონე სპერელი) უკვე სიჭარმაგის ხანს წერდა, რომ „გრანელი“ წარმოშობილი უნდა იყოს სიტყვისაგან: გრაალელი (გრა-ანელი – გრანელი). ბოლოხანს ეს მოსაზრება უფრო პოპულარული გახდა და ბევრმა მკვლევარმა გაიზიარა იგი.

თუ გავითვალისწინებთ ტერენტის პოეზიის მისატიქურ ხასიათს, მართლაც გასაზიარებელი უნდა იყოს ეს უკანასკნელი მოსაზრება, ხოლო ფსევდონიმის არჩევის საფუძველი ახალგაზრდა ტერენტისათვის უნდა მიეცა იოსებ იმედაშვილს, რომელმაც ერთხანს საკუთარ სახლში შეიიფარა უბინაო ტერენტი. იოსებ იმედაშვილი XX საუკუნის 10-იან წლებში უშვებდა უურნალს „თეატრი და ცხოვრება“ და ამ უურნალის ფურცლებზე „იოსებ არიმათიელის“ ფსევდონიმით ბეჭდავდა მასალებს. იოსებ არიმათიელი კი, როგორც ცნობილია, დაკავშირებულია წმინდა გრაალის თასთან. როგორც წმიდანთა ცხოვრებაშია აღნიშნული, „წმიდა იოსებ არიმათიელი იესო ქრისტეს ფარული მოწაფე იყო. როგორც სინედრიონის წევრს, მას მონაზილეობა არ მიუღია იმ ბჭობასა და ზრახვაში, რომელიც მაცხოვრისთვის ჯვარცმის სასჯელის გამოტანით დასრულდა. იესო ქრისტეს აღსრულების შემდეგ „მშვენიერი მზრახველი“ გაბედულად მიეახლა პილატეს და უფლის წმიდა ცხედარი გამოითხოვა. მან მაცხოვრის სხვა მონაფესთან, ნიკოდიმოსთან ერთად „ძელისაგან გარდამოხსნა უხრწნელი გვამი მისი, არმენა-კითა წმიდითა წარგრაგნა“, გეთსიმანის ბაღში წაასევნა და თავისთვის შემზადებულ „ახალ საფლავსა დადვა“ ღვთისმშობლისა და მენელ-საცხებლე დედათა თანდასწრებით“ (წმიდანთა ცხოვრება 2001).

შუასაუკუნეების ბრეტონულ თქმულებათა მიხედვით, გრაალი ის ბარძიმია, რომელიც იესო ქრისტემ გამოიყენა საიდუმლო სერობის დროს და რომელშიც მოგვიანებით ჯვარცმული მაცხოვრის სისხლის წვეთები შეაგროვა იოსებ არიმათიელმა. ბარძიმი და მახვილი, რომლითაც გარდაცვლილი იესოს სხეული განკვეთეს, იოსებ არიმათიელმა გლასტონბერში ჩაიტანა. თქმულების მიხედვით, ვინც ამ გრაალიდან დალევს, ცოდვები მიეტევება. ზოგიერთი ვერსიით, ბარძიმის ახლომნახველსაც კი დიდი ხნით ეძლევა უკვდავება.

გრაალის თემა აქტუალურია XX საუკუნის ქართულ მოდერნისტულ ლიტერატურაში. გრაალის სიმბოლიკა გვხვდება გალაკტიონ ტაბიძის პოეზიაში, ხოლო გრიგოლ რობაქიძეს ეკუთვნის რომანი „გრაალის მცველნი“.

საყურადღებოა, რამდენადა დაკავშირებული ტერენტი გრანელის პოეზია გრაალის თემასთან. ზემოთ ტერენტი გრანელის პოეზიის მის-

ტიკური ხასიათი ვახსენეთ. ახლა მოვუსმინოთ კონსტანტინე გაჩეჩილაძეს, რომელიც ტერენტი გრანელის უახლოესი მეგობარი იყო და უურნალ „კრონოსის სარკეში“ ტერენტისთან ერთად იბეჭდებოდა „კონნესპერელის“ ფსევდონომით. „ერთხელ მან მომმართა ასეთი რჩევისათვის – „მინდა ამ ორი ფსევდონიმიდან („წალენჯიხელი“ და „გრანელი“) ერთ-ერთი დავიტოვო, შენ რომელს მირჩევდი“ -ო. მე ვურჩიე გრანელი. მხოლოდ ბგერათა კომპლექსის უდერადობა ედო სარჩულად ჩემს არჩევანს. რაც შეეხება სიტყვის სემანტიკას ან სადაურობას ამ სიტყვისას, მე ამით არ დავინტერესებულვარ; დარწმუნებული ვიყავი, რომ სიტყვა გრანელი იმავე გზით იყო მიღებული, რა გზითაც წალენჯიხელი. თუ ამ სიტყვას არც ქართულ ტრანსიმიკაში და არც ლექსიკოში ფესვი არ მოენახებოდა, მე ამაზე იმ დროს არ მიფიქრია და არც მიკითხავს პოეტისათვის. ახლა კი ვფიქრობ, რომ ეს სიტყვა უნდა იყოს „გრაალელი“ -სგან წარმომდგარი, რაც რელიგიურ-მისტიკურ საწყისზე მიგვანიშნებს“ (ქადაგიძე 2003: 12). მოგონების ავტორი ხანდაზმულია, როცა ამას წერს. თავიდან ის ფრთხილად და მოზომილად გამოთქვამს საკუთარ თვალსაზრისს, ცოტა ქვემოთ კი უკვე დაბეჯითებით ამბობს: „აქედან, ნამდვილად აქედანაა წარმოშობილი ტერენტი გრანელის ფსევდონიმი – გრაალელი – გრაანელი – გრანელი“ (ქადაგიძე 2003: 13).

ფსევდონიმ გრანელს გრაალთან აკავშირებს ტერენტი გრანელის ლექსების რუსულად მთარგმნელი ბეჭა ლაშხია-ხიბლელიც: „სიცოცხლე უკვე ნაბოძები ჰქონდა და ის გადმოიღვარა ლექსებში, როგორც ქრისტეს სისხლი წმინდა გრაალის თასში, რამაც სიცოცხლე მისცა მის ფსევდონიმს – გრანელი“ (დიდი ტერენტი 2012: 39).

იოსებ არიმათიელთან“ (იოსებ იმედაშვილთან) და მის ოჯახთან თითქმის ათი წელი (სავარაუდო 1918-1928 წლები) ჰქონდა ახლო მეგობრობა ტერენტი გრანელს, სანამდე მასა და იოსების ვაჟს – გაიოზს შორის არ ჩამოვარდა უთანხმოება ერთი პირადული უსიამოვნების გამო (გაიოზ იმედაშვილი 1983). ამის შემდეგ ტერენტის მათ ოჯახში ფეხი ადარ დაუდგამს. „იოსებ არიმათიელთან“ ათი წლის სიახლოვე და ტერენტის პოეზიის სიმბოლისტურ-მისტიკური ხასიათი იძლევა იმის საშუალებას, რომ მისი ფსევდონიმი „გრანელი“ დავუკავშიროთ გრაალის თემატიკას, ეს განსაკუთრებით ითქმის მის კრებულებზე: „სული-დან საფლავები“ და „Memento mori“ („ტერენტი გრანელი მოდის სისხლიანი სამარიდან. იქნებ ის იყოს ქრისტე მეორედ მოსული“). თუმცა, ვიმეორებთ: ესეც თვალსაზრისია და მის გამყარებას ტერენტი გრანელის პოეზიის ღრმა და საფუძვლიანი კვლევა ჭირდება.

## **დამოცვებანი:**

**გვეტაძე 1981:** გვეტაძე გ. ტრაგიკული ბედის პოეტი. მნათობი, № 10. თბილისი: 1981.

**გრანელი 1972:** გრანელი ტ. ლირიკა, რედაქცია და ბოლოსიტყვაობა ლერი ალიმონაკვისა. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“, 1972.

**დიდი ტერენტი 2012:** დიდი ტერენტი გრანელი. სტატიების კრებული. თბილისი: „სკეტი“, 2012.

**იმედაშვილი 1983:** იმედაშვილი გ. პოეტი ქარის და ღამეების. ლიახვი. თბილისი: „მერანი“, 1983.

**წონორია 2015:** წონორია თ. „ინტერვიუ ლერი ალიმონაკთან“. ლექსმცოდნეობა. VII. ტერენტი გრანელისადმი მიძღვნილი ლექსმცოდნეობის მეშვიდე სამცენიერო სესიის მასალები. თბილისი: შოთა რუსთაველის ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2015.

**ქადაგიძე 2003:** ქადაგიძე გ. „სივრცეში დარჩენილი ფრაზები“. კონკრეტული (კონსტრუქტიული გაჩერჩილადე) ტერენტი გრანელის შესახებ. თბილისი: 2003.

**წმიდანთა ცხოვრება 2003:** წმიდანთა ცხოვრება. ტ. III. თბილისი: 2003.

## **SABA METREVELI**

*Georgia, Tbilisi*

*Shota Rustaveli Institute of Georgian Literature*

## **Development of Modernism in the Totalitarian Environment**

Development of Modernism in the socialistic totality when the party dictatorship brutally governed we can accept the political writing as something anti-event in Art. Political writing not only put a false color on the natural line of development of literature but ruined the general concepts, unleashed the fight against person, actually rejected idea of individuality at all. Meanwhile if in Modernism the human is considered as a part of national-cultural context, political writing unleashed the severe war against everything national, rejected the idea of the motherland and defined it only by political mark opposite to the process of Modernism culture and world outlook.

**Key words:** Modernism; Proletarian literature.

## საბა მეთრეველი

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

### მოდერნიზმის განვითარება ტოტალიტარულ სივრცეში

მოდერნიზმის გავითარების ინვარიანტად საბჭოთა ტოტალიტარიზმის პირობებში, როცა მძვინვარებდა პარტიული დიქტატურა, შესაძლოა მივიჩნიოთ პროლეტმწერლობა, როგორც ანტიმოვლენა ხელოვნებაში. პროლეტმწერლობაში არა მხოლოდ გაამრუდა ლიტერატურის განვითარების ბუნებრივი ხაზი, არამედ დაშალა მოდერნიზმის ძირითადი კონცეპტები; ბრძოლა გამოიუცხადა პიროვნებას, ფაქტობრივად, უარყო ინდივიდის იდეა. ამასთანავე, თუ მოდერნიზმში ადამიანი მოიაზრება ნაციონალურ-კულტურული კონტექსტის ნაწილად, პროლეტმწერლობამ დაუნდობელი ბრძოლა გამოიუცხადა ყოველგვარ ეროვნულს, უარყო სამშობლოს იდეაც, რომელიც განსაზღვრა პოლიტიკური ნიშნით. მოდერნისტული კულტურულ-მსოფლმხედველობრივი პროცესის საწინააღმდეგოდ, დაიწყო უარყოფა ყოველგვარი სულიერი კრიზისისა, რადგანაც ეს ეწინააღმდეგებოდა პარტიის გენერალურ ხაზს – ადამიანი პედინერი უნდა ყოფილიყო მხოლოდ სოციალისტური აღმშენებლობის ქარ-ცეცხლში, რევოლუციური მონაპოვრის დაცვის ვნებით. მწერლობის მთავარი თემა გახდა ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია და კოლექტივიზაცია. პროლეტმწერლებმა შემოიტანეს და დაამკვიდრეს ისეთი კონცეპტები, რომლებსაც არაფერი ჰქონდა საერთო სულიერობასთან, ადამიანის შინაგან „მე“-სთან, პოეზიის ტრადიციულ ლირებულებებთან და მთლიანად სამომხმარებლო-საგნობრივ სამყაროს ასახავდა მიზანმიმართული იდეოლოგიური აქცენტებით (ქურა, ჩაქუჩი, ტრაქტორი, კომბაინი, ნამგალი...), რის შედეგადაც მწერლობის თემატიკა და სააზროვნო სივრცე გახდა ჩაკეტილი, და-საზღვრული, დეტერმინებული და დეპუმანისტური.

კიდევ ერთი და მნიშვნელოვანი ისიცაა, რომ ნიცშეანური ტრაგიზმი „ღმერთი მოკვდა“ პროლეტმწერლობაში კრიზისად კი არ გაფორმდა, ქრისტიანული პარადიგმა კი არ შეიცვალა, არამედ მთლიანად ჩამოიშალა. ღმერთი მოკვდეს, აგრესიულმა ათეიზმმა დაბადა დოგმატური მარქსიზმი. ფაქტობრივად, შეიქმნა ახალი რელიგია – კომუნისტური რელიგია, რომელმაც ქრისტიანობას მსოფლმხედველობრივი ბირთვი გამოაცალა და პარტიულ რელიგიად აქცია. პროლეტმწერლობამ ასახა უსულო და ულმერთო ცივილიზაცია, დაიკარგა სიყვარულის, სიკეთის, თანაგრძნობის, მეგობრობის, ერთგულების, ადამიანობის

კონცეპტები; კულტურულ-სააზროვნო სივრცეში გაქრა მარადიული ლირებულებები და შეუცვლელი ფასეულობები. ყოველგვარი კულტურული, რომანტიკული, პატრიოტული ინტერნაციონალურის, მუშურ-გლეხურისა და კლასობრივის სახელით შეეწირა დეფორმირებულ სინამდვილეს.

ფილიპე მახარაძემ ქართველ მწერალთა მეორე ყრილობაზე 1926 წელს რიხით განაცხადა: „პროლეტარული კულტურა, პროლეტარული პოეზია, პროლეტარული ხელოვნება გუშინ არ დაწყებულა, ეს დაიწყო მაშინ, როდესაც დაიწყო მუშათა მოძრაობა, როდესაც დაიწერა „ინტერნაციონალი“, რომელსაც მდერით. ის დაიწყო 60 წლის წინეთ. აი, რა დიდი წარსული აქვს პროლეტარულ მწერლობას და ხელოვნებას“ (მახარაძე 1926: 251-252). პროლეტარული მწერლობა ეს არის ლიტერატურა, რომელიც ასახავს პროლეტარიატის, როგორც კლასის, მსოფლმხედველობას, რომელიც სათავეში უდგას ბრძოლას სოციალისტური საზოგადოებისათვის. მიზანი ამ კლასისა მიიღწევა მხოლოდ რევოლუციური გზით და სწორედ ეს პათოსია წამყვანი წებსმიერი ქვეყნის პროლეტარული მწერლობისათვის. პროლეტარული ლიტერატურა წარმოიქმენება და ფორმირდება რევოლუციური ბრძოლის პირობებში და ემსახურება მუშათა კლასის პოლიტიკურ სიმწიფესა და აქტივობას. მისი დამახასიათებელი ნიშანია მებრძოლი ინტერნაციონალიზმი.

პროლეტარულ-სოციალისტური ლიტერატურის უმთავრესი განმაპირიბებელი ფაქტორი, არის და შემოქმედებითი მიზანი არის მუშათა კლასის რევოლუციური ბრძოლის, რევოლუციური შეგნებისა და მისწრაფების ასახვა. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ ესაა მკვეთრად პოლიტიზებული ლიტერატურა, პარტიის, ხელისუფლების რუპორი, რომელმაც რევოლუციური პრაქტიკით შექმნა და განავითარა ყველა ასპექტი და ფორმა იმ იდეოლოგიისა, რომელსაც მთლიანად დაუქვემდებარა მხატვრული შემოქმედება. მაგალითად, ი. გომართელის აზრით: „დღეს ძალაუფლება პროლეტარიატის ხელშია, ცხოვრებაში ის გაბატონდა, ცხადია, მან უნდა დაუმორჩილოს თავის მიზნებს პოეზიაც. პოეზია უნდა შეიქმნეს პროლეტარიატის ზრახვათა და მისწრაფებათა გამომსახველი. ეს უნდა მოხდეს და მოხდება კიდეც!“ (გომართელი 1926: 2). ასეთ რიტორიკას ამართლებდა და ამაგრებდა რუსეთის კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1925 წლის 18 ივნისის რეზოლუცია, რომლის მიხედვითაც კლასობრივ საზოგადოებაში არ არის და არც შეიძლება იყოს ნეიტრალური ხელოვნება. უფრო ადრე კი, 1905 წელს დაიბეჭდა ლენინის წერილი „პარტიული ორგანიზაცია და პარტიული ლიტერატურა“. სათაურიდანაც უკვე ცხადია, რომ ლიტერატურა

პოლიტიკური იდეოლოგიის ნაწილად გამოცხადდა: „ჩვენი ლიტერატურული პოლიტიკის ძირითადი საფუძველი ის არის, რაც, საერთოდ, ასასიათებს ბოლშევიზმს. ბოლშევიკური პარტია არც ერთ სფეროს არ სტოვებს თავისი გეგმიანი ხელმძღვანელობისა და ზემოქმედების გარეშე. რა თქმა უნდა, მწერლობაც ორგანიულად შედის ბოლშევიკური ზემოქმედების ფარგლებში (ბუაჩიძე 1960: 7). ალვირახესნილმა ლიტერატურის პარტიულობის პრინციპმა დაამკვიდრა სიძულვილი და დაუნდობლობა იმათ მიმართ, ვინც სხვა პოლიტიკურ პლატფორმაზე დგას, ვისაც განსხვავებული შეხედულება გააჩნია. „ან იქით, ან აქეთ! მესამე გზა არ არსებობს“ – ამტეიცებდნენ დაქტატურის მეხოტები (ბუაჩიძე 1931: 24-25). პროლეტმწერლის ეს სტრიქონებიც: „მე ბოლშევიკის გარდა სხვა ვინმე / არ მიმაჩნია ადამიანად“ (კ. ლორთქიფანიძე) – ნათლად წარმოაჩენს ლიტერატურის ჰუმანური პრინციპების სრულ უარყოფასა და ლიტერატურის პარტიულობის აბსურდულობას, უაზრობას, აგრესიულობას, რაც პირდაპირი ნიშანია იმისა, თუ რას უშვრება ადამიანს ანტიეროვნული პოლიტიკური დოქტრინის ერთგულება. უურნალი „პროლეტარული ხელოვნებისათვის“ ლოზუნგად აცხადებდა: „ბრძოლა პარტიის გენერალური ხაზისათვის ხელოვნების საშუალებებით, ბრძოლა ბოლშევიზმის დიდი ხელოვნების შექმნისათვის!“ (პროლეტარული ხელოვნებისათვის 1931: 2). ამავე წელს გამოვემულ წიგნში ბ. ბუაჩიძე დაბეჯითებით ამტეიცებდა: „გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს პარტიის ხაზის ურყევ გატარებას ლიტერატურის ფრონტზე. საქართველოს პრლეტარულ მწერალთა ასოციაციის აქტივი მტკიცედ იდგა და დგას პარტიის ლიტერატურული პოლიტიკური ხაზის სიმინდის სადარაჯოზე! (ბუაჩიძე 1931: 3). ამ მოწოდებას მხარს უბამდა ა. მაშაშვილიც: „პროლეტარული მწერლობა როგორც დღემდე, ისე მომავალშიც მედგრად იბრძოლებს პარტიის გენერალური ხაზისათვის“ (იქვე: 50). ერთი ქართველი პროლეტმწერალი კი ჯიბრით წერდა: „მგლების ღმულმა ვერ დაამარცხოს / პარტიის ხაზი გენერალური“ – ასეთი მრნამსი გამომდინარეობდა სწორედ ბოლშევიკური ხელისუფლების უძლეველობის, ლენინურ-სტალინური მოძღვრების უცდომელობის რჩმენისაგან. გენერალური ხაზი გულისხმობდა იმას, რომ ერთგული უნდა ყოფილიყავი პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის (ბელადის) პოლიტიკისა. ამ ხაზიდან მარჯვნივ ან მარცხნივ გადახვევა არავის ეპატიებოდა. ამიტომაც წერდნენ და აფრთხილებდნენ ერთმანეთს: „ზოგიერთი პროლეტარული მწერალი თავის შემოქმედებაში ვერ ახორციელებს გენერალურ ხაზს. ზოგიერთი პროლეტარულ მწერალის შემოქმედებაში ფართო დასაყრდენს პოულობს წვრილ-ბურჟუაზიული რადიკალიზმი („მემარცხენება“) და

წვრილ-ბურუუაზიული ლიბერალიზმი (მემარჯვენეობა) (რადიანი 1931: 97). მემარჯვენეობა-მემარცხენეობის ასეთი დაყოფა-გააზრება თავად „ამხანაგ სტალინს“ ეკუთვნოდა. დანაშაულად ითვლებოდა დუმილი (ე.ი. არ მოსწონს ბოლშევიკური ხელისუფლება) და აპოლიტიკურობაც, – სრული განრიდება პოლიტიკისგან. რ. გვეტაძე ერთ თავის ლექსში წერდა: „რადგან არაფერი მესმის მსოფლიო პოლიტიკის, / რომელსაც შეიძლება მოჰყვეს ახალი ომი, / გადავწყვიტე ვიცხოვრო ასე: / ვირი-ვით წყნარად და შრომით“. ამისთვის მაშინვე გაიკიცხა პროლეტმწერლობის მეთაურისაგან: „ეს არის აპოლიტიკურობის მართლაც და ჭეშმარიტი ობიექტელობის ფილოსოფია. პოლიტიკაში გაურკვევლობა და „ვირული სიწყნარე“ მოკავშირულ მწერლობას ვერ შეუთავსდება... დაუნდობელი და სასტიკი ბრძოლა რეაქციონური მწერლობის წინააღმდეგ! (ბუაჩიძე 1960: 12). ძალზე ნიშანდობლივია კ. ლორთქიფანიძის მოგვიანო პერიოდის მოთხოვნა „სიტყვა იყო ღმერთი“, რომლის მთავარი პერსონაჟი, ვანო მურადაშვილი, ასე მსჯელობს: „ნითლების მხარეზე არ ხარ? – მაში, თეთრებისა ყოფილხარ და ტყვია შუბლში, სხვა ვერაფერი გაგასწორებს... ვინც ჩვენთან არ არის, ის ჩვენი მტერია, მორჩა და გათავდა! მონანიებამ ქვეყანა დაანგრია“.

გადამწყვეტი ნიშანი პროლეტმწერლობისა არის მისი სოციალური მისწრაფება, რევოლუციური სულისკვეთება, მუშურ-გლეხური ბრძოლა, შეურიგებლობა, დაუნდობლობა, სისატიკე, სიძულვილი კაპიტალიზმისა, ბურუუაზისა. ეს არის კლასებს შორის ბრძოლისა და დაპირისპირების გამომხატველი პოლიტიზებული ლიტერატურა, შორს მდგომი ყოველგვარი მარადიული ღირებულებებისაგან, გაუცხოებული ტრადიციისაგან და გაულენთილი მდარე ხარისხის, არაფრის-მთქმელი ესთეტიკის (შესაძლოა ითქვას, უესთეტიკური) ნანარმოებებით. კოლექტიური აზროვნება, დაბადებული და ნარმოშობილი კლასობრივ ზიზღასა და პროტესტში, თავის ასპარეზს პოულობს მათს რიგებში. ამის საუკეთესო მაგალითია ფრიდონ ნაროუშვილის პოეზია. სანიმუშოდ ეს სტრიქონებიც გამოდგება: „რომ რესპუბლიკა სოციალისტური / მძიმე ინდუსტრიით იყოს მოფენილი, / მისი ორგული და მავნებელი / დიქტატურის ქუსლით იყოს გათელილი“; ან: „როგორც პოეტმა – პოლიტიკურმა, უნდა შეასრულო შენი გაკვეთილი; / სოციალიზმის ყველა მაგნებელი / დიქტატურის ტყვიით იყოს დახვრეტილი“ (ნაროუშვილი 1931: 21).

მწერლობაში ნამოჭრილმა **ახალი ადამიანის**, გმირის პრობლემამ სერიოზული საფიქრალი გააჩინა, რადგან უცებ გაჩნდა რევოლუციის ზედმეტი ადამიანის პრობლემაც. კომუნისტური ახალი ადამიანი კოლექტივის მოჯამაგირე უნდა ყოფილიყო, დაუფიქრებლად მზად –

მკვლელობისა და მძარცველობისთვისაც, დაკარგული უნდა ჰქონდეს სინდისის ქენჯინის უნარიც (ბაქრაძე 1990: 167). ახალი ადამიანი უსიცოცხლო, დაუნდობელი, ყოველგვარი ღირსებისაგან დაკლილი, მექანიკური არსება იყო, უსათუოდ სისტემის ყურმოჭრილი მონა. ამის დამადასტურებელია გ. მუშიშვილის სიტყვები, რომ მწერლობა უნდა ხატავდეს მექანიკურ ადამიანებს, ვინც უსიტყვყოდ და დაუფიქრებლად შეასრულებს სკვ პარტიის მოთხოვნებს და დადგენილებებს (იქვე: 84). ახალი ადამიანი, ბოლშევიკი, ებრძვის ძველს – მენშევიქს, მერე რა, თუნდაც ის იყოს მეგობარი ან ნათესავი, როგორც გ. მუშიშვილი ამტკიცებდა: მეგობრობის გრძნობა არყევს ბოლშევიკურ სიმტკიცეს. სოციალიზმის გამარჯვება შეუძლებელია კულტურული რევოლუციის მოხდენის გარეშე. „კულტურული რევოლუცია აუციებელი პირობაა ადამიანთა მორალის გარდაქმნისათვის, ახალი ადამიანის შექმნისა და ჩამოყალიბებისათვის“ – ნერდა ბ. ბუაჩიძე (ბუაჩიძე 1931: 10).

შეიცვალა გმირის ადგილი, როლი, მიზანი და დანიშნულება ცხოვრებში. ის არ შეიძლება ყოფილიყო ქართულ ნიადაგზე აღმოცენებული ეროვნული გმირის მსგავსი. პირიქთ, დაუპირისპირდნენ ძველსა და ტრადიციულს: „მხცოვანი მწერლებისათვის გიორგი სააკაძეზე და ირაკლი მეფეზე გათავდა გმირების გალერეია“. ჩვენთვის კი ეხლა იქმნება ნამდვილი გმირი და მას მეფის გვირგვინის და ხმლის მაგიერ ხელში უკავია მეფეზოვის ცოცხი, ჩაქუჩი და კედლის გაზეთში კორესპონდეციებს წერს ქარხნის ეზოში უსუფთაობის შესახებ“ (ბუაჩიძე 1930: 260). ფაქტობრივად, შეიქმნა ანტიგმირის მოდელი. ილია ჭავჭავაძის მიერ პოემა „აჩრდილში“ დასმული პრობლემა: „...მაგრამ, ქართველნო, სად არის გმირი, / რომელსაც ვეძებ, რომლისთვისც ვსტირი? / იგი აღარ გყავთ... მის მოედანი / ჯაგით აღვსილა, ვერანად ქმნილა, / გმირის დამბადი დიდი საგანი / თქვენში სპობილა და ნაწყმედილა. / გადასდგომიხართ თქვენ ქართველობას, დაგინგრევიათ დიდი მამული“, — ფაქტობრივად, უკვე ბოლშევიკებმა საბოლოოდ გადაჭრეს – დღევანდელი გმირი სოციალისტური აღმშენებლობის „უბრალო“ მუშაა! (ბუაჩიძე 1930: 259).

დაინგრა ოჯახის იდეაცა და მისი ღირებულებითი აღქმაც, მისი სიმტკიცეც და სინმინდეც. არ დარჩათ შეურყყვნელი და წაუბილ-წველი მშობლისა და შვილის წმიდათანმიდა სიყვარული. პოლიტიკურ ნიადაგზე შესაძლებელი გახდა, შვილს მამა არ დაენდო და გასცა კიდეც პავლიკ მოროზოვმა მამამისი, ამიტომაც კლავდა „მთვარის მოტაცების“ პირველ ვარიანტში არზაყან ზვამბაა მამას. ლიტერატურა ასახავდა ოჯახში მიმდინარე „კლასობრივ ბრძოლას“ (ს. თალაკვაძის „გადასასვლელი“) და ამკვიდრებდა გაუგონარ არაადამიანობას, მა-

გალითად: კალე ფეოდოსიშვილი ასეთ „შედევრებს“ ქმნიდა: „მე გა-დავწყვიტე მთლიანი გულით, / ახალი ქვეყნის დავრჩე ერთგული! / მე მამას მოვკლავ, დავახრჩობ დედას, / რევოლუციამ თუკი მიბრძანა“ (ფეოდოსიშვილი 1926: 23). შემაშფოთებელია, ეს სისასტიკე და არაა-დამიანურობა პოეზიად გამოაცხადო და იგი ეთიკურ ნიმუშად დაუსახო მნერლობას. პ. ქიქოძე აღფრთოვანანებული წერდა: „ფეოდოსიშვილი ანვითარებს კულტს პროლეტარული ეთიკისას“ (კვერენჩილაძე 2011: 280).

სხვა დანიშნულება მიენიჭა ადამიანს. ის გაბატონდა ბუნებასა და საგნებზე. დაიწყო სამყაროს დამორჩილება-გარდაქმნის ბოლშე-ვიური ბუმი. „დღეს ორთქლისა და ელექტრონის ბატონობაა. მათი ძალით კაცობრიობა უნდა მისწვდეს ბუნების საიდუმლოებას: ხელე-თზე ეტლების მაგივრად მიჰქრიან ორთქმავლები; ზღვა-ოკეანებში მიცურავენ მთის ოდენა გემები; ჰაერში გაჰყავთ რკინის გზები; საქა-რთველოც ელის ამ მეოცე საუკუნის კულტურის სხივებს“ – აღფრ-თოვანებით წერდნენ პროლეტმნერლები (ქურა, II, 1922:). ადამიანი ებრძვის ბუნებას და ამ ბრძოლაში ტექნიკა ამარცხებს ყოფას. ამი-ტომაც განსაკუთრებული დატვირთვა, რაღაც საკრალური ფუნქცია მიენიჭა ტრაქტორსა და კომბაინს, ჩაქერჩისა და ნამგალს...

უცნაურადგანიცდებასამშობლოც (თუამას შეიძლება პატრიოტიზ-მი ვუზოდოთ): „ტკივილს ვერ მომგვრის მე სამშობლოს მიწის სიშორე / მე ჩემს სამშობლოს ქვეყანაზე ყველგან ვიშვივი“ (ლორთქიფანიძე 1927: 107); პროლეტმნერლებმა შეძლეს ის, რაც მრავალსაუკუნოვანი ქართული ლიტერატურის ისტორიაში არავის მოსვლია აზრადაც კი – გაუცხოება სამშობლოსაგან, უარყოფა ეროვნულისა და დამკვიდრება გაუგონარი ნაციონალური ნიჰილიზმისა: „რად მინდა სამშობლო? / ჩემთვის ერთია / ერევლე მეფე და აღა-მაპმად-ხან“ – ასეთ რიტორიკას ზურგს უმაგრებდა კომუნისტური იდეოლოგია. უნებურად გაგახსენდ-ება ოთარ ჭილაძის სიტყვები: „სამშობლო თაგს ურჩევნიათ ადამიანებს და არა – მონებს“ („ადამიანი გაზეთის სვეტში“). პროლეტმნერლები გამოდიოდნენ ყოველგვარი პატრიოტული და ეროვნული გრძნობის წინააღმდეგ. გაჩინდა ეპოქის ნებატიური სულის ფუნდამენტური ოპოზიციები: ეროვნული – ინტერნაციონალური; ღმერთი – ბელადი. ასე იქცა ულმერთო და უსამშობლო ადამიანების ხროვა ქართული მწ-ერლობის გზისა და გეზის მიმცემად. ამიტომაც უნდა მოგვიანებით ირაკლი აბაშიძემ პროლეტმნერლობას: „რევოლუციის პირველ წლებში ფრთაგაშლილი უსამშობლო კოსმოპოლიტიზმი“ (აბაშიძე 2003: 80). სი-ტყვა „პატრიოტიზმი“ უკვე ირონიას იჩვევდა (როგორც დღეს აღიქმება სუბვერსიულად, უცნაურად, ზოგჯერ უადგილოდ და სასაცილოდ!).

ბ. ბუაჩიძის აზრით: „აკაკის ზოგადი, მთლიან – ეროვნული ხასიათის პატრიოტული ლირიკა – ვითომც უენებელი, საგრძნობლათ აჩლუნგებდა და და ანელებდა კლასიურ ბრძოლის ხაზებს“ (ბუაჩიძე 1927: 16). კრიტიკოსი წუხდა იმის გამო, რომ პატრიოტული ლირიკით დამძიმებულია ქართული პოეზია. ცოტა მოგვიანებით კი უფრო მკაცრი განაცხადით წარდგა მკითხველთა წინაშე: „ლაპარაკი ეროვნული მთლიანობის შესახებ მეტად ძველია და მისი სოციალური შინაარსი ანტი-პროლეტარულია“ (ბუაჩიძე 1934: 195).

ინტერნაციონალიზმის იდეა, რომელიც ატაცებული ჰქონდათ სოციალ-დემოკრატებსა და ბოლშევიკებს, იმთავითვე გააზრებული იყო ეროვნულობის წამლის საფრთხედ (შდრ. დღევანდელობა და გლობალიზაცია), ამიტომაც ჯერ კიდევ 1920 წელს შეშფოთებული წერდა ახალგაზრდა გიორგი ლეონიძე: „ინტერნაციონალი კულტურა მძვინვარე ვეშაპივით მოექანება. მას დამიუკიდებელი კულტურა აბრაზებს, ნაცია – ალფა და ომეგა კულტურისა – უარყოფილია“ (ლეონიძე 1920:). საბჭოთაში უკვე ჩემი სამშობლო საქართველო აღარ იყო, ამას ასეთი ახსნა მიეცა: „ქართულ პოეზიაში სამშობლოს ცნებამ უაღრესად ფართო მნიშვნელობა მიიღო. სამშობლოს ცნებაში იგულისხმება არა მარტო საქართველო, არამედ მთელი საბჭოთა ხალხების მიწა-წყალი, სტალინური მეცნიერებული შეკავშირებული საბჭოთა ხალხების მრავალერიანი სამშობლო“ (ჭილაძე 1953: 152).

ასეთი იყო საბჭოთა ტოტალიტარიზმის ეპოქა, რომელმაც გაამრუდა არა მხოლოდ ლიტერატურის განვითარების ბუნებრივი ხაზი, არამედ დაშალა ადამიანი, დაანგრია რწმენა და სული, დეფორმირებული გახადა სამყარო. ამასთანავე, „ტოტალიტარიზმი, როგორც იდეოლოგია, ანუ სიყვარულის, თავისუფლების, პიროვნული „მე“-ს რეალიზაციის აღმკვეთი სისტემა, მიმართულია აგრესიის გატოტალურებისაკენ“ (კვაჭანტირაძე 2013: 197) და სწორედ ეს იყო მიზეზი სახელმწიფოებრივი დიდი ტერორისა, მილიონობით ადამიანი რომ იმსხვერპლა. ავადსახსენებელი 1937 წლის 5-6 მაისს მწერალთა კავშირის გამგეობის პლენარულ სხდომაზე ტიციან ტაბიძე იტყვის: „ჩვენ გვახსოვს ის დრო, როცა ხმის ამოღება არ შეიძლებოდა, როცა ქიქოძენაროუშვილის აშკარა თავგასულობა იყო გამეფებული“ (კვერენჩიხილაძე 2013: 67). პროლეტარულმა მწერლობამ თავისი არსებობის 10 წლის განმავლობაში უმძიმესი გავლენა მოახდინა არა მხოლოდ ქართული ლიტერატურის ისტორიაზე, არამედ, ზოგადად, ერის ცხოვრებაზე. პროლეტმწერლობას არ ჰქონდა ეთიკა, მორალური პრინციპები, არავითარი ფასეულობა. ის იყო ანტიეროვნული, ანტისახელმწიფოებრივი, ანტიპუმანური, უნიჭობასა და ფსევდო-ლირებულებებზე დაფუძნე-

ბული, დაპირისპირებული კლასიკურ მემკვიდრეობასთან, ღმერთთან, სამშობლოსთან და ადამიანთან.

საპირისპიროდ მოდერნიზმისა, დიქტატურის მხარდამჭერმა ლიტერატურულმა დისკურსმა შექმნა „საბჭოთა მტრის“ ხატი. მნიშვნელობა დაკარგა ადამიანმა, რომელიც იქცა არა მხოლოდ უპიროვნო, უსახო, მექანიკურ მასად, არამედ შემლილ, შურისმაძიებელ, სასტიკ და დაუნდობელ არსებად.

## დამოცვებანი

**აბაშიძე 2003:** აბაშიძე ი., ზარები ოცდაათიანი წლებიდან. თბილისი: გამომცემლობა „ინტელექტი“, 2003.

**ბასილაძე 2012:** ბასილაძე მ. ადამიანის სულის ინჟინრები. მისამართი: <http://24saati.ge/index.php/category/news/2010-03-06/4138>.

**ბაქრაძე 1990:** ბაქრაძე ა. მნიშვნელობის მოთვინიერება. თბილისი: „საარანგი“, 1990.

**ბუაჩიძე 1927:** ბუაჩიძე ბ. ლიტერატურა და თანამედროვეობა. თფილისი: „ზაკრინიგა“, 1927.

**ბუაჩიძე 1929:** ბუაჩიძე ბ. „ჩვენი დროის გმირი“. გაზ. „ხუთი მაისი“, 1929.

**ბუაჩიძე 1930:** ბუაჩიძე ბ. ბრძოლა ჰეგემონიისათვის. ტფილისი: „შრომა“, 1930.

**ბუაჩიძე 1931:** ბუაჩიძე ბ. მნიშვნელობის მიმდინარე საკითხები. თბილისი: „ქართული წიგნი“, 1931.

**ბუაჩიძე 1934:** ბუაჩიძე ბ. თანამედროვე ქართული მნიშვნელობის გზები. ტფილისი: „სახელგამი“, 1934.

**ბუაჩიძე 1960:** ბუაჩიძე ბ. კრიტიკული წერილების კრებული. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“, 1960.

**გენდეხაძე 2001:** გენდეხაძე ც. ტრაგიკული 30-იანი წლების ექი ქართულ კრიტიკაში. ელექტრონული ვერსია, მისამართი: <http://www.nplg.gov.ge/gSDL/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0period--00-1--0-10-0--0-0---prompt-10---4----4-0-11-11-en-10---10-preferences-50-00-3-1-00-0-00-11-1-0utfZz-8-00-0-11-1-0utfZz-8-00&a=d&c=period&cl=CL4.2&d=HASH0117a23a9948258a0d2422a5.5.7>.

**გომართელი 1926:** გომართელი ა. კრიტიკული შენიშვნები. თეატრი და ცხოვრება, № 8, 1926.

**პროლეტარული ხელოვნებისათვის 1931:** ჟ. „პროლეტარული ხელოვნებისათვის“, 1931.

**დონალი 1922:** დონალი. პროლეტარიატი და ხელოვნება. ხომალდი, № 2, 1922.

**თევზაძე 1982:** თევზაძე დ. ქართული საბჭოთა ლიტერატურული კრიტიკა. თბილისი: „მერანი“, 1982.

**კალაძე 1928:** კალაძე რ. ქართული პრილეტარული მნიშვნელობა. მნათობი, № 7, 1928.

**კვაჭანტირაძე 2013:** კვაჭანტირაძე მ. ვექტორები (წერილები, სტატიები).

თბილისი: „მერიდიანი“, 2013.

**კვერცხნილაძე 2008:** კვერცხნილაძე რ. XX საუკუნის საქართველოს ლიტერატურული ცხოვრება. თბილისი: „უნივერსალი“, 2008.

**კვერცხნილაძე 2011:** კვერცხნილაძე რ. საბუთები დაღადებენ. თბილისი: „უნივერსალი“, 2011.

**კვერცხნილაძე 2013:** კვერცხნილაძე რ. რეპრესირებული პოეზია. თბილისი: „უნივერსალი“, 2013.

**ლეონიძე 1920:** ლეონიძე გ. „ძველ პოეზიაზე“. გაზ. „ნაციონალისტი“, 3 ოქტომბერი, 1920.

**ლორთქიფანიძე 1927:** ლორთქიფანიძე კ. წინაპრეზე. მნათობი, №1, 1927.

**მახარაძე 1926:** მახარაძე ფ. „ სიტყვაკაზმული მწერლობა და მისი კრიტიკა“. თხზულებათა კრებული. ტ. V. თბილისი: „სახელმწიფო გამომცემლობა“, 1926.

**ნაროვშვილი 1931:** ნაროვშვილი ფ. პოლიტიკური პოეტის დეკლარაცია. თბილისი: „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1931.

**პროლემაფ, I, 1925:** ჟ. „პროლემაფ“, I, 1925.

**რადიანი 1931:** რადიანი შ. თანამედროვე ქართული ლიტერატურა. თბილისი: „სახელმწიფო გამომცემლობა“, 1931.

**ფეოდოსიშვილი 1926:** ფეოდოსიშვილი კ. ქალაქის ბაღში. ჟ. „მერცხალი“, №4, 1926.

**ქიქოძე 1926:** ქიქოძე პ. შემოქმედება თუ თვითმკვლელობა. ტფილისი: 1926.

**ქურა, II, 1922:** ჟ. „ქურა“, № 2, 1922.

**ჭილაძა 1953:** ჭილაძა ს. ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარების გზა. თბილისი: „სახელმწიფო გამომცემლობა“, 1953.

## INGA MILORAVA

*Georgia, Tbilisi*

*Shota Rustaveli Institute of Georgian Literature*

## Aesthetic Landmarks of Modernist (Dreams, Mask)

In the concept of modernist reflection and expression combined philosophical, rational and purely aesthetic elements. This mechanism can be expressed as a conditional formula: From the Material reality to see reality, the perception and depiction of sensory-aesthetic in which process he text opens between reality and dreams. "... The soul has gone beyond the border" (T. Tabidze) – In this phrase, demonstrated the essence of the modernist creative process and features. Between dreams and reality almost erased line in georgian prose is clearly seen in Vasil Barnov. Modernist artistic thinking support – about the essence of the universe and the perception of an idealistic philosophy ideas clearly reflected Leo Kiacheli

early texts. In the early novels obvious for symbolist and impressionist movement with the inherent motives –skepticism (“Insult”), the face of philosophy (“Escalade”), silence theory (“Stephen”, “Iskander”), the problem of destiny (“sinners”). Skepticism and tragic perception of the world is reflected as Konstantine Gamsakhurdia’s early writings, as well as the modernist novel ‘Smile of Dionysus’ (1925). In the first collection of the Early lyrics and short stories „Countries Which I See” (1924) is well illustrated writer’s expressionist ideology. At this stage there was one reality for a writer, which is found in the artist soul, reflected from the surreal world and it is reality transformed artistically.

It has an important role the consideration of the modernist world’s perception aesthetic face. In the “Smile of Dionysus” mythical Dionysus face of the main character –is Constantine savarsamidzi’s face. Modernist literature mastered a dual nature of a face: in one case it is perceived as a sign, trying to grasp the true nature of the face and learn “the forgotten language” – universe. In the second case the artist uses a mask himself and protect beyond of it he freely expresses universe – text. Tsisperqantslebi world outline has completed this circle : unknown-mask-familiar-still unknown. Modernist prose theface gain the habitual forms. In the Its philosophical artistic face exactly expressive function clearly appeared in Leo Kiacheli “Escalade”.

**Key words:** modernist, reflection, Dreams, Mask.

## ინგა მილორავა

საქართველო, თბილისი  
შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

### მოდერნიზმის ესთეტიკური ორიენტირები (ზმანება, ნიღაბი)

სამყაროს სრულყოფილად თუ არა, შეძლებისდაგვარად მაინც აღქმისადმი უიმედო დამოკიდებულებას პლატონის ფილოსოფიაში ეყრება საფუძველი. პლატონის ფილოსოფიურ მეტაფორაში – გამოქვ-აბულში სრულად გამოიხატა ადამიანის აღქმის მექანიზმის სისუსტე. ადამიანს არ ძალუბს პირდაპირ იხილოს ჭეშმარიტი სინათლე, ჭეშმა-რიტი ადამიანი და ჭეშმარიტი საგანი. მხოლოდ გამოქვაბულის მიღმა არსებობს „ნამდვილი სინამდვილე“. თუმცა მხოლოდ ანარეკლის იმე-დად ყოფნა ადამიანს ვერ დააკმაყოფილებდა. მას მეტის მიღწევა სურ-და და იწყო ოცნება ზმანებებში გაცხადებულ მიღმურ რეალობაზე. ფი-ლოსოფიამ მიღმურ სამყაროსთან კავშირში რაციონალური ელემენტი

შემოიტანა და ორი სამყაროს ურთიერთმიმართება მწყობრ სისტემად ჩამოაყალიბა. მოდერნისტული აზროვნება სამყაროს ზმანებისა და ცხადის მოჯნაზე წარმოადგენს. მატ შორის თითქოს ზღვარი იშლება. განახლებულმა ხელოვნებამ და ლიტერატურამ იტვირთა დაფარულის ამოცნობისა და გამოსახვის მისია. მოდერნიზმს ერთგვარად თავისებური, ე. ნ. ტექსტური სეკულარულობაც ახასიათებს – იგი რელიგიურ ჩარჩოებს არ ცნობს და მხატვრული სისტემის ქმნადობისას მყარი დოგმებისაგან თავისუფლდება. „მხატვრობის საგანი უნდა იყოს იმ საიდუმლოების, იმ გამოუცნობელის ახსნა და სურათებით ნათელყოფა, რომელიც შეადგენს დედააზრს და დედაარღვს ადამიანის ცხოვრებისას“ [მწერალი], „ცდილობს, გვაჩვენოს უხილავი და გამოუცნობელი კავშირი, რომელიც არსებობს „საიქიოსა“ და „სააქაოს“ შორის. ცდილობს, თვალწინ დაგვიყენოს მოვლენათა შორის დაფარული კავშირი...“ (აბაშიძე 1970: 444–445). „როდესაც ხელოვნება ესთეტიკური ინტუიციის ძალით გვიძლის სურათს, რომლის ხილვა სილოგიზმისა და ლოგიკის ძალით არ ძალგიძგს, უნდა დავსტკპეტ ამ სურათით და ვლოცავდეთ იმ შემოქმედებით ნიჭს, რომლის წყალობით უხილავი ხდება ჩვენთვის ხილულად და შეუძლებელი შესაძლებლად“ (ჯორჯაძე 1987: 47)

მოდერნისტული ასახვისა და გამოსახვის კონცეფციაში შეერთდა ფილოსოფიური, რაციონალური და წმინდა ესთეტიკური ელემენტები. ეს მექანიზმი შეიძლება პირობითი ფორმულით ასე გამოისახოს: მატერიალური სინამდვილიდან მიღმა რეალობის დანახვა, აღქმა და გრძნობად-ესთეტიკურად გამოახვა, რომლის პროცესშიც ტექსტში იშლება ზღვარი ცხადსა და ზმანებას შორის. სიმბოლისტი პოეტი ტიციან ტაბიძე მინიატურაში „გაზაფხულის დღესასწაული“ წერდა: „...სული ასცილდა საზღვარს“ (ტაბიძე 1996: 293) და ამ ფრაზაში კარგად გამოჩნდა მოდერნისტული შემოქმედებითი პროცესის არსი და თავისებურება.

ზმანებასა და ცხადს შორის თითქმის წაშლილი ზღვარი ქართულ პროზაში წათლად გამოვლინდა ვასილ ბართვთან. მოდერნისტულ მოთხოვნებში ის ღრმა შრეებში აღწევს და მოდერნისტული აზროვნების საფუძველს გამოსახავს – ზმანებისა და ცხადის მიჯნაზე აგებულ მის სამყაროში წაშლილია ზღვარი რეალობასა და წარმოსახვითს, ან ინტუიტიურად მიგნებულ მიღმურს შორის. მისი სიმბოლოები „საზღვარს აცილებული სულის“ შემქმედებითი ინტენსივობის ნათელი შედეგია. „განასკვილი სიმი“ (1920) გვიჩვენებს „შიგნით ჩაბრუნებული მზერის“ მექანიზმს, რომლის საფუძველზეც იგება ბარნოვისეული მოდერნისტული ტექსტები. ეს მზერა საშუალებას აძლევს ადამიანს

միևնույն մագրերուն ալլյուրուս մոլմա արևելյան է. ման չեր կուտած է „Քաջուղաց պատճենությունը“ (1909) նարմանագունա տագուսու գուլուստուրու կոնցեպցիոն դա ու շա, բամլուտաց ազամանու ալենցու դադարյալ. մտավար զմորս, մոխայուս, աեսոցու նոնա ցեղազրենքամու նանանու ազգություն, սահերեն, եմեն. ամ թեմտեզեզամու ցեղազգությունուն գամուլունքաս, բամլուտաց դալուն մնովնելունզանու ծարնուցու թեմոյելեցուն սատազու դա մուգերն-ուն գամուսանցու աեալ սուսպիրմանուց որգանուլադ չեցեն, բամլուտաց սամպարուս ալեմուս աեալու մուգելու. ասեց մաստան ցեղազգությունուն անդրուցնուլու ծովնենքու ազամանուն մեսագրուլ անարյալսաց, բամլուտաց նոնա ցեղազրենքամու թեմպարյելուլեն յերտ մտլունուած արուն նարմանց նունն. յս սուրճազրու կազմուրու ամեյզեպնուր յուղամու օյարցեն, մացրամ մուս ցմուրյեն ոցու աեսոցու դա ամ բամլուրու եսոցնու յերոնութուուտ անեսնենքա մագրերուն ալլյուրու սամպարուս մրավալու մուցլենս դա პրուծլեմա („Քաջուղաց պատճենությունը“, „Պացալու մումազալու“, „Նաժենարու գուցու“, „Սուլու կազմուրու“, „Պացալութենքու“). ասեց ոյթենքա ծարնուցուսուլու սրյալուած որոցունալյուրու սուպարյալուսա դա ազամանուն կոնցեպցիունուց.

Фильм строится по трехчастной форме: Трест – Квартира – Трест. Если в первой части время Сна переходило во время активности, во второй – продолжало толкать героя к поступкам, то в третьей части мы вновь оказываемся во времени сладкого сна. Вернувшись в Трест после своего увольнения бывший управделами застает все то же сонное царство, только хорошо вымытое и украшенное скульптурой, оказавшейся при ближайшем рассмотрении обнаженным живым мужчиной. Эта статуя/мужчина поставлена для наблюдения за порядком, поэтому, увидев брошенный окурок, статуя оживает и указывает посетителю на урну, таким образом, важнейший сюрреалистический прием игры живого и неживого «работает» на сатирическое «снижение» важности деятельности Треста.

Оптические aberrации – еще одна черта сюрреалистического видения, и с ней блестяще справился Микаберидзе. Посещение нахальным бывшим Управделами начальника Треста показано на контрасте времени ожидания самого начальника и времени, когда последний начальник читает письмо-протекцию. Темпорти姆 первого ожидания напряженно подвижен, за минуту эранного времени с помощью двойной экспозиции меняются десятки лиц начальников Треста. Желая остановить этот процесс, бывший управделами накидывает, словно на птичку, плед на голову очередного начальника, титр поясняет: «Тс... Тише. Улетит». Но, когда плед сбрасывается, перед зрителями и обитателями кабинета возникает плакатное лицо Рабочего (Хвираба), с которым мы уже были знакомы в первой части. Рабочий из просителя превратился в Директора, теперь он очень медленно разглядывает

записку бывшего ответственного работника. Во время чтения лицо, снятое крупным планом, меняет свое выражение от угрюмого к зловеще смеющемуся. Страшный смех Рабочего/Директора – ответ на мытарства всех просителей, ибо заканчивается он плакатным лозунгом: «Смерть бюрократии!» и символическим расстрелом посетителей Треста. Такой финал вполне вписывается в прагматику сюрреалистического текста, когда «главным становится действенность искусства – оно призвано поразить, растромошить, вызвать активную реакцию у человека со стороны» (Шапир 1990: 8).

Котэ Микаберидзе сделал фильм-приговор, сатирическая форма которого предлагала увидеть критикуемые явления в режиме «фамильярной близости» (Бахтин). Фильм о перерожденцах вызвал, действительно, незамедлительную реакцию у чиновников. 3 февраля 1930 года Главрепертком, творческий аналог Особого совещания, единогласно просил Рабоче-Крестьянскую Инспекцию привлечь Госкинпром Грузии к ответственности за выпуск явно антисоветской картины, которая показывала бюрократизм таким образом, что в конечном счете сознание зрителя мобилизуется против Советской власти в целом. Картину объявили троцкистской и арестовали. История фильма еще раз демонстрирует эвристическую силу искусства, и действительно, режиссер, как часто бывает с художниками, предвосхитил троцкистскую критику Советской власти, появившуюся в тексте знаменитой работы Троцкого «Преданная революция: СССР и куда он идет» лишь в 1936 году. Троцкий обращал внимание, что «по условиям повседневной жизни советское общество уже сейчас делится на обеспеченное и привилегированное меньшинство и прозябающее в нужде большинство...» (Троцкий 1936), а «демократический централизм уступил место бюрократическому централизму» (Троцкий 1936).

Сбылись и предсказания Юрия Тынянова, который говорил о невозможности сатиры в сталинском СССР, ибо «если пародией трагедии будет комедия, то пародией комедии может быть трагедия» (Тынянов 1977), а трагедия как жанр, по известным причинам тоже была изнана из советского искусства.

Фильм Котэ Микаберидзе – часть недолгого, но яркого существования модернизма в Грузии, представленного репрессированными впоследствии художниками, режиссерами и поэтами Петром Оцхели, Сандро Ахметели, Тицианом Табидзе.

## **ЛИТЕРАТУРА:**

- Бергсон 1998:** Бергсон А. *Творческая эволюция*. М., 1998.
- Добренко 2013:** Добрено Е. *Гоголи и Щедрины: уроки «положительной сатиры»* [online]: <http://www.nlobooks.ru/node/3566> (дата обращения: 25.10.2016).
- Камю 1990:** Камю А. *Бунтующий человек. Философия. Политика. Искусство*: Пер. с фр. М., 1990.
- Ленин 1975:** Ленин В. И. *Полн. собр. соч.*, т. 45. М., 1975.
- Липовецкий 2009:** Липовецкий М. *Трикстер и закрытое общество*. [online]: <http://magazines.russ.ru/nlo/2009/100/li19.html> (дата обращения: 25.10.2016).
- Марков 1974:** Марков П. А. *O teatpre*: в 4 т. Т. 1. – М., 1974.
- Маяковский 2013:** Маяковский В. В. *Полное собрание сочинений* в 20-ти т.т. Т.1. М., 2013.
- Мейерхольд 1968:** Мейерхольд В.Э. *Статьи. Письма. Речи. Беседы*. Ч. 1. 1891-1917. М., 1968.
- Слотердайк 2001:** Слотердайк П. *Критика цинического разума*. /Пер. с нем. А.В. Перцева. Екатеринбург, 2001.
- Трофименков 2016:** Трофименков М. *История русского кино в 50-ти фильмах: «Моя бабушка» (1929)* [online]: <http://pioneer-cinema.timepad.ru/event/315687> (дата обращения: 20.10.2016).
- Троцкий 1936:** Троцкий Л. Д. *Преданная революция: Что такое СССР и куда он идет?* [online]: <http://www.magister.msk.ru/library/trotsky/trotl001.htm> (дата обращения: 05.10.2016).
- Тынянов 1977:** Тынянов Ю. *Достоевский и Гоголь (к теории пародии)*. [online]: [http://az.lib.ru/t/tynjanow\\_j\\_n/text\\_01015.shtml](http://az.lib.ru/t/tynjanow_j_n/text_01015.shtml) (дата обращения: 20.10.2016).
- Шапир 1990:** Шапир М. *Что такое авангард?*// Даугава. 1990, № 3.
- Шкловский 1990:** Шкловский В. *Гамбургский счет. Статьи — воспоминания — эссе (1914 — 1933)*. М., 1990.
- Эко 2006:** Эко У. *Отсутствующая структура. Введение в семиологию*. СПб., 2006.

**KETEVAN NADAREISHVILI**

*Georgia, Tbilisi*

*Iv. Javakhishvili Tbilisi State University*

## **Sandro Shanshiashvili's Interpretation of Argonauts' Myth and Medea's Image in the Light of Georgian Receptions of Argonauts' Cycle**

The article aims to study Sandro Shanshiashvili's poem "Media" (1911) in the context of the Georgian receptions of the Argonauts' and Medea's myth. Our investigation revealed that Shanshiashvili continues the interpretative tendency of Medea's image established in Georgian cultural context by Ioane Batonishvili, namely, presents the most tragic moment of Medea's biography according to Euripides' version, though the attempts are made in the poem for Medea's moral rehabilitation. The article pays special attention to the poet's interpretation of this myth in the context of East-West opposition, which was topical issue in the Georgian discourse of the early XX century. The poet depicts West (representator of which here is Greece) in extremely negative light through presenting Greek characters as arrogant, villain, untrustworthy personalities. And more, Shanshiashvili defines concretely the negative traits of Greeks – their sense of superiority and characteristic to them xenophobia. Thus, we can conclude that depiction of imperialistic ambitions, biased approaches of Greeks and of impropriety of their stereotypes more or less characteristic to large-scale Georgian receptions of Argonaut's myth plays a special role in Shanshiashvili's poem.

**Key words:** Medea, Reception, East-West opposition, Argonauts' myth

**ქათევან ნადარეიშვილი**

საქართველო, თბილისი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**არგონავტების მითოსის და მედეას სახის ინტერპრეტაცია  
სანდრო შანშიაშვილის პოემა „მედიაში“ ქართულ  
კულტურაში არგონავტიკის მითოსის რეციპირების შუქზე**

ხომალდ „არგოს“ მოგზაურობა აია-კოლხეთში ოქროს საწმისის მოსაპოვებლად და მედეა-იასონის რომანის ტრაგიკული დასასრული, ამჟავი, რომელიც არგონავტიკის მითოსშია გადმოცემული, საუკუნეების მანძილზე უმდიდრეს წყაროს წარმოადგენდა მსოფლიო ლიტე-

რატურისა თუ ხელოვნების სხვადასხვა დარგისთვის. ამ თემას საქართველოსთან უშუალო კავშირის გამო საყურადღებო ადგილი ქართულ კულტურაშიც უჭირავს. არგონავტიების მითოსის ინტერპრეტაციას ქართულ მწერლობაში არაერთი ქართველი მეცნიერის გამოკვლევა მიეძღვნა (ამ გამოკვლევათა თაობაზე იხილეთ ჩვენი სტატია – ნადარეიშვილი 2012გ: 303-314).

XX ს-ის დასაწყისის ქართული მოდერნისტული დისკურსი არგონავტების მითოსისა და მედეას სახის საინტერესო რეცეპციებს ნარმოგვიდგენს. მათ შორის განსაკუთრებით ყურადსაღებია ცნობილი ქართველი პოეტის სანდრო შანშიაშვილის პოემა „მედია“. სანდრო შანშიაშვილის დასახელებული პოემა კვლევის თანამედროვე ეტაპზე სხვადასხვა კუთხით არის შესწავლილი (მოდებაძე, ციციშვილი 2011: 103-112; გარდაფხაძე 2007: 185-189; ქამუშაძე 2009). და მაინც, ამ პოემასთან დაკავშირებით რიგი საკითხებისა ჯერჯერობით არ ყოფილა განხილული. ვფიქრობთ, ერთ-ერთი საყურადღებო საკითხი გახლავთ პოემა „მედიას“ ადგილის განსაზღვრა არგონავტების მითოსის რეციპირების ქართულ დისკურსში; იმის დადგენა, ამ მითოსს ინტერპრეტაციის რომელი ხაზის განმავითარებლად გვევლინება სანდრო შანშიაშვილი; გარდა ამისა, უდავოდ საყურადღებოა გავაანალიზოთ, როგორ ეხმაურება პოეტი XX ს-ის დასაწყისის ქართული (ცნობერებისთვის უმნიშვნელოვანეს პრობლემას – აღმოსავლეთისა და დასავლეთის დაპირისპირების ჭრილში საქართველოს ორიენტაციის თემას. ეს უკანასკნელი მოიცავს იმის ანალიზს, თუ როგორ, რაზე აქცენტირებით იყენებდა ესთეტიკურ მედია მითოლოგიურ პარადიგმებს საქართველოსთვის ამ უმნიშვნელოვანეს პრობლემაზე რეფლექსისას.

თავდაპირველად, მიზანშეწონილად მივიჩნიეთ წარმოგვედგინა მოკლე ექსკურსი ქართულ კულტურაში არგონავტების მითოსის ინტერპრეტაციის უმთავრესი ტენდენციების შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ ძველი ქართული მწერლობა ბიზანტიური წყაროებიდან კარგად იცნობდა ანტიკურ მემკვიდრეობას, იგი ერთობ ფრაგმენტულად მოიხსენიებს არგონავტთა მითოსს. ამ ციკლის ერთი ეპიზოდი – ბებრიკთა მეფის ამიკოსის არგონავტებთან კრივში შერკინება – ჩართულია გერმანე პატრიარქის თხზულების „თხრობაშ სასწაულთათვის მთავარანგელოზისა მიქაელისათას“ ექვთიმე ათონისეულ თარგმანში; მითოსის პერსონაჟები – იასონი და კადმოსი, როგორც ურჩეულის კბილების მთესველნი – კი მოხსენიებული პყავს ეფრემ მცირეს ფსევდონონეს „ელინთა ზღაპრობანის“ მისეული თარგმანის 43-ე საკითხავის კომენტარში (კეკელიძე 1945: 258 შმდგ.; ურუშაძე 1964: 86; ფსევდონონეს მითოლოგიურ კომენტართა ქართული ვერსია 1989: 119).

ექვსი საუკუნის შემდეგ ამ ციკლის შესახებ გარკვეული ინფორმაცია დადასტურებულია ვახუშტის „გეოგრაფიას“ და დავით ბატონიშვილის მითოლოგიურ ლექსიკონში (ყაუხჩიშვილი 1949: 112-114; ასათანი 1987). არგონავტთა მითოსს უფრო ვრცლად ამუშავებენ გარდამავალი ხანის ორი ქართველი მწერალი – იოანე და თეიმურაზ ბატონიშვილები. გამომდინარე იქიდან, რომ იოანე ბატონიშვილის თხზულება „კალმასობა“ ენციკლოპედიური ხასიათის ნაწარმოებია, მასში მითოლოგიურ სახეთა მხატვრულ დამუშავებას ვერ ვხდებით. შესაბამისად, მედეას შესახებ „კალმასობაში“ მოცემულ ინფორმაციას ამ მითოლოგიური გმირის სახის შემოქმედებით დამუშავებად ვერ მივიჩნევთ, თუმცა იო-ანე ბატონიშვილისეული მონახაზი ამ მითისა უდავოდ ძალზე საყურადღებოა აიეტის ასულის მიმართ მწერლის დამოკიდებულების თვალსაზრისით. გადმოგვცემს რა არგონავტების ციკლს, ავტორი მედეასა და იასონის სიყვარულის ტრაგიკულ აღსასრულს ევრიპიდეს „მედეას“ მიხედვით ნარმოაჩენს. კერძოდ, ქმარზე შურისძიების მიზნით მედეა კლავს შვილებს და გველებაპშებმული ეტლით კორინთოდან გარბის. მედეას ნარმოდენის ეს ხაზი, ხაზი, რომელშიც კოლხეთის ასული საკუთარ შვილებს ხოცავს, ქართულ კულტურაში მედეას სახის ინტერპრეტაციის ერთ ტენდენციას უდებს სათავეს.

თეიმურაზ ბატონიშვილის თხზულება „ივერიის ისტორია“ კი თამა-მად შეიძლება მივიჩნიოთ ქართულ ლიტერატურაში არგონავტების ციკლის პირველ მხატვრულ ინტერპრეტაციად. მწერალი მედეას მი-თოსის გაცილებით ვრცელ ნაწილს ამუშავებს (იგი არ იფარგლება კორინთული ეპიზოდით) და იოანე ბატონიშვილისგან განსხვავებით, ცდილობს, მედეა, რაც შეიძლება დადებითად ნარმოაჩინოს – იგი აი-ეტის ასულს არც ძმის და შვილების მკვლელად გვიხატავს, მასთან მედეა არც თესევსის მოკვლის მცდელობაშია დამნაშავე. თეიმურაზ ბატონიშვილი რელიეფურად გამოკვეთს მედეას დადებით თვისებებს და ხაზს უსვამს მის დაფასებულ სტატუსს საზოგადოებაში. ამდენად, მედეას მითოსის ეს ინტერპრეტაცია ხდება ქართულ კულტურაში მედეას მიმართ დამოკიდებულების მეორე ტენდენციის ერთგვარი მოდელი, ტენდენციისა, რომელიც მიისწრავის მოახდინოს კოლხი ასულის რეაბილიტაცია. რეაბილიტაციაში, უპირველეს ყოვლისა, იგულისხმება შვილთა მკვლელობის საზარელი დანაშაულისგან მითოლოგიური გმირის განთავისუფლება.

როგორც ვხედავთ, ძველი და გარდამავალი ხანის ქართულ მწერლობაში არგონავტებისა და მედეას მითოსური ამბავი არ გახლდათ ქართველ შემოქმედთა არც ხშირი და არც ფართომასშტაბიანი ინტერპრეტაციის საგანი. ჩვენ აქ ვერ შევუდგებით ამ მოვლენის მიზეთა

დაწვრილებით ანალიზს. როგორც ჩანს, ოქროს საწმისის გატაცება და კოლხი ქალის გაუგონარი დანაშაული ტრაგეული მოვლენები იყო ქართველთა ცნობიერებისთვის. თუმცა ამ მითოსს ქართველებისთვის მეორე მხარეც ჰქონდა. საქართველო ძველი ცივილიზაციებისთვის ამ პოპულარული მითოსის გამოისობითაც იყო ცნობილი, მითოსისა, რომლის გადმოცემის დროსაც ბერძენი თუ რომაელი ავტორები კოლხეთს უმდიდარ და ძლევამოსილ მხარედ წარმოადგენდნენ. ამ სახელობანი ფურცლების აღდგენა აუცილებელი გახდა ქართული ნაციონალური თვითშეგნების აღორძინების პერიოდში, XIX ს-ის 60-იან წლებში, როდესაც ინტენსიურად დაინტენტირებული ნაციონალური ნარატივის შექმნა. აკაკი წერეთელიც სწორედ ამ მიზნით – „ქართველების გასაოცარი ნარსულის“ წარმოდგენის მიზნით ხელს ჰქიდებს არგონავტების ციკლს და მას პოემა „მედიას“ უძღვნის\*.

აკაკი წერეთელი მედეას რეაბილიტირების კუთხით თეიმურაზ ბატონიშვილისეული ინტერპრეტაციის ხაზს აგრძელებს. მეტიც, პოეტი მედეას, შეიძლება ითქვას, სრულ რეაბილიტირებას ახდენს. მართალია, აკაკიმ ვერ აღასრულა თავისი ჩანაფიქრი – დაწერა ტრილოგია და ამდენად, ვერ წარმოგვიდგინა მედეას მითოსური ბიოგრაფიის ყველაზე დრამატული ეპიზოდი – მედეას თავგადასავალი კორინთოში, კოლხური ეპიზოდის მისეული მედეა იმდენად დადებითად არის წარმოჩენილი, რომ ამგვარი ქალწული, სავარაუდოდ, შეიძლების მოკვლას საბერძნეთში ვერ შეძლებდა. აკაკი წერეთელი საერთოდ უგულებელყოფს მედეას როლს ბერძენი ჭაბუკისათვის ოქროს საწმისის მოპოვების საქმეში, შესაბამისად, ქვეყნის ღალატში. არგონავტს აქ ორფევსი და თეთრი ძროხა ეხმარებიან. მედეას ერთადერთი დანაშაული კი ისაა, რომ მას შეუყვარდება ბერძენი ჭაბუკი, რომელიც ოქროს საწმისის – ანუ კოლხეთის ძლიერების საძირკვლის წასაღებადაა ჩამოსული.

მოუხედავად იმისა, რომ მედეას აკაკისეულმა ინტერპრეტაციამ ამ მითოლოგიური ფიგურის გაფერმკრთალება, ტრაგიზმისგან მისი დაცლა გამოიწვია და ამდენად, ის ვერ იქცა მაღალმხატვრულ სახედ, მედეას რეციპირების ეს ხაზი – მედეას რეაბილიტაცია, მისი განთავისუფლება ამა თუ იმ დანაშაულისგან ფრიად სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა ქართული კულტურისათვის ამ მითის დამუშავების დროს. ამ ტენდენციის გაგრძელებას წარმოადგენს მედეას სახის ინტერპრეტაცია ცნობილი ქართველი მეცნიერისა და მწერლის, ლ. სანიკიძის, მიერ. მედეას თემას მწერალმა მოთხოვბა „ამბავი კოლხი ასულისა“ და დრამა

\* პოეტი შეგნებულად ცვლის სახელ „მედეას“ მედიათი. მისი განმარტებით, მედია ძველებულად ნიშნავდა „მე ქალი“ (ვარ). „დია“ მეგრულად ქართულ „ქალს“ -ს უდრის (აკაკი წერეთელი 1956: 390).

„მედეა“ უძღვნა. მედეას ლ. სანიკიძის ეულ დამუშავებაში კოლხი ასული არ კლავს შვილებს, მათ მედეაზე შურისძიების მიზნით კორინთელები ამოხოცავენ\*. მედეას სანიკიძის ეული ინტერპრეტაციაში კიდევ ერთი მომენტი არის ჩვენი თემისთვის საყურადღებო – სხვა ხალხებისადმი ბერძნების დამოკიდებულების საკითხი. ანტიკური ისტორიის სპეციალისტმა ლ. სანიკიძემ მშვენივრად იცოდა საკუთარ თავზე ბერძნებს აღმატებული წარმოდგენის შესახებ. ცნობილი იყო მისთვის ოპოზიციური წევილის – ბერძენი x „სხვის“ თაობაზე, რომელშიც ბერძენი კულტურისა და ცივილიზაციის მარკერი გახლდათ, „სხვები“ კი კულტურულად უფრო დაბლა მდგომები იყვნენ, რომელთაც ბერძნებმა კოლექტიური სახელი „ბარბაროსები“ უწოდეს. მწერლის განაცხადით, მან სწორედ იმიტომ მოჰკიდა ხელი ამ მითოსის მხატვრულ დამუშავებას, რომ მიახლოებით მაინც აღედგინა კოლხებთან – ანუ ამ ერთ-ერთ „სხვასთან“ ბერძნების ურთიერთობის მართებული სურათი, ურთიერთობისა, რომელიც ბერძნებს შეგნებულად ჰქონდათ თავიანთ სასარგებლოდ, თავიანთი უპირატესობის წარმოჩენის მიზნით შეცვლილი. „თითქმის ყველა ბერძენი მწერალი ტენდენციური იყო“, – წერს სანიკიძე, – „ისინი ჩემალავდნენ, „უცხო – ბარბაროსი“ ხალხის მიღწევებს და ზომაზე მეტად წარმოაჩენდნენ თანამემამულეთა – ელინთა საქმეებს (სანიკიძე 1963: ნინასიტყვაობა). ლ. სანიკიძის დრამა „მედეა“ საკმაო პოპულარობით სარგებლობდა და XX საუკუნის 60-80-იან წლებში ხშირად იდგმებოდა საქართველოს რეგიონალური თეატრების სცენებზე. თეატრალურ სივრცეში მედეას რეციპირების ამ ხაზის ერთგვარ გაგრძელებად შეიძლება მივიწიოთ 2002 წელს თავისუფალ თეატრში რეჟისორ გოჩა კაპანაძის მიერ დადგმული „მედეა“, ასევე ბიძინა კვერნაძის ოპერა „ამბავი კოლხი ასულისა“, რომლის ლიბრეტო ლ. სანიკიძის დრამას ეფუძნება. მედეას გარკვეული რეაბილიტაცია ასევე წარმოადგენს ა. მაჭავარიანის ოპერა „მედეას“ ლიბრეტოს ავტორის – ვახტანგ მაჭავარიანის მიზანსწრაფვას. ჩენ ხაზს ვუსვამთ სიტყვა „გარკვეულს“, რადგან აქ, ვ. მაჭავარიანის სიტყვებით, იგი კითხვის ნიშანს სვამს მართლა მოკლა თუ არა მედეამ შვილები, თუ იგი ამას მხოლოდ იმიტომ ეუბნება იასონს, რომ მას ტკივილი მიაყენოს\*\*.

\* როგორც ცნობილია, კორინთელების მიერ მედეას შვილების დახოცვის ვერსია დადასტურებულია ბერძნულ წყაროებში (პარმენიურისა და დიდმიტრის გადმოცემებში), თუმცა, უნდა ითქვას, რომ მედეას მითოსის ეს ვერსიები ნაკლებად იყო ცნობლით თავით ანტიკურობაში.

\*\* ვრცელ ბროშურაში ვ. მაჭავარიანი მედეას სახის ინტერპრეტაციის ფართო პარამს გვთავაზობს. მწერლის პათოსი იმაში მდგომარეობს, რომ ბერძენმა ევრიპიდებმ შეგნებულად მოახდინა ამ სახის დემონიზირება. მედეა შვილებს სცენაზე არ კლასს, იგი სიცოცხლეს თვითმკველელობით ასრულებს და სიკვდილის წინ ეუბნება მეუღლეს: „აი, ასე მოგვალი ისიზი“ (მაჭავარიანი 2010: 59).

რაც შეეხება მედეას სახის ინტერპრეტაციის იმ ხაზს, რომელიც მედეას მიერ შეიძლების მკვლელობას ევრიპიდეს ვერსიის მიხედვით გვიხატავს, შეიძლება ითქვას, რომ ქართულ კულტურაში იგი შედარებით ნაკლებად, თუმცადა მაინც არის წარმოდგენილი. გავიხსენოთ 1963 წელს კ. მარჯანიშვილის თეატრში რეჟისორ არჩილ ჩხარტიშვილის ეტაპობრივი სპექტაკლი „მედეა“, რომელშიც მედეას როლს ვერიკა ანჯაფარიძე ასრულებდა, ასევე რევაზ გაბიჩვაძის პალეტი „მედეა“, რომლის ლიბრეტოს ავტორი და ქორეოგრაფი ვოგი ალექსიძე გახლდათ. სულ ახლახანს – 2015 წლის შემოდგომაზე მუსიკისა და დრამის თეატრში ახალგაზრდა რეჟისორმა მიხეილ ჩარკვიანმა დადგა „მედეა“, ფრიად საყურადღებო სპექტაკლი, რომლის ტექსტი თითქმის სიტყვასიტყვით მისდევს ევრიპიდეს გენიალურ ნაწარმოებს.

არგონავტების მითოსის ქართულ რეცეპციებზე მსჯელობისას აუცილებლად უნდა მოვიხსენიოთ ოთარ ჭილაძის რომანი „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“. მწერალი საქმაოდ ინოვაციურად უდგება ამ მითოსს, რაც ცალკე მსჯელობის საგანია (იხილეთ ჩვენი სტატია – ნადარეიშვილი 2012: 479-499). მოკლედ აღვნიშნავთ, რომ ჭილაძე ძირეულად ცვლის ქართულ მწერლობაში ამ მითოსის ინტერპრეტაციის ტენდენციებს. რაც შეეხება მედეას, გამომდინარე იქიდან, რომ რომანი კოლხეთიდან ოქროს საწმისის გატაცებით მთავრდება, ვერაფერს ვიტყვით იმის თაობაზე, თუ როგორ შეიძლებოდა წარმოედგინა ავტორს მედეა კორინთოში, მოაკვლევინებდა მას შვილებს, თუ შეეცდებოდა მის რეაბილიტაციას. კოლხურ ეპიზოდში კი ჭილაძისეული მედეა ჩამოგავს აპოლონიოს როდოსელის მიერ დახატულ თავის პროტოტიპს, ოღონდ ჩამოცლილი აქვს ჯადოქრისეული შტრიხები. იგი ეხმარება იასონს, ღალატით მოკლავს ძმას და ამით საშუალებას აძლევს არგონავტებს, თავი დააღწიონ მდევარ კოლხებს.

ასეთი გახლავთ ძირითად ხაზებში არგონავტიკის მითოსისა და მედეას სახის ინტერპრეტაციის ტენდენციები ქართულ კულტურაში. ახლა კი ვნახოთ რა ადგილი უჭირავს ამ დისკურსში სანდრო შანშიაშვილის პოემა „მედიას“, რომელიც მან 1911 წელს შევიცარიაში დაწერა.

პოემა „მედია“ კორინთოში იასონისა და მედეას ამბის ბოლო, ტრაგიკული აკორდის გადმოცემას ეძღვნება, როდესაც იასონმა უღალატა მედეას და კორინთოს მეფის ასულის ცოლად შერთვა გადაწყვიტა, რასაც მედეას საზარელი შურისძიება მოჰყვა. ამდენად, პოემის სიუჟეტური ხაზი ძირითადად ევრიპიდეს ტრაგედია „მედეას“ ფაბულას მიჰყვება. ხაზს ვუსვამთ, ძირითადად, თორემ, როგორც ვნახავთ, ს. შანშიაშვილმა ეპიზოდთა განვითარება საკმაოდ განსხვავებულად წარმოგვიდგინა.

„მედია“ ავტორის მცირე შესავლით იწყება, რომელსაც მედიასა და ძინის დიალოგი მოსდევს. ძინა ცდილობს ანუგეშოს მიტოვებული და მგლოვარე მედია, თუმცა ამასთან არ ერიდება მედიასთვის ერთობ მტკვინეული – ოქროს საწმისის თემის შემოტანას. ძინის სიტყვებით, ოქროს საწმისი მისი მფლობელის ძლიერების გარანტიაა, მფლობელში კი პიროვნება და ერი ერთდროულად მოიაზრება. ამასთან გამზრდელი მედიას საყვედურობს, რომ მისი გაფრთხილების მიუხედავად, ამ უკანასკნელმა არ გაითვალისწინა ოქროს საწმისის ეს დანიშნულება და ერის განძი უცხოს გაატანა. მიზეზი კი ის იყო, რომ თავისდა საუბედუროდ, მედია ვწებას – „უცხოს კოცნას“ დაემონა. მართალია, კოლხი ასული თავს იმართლებს, რომ ამის შესახებ არ იცოდა – ღმერთებს მისთვის არაფერი განუცხადებიათ, მაგრამ ძინის სიტყვების ფონზე აიეტის ასულის ნათქვამი დამაჯერებლობასაა მოკლებული. როგორც ვხედავთ, პოეტს უკვე ნაწარმოების დასაწყისში შემოაქვს მედიასა და მისი სამშობლოს ბედის ერთმანეთზე გადაჯაჭვულობის თეზა, თეზა, რომელიც ლეიტმოტივად გასდევს მთელ პოემას. შესაბამისად, გმირის ბედზე რეფლექსიისას შანმაშვილი კოლხეთის ხვედრის შესახებ გვესაუბრება. კოლხეთის სავალალო მდგომარეობის თაობაზე ძინის წინათვრმნობა სულ მალე ახდება, როდესაც პოემაში კოლხეთი-დან ჩამოსული მთხოვნელი მედიას მამამისის (აქ მედიას მამას ოტია ეწოდება) მკვლელობის და კოლხეთის შინააშლილობის შესახებ ამცნობს. ისიც, ძინის მსგავსად, ამ ყველაფერის მიზეზად კოლხების მიერ ოქროს ვერძის დაკარგვას მიიჩნევს. მედიას პირად უბედურებას მამის სიკვდილი და კოლხეთში დატრიალებული ტრაგედია ერთვის, რაშიც, საერთო შეფასებით, კოლხი ასულია დამნაშავე. უნდა ითქვას, რომ ეს უკანასკნელი გარემოება ინოცავიური მომენტი გახლდათ სანდრო შანშიაშვილამდე არგონავტების მითოსის ქართული რეცეპციებისთვის. მედია თითქოს ახლადა გაისიგრძეგანებს რეალურად მთელ თავის დანაშაულს სამშობლოს წინაშე.

მედეას მითოსის კორინთული ეპიზოდის მხატვრულ ნარატივებში ცენტრალური აიეტის ასულისა და იასონის შეხვედრის სცენაა. ევრიპიდე ცოლ-ქმრის ორ შეხვედრას ნარმოგვიდგენს. პირველში წარმმართველია მედეას მიერ იასონის სასტიკი გაკიცხვა, მისთვის გაკეთებული საქმეების შეხსენება, ფიცის გატეხვის გამო ყოფილი ქმრის გალანძლვა, მისი უკეთურობის მხილება, უკიდურესი გულისტკენის ნარმოჩენა, შიგადაშიგ მუქარის ნოტებიც გაისმის. მეორედ მედეა იასონს მას შემდეგ ხვდება, როდესაც შურისძიების მთელი გეგმა მოფიქრებული აქვს. სწორედ ამ გეგმის ნაწილია ქმრისთვის ვითომცდა პატიების თხოვნა, ვითომცდა სინანული უნინ ნარმოთქმული სი-

ტყვების გამო, რაზედაც იასონი ადვილად წამოეგება. ევრიპიდესეული მედეას არსენალში მრავალი ხრიკია და მან შესანიშნავად იცის, თუ როგორ მოახდინოს ადამიანებით მანპულირება. შანშიაშვილის პოემაშიც მედია ორჯერ შეხვდება თავის მეუღლეს. | შეხვედრაში ისიც ჰქიცხავს იასონს ფიცის გატეხვის გამო, ისიც შეახსნებს თავის დამსახურებათ იასონის გამარჯვებაში, ისიც ახსენებს, რომ ორი შვილი გაუჩინა. შეხვედრის დასასარულს ეს მედიაც არბილებს ტონს და სთხოვს აპატიოს მკვახე სიტყვები. თუმცა ამ მედიასა და მის პროტოტიპს შორის იასონისადმი დამოკიდებულების თვალსაზრისით საგრძნობი განსხვავებაა. ქართველი პოეტის მედიას სახეში წარმმართველი გახლავთ მოწოდება, თხოვნა, მუდარა, რომ ქმარი მას დაუბრუნდეს, იგი შეახსენებს იასონს მათ უწინდელ ტრუობას, ბერძენ გმირს „ჩემო მზეოს“ უწოდებს, რაც ყოვლად წარმოუდგენელია ევრიპიდესეული მედეას ლიტერატურული ხასიათისთვის.

შანშიაშვილის პოემაში იასონისა და მედიას მეორე შეხვედრა იასონისა და კრეუსას დიალოგს მოსდევს, რომელიც წყვილ შორის ვნებიანი ურთიერთობის ფონზე წარიმართება და რომელსაც მედია ფარულად უთვალთვალებს. ახლა მედია უფრო გამნარებულია. გამნარებულია, ერთი მხრივ, იმით, რაც საკუთარი თვალით იხილა და მოისმინა (კრეუსა მას იასონთან ამცირებს) და, მეორე მხრივ, იმ უბედურებით, რომელიც კოლხეთს თავს დაატყდა. მიუხედავად იმისა, რომ მისი ტონი შეცვლილია, კოლხი ასული იასონისგან მოითხოვს (ამჯერად მოითხოვს და არა სთხოვს), რომ ქმარი მას დაუბრუნდეს. ცოლ-ქმრის დიალოგში გაისმის ევრიპიდეს ტრაგედიიდან კარგად ცნობილი პასაუი, რომელშიც იასონი მედიას ველური ქვეყნიდან ელადაში ჩამოყვანას ამადლის. საპასუხოდ შანშიაშვილის მედია ელადას უკიდურეს უარყოფით ფერებში წარმოადგენს. ცოლ-ქმრის ამ ურთიერთბრალდებათ გაცილებით სიღრმისეული დატვირთვა აქვს, რაზედაც ოდნავ ქვემოთ შევაჩერებთ ყურადღებას. შანშიაშვილის მედია ქმართან შეხვედრისას სინაულს მოუცავს – როგორ ვერ შეიცნო მან იასონი, რომელსაც ახლა კარგად ხედავს – ესოდენ ცრუ და ფლიდი არსება. ტყუილად ნუ თვლის იასონი ოქროს ვერძს საბერძნეთის კუთვნილებად, უცხადებს მედია ქმარს. სწორედ ამ დროს, უკიდურესი გამნარების მომენტში უცრად გადაწყვეტს კოლხი ასული საწმისის ბედს და მის მატყლს ამოვარდნილ ქარიშხალს გააყოლებს\*. ამით იგი ქარს აყოლებს იასონს გმირობასაც – ოქროს საწმისის საბერძნეთში ჩამოტანას.

\* მოდებაძისა და ციციშვილის მიხედვით, მედიას მიერ გამოტანილი ამგვარი განაჩენით შანშიაშვილი სიმბოლურად უპიროსპირდება ცენტრისტულ იდეას. მედიას სწამს, რომ ოქროს ვერძის საუნჯე არა „ცივილიზირებულ ელინთა“ სამყაროს, არამედ მთელ კაცობრიობას უნდა ეკუთვნოდეს (მოდებაძე, ციციშვილი 2011: 109).

ევრიპიდეს სიუჟეტური ხაზიდან შანშიაშვილის ყველაზე დიდ გადახვევად შვილების მიერ დედის უარყოფა – გადასახლებაში დედის გაყოლაზე უარის თქმა უნდა მივიჩნიოთ. შანშიაშვილთან კრეონი მხოლოდ მედიას აძევებს, ბავშვებს კორინთოში მამასთან ტოვებს. მაშინ სასოწარკვეთილი დედა სთხოვს მბრძანებელს, ერთი შვილი მაინც გაატანონ გადასახლებაში, მაგრამ შვილებს არ სურთ დედასთან ერთად ლტოლვილის ხვედრი გაიზიარონ. როგორც ჩანს, მედიას გონებაში სწორედ ამ მომენტში გაჩნდება შურისძიების ცნობილი სქემა, რამეთუ იგი კრეონს სთხოვს, ნება დართოს მის შვილს, კრეუსას, სამკაული უძღვნას, სამკაული, რომელიც მედიას მიერ ფხვნილმოყრილი კრეონსა და კრეუსას მალე საბედისწერო სიკედილს განუმზადებს.

ეს ეპიზოდი – შვილების უარი გაცყვნენ დედას – ინოვაციური მომენტი გახლდათ მედეას მითოსის ქართული ინტერპრეტაციები-სთვის, თუმცა ცნობილი იყო არგონავტიკის ციკლის დასავლური რეცეპციებისთვის. მას პირველად XIX ს-ის აგსტრიელი პოეტის ფრანც გრილპარცერის ტრილოგიაში – „ოქროს სანმისი“ ვხვდებით. მედეას შვილთა ამგვარ საქციელს გრილპარცერთან სრულიად გაცნობიერებული დატვირთვა აქვს, კერძოდ, იგი მედეას ერთგვარ მორალურ რეაბილიტაციას ისახავს მიზნად\*. ვფიქრობთ, ეს ეპიზოდი ასევე მიზან-მიმართულად აქვს შემოტანილი სანდრო შანშიაშვილს. პოეტს სურს, გარკვეული ახსნა მოუძებნოს მედიას საქციელს, სხვა მოტივაციაც შესძინოს მის შურისძიებას – დედის უარმყოფელი შვილების ქმედება ინვევს დედის საპასუხო რეაქციას და საბოლოო ჯამში, მედიას მორალური რეაბილიტაციისკენ არის მიმართული.

სანდრო შანშიაშვილის პოემაშიც შვილების მკვლელობას წინ უძლვის მედიას მონოლოგი, თუმცალა ამ მონოლოგში არაა ბრძოლა ორ გრძნობას შორის, არაა წარმოჩენილი ორად გახლებილი სული. ევრიპიდეს მედეასგან განსხვავებით, შანშიაშვილის მედიას პარტიაში თითქოს წარმმართველია ის, რომ კოლხმა ასულმა იპოვოს არგუმენტები, რატომ უნდა ალასრულოს შურისძიება. აქედან არგუმენტთა ნაწილი ცნობილია ტრადიციიდან. წაცნობი არგუმენტია, მაგალითად

\* გრილპარცერის მედეა, რომელიც გაცილებით მოწყვლადია თავის პროტოტან შედარებით, უფრო გულწრფელია, პირდაპირია, ყოველნაირად ცდილობს გაითავისოს უცხო მხარის ადათ-წესები, კორინთოში დასახლების წინ მინაში ჩაფლობს ჯადოსნობის იარაღებს, მაგრამ ამაოდ ქმრის ღალატის შემდეგ შვილებისგან მიღებული უარი მედეაში ყოველივე დადებითს კლავს და ბნელი ინსტრუმეტების ალორძნებას იწევს, როს შემდგომაც მედე ჩადის გაუგონარ დანაშაულს. თუმცა უნდა ალვნიშნოთ ისიც, რომ შვილების მკვლელობამდე გრილპარცერისეულ მედე-აშიც წაიმართება სასტიკი შინაგანი ბრძოლა, ბრძოლა ორ გრძნობას – დედობრივ სიყვარულსა და შურისძიებას მორის (წადარეიშვილი 2013: 411).

ის, რომ იასონი, მისი დამამცირებელი უნდა დაისაჯოს, სიმწარეს კი იგი „თავისი წინილების დახოცვით ნახავს“. ნაცნობია ისიც, რომ მედია ვერ აიტანს მასხრად აგდებას, „არარად“ ქცევას. შურისძიების მედიასეულ არგუმენტაციაში სრულიად ახალი მომენტია დედის მიერ შვილების უარყოფითი დახასიათება (ბუნებრივია, ამას მათი უარი განაპირობებს). მედიას განაცხადით, შვილები მომავალში დაესგავსებიან მამას, ისინც მომავალში სხვას გაუმწარებენ სიცოცხლეს. ვფიქრობთ, განსაკუთრებით თვალში საცემია, რომ ჩასადენი ქმედების წინაშე მღელვარების მიუხედავად (პოეტის სიტყვებით, მედიას შეაკრთობს თავისი განზრახვა, იგი ცახცახებს), მედია არ/ვერ აცნობიერებს ჩასადენი საქმის მთელ საშინელებას და აქცენტს თავისი ქმედების მომავალ არასათანადო შეფასებაზე აკეთებს:

ვიცი, ზერელე მსაჯული,  
ნამყოფი იასაულად.  
ხმის ამოღებას და ბრძოლას  
ჩამითვლის დანაშაულად.  
(შანშიაშვილი 1986: 335)

ყოველივე ეს კი ამ მედიას ტრაგიზმის ხარისხს ევრიპიდეს მედეას-თან შედარებით, გაცილებით დაბლა სწევს.

ნანარმოები რაშე ამხედრებული მედიას გაუჩინარებით მთავრდება. მას ამაღლ მისდევს დაშნამოღერებული იასონი, რომელიც მედიას შეძახილის შემდეგ კარგა ხანს ადგილზეა გაქვავებული. იასონის ბოლო სიტყვებში იგრძნობა დაეჭვება თავის საქციელში. „ნუთუ მე ვარ დამნაშავე“, – კითხულობს იასონი, რაც, სავარაუდო იმას უნდა ნიშნავდეს, რომ არგონავტთა წინამდლოლი თუმც გვიან, მაგრამ მაინც ხვდება თავის დანაშაულს. საბოლოოდ მას რენოს დაშნა მოუსპობს სიცოცხლეს.

მედიას მორალური რეაბილიტაციის პოეტისეულ მიზანდასახულობას ემსახურება დასავლეთისა და აღმოსავლეთის დაპირისპირების ჭრილში დასავლეთის უკიდურესად უარყოფითად, აღმოსავლეთის კი პირიქით – დადგებითად წარმოდგენა.

ცივილიზაციურ მოდელთა შანშიაშვილისეული პოზიციონირება მედიას მორალური რეაბილიტაციის გარდა ერთობ საყურადღებოა აღმოსავლეთისა და დასავლეთის დაპირისპირების თაობაზე XX ს-ის დასაწყისის ქართული დისკურსის ანალიზის თვალსაზრისით. დასავლეთი, რომლის რეპრეზენტატორი პოემაში საბერძნეთია, უკიდურეს უარყოფით კონტექსტშია დახატული. მას და მის ხალხს უარყოფითად ახასიათებენ არა მარტო აღმოსავლეთის წარმომადგენლები, არამედ

თავად ელინი პერსონაჟები – ელენე და ავტორის მიერ გამოგონილი პერსონაჟი – ფიდო. იასონის, როგორც მოლალატის, ორპირის და ვერაგის, შეფასებას მედია აზოგადებს და მთელ ბერძენ ერზე, მთელ მხარეზე გადააქვს. მისი სიტყვებით დასავლეთი არის ცრუ მხარე:

სად ყოველი პირმოთნეობს,  
ერთმანეთი შეიზარეს?  
სად ღრმა შური მჭევრმეტყველებს,  
სიცბიერე აელვარეს!  
სად ქალები როსკიპობენ,  
კაცნი ქმნიან საქმეს მდარეს!  
სად ყოველი გარეთ ბრნყინაგს,  
ემსგავსება თითქოს მთვარეს,  
მაგრამ გული, მხდალი სული  
უზნეობით დაიფარეს?!  
(შანშიაშვილი 1986: 327)

იასონი არა მხოლოდ მედიას თვალით არის ამგვარად უარყოფითად დანახული და წარმოდგენილი. შანშიაშვილი მას გვიხატავს ცივსისხლიან, პრაგმატულ, მოლალატი, ვერაგ ადამიანად, აღსავსედ ელინური აროგანტულობით. თავისი ევრიპიდესეული პროტოტიპისგან განსხვავებით, იგი არც კი ცდილობს კეთილმოსურნე ადამიანი გაითამაშოს. პოეტის მიერ იასონის მუქ ფერებში წარმოჩნდას ემსახურება ახალი პერსონაჟის – რენოს შემოყვანა. რენო პრიამოსის ასული და შესაბამისად, აღმოსავლეთის რეპრეზენტატორია. ტროა და კოლხეთი პოეტს ერთ სამყაროდ – აღმოსავლეთად აქვს მოაზრებული. რენო პოემის მოქმედი პირი არ გახლავთ, მაგრამ მისი სახელი რამდენიმე საკვანძო ეპიზოდში გაისმის. მასაც, მედიას მსგავსად სიყვარულისა და ერთგულების პირობა მისცა იასონმა და მასაც მედიას მსგავსად უღალატა. მედიას სიტყვებიდან ვიგებთ, რომ ამის გამორენოს თვითმკვლელობით დაუსრულებია სიცოცხლე\*. დასავლეთის საპირისპიროდ, აღმოსავლეთი და მისი ხალხი პოეტს დადებით კონტექსტში ჰყავს წარმოდგენილი. პატარა გოგონა ელენეც კი შენიშნავს ერთი მხარის სიცუდეს და მეორის სიკარგეს და კრეუსაზე გაბრაზებული მედიას ასე მიმართავს:

\* იასონისა და რენოს ისტორიას შანშიაშვილი ცალკე პოემას „იასონსა და რენოს“ უძლენის. პოემა კოლხეთისკენ მიმავალი არგონავტების ტროაში შეყოვნებასა და იასონის და რენოს გამიჯნურების ამბავს მოგვითხრობს.

არაფერი მინდა მათი:  
არც სტუმრობა, არც სხვა რამე,  
შენ კი როგორ კეთილი ხარ.  
შვება მომეც და სიამე!  
(შანშიაშვილი 1986: 230)

აღმოსავლეთის დადებით კონოტაციას პოემაში უპირველესად ქმნის უცხოს, ე.წ. „სხის“ მიმართ მათი დამოკიდებულება. თუ ელინთ მხარეში აროგანტული ელინები უცხოს ველურად მიიჩნევენ, აღმოსავლეთში პოეტის განაცხადით, უცხოს შეიყვარებენ და შეიტკბობენ. ამ პოემაში ელინთა აროგანტულობას ყველაზე მძფრად გამოხატავს იასონი მაშინ, როდესაც იგი მედიას საბერძნეთში ჩამოყვანას ამაღლის:

ველურ ქვეყნით მოგიყვანე  
ბარბაროსი და ურჩხული  
და უნვრთნელმა ელინთ მხარეს  
გაიცანი სწორი სჯული.  
(შანშიაშვილი 1986: 327)

კოლხეთს, აღმოსავლეთს ველურ მხარედ მოიაზრებს მეორე ბერძნი პერსონაჟი კრეუსა, რომელიც იასონს მედიას ცოლად მოყვანას საყვედურობს – „მითხარი, ველურ ქვეყანაში ცოლს ვინ ირთავსო?“ მიიჩნევენ რა „სხვას“ ველურად და ბარბაროსად, მას ბერძნები შესაბამისადაც ექცევენან. ძიძის სიტყვებით, ეს ის მხარეა, „სადაც უცხოს მიაგებენ სუდარას“ და სადაც „გარდი ნარად ჩანს“ (შანშიაშვილი 1986: 310). დასავლეთისა და აღმოსავლეთის ცივილიზაციებში „უცხოს“ მიმართ განსხვავებული ქცევითი მოდელების ჩვენება იმდენად არსებითი იყო სანდრო შანშიაშვილისთვის, რომ პოეტმა ეს საკითხი მთავარ თემად აქცია პოემაში „მშვენიერი ელენე“. სწორედ აქ აუხდება ელენეს ის, რაც წინასწარ განჭვრიტა მედიამ ჩვენს პოემაში, კერძოდ, ის, რომ ელენე ბედნიერი იქნებოდა აღმოსავლეთში, მისიანები კი სიცოცხლის დღეს გაუმნარებდნენ. მართლაც, მგოსანთა გუნდი ტროაში აქებდა ელენეს, მწუხარება და გლოვა კი მას ბერძნებმა დაატეხეს თავს. ამ დამოკიდებულებას ჩვენ თავად ელენეს პირიდან ვისმენთ, როდესაც ის პარისის ცხედარს დასტირის:

შენმა ხალხმა შემითვისა,  
ჩემებმა კი იცუდეკაცეს.  
(შანშიაშვილი 1986: 387)

სამწუხაროდ, უცხო ქვეყანაში, ანუ დასავლეთში, ელენეს საპირისპირო ხვედრი ერგო მედიას. ელენე აღნიშნავს, რომ მისიანებმა „იცუდეკაცეს“ არა მარტო მასთან, არამედ მედიასთანაც, რომელიც „შეურაცხყვეს, როს გაძარცვეს“ (შანშიაშვილი 1986: 387). აჯამებს რა ელენეს ხვედრს, შანშიაშვილი გვატყობინებს, რომ ჰომეროსმა ელენეს უმღერა, თუმცადა ბერძენ პოეტს არაფერი უთქვამს მედიაზე, იმაზე:

რომ კოლხეთის ტურფა ქალი,  
დასავლეთმა ასე დაგმო.  
(შანშიაშვილი 1986: 387)

შანშიაშვილის რწმენით, მედიას საქციელი მადლიერების სანაცვლოდ დასავლეთის მიერ ცუდად მიღებამ, დამცირებამ, შეურაცხყოფამ განაპირობა მისი ქმრის – იასონის ორპირობას, ვერაგობასა და ღალატთან ერთად.

ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ სანდრო შანშიაშვილის მიერ წარმოდგენილი მედია, როგორც ადამიანური ხასიათი, საკმაოდ განსხვავდება თავისი პროტოტიპისგან: იგი გაცილებით გულწრფელი, პირდაპირი ადამიანია, სხვა ადამიანებით მედიასულ მანიპულაციას პოემაში საერთოდ არ აქვს ადგილი. მას კვლავ უყვარს თავისი ქმარი, ყოველ შემთხვევაში, სთხოვს დაუბრუნდეს, ახსენებს მათ უწინდელ ტრფობას და საალერსო სიტყვებით მიმართავს. იასონის გაკიცხვას, მისთვის შესაფერისი სახელის დარქმევას იგი მხოლოდ პოემის დასასრულისკენ ახდენს. ყოველივე ეს განასხვავებს ამ პერსონაჟს ევრიპიდეს გმირისგან, მაგრამ მთავარი განსვლა თავისი პროტოტიპისგან შანშიაშვილის მიერ კოლხი ასულის მორალური რეაბილიტირების მცდელობაში უნდა დავინახოთ. ქართველი პოეტი არ ცვლის ევრიპიდესეულ ვერსიას და მედიას შვილებს აკვლევინებს, თუმცა ის, რომ შვილები ზურგს შეაქცევენ დედას, არჩევენ „ცრუ და ვერაგ“ ხალხთან დარჩენას, როგორც ჩანს, პოეტის მიხედვით, გარკვეულ ახსნას უძებნის მედიას საქციელს. შანშიაშვილის მედია არ წარმოგვიდგება არსებად, რომლის სულშიაც შვილების მკვლელობის წინ საშინელი სულიერი ბრძოლა მიმდინარეობს. პოეტისთვის იმდენად არსებითია ელინთა უარყოფით კონტექსტში წარმოჩენა (საკუთარი უპირატესობის წარმოჩენისაკენ მიდრეკეილებისა და მათი ქსენოფონბიის ჩვენება აღმოსავლეთის წარმომადგენელთა მორალურ სიქველეთა საპირისპიროდ), რომ ევრიპიდესეული ძედეას ხასიათის ეს უმნიშვნელოვანესი მომენტი სრულიად იკარგება მასთან.

დასკვნის სახით ვიტყვით, რომ არგონავტების მითოსისა და მე-დეას სახის მხატვრული დამუშავებისას სანდრო შანშიაშვილი სიუჟე-ტურ დონეზე აგრძელებს ამ მითოსს ინტერპრეტაციის იმ ხაზს, რო-მელიც მედეას ამბავს კორინთოში ევრიპიდეს მიხედვით წარმოადგენს – იგი არ ათავისუფლებს თავის გმირს შვილების მკვლელობისაგან, თუმცალა ცდილობს მის მორალურ რეაბილიტირებას. ამასთან, მის პოემაში არა მარტო ყურადღება ეთმობა ბერძენთა ტენდენციურობას, მათ იმპერიალისტურ განწყობებს, ბერძნულ სტერეოტიპთა არამართე-ბულობის წარმოჩენას, რაც მეტ-ნაკლები მასშტაბით ამ ციკლის ყველა ფართოფორმატიანი ქართული ინტერპრეტაციისათვისაა დამახასი-ათებელი, არამედ დასავლეთისა და აღმოსავლეთის დაპირისპირებას, რომელთა რეპრეზენტატორები პოემაში საბერძნეთი და კოლხეთია, განსაკუთრებით რელიეფურადაა წარმოდგენილი.

## დამოცვებანი

**ასათიანი 1987:** ასათიანი, ვ. ანტიკურობა ძველ ქართულ მწერლობაში. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამოცემლობა, 1987.

**გარდაფხაძე 2007:** Gardaphkhadze K. *The Argonautica in the Works of Georgian Symbolists*. Phasis, no. 10, 2007.

**კეველიძე 1945:** კეველიძე, კ. ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურიდან. II. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამოცემლობა, 1945.

**მაჭავარიანი 2010:** მაჭავარიანი, ვ. მედეა (ბროშურა). თბილისი: 2010.

**მოდგბაძე ... 2011:** მოდგბაძე, ი., ციციშვილი, თ. „Медея в Коринфе“ в грузинском литературном дискурсе XX века. V საერთაშორისო სიმპოზიუმი „ლიტერატუ-რათმცოდნების თანამედროვე პრობლემები“. მასალები. ნანილი II. თბილისი: ლიტერატურის ინსტიტუტის გამოცემლობა, 2011.

**ნადარეიშვილი 2012ა:** Nadareishvili, K. *Cosmopolitanism and Nationalism in Georgian Culture in the Light of Interpreting Classical Heritage*, in: Creoles, Diasporas and Cosmopolitanisms (ed. by D. Gallagher), Bethesda – Dublin – Palo Alto: Academia Press, 2012

**ნადარეიშვილი 2012ბ:** ნადარეიშვილი, ქ. „არგონავტების მითის ინტერპრე-ტაცია თემიურაზ ბატონიშვილის ივერიის ისტორიაში“. VI საერთაშორისო სიმპოზიუმი „ლიტერატურათმცოდნების თანამედროვე პრობლემები“. მასა-ლები. ნანილი I. თბილისი: ლიტერატურის ინსტიტუტის გამოცემლობა, 2012.

**ნადარეიშვილი 2013:** ნადარეიშვილი, ქ. „მედეას სახის ინტერპრეტაცია ფრანც გრილბარცერის „ოქროს სანმისში“. საერთაშორისო კონფერენცია „თანამედროვე ინტერდისციპლინარიზმი და ჰუმანიტარული აზოვნება“. ქუთაისი: ა. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2013.

**სანიკიძე 1963:** სანიკიძე, ლ. ამბავი კოლხი ასულისა. თბილისი: „ნაკადული“, 1963.

**ურუშაძე 1964:** ურუშაძე, ა. ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1964.

**ფსევდონონე 1989:** ფსევდონონეს მითოლოგიურ კომენტართა ქართული გერსია (გამყრელიძე, ალ. ოთხმეზური, თ. რედაქციით). თბილისი: „მეცნიერება“, 1989.

**ქამუშაძე 2009:** ქამუშაძე, მ. „ტიპოლოგიური პარალელები ს. შანშიაშვილის „მედიასა“ და ევრიპიდეს „მედეას“ შორის“. საქართველოს ნეოგრეცისტთა ასო-ციაციის მეორე კონფერენციის მასალები. თბილისი: 2009.

**ყაუხჩიშვილი 1949:** ყაუხჩიშვილი, ს. ბერძნული ლიტერატურის ისტორია. II. თბილისი: „მეცნიერება“, 1949.

**შანშიაშვილი 1986:** შანშიაშვილი, ს. თხზულებები. ტ. I. თბილისი: „მერანი“, 1986.

**წერეთელი 1956:** წერეთელი, ა. თხზულებათა სრული კრებული თხუთმეტ ტომად. ტ. VI. თბილისი: 1956.

## AVTANDIL NIKOLEISHVILI

*Georgia, Kutaisi*

*Akaki Tsereteli State University*

### Razhdan Gvetadze's Poetry in the Context of Georgian Symbolism

When talking about the creative role of ‘Tsisperkantselebi’ (The Blue Horns) in the history of Georgian literature a number of researchers entirely overlooked the literary legacy of R. Gvetadze (1897-1952) – one of the prominent representatives of this literary group. His poetic abilities of that time were most revealed in the poetic cycle – ‘Messiah of Donkeys’ (1924). In the history of Georgian literature R. Gvetadze is the first poet who made a donkey the subject for poetic praise. The poet’s interest in the issue, which started in 1918 by writing the poem ‘Short-sighted Donkey’, was largely due to the poems by Francis Jammes – a French poet created on the same theme.

**Key words:** Symbolism, ‘Messiah of Donkeys’, ‘Tsisperkantselebi’.

## ავთანდილ ნიკოლებიშვილი

საქართველო, ქუთაისი  
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### რაჟდენ გვეტაძის პოეტური შემოქმედება ქართული სიმბოლიზმის კონტექსტში

სამწუხაროდ, ქართული მწერლობის ისტორიაში „ცისფერყანწელთა“ შემოქმედებითი როლისა და დამსახურების წარმოჩენის დროს მკვლევართა დიდი ნანილის დაინტერესების მიღმა დარჩა ამ ლიტერატურული დაჯგუფების ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის – რაჟდენ გვეტაძის (1897-1952 წ.). მწერლური მემკვიდრეობა, პიროვნებისადმი, რომელსაც ლეო ქაჩელმა „მშობელი ხალხის ბედნიერებისთვის დღეგაუცდენელი მებრძოლი“ უწოდა. მართალია, მისი შემოქმედებითი მემკვიდრეობა – სიმბოლისტური პერიოდისაც და შემდგომი ხანისაც – დღესდღეობით უკვე ნაკლებად მნიშვნელოვან მხატვრულ ფასეულობას წარმოადგენს და ფაქტობრივად ისტორიული თვალსაზრისით უფროა საინტერესო, მაგრამ არც იმ ფაქტის უგულვებელყოფა იქნება გამართლებული, მწერლის ცალკეული ნაწარმოებები, თავიანთი მხატვრული სპეციფიკითაც და პრობლემატიკითაც, ნამდვილად რომ იმსახურებს ლიტერატურამცოდნეთა მეტ ყურადღებას.

რაჟდენ გვეტაძემ შემოქმედებითი მოღვაწეობა ბავშვობიდანვე დაიწყო. მისი ლექსებისა და მინიატურების პირველი პატარა კრებული სახელწოდებით „მთვარის ზღაპარი“ 1915 წელს გამოიცა ყვირილაში (დღევანდელ ზესტაფონში). ამავე დროიდან მოყოლებული, იგი „ცისფერყანწელთა“ ლიტერატურული დაჯგუფების წევრიც ხდება და აქტიურად თანამშრომლობდა მათ პერიოდულ გამოცემებში. რ. გვეტაძის სიმბოლისტური თვალთახედვა ფართოდ წარმოჩნდა იმხანად გამოცემულ მის ისეთ პოეტურ კრებულებში, როგორებიცაა: „თეთრი წიგნი“, ზესტაფონი, 1917 წ.; „დაბინდული ქარვები“, ქუთაისი, 1919 წ.; „ლამები“, თბილისი, 1921 წ.; „ვირების მესია“, თბილისი, 1924 წ. და სხვ.

რ. გვეტაძის სიმბოლისტური პერიოდის ლექსები თემატურადაც და მხატვრული სტრუქტურითაც ფაქტობრივად „ცისფერყანწელთა“ პოეტური შემოქმედების არეალშია მოქცეული და მოვლენათა აღქმა-წარმოსახვის ორიგინალობით ნაკლებადაა აღბეჭდილი. კამერული მისწრაფებებისა და პიროვნული გრძნობების გამოხატვამ პოეტი მაშინ იმდენადაც კი გაიტაცა, რომ იმდროინდელი დიდმნიშვნელოვანი ეროვნულ-საზოგადოებრივი მოვლენები მისთვის ნაკლები ინტერესის საგნად იქცა.

თუმცა ყოველივე ზემოთქმული ისე არამც და არამც არ უნდა გავიგოთ, თითქოს ეს მოვლენები იმხანად მთლიანად დარჩა ო. გვეტაძის შემოქმედებითი თვალთახედვის მიღმა. ეს რომ ასე არ ყოფილა, ამის ნათელსაყოფად აქ თუნდაც მარო მაყაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი მისი ლექსის გახსენებაც იქნება საქმარისი. 1921 წელს დაწერილი ამ პოეტური ელეგიით („ტირილი პროსპექტზე, მთვარიან დამეში (მარო მაყაშვილისადმი“) ო. გვეტაძემ ცრემლიანი გოდებით შეასხახოფბა საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ომში 1921 წლის თებერვალში დალუპული ამ სახალხო გმირის ხსოვნას და მისი საქვეყნო თავგანნირვა თამარ მეფის მამულიშვილურ დვანლს შეადარა.

მე არ გიცნობდი, ამორძალო, სწორო თამარის,  
მაქს სანანებლად თქვენი სახის უნახველობა,  
მაგრამ ამბობენ, რაფაელის უნდა ხელობა  
თქვენს ნამდვილ პორტრეტს,  
დღეს რომ ვარდი ფარავს სამარის.

ო. გვეტაძის სიმბოლისტური პერიოდის ლირიკის ერთ-ერთ უმთავრეს თემად ცხოვრებისეული საზრისის ვერმიგნებითა და ყოვლის წარმავლობის გაცნობიერებით სასონარკვეთილებაში ჩავარდნილი პიროვნების დეპრესიული სულიერი განწყობილების გამოხატვა იქცა. „ვეძებ ქვეყანას არ ნახულს და ჯერ არ გაგონილსო,“ – წერდა, მაგალითად, იგი ერთგან და ამგვარი კოშმარული განცდებისაგან თავის დახსნის ერთადერთ რეალურ საშუალებად ბოჭემური ცხოვრება, ეროტიკა და ლოთობა მიაჩნდა.

როგორც მკითხველი ო. გვეტაძის სიმბოლისტური პერიოდის მხატვრული მემკვიდრეობისთვის თუნდაც თვალის უბრალო გადავლებითაც წათლად დაინახავს, უცხოელ და ქართველ სიმბოლისტთა შემოქმედების ერთ-ერთ მთავარ თემად ქცეული ცხოვრების ასეთი წესი იმხანად მისთვისაც არაერთგზის ქცეულა პოეტური შთაგონების წყაროდ. მაგალითად, 1924 წელს გამოცემულ ერთტომეულში – „ვირების მესაია“ მან ლექსების ცალკე ციკლიც კი გამოჰყო სათაურით – „კახბები“ და თავისი ბოჭემური ცხოვრებისეული მიზანსწრაფვა შემდეგნაირად წარმოაჩინა:

სული მაქს მძიმე უფრო რკინაზე,  
როგორც აშოღლანს, მიყვარს ბარდელი,  
ვეღარ ვჩერდები მე ერთ ბინაზე, –  
როცა ღვინოს ვსვამ, ვარ უდარდელი.

მისი თანამოაზრე „ცისფერყანწელი“ პოეტების მსგავსად, რ. გვე-ტაძის ადრინდელ ლირიკაში განსაკუთრებული ადგილი აქვს დათმო-ბილი იმ დაუძლეველ წინააღმდეგობასა და შეუსაბამობას, რომელიც მუდამ არსებობს ხოლმე რეალურად არსებულ სინამდვილესა და ოც-ნებით წარმოსახულ ილუზიურ სამყაროს შორის. მაგალითად:

შავი პროფილი მსურს მოვხადო ღამის აჩრდილებს,  
დავასაჩუქრო მზის სინათლით ბრმა მათხოვარი,  
მაგრამ მქირდავი სინამდვილე გულს არ ადილებს,  
ნამების გვირგვინს თან ვატარებ ვით მაცხოვარი.

ამგვარი სულიერი დეპრესიის განსაქარვებლად ახალგაზრდა პო-ეტი ზოგჯერ ჩვენი ქვეყნის ისტორიული წარსულის წარმოსახვით სა-მყაროში გადასახლებასაც წატრობდა და თავის ამ რომანტიკულ ოცნე-ბას ამგვარად გამოხატავდა:

ნეტაფი გვეცვას ისევ ჩოხა და ქალამანი,  
სკიპრეპეის ნაცვლად ნაცვლად ვატარებდეთ სევდიან თარებს,  
ვემალებოდეთ ტარაბელში მხურვალე დარებს —  
თამარის დროის მენატრება ქუჩა, ყაფანი.

ალბათ, არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ რ. გვეტაძის პო-ეტური შესაძლებლობები ყველაზე მეტად ფართოდ გახმაურებულ პოეტურ ციკლში – „ვირების მესია“ (1924 წ.) გამოვლინდა. ლექსების ხსენებული ციკლისთვის ამგვარი შეფასების მიცემაში გადაჭარბე-ბული რომ არაფერია, ამას ის ფაქტიც ადასტურებს, რომ იგი დღემდე რჩება ლიტერატურათმცოდნეთა ყურადღების საგნად. მაგალითად, გურამ ასათიანის შეფასებით, ლექსების ეს ციკლი „თავისი დროისათ-ვის უჩვეულო, გაუგონარი“ რამ იყო. „ეს იყო თავისებური გამოწვევა საზოგადოებრივი აზრისა და გემოვნების მიმართ. ამასთან ერთად ამ დროს გავრცელებულ მესიანისტურ განწყობილებათა პაროდიების საკმაოდ გაძედებული ცდაც... „ვირების მესიაში“ ბევრი რამ ხელოვნუ-რად გამდაფრებულია, თვითმიზნური ორიგინალობის სურვილითაა ნა-კარნახევი.

მაგრამ არის ამ ლექსებში დღემდე გაუხუნარი, ხალასი ბუნებრიო-ბის, არამოჩვენებითი სინრთელის ნიშნებიც... გავიდა დრო, პოეტის ნამოქმედარს ჩამოსცილდა სკანდალურობის ელფერი და ჩვენ დაგვრჩა უაღრესად ადამიანური, „შვლის ნუკრის ნაამბობივით“ მოსიყვარულე, სევდიანი გულითადობით სავსე სტრიქონები“ (ასათიანი, 1981).

მიუხედავად იმისა, რომ „ვირების მესია“ ცალკე ერებულად 1924 წელს გამოქვეყნდა, მასში შეტანილი ლექსების ერთი ნაწილი ავტორს მანამდეც აქვს დაწერილი და დაპეჭდილი. სიმბოლიზმით გატაცების პერიოდში ვირების თემით იგი იმდენადაც კი იყო დაინტერესებული, რომ გარდა ხსენებულ ციკლში შეტანილი ლექსებისა, ამ უწყინარი პირუტყვებისადმი მიძღვნილი სხვა პოეტური ტექსტებიც აქვს შექმნილი და გამოქვეყნებული.

არ გადავჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ ქართული ლიტერატურის ისტორიაში რ. გვეტაძე პირველი პოეტია, რომელმაც ვირი პოეტური შექების ობიექტად აქცია და მისი სიმბოლისტური თვალთახედვის გამოხატვა ყველაზე მეტად უპირველეს ყოვლისა სწორედ ამ ცხოველის ალეგორიზმებულ სახე-სიმბოლს დაუკავშირა. რ. გვეტაძის პოეზიაში საკვათო მძლავრად დამკვიდრებულ ამ ტენდენციას საფუძველი 1918 წელს ჩაიყარა ლექსით „ბრუციანი ვირი“, რომელშიც უღრმესი ადამიანური თანაგრძნობითა დახატული უმძიმესი ყოველდღიური შრომით დაუძლურებული და თვალისწინდაკარგული ვირი:

საბრალო ვირო, ძლივს დაეთრევი, აღარ ახსოვხარ შენს კეთილ  
პატრონს,

მძიმე სიჩუმით სფინქსებს ედრები და სურნელება მზის ვეღარ  
გათრობს.

დაბერდი, სიკვდილს მიანდე ბედი, ო, აღარც ვარგხარ ბავშვების  
ცხენად,

არ გასვენებენ ძალლები ყბედი, გატყობ: სიცოცხლე გრჩება  
საწყენად...

სულ ქუჩაში ხარ, გამვლელთა გზირად, გესმის დაცინვით:  
საწყალი ვირი.

შუადღის ძილი დაგჩემდა ნირად და ბავშვებს უკვირთ, რომ აღარ  
ყვირი.

როგორც ითქვა, 1918 წელს დაწერილი „ბრუციანი ვირით“ სათავე-დადებული ზემოთ აღნიშნული ტენდენცია რ. გვეტაძემ შემდგომში შექმნილი სხვა ლექსებითაც განაგრძო და ვირი მისი პოეტური შემოქმედების ერთ-ერთ მთავარ ლირიკულ პერსონაჟად აქცია. პოეტის მიერ წარმოსახული ვირი ადამიანური გულქვაობისა და გამუდმებული შრომის მსხვერპლად ქცეული ის არსებაა, რომელიც ღმერთს მხოლოდ ტანჯვისთვის გაუჩერია და გარდა ბავშვებისა, შემბრალე და თანამგრძნობი მას ამქვეყნად ფაქტობრივად არავინ ჰყავს. მაგალითად, 1919 წელს დაწერილ „ვირის ნალში“, რომელიც პ. იაშვილს ეძღვნება, ვირის სიკვდილით გამოწვეული მწუხარება პოეტმა ამგვარად გამოხატა:

კვირა სალამოს, როცა მზის თვალი კიდევ მოჩანდა გორების თავზე, გარდაცვლილ გირის გიპოვე ნაილ და სულში სევდა ვერ მოვათავსე. ეს ნალი იყო ბებერი ვირის, დლეს მასზე ფიქრი მსურს შევაჩერო. მის ხსოვნას ახლა ყორანი ტირის, – ზაფხულში საწყალს უყვარდა ჩერო.

ის ამ ქუჩაზე ხშირად მინახავს ჩემი ალერსით განაკვირები, და მე ჯერ ბავშვი არ გამილახავს, რადგანაც ბავშვებს უყვართ ვირები.

რ. გვეტაძის მიერ დახატული ვირები ადამიანთა ყოველდღიურ შრომით საქმიანობაში აქტიურად ჩაბმული ის არსებანი არიან, რომელთა უმძიმესი ამქვეყნიური ხვედრი პოეტისეული თანაგრძნობითა და სიყვარულით ქართულ მწერლობაში არავის გამოუხატავს. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, სულაც არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ სიმბოლიზმით გატაცების პერიოდში რ. გვეტაძის შემოქმედებით შესაძლებლობათა წარმომჩენ უმთავრეს თემად პირველ ყოვლისა სწორედ „ვირების სევდისა“ (პოეტის სიტყვებია) და ყოველდღიური შრომის ჭაპანში ჩაბმული ამ უტყვი არსებებისადმი სიბრალულის გრძნობის გამოხატვა იქცა.

ნათქვამის ნათელსაყოფად აქ ტიციან ტაბიძისადმი მიძღვნილ „ჩოროს“ (1922 წ.) გავიხსნებ, რომელიც ეკატერინე გაბაშვილის „მაგდანას ლურჯადან“ კარგად ცნობილი სახედრის პოეტურ ანალოგადაც შეიძლება მივიჩნიოთ.

პარასკევს ყაფანზე გაყიდეს ჩორორი, ატირდა საბრალო  
თაფლისფერ თვალებით,  
ახალმა პატრონმა მოპარსა ქოჩორი და თოთო ტერფებზე  
დააკარ ნალები.

ბავშვებმა ბელელს ქვეშ ანახვეს საწოლი, კოცნიან,  
აღრჩობენ რძიანი ბალახით,  
ორშაბათს ხურჯინით აჰკიდეს მაწონი: პატარა ფეხები ეტკინა  
ტალახით.

ქალაქში უცინის ძველების მკერავი, ნაცნობებს შეხვდება,  
უეცრად ქრებიან,  
სურს დედის ალერსი, ვერ ხედავს ვერავის, მხოლოდ სარს უცექერის  
საყანე რქებიანს.  
სოფლისკენ გაბრუნდნენ დაღლილი ვირები, ჩოჩორიც მიჰყვება  
ბედს გადანაბირებს.  
ამბობენ: ბაზარში არ იყო სიძვირე, ღამდება და ქარი ამოსვლას  
აპირებს.

„ვირების მესიის,“ როგორც რ. გვეტაძის ადრინდელი პოეტური შემოქმედების გვირგვინად ქცეული ლექსების ციკლის, შეფასების დროს სავსებით მართებულად უსვამენ ხაზს იმ გარემოებას, რომ ამ თემით პოეტის განსაკუთრებული დაინტერესება მნიშვნელოვანნილად განაპირობა ფრანგი პოეტის – ფრანსის უამის მიერ ამავე თემაზე შექმნილმა ლექსებმა. მაგალითად, ტ. ტაბიძის შეფასებით, რ. გვეტაძის „ვირების მესია“ „უთუოდ დარჩება ქართულ პოეზიაში, ისე როგორც ფრანსის უამის ლოცვები სამოთხეში ვირებით შესვლაზე.“ სერგო კლდიაშვილის თქმით კი ფ. უამის ხსენებული ლექსებით რ. გვეტაძე იმდენად ყოფილა გატაცებული, რომ მას ფრანგული ენის შესწავლაც დაუწყია დედანიში მათი წაკითხვის მიზნით.

მიუხედავად „ვირების მესიის“ ამგვარი შეფასებისა, ობიექტურობა მოითხოვს აქვე ისიც ხაზგასმით აღინიშნოს, რომ რ. გვეტაძის ლექსების ხსენებული ციკლი, ისევე როგორც მთელი მისი პოეტური შემოქმედება – სიმბოლისტური პერიოდისაც და შემდგომი ხანისაც, – მხატვრული ოსტატობის თვალსაზრისით დღესდღეობით ნაკლები ლიტერატურული მნიშვნელობის მქონე შემოქმედებით ფასეულობას წარმოადგენს და იგი მხოლოდ ისტორიული თვალსაზრისით თულაა საინტერესო.

თუმცა ხსენებული პოეტური ციკლი ცალკეულ შემთხვევებში მაინც რომ რჩება ქართული მწერლობის მასშტაბით ახლებური თვალთახედვის წარმომჩენ ქმნილებად, ამის დასტურად აქ 1983 წელს დაწერილი აკაკი ბაქრაძის უაღრესად საინტერესო წერილი – „საით?“ მინდა გავიხსენო, რომელშიც კრიტიკოსმა მეტად ორიგინალური პარალელი გაავლონ ნ. ბარათაშვილის მერანსა და რ. გვეტაძის მიერ წარმოსახულ სახედარს შორის.

ა. ბაქრაძის შეფასებით, „ვირების მესია“ „პოლემიკა ნ. ბარათაშვილის „მერანთან.“ კერძოდ, „რ. გვეტაძის ვირი ნ. ბარათაშვილის მერნის დაკრიტიკა, დამცრობაა.“ კრიტიკოსის აზრით, ამ შემთხვევაში „არსებითი მნიშვნელობა არა აქვს იმას, წინასწარ გამიზნულად, შეგნებულად გააკეთა ეს რ. გვეტაძემ, თუ შემოქმედებით პროცესში უნებლიერ, თავისთვად წარმოიშვა კამათი. არსებითია ფაქტი, შედეგი, რაც „ვირების მესიით“ მივიღეთ“ (ბაქრაძე 1986: 255).

ა. ბაქრაძის თვალთახედვით, თუ მერანი თავისუფლებისაკენ დაუცხრომელი სწრაფვის ხორცშესმულ სახე-სიმბოლოს წარმოადგენს, რ. გვეტაძის მიერ დახატული სახედარი „მერანის საპირისპიროა,“ სიმბოლო მოთმინების, დამცირებისა და მორჩილებისა. ასე რომ, ნ. ბარათაშვილისაგან განსხვავებით, რ. გვეტაძე ბედთან შეუგუებლობასა და დაუმორჩილებლობას მოთმინებას, მდგომარეობასთან შეგუებასა და მორჩილებას ამჯობინებს.

ჩემის აზრით, ა. ბაქრაძის მიერ ესოდენ საინტერესოდ წარმოდგენილ ამ სქემაში რ. გვეტაძის „ვირების მესია“ მხოლოდ ნაწილობრივ თავსდება, რადგანაც, ყოველივე ზემოთქმულის მიუხედავად, ლექსების ხსენებული ციკლით პოეტი იმასაც ცდილობს, განგებისაგან წილად ხვდომილ უმძიმეს ცხოვრებისეულ ხვედრს ყოველგვარი პროტესტის გარეშე დამორჩილებულ ამ უტყვი პირუტყვითა ცნობიერებაში შეინახანი პროტესტის სუსტი გრძნობაც რომ გააჩინოს.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესო ლექსია „მანიფესტი ვირებს,“ რომელშიც პოეტმა რამდენადმე განზოგადებული ფორმით ცადა გამოხსატა სიმბოლისტური პერიოდის მისი შემოქმედების უმთავრეს პერსონაჟად ქცეული ამ უწყინარი და მრავალტანჯული ცხოველისადმი ღრმად თანამგრძნობი მისეული დამოკიდებულების არსი. რ. გვეტაძის ხაზგასმით, ვირების ტანჯული ცხოვრებით მის განსაკუთრებულ დაინტერესებას, რასაც საზოგადოების უდიდესი ნაწილი სასაცილო მოვლენად მიიჩნევდა, იგი „საარაკო საქმეს“ უწოდებს და სიყვარულზე დაფუძნებულ თანაგრძნობას გამოხატავს ყოველდღიური შრომის მტანჯველ უდელში მორჩილად შებმული ამ უწყინარი პირუტყვებისადმი.

**ჩემო ვირებო! თქვენს სინაზეს ყველა ამცირებს,**  
– თუმცა თქვენს თვალებს მე ვიხმარდი სარკის მინებათ,  
და გადავწყვიტე, რადგან ღმერთმა ასე ინება,  
თქვენი სიცოცხლე აგაშორო სიკვდილის გზირებს.

განსხვავებით მისი უტყვი მეგობრებისაგან, რომლებიც თვინიერი მორჩილებითა და ყოველგვარი შეინაგანი წინააღმდეგობის გარეშე ეწევიან ბედისწერის მიერ მათთვის განკუთვნილ მძიმე უღელს, პოეტი დაბეჯითებით განუმარტავს მათ, რომ მარტო ამგვარი გარჯითა და მორჩილებით ისინი ვერც აღთქმულ სამოთხეში შევლენ და ვერც ყოველდღიურ მონურ წამებას დააღწევენ თავს:

ვერ შეხვალო, ძმებო, სამოთხეში დღეს მარტო გარჯით  
(ამაზე, მახსოვს, ბევრი ფიქრი დამიხარვია),  
საჭირო არის გადავარდნა ცეცხლის ყამირში.  
გეძლევათ ნება: დააარსოთ ცალკე სამეფო, —  
მგონი დრო არის, რომ გაექცეთ მონურ წამებას  
და შეგიძლიათ: მფარველ მეფეთ მე ამირჩიოთ.

თავისი უტყვი მეგობრების ყოველდღიურ მონურ შრომაზე უფრო ნათელი წარმოდგენის შესაქმნელად რ. გვეტაძე „ვირების მესიაში“

მათი საქმიანობის შთამბეჭდავად წარმომჩენ კონკრეტულ ეპიზოდებსაც გვთავაზობს, რითაც ცდილობს კიდევ უფრო მეტად გაგვიმძაფროს მათდამი სიბრალულის გრძნობა. ნათქვამისათვის მეტი სიცხადის მისაცემად დავიმოწმებ ფრაგმენტს ლექსიდან „ვირები პროსპექტზე გათენებისას:“

მირეკავს ვირებს მენახირე დაუნდობ სახრით  
და ბრაზით ელის უძინარი ცეცხლის არწივებს.  
ითმენენ ვირნი მის სიმკაცრეს მანძილის განხრით  
და მიათრევენ მთელ ქვეყანას მაგარ წვივებით.  
აწამებს ვირებს დაუნდობი იღბალი მცირე  
და შეეწვიენ განუწყვეტლ ცრემლების რუებს.  
მათი ყვირილი გოდებაა დაკირულ მწირის,  
აწეული მზე როცა ვნებით გულებს აბრუებს.

დამორჩილი ფრაგმენტი გამონაცლისი არ არის და ყოველდღიური შრომის უმძიმეს ულელში მუდმივად შებმული ვირებისადმი მსგავსი ადამიანური თანაგრძნობის გამოხატვა არსებითად განსაზღვრავს რ. გვეტაძის ლექსების ხსენებული ციკლის პათოსსა და სულისკვეთებას.

მიუხედავად იმისა, რომ პოეტური ოსტატობის თვალსაზრისით რ. გვეტაძის „ვირების მესია“ ქართული მნერლობის საუკეთესო ნიმუშებს ვერ შეეძრება, ლექსების ხსენებული ციკლი არა მარტო ავტორის თანამედროვე და შემდგომი ხანის მნერალთა და კრიტიკოსთა ცხოველი ინტერესის საგნად იქცა, არამედ ზოგიერთი პოეტისათვის შემოქმედებითი იმპულსის მიმცემ ფაქტორადაც კი მოგვევლინა.

„ვირების მესიის“ ამგვარ შეფასებაში გადაჭარბებული რომ არაფერია, ამას, ჩემის აზრით, შოთა ნიშნიანიძის პოემა – „ვირის აპოლოგიაც“ (1999 წ.) ნათლად ადასტურებს.

რ. გვეტაძის შემოქმედებაში, პოეტურშიცა და ბელეტრისტულშიც, ავტობიოგრაფიულ ეპიზოდებსაც საკმაოდ დიდი ადგილი აქვს დათმობილი. სიმბოლისტური პერიოდის ლექსებში სათავე დადებულმა ამ ტენდენციამ კიდევ უფრო ფართო მასშტაბები შეიძინა მის ბელეტრისტიკაში და მნერლის არაერთი რომანის, მოთხრობისა თუ ნოველის სიუჟეტურ საფუძვლადაც იქცა, რასაც თავად ისიც აღნიშნავდა არაერთგზის.

სიმბოლიზმით გატაცების პერიოდში დაწერილ ლექსებში ეს ტენდენცია უპირველეს ყოვლისა მშობლიური სოფლის მოგონებათა პოეტურ წარმოსახვასთან აღმოჩნდა დაკავშირებული. სიმბოლისტურ ესთეტიკურ თვალთახედვაზე დაფუძნებული ამ ლექსებით პოეტი შინ-

აგანი უკმარობის გრძნობითა და იმედგაცრუებით გამოხატავდა თავისი სულიერი წუხილის უმთავრეს საფუძვლად ქცეულ სინანულს იმ შეუსაბამობათა გამო, რაც ოცნებისეულ წარმოსახვებსა და რეალურ სინამდვილეს შორის არსებობდა. მაგალითად:

**დავტოვე ეზო მე ვაზიანად და ვერაფერი ოჯახს შევმატე.**

ამას ყოველთვის თავაზიანად მისაყვედურებს მოხუცი მათე...

შევწირე ყველა მე პოეტობას – არავინ მინდა ამქვეყნად მყავდეს.

ახლა ჩემს გვარში ვჩემობ მეტობას – ალბათ დამწყევლეს,

რომ წერონს ვგავდე.

შიშით მოველი უცნობის ბარათს, დავკარგე სულის ყველა საფარი.

და მეჩვენება გატეხილ ფარად ჩემი ცხოვრების მოკლე ზღაპარი.

რ. გვეტაძის სიმბოლისტური პერიოდის პოეზიისთვის დამახასიათებელ ტენდენციებზე საუბრის დროს პოეტის ლექსების ვერსიფიკაციულ მხარეზეც უნდა ითქვას რამდენიმე სიტყვა. მიუხედავად იმისა, რომ მისი პოეტური შემოქმედება ამ თვალსაზრისთ განსაკუთრებული ძიებებითა და სიახლეებით არ გამოირჩევა, გასული საუკუნის ათაანი და ოციანი წლების ქართულ პოეზიაში მან მაინც შეძლო ამ თვალსაზრისითაც შეეტანა თავისი მოკრძალებული წვლილი. კერძოდ, პოეტის შემოქმედების ამ მხარეზე საუბრის დროს მხედველობაში პირველ ყოვლისა მისი სონეტები და თავისუფალი სალექსო ფორმით დაწერილი პოეტური ტექსტები მაქვს.

„ცისფერყანწელთა“ უმეტესობის მსგავსად, სათქმელის პოეტური ფორმით გამოხატვის დროს სალექსო ფორმათაგან რ. გვეტაძე უპირატესობას სონეტს ანიჭებდა. როგორც ცნობილია, ვალერიან გაფრინდაშვილი ქართულ პოეზიაში პირობითად რამდენიმე სახის სონეტს გამოჰყოფდა – ე. წ. კოჭლ სონეტს, ყრუ სონეტს, ელამ სონეტს, სონეტს უნაგირით და ა. შ. გრიგოლ ცეცხლაძის მიერ ჯერ კიდევ 1922 წელს გამოთქმულ მოსაზრებაზე დაყრდნობით, მკვლევარმა ცისანა გენძეხაძემ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია იმ ფაქტს, რომ რ. გვეტაძის პოეზიაში არა მარტო სონეტთა ეს სახეობანი გვხვდება, არამედ მან „თავადაც დაწერა სრულიად ორიგინალური „უკულმა სონეტი,“ რომელიც ერთნაირი ემოციურობით იკითხება არა მხოლოდ წალმა, არამედ – ქვევიდან ზევით“ (გენძეხაძე 1999: 76).

საბჭოთა პერიოდის ჩვენს ყოფაში ხელისუფლების მიერ მიზანმიმართულად და ყოვლისმომცველად გატარებულ იდეოლოგიურ პოლიტიკას, რამაც იმდროინდელ ქართულ მწერელობაზეც მოახდინა საკმაოდ მძლავრი ზეგავლენა, გასული საუკუნის ოციანი წლების მეო-

რე ნახევრიდან ვერც რაჟდენ გვეტაძემ დააღწია თავი. ამ დროიდან მოყოლებული, მწერლის მიერ შექმნილი მხატვრული ტექსტების ერთ ნაწილში სწორედ ამგვარი იდეოლოგიური ტენდენციურობითაა ასახული და ერთმანეთისაგან გამიჯნული რევოლუციამდელი და რევოლუციის შემდგომდგოინდელი ჩვენი ყოფა.

1924 წელს დაწერილ ლექსში „პოეტებო, ბარიკადებზე“ თავად რ. გვეტაძემ მის ლიტერატურულ და მსოფლმხედველობრივ თვალთახედ-ვაში მომხდარ ამ გარდამტეს მოვლენას, რომელმაც არსებითად შეცვალა მწერლის როგორც მხატვრულ-ესთეტიკური, ისე მოქალაქეობრივი მრნამსი, ასეთი შეფასება მისცა:

ო, აღარ ვნატრობ: დამემთავრებია იყალთოს აკადემია  
და მეცხოვრა თამარის კარზე...  
ვიმღერი ლილეოს, მივდიგარ რთველში...  
მე ვარ გლადიატორი  
და საქართველოს რომ არ დაეცეს სიკვდილის ტორი,  
რომ არ დამარცხდეს რევოლუცია,  
ჩემი ლოზუნგია: ყველა მებრძოლი საქართველოში!  
კვლავ სიყვარულზე აღარ დავწერ ლექსების წიგნებს,  
აღარც სონეტებს მისტიკურ კატებზე:  
ჩემი შემდეგი ლექსების თემა იქნება:  
„პოეტებო, ბარიკადებზე!“

როგორც რ. გვეტაძის მთელი შემდგომდროინდელი შემოქმედება ადასტურებს, მწერლის ესთეტიკურ და მოქალაქეობრივ თვალთახედ-ვაში მომხდარმა ამგვარმა რადიკალურმა გარდატეხამ არსებითად შეცვალა მთელი მისი ლიტერატურული სამყარო და მხატვრული წარმოსახვის უმთავრეს მიზნად უკვე იმშამინდელი ეპოქალური მოვლენები იქცა.

სამწუხაროდ, რაჟდენ გვეტაძე შემოქმედებითი სიმწიფის ასაკში, ორმოცდათხუთმეტი წლისა, გარდაიცვალა და არაერთი ლიტერატურული ჩანაფიქრი დარჩა ხორცშეუსხმელი. რაც შეეხება მის მიერ შექმნილ მწერლურ მექანიზმების გარდა, როგორც ზემოთ უკვე ითქვა, დღესდღეობით ისტორიული თვალსაზრისით უფროა საინტერესო, თავისი პრობლემატიკითა და მხატვრული ოსტატობის მხრივ კი ნაკლებად მნიშვნელოვან ლიტერატურულ ფასეულობას წარმოადგენს. თუმცა, როგორც მკითხველი რ. გვეტაძის ლიტერატურულ მიღწევათა თუნდაც წინამდებარე ანალიზითაც დარწმუნდება, მეოცე საუკუნის პირველი ნახევრის ქართული მწერლობის ისტორიაში მან მაინც შეძლო თავისი მოკრძალებული ადგილის დამკვიდრება.

## **დამოცვებანი:**

**ასათიანი 1981:** ასათიანი გ. „რაუდენ გვეტაძე“. გაზ. „ლიტერატურული სა-ქართველო“, 1981, 18 სექტემბერი.

**ბაქრაძე 1986:** ბაქრაძე ა. სულის ზრდა. თბილისი: 1986.

**გენძებაძე 1999:** გენძებაძე ე. რაუდენ გვეტაძე. მნათობი, № 7-8. 1999.

**გვეტაძე 1924:** გვეტაძე რ. ვირების მესია. თბილისი: 1924.

**გვეტაძე 1955:** გვეტაძე რ. თხზულებანი. ტ. I. თბილისი: 1955.

**ნიშნიანიძე 1999:** ნიშნიანიძე შ. „ვირის აპოლოგია“. გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1999 წ. 16-23 ივლისი.

**MAIA NINIDZE**

*Georgia, Tbilisi*

*Shota Rustaveli Institute of Georgian Literature*

### **Visual Intertexts in the Works of Georgian Modernist and Post-modern Authors**

In literary works of modernist and post-modern writers there are numerous allusions not only to verbal texts, but to visual as well. These intertexts have different functions and the process of their reception also differs. If the author makes reference to the particular work of art in order to display his artistic principles, identification of the work is quite important. It is desirable, to identify it and give information in comments. There are some very interesting visual intertexts in Galaktion Tabidze's nikko Lortkipanidze's and guram Rcheulishvili's poems and stories.

**Key words:** visual intertext, allusion, modernism, post-modernism, fiction.

**მაია ნინიძე**

საქართველო, ქუთაისი

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

**ვიზუალური ინტერტექსტები მოდერნისტ და  
პოსტმოდერნისტ ქართველ ავტორებთან**

ტერმინი „ინტერტექსტი“ მე-20 საუკუნეში გაჩნდა და, თუმცა, სხვა ლიტერატურულ ან არალიტერატურულ ტექსტებთან მიმართება ცალკეულ ავტორთა თხზულებებში მანამდეც არსებობდა, პირველი

მიმდინარეობა, რომელისთვისაც ინტერტექსტუალობა სპეციფიკური ნიშან-მახასიათებელი და ტექსტის აგების ძირითადი ხერხი გახდა, არის მოდერნიზმი. სხვა ტექსტის ციტირება, რემინისცენცია ან ალუ-ზია აქ არ არის უბრალო დამატებითი ინფორმაცია ან სხვა ტექსტის გავლენა. ტექსტი არის ძველი ციტატებისაგან შეკერილი ახალი ქსოვილი, ძნელად ამოსაცნობი „ანონიმური ფორმულების საერთო ველი, სადაც ბრჭყალების გარეშე გვხვდება ქვეცნობიერი ან ავტომატური ციტატები“ (ბარტი 1973: 78). მოდერნისტი ავტორისთვის ინტერტექსტი ასევე არის საკუთარი თავისა და სამყაროს შემეცნების და მათზე ახლის თქმის ინსტრუმენტი. იგი არის ავტორის „მეს“ პარადოქსული თვითგამოხატვის საშუალება და ემსახურება კულტურის ენისა და ადამიანის ქცევის რადიკალურ განახლებას.

მოდერნიზმი, როგორც ლიტერატურული მიმდინარეობა მკვე-თოად გამოვლინდა ხელოვნების სხვადასხვა დარგებში. ელიტური ხასიათის გამო მისი წარმომადგენლები კარგად იცნობდნენ როგორც თანადროული კულტურის სიახლეებს, ისე წარსულის მონაპირობების შესაძლოა, ამანაც განაპირობა, რომ მოდერნისტულ ლიტერატურა-ში ხშირია არა მხოლოდ ლიტერატურული ინტერტექსტები, არამედ არალიტერატურულიც, უხვად არის ალუზიები ფერწერულ ტილოებზე, სკულპტურებზე საოპერო და თეატრალურ წარმოდგენებზე, და სხვ. (დურე 1993: 135). ვიზუალური ინტერტექსტების კვლევას ზოგჯერ საგანგებო სადოქტორო წაშრომები და წიგნებიც ეძღვნება (კენი 1996; ჰინცი 1998).

მოდერნიზმში ინტერტექსტებს სხვადასხვაგვარი დატვირთვა აქვს და მათი რეცეფციაც განსხვავებულად ხდება. გალაკტიონ ტაბიდის ლექსებში ამა თუ იმ მხატვრის ან მოქანდაკის სახელი ყველაზე ხშირად ჩნდება ზოგადი განწყობის, ფერთა გამისა და ესთეტიკის შემოსატანად. მაგ. ლექსში „მარმარილო“: „ვან-დეიკის ლანდებივით მწვანდება ღამე...“ ლექსს „უხილავი“ აქვს მინანერი „აივაზოვსკის სურათის წინ“ და მთავრდება სიტყვებით „დედამინას გარინდებულს მოხვევია ფიქრთ სამოსი, / რაღაც სევდით გამსჭვალულა მშვიდი სუნთქვა შიდა-მოსი“. ეს განწყობა მართლაც ძალიან ხშირია აივაზოვსკის სურათებში. ასეთსავე ზოგად განწყობას ქმნის ფრაზა: „ვიგონებ რა იმ მიქელ-ანჯელოს, /არა ძნელი მთების დადნობა“.

როდესაც ლექსში ხელოვნების ამა თუ იმ წანარმოებთან დაკავშირებული კონკრეტული ისტორიული ფაქტია წახსენები, შესაძლოა მის წარმოსახვას ლექსის აღქმისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა არ ჰქონდეს. ლექსში „შენი ღიმილი“ წახსენებია ლეონარდო და ვინჩის „ჭოოკონდას“ გატაცება ლუვრიდან, მაგრამ კონკრეტულად ამ ლექ-

სის აღქმისთვის ამ ფერწერული ტილოს წარმოსახვას განსაკუთრებული მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს, რადგან ლექსი ძირითადად სხვა თემას და სხვა პრობლემას უკავშირდება.

არანაკლებ ხშირია შემთხვევები, როდესაც ინტერტექსტი ემსახურება კონკრეტული ფერწერული ტილოს ფონზე ავტორის განცდების გაშლას. ასეთ შემთხვევაში მნიშვნელოვანია, რომ იდენტიფიცირებულ იქნას, ხელოვნების რომელ წარმოებზეა მინიშნება და სასურველია, თხზულების აღქმის პროცესში მისი ვიზუალური ხატიც მონაწილეობდეს.

ლექსი „ქანდაკების“ წერისას ავტორს, სავარაუდოდ, თვალწინ ედგა ნაპოლეონ ბონაპარტის ცნობილი ქანდაკება, შარლ ემილ სორის მიერ შესრულებული, რომელიც გადმოჰყურებს პარიზის გამარჯვებათა კოლონას:

ეს გენიოსის სახე არის გამოყვანილი,  
შორს რომ გასცერის და სახეზე დუმილი უცხოდ  
გადაფენია... მალალ ფიქრთ და გრძნობით აღვსილი.  
სამყუთხანი ქუდი ხურავს, მაზედ ვარსკვლავი,  
თითქო სამყაროს დასთამაშებს მისთვისვე შექმნილს...

ლექსში არის ალუზია ნაპოლეონთან დაკავშირებულ კიდევ ერთ არტეფაქტზე – მის სიტყვებზე „შენ, იელოვავ, ცა გეპუთვნის, მე კი ქვეყანა!“. ეს ფრაზა თითქოსდა წანერილი იყო საგანგებოდ ჩამოსხულ მედალზე, რომლის მეორე მხარესაც ღვთის ყოვლისმჭვრეტელი თვალი იყო გამოსახული. შესაძლოა, ეს ინფორმაცია, რომელიც არაერთ წიგნში მეორდება და გალაკტიონიც ეყრდნობა, არასწორია. ჯერ კიდევ 1837 წელს გამოცემულ წიგნში „ჩანანერები მოსკოვისა და უცხოეთის მოვლენების შესახებ 1812 წლის მიწურულიდან 1815 წლს მეორე წახევრამდე“, რუსმა მნერალმა და ისტორიკოსმა სერგეი გლინკამ ეჭვქვეშ დააყენა ნიკოლოზ კარამზინის მიერ გავრცელებული ეს ინფორმაცია და თქვა, რომ მსგავსი მედალი თვალით არავის უნახავს (გლინკა 1837: 140). რეალურად 1913 წელს რუსეთის იმპერატორმა ჩამოასხმევინა მედალი 1812 წლის ომის მონაწილეთათვის, რომლის ერთ მხარეს სწორედ უფლის ყოვლისმჭვრეტელი თვალი იყო გამოსახული და მეორე მხარეს წარწერა 113-ე ფსალმუნიდან: «Не нам, Господи, не нам, но имени Твоему» როგორც ჩანს, მითი ნაპოლეონის მიერ მკრეხელური წარწერით მედალის ჩამოსხმის შესახებ გავრცელდა რუსეთის იმპერატორ აღქმანდრე პირველის „ღვთისმოსავობასთან“ კონტრასტით ფრანგი იმპერატორის „ულმერთოების“ ხაზგასასმელად.

საოცარი მხატვრული სახეებია ლექსში „პარალელი“: ერთი მხრივ, გუგუნი ზარის, ეჭვის დემონი და მზის სხივებზე დამჭვნარი ია, მეორე

მხრივ კი – სეგანტინის „Ave Maria“. ვფიქრობთ, ავტორის განწყობის აღქმისთვის ძალზე მნიშვნელოვანია ამ იტალიელი მხატვრის – ჯოვანი სეგანტინის ცნობილი ფერწერული ტილოს წარმოსახვა. ის რადიკალურად განსხვავებულია თუნდაც, გალაკტიონისავე სხვა ლექსში „ფანტაზია“ ნახსენები რაფაელის მაღონასაგან. ეს ფერწერული ინტერტექსტი დამატებითი ფერებით ავსებს იმ განწყობას, რომელიც მოაქვს გალაკტიონის სიტყვებს: ვედრების ზღვა, განწმენდის შუქი, უკვდავება, სივრცე, დუმილი და გაოცება.

გეტერა ფრინას თემაზე შექმნილი ორი ფერწერული ტილო და ერთი ქანდაკება შემოდის ინტერტექსტების სახით გალაკტიონის ლექსის „გეტერა“. დასანყისში, სადაც ნათქვამია: „დღეს ლხინს ეძლევა ქსანტე გეტერა“ (ქსანტე ოქროსფერს ნიშნავს); „ველური ცეკვა, თას-თა წერიალი, / მონწყენილ კაცთა ხარხარი მწარე“; „და თრთის მხიარულ დღის მოლოდინში / გაშიშვლებული გეტერას ტანი“. მხატვარს, როგორც ჩანს, თვალინი უდგას პოლონელი მხატვრის ჰენრის სემირადსკის ტილო ფრინა პოსეიდონის დღესასწაულზე ელევსინში.

გადმოცემის მიხედვით ძვ. წ. მე-4 საუკუნეში გეტერა ფრინა ელესვინში გამართულ პოსეიდონის დღესასწაულზე საკუთარი სრულყოფილი სილამაზის წარმოსაჩენად მედლესასწაულეთა წინაშე სრულიად გაშიშვლდა. ლექსის მეორე ნაწილში ვკითხულობთ:

უეცრად ვიღაც სტუმართაგანმა  
ფანჯარას ფარდა გადააცალა...  
გაცხოველა და გაანათა  
გაშიშვლებული გეტერას ტანი,  
გარინდდა ამ დროს მთელი დარბაზი,  
არ ზის არც ერთი სტუმართაგანი.

აქ უკვე, სავარაუდოდ, მწერლის წარმოსახვაში ჩნდება ფრანგი მხატვრის უან ლეონ უერომის ფერწერული ტილო „ფრინა არეოპაგის წინაშე“. გეტერა ფრინა, რომლის მიხედვითაც შეიქმნა ვენერას ქანდაკება, განსასჯელად წარადგინეს არეოპაგის წინაშე. მისმა დამცველმა, პლატონის მონაფემ, ცნობილმა ორატორმა ჰიპერიდმა, როცა შენიშნა, რომ მისი სიტყვები მსაჯულებზე გავლენას ვერ ახდენდა, მოხადა ფრინას მოსასხამი და გააშიშვლა არეოპაგის წინაშე. რამდენადაც ბერძნებს სწამდათ სულისა და ხორცის ჰარმონია, მიიჩნიეს, რომ ისეთი სრულყოფილი აგებულების მქონე ადამიანი, როგორიც ფრინა იყო, მკრეხელი ვერ იქნებოდა და გაამართლეს.

ლექსის ბოლოს ინტერტექსტის სახით ჩნდება ძვ. წ. მე-4 ს. ბერძენი მოქანდაკის, პრაქსიტელის სკულპტურა – კნიდის ვენერა.

იმგვარად თეთრი, ვით მარმარილო,  
თრთოდა, ტოკავდა ძლიერი მკერდი,  
როცა იქავე მდგომა მხატვარმა  
ურცხვ ქალს შესძახა: „ქსანტე, შეჩერდი!  
სთქვა მოქანდაკემ... მაშინვე მიწა  
გადაურია, დასწნა, დაგრიხა,  
და წუთის უმაღ უკვდავ ქანდაკად  
გადააქცია უბრალო თიხა.

პრაქსიტელის ხელოვნებით აღფრთოვენება ჩანს გალაკტიონის  
სხვა ლექსშიც – „ეფემერი“: „სადაა დღეს პრაქსიტელი / და შეუცნობთა  
დაქანდაკება?“

ზემოხსენებული სამი ინტერტექსტის მიხედვით პოეტი ახდენს არა  
მხოლოდ ფრინას თემის, არამედ სულიერი და ხორციელი ღირებულე-  
ბების რეცეფციის, ქმნის საოცარ, ცოცხალ სურათებს და ბოლოს სკამს  
ლრმა და საინტერესო კითხვას:

ან რაა ჩვენი ლოცვის საგანი,  
ნმიდა ტაძარში თვით აფრიოტა,  
თუ სათაყვანო გეტერას ტანი?

ინტერტექსტების მრავალფეროვნებით განსაკუთრებით გამოირ-  
ჩევა ნიკო ლორთქიფანიძის მოთხობა – „შელოცვა რადიოთი“, სადაც  
ალუზიებსა და რემინისცენციების მთელი კასკადია. ძირითადად, ეს  
არის ფერწერული ტილოები, დრამატული და საოპერო წარმოდგენები.

მთავარი პერსონაჟისა და ამ ინტერტექსტების კავშირზე საინ-  
ტერესოდ მიგვანიშნებს დიალოგი ორ მხატვარს შორის, რომელიც  
საუბრობენ ელიზე: „ნანას სურათებიდან ყველაზე უფრო მოსწონებია  
ლენბახის „დედა და ბავშვი“, კაულბახის „მადელაინა“, რიდლის „საკუნ-  
ტალა“ და ბიოკლინის „მელანქოლია“ და უთქვამს, რომ შეიძლებოდეს,  
ერთ-ერთ ამ მხატვართაგანს სიამოვნებით დავახატვინებდი თავსო“.  
ერთ-ერთი მოსაუბრე ასე განმარტავს ელის ამ ნათქვამს: „...ოთხივე  
სურათშია ამ ქალის თვისებები... ხელოვნებაში საშუალო მცოდნეს,  
ხელოვნების მოტრფიცალეს, მხოლოდ ის მოსწონს, რაშიაც მისი ნაწილი  
მაინც არის გამოისახული...“

მოთხობაში დასახელებული ფერწერული ტილოებისა და ელის  
სულიერ კავშირზე მიგვანიშნებს სხვა ეპიზოდიც: „...გარბოდა იგი  
მუზეუმებში და იქ საათობით იჯდა კაულბახის ბედნიერ ქალების პორ-  
ტრეტების, ბიოკლინის „ავტოპორტრეტის“, „ანახორეტის“, ან „მიცვა-

ლებულთა კუნძულის” წინ. ყოველი ნახვის დროს განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას ტოვებდა ელიზე რიდლის „საკუნტალა”, რომლის თმის წყობა, სილალე მოაგონებდა ახლო წარსულზე საკუთარ სიყმანვილეს, მაგრამ სადღა იყო გულუბრყვილობა, „სიამენი ქვეყნისა... ხელოვნების ნაწარმოებს ყურადღებით ათვალიერებდა... პირადი ტკივილების გა-სამწვავებლად, მივინყებულის გასახსენებლად, ახალ იარის მისაღებათ და აღსაძვრელად. ეს იყო მწუხარებით ლოთობა.”

აქვე ნახსენებია, რომ ელი „დიდხანს რჩებოდა იდუმალ ტანჯვის გამომხატველ ქანდაკებასთან, ნახატთან... ნერვებს სწვავდა ორივე მხრიდან”. ზემოთ ჩამოთვლილი ტილოებიდან ზოგზე ბედნიერება და კმაყოფილებაა გამოხატული, ზოგზე კი, როგორც ითქვა, იდუმალი ტანჯვა, მაგრამ ელის ერთიც ტკივილს ჰვერის და მეორეც. პირველში ხედავს მას, რაც აღარა აქვს, ან რისიც აღარ სჯერა და ამიტომ სტკივა, მეორეში კი ხედავს იმ რეალობას, რაც აქვს და თავისითავად მტკივნეულია.

ელის შინაგან სამყაროსთან და განწყობებთან ასეთსავე მჭიდრო კავშირშია მოთხოვობაში მოხსენიებული დრამატული და საოპერო წარმოდგენებიც. როდესაც ჰექსლეი ელის მუსიკალურ ნიჭს უქებს და მის გამოყენებას ურჩევს, ელი ეკითხება: „როგორ? ვიმდერო მარგარიტა თუ ვითამაშო ოფელია?” საკუთარ თავთან მას უჩნდება ასოციაცია ამ ორ წარმოდგენაზე – ვერდის ოპერა „ტრავიატასა“ და შექსპირის „ჰამ-ლეტზე“, კონკრეტულად კი ორ ჰერსონაზე – შეყვარებულ, უბედურ და უდროოდ დაღუპულ ორ ქალზე – მარგარიტასა და ოფელიაზე.

ერთ-ერთ საღამოს ელი, ბრომლეი და ჰექსლეი „ტრისტან და იზოლდას“ საოპერო წარმოდგენაზე „ვნებათა აღმგზნებელ ატმოს-ფეროში“ არიან ჩაფლულნი. ვაგნერის ამ ცნობილი ოპერის მთავარი პერსონაჟი იზოლდაც უზომოდ შეყვარებული, ადრე დაღუპული ახალ-გაზრდა ქალია.

ბრომლეისგან განსხვავებით, ელი არ გაურბის მძაფრ განცდებს და სიამოგნებით მიდის თეატრში „ურის ქალის“ სანახავად, ბრომლეის კი ურჩევს, რომ უკანასკნელ სცენას ნუ დაესწრება. უიმედოდ შეყვარებ-ული და წამებით დაღუპული ახალგაზრდა ქალის – რაქილის სახესთან ერთად აქ შემოდის უნებლიერ მისთვის სასიკვდილო განაჩენის გამომ-ტანი მამის – კარდინალის სახე.

საქართველოდან წასული ელის გონებაში თბილისის სილუეტებს, მამის უცნაურობას და ბავშვის ალერსს ენაცვლება ერთმანეთში არეული სურათები და შთაბეჭდილებები, რომელთა შორისაც არის „გვიდო რენის (ბეატრისა ჩენჩის) სურათის სილუეტები“. იტალიელი არისტოკრატის ქალიშვილი – ბეატრისა ჩენჩი მამის ულირსობას შეე-ნირა, მოძალადე მამის მკვლელობისთვის თავი მოჰკვეთეს. იტალიელი

მხატვრის – გვიდო რენის გარდა, ამ თემაზე შეიქმნა კიდევ არაერთი ფერწერული ნანარმოები, ცნობილმა ინგლისელმა რომანტიკოსმა – შელიმ კი დაწერა ტრაგედია „ჩენჩი“.

ვფიქრობთ, ამ ფერწერული ინტერტექსტების ნახვა, დასახელებული დრამატული პიესებისა და ოპერების ნახვა თუ არა, ლიპრეტოების შინაარსის გათვალისწინება მაინც, კიდევ უფრო ცხადად ნარმოვიჩენს იმ განცდებს, რაც ავტორმა ჩადო მთავარი პერსონაჟის სახეში.

როგორც მოდერნისტული, ისე პოსტმოდერნისტული მიმდინარების პროზაულ ტექსტებში ვიზუალური ინტერტექსტები ხშირად ემსახურება არა ავტორის განწყობების პირდაპირ გამოხატვას, არამედ პერსონაჟთა ხასიათების წარმოჩენას და ავტორის დამოკიდებულების ამ გზით ჩვენებას. დაუმთავრებელ ტექსტში „სიესტის მადონა მოსკოვში“ გურამ რჩეულიშვილი ამ კონკრეტულ ფერწერულ ტილოს იყენებს საგამოფენო დარბაზში მყოფი დამთვალიერებლების, შინაგანი სამყაროს წარმოსაჩენად. ტექსტს ლეიტმოტივად გასდევს ორი ფრაზა: „სიესტის მადონა კი იდგა და დიდი, ჭკვიანი თვალებით უყურებდა მომავალს. ხელში ბავშვი ეჭირა“ და „ოთახი ჭვრეტდა მაღონას“.

პოსტმოდერნიზმმა ინტერტექსტუალობა მოდერნიზმისგან მიიღო მემკვიდრეობით, მაგრამ განსხვავებულად იყენებს, რადგან აქ წაშლილია თვითგამომხატველი „მეს“ კატეგორია. როლან ბარტს (ავტორის სიკვდილი) შემოაქვს ავტორის და სკრიპტორის ცნებათა დიფერენციაცია. პოსტმოდერნისტულ ტექსტში ავტორის ნაცვლად არის სკრიპტორი. მას არ ამოძრავებს ვნება, განწყობა, გრძნობა ან შთაბეჭდილება, არამედ არის უკიდეგანო ლექსიკონის მფლობელი, რომლიდანაც აგებს ტექსტს. ავტორი კი არ ქრება, არამედ იცვლება მისი შემეცნება. ხდება ავტორისეული ჭეშმარიტების შესრუტვა და ჩაკარგვა თვალსაზრისთა მრავალშრიან დიალოგში. მოდერნიზმის ეპისტემოლოგიური დომინანტა (როგორ ვხედავ მე სამყაროს) პოსტმოდერნიზმში გარდაიქმნება ონტოლოგიურად (როგორ არის მოწყობილი სამყარო, რას წარმოადგენს). ამრიგად, ის, რაც მოდერნიზმში იყო ავტორის მსოფლალების სუბიექტური შახასიათებელი, პოსტმოდერნიზმში გადაიქცა თავად სამყაროს ესთეტიკური აღქმის მხატვრულად მოდელირებადი სურათის მახასიათებლად.

პოსტმოდერნისტი ავტორი აცნობიერებს თავის პარადიგმულ ფუნქციას ტექსტის შექმნის პროცესში. მისი ხედვით შემოქმედი არის ტექსტი და არა თავად ის. პოსტმოდერნისტი ავტორი მთლიანად არასდროს არ ჩანს და ასევე არასდროს არ ქრება. ინტერტექსტუალობა აქ, მოდერნიზმისგან განსხვავებით, არის არა იმ ხელოვანის მსოფლალების თვისება, რომელიც სამყაროს ხედავს კულტურული ასოციაციების

პრიზმაში, არამედ ესთეტიკურად შეცნობადი რეალობის ონტოლოგიური დახასიათება.

ავტორის სახის და მხატვრული კონტექსტის შეცვლამ გავლენა იქონია მოდერნიზმის ესთეტიკისთვის პრინციპული სიახლის და ორიგინალურობის კატეგორიების ინტერპრეტაციაზეც. თუკი მოდერნიზმში სიახლის მნიშვნელობა ზენიტს აღწევდა, პოსტმოდერნიზმმა დაიწყო ამ ჩიხიდან გამოსავლის ძეგბა. იგი აღარ არის ორიენტირებული ორიგინალობაზე. „თავისას“ აღიქვამს, როგორც მრავალგზის ასახულ „სხვისას“ და აცნობიერებს, რომ ყველა ახალი ტექსტი, პალიმფსეტის მსგავსად, იწერება ძველზე. ორიგინალობა კი მდგომარეობს უკვე ნათქვამის გააზრებაში.

ინტერტექსტუალობაში ასახული კულტურული კონტექსტი აღარ წარმოადგენს ავტორისეული მანიპულაციების ობიექტს, ის გარდაიქმნაბა ერთადერთ შესაძლო შინაარსობრივ ფორმად, რომელიც განსაზღვრავს მხატვრული მსოფლალემის ლოგიკას.

პოსტმოდერნიზმში ესთეტიკური კვლევის ობიექტი ხდება თვით წერის პროცესი. ავტორი ოპერირებს სხვადასხვა ეპოქებისა და კულტურების კოდებით, რომელებიც თითქოს თანაარსებობენ ერთიან სულიერ სამყაროში. სამყარო აქ ინტერტექსტია, ცხოვრება კი ენობრივი თამაში. პოსტმოდერნისტული ინტერტექსტუალობა არღვევს ცალკე აღებული კულტურული ლოგიკების მთლიანობას. ქრება ავტორის პოზიცია და ხდება ამ კულტურებისა და გაგებების კვეთა. შესაბამისად, აქ ვხვდებით სამყაროს მითოსურ სახეს, მაგრამ იგი მოკლებულია მითოსურ სემანტიკას. პოსტმოდერნიზმი ქმნის სამყაროს მითოსური მოდელის ანტისახეს.

გურამ დოჩანაშვილის მოთხოვნაში „იქამდე“ ერთმანეთს ენაცვლება მთავარი გმირის – სანდროს ყოველდღიური ყოფა-გარემო, „ადვილი ლექსივით“ მოსახუცენი სახეებით და ეგზისტენციური თემები, რომლებიც მის გონებაში ტრიალებს და შემდეგ ქალალდზე გადადის. „წადი, ურუქისაკენ იბრუნე პირი, / ამცნე ამბავი იმა მოყმისა“. სანდრო თავისი სხეულით და სისხლით გრძნობს იმ თიხას, რომლისგანაც გილგამეშია მოზელილი და იმ ფირფიტებს, რომლებზეც მისი ეპოსია ამოკანრული, მას ახრჩობს წყურვილი, რომელსაც განიცდიან მისი გმირები და „ცქვიტ“, ზედმეტად რაციონალურ და პუნქტუალურ კაცს, რომელიც ესადაგება ფრაზას – „გილგამეში არა, ტოროლა“, „უხმოლრიალით“ დაჰჰვირის: „რა მითი, რის მითი, არამედ, – იყო!“

მოთხოვნაშივე პირდაპირ არის ჩართული გილგამეშის ისტორია „აღზევებულიყო კაცთა მოდგმაზე, ტანში ჩადგომოდა ღმერთების ხორცი, მოზვერივით დადიოდა, ქედმაღალი, ტოლი არა ჰყავდა ლახტის

მოქნევაში, დაფდაფის ხმაზე ამხედრებდა მეომრებს, ხოცა დათვები, ვეფხი და აფთარი, ირემი, ხარი და ქვეწარმავალი, და ყველა ქალწულს იმის მკლავებში უნდა გაევლო, დღედაღამ ლალობდა მისი სხეული, მა-გრამ მერე და მერე სიკვდილის შიში ჯერ შეეპარა და ისე გაუჯდა შემ-დგომ, დალონძა, დაშვრა, შიგანი მწუხარებით აევსო, სიფხიზლით თავი გაიტანჯა, დანვები ჩაუცვივდა...”, მაგრამ ამ მოთხრობაში უფრო მე-ტად მაანც ენქიდუს ისტორიის პასაუებია, გილგამეშის სახე და სიკვდი-ლის შიშის თემა კი უფრო ვრცლად არის გამლილი რომან „სამოსელი პირველის” წინამდლოლის ისტორიაში.

ინტერტექსტის იდენტიფიცირებაში სხევადსხვა ინდიკატორი გვეხმარება ხოლმე: ტექსტში შეფარული რაიმე ტიპის შეუსაბამობა, ენობრივი, ან დისკურსიული ანომალია, მოულოდნელი ცვლილება, გამეორება და სხვ. სწორედ შეუსაბამობის მხრივ მიიპყრო ჩვენი ყურ-ადლება მარმარილოს ლოდის ხსენებამ ეპიზოდში, სადაც მოქმედება ლია ცის ქვეშ ხდება და ისეთი საშინელი სიცხვა, რომ ლაშქარი ხიდან ხემდე – ჩრდილიდან ჩრდილამდე გადასვლას ძლიერ ახერხებს. ასეთ კონტექსტში უცემ ვკითხულობთ: „წინამდლოლი კი, მკერდზე ნაღვლი-ანად მკლავებდაჭდობილი და მომლოდინე, მარმარილოს გლუვად აელ-ვარებულ კედელს მიყრდნობილი, მწუხარედ შემოგვცეროდა და ხმას არ იღებდა“ საიდან გაჩნდა ლია ცის ქვეშ მარმარილოს, ან თუნდაც ქვის კედელი, სადაც ხეც კი სანატრელია? და უფრო მეტიც, გაჩნდა არაერთგან.

როდესაც წინამდლოლი ისრით განგმირავს მეომრის წინაშე საკ-ბენად აღმართულ გველს, ვკითხულობთ: „ავიხედე და წინამდლოლი დავინახე, მშვილდით ხელში, მარმარილოს კედელთან მდგარი, მშვი-დად მილიმოდა“. კედელთან და ლოდითან წინამდლოლი კიდევ არაერთ-გან არის ხახენები და ეს დეტალი, შეუსაბამობის გარდა, მრავალგზის გამეორებითაც მიგვანიშნებს ინტერტექსტის არსებობაზე: „დამდამო-ბითაც დიდხანს მდგარა სიბნელეში, ამორჩეულ ლოდზე ამაყად გახ-ევებული, გულზე მკლავებგადაჭდობილი და მძიმე, სქელი მოსასხ-ამი კუპრის ტალღასავით მდოვრედ ჩასდევდა ტერფებამდე, იდგა, ფიქრობდა...”; „კედელზე მთელი ტანით რომ გაიმართა, მეც გამეტებით ვესროლე მძიმე შუბი“. კითხულობა ამ ეპიზოდებს და თვალწინ წარმო-გიდგება გილგამეშის უძველესი ბარელიეფი, რომელიც ხორსაბადში, სარგონ მეორის სასახლის ნანგრევებში აღმოაჩინეს. სწორზედაპირიან ქვის ლოდზეა გამოსახული, ნელში ამაყად გამართული, ერთ ხელში მა-თრახით და მეორეში დამორჩილებული ლომით.

წინამდლოლის სახე, ჯერ სიკვდილთან შეუპოვრობით (მისი სიტყ-ვებია: „სიკვდილი რომ არ იყოს... აღარ იქნებოდა ამქვეყნად გულადი

და ლაჩარი, მდიდარი და მონა, თვით სიკეთე და ბოროტებაც არ იქნებოდა... არც კეთილები იქნებოდით და არც ბოროტნი, არც ბეჭინერნი და არც უბედურნი – აღარაფერი არ ვიქნებოდით“), შემდეგ დამარცხებული მტრის სასიკვდილოდ გამეტებით (გილგამეში კლავს დამარცხებულ ტყის მცველ მონსტრ ჰუმბაბას და ქვის გოლიათებს, რომლებსაც შეეძლოთ იგი სიკვდილის წყლებზე გადაეყვანათ), შემდეგ – სიკვდილის შიშის გაჩენით (გილგამეშს ეს შიში უჩნდება ენქიდუს სიკვდილის შემდეგ) და მისი დამარცხების გზების ძიებით (გილგამეში უპირისპირდება სიკვდილს, ცდილობს ენქიდუსთვის სიცოცხლის დაბრუნებას და საკუთარი სიცოცხლის უკვდავყოფას) აუცილებლად გაგვასენებს გილგამეშის ეპისს და იმ მეომარივით, რომელსაც გილგამეშმა გაახსენა მივიწყებული სიმღერა, გაგვასენებს და მოგვანატრებს დროს, როდესაც, როგორც შუმერულ ეპოსშია ნათქვამი, „შიში არ იყო, ძრნოლა არ იყო, / კაცთა მოდგმას მტერი არ ჰყავდა...“ და „მთელი სამყარო, მორჩილი ხალხი, / ენლილს ერთ ენაზე ადიდებდა“ („ენმერკარი და არატის მბრძანებელი“).

მოდერნისტული და პოსტმოდერნისტული ინტერტექსტების მიგნება და წყაროების იდენტიფიცირება არ ნიშნავს, რომ თხზულების ჩანაფიქრის ან ავტორის განწყობის დაკეტილი კარის გასაღებს მივაგენით და ნათელი მოვფინეთ რაღაც საიდუმლოს. რეალურად ჩვენ ვიპოვეთ მხოლოდ პატარა ჭუჭრუტანა, რომლიდანაც ამ რთული ტექსტების ერთი პატარა ნანილი დავინახეთ, მაგრამ ისიც კი არ ვიცით, რა ადგილი აქვს მათ თხზულების ერთიან ქსოვილში.

მიუხედავად ამისა, ინტერტექსტების იდენტიფიცირება თანამედროვე ლიტერატურული კვლევების ერთ-ერთი ასპექტია და როდესაც მწერლის თხზულებათა აკადემიური გამოცემები ელექტრონულ ფორმატში გადაინაცვლებს, ამ ვიზუალური ინტერტექსტების ამსახველი მასალა აუცილებლად შევა მასში, ისევე, როგორც შედიოდა კომენტარები ლიტერატურულ ინტერტექსტებზე.

## დამოხმანი:

**ბართი 1973:** Barthes R. *Texte*, Encyclopedia universalis Vol. 15. P., 1973.

**ბართი 1994:** Барт, Р. “Смерть автора”. *Избранные работы: Семиотика. Поэтика*. Москва: 1994.

**გლინკა 1837:** Глинка, С. Н. *Записки о Москве и о заграничных происшествиях от исхода 1812 до половины 1815 года* Москва: 1837, 140.

**დიურეი 1993:** Durey, Jill Felicity. *Realism and Narrative Modality, The Hero and Heroine in Eliot, Tolstoy and Flaubert*, Tübingen, 1993.

**კენი 1996:** Caney D. *Reading intertextually: art, fiction, and material culture in Patrick White and Sidney Nolan*. PhD thesis, 1996, <http://ecite.utas.edu.au/12291>

**კრისტევა 2000:** Кристева Ю. «Бахтин, слово, диалог и роман», *Французская семиотика: От структурализма к постструктурализму*, Пер. с франц., 2000.

**ჰინზ 1998:** Hinz Kristy M. *Verbal and visual intertexts: an approach to analyzing and teaching two novels by Charlotte Bronte*. Iowa State University, 1998.

**VERA OTSKHELI**

*Georgia, Kutaisi*

*Akaki Tsereteli State University*

### **Reception of the Polish Modernism in Georgia at the turn of 19-20 Centuries**

Polish modernism, which entered the literature, the term “Young Poland”, was very popular in Georgia at the turn of XIX and XX centuries. On stage of the Georgian theater with the great success were presented the plays of the founder of modernist theater Stanislaw Przybyszewski, whose artistic style was combined the naturalistic and symbolist tendencies. The keen interest of the Georgian audience had the plays of the theoretician of Polish symbolism, the poet and novelist Jerzy Zulawski. Also Georgian reader met with the work of the Polish “Parnassian” Victor Gomulitski. Particular interest got in Georgia creativity of the most popular in Poland modernists – Kazimierz Pshervy Tetmayer. His novel “Victory”, which had the specifics of stylistic direction and critics defined as “the omnipotence of sex”, enjoyed the great popularity in Georgia.

**Key words:** reception, symbolism, naturalism, theater, prose

**В.И. ОЦХЕЛИ**

*Грузия, Кутаиси*

*ГУАЦ*

### **Рецепция польского модернизма в Грузии на рубеже XIX-XX веков**

Рубеж XIX и XX веков-один из ярких и насыщенных периодов в истории польской и грузинской литературы, отразивший сложные процессы общественной и духовной жизни нации. Этот небольшой по

времени исторический период в литературе Польши и Грузии необычайно богат творческими индивидуальностями, количеством ярких произведений, украсивших польскую и грузинскую литературу оригинальностью идеино-художественных тенденций и стилевым многообразием.

Характер литературного процесса в обеих национальных литературах, как и прежде, был обусловлен исторической обстановкой, сложившейся на польских и грузинских землях в эти годы. Это, прежде всего, участие грузин и поляков в революции 1905-1907 годов, с которой они связывали надежды на национальное освобождение, и активизация, в связи с этим, национально-освободительного движения на территории Польши и Грузии.

Деятели польской и грузинской литературы, чувствуя неизбежность великих свершений, еще туманно представляли характер и пути грядущих перемен. Поэтому литература, как искусство отражающее жизнь, полна беспокойства, ощущения кризиса, лихорадочных поисков положительных ценностей, часто сопровождающихся настроениями безысходности. Это в немалой степени способствовало возникновению новых (модернистских) художественных течений – символизм, импрессионизм, экспрессионизм, кубизм и др., в основе которых лежала идеалистическая философия Канта, Бергсона, Шопенгауэра, Ницше, делавших эти течения необыкновенно популярными в польской и грузинской литературе. Однако, это не означало, что с литературной арены уходит реализм. Напротив, реализм развивается, обогащаясь новыми художественными тенденциями, заимствованными порой у течений нереалистических. Переплетение реалистических и модернистских линий, взаимопроникновение противоречивых начал становится одной из отличительных черт литературного процесса Польши и Грузии в этот период.

В польской литературе для обозначения новых тенденций всего периода привилось широкое понятие – «Молодая Польша». Популярность этого по существу нелитературного термина объясняется тем, что благодаря своей описательности он наиболее подходил для обозначения периода, в котором в самых разных формах и комбинациях сочетались и переплетались реалистические и модернистские тенденции.

В грузинской литературе в это время четко выделяются два объединения – союз поэтов-символистов «Голубые роги», на творчество которых значительное влияние оказали французские и русские символисты, и «Ассоциация пролетарских писателей». После поражения революции 1905-1907 годов черты, характерные для модернизма, проникают и в творчество писателей пролетарского лагеря, для которых ведущей линией развития был реализм.

Новые тенденции, определившие специфику литературного процесса, оказались и на характере польско-грузинских литературных отношений. Литература «Молодой Польши» была широко представлена в Грузии многочисленными произведениями как разной стилевой окрашенности (символизм, экспрессионизм, неоромантизм, реализм), так и разной жанровой формы (драмы, комедии, повести, этюды, легенды и др.).

Грузинская литература рубежа XIX и XX веков, в которой модернизм пустил глубокие корни, представляла особенно благоприятную почву для рецепции польского модернизма. Творчество известных в Европе и России польских модернистов, пользовавшихся там большой популярностью, было интересно грузинским «голуборожцам», при поддержке которых делаются грузинские переводы произведений ведущих представителей этого крыла в литературе «Молодой Польши», ставятся их произведения на сцене грузинского театра, привлекают внимание грузинской литературной и театральной критики. Можно говорить, что перед нами пример так называемого «встречного течения», создателем теории которого был известный российский компаративист академик А.Н. Веселовский. Обязательным условием культурного взаимодействия ученый считал готовность одной культуры к рецепции другой. «Восприятие чужого своим, – писал он, – всегда является его внутренним согласием с уровнем той среды, в которой ему приходится действовать» [Веселовский 2006: 553].

Неудивительно, что значительный успех в Грузии выпал на долю творчества Станислава Пшибышевского (Stanislaw Przybyszewski – 1868-1927), основателя и вождя польского модернизма. Уроженец Великой Польши, автор популярнейших в Европе и России романов «Дети Сатаны» (1897), «Homosapiens» (1901), «Сыновья земли» (1904), Пшибышевский получил известность в немецких литературно-художественных кругах, как музыкант, исполнитель произведений Шопена и как автор романов и драм на немецком языке. В Польше он проповедовал ультра-новые философско-эстетические идеи, в которых искусство трактовалось им как средство воссоздания независимой от материального мира души. Роль художника, по мнению автора романа «Дети нищеты», равна роли священнослужителя при искусстве, понимаемом как религия, или роли пророка, стоящего над обществом. В Кракове, городе польской эстетической богемы, вокруг Пшибышевского создается нечто вроде литературной секты, нравы которой современники сравнивали с «театром комедии дель арте», из которого время от времени выносили настоящие труппы. Краеугольным камнем эстетики Пшибышевского становится созданное им понятие «нагой души», проявляющееся в свойственном всем польским модернистам

требовании искренности в выражении душевных состояний, вниманием к подсознательному в психике человека, которое противопоставляется разуму. Единственный источник творческого вдохновения сводится у Пшибышевского, создателя философско-эстетического манифеста «Confiteor», к комплексу проблем сексуального порядка, где психология человека рассматривается исключительно сквозь призму эротизма. В разных вариантах повторяются в его произведениях мотивы любовной одержимости, толкающие человека на преступления против морали и гуманности, так как в представлении Пшибышевского именно в любовных коллизиях наиболее полно раскрывается власть инстинктов и непреодолимая трагичность человеческого бытия. Эстетика Пшибышевского получила воплощение в его прозе и драматургии.

В Грузии большой популярностью пользовались драмы Пшибышевского под общим названием «танец любви и смерти», которые с точки зрения художественного стиля представляли собой сочетание натуралистических и символистских тенденций. Знакомству грузинского зрителя с драматургией Пшибышевского в значительной степени способствовали и постановки его пьес выдающимся режиссером, экспериментатором и реформатором русского театра Всеиволодом Мейерхольдом, который в сезоне 1904-1905 годов работал в Тифлисе иставил его пьесы. В драме «Снег» Мейерхольд даже играл роль главного героя. Не в меньшей степени внимание к имени польского модерниста привлекла скандальная и таинственная история, связанная с сенсационным убийством в 1901 году его жены – норвежской пианистки Дагни Юэль, в «затрапезной Тифлисской гостинице, украшенной, – как писала пресса, – картинами тогда еще никому неизвестного грузинского примитивиста Пироцмани» [Kossak 1973: 196].

На грузинский язык для сценической постановки были переведены такие драмы Пшибышевского, как «Для счастья» (1900) (А. Джанхарашвили) [Гос. Музей Грузии: фонд 420], «Бессмертная сказка» (1905) (Д. Гандегили и С. Мдивани) [Гос. Музей Грузии: фонд 891], «Жалость» (1905) (К. Бакрадзе) [Гос. Музей Грузии: фонд 891]. Драма «Снег» (1903) была переведена дважды – режиссером Г. Абакеля и В. Шаликашвили [Гос. Музей Грузии: фонд 420]. Названные переводы не были опубликованы, имеются лишь их рукописные варианты. Они делались сотрудниками театра, в основном самими режиссерами и, видимо, не были рассчитаны для печати. В период первой мировой войны и последующего гражданского противостояния многие материалы театрального архива сгорели, бесследно исчезли, поэтому трудно сказать, какая из пьес и когда была поставлена на сцене театра.

Не меньшим успехом у грузинского зрителя пользовалась модернистская пьеса теоретика польского символизма, поэта, прозаика и драматурга Ежи Жулавского (Jezy Zulawski – 1874-1915) «Эрос и Психея» (1904), основанная на традиционном сюжете об Амуре и Психее, который, как известно, в качестве сказки был включен Апuleем в «Метаморфозы». Этот миф о любви, известный со времен греческой мифологии, был необычайно популярен в Европе. К нему обращались такие известные писатели, как Флетчер, Кальдерон, Боккаччо, Мольер, Гейне и др. Жулавский обратился к нему не случайно. Известно, что символисты часто использовали в своем творчестве мифологические сюжеты и он, как символист, не был исключением. Пьеса Жулавского представляет собой сложный жанровый гибрид, в котором сочетаются драматические, лирические и эпические элементы. Польский символист оригинально трактует любовную историю Амура и Психеи, вписывая сюжет в историософский миф о вековых скитаниях души в мире. Душа Психеи, сопровождаемая Эросом, своим божественным проводником, проходит в драме весь круг всемирной истории. Просвечивает в пьесе и библейская модель времени. Священная история Библии движется линейно, но в finale Нового Завета точки начала и конца сближаются, как это было в античном мифе. Постановка в Польше театрально-эффектной пьесы произвела много шума и вызвала самые противоречивые толки. Попытка автора создать аллегорическую драму, претендующую на философское обобщение, по мнению современников Жулавского, оказалась не вполне состоятельной. Однако она вызвала большой интерес, привлекла к себе внимание литературной и театральной элиты, что также было одной из причин ее перевода на грузинский язык и постановке на сцене грузинского театра. В 1911 году в переводе В. Библиана и С. Раситашвили «Эрос и Психея» была поставлена на сцене Кутаисского драматического театра [Гос. Музей Грузии: фонд 90], а в 1913 – на сцене Тифлисского драматического театра [Гос. Музей Грузии: фонд 6-14905]. Постановщиком этой драматической поэмы был Михаил Корели, человек высоко образованный, остро реагирующий на театральные новации своего времени. В связи с постановкой пьесы один из рецензентов писал: «Впервые на грузинской сцене прекрасная пьеса польского автора Ежи Жулавского, полная поэзии и любви. Режиссер Корели показал кутаисским зрителям пьесу, за которую действительно нужно благодарить» [Колхети 1911: №24]. Интерес в Грузии к символистской пьесе польского писателя объясняется не только ее художественным мастерством, но и популярностью, о чем говорилось выше, символизма в грузинской литературе.

В Центральном Историческом Архиве Грузии имеется перевод еще одного произведения Ежи Жулавского –фантастико-символической пьесы «Иола» (Ведьма), выполненный режиссером Г.Абакелия [Гос. Музей Грузии: фонд 420], но, к сожалению, нет сведений о ее постановке. По этой пьесе был поставлен фильм, пользовавшийся большим успехом, чему в немалой степени способствовало участие в нем известного немецкого актера русского происхождения Владимира Гайданова. Тема обреченности романтической любви, трагедия одаренной личности в столкновении с жестокой действительностью, тема столь популярная в начале XX века, делала пьесу Жулавского предметом внимания и признания.

Тема обреченности романтической любви также в центре переведенной на грузинский язык и опубликованной в 1909 году в газете «Дроэба» драматической фантазии «Сфинкс» Казимежа Пшервы-Тетмайера (Kazimierz Przerwa-Tetmajer 1865-1940), творчество которого пользовалось в Грузии большой популярностью. «Королём польских модернистов» называли Тетмайера современники. Популярности писателя способствовал и его внешний облик, и стиль поведения, и манера общения. Тетмайер известен широкой аудитории, прежде всего, как поэт, владеющий, по словам исследователя его творчества И.С. Миллера, «виртуозным совершенством использования возможностей стихотворной польской речи» [Миллер 1969: 53]. Его стихи, окрашенные дымкой меланхолии, подчиненные смене настроений автора, отражающие ритм его души, удивительную способность восприятия природы, пейзажа, были созданы в импрессионистической манере. Поэт то с презрением отворачивается от окружающего мира, обращаясь к идеалам «чистого искусства», то доказывает обязанность искусства служить людям. Этот внутренний накал, эмоциональная приподнятость в сочетании с передачей читателю нюансов настроения составляли притягательную силу тетмайеровского стиха. Музыкальность таких его стихов, как «Мелодияочных туманов», «К вечерне бьют колокола», покоряла, захватывала читателя. Мотивы, свойственные поэзии Тетмайера, пронизывали и его прозу. Популярность Тетмайера-поэта определила и успех его прозаических произведений. Его проза композиционно хаотична, ей свойственна экзальтация, манерность, «красивость». В ней автор стремится выразить свои мысли о трагизме призыва художника. В драматической фантазии «Сфинкс» множество символов, мистических настроений, недоговоренностей. В центре драмы слепой и глухой подросток Леон, появляющийся на сцене всего лишь дважды. Это жалкое существо, в котором бродят темные физиологические силы, пробуждение одной из них (половой) Тетмайер ставит в центре

драмы. Душа Леона и есть сфинкс, соединяющая в себе разные, трудно воспринимаемые в единстве, сущности – беспомощность неполноценного подростка и жестокость взрослого человека. Его старшая сестра Анна – воплощение женственности, мечты, красоты влюбляется в сына гениального композитора – Артура. Близость Анны и Артура пробуждает в Леоне мужчину. Безумная ревность ведет к преступлению – Леон убивает Артура. Атмосфера драмы сгущена до предела: гроза, неясные предчувствия, состояние ужаса. Все это привлекало читателя, настроенного на восприятие литературы декаданса, благодаря любимым «голуборожцам», делало драму польского модерниста популярной в грузинской среде. На грузинский язык был переведен также аллегорический рассказ Тетмайера «Одна из сказок» [Ганатлеба 1913: №3], и повесть «Победа». Повесть вышла в издательстве «Шрома» отдельной книгой, что говорит о повышенном интересе к ней грузинского читателя, известно, что не каждый автор удосуживался такой чести. Нужно отметить, что ни в польском, ни в русском библиографическом справочнике, доступном нам, такого названия мы не обнаружили. Переводчик, конечно его изменил. Мы познакомились с повестью в грузинском переводе и можем сказать, что она вполне соответствует стилевой направленности романов Тетмайера 900-х годов, которую критика определила, как «всевластие пола». В центре повести любовь «лесной» девы Мирты, живущей вдали от цивилизации, не испытавшей ее воздействия, и городского интеллигента, инженера, который строит мост над бездной. На фоне великолепного лесного пейзажа, в окружении запахов трав и цветов, расцветает любовь между молодыми людьми. Повесть вполне можно было бы назвать зависимой от известной повести А. Куприна «Олеся», сюжетные линии которой во многом повторяет повесть польского модерниста, но принадлежность писателей к разной стилевой направленности, не позволяет этого сделать с полным основанием. Тетмайер, в отличие от Куприна-реалиста, создал образ женины, соответствующий некоторым героям романов С. Пшибышевского. Мирта мучает своего возлюбленного, требует, чтобы он отказался от всего, что ему дорого – работы, близких людей, долгие и чести. После долгой борьбы с самим собой, раздумий и метаний между любовью и отставлением собственного «я», он сбрасывает Мирту в бездну и торжествует победу над своей временной слабостью. Герой, от лица которого ведется повествование, вновь обрел себя и готов идти вперед, к новым завоеваниям и победам. Не исключено, что грузинский переводчик дал повести такое название, так оно, в его понимании, соответствовало основной мысли повести польского писателя.

На рубеже веков грузинский читатель знакомится с творчеством «польского парнасца» Виктора Гомулицкого (Wiktor Gomulicki – 1851-1919). В переводе Тедо Сахокия, в журнале «Моамбе» за 1900 год был опубликован его символический этод на библейский сюжет «Легенда о любви» [Моамбе 1900: №2]. Привлек внимание грузинского читателя и цикл белых стихов Анджея Немоевского (Andzej Niemojewski – 1864-1921), «Два поколения» [Квали 1903: №14], созданных под влиянием модернистской поэтики, хотя его проза, где образы людей труда занимают важное место, вызвала у читателя значительно больший интерес. Сборник новеллистических миниатюр писателя «Листопад» [Моамбе 1897: №12] был почти полностью переведен на грузинский язык. Беллетрист и публицист, автор известного труда «Иисус», Немоевский считал, что труд делает маленьких людей великими. Отсюда не только сочувственное отношение к польскому холопу и фабричному люду в новеллах «Бумажный дьявол» и «Сплетня», но и своего рода выдвижение требований к нему – призыв стремиться к деятельной любви, так как без нее человечество обречено на гибель. Немоевского особенно интересуют «новые Прометеи» (новелла «Прометей»), которые, в чем он, оптимист по натуре, абсолютно уверен, принесут миру освобождение. Смелые духом, они станут божествами, поведут людей к Олимпу и завоюют его. Об интересе в Грузии к героям такого типа, говорит, в частности, перевод рассказа Густава Даниловского (Gustaw Daniłowski – 1872-1927) «Него» [Моамбе 1898: №2]. Даниловский отводил исключительную роль личности в истории. В названном рассказе нет места толпе, автор увлечен изображением романтической личности, ведущей массы за собой.

В заключение следует сказать, что грузинская литература рубежа XIX и XX веков не только внутренне была готова к восприятию польской модернистской литературы, но и традиционно открыта к художественным новациям других национальных литератур.

## ЛИТЕРАТУРА

**Веселовский 2006:** Веселовский А.Н. *Историческая поэтика*. М., 2006

**Ганатлеба 1913:** Тетмайер К. *Одна из сказок. Ганатлеба*, 1913, №3. С.111-112 (на груз.яз.)

**Гос. Музей Грузии:** *Государственный Музей Грузии, фонды: 420, 891, 90, 6-14905* (на груз.яз.)

**Дроэба 1909:** Тетмайер К. *Сфинкс. Дроэба*, 1909, №209. С.210 (на груз.яз.)

**Квали 1903:** Немоевский А. *Два поколения. Квали*, 1903 №14. С.222 (на груз.яз.)

**Квали 1903:** *Квали*, 1903, №16. С.251-252; №18. С.285-286;

- Квали 1902:** *Квали 1902*, №38. С.63-65 (на груз.яз.)
- Колхети 1911:** *Колхети №24*, 24 апреля, 1911: (на груз.яз.)
- Моамбе 1900:** Гомулицкий В. *Легенда о любви*. Моамбе, 1900, №2. С.88-96 (на груз.яз.)
- Моамбе 1898:** Даниловский Г. *Nego*. Моамбе, 1898, №2. С.117-141 (на груз.яз.)
- Моамбе 1897:** *Моамбе №12*, 1897
- Миллер 1969:** Миллер И.С. *Казимеж Тетмайер*. В кн.: История польской литературы в2-х тт. Т.2, с.53
- Моамбе 1897:** Немоевский А. *Листопад*. Моамбе, 1897, № 12. С.141-146 ;
- Победа 1914:** Тетмайер К. *Победа*, 1914 (на груз.яз.)
- Kossak 1973:** Kossak E. *Dagny Przybyszewska, zblakana gwiazda*. Warszawa, 1973.

## **SOLOMON TABUTSADZE**

*Georgia, Tbilisi*

### **The Romanticism of Bohemia in Georgian Modernism**

Georgian Modernism is delayed event. It came to Georgia, when Russia violated and France had already had a history. And yet, what was it? Late implications on European symbolism or the phenomenon caused the socio-political and cultural crisis?

While discussing Georgian modernist paradigm it is necessary to show that for modernistic imported flowers Georgian soil was not fertile, but its followers believed that ideas spread atmospherically, and that's why they were given to a new, unclear ideas of passion. The symbolism of urban development was believed to be an integral part of Bohemia. Young poets from Kutaisi stunned the public with surprises and impromptu. Yes, they were masters of life as well as the pen and tried to prove that the creative process was very significant, as that time, Bohemia is born in, which incites a thought and a mind. Friendly support, emotional and intellectual sharing unites the poets and forms them as a whole.

Thus, our article is a modest attempt to reveal Georgian Bohemia.

**Key words:** modernism, city, bohemia.

## სოლომონ ტაბუცაძე

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

### ბოჭემის რომანტიკა ქართული მოდერნიზმში

XX ს.-ის ლიტერატურა მოდერნიზმის ნიაღში დაიბადა. ქართული მოდერნიზმი დაგვიანებული მოვლენაა. იგი საქართველოში მაშინ შემოვიდა, როცა რუსეთში უკვე ირღვეოდა და საფრანგეთში კი ისტორიის სტატუსი ჰქონდა. ჩვენს სტატიაში ლაპარაკი იქნება ქართული მოდერნიზმის აპოლოგიაზე – ამ სიტყვის ანტიკური გაგებით – გამართლებაზე. რა იყო ეს – ევროპული სიმბოლიზმის დაგვიანებული, უნიადაგო, ეპიკონური გამოძახილი თუ სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული ხასიათის კრიზისით განპირობებული მოვლენა? საუკუნეთა მიჯნისათვის დამახასიათებელი კანონზომიერების – ნაცინალური ოპტიმიზმის მწვავე კრიზისის, დეკადენტური ნეორომანტიზმის ანუ ბარათაშვილის კოდათან მიპრუნების, ახალი ესთეტიზმის დაბადების მტკიცნებული და წინააღმდეგობრივი ხანის სათანადო წარმოჩენა ანუ ქართული მოდერნისტული პარადიგმის ფორმირების პროცესის ჩვენება, ვფიქრობთ, საგულისხმო იქნება დღევანდელი მკითხველისათვის, რადგან გასული საუკუნის გარიურაზე შობილი ქართულ-დასავლური სინთეზის სადლეისო გააზრება ახლებურ მნიშვნელობას იძენს სწორედ დღეს – ევროპასთან ახალი თანაფარდობის ძიებისას.

1915 წელს ორი დიდი ქართველი პოეტი, აკაკი და ვაჟა, გარდა-იცვალა. 1916-ში კი „საქართველოს ლანდურ არსებას“ ხმამაღალი განცხადებებით მოევლინენ 20 წლის ტიციან ტაბიძე და კოლაუნადირაძე, 21 წლის პაოლო იაშვილი და სხვები. ისინი რაღაც ახლის, გამორჩეულის შექმნას ცდილობდნენ და შექმნეს კიდეც „ცისფერი ყანები“: ცისფერი როგორც რომანტიზმის ფერი და ყანნი როგორც თრობის სიმბოლო – ერთგვარი რომატიკული თრობა, პოეზიით თრობა. ერთი შეხედვით, ეს ორი რამ – ცისფერი და ყანნი – შეუთავსებელი რამ ჩანდა და და სწორედ ამის თაობაზე წერდა ტიციან ტაბიძე: „საქართველოში, ცისფერ ყვავილს“ დერო წითელი ჰქონდა. ქართველებისათვის ცა და მიწა სამუდამოდ არასოდეს გაყრილან“. შესაბამისად, არც ამ სიტყვათა კავშირი უნდა ყოფილიყო ქართველებისთვის უცხო. ერთი სიტყვით, ევროპულ „ცისფერს“ შეერწყა ქართული „ყანები“, ქართული ტრადიციის ატრიბუტი, რომელიც ხმიანებდა ახალგაზრდების შემეცნებაში და უკავშირდებოდა თრობას და ბოჭემას (სიგუა 2002: 81).

მოდერნისტული პარადიგმის გვიანდელ გადმონერგვასთან და-კავშირებით ამ მიმართულების ქართველი ადეპტები თავისებურად ემართლებოდნენ ქართველ მკითხველს, რადგან, როგორც ალლოანი და ნიჭიერი ადამიანები, გრძნობდნენ, რომ იმპორტული ყვავილისთვის ქართული ნიადაგი ძნელად თუ მოიძებნებოდა. გრიგოლ რობაქიძე წერდა, რომ იდეები ატმოსფერულად ვრცელდებაო. ტიციან ტაბიძემ არ იცოდა ევროპული ენები და დასავლური პოეზია რუსული თარგ-მანებით მიიღო. სიმბოლიზმს ტიციანი ქალაქის ნიშნად სახავდა და მის განუყოფელ ნანილად ბოჰემა მიაჩნდა: „მხატვრის სახელი გადაბმულია ბოჰემასთან“. ბოჰემის პოეტები კი – ვერლენი, რებინ, ვილიე დე ლილ ადანი – ბედიო დაწყევლილებად მიიჩნეოდნენ. „ცისფერი ყანწების“ პირველ ნომერში ტიციან ტაბიძე წერდა, რომ „სიმბოლიზმი ჩვენში შემოტანა გრ. რობაქიძემ“-ი. ერთია შემოტანა და მეორე – მისი დამკვიდრება. ამიტომ პოეტები ყოველმხრივ ცდილობდნენ საკუთარი შემოქმედების გამართლებას. გარდა ამისა, სიმბოლისტური მიმართულების „ცისფერი ყანწების“ წინათქმა მარინეტისა და სხვათა ფუტურისტულ დეკლარაციებს უფრო ჰგავდა (სახელებიც ხომ იტალიური დაირქვეს – პაოლო, ტიციანი, ნიკოლო), ვიდრე ამა თუ იმ მიმართულების თან-მიმდევრულ მანიფესტს. მარინეტის სძულდა წარსული და მუზეუმები. პაოლო იაშვილი სილიდარობას უცხადებდა ფუტურიზმის ბელადს: „ვადიდებთ დამსხვრევის მშვენიერებას. უარყოფთ წარსულს, როგორც მზით განათებულს, ისე ღამეში შენუხებულს, წარსულის ოქროს გვირგვინებს გამოვტაცეთ ძვირფასი მარგალიტები და გადავისროლეთ დავიწყების ზღვაში“. ეს ყველაფერი მარინეტის მანიფესტის თვალმიდევნებით არის დაწერილი.

ასე იქრება ერთმანეთში ქართული მოდერნიზმი და ავანგარდი.

„ჩვენ გვსურს შევქმნათ გაუგებარი და საოცარი სიტყვები“-ო, წერდა პაოლო იაშვილი და ამ პერიოდის (და არა მხოლოდ!) სალიტერატურო სივრცეში მართალც ბევრი რამ იყო გაუგებარი და აჭრილი.

როგორც სოსო სიგუა წერს, პაოლოს ჰქონდა რემბოს ენერგია და წყალვარდნილის მქუჩარება. იგი საზოგადოებას აოცებდა სიურპრიზებითა და ექსპრომტებით. გალაკტიონის შემდეგ ის იყო ყველაზე ნიჭიერი ლირიკოსი. მაგრამ დიდ პოეზიას მხოლოდ ტალანტი არ ჰყოფნის და მას არ აღმოაჩნდა ნიჭის დახვენის, გაძლიერების, შემოქმედებითი თავგანწირვის ძალა. პაოლოს ბუნებაში „სულის გმირს“ სძლია „ცხოვრების კაცმა“-ო.

ეს ყველაფერი საგულისხმოა ქართული ლიტერატურული მითოლოგიის ერთი წახნაგის, კერძოდ ქართველი სიმბოლისტების, – კალმისა და ცხოვრების ამ ოსტატების, – ადამიანური და ლიტერატურული

გამოცდილების თვალის გასადევნებლად: შემოქმედება ყველაფერია და მნიშვნელოვანია მისი არა მხოლოდ შედეგი, არამედ პროცესიც. სწორებ ამ პროცესში, ამ პოეტური ექსპრომტებისა და შემოქმედებითი ენერგეტიკის მიმოცვლის პროცესში იბადება ბოპემა, რომელიც აღაგზნებს ფიქრსა და გონებას. მეგობრული თანადგომა, ემოციური და ინტელექტუალური მოზიარეობა ამთლიანებს და ორდენად აყალიბებს პოეტებს. შემოქმედება არა ჭეშმარიტების საუნყებლად, არამედ მისი სხვადასხვა ნახნაგის საძიებლად. სხვადასხვა ბუნების, ფიქრის, ხედვის, აღქმის ადამიანები მთლიანდებიან და, როგორც კერძო კაცის გრძნობა და გონება ორგანულად ბადებს სიტყვას, ამნაირად... ზოგჯერ შემთხვევითაც, იბადება მათი მოდერნისტული ტექსტი. ნამდვილი ყოფიერება მიღმურია, ხილული სამყარო აჩრდილია მხოლოდ; ამიტომ სიმართლის მოთხოვნილება სიმართლეზე მეტია. თვითგამოხატვის დაუოცებელი სურვილი თვითდამკვიდრების გზაცაა.

აქვე, მოიარებით ვახსენოთ, ის სოციალურ-პოლიტიკური ფონი, რომელიც არსებობდა XIX—XX საუკუნეთა მიჯნაზე და შემდგომ წლებში. დადგა ჟამი იმპერიის აღსასრულისა, საქართველომ გამოაცალკევა მისგან საკუთარი არსებობა და პოეტური ოცნებაც შორეულ ქალაქებს გადასწვდა: „საქართველოს შემდევ უწმინდესი ქვეყანა არის პარიზი < ... >, სადაც გიუური გატაცებით ჯამბაზობენ ჩვენი ლოთი ძმები – ვერლენი და ბოდლერი, მალარმე, სიტყვების მესაიდუმლე და არტურ რემბო, სიამაყით მთვრალი...“. „ცისფერი ყანნების“ წინათქმიდან მოტანილი ეს და, კიდევ უფრო მეტად შემდეგი სიტყვები, – „ვცოცხლობთ სიმთვრალეში და გვწამს ყოველგვარი ორგა... ვადიდებთ დამსხვრევის მშვენიერებას... უარვყოფთ წარსულს“, – მეხივით გავარდა ქუთაისური პროვინციული ყოფის ცაზე .

შალვა აფხაიძე იგონებს: „იყო 1915 წელი. პეტროგრადის უნივერსიტეტის სტუდენტი ვიყავი. მოვიდა ცნობა: ქუთაისში ახალი ლიტერატურული უურნალი „ცისფერი ყანნები“ გამოვიდაო. ჩვენ, სტუდენტებმა, რომლებიც ლიტერატურით ვიყავით დაინტერესებულნი, უურნალის შინაარსისა არაფერი ვიცოდით. გავიგეთ იმ აურზაურის შესახებ, რაც უურნალმა გამოიწვია ქუთაისის საზოგადოებაში. ეს ცნობები გაზვიადებულად გვერვენებოდა. ამბობდნენ უურნალის მონაწილეთა რაღაც სკანდალურ გამოსვლებზე, მათ ბოპემურ განწყობილებებზე“.

სხვა რა რეაქცია უნდა ჰქონოდა ფეოდალურ არტახებში ნაცხოვრებ ქართულ საზოგადოებას, რომელიც ველარა სცნობდა საკუთარ წიაღში დაბადებულ შვილებს. გაზეთი „ჩვენ მეგობარი“ იუნიებოდა თურმე, რომ „ეს ერთი ხანია ქუთაისში „შუბებს ამტვრევენ“ „ცისფერი ყანნების“ გარშემო... მოხუცმა თუ ხანში შესულმა, ახალგაზრდამ თუ უსუ-

სურმა, დაკარგეს სულის სიმშვიდე და ქუთაისში ომია, ქუჩაში გამართული ომი...” (ავალიანი 2014: 15).

რადგან პარიზი და „ლოთო ძმების... გიუური ჯამპაზობა“ ვახსენეთ, ისიც გავიხსენოთ, რომ ბოჭემური ცხოვრება სწორედ საფრანგეთში ჩაისახა. თავად ტერმინი თავისი კლასიკური მნიშვნელობით ფრანგი მწერლის ანრი მურჟეს 1851 წელს გამოსული წიგნის – „ბოჭემური ცხოვრების სცენები“ – შემდეგ დამტკიდრდა. წიგნში ასახულია პარიზის ლათინური კვარტლის სტუდენტთა ცხოვრება, რომელიც თურმე ჰგავს მოხეტიალე ბომათა ყოფას და სრულიად განსხვავდება ბურჟუაზიული წესრიგისგან. ლათინური კვარტლის ტრადიციულ ყოფაზე ქართველ მწერალთა და ხელოვანთა ბიოგრაფიებიდანაც გვსმენია. არც ის არის შემთხვევითი, რომ ეს ცხოვრება პაოლოს არა ნარმოსახვით, არამედ უშუალოდა ჰქონდა ნანახი და განცდილი იქ ყოფნის მოკლე, მაგრამ, ჩანს, ინტენსიური ცხოვრების ჰქონილში. ქართველ სიმბოლისტებს მხოლოდ „ბოროტი ყვავილები“ კი არ გადმოურგავთ, არამედ იმ ატ-მოსფეროს გადმოღება და მისი ქართული ვარიანტის დამკვიდრებაც შეძლეს, რადგან წინ ჰქონდათ „ბოდლერი, გადაშლილი ვით სახარება“. როგორც ლალი ავალიანი წერს, „ახლობლობა“ და „ძმობა“ – გიორგი ლეონიძესთან კიდევ უფრო ღრმავდება: „არტურ რემბოსთან ბოროტ ტყუპად ჩახუტებული, მადგამენ გვირგვინს თეიმურაზ და ჭავჭავაძე“. დიახ, ფრანგი „ძმების“ სადაცი ყოფის ტრანსფორმაცია ახალ სამეგობრო გვირგვინებსა ბადებს საქართველოში. ტიციან ტაბიდის თქმით, „... როცა ხალხი იღებს სხვისგან რამეს, იმას თავის ბრძმედში ატარებს“. ნადიმის ადათის პატივისმცემელ ქართველობას არ უნდა გასჭირვებოდა ევროპული ბოჭემური ყოფის გაგება.

კვლავ „ცისფერყანწელთა“ თანმიმდევრული მკვლევრის, ლალი ავალიანის სიტყვებს მოვიშველიებ, რომელიც წერს, რომ მათი დახასიათება ვერ იქნება სრული, თუ არ გავითვალისწინებთ „მათ ბოჭემურ განწყობილებას. ისინი გატაცებული იყვნენ ინგლისური „დენდიზმით“, ფრანგი ე.ნ. „დაწყევლილი პოეტების“ ზოგჯერ მართლაც დაწყევლილი ცხოვრებით, რუსი სიმბოლისტების დევიზით – “Творите живи!”. ამ-ჯერად რამდენიმე ტექსტს მხოლოდ გავიხსენებ, რომლებიც სწორედ ბოჭემური სულისკვეთებით სუნთქავს; ესენია ვალერიან გაფრინდაშვილის „ბოჭემის მონოლოგი“ (1922), ტიციანის „ოცდასამი აპრილი“ (1923), პაოლოს „წერილი დედას“ და უსათაურო („გაგიუდა... შემდეგ გარდაიცვალა“). „ეს ის დროა, როცა პოეზია და ღვინო დაახლოვდნენ; როცა ყველაფერი, რაც უცნაურობის, სიახლის მიმზიდველობას იყო მოკლებული, მოძველებულად მიაჩნდათ. დრომომჭულად ითვლებოდა ცხოვრების მონესრიგებული, ჩვეულებრივი მდინარებაც“ (ავალიანი 2014).

აღვნიშნეთ, რომ ბოჭემური საწყისი გამოსჩანს „ცისფერყანწელთა“ ორდენის თვით სახელწოდებიდანაც? ამ ყანწებთან დაკავშირებითაც ხომ გალაკტიონის მთელი ნარატივია ჩვენამდე მოღწეული, თუ როგორ ეძებდნენ ლიტერატურული ჯგუფის სახელდებას, რომელსაც უნდა გამოეხატა ახალი მიმართულება და უნდა ყოფილიყო ეროვნული კოლორიტის მქონე: „პაოლომ სთქვა „ცისფერი ყანწები“ და გაიტანა კიდეც... ამგვარად დაიბადა ჯგუფი „ყანწების“ სახელწოდებით... „ცისფერი“ ორმანტიკულია, „ყანწები“ – ორმაგად. ჯერ როგორც თვით საგანი და ანბანთა რიგით – ყ.ნ. – ეროვნულიაო, ამბობდნენ“ (ავალიანი 2014: 24); ეს არის ფრაგმენტი გალაკტიონის არქივიდან, მაგრამ ამის გაგრძელებად უნდა მივიღოთ ნინო ჩხილივიშვილის მონათხრობი უკანასკნელი ცისფერყანწელის, კოლაუნ ნადირაძის ბიოგრაფიაზე დაწერილი მისი ორმანიდან: „გალაკტიონი დაწვრილებით, ჩვეული, შეფარული ირონიით აღწერს ცისფერყანწელთა დაბადების ამბავს; ყვება, როგორ ითავა პაოლო იაშვილმა ჯგუფის სახელის შერჩევა და როგორ გამოძებნა ჯგუფის ემბლემის სიმბოლო..., რადგან ქუთაისში არ აღმოჩნდა მათთვის შესაფერისი გრავიორი, ყანწების ფორმის ემბლემები რომ დაემზადებინა გულზე სატარებლად, აფრინეს კაცი არგვეთში..., დაკლეს იქ ექვსი მამალი, დააცალეს დეზები და ასე, არგვეთული მამლის დეზებით მკერდამშვენებულნი გამოვიდნენ ცისფერყანწელები ქუთაისის ბულვარში“ (ჩხილივიშვილი 2015: 45).

ლიტერატურული ბოჭება ახალ მითოლოგიას ამკვიდრებს, ქმნის ახალ კერპებს და განადიდებს პოეტის სახელს. „ცისფერი“ ორდენის წევრთა შემოქმედებაში ვხედავთ უამრავ, ერთმანეთისადმი მიძღვნილ მხატვრულ ტექსტს; მათი მიმოწერა ხომ ერთი დიდი ეპოსია, ერთგულებით, სიყვარულითა და, მოგვიანებით, სევდითაც გაჯერებული. სწორედ ამ ეპისტოლარულ მექავიდრეობიდან გამოსჩანს თუ როგორ ზეობს პოეტის ორიგინალური ცხოვრება მისსავე შემოქმედებაზე <...> პოეტმა უნდა გააზღაპროს ავტობიოგრაფია და „ტკივილი, რომელსაც ის განიცდის მაზოლებიდან უნდა ავიდეს მსოფლიო პრობლემის სიმაღლეზე. ვინ იყო ცხოვრებაში ვერლეზზე უფრო მახინჯი და წვირიანი, მაგრამ ის დღეს დიდებული კერპია, რომელსაც თაყვანს ვცემთ პოეზიის ტაძარში“ (გაფრინდაშვილი 1990: 490).

პოეტისათვის ყოველი უსტი, საქციელი, ყველა წვრილმანი მნიშვნელოვანია, რადგან იგი გამორჩეულია ყველასაგან. ამიტომ ნიღაბი და პოზა მისთვის აუცილებელია. საქციელის პოეტიკაში სიმბოლისტთა ნათლობისეულ სახელთა ამგვარი გადაკეთება ირონიისა და დაცინვის საგანად ქცეულა, მაგრამ დღეს ვეღარც კი წარმოგვიდგენია პაოლოს

მოხსენიება „პავლედ“, ტიციანისა – „ტიტედ“, კოლაუსა და ნიკოლოსი – „ნიკოლოზად“. საქმე ის არის, რომ პოეტთა მოჯანყეობა პირდაპირ არ არის მიმართული რაიმეგვარი პოლიტიკური ცვლილებისაკენ (თუმცა, მოგვიანებით, ესეც იყო მათ ცხოვრებაში) საზოგადოების რევოლუციური გარდასახვისკენ, მაგრამ მოგვიანებით აღმოჩნდება, რომ სამყარო შეცვლილა და ამ ცვალებადობაში შემოქმედთა გადამდები ტალანტის წყალობით, ერთი შეხედვით ამგვარ წვრილმან საქციელსაც შეუტანია წვლილი. პოეტური პოზა – ნიღაბი იქნება ეს, საქციელი, „ქაიანური“, ლვინითა თუ ხაშაშით თრობა (პაოლოს „მათრობს ხაშაშის სურნელება ძველი სპარსელის“) – ეს ყველაფერი ლიტერატურულა ბოჰემის ნაწილია და გარემო სივრცე, მით უმეტეს ისეთი, როგორიც „მკვდარი ბრიუჯე“ ანუ ქუთაისი იყო, მძიმედ, მაგრამ მაინც იღებდა სიახლეს.

შალვა აფხაიძე იგონებს, რომ „ჩვენი საყვარელი შესაკრები ადგილი ქუთაისის ცენტრი იყო, მაგრამ არა ბულვარი. რატომდაც ამოჩემებული გვქონდა ე.წ. „სობორო“, რომელიც ახალი თეატრის გვერდით მდებარეობდა. ტაძარში შესასვლელ საფეხურებზე გვიყვადა ჩამოჯდომა და... ღამის თევა. რა იყო სუბრის თემა? პოეზია. დირიჟორობას საუბარში ყოველთვის პაოლო სწევდა. მას მხარს არ უგდებდა კოლაუნადირაძე, რომელიც ყოველთვის დენდივით იყო გამოწყობილი ახალ კოსტუმში, ჰქონდა ისეთი ჰალსტუხი, რომლის მსგავსი არავის არ გააჩნდა ქუთაისში და ყველას თვალს სჭრიდა“. „დენდივითო“ იგონებს „გვიანი“ ცისფერყანწელი და ეს, რა თქმა უნდა, შემთხვევითი და ასოციაციური ფაქტი არ არის, რადგან მათ თეორიულადაც ჰქონდათ გააზრებული თავიანთი ყველა ჟესტი და საქციელი. ეს განსაკუთრებით ვალერიან გაფრინდაშვილზე ითქმის, რომელიც გამორჩეულად იყო მიდრეკელი თეორიული ფიქრისკენ. თეოფილ გოტიეს თქმით, კოსტუმი – ეს არის ადამიანის ხილული ფორმაო. ვალერიანის წერს, რომ „ბოგემა“ უცხადებს ომს კონსერვატიულ ფორმებს როგორც ცხოვრებაში, ისე ხელოვნებაში და მისი ფსიხოლოგია ანარქიულია. ბოგემას არა აქვს თავისი კერა, თავისი ოჯახი, ის უსახლკაროა, ხშირად ქუჩაში, ხიდების ქვევით, ყავახანაში და ხაობაზში ითევს ღამეს“. ძნელი არ არის მურსეს წიგნის წინასიტყვაობიდან გადმოსულ ამ პასაჟსა და ქართველ პოეტთა ცხოვრებას შორის ანალოგიების დანახვა.

სხვა მრავალი მაგალითისა და პარალელის მოხმობაც შეიძლებოდა, მაგრამ ამჯერად მხოლოდ ავტორ-შემოქმედისა და ტექსტის ერთმთლიანობაზე მინიშნებით შემოვიფარგლეთ.

საგულისხმო საკვლევ საკითხად შეიძლებოდა წარმოგვედგინა ლიტერატურული ბოჰემისა და ზოგადად, დენდიზმის ქართული ნაირსახეობაც, რადგან იგი არის არა მხოლოდ სოციალური დანაშრევი, არ-

ამედ ესთეტიკური ცნობიერების ტიპი და ინტელექტუალური პოზა. ანგარიშგასანევია ის აზრიც, რომ პოეტთა ეს გატაცება – უცხო სტილი, სახელები, იდეა, ფორმა – მარტოოდენ მოდა არ ყოფილა. „ეს იყო ზიარება დიდ კულტურასთან, რომელსაც არ იცნობდა საქართველო. მაგრამ გაცნობაც არ კმაროდა. საჭირო იყო ათვისება და ტრადიციებთან შეზრდა, რათა ლიტერატურას ნინსვლა შესძლებოდა < ... >.“

ქუთაისის ქუჩაბანდები, დუქნები და ლუდნანები პარიზის ლათინურ კვარტალს დაემსგავსა, როგოც წერდა გრიგოლ რობაქიძე.

ისხდნენ „სობოროს“ კიბის საფეხურებზე მეოცნებე ჭაბუკები და პოეზიისათვის ღამეებს ტეხნიკა, ანუობდნენ პოფმანის საღამოებს, თამაშობდნენ ბანქოს, ენაფებოდნენ „თხევად მზეს“ – ღვინოს, ხულიგნობდნენ და ხმაურით იყლებდნენ ქალაქს. ზოგი ოპიუმის ძალასაც სცდიდა (პაოლო იაშვილი), ზოგიც ჭლექს ებრძოდა (სანდრო ცირეკიძე, შალვა კარმელი)...

მათ ოცნებაში სხივმოსილი პარიზი და ჭლექიანი პეტერბურგი და-მის იდუმალებითა და მთვარის შუქით გაერთიანდა“ (სიგუა 2002: 91).

რასაკვირველია, იყო მათ ცხოვრებასა და შემოქმედებაში ხელოვნურობის დიდი ნაკადი და ამის შესახებ წერდა კიდეც ჩვენი პირუთველი მწერალი და მემატიანე ოთარ ჩხეიძე. იმჟამიერ სათმელს მთლიანად ნუგზარ მუზაშვილის წერილზე („ჭირისუფალი“) დაყრდნობით გადმოვცემ. ნუგზარი წერს, რომ ის ურთულესი საზოგადოებრივი, რელიგიური, პოლიტიკური, იდეური და კულტურული პროცესი, რომელიც რენესანსით დაიწყო და პოსტმოდერნიზმამდე მოვიდა, მხოლოდ დასავლური მოვლენაა და იქაურ ყოფასა და ისტორიაში მოქმედი ფუნდამენტური ტენდენციების ლოგიკური შედეგია.

ქართული საზოგადოებას XX საუკუნის დასაწყისშიც, დღესაც და ყოველთვისაც სულ სხვა ტიპის პრობლემები აწუხებდა და მის ყოფას, ისტორიასა და კულტურასაც სულ სხვა ტენდენციები განსაზღვრავდა.

მაგრამო, განაგრძობს კრიტიკოსი, თუკი ჩვენებურ რომანტიზმსა და რეალიზმს მაინც შეიძლება შეხების წერტილები დაეძებნოს ევროპულ პირველწყაროებთანო, ქართული მოდერნიზმი სრულიად მექანიკურ, ზედაპირულ მოვლენად დარჩა. თუმცა, და ეს ყველაზე პარადოქსული და სერიოზული დაფიქრების ლირს მოვლენაო, მან მაინც დიდი ზეგავლენა მოახდინა ქართულ კულტურაზე და ეს გავლენა დღემდე ძალუმად იგრძნობაო. ნუგზარ მუზაშვილი ეყრდნობა და იმპულსს იღებს ოთარ ჩხეიძის 1982 წელს გამოქვეყნებული მოსაზრებიდან, რომლის მიხედვითაც ვაჟა-ფშაველა და ვასილ ბარნოვი ქმნიდნენ „სრულიად ახალსა და თავისებურ სტილსა, მოდერნულ სტილსა, დიახაც მოდერნულსა და არა კუთხურსა და არა თუ ფსალმუნურსა, დიდხანს როგორც

რო ამტკიცებდნენ დასამცირებლადა, როგორც რო ერთი, ისე მეორე დიდებული შემოქმედისა. ეს იყო დიდი და თვალსაჩინო სიახლე ჩვენს ლიტერატურაში, ეს იყო ჩვენი მოდერნი, – გათავისებურება მხატვრული სტილისა, მკვეთრი, მძაფრი, დროული, თითქოს მოულოდნელი, მაგრამ დროული გათავისებურება. და უცნაური გახლდათ, მერე რო დასავლეთიდან შემოიტანა იგივე მხატვრული ტენდენციები მომდევნო თაობამა და ცოტა უხერხული, ცოტა ხელოვნური სტილისტურ-ლიტერატურული ძებანი შემოგვთავაზა, ვითომ რო ნამდვილ, ვითომ რო ჭეშმარიტ სიახლედა“ (მუზაშვილი 2010: 220).

ვაჟა-ფშაველა და ბარწოვი ვიდას ახსოვდათ, განაგრძობს კრიტკოსი, ელვის სისწრაფით გაივსო ჩვენი ორლობები დასავლეთ საქართველოს მინდორ-ველებზე ნავარდით გაზრდილი ნიცხანელებითა და მოდერნისტებით, თითქოს რამენაირად შესაძლებელი იყოს ევროპული ტკივილები ქართულ ორლობებსაც სტკიოდეთო. თითქოს ნიცხეს, ბოდლერს, რემბოს ან მალარმესაც ვინძესგან ესესხოთ თავიანთი პრობლემები.

მაგრამ აღმოჩნდა, რომ თურმე ევროპული ტკივილებიც კი შეიძლება მოდად იქცეს, თან ისეთ მოდად, რომ საკუთარი პრობლემები ცხვირის ასაბზუებელ პროვინციალობად მოგაჩნევინოსო...

კრიტიკოსს ყველაზე უცნაურად მაინც ის ეჩვენება, რომ ამ დასავლურ მოდას მთელი კულტურა ისე ჩაიხევს და შეისრუტავს, როგორც გვალვით დახეთქილი მინა შახაბუნა წვიმის დიდი ხნის ნანატრ სინესტეს. და ბოლოს, კრიტიკოსის სამწუხარო დასკვნით: „დღეს ამის კვალი ეტყობა ჩვენს გემოვნებას, სტილს... ყველაფერს“ (მუზაშვილი 2010: 221).

ნუგზარ მუზაშვილს მოაქვს გიორგი ლეონიძის ნაამბობი ოთარ ჩხეიძის მონათხობიდან: ცისფერყანნელებს გიორგი ლეონიძეც „მაშინვე აპყვა და მხარში ამოუდგა ახალგაზრდული მგზნებარებითა, ბუნებრივი მგზნებარებითა; იმათთან ერთად გაიშინაურა „არტიურ“ და „სტეფენ“, ოღონდ ურუანტელი ქართლის ცხოვრებისა ვერ გაინელა, ოდნავადაც ვერა, ერთი წამითაც ვერ გაინელა; მაინც აპყვა და ტოლს არ უდებდა არცა თუ ლექსში, არცა თუ ლხინში, არცა თუ ფიქრში წუთი-სოფელზე, ფიქრში ამაოსი, ამაოებისა, ასე რომ მოსნოლოდა საუკუნის დასასრულსა და ჩვენი საუკუნის პირველ ათეულებშიც გადმოტბორილიყო, ფიქრშიმეთქი წუთისოფელზე, განთიადისას რო მოერეოდათ ვერისა თუ ორთაჭალის ბალებში; ერთად მოერეოდათ და ერთადაც დაასკვნიდნენ, დაეხრჩოთ თავი, ცისკარი რო ცას შეჰდებავდა, გადაცვენილყვნენ მტკვარში ერთადა; დაასკვნიდნენ და წამოცვივდებოდნენ, მირბოდნენ ეგრე თავაწყვეტილნი, ვინ ვის გაასწრებდა, თუ

ვინ პირველი გადავარდებოდა, პირველი მსხვერპლიც ის იქნებოდა იმა ახალი პოეზიისა, დასავლეთში რო დრო მოჭამა, ჩვენში რო მაშინ იდგამდა ფეხსა, იდგამდა და რო ვერც იდგამდა, ვერც აიდგამდა, რაღა თქმა უნდა; < ... > მირბოლნენმეთქი ერთად, ერთბაშად რო დაქხრიოთ თავი: იგი მინდობილი, წრფელი იგი თუ პოეზიასა მეგობრობაში, მირბოდა მართლაც თავაწყვეტილი და ფლატეს რო მიადგა გადასავარდნადა გულამოვარდნილი, მაინც მიიხედა, რაღამაც მიახედა უკანა, მიახედა და რა დაანახა, – განა მიჰყოლოდნენ, იდგნენ, სიცილით იგუდებოდნენ თუ იგრიხებოდნენ სიცილითა, გულმუცელი ეჭირათ ხელში; „ზურგი ვაქციე და გამოვიქეცი. მომდევდნენ, მომძახოდნენ. უკან აღარ მიმიხედიაო“ – უთქვამს გიორგი ლეონიძეს.

ასევა თუ ისე, ქართველ სიმბოლისტთა შემთხვევაში, გასული საუკუნის პირველ მესამედში არსებული სოციალურ-პოლიტიკური ნარატივის ფონზე განვითარებული შემოქმედთა ბედისწერის რომანტიკული სცენარი ერთ დიდ, ლიტერატურულ ტექსტად გარდაისახა, რომელიც, თავის მხრივ, მკითხველის ცნობიერებაში ნერგავს პოეზიისა და ცხოვრების შერწყმის მომხიბლავ მაგალითებს, რომელიც, ხშირ შემთხვევაში, სრულიად უმნიშვნელო წერილმანებისგანაც შედგება.

სათქმელის მოკლედ მოსაჭრელად კვლავ ტიციანის სიტყვებს მოვისველიებ:

„მართალია, ნოვატორობისთვის საქართველოში მზად აქვთ ჭავჭავაძის წინამური და მაჩაბელის მტკვარი თუ საკირე.

შეიძლება ეს წინასწარმეტყველებაც გამოდეს, შეიძლება იყოს ამგვარი სასჯელიც, მაგრამ საქართველოს ბუდე ყველაფერს მოინელებს, ამ შემთხვევაში ზედმეტია სიბრალულიც, რადგან დენდიზმის მომგონის სიტყვაა: არ შეიძლება შეცოდება შეცოდება იმ ადამიანის, რომელსაც ერთხელ სწვავდა შემოქმედება...“

ასე რომ პოეტთა ამ და სხვაგვარ თავგადასავლებს ირიბად მაყურებელი თვალიც არ მოჰკლებია და ამის უფრო მძაფრი მაგალითების მოტანაც შეიძლება...

ჩვენი პოეტების ბოჭემური ცხოვრების წესს, ჩანს, ბევრი წესიერი ადამიანი გაუღიზიანებია და, ბარემ ვთქვათ, რომ არცთუ უსაფუძვლოდ. მიზეზთა შორის იქნებ ისიც იყო, რომ, როგორც უკვე აღინიშნა კრიტიკულ ლიტერატურაში, „ცისფერყანწელებს“, აკლდათ პოლიტიკური სიფხიზლე და რუსოფილური პოზიციების გამო ხშირად, მეტი რომ არა ვთვათ, კრიტიკასაც იმსახურებდნენ ხოლმე.

## **დამოცვებანი:**

- ავალიანი 2014:** ავალიანი ლ. ცისფერყანწელები. საგურამო. № 4(10), 2014.
- გაფრინდაშვილი 1990:** გაფრინდაშვილი ვ. ლექსები, პოემა, თარგმანები, ეს-სექტები, წერილები, მწერლის არქივიდან. თბილისი: „მერანი“, 1990.
- იაშვილი 2004:** იაშვილი პ. საიუბილეო-საარქივო გამოცემა ორ წიგნად. თბილისი: 2004.
- მუზაშვილი 2010:** ნუგზარ მუზაშვილი. გაქცევა ისტორიიდან (ლიტერატურული ესეები). თბილისი: „დიოგენე“, 2010.
- სიგუა 2002:** სიგუა ს. ქართული მოდერნიზმი. თბილისი: 2002.
- ჩხიკვიშვილი 2015:** ჩხიკვიშვილი ნ. უკანასკნელი ცისფერყანწელი (ზომგრაფიული რომანი). თბილისი: „არტანუჯი“, 2015.

**MIRANDA TKESHELASHVILI**

*Georgia, Tbilisi*

*Shota Rustaveli Institute of Georgian Literature*

### **Impressionistic Passages of Historical Context in Niko Lortkipanidze's Story “Casting Spells by Radio”**

The article attempts to explain the historical context of the impressionist writer Niko Lortkipanidze's story “Casting Spells by Radio”. The main character in the story, Eli Gordeliani is the archetype of a free Georgia, a part of the modern political, social and spiritual drama, a victim of the historical situation, keeping her eyes open for foreign countries (Europe and America), but simultaneously standing firm on his motherland, a person whose consciousness is saturated with both national (Western-Christian) aesthetics and Oriental mysticism. She is the allegory of independent Georgia.

**Key words:** Impressionism, Historical Context, free perceptions.

## **მირანდა ტყეშელაშვილი**

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

### **ისტორიული კონტექსტის იმპრესიონისტული პასაჟები ნიკო ლორთქიფანიძის მოთხოვაში – „შელოცვა რადიოთი“**

ქართულ მწერლობაში მოდერნიზმი პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, საყოველთაო ნიპილიზმისა და ნგრევის, ეროვნული ფასეულობების დევალვაციისა და ბოლშევიკური ტერორის ხანაში შემოვიდა და, თუმცა, სულ ცოტა ხანს იარსება, დიდი როლი ითამაშა „ქართული სულის რენესანსის“ საქმეში. იმპრესიონისტები, ექსპრესიონისტები, სიმბოლისტები მიღმიერ სივრცეში დარჩენილი ნამდვილი ყოფის რესტავრაციას ცდილობდნენ.

ნიკო ლორთქიფანიძე ის მწერალია, რომელსაც ქართულ პროზაში თამამად შემოაქვს დასავლურ კულტურულ წრეებში გენერირებული, იმპრესიონიზმისთვის ნიშანდობლივი მახასიათებლები – სამყაროს აღქმა შთაბჭდილების ეფექტით, ლაკონური ნარატიული ტექნიკა, კონტრასტული ფერების სიუხვე და სხვ. (რატიანი 2015: 139).

„მე სხვადასხვა სურათს მოგაწვდენ ცხოვრებიდან. მათი ერთმანეთთან შეკავშირება, შენთვის მომინდვა... მწერალმა მარმარილო, ტილო, საერთო აზრი, ჩარჩო, ორი-სამი ხაზი უნდა დაამზადოს, დამთავრება, დაბოლოვება ნაწარმოებისა მკითხველის გემოვნებასა და სურვილს მიანდოს...“ (ლორთქიფანიძე 2012: 43), – წერს მწერალი, რომელსაც ყველაზე დიდი წვლილი მიუძღვის ქართულ სალიტერატურო სივრცეში იმპრესიონიზმის სააზროვნო ტენდენციების, სტილის შემოტანსა და დამკვიდრებაში. ნიკო ლორთქიფანიძეს არასოდეს უდალატია იმპრესიონისტული გამოხატვის ფორმებისათვის. მისი მოთხოვაბები ნათლად გვიჩვენება, თუ როგორ შეძლო მწერალმა შედარებით ვრცელ ტექსტში ლაკონური სტილით ეპიკური და ეპოქალური პრობლემების მხატვრულად სრულყოფა და მოქნილ სახეებში გადმოცემა (მილორავა 2016: 104).

მოთხოვაბაში – „შელოცვა რადიოთი“ ყველაზე ნათლად იკვეთება ქართული მოდერნიზმისათვის დამახასიათებელი ეს მოვლენა, მასში ჩანს მწერლისეული ემოციის პრიმატი, ესთეტიზმი, აფორისტული მეტყველება, იმპროვიზაცია, შერწყმული რეალურ ისტორიასთან, რომელიც თითქოს, შთაბეჭდილების გასაძლიერებლად, შორეული შუქით ირეკლება ტექსტში აღნერილ მოვლენათა მიღმა. მიუხედავად

ჟანრისთვის დამახასიათებელი ამგვარი დაშიფრულობისა, მთავარი სათქმელი აქ იმდენად საცნაურია და გასაგები, რომ თითქმის ზედაპირ-ზევს დევს და თავისუფლად იკითხება. „თამაშის ხელოვნება“ (პაიზინგა) და ისტორიული კონტექსტი (ქართველებსთვის დამახასიათებელი – წინასწარ განნირულ ომში შესვლა) მთავარი გმირის მოქმედებას სენსაციად აქცევს, ზრდის თამაშის დრამატულობას, განსჯის მოცე-მულობას („ჩვენ მუდამ ვთამაშობთ“ – არტურ შნიცლერი). აღნიშნულ თხზულებაში განსაკუთრებულად გამოიკვეთა იმპრესიონიზმისეული ეკლექტიკური მთაბეჭდილებანი, თავისუფალი აღქმები, წარმოდგენი-თი სიზმრულ-ზლაპრული და რეალური სამყაროს სინთეზი.

მოთხოვის – „შელოცვა რადიოთი“ – ნაწყვეტი პირველად დაიბეჭ-და გაზეთ „პოეზიის დღეში“, 1927 წელს, ალი-ის ხელმონერით, ხოლო მთლიანი სახით გამოქვეყნდა 1928 წელს უურნალ „ქართული მწერ-ლობის“ VI-VII და VIII-IX ნომრებში. ეს არის იმ საერთო ვითარების საკ-მაოდ ტიპური სურათი, რომელიც სამოქალაქო ომისა და საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფო ბრიობის დაკარგვას მოჰყვა. ესაა ასახვა ქართველი ინტელიგენციის სულიერი დეპრესიისა, მისი უკანას-კელი გაბრძოლებისა ცხოვრებაში ადგილის დასაკავებლად და ხელის ჩაქრევისა ყველასა და ყველაფერზე. ამ განწყობილებათა შესანიშნავი გამომხატველია მოთხოვის მთავარი გმირი – ელი გორდელიანი.

ელი გორდელიანი თავისუფალი საქართველოს არქეტიპია, თანა-მედროვე პოლიტიკური, სოციალური თუ სულიერი დრამის ნაწილი, ისტორიული ვითარების მსხვერპლი, უცხოეთისკენ (ევროპა-ამერი-კა) მომზირალი, მაგრამ ქართულ მიწაზე მყარად მდგარი ადამიანი, ეროვნული (დასავლურ-ქრისტიანული) ესთეტიზმითა და, ამასთა-ნავე, აღმოსავლური მისტიკით გაჯერებული ცნობიერებით. იგი და-მოუკიდებელი საქართველოს ალეგორია (როგორც თამარი, შალვა დადიანის „გიორგი რუსში“), რომელიც ჯერ რუს ოფიცერზე ქორწინ-დება, მაგრამ სრულიად შეუთავსებელ თვისებათა გამო მას გაექცევა და მშველელს – ქართული სახალხო გვარდიის ასეულის უფროსს – იერონიმე შვინდაქს გაჰყვება (26 მაისს, შვინდისფერი დროშის ფრი-ალის ფონზე, ბიბლიური სახელის მქონე იერონიმე შვინდაქე ელის ნა-ციონალურ სიამაყეს შეეფერება). უნიათო და უსისხლო შვინდაქემ ვერ გაამართლა ელის იმედები, ის გაექცევა ქმარს და ევროპელ ჰექსლეის გაჰყვება. საქართველოს მსგავსად, ელის ახალ სამყაროშიც ყველგან ლალატი და ტყუილი ხვდება, რაც აფრთხობს და ყველა გზას უჭრის. ეს კი მის პროტესტს აძლიერებს, სასიკვდილო ომში ითრევს. ელის იმედგაცრუება ქართველი ერის საუკეთესო შვილების იმედგაცრუების გამოძახილია: ქვეყანას უარი უთხრეს საერთაშორისო ორგანიზაცი-

ებში გაწევრიანებაზე, რუსეთისგან დაპყრობის შემდეგ არ ისმინეს მისი მუდარა დახმარებაზე (1920 წელს უარი ერთა ლიგაში მიღებაზე, 1923 წელს ეროვნული დამოუკიდებლობის კომიტეტის მიმართვა ერთა ლიგისადმი, კათალიკოს-პატრიარქის მიმართვა გენუის საერთაშორისო კონფერენციისადმი და სხვ.), ევროპა მხოლოდ თანაგრძნობით ქმაყოფილდებოდა, რეალურად კი რუსეთთან ხელშეკრულებებს აფორმებდა (რაპალოს ხელშეკრულება გერმანია-რუსეთს შორის, სავაჭრო კავშირი ინგლის-რუსეთისა და სხვ.). ამ სამყაროს გულში მოხვედრილი ელის ნიჰილიზმი და ტრაგიკული განცდა, პირადი ლირსებისა და თავმოყვარეობის შენარჩუნების სურვილი და ეროვნული ტრადიციებისა და სულიერების დაცვის მძაფრი გრძნობა, ამასთან, შეურიგებლობა ტყუილთან, მოჩვენებითობასა და სიყალბესთან, მოქმედების ტრაგიკული განვითარების იმპულსი ხდება. ამ იმპულსს ღრმა ისტორიულ-კულტურული ფესვები აქვს, რასაც მიანიშნებს მოთხრობის პროლოგი გამოტანილი ტარიელის სიტყვები „ვეფხისტყაოსნიდან“ – „რას მაქნევდით, რათ გინდოდით, ერთმანეთსა რითა ვგვანდით? თქვენ მორქმულნი თამაშობდით, ჩვენ მტირალნი ღანვსა ვბანდით“, ავტორისეული განცდით დახატული საქართველო: „დიდი ხნის დაწერილი იყო „მერანი“, „აჩრდილი“ და „ელგუჯა“, სიტყვა-სიტყვად სწენდა, ეალერსებოდა, ხელი-ხელ აგოგმანებდა შოთას და მით თვრებოდა ერი“ (ლორთქიფანიძე 2012: 70). ელის მოჩვენებითი სილალისა და უდარდელობის მიღმა ქალის იმდენად დიდი და მძაფრი განცდები იყითხება, ეროვნული ტრაგედიის ისეთი ქარიშხალი ტრიალებს, რომლის მსგავსი და ასეთი სიზუსტით ასახული სურათი ქართული მწერლობის არცერთ სხვა ტექსტში არ მოიპოვება. ეს არ არის ერთი ქალის, ერთი ადამიანის, ან თუნდაც ლოკალურ დროსა და სივრცეში ვითარების კონკრეტული ასახვა. ეს განზოგადებაა საქართველოს ბედ-ილბალისა, ქართველ მამულიშვილთა იმედების მსხვრევისა, ერის ობლობისა (იმავე პერიოდის ქართველ ემიგრანტთა მიმოწერაში იგივე უიმედობა, საქართველოს ბედისადმი მსოფლიოს გულგრილობის გამო იგივე კვნესა და უკამაყოფილებაა).

6. ლორთქიფანიძისთვის სამშობლოზე სევდა, მისი სიყვარულის ძალა იმდენად ორგანულია, რომ მას მწერლისგან ადამიანში ქვეშეცნობილი ღირებულება აქვს მინიჭებული. ადამიანი შეიძლება არც გრძნობდეს ამ სევდას, არც ფიქრობდეს სამშობლოს სიყვარულზე, მაგრამ იგი მაინც არსებობს მასში, არსებობს როგორც უდიდესი და უნმინდესი განცდა.

იმპრესიონიზმისათვის დამახასიათებელი ლაკონური ხატვა გამოიყენება ეროვნული სულისა და ისტორიის ბატალური ტილოს შემდეგი ფრაგმენტებით წარმოდგენაში: 1. XX საუკუნეში აღდგენილი საქარ-

თვეელოს სახელმწიფო დამოუკიდებლობა მარტო საქართველოსი კი არა, გერმანიის დამსახურებაცა (მალვა გორდელიანისა და გერმანელი მატილდას ქორნინებით იშვა ელი, თავისუფალი და ლამზი ახალი საქართველო); 2. საქართველო მხედრული ნიჭის ქვეყანაა, მაგრამ თანამედროვე „საერთო განვითარებით შენელებულია მხედრული სული“, რაც ჩანს როგორც გორდელიანის, ასევე, შვინდაძის სახით (ილია ჭავჭავაძის სიტყვები: ახლა მახვილის ნაცვლად ქართველის-თვის მრომა უნდა იყოს იარაღი); 3. კავკასიური ერთობის იდეა (კავკასიის მთებიდან ჩამოყვანილი ელის ძიძა-გამდელი); 4. რუსულ-ქართული ურთიერთობის გაუგებრობა და შეურაცხმყოფელობა რუს გრაფზე – ვლადიმირ ბორენკოვზე ელის ქორნინების პარადიგმით, როდესაც ერთმორწმუნებობა ვეღარ შველის სულთა სხვადასხვაობას (ბარათაშვილი „სახელმწიფოსა რჯულთა ერთობა არარას არგებს ოდეს თვისება ერთა მის შორის სხვადასხვაობდეს“); 5. დაუცველი ქვეყანა, ოჯახი, შვილი: ელის იერონიმე შვინდაძეზე ქორნინება და გაყრა; 6. გერმანელების ნაცვლად მოსული ინგლისელების ამაო იმედი; 7. ბოლშევიკური ტერორი და ანარქია (აქ რა ვაჟაცობა გაგივა ქალბატონი, თორემ ეს ბიჭი მარტო დადის დათვზე სანადიროდ, და ათი ჰყავს მოკლული“); 8. დამარცხებული ქვეყანა შინაურთან, გარეულთან... ხელჩაქნეული შალვა გორდელიანი დუელს გადაიფიქრებს, უბრძოლველად თმობს ქალიშვილსაც და ქვეყანასაც; 9. ჰექსლეი და ბრომლეი – ევროპული არჩევანის ორი მხარე: მოჩვენებითი ჰუმანურობა და სიყალბე, ამ სამყაროში ხელოვნებისა და მუსიკის ცოდნით, შინაგანი არისტოკრატიზმით გამორჩეული ელი ვერ ახერხებს ადგილის მოძენას, რა უშლის ხელს: ზედმეტი თავმოყვარეობა, პატივმოყვარეობა თუ, უბრალოდ, სიზარმაცე. მას არ აღმოაჩნდება ის პრაგმატიზმი, რაზეც ილია მიუთითებდა ქართველებს; 10. ბრომლეისა და ჰექსლეის მხატვრული პარადიგმა: ქართველი ერი გულგატეხილია ამერიკითაც და ევროპითაც, ისინი ვერ იზიარებენ და ვერ ხვდებიან უძველესი ერის ტრაგიზმს, ისინი ღალატობენ ამ მშვენიერ, ნიჭიერსა და ამაყ ქმნილებას (ელი გორდელიანს); 11. ელის უკანასკენელი სურვილიც – ძიძის შელოცვის მოსმენის სურვილი – არის რწმენა განწირულისა, რწმენა, რომ ქართული სიტყვა, საქართველოდან მოსული ხმა განკურნავს მას, მისცემს უნარს კვლავ დაუბრუნდეს სიცოცხლეს. მაგრამ მოკვდა ელი, მოკვდა საქართველო, დარჩა უპატრონო ბავშვი, მშიერი და გაძიძავებული, ის მხოლოდ იცოცხლებს, რადგან საქართველოს დაღუპვა არ შეიძლება, პრობლემები კი მუდამ იგივე ექნება, რაც დედას, რაც წინაპრებს. სამგლოვიარო მარშის ხმაში მწერალმა, როგორც იტყვიან, „ერთი კალმის მოსმით“, ჩაქსოვა საქართველოს მთელი ისტორია, აბრეშუმის

გზითა და აზიური მაგის რწმენით დაწყებული და ბარათაშვილის ქეგლის გვერდით ელის ფერფლის გაფანტვის სურვილით დასრულებული.

მართალია, ქართველ ქალში მოკვდა რაღაც დიდისადმი იმედი, მაგრამ მშვენიერებასთან ერთად კდემა და თავდაჭერილობა მაინც შერჩა, მასში გადმოდინდა ქართული ბედისწერა: წინასწარ დამარცხებულ ოში ამაყად შესვლა და სიკვდილთან ლირსული პაექრობა. უსაზღვრო თავმოყვარეობა: მან არ იჩუქა ამერიკელისგან სამშობლოში დაბრუნების შესაძლებლობა, არამედ იყიდა, რადგან მისი პარტნიორების ბუნებაში დაინახა ვაჭრული სული.

ელის სახე ამგვარი დიდი სიყვარულით და თანაგრძნობით აქვს დახატული ავტორს. ამ სიყვარულს ქმნის არა მარტო მისი, არამედ მკითხველთან ერთად ელის გარემომცველი პერსონაჟების თანაგრძნობაც სამშობლოდან გადახვენილისადმი, „ფუფუნებაში მყოფი ღატაკისადმი“.

სამშობლოდან მოცილებული მარტოსულის დიდი ტკივილი არა-ერთ ქართველ მწერალს აუსახავს ამავე ხანებშიაც და შემდგომაც, მაგრამ ნ. ლორთქიფანიძისეულ ექსპრესიულობამდე მხოლოდ მ. ჯავახიშვილის „მინის ყივილი“ თუ ადის.

მითიურისა და რეალურის შერწყმა ისტორიულ კონტექსტს კი არ ჩრდილავს, უფრო მძაფრად წარმოაჩენს იმ კონკრეტულ ისტორიულ ფონზე, როდესაც მოთხრობა დაინირა (1924-1928). მოთხრობაში იკვეთება 1924 წლის აჯანყების მარცხით გამოწვეული მძაფრი სკეპსიის, საქართველოს დაკარგული თავისუფლების, სახელმწიფოს შენარჩუნებისათვის ბრძოლაში ქართველების უუნარობის გამო მიღებული სულიერი ტრამვა, ცარისტული თუ ბოლშევიკური რუსეთის იმპერიული სულისკვეთება. საქართველოს მუდმივი არჩევანი აღმოსავლურ-დასავლურ ორიენტირებს შორის ტექსტში ერთმნიშნელოვნად გადაჭრილი არაა, მოცემულია აღმოსავლურ-დასავლურის სინთეზის რეალობა, რასაც ქართველი მოდერნისტები დაუფარავად გადმოსცემდნენ („პაფიზის ვარდი მე პრუდონის ჩავდე ვაზაში, ბესიკის ბაღში ვრგავ ბოდლერის ბოროტ ყვავილებს“ – ტ. ტაბიძე). ევროპაში გაქცეული ელი თავის გადარჩენას ფიქრობს, მაგრამ არც ღალატთან შერიგება შეუძლია და არც კომპრომისი. ნამდვილი ესთეტი, შემოქმედებითი მითის შემთხვევით, მშვენიერი გემოვნებითა და ქრისტიანულ-წარმართული მოტივების სინთეზით ინგლისელ ჰექსლეისა და ამერიკელ ბრომლეისაც კი აკვირვებდა. გველისა და სისხლის მისტერიით ელი გორდელიანი სიკვდილისა და ტანჯვის ესთეტიკას არტისტულ ჟესტად აქცევს. ახალ სამყაროში მან ვერ მონახა ადგილი, ევროპული ცხოვრების წესი ვერ მოირგო, რაზეც რამდენიმე ათწლეულით ადრე

იეჭვა ილია ჭავჭავაძემ („რა გითხრათ, რით გაგახაროთ“). ბედისწერასთან ამბობს ის თვითმკვლელობით ასრულებს („თვითმკვლელობის იავნანური“) და ამით მწერალი თავის გმირში იმ რეალურ ისტორიას განასხიერებს, რამაც ქართველებს საუკუნეების მანძილზე გაამართვინა უამრავი ომი ასჯერ მეტად ძლიერ მტრებთან, ბოლოს კი, 1924 წლის აჯანყებით, სიცოცხლეზე მეტის – ღირსებისა და თავისუფლების უზენაესობის სამყაროსთვის დანახვა შეაძლებინა.

#### **დამოცვებანი:**

**ლომიძე ... 2016:** ლომიძე გ., რატიანი ი. (რედაქტორები). ქართული მოდერნიზმის ტიპოლოგია. თბილისი: „მერიდიანი“, 2016.

**ლორთქიფანიძე 2012:** ლორთქიფანიძე ნ. სამტომეული, ტ. 1. თბილისი: „პალიტრა L“, 2012.

**ლორთქიფანიძე 2012:** ლორთქიფანიძე ნ. სამტომეული, ტ. 3. თბილისი: „პალიტრა L“, 2012.

**მილორავა 2016:** მილორავა ი. „ქართული მოდერნისტული პროზა“. ქართული ლიტერატურა. ისტორია საერთაშორისო ლიტერატურული პროცესების ქრილში. თბილისი: „საარი“, 2016.

**რატიანი 2015:** რატიანი ი. ქართულ მწერლობა და მსოფლიო ლიტერატურული პროცესი. თბილისი: თსუ გამომცემლობა, 1970.

**სიგუა 2008:** სიგუა ს. მოდერნიზმი. თბილისი: „მწერლის გაზეთი“, 2008, გვ. 48-50.

**შნიცლერი 2015:** შნიცლერი ა. ბენეფისი (13 მოთხოვნა). თბილისი: „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“, 2013.

**ჰაიზინგა 2004:** ჰაიზინგა ი. მოთამაშე კაცი. თბილისი: „მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი“, 2004.

#### **MARIAM FILINA**

*Georgia, Tbilisi*

*I.Javakhishvili State University, Institute of Slavic Science*

#### **Translations of Galaktion Tabidze poetry into Polish language in Polish modernism context**

The most intense period of Georgian poetry translation into Polish was a period of 1950-1970-ies. The rich tradition of modernism in Polish literature has identified a particular interest in the Georgian poets of the era of the “Silver Age”, in particular, to the creation of Galaktion Tabidze. Poetry of Galaktion Tabidze was included in all three anthologies of Georgian poetry, published in Poland. It

is noteworthy that in the anthology “The ancient Georgian poetry” from the the poetry of XX century was only G.Tabidze with a note submitted by the editor, that Tabidze was “the most outstanding poet of the first half of the century.” Many translations in anthologies were made by the best poets and translators in Poland.

Analysis of “The Moon of Mtatsminda” and “Mary” translation reveals the successful discoveries and the inevitable loss. Impressionist aesthetics of both works is complicated by the translation of immersion in the world of national images. In “Mary” are less concrete realities, in part so the translation was more successful, though the musical structure of the work in the Polish sound could not be referred to the full. The “Moon of Mtatsminda” set of realities known only to the Georgians, and they are transmitted descriptively, which reduces the aesthetic value of translation. Nevertheless G.Tabidze’s poetry is presented in Poland in details.

**Key words:** poetry translation, creation of Galaktion Tabidze, anthologies of Georgian poetry, “The Moon of Mtatsminda”, “Mary”

## **МАРИЯ ФИЛИНА**

*Грузия, Тбилиси*

*Тбилисский государственный университет им. Ив.Джавахишвили*

### **Переводы поэзии Галактиона Табидзе на польский язык в контексте польского модернизма**

Эпоха модернизма, которая в каждой стране явила собственные поэтические миры, для Польши и Грузии была, естественно, принципиально различной, но притяжение двух литератур, возникшее уже в XIX столетии, определило взаимный интерес. Связи начала XX века многосторонни. В Грузии творят польские художники, Зигмунт Валишевский, будущий классик польской живописи и братья Зданевичи стали частью грузинской художественной жизни. Они знакомили грузинских художников и поэтов (поскольку для модернизма характерно многопрофильность творчества многих личностей), с польским модернизмом. Вспомним, что Зданевичи участвовали в росписи кафе «Химериони» – любимом месте встреч грузинских «голуборожцев». Каждое ведущее европейское направление в художественной мысли воспринималось грузинскими деятелями почти синхронно. Но в отдельных культурах оно развивалось с разной интенсивностью. Можно практически утверждать, что связано это с совпадением или несовпадением национального менталитета с

художественными программами и эстетикой того или иного направления. Так, романтизм оказался созвучен польскому и грузинскому поэтическому сознанию, и в этих странах «задержался» в качестве ведущего направления дольше, чем в некоторых иных. К примеру, в России в 1940-1950-е годы романтизм уступает позиции критическому реализму, а в Грузии романтическая поэтика и сюжеты остаются еще ведущими. В Польше до восстания 1863 года романтизм с трудом уступал позиции, само по себе восстание было последним общенациональным романтическим порывом, после которого наступило горькое разочарование и выдвижение на первый план позитивистских требований.

Возникновение модернистской эстетики нашло глубинное признание у обоих народов. В Польше модернизм родил такие многогранные фигуры, как Станислав Выспяньский или Яцек Мальчевский, которые объединили в себе поэтов, драматургов, художников, скульпторов, витражистов и этнографов. В Грузии подобным титаном стал Галактион Табидзе. Говорить о большом интересе к его творчеству в Польше до конца второй мировой войны не приходится, поскольку Польша была фактически оторвана от Грузии, входившей в состав СССР. Хотя следует учитывать, что в Польше в 1920-1930-годы была немногочисленная, но весьма яркая грузинская диаспора, состоявшая в основном из контрактных офицеров, приглашенных на службу маршалом Юзефом Пilsudskim, и их семей. Это годы деятельности в Варшавском университете профессора Григола Перадзе, ныне канонизированного православной церковью. Жившие в Польше грузины проводили многостороннюю культурную работу, организовывали ежегодные балы, издавали свои газеты, литературные сборники. Это было поколение, воспитанное на символистской эстетике и, несомненно, имя Галактиона в Польше звучало.

После второй мировой войны грузино-польские литературные связи обретают новый формат и становятся планомерными, определяемыми политикой сближения со странами так называемого «социалистического лагеря». Но даже в официозном пафосе, определяющем стиль 1950-х годов, остается сильным личностное начало. Большая роль в привлечении польских поэтов к переводам грузинской лирике принадлежит Симону Чмковани и Георгию Леонидзе, которые обрели настоящих друзей среди элиты польских литераторов. Самым интенсивным периодом перевода грузинской поэзии на польский стали 1950-1970-е годы.

Начали появляться подборки грузинской поэзии в польских журналах. В 1961 году вышла в свет первая антология грузинской поэзии под редакцией Леопольда Левина (*Antologia poezji gruzińskiej* 1961), которая

буквально открыла польскому читателю новый поэтический мир. Из поэзии XX века в ней собраны отрывки из произведений и стихи Галактиона Табидзе, П.Яшвили, Т.Табидзе, В.Гаприндашвили, Г.Леонидзе, С.Чиковани, И.Гришашивили, И.Абашидзе, Гр.Абашидзе, А.Абашели, О.Чиладзе, К.Чичинадзе, А.Гомиашвили, К.Каладзе, М.Мачавариани, М.Квливидзе и по одному стихотворению еще нескольких поэтов.

В второй антологии 1968 года – «Древняя грузинская поэзия» (составитель Л.Левин) поэзия XX века представлена лишь лирикой Галактиона (хотя, собственно говоря, ее и не должно было быть в древней поэзии). Л.Левин объясняет ее включение: «Единственным поэтом двадцатого века, которого наше собрание представляет, является Галактион Табидзе. Это был самый выдающийся поэт первой половины нашего столетия...» (*Dawna poezja gruzińska* 1974: 13). В антологию вошли «Луна Мтацминды» (перевод Л.Левина), «Родина» (пер. М.Пехаля), «Вечером» (пер. Т.Хрущевского), «Тост» (пер. М.Пехаля), «Чем ты дальше» (пер. М.Пехаля), «Снег» (пер. В.Слободника), «Горы Гурии» (пер. В.Слободника), «О, Натало из Цинандали» (пер. М.Пехаля) и др. Как видим, составитель избрал стихи разных периодов творчества Галактиона.

Последняя и самая солидная антология была издана Игорем Сикирицким в 1974 году и представляет весь спектр грузинской поэзии от древней до современной, в нее вошли переводы произведений 70 поэтов XX века, в том числе 16 произведений Галактиона, частично в старых, частично в новых переводах (среди них «Луна Мтацминды» и «Синие кони»). Антология стала результатом огромного труда польских и грузинских поэтов, ее консультантом был Михаил Квливидзе. В целом она отличается очень высоким уровнем и прекрасным вкусом (*Poezja gruzińska* 1985).

Безусловно, самое большое опасение вызывают переводы из Галактиона Табидзе. Как сохранилась его звукопись? В сборнике 130 поэтов (еще до антологий) опубликован перевод «Я и ночь», в антологии 1961 года – 9 стихотворений, в последней, как было сказано – 16.

Остановимся на «Луне Мтацминда». Это стихотворение перевел сам составитель Л.Левин. Как и в большинстве польских переводов, текст следует за подстрочником, почти строка в строку. Расхождения, которых мы касаемся ниже, касаются деталей. Но при этом ускользает многое настолько важное, что говорить о большом поэтическом явлении для польской поэзии не приходится.

Во-первых исчезает та исключительная звукопись, что делает стихотворение не только поэтическим, но и музыкальным явлением.

В переводе значительно слабее ощущается то, что после каждого восклицательного знака и многоточия у Табидзе невольно не поднимаешь голос, а затаиваешь дыхание, словно тишина и необыкновенный свет луны пронизывают не только небо в ту ночь, но и строки стиха. Однако, предположим, это касается музыкально-звуководного ряда стихов. Здесь позволительно сказать словами Беллы Ахмадулиной, произнесенными ею как раз по поводу перевода Галактиона: «Не просите у меня невозможного!» (Ахмадулина 1977: 450).

А как передан образный строй стихотворения? Действует ли польская «Луна Мтацминды» на «те же нервы», как выразился А.К.Толстой? (Толстой А.К. IV:129)

Нам кажется, что в связи с этим стихотворением, со стихами такого рода и масштаба можно поставить принципиальный вопрос. Возможно, это «не просите у меня невозможного» относится и к образной системе стихотворения, к его семантическому уровню, а не только к формальной стороне. Пожалуй, часть потерь заренее предсказуема?

Сравним «Луну Мтацминад» и «Мери». Это стихотворения одного периода, оба созданы в 1915 году, оба написаны сопоставимыми импрессионистскими мазками и оба стали истинными шедеврами. Но в стихотворении «Мери» немного конкретных реалий. Скажем, король Лир – имя почти нарицательное и у многих народов вызывает примерно один ряд ассоциаций. Название стихотворений «Горы Гурии» и «Я и ночь», которые звучат в «Мери», тогда, в 1915 году, еще не вошли в сознание каждого читающего грузина и могли не вызывать специфический ассоциаций. Они названы в «Мери», безусловно, неслучайно, но они важны для самохарактеристики лирического героя: он в печали читает собственные стихи, то есть он (насколько возможно совместить реальный и художественный мир) сливается с автором.

Обряд венчания ясен и близок всем представителям христианского мира. Конечно, в этом стихотворении много слоев, в том числе отзвук древнегрузинского института рыцарства. Но в целом – это произведение о неразделенной любви или любви разделенной, но драматической, завершившейся замужеством любимой – ситуация общеизвестная. И, несмотря на большие сложности, при особой художественной тонкости переводчика стихотворение может стать «цветком из собственного семени» (по выражению П.-Б.Шелли) на любом европейском языке.

С «Луной Мтацминда» вопрос обстоит иначе. Начнем с того, что его название может быть понятно жителю Грузии, а особо дорого тбилисцу. Для каждого иноязычного читателя уже в названии должна быть сноска:

«Мтацминда – гора в Тбилиси» и т.д. то же самое в тексте. Для тбилисца Мтквари и Метехи – часть ежедневного восприятия окружающей родной среды. И органично звучит образ «*moCans mtkvari da metexi TeTrad moelvare*» (tabiZe g. 1973: 188). Для иностранца, в частности, поляка, эти понятия также должны быть истолкованы, поэтому в польский перевод естественно вплетается:

W jasnych odmętach Kury jak w półśnie się mieni.

A nad rzeką Metechi połyskuje bielą.

Подстрочник:

В светлых отблесках Кура – как в полусне,

А над рекой Метехи блестит белизной.

То есть в польском переводе объясняется, что Мтквари – река. Образ единства, неразрывности Мтквари и Метехи, которые «белеют» у Галактиона, уже разрушен. Таких реалий несколько. Естественно, они не вполне известны каждому иностранцу, а тем более не могут вызвать у него тех же чувств, что у грузинского читателя.

Так, в картинах импрессионистов парижские бульвары или французские соборы живут в десятках состояний и важны не изобразительной констанцией их облика, а в том неповторимом виде, в каком они уловлены художником в данный миг.

Приведем более «горный» пример. У предтечи импрессионистов японца Хокусаи есть десятки видов горы Фудзи. Он настолько детально и во множестве состояний ощущает этот символ Японии, что в его картинах поражают именно нюансы «Фудзи в первом луче солнца», «Фудзи в последнем луче» и т.д.

В поэтическом образе Галактиона, тоже насквозь импрессионистском: «*moCans mtkvari da metexi TeTrad moelvare... oh! arasdros ar Sobila ase nazi mTvare!*» (tabiZe g. 1973: 188) также создано необыкновенное сиюминутное состояние Мтквари и Метехи над нею.

Но зрительный образ может производить впечатление сам по себе, независимо от ряда ассоциаций, которые он вызывает на родной почве. Образ поэтический требует семантического, этнографического знания, если неизвестно, что такое Мтквари и Метехи вообще, естественно, никаких ожидаемых ассоциаций возникнуть не может. И ту семантическую нагрузку, какую эти образы несут в грузинской символистской поэзии, нельзя перенести на другие языки.

Однако это самые элементарные – географические и этнографические реалии стихотворения. В нем есть более сложный, глубинный семантичес-

кий ряд. В строке «aq Cem axlos akakis lands sZinavs mefur ZiliT» (Здесь, рядом со мной, тень Акакия почивает царственным сном) для грузина также заключена масса ассоциаций, для человека же, близко не знакомого с культурой Грузии, даже непонятно, почему здесь спит царственным сном тень Церетели, то есть не только не ощущается, как много значит для грузина усыпальница для великих, но и вообще неизвестно, что на горе вокруг храма – пантеон. Кроме того, не жителю Грузии, возможно, неизвестно, что вершинных поэтов принято называть по имени. Тем, что Церетели назван Акаки, а Бараташвили по фамилии, подчеркивается какая-то дистанция, ощущаемая по отношению к юному романтику, которого гораздо реже называют просто Николозом или в литературном тексте – интимным именем Тато.

Этот важный также неизбежно исчезает в польском тексте, и в переводе оба поэта, как принято в Польше, названы по фамилии.

Все отмеченные и многие неотмеченные детали свидетельствуют о том, что «Луна Мтацминда» по своей природе фактически непереводима, ибо это эстихотворение – сложный синтез ощущений поэта и национальных ощущений каждого грузина. Сколь бы субъективны они ни были, стихотворение обращено к тем, кто может воспринять все его скрытые наслоения. Оторванное от родной почвы, оно вряд ли может вызвать реакцию той же силы, что на родном языке.

Однако в данном случае к неизбежному обеднению впечатления прибавляются некоторые моменты, передача которых была во власти переводчика. Хотя соблюдена и строфа, и система рифмовки, и насколько возможно – размер, исчезает та капризная причудливость, что свойственна стиху Табидзе.

Первая строка «jer arasdros ar Sobila mTvare ase wynari!» (еще никогда не рождалась такая тихая луна) с некоторыми вариациями появляется в стихотворении 5 раз. Этот повтор – словно музыкальная вариации темы, он создает мелодику стиха. Все эти 5 строкозвучны и различаются в тех границах, в которых нюансирована вариация темы в музкальном произведении.

В переводе же 5 раз повторяется не мелодическое звучание, а пересказывается мысль о том, что никогда еще не было такой тихой, спокойной луны – мысль, которая ясна с первого раза, но повторяемая неоднократно, создает у Табидзе определенное ощущение, в переводе же колдовства не возникает.

В одной из строк – «не помню такого тихого (спокойного) неба в разгар лета» нарушена и стилистика стихотворения. У Галактиона нигде не

сказано, что действише происходит летом. Только строки «aq mwuxare sasaf-laos, vardiT da gviriliT, efineba varsklavebis krtoma mxiaruili» (Здесь скорбное кладбище с розами и ромашками покрывает веселое мерцание звезд) слегка намекают на начлао лета или конец весны.

Вообще все действие стихотворения происходит в каком-то неопределенном времени года, эта необыкновенная лунная ночь как бы вынесена за пределы обычных временных измерений, здесь важно состояние лирического героя, польский же переводчик дает ей точную временную «прописку», и этим заземляет произведение.

Упрашают его и строки  
W górze gwiazdy błyskają wielkie – w takiej chwili  
Lubił samotnie włóczyć się Barataszwili  
(Вверху блещут большие звезды – в такую минуту //  
любил одиноко бродить Бараташвили).

Во-первых, изменен образ, «krToma mxiaruli» заменено на «звезды большие». Во-вторых, «w takiej chwili» – «в такую минуту» – меняет всю атмосферу стихотворения. Строки Галактиона проникнуты ощущением того, что подобного мгновения вообще не бывало, что никогда луна не была такой тихо-ясной, никогда ночь такой нежной. Естественно, поэт прекрасно осознавал, что ясная и тихая луна бывает каждый, но в том-то и колдовство стихотворения, что в нем приводится не метаэргическая сводка, а утверждается неповторимость сиюминутного настроения лирического героя, а в связи с настроением и необычность состояния природы, столь сильно действующая, что он готов умереть, лишь бы передать эту ночь:

И я бы умер в песнопениях озерным печальным лебедем,  
Лишь бы высказать, как ночь заглянула в мою душу.

Поэтому недопустимо выражение «в такую минуту», тем более, что неизвестно, в какие минуты (кроме того, что мы знаем из его стихов) любил одного бродить Бараташвили. И Галактион подчеркивает именно не «когда», а «здесь», намекая на знаменитое стихотворение романтика.

Таких нюансов в переводе немало, и в они лишают стихотворение его фантастического действия. Ведь стоит чуть-чуть нарушить зыбкую гармонию символистских образов – и мы имеем довольно алогичную конструкцию их слабо связанных меж собой элементов.

В результате из причудливого сплетения и переливов настроения, когда дыхание в стихе прерывается от нежности и глубины чувств, – на польском

появилось повествовательное стихотворение, и этой повествовательностью без тончайших переходов уничтожается его поэтическая природа.

Завершая размышления над конкретными обращениями к самым сложным произведениям Табидзе, следует все же сказать, что отношение польских переводчиков к его стихам было по возможности бережным, и поэзия Г.Табидзе представлена в Польше достаточно подробно.

#### ЛИТЕРАТУРА:

**Antologia poezji gruzińskiej 1961:** *Antologia poezji gruzińskiej*. Redakcja Leopolda Lewina. Warszawa: 1961. 286 s. (Антология грузинской поэзии. Под редакцией Леопольда Левина. Варшава: 1961. 286 с. на польском языке).

**Ахмадулина 1977:** Ахмадулина Б. Стихотворение, подлежащее переводу. В: Б.Ахмадулина. *Сны о Грузии*. Тбилиси: 1977.

**Dawna poezja gruzińska 1974:** *Dawna poezja gruzińska. Antologia*. Redakcja Leopolda Lewina. Warszawa: 1974. 327 s. (Древняя грузинская поэзия. Антология. Под редакцией Леопольда Левина. Варшава: 1974. 327 с. на польском языке).

**Poezja gruzińska 1985:** *Poezja gruzińska. Antologia*. Wybór Igora Sikiryckiego. Łódź: 1985. 631 s. (Грузинская поэзия. Антология. Составитель Игорь Сикирицкий. Лодзь: 1985. 631 с. на польском языке).

**ტაბიძე 1973:** ტაბიძე გ. რჩეული. თბილისი: 1973 .

**Толстой 190:** Толстой А.К. Из письма к С.А.Миллер. Полное собрание сочинений. Москва:1970.

#### EKA CHKHEIDZE

*Georgia, Tbilisi*

*Shota Rustaveli Institute of Georgian Literature*

#### Face symbol of mirror in Georgian modernist poetry (On the example of the works of Valerian Gafrindashvili )

One of the most essential peculiarities should be considered to be the fact that ordinary things gain mystic content, thus they are manifested differently and attach the deciding significance (to perceive the author's devise). While reading Valerian Gafrindashvili's poetry the readers' attention is usually attracted by the universal poetic face symbol – “mirror”, that is transformed from verse to verse, experiencing various transformation, but the main idea of it never changes.

The most gruesome in Valerian Gaffrindashvili works is the reflection of the strange face and not “revealing own self”, this is unacceptable and horrid for lyric hero, but at the same time it is acknowledged that mirror reflects the essence and nature of person.

**Keywords:** Face symbol, modernist poetry, mirror, transformation.

## ეპა ჩხეიძე

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

### სარკის სახე-სიმბოლო ქართულ მოდერნისტულ პოეზიაში (გაფრინდაშვილის შემოქმედების მაგალითზე)

მოდერნიზმის ერთ-ერთ არსებით თავისებურებად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ ჩვეულებრივი, ყოფითი ნივთები ხშირად მისტიკურ შინაარსს იძენს, ანუ სრულიად ახალი სახით გვევლინება და ნანარმოების გასააზრებლად (ავტორის ჩანაფიქრის ამოსაცნობად) გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს. ვალერიან გაფრინდაშვილის პოეზიის ზერელე გაცნობის დროსაც კი მკითხველის ყურადღებას უთუ-ოდ მიიპყრობს ერთგვარი უნივერსალური პოეტური სახე-სიმბოლო – „სარკე“, რომელიც ლექსიდან ლექსში გადადის, ათასგვარ ვარირებასა და ტრანსფორმაციას განიცდის, მაგრამ მისი ძირითადი არსი არ იცვლება.

კვლავ სარკისადმი ჩემი ტრფობა განუკურნელი,  
ისევ და ისევ ვეოცნებე სარკის დაისებს —  
იმის სილრმიდან საიდუმლო მესმის სურნელი,  
იქნება ბროლის სერაბიმი ჩემს სულს დაეძებს!  
როცა ოვალები ივიწყებენ ცის შუშაბანდებს,  
შედამების დროს დაფერფლილი სარკე ქანაობს...  
(გაფრინდაშვილი 1990: 34)

ეს არის შემზარავი შიში, შიში საკუთარი სახის ხილვის დროს, რადგან ეს სახე აბსოლუტურად გაუცხოებულია, უცნობია, მიულებელი ან შემაშფოთებელია თავისი უცნაურობითა და ტრანსცენდენტურობით. ამ ლექსების ლირიკული გმირი სიგიჟის ზღვარზე დგას. მაგრამ ეს მიახლება სიგიჟის ზღვართან გამონვეულია არა რეალურად არსებული ფსიქოზითა თუ ნევროზით (როგორც ეს ხდება, ვთქვათ, გოგოლისა და დოსტოვერის შემოქმედებაში), არამედ წარმოსახული, პირობითად

დაშვებული პოეტური რეალობის, კოშმარის წარმოდგენით. მაშასა-დამე, ეს გარკვეული აზრით, პოზაა, სიმბოლისტური პოეზიისათვის ესოდენ საყვარელი ნიღბაბია, რომელიც მოდერნისტული ხელოვნების ერთ-ერთ ყველაზე დამახასიათებელ თემას უკავშირდება – შეხვედ-რას საკუთარ თავთან.

თავის ერთ-ერთ საპროგრამო ესსეში „სტეფან მალარმე“ ვალერიან გაფრინდაშვილი წერდა: „სარკე ხომ უდიდესი სიმბოლოა ჩვენი ყოფ-ნისა. არაფერი ისე მისტიურად არ გამოხატავს ჩვენი ყოფნის ლანდუ-რობას, ჩვენს ორობას, ჩვენს კავშირს წარსულთან და მომავალთან, როგორც სარკე“ (გაფრინდაშვილი 1919: 2). მაგრამ რატომ არის საკუ-თარი თავის შეცენბა ესიღენ მტკიცენეული და შემაძრნუნებელი? და, ამავე დროს, რატომ არის ასეთი საშიშიც? თითქოს იმართება დუელი საკუთარ ორეულთან:

ვინ არის სარკის უფსკრულიდან რომ მევლინება,  
ვისი თვალები ემუქრება ჩემს ფერმკრთალ თვალებს?  
ნუთუ მიცექირის საკუთარი ჩემი ჩვენება?  
ნუთუ ჩემს გულში მისტიური შიში იალებს?

(გაფრინდაშვილი 1990: 31)

ვალერიან გაფრინდაშვილის შემოქმედებაში შემზარავი ის არის, რომ სარკის ჯურლმულიდან „საკუთარი ჩვენება“ კი არა, უცხო სახე ამოტივტივდება, რომელიც ლირიკული გმირისათვის შემზარავი და მიუღებელია, მაგრამ ამავდროულად ცნობირდება ისიც, რომ სარკეში ჩანს არა ანარეკლი, არამედ ადამიანის არსი.

სარკის ფენომენი „ცისფერყანწელებთან“, როგორც უკვე აღვნიშ-ნავთ, პლატონის ცნობილი თეზის სახეცვლილი გამოხატულებაა: „ჩვე-ნი ცხოვრება მახინჯი ანარეკლია იდეალური სამყაროსი, რომელსაც პლატონი ჩვენს პირველყოფილ სამშობლოს უწოდებს“, – წერდა ვალე-რიან გაფრინდაშვილი (გაფრინდაშვილი 1921: 5).

რეალური და ჭეშმარიტი, მოდერნისტების აზრით, სწორედ ის არის, რაც სარკეში ჩანს, რადგან სარკე ამქვეყნიური რეალობისა და იმქვეყნიური, ტრანსცენდენტური სამყაროს ზღვარია. საშიშია ამ ზღვართან მიახლოვება, რადგან შენს საკუთარ არსს შეეფეთო და შეძ-რნუნდები, რადგან სრულიად სხვა რამეს დაინახავ, ვიდრე ელოდი. მართალია, ადამიანის არაცნობიერი ფსიქიკური აპარატის აღმიჩენა ზიგმუნდ ფროიდის დამსახურებაა, მაგრამ არანაირი მხატვრულ შე-მოქმედებაში ფსიქოანალიზი არ არის საჭირო საკუთარ თავში მეორე „მე“-ს აღმოსაჩენად და ეს მაინც და მაინც ფროიდიზმის გავლენად არ უნდა მივიჩნიოთ. საქმარისია გავიხსენოთ ედგარ ალან პოს „უილიამ

უილსონი“ ან თეოდორ დოსტოევსკის შემოქმედებითი მეთოდი – „აღ-მოაჩინო ადამიანი ადამიანში“.

თამაზ ჩხერიძელი წერდა: „პოეტი ერთხანს კიდევ „ფანტასმაგორი-ული“ ხილვების რკალში ტრიალებს, თუმცა მათში უკვე ძალუმად არის შეჭრილი რეალური შთაბეჭდილებების ნაკადი. სარკეში ალანდული სინამდვილიდან პოეტს მზერა თანდათანობით რეალურ ყოფიერებაზე გადააქვს. მისი მშვენიერი „ნუმუშების სიმღერა“, „მზესუმზირას გამყიდველი“ და „ზღვა“ ნათლად მეტყველებს ამაზე. „ზღვა“ შედევრია. დღეს შესაძლოა ამ ლექსში გახსილმა სამყარომ განცდის ისეთი შრეები აღგვიძრას, რომლებიც ყველაზე უკეთ იქნებ თანად-როულ განწყობილებას შეესაბამებოდეს. მაგრამ როგორც არ უნდა იყითხებოდეს მასში გამუდავნებული ალეგორია, ერთი ცხადია, – იგი პოეტის შინაგან სამყაროში მომხდარი ფერისცვალების გამომხატველია...“ (ჩხერიძელი 2009: 76).

ზღვას ენატრება იყოს პატარა,  
ვით უბაზესი ჩიტი კოლიბრი.  
თავისი თავი ვარსკვლავს ადარა,  
ცაზე რომ ბრნწყინავს დაუბრკოლებრივ.  
ზღვას მოეწყინა თავის სიმძიმე.  
ბუნბერაზობა, გრიგალი, მეხი.  
ნახა სიზმარში ტბა მოციმციმე  
და ჩინელ ქალის მტკიცანი ფეხი.  
ზღვას აღარ უნდა თავის სისრულე,  
თითქო წურბელა გულზე მოება:  
ულონო ტრფობით ან დაისრულა —  
სურს ბეჭდის თვალში განმარტოება,  
რომ ქინძისთავის იგრძნოს სინაზე,  
და თავის სმენით გაჰყვეს ნაკადულს,  
რომ საქანელას მსუბუქ რკინაზე  
ჩამოეკიდოს, როგორც კაკადუ.  
(გაფრინდაშვილი 1990: 125-126)

ვალერიან გაფრინდაშვილს ადამიანი წარმოდგენილი ჰყავს, როგორც ტრაგიკული არსება, „რომელიც სიკვდილამდე თავის თავს დაეძებს“, მაგრამ მასთან შეხვედრის ეშინია, რადგან საკუთარი თავის შეცნობა საშიშია – შეიძლება ნორმალურმა ფსიქიკამ მას ვერ გაუძლოს. დაბნეული, გაოგნებული და შეშინებული დგას სარკესთან ვალერიან გაფრინდაშვილის ლირიკული გმირი – გაუცხოებული უყურებს თა-

ვის ანარეკლს და იწყება ის მისტიური დუელი გაუცხოებულ საკუთარ თავთან, რომელიც ძალიან ჰგავს კოშმარულ ხილვას:

დუელს ერთმანეთს ვპირდებოდით ბოროტ მინაში,  
როგორც ლურჯ გედის მოტრფიალე ფალავანდები.  
აი, ცბიერად აქანდაკდა ის ჩემ წინაშე,  
თითქოს მაშინებს საზიზღარი მისი ფანდები.  
(გაფრინდაშვილი 1990: 66)

ეს ის სიგიჟის ზღვარია, რომელმაც შეიძლება თვითმკვლელობამდე მიიყვანოს **საკუთარ თავთან გაუცხოებული ადამიანი**:

ზრდილობიანი, ვით მსახური მაწვდის იარაღს,  
როცა დამბაჩას დავუმიზნებ, მიეფარება...  
საშინელ სარკეს და სიჩუმეს სვამს, როგორც არაყს,  
შემდეგ ფრთიანი ავაზაკობს და მეპარება.

შემომთავაზა ორეულმა სამართებელი:  
ერთად ვიპარსავთ – ის ბროლში და მე სიცხადეში.  
და, თუ დაიჭრა სამუდამო ჩემი მხლებელი,  
სწრაფად ჩავყვინთავ სასიკვდილო სარკის ბადეში.

ის დანით ყელთან მიცქერის, ვით თავის მკვლელი...  
ისევ ერთმანეთს ვაკვირდებით, როგორც ჯაშუშებს.  
ხელის გაქნევას უკანასკნელს იმისგან ველი  
და ჩემს იარებს მოურჩენელს ვერ დააშუშებს.

(გაფრინდაშვილი 1990: 66)

როდესაც ქართველი მეცნიერები „ცისფერყანწელთა“ ევროპულ თუ რუსულ მოდერნიამთან სიახლოვეზე მსჯელობენ, ძირითადად მხედველობაში აქვთ მსგავსება მხატვრული მეთოდის, ლიტერატურული სტილის თვალსაზრისით. შედარებით იშვიათია საუბარი თემატური პარალელების შესახებ, თუმცა კი ეს უფრო მნიშვნელოვანი და საგულისხმო უნდა იყოს. ვალერიან გაფრინდაშვილის შემოქმედებაში ძალზე მწვავედ დგას იმ სულიერი დისკომფორტის პრობლემა, ესოდენ აქტუალური თემა რომ არის მთელი XX საუკუნის ხელოვნებისათვის. მისი პოეზიის ლირიკული გმირის დაუმთავრებელი დუელი საკუთარ თავთან – ანუ „მე“-ს გაორების ტრაგიკული შეგრძნება – ეს არის შიში იმ იდუმალი და შეუცნობი სამყაროს წინაშე, სადაც აღარსად ჩანს უზენავისი წესრიგი, აბსოლუტური სიკეთე, ღვთიურ ჰარმონიას რომ ანიჭებდა სამყაროსაც და ადამიანსაც. დისპარმონიულ სმყაროში ყა-

ლიბდება ისეთი მსოფლგანცდა, რომელიც ხელოვნების თემად ირჩევს საშინელს ან მახინჯს. ერთ ესსეში ვალერიან გაფრინდაშვილი წერდა: „დღოსტოვესკი (მისი კულტი ენათესავება მახინჯის კულტს) ამბობდა: პროზაული, მეტად პროზაული ფანტასტიურში გადადის. ამ თვალსაზრისით ჩვენ შეგვიძლია გავიგოთ მახინჯი, როგორც არა ჩვეულებრივი, ასალი. ბოლოს და ბოლოს ხელოვნება იმდენად არის მისაღები, რამდენადაც ის იძლევა საიქიოს წინათვრდნობას. მახინჯი ირრაციონალურია და ის აკმაყოფილებს ჩვენს პოეტურ მოთხოვნილებას და ლტოლვას საიქიოსადმი“ (გაფრინდაშვილი 1921: 5).

ეს არ არის ევროპული ლიტერატურული სქემების გადმოღება და უცნაურობით თავის მოწონება, როგორც ერთი პერიოდი თვლიდა ჩვენი ლიტერატურათმცოდნეობა. XX საუკუნის ევროპული მწერლობა ისევე ტრაგიკულად განიცდის გაუცხოებას საკუთარ თავთან თუ სამყაროსთან და ისევე მძაფრი დრამატიზმით ხატავს უჩვეულო, მანამდე მხატვრული აზროვნებისათვის სრულიად უცხო, კოშმარულ ხილვებს, როგორც ვალერიან გაფრინდაშვილის შემოქმედებაში ვხვდებით, მაგალითად ლექსში „ნაფტალინის დედოფალი“:

გარდერობიდან იგი გამოდის,  
როგორც ნარაოს, აისვრის ხელებს.  
მას უყვარს უჯრა ჩემი კამოდის.  
და შიგ დაეძებს ზამთრის ჩურჩელებს.

ის ჩემს ბინაში დადის უაზროდ.  
თავის ყოფაში მან დამაჯერა.  
მაგრამ დამალვა კიდევ მოასწრო,  
როს დავაპირე მისი დაჭერა.  
(გაფრინდაშვილი 1990: 137)

ვალერიან გაფრინდაშვილი ხშირად აცვიფრებს მკითხველს თავისი მხატვრული ოსტატობითა უჩვეულობისა თუ მოულოდნელობის ეფექტით. რაც უფრო რეალური და კონკრეტულია ცალკეული თვისება, მით უფრო აბსურდულია და კოშმარული ეს ხილვა:

„ის ცბიერია, თუ ჩავიკეტე,  
მაინც მეწვევა მაღალ სურნელით.  
ის ჩემს ყელსახვევს ხშირად იკეთებს  
და არის ქურდი განუკურნელი“.  
(გაფრინდაშვილი 1990: 137)

გარე რეალობას, სიმბოლისტების აზრით, ლოგიკური, რაციონალისტური აზროვნებით ვერ შეიმეცნებ. მისი შეცნობა მხოლოდ ინტეიტურად – ხელოვნების გზით- არის შესაძლებელი. სიგიურს, თრობასა და თავდავიწყებას უნდა ეზიაროს შემოქმედი, ჭეშმარიტების არსა რომ მიუახლოვდეს. „ხელოვნება ღმერთია, რომელიც მოითხოვს მსხვერპლად ადამიანის სიცოცხლეს“ (გაფრინდაშვილი 1919). პოეტს ადამიანი წარმოდგენილი ჰყავს, როგორც ტრაგიკული არსება, როგორც ერთგვარი კასპარ ჰაუზერი, „რომელიც სიკვდილამდე თავის თავს დაეძებს“. მაგრამ იმავე პოეტის გააზრებით, სინამდვილეში მას არ უნდა, რომ საკუთარი თავი იპოვნოს, ჩაწვდეს საკუთარ არსება... დოსტოევსკის პერსონაჟებიც ისევე ძრნიან, როდესაც პიროვნება „იხ-სნება“, როგორც ვალერიან გაფრინდაშვილის ლირიკული გმირი. მის შემოქმედებაში ნათლად ჩანს XX საუკუნის ხელოვნებისათვის დამახა-სიათებელი ერთი უაღრესად მნიშვნელოვანი თემა: ადამიანს ეშინია არა მარტო გარე სინამდვილის, მას ეშინია საკუთარი თავის, რადგან არც სამყაროში და არც პიროვნების შინაგან სამყაროში არსადა ის უზენაესი წესრიგი, რომლისაც ესოდენ სწამდა კლასიკურ ლიტერატურას.

ასე მწუხარედ რად მიცექრი, მწუხარე ლანდო,  
ჩემი წამება, ულმობელი, შენ ვინ მოგანდო?  
გინ გაგიმთვარა აგზნებული, ტანჯული სახე –  
სარკის მორევში ათრთოლებით რომ დავინახე?  
გადიდდა სარკე – ზვირთებიან ზღვად გარდაქმნილი –  
და მის ტალღებში იძირება ჩემი აჩრდილი.  
(გაფრინდაშვილი 1990: 31)

დღეს, გარკვეული დისტანციის გავლის შემდეგ, უფრო ობიექტურიცაა და უფრო იოლიც იმ მშფოთვარე ლიტერატურულ ცხოვრებაზე მსჯელობა, რომელმაც წარმოშვა ქართული მოდერნიზმი. სავ-სებით გასაგებია ჩვენი ცხოველი ინტერესი XX საუკუნის 10-20-იანი წლების მღელვარე ლიტერატურული პაექრობის მიმართაც. დააბაულ ინტელექტუალურ ჭიდილსა და ძიებებში იქმნებოდა ქართული მო-დერნიზმისათვის დამახასიათებელი ძალზე ორიგინალური მხატვ-რული სახეები და სიმბოლოები. საოცარი კულტურული აღმავლობა, სამწუხაროდ, ბოლშევიკურმა ცენზურამ და 30-იანი წლების სატიკმა რეპრესიებმა შეაჩერა და შემედ საბოლოოდ ჩაკლა კიდეც. ძალზე თავისებურად, მაგრამ ზუსტად გამოხატავს „დავიწყებული“ პოეტების (ფონტანე, ფელიქს არვერი, იმბერ გალუა, ლუი ბერტრანი, ტეოფილ დონდეი, პეტრუს ბორელი) შესახებ გაფრინდაშვილის მიერ ნათქვამი

სიტყვები: „ისინი დამარცხდნენ საზოგადოების მიერ აღიარებულ უნიჭობისგან. ისინი პოეტები იყვნენ და ვერ იყვნენ თავისი ლექსების კომივოიაჟორები. ისინი არიან პოეზიის ბენიამინები და ბოგემის უდროოდ დაღუპული გამლეტები“ (გაფრინდაშვილი 1920: 2-3).

იმედი ვიქონიოთ, რომ ისე არ გადატრიალდება ბედის ბორბალი, რომ საქართველოში საზოგადოებამ „ცისფეი ორდენის“ რომანტიკული ძმობა დაივინყოს და დიდი ხნის შემდეგაც გაისმება ვალერიან გაფრინდაშვილის ტრაგიკული ხმა:

ვით ძველი კიბე ჩაინგრევა ქუჩა ცბიერი.  
დამსხვრეულ დღეებს დაისებში არ ჰყავთ მაშველი  
და ისე, როგორც ეშაფოოტზე რობესპიერი,  
თავის სარკიდან დაიკივლებს გაფრინდაშვილი.  
(გაფრინდაშვილი 1990: 83)

#### დამონვებანი:

**გაფრინდაშვილი 1920:** გაფრინდაშვილი ვ. „ბოგემა“. მშვილდოსანი, № 2-3. 1920.

**გაფრინდაშვილი 1919:** გაფრინდაშვილი ვ. „მსახიობი“. ხელოვნება, № 2. 1919.

**გაფრინდაშვილი 1919:** გაფრინდაშვილი ვ. „სტეფან მალარმე“. მეოცნებე ნიამორები. № 2. 1919.

**გაფრინდაშვილი 1921:** გაფრინდაშვილი ვ. Terror antiquus. „მეოცნებე ნიამორები“, № 5 1921.

**გაფრინდაშვილი 1990:** გაფრინდაშვილი ვ. ლექსები პოემა თარგმანები ეს-ები წერილები მწერლის არქივიდან. თბილისი: 1990.

**ჩხერიელი 2009:** ჩხერიელი თ. „გალერიან გაფრინდაშვილის ლექსები“. XX საუკუნის ქართული ლიტერატურა. ტ. V თბილისი: 2009.

**96 ესსე 1986:** ქართული ლიტერატურული ესსე. XX საუკუნის 20-იანი წლები. თბილისი: 1986.

**MAIA TSERTVADZE**

*Georgia, Tbilisi*

*Iber-Info company*

## **The Emigre Poet Giorgi Gamkrelidze and the “Tsisperqantselebi”**

The distinguished Georgian emigre poet, translator and researcher, Giorgi Gamkrelidze (1903-1975) is one of those, who during his living in Georgia had tight connections with the Society of the Poets, called the “Tsisperqantselebi” (The Blue horns).

The paper is dedicated to the relations between Giorgi Gamkrelidze and the “Tsisperqantselebi” which broadens our knowledge about the lives and works of the Georgian symbolist poets as well as shows the existed viewpoints and recollections about them in the different emigration circles. The study represented from this way is important for the Georgian literature and for the history of emigration itself.

**Key words:** Giorgi Gamkrelidze, Georgian emigration, Georgian symbolist poets, Tsisperqantselebi

**მაია ცერცვაძე**  
საქართველო, თბილისი  
კომპანია იბერ-ინფო

## **ემიგრანტი პოეტი გიორგი გამყრელიძე და „ცისფერყანწელები“**

თვალსაჩინო ქართველი ემიგრანტი პოეტი, მთარგმნელი და მკვლევარი გიორგი (გუგული) გამყრელიძე, რომლის ურთიერთობას „ცისფერყანწელებან“ ეძღვნება ნარმოდგენილი მოხსენება, დაიბადა 1903 წლის 4 ნოემბერს ზემო იმერეთში, ჭიათურის რაიონის სოფელ ზოდში, შავი ქვის მრეწველის მიხეილ კაციას ძე გამყრელიძის (1879-1962) ოჯახში. იგი სწავლობდა ქუთაისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში, სადაც დააარსა და თავადვე რედაქტორობდა ჟურნალს „ბალდადის წეროები“. გრიგოლ ზოდელის ფსევდონიმით მან გამოსცა ლექსების ორი კრებული: 1920 წელს „შემოდგომის ჭიანურები“, ორი წლის შემდეგ – „დალურსმული ხელები“.

1923 წელს გიორგი გამყრელიძე სწავლის გასაგრძელებლად გაემზავრა გერმანიაში, სადაც მამის სურვილითა და ცნობილი მრეწველის ვარაზაშვილის მზრუნველობით შევიდა ქალაქ კიოტენის ტექნიკური სასწავლებლის სამთო-საინჟინრო ფაკულტეტზე. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მან გერმანელი ქალი შეირთო და მიუნხენში დამკვიდრდა. 1941 წელს საცხოვრებლად გადავიდა ამერიკის შეერთებულ შტატებში და ცხოვრობდა ჯერ ტეხასის შტატში, დალასში, ხოლო 1957 წლიდან – ვაშინგტონში. იქ დაიცვა მან ხარისხი ხელოვნებათმცოდნეობაში, მუშაობდა ვაშინგტონის ბიბლიოთეკის აღმოსავლური მხატვრული ლიტერატურის განყოფილებაში, ასევე რადიო „ამერიკას ხმის“ ქართულ რედაქციაში. ფლობდა რამდენიმე უცხო ენას, ორგინალში ეცნობოდა და თარგმნიდა უცხოური ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშებს.

ემიგრაციაში ყოფნისას გიორგი გამყრელიძემ გამოსცა კრებულები: „ლურჯი მონოკლი“ 1932 წელს პარიზში და „გვიანი რთველი“ 1960 წელს სანტიაგო დე ჩილეში. ეს უკანასკნელი კრებული 2011 წელს ხელახლა გამოიცა საქართველოში პოეტის შთამომავლის, მისი უმცროსი დის ქეთევანის (1919-1992) შვილიშვილის კონსტანტინე ზ. გამსახურდიას რედაქტორობით.

პოეტი ნაყოფიერად თანამშრომლობდა ემიგრანტულ ჟურნალ-გაზეთებთან: „ბედი ქართლისა“, „თავისუფალი ტრიბუნა“, „კრებული“ და სსვ., მეგობრობდა და მიმოწერა პეტრი თვალსაჩინო ქართველ ემიგრანტებთან გრიგოლ რობაქიძესთან, მიხაკო წერეთელთან, ვიქტორ ნოზაძესთან, ნინო და კალასტრატე სალიებთან...

1972 წელს გიორგი გამყრელიძე მეულლესთან ერთად ევროპაში დაბრუნდა და დასავლეთ გერმანიაში, კვლავ მიუნხენში დასახლდა, სადაც 1975 წლის 19 მაისს გარდაიცვალა. დაკრძალულია იქვე (მარადე 1991: 268-279). პარიზში გამომავალ ქართულენოვან ჟურნალ „კავკასიონის“ 1976 წლის ნომერში ნეკროლოგის სახით ემიგრანტ პოეტზე დაიბეჭდა გიორგი ნოზაძის წერილი (ნოზაძე 1976: 92).

გიორგი გამყრელიძის ბიოგრაფიისა და შემოქმედების კვლევას ნაშრომები უძღვნეს ქართველმა მკვლევარებმა გ. შარაძემ, რ. დაუშვილმა, რ. ნიშნიანიძემ, ა. ნიკოლეიშვილმა, მ. ცერცვაძემ...

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ემიგრაციაში გამგზავრებამდე, საქართველოში ყოფნისას გიორგი გამყრელიძეს ახლო ურთიერთობა პეტრი „ცისფერყანწელთა“ ორდენთან. იგი მეგობრობდა პაოლო იაშვილთან (1894-1937), ტიციან ტაბიძესთან (1895-1937), ვალერიან გაფრინდაშვილთან (1888-1941) და სხვა სიმბოლისტ პოეტებთან. ზოგიერთ მათგანს (პაოლო იაშვილი, ალი არსენიშვილი (1892-1939)) ენა-

თესავებოდა კიდეც. პაოლო ჩემი ნათესავი და ჩემი კუთხიდან იყო, ერთმანეთის ავი და კარგი ვიცოდითო, აღნიშნავს ემიგრანტი პოეტი თავის მემუარებში, ალი არსენიშვილზე კი წერს, ჩემი ნათესავი ქალი ჰყავდა ცოლადო (ცერცვაძე 2016: 51). გიორგი გამყრელიძის დიდი ბაბუა მალხაზ სიმონის ძე გამყრელიძე დაქორწინებული იყო პაოლო იაშვილის მამიდაზე, მამამისის ჯიბრაილ (ჯიბო) (1864-1936) იაშვილის დაზე ცისიაზე. პაოლოს უმცროსი ძმა, 1924 წელს შორაპანში, ვაგონში დახვრეტილი ვასილი (ენერიკო, ჭუნია) (1899-01.09.1924) კი მისი თანაკლასელიც იყო. ცისფერყანწელ პოეტს ალი არსენიშვილს „ცოლად ჰყავდა პაოლოს დეიდაშვილი ფროსიკო აბაშიძის ქალი (სავანი-დან)“ - ვკითხულობთ პაოლო იაშვილის შვილიშვილის, მერაბ ნიუარაძის საიჯახო არქივში დაცულ გიორგი აბზიანიძის მოგონებაში პაოლო იაშვილზე (ლომჯარია 2016: 33).

გიორგი გამყრელიძის ერთი ლექსი „უცხო თვალები შუშაბანდში“ გრიგოლ ზოდელის ფსევდონიმით დაიბეჭდა „ცისფერყანწელთა“ ჟურნალ „მეოცნებე ნიამორების“ 1922 წლის ნოემბრის მე-7 ნომერში (ლიტერატურული ჟურნალები... 2011: 95).

„ცისფერყანწელთა“ პოეტური ორდენის წევრებს პაოლო იაშვილს, ვალერიან გაფურინდაშვილს და სხვებს, აგრეთვე მათ თანამედროვე სხვა პოეტებს გიორგი გამყრელიძე იხსენებს საგულისხმო მემუარებში „მოგონებები ქართველ პოეტებზე“, რომელიც ავტორის გარდაცვალების შემდეგ 1978 წელს პარიზში გამომავალ ჟურნალ „კავკასიონში“ დაიბეჭდა (გამყრელიძე 1978: 40-46). მემუარები საყურადღებო წყარო XX საუკუნის დასაწყისის ქართული საზოგადოებისა და ლიტერატურის ისტორიისათვის. ტექსტის დასაწყისში გიორგი გამყრელიძე აღნიშნავს, რომ იგი 1920 წლის ამბებს იხსენებს. სავარაუდოდ, მთელი მოგონებაც საქართველოს პირველი დამოუკიდებელი რესპუბლიკის ქართულ სინამდვილეს ასახავს.

მემუარების ფურცლებზე დიდი ადგილი ეთმობა ეპიზოდებს პაოლო იაშვილისა და ვალერიან გაფურინდაშვილის ცხოვრებიდან, რომელთაც ქვემოთ განვიხილავთ. ციტირებული ტექსტი აღნიშნული მემუარებიდან მოგვყავს რედაქციული ჩარევის გარეშე – მემუარისტის სტილი, ორთოგრაფია და პუნქტუაცია დაცულია.

საგულისხმოა მოგონებების ეპიზოდი, სადაც აღნერილია, როგორ გადააწყდა 1920 წლის ნოემბრის ერთ სუსხიან დილას მემუარისტი, იმ-ჟამად თბილისის ყოფილი სათავადაზნაურო გიმნაზიის მონაცე პაოლო იაშვილსა და მის გუნდს რუსთაველის პროსპექტზე. გიორგი გამყრელიძე უკვე ცნობილი პოეტებისადმი თავის მოკრძალებულ დამოკიდებულებას აღნიშნავს:

„მოულოდნელად წავანყდი ქართველი პოეტების გუნდს. წინ პაოლო მიუძღვოდა. უკან გროვად მოსდევდა ალი არსენიშვილი, ტი-ციან ტაბიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი, რაჭდენ გვეტაძე და კიდევ სამი თუ ოთხი სხვა პირი, რომელთაგან ზოგს სულ არ ვიცნობდი, ზოგის სახელიც კიდევ გადამავიწყდა. ეტყობოდათ ჩვენი მოწინავე ახალი პოეტები ნაქენიფარნი იყვნენ, შეზარხოშებულნი და ხმა მაღლა ლაპარაკობდნენ. მე მაშინ სრული ჩვიდმეტი წლის ვიყავი: მეტად მორცხვი და ჩუმი, განსაკუთრებით პატივსაცემ და პრძენ უფროსთა მიმართ. მე კი ჩვენ პოეტებზე უფრო პატივსაცემი და სიბრძნით სავსენი არავინ ამქვეყნად არ მეგონა. ამიტომ ვარჩიე, რომ ამ მოულოდნელად შეჩერებულ გუნდს შეუმჩნევლად გავძრობოდი. მაგრამ ეს ასე ადვილად არ მოხერხდა. უკვე გვიან იყო დავმალულიყავ – მეტად ახლო შევეფეოთე მათ. როცა მაინც გვერდი აუარე მათ, თითქოს არ შემეტნიოს ისინი და მარჯვნით გადახვევა დავაპირე, უეცრად პაოლომ დამიცაცხანა – „ჰეი, სად მიდიხარ, აქ მოდიო“. რაღა გაეწყობოდა, დარცხვენით შეჩერდი, ისე, თითქოს რაღაც უკულმართობაზე დავეჭირეთ“ (გამყრელიძე 1978: 40). პოეტები ჭაბუკს გასაუბრებიან, მისი ოჯახის წევრები მოუკითხავთ და სიცივეში უპალტოოდ გამოსვლისთვის დაუტუქსავთ. შემდევ მას ვალერიან გაფრინდაშვილი გამოსარჩლებია და შინაც მიუპატიუებია მისი ლექსების გასაცნობად. „რას მოსდეგით ახალგაზრდას, ხომ ხედავთ სისხლი მაჭარივით უდუღს, ეხლაა მაგის საუკეთესო სიჭაბუკის დრო. რა გააცივებს? გაუშვით სკოლაში, აქ თუ დიდხანს გავაჩერეთ იქნებ მართლაც გაცივდეს“-ო. მე კი მხარზე ხელი დამარტყა და მითხრა მასთან მივსულიყავი და ახალი ლექსები მიმეტანა“ (გამყრელიძე 1978: 41).

გიორგი გამყრელიძე პიროვნულად ახასიათებს პაოლო იაშვილს და მისი გულითადობის, უანგარობის, ვაჟკაცობის, მეგობრებისათვის თავდადებისა და გაჭირვებულის დახმარების უნარის ნათელსაყოფებისა და აცოცხლებს. „თუ პაოლო მშიერისა და სუსტის დამხმარე იყო, და მასთან თავმდაბალი, სამაგიეროდ ამაყთან, ღონიერთან და ამპარტავანთან, დაუთმობი და შეუპოვარი. თანაც ღვთის მადლით, არც ჯან-ლონე აკლდა და არც გულადობა. არ უყვარდა ვინმეს მიერ ტრაბახი და ტყუილები და არავის დაჩაგვრისა და შეურაცყოფის ცდას არ შეანევდა. ამ მხრივ ის ხშირად თავის მეგობრებსაც უწევდა ხოლმე სამსახურს, თუ ისინი მართალი იყვნენ“ (გამყრელიძე 1978: 44).

გიორგი გამყრელიძე იგონებს ერთ საღამოს, როცა თავისი ლექსის შესაფასებლად პაოლოს შინ ესტუმრა. პაოლო გვიან ღამით დაბრუნებულა და ოჯახის წევრებისაგან მისთვის ჩვეულებისამებრ შემონა-ხული ვახმამი მთლიანად გაუტანებია შინ მიყოლილი მეგობარი პოეტე-

ბისთვის ტერენტი გრანელისა (1897-1934) და გიორგი საგანელისათვის (1889-1922), რომელებიც ნივთიერად მეტად შეჭირვებული იყვნენ. „გულეკეთილი, ხელგაშლილი და გამკითხავი იყო პაოლო... არავს ის არ დახმარებია მისი დიდი სახელისათვის, ან რამე სამაგიეროს გადახდის მოლოდინში“ – აღნიშნავს მემუარისტი (გამყრელიძე 1978: 43).

საინტერესოა კიდევ ერთი ეპიზოდი პაოლო იაშვილის ცხოვრები-დან. იგი უკავშირდება პოეტსა და რედაქტორ-გამომცემელს, შ. რუს-თაველის ეროვნულ-ხალხოსნური და საზოგადოებრივ-თემოსნური ჯგუფ-პარტიის დამაარსებელს ევგენი დვალს (ლიტერატურული ფსევდონიმები „ევ. ბაჯელი“, „რაჭველი“). ევგენი დვალი აქტიურად იყო ჩაბმული მე-20 საუკუნის დასაწყისის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და ლიტერატურულ პროცესებში. მემუარისტის გადმოცემით იგი გოლიათური აღნავობის, უაღრესად პატივმოყვარე და განდიდების მანიით შეპყრობილი ადამიანი ყოფილა – ხშირად ეტოლებოდა, ლანდღავდა და თაგს ესხმოდა „ცისფერყანელებს“, გალაკტიონ ტაბიძეს და სხვა პოეტებს. თავის ერთი ლექსში იგი თურმე „ტაბიძეებს, გალაქტიონს და ტიციანს „თავმომბალთ“ ეძახდა, სხვებს კიდევ უარეს რამეს. განსვენებულ გრიგოლ რობაქიძეს – „ბაზრით დასაბამ გიყს“ და ასე შემდეგ, ხოლო პაოლო იაშვილზე ამბობდა ლექსის ბოლოში, რომ ის „ჩემ ბრწყინვალებასთან თითქმის მქრალია“ – (გამყრელიძე 1978: 45). მეგობრების ლანდღვით განაწყენებულ და შეურაცხყოფილ პაოლოს გადაუწყვეტია მისთვის პასუხი მოეთხოვა, დაეტუქსა და თუ საჭირო გახდებოდა, სილაც გაეწნა. ისე კი მომხდარა, რომ იგი უგონოდ მთვრალ ბუმბერაზ ევგენი დვალს ალექსანდრეს ბალში შეღამებულზე გადაჰყრია სწორედ იმ დროს, როცა ის სრულიად უმწერ ბებუთით შეიარაღებულ მძარცველებს ებრძოდა. პაოლოს დახმარება რომ არა, რომელსაც მაშინვე გაუძრია პიჯაკი და შებმია თავდამსხმელთ, მას აშკარა სიკვდილი ელოდა. პაოლოს თავგამოდებით გულმიცემული ევ-გენი დვალი გამოცოცხლებულა, მათ ერთად უცემიათ ხულიგნები და მალევე გაუქცევიათ. ამ ინციდენტის შემდეგ ევგენი დვალს ბოდიში მოუხდია გრიგოლ რობაქიძესა და ტიციან ტაბიძესთან. გალაკტიონ ტაბიძეს კი მისი ამ გამოხტომისათვის ყურადღება არც მიუქცევია.

პაოლოს იაშვილს, მის ტრაგიკულ აღსასრულს გიორგი გამყრელიძემ თრი ლექსი უძლვნა. პირველი ლექსი – „პაოლო იაშვილის ხსოვნას“ დაწერილია 1946 წელს და შეტანილია პოეტის კრებულში „გვიანი რთველი“, რომელზეც გრიგოლ რობაქიძემ 1962 წელს პარიზში გამომავალ უურნალში „პედი ქართლისა“ (39-40) გამოაქვეყნა სარეცენზიონერილი: „გვიანი რთველი“ გიორგი გამყრელიძისა“. დასახელებული ოთხსტროფიანი ლექსი მწერალმა კრებულის საუკეთესო პოეტურ ნი-

მუშთა, მისივე თქმით, „შაირთა“ რიცხვში მოიხსენია (რობაქიძე 2012: 302).

შენ მოგეწყინა შექსპირი და ყვითელი დანტე,  
მაგრამ რუსთველის გწვავდა ცეცხლი და ხვაშიადი.  
ფარშევანგებით შემორკალე მუქი წყვდიადი,  
ახალ შაირის ჩირალდანი როცა აანთე.

უალდის შალი, ყელსახვევი და ხელთათმანი  
გხიბლავდა მეტად. (ხეტიალში გაცვითე ბევრი).  
მაგრამ გიყვარდა უფრო მეტად კალო და კევრი  
და ზემოური უტყური სწორი ბათმანი.

იყავ შუქურა პოეზიის კაშაშა ცაზე,  
შეტრფოდი კწუტებს და რქა ალმას ღვინია ხარებს.  
ლექსები, ღვინო და მწვადები აღარ გახარებს, -  
ნახვედი ასე შეამიან და ნამებულთ გზაზე.

მაგრამ შენ სახელს დააფენენ დაფნას და იას  
და ვინც ახსენებს პოეტების სახელებს მზიანს:  
გრიგოლს, ტიციანს, გალაქტიონს და ვალერიანს,  
ის შენს სახელსაც პირველ შორის მოიხსენიებს.

(გამყრელიძე 2011: 99)

რაც შეეხება გიორგი გამყრელიძის მეორე ლექსს „პაოლო იაშვილის სახსოვრად“, იგი დაბეჭდილია მის მეორე კრებულში: „ლექსები, მოთხრობები და ნარკვევები ფრინველებზე“, რომელიც პოეტმა 1963 წელს ვაშინგტონში გამოსცა. ეს მისი უკანასკნელი წიგნია და ოცდა-სუთ ორიგინალურ ლექსთან ერთად მოიცავს უცხოელ ავტორთა (პოლ ვერლენი, არტურ რემბო, შარლ ბოდლერი, ფონ ჰოფმანსტალი, ჰაინრიშ ჰანე, იოჰან ვოლფგანგ გოეთე, ფრიდრიშ შილერი, ჰერმან ჰესე, რობერტ ფრონსტი...) პოეტური ნიმუშების დედნებიდან შესრულებულ თარგმანებსაც. მათგან საგანგებო აღნიშვნის ღირსია ედგარ პოს „ყორანის“ თარგმანი.

შენ მოგეწყინა შექსპირი და ყვითელი დანტე,  
მაგრამ რუსთველის გწვავდა შუქი და ხვაშიადი.  
ფარშევანგებით შემორკალე მუქი წყვდიადი,  
ახალ შაირის ჩირალდანი როცა აანთე.

ყველა საყელო გახელებდა და ხელთათმანი.  
ღვინის სარდაფში გითევია შენ ღამე ბევრი.

გენატრებოდა ზემოური კალო და კევრი და არგვეთული უტყუარი სწორი ბათმანი.

იყავ შუქურა პოეზიის კაშაშა ცაზე,  
შესტრფოდი კნუტებს და რქა-ალმას ლვინია ხარებს.  
მკაცრი დღეების ქარიშხლებმა არ გაგახარეს-  
და რემბოს „მთვრალი ხომალდი“ -ვით გაიჭერ ზღვაზე.

და დღეს, ვით წინად, ვით ოდესლაც პატარა ბიჭი -  
ვფურცლავ შენს ლექსებს; ჩამოძენდილ ალადასტურებს  
და ყველა ბგერა, ყველა რითმა მე მიდასტურებს;  
რომ იყავ მართლაც, დიდი მხატვრის ხალასი ნიჭი.

ასე მგონია, რომ რთველში ხარ... შეხარი ვაზებს,  
დოვლათი ყურძნის საწნახლებში აღარ ეტევა...  
მე მოვალ ჩუმად... შენ ქარვისფერს მოსწყვიტავ მტევანს  
და ბაგე გამშრალს, გულგახსნილი შემომთავაზებ.

(გამყრელიძე 1963: 37)

ლექსს კრებულში თარიღი არ აქვს მიწერილი.

როგორც ვხედავთ, უკანასკნელი ლექსი პირველისგან განსხვავე-  
ბით ხუთსტროფიანია. მიუხედავად იმისა, რომ მეორე მიძღვნით ლექს-  
ში რამდენიმე სტრიქონი პირველისას ზუსტად ემთხვევა, იგი მაინც და-  
მოუკიდებელ ლექსად უნდა ჩაითვალოს და არა პირველის ვარიანტად.  
ორივე მათგანში საცნაურია ერთგვარი პოეტური იმიტაცია, პაოლო-  
სეული მხატვრული სახეები, რითმები, ინტონაციები...

საყოველთაოდ ცნობილია გრიგოლ რობაქიძისა და „ცისფერყან-  
წელების“ განსაკუთრებული ურთიერთდამოკიდებულების ამბავი. ეს  
უკანასკნელი მას უფროს მეგობრად და დიდ ავტორიტეტად მიიჩნევდ-  
ნენ. ემიგრაციაში მყოფი გრიგოლ რობაქიძე გიორგი გამყრელიძისადმი  
გაგზავნილ წერილებში ხშირად იხსენებს სამშობლოში დარჩენილ სიმ-  
ბოლისტებსა და მათ ტრაგიკულ ხედრს.

1955 წლის 11 ივლისის პირად წერილში გრიგოლ რობაქიძე ადრე-  
სატს მაგალითად უსახავს ლექსის თხზვის პაოლოსეულ წესსა თუ მანე-  
რას. „გრიგორი და ვიმეორებ: შაირს ეჭირვება „ხელოვნური გადამუშავე-  
ბა. – პაოლო. მართალია შენი აზრი: იგი ყოველთვის „ერთს ხომალდზე“  
იდგა. „თითქმის“ – მივუმატებდი. რით აიხსნება ესე? პაოლოს, გეცო-  
დინება, სანადიმო სიტყვა შეეძლო „ზმებით“ (რითმებით) წარმოეთქვა.  
ხოლო შაირს იგი ასე „უცბურად“ არ ექცეოდა. შაირი მისთვის ნამდ-  
ვილი დღესასწაული იყო სიცოცხლისა. დიდ ხანს, ძალიან დიდ ხანს,

ამუშავებდა მას შინაგან. აქედგან: მისი „ერთს ხომალდზე“ დგომა. ასე ვხსნი მე ამას“ (რობაქიძე 2012: 622).

პაოლო იაშვილის აჩრდილი მისი თვითმკვლელობიდან თითქმის ორი ათეული წლის შემდეგაც არ ასვენებდა უცხოეთში გადახვეწილ მეგობრებს: „გზმანებია სიზმარში პაოლო, რომელიც 32 წლის განმავლობაში არ გზმანებია. ასენა ამისა შეუძლებელია. შესაძლოა ჩემ მიერ ხსენებამ პაოლოსი, შენდამი მომართულ ბარათში, იმოქმედა“ - როგორც შენ იგულვებ - სწერდა გრიგოლ რობაქიძე გიორგი გამყრელიძეს 1955 წლის 18 იანვარს (რობაქიძე 2012: 617).

საგულისხმოა გიორგი გამყრელიძის, როგორც პოეტის გრიგოლ რობაქიძისეული დახასიათება და შეფასება მისი პოეზიისა. იგი მას პაოლო იაშვილს ადარებს: „გიორგი გამყრელიძე ცნობილია ქართულ ემიგრაციაში. იგი ნათესავია პაოლო იაშვილის: არა მარტო სისხლით – მგოსნური გზნებითაც. ხოლო ამ გზნებაში იგი თავისებურია. მას აქვს საკუთარი ლირიული ხმა“ (რობაქიძე 2012: 211).

საინტერესო კვლევად გვესახება გიორგი გამყრელიძის პაოლო-სეული „მგოსნური გზნების“, ასევე მის ლექსებზე ქართველ სიმბოლისტთა მოტივების, ვერსიფიკაციული ტექნიკისა და პოეტიკის გავლენის შეწავლა. სამაგალითოდ მოვიყვანთ ერთ ნიმუშს გიორგი გამყრელიძის ლექსიდან „ამსხვრევდნენ მძიმე ჩაქუჩებით“ (1926): „არვინ უნთებდა თაფლის სანთელს საწყალ დედაშენს / ხახულის ხატთან ფეხშიშველი რომ დადიოდა“ (გამყრელიძე 2011: 32) (მდრ. პაოლო იაშვილის „ნერილი დედას“: „დედა! ინახულე / შენ წმინდა ხახული! / წადი ფეხშიშველი“ (1916, გრიგოლ რობაქიძის ცნობით – 1921 – მ. ც.) (იაშვილი 2004: 32)). თუმცა ამ საკითხების კვლევა სცილდება ჩვენი გამოკვლევის მიზანს და მას სამომავლოდ ვიტოვებთ.

ზემოხსენებილი მემუარების ფურცლებზე გიორგი გამყრელიძე ვალერიან გაფრინდაშვილთან მეგობრობაზეც მოგვითხრობს. ის და სხვა მისი მეგობარი ახალგაზრდა პოეტები ხშირად სტუმრობდნენ მას და საკუთარ ლექსებს მონიშვილით აცნობდნენ.

„ჩვენ წაუკითხავდით, მაგრამ როგორც სჩანდა, არ იყო ის კმაყოფილი ჩვენი კითხვით. გამოგვართმევდა ლექსს, ჯერ თვალით ნაიკითხავდა, შემდეგ ხმამაღლა გასაგონად. არ მახსოვს, რომ მას ვინმეს ლექსი ან დაენუნებინოს, ან გაეკიცხოს ვინმე სუსტი ან უვარგისი ლექსის დაწერისათვის და ჩვენც ვასწორებდით ხოლმე. ასეთ შეხვედრას თან მოსდევდა ნამდვილი ლექცია იმ პოეტებზე, რომლებიც უყვარდა და დიდ ხელოვნებად თვლიდა. ფრანგი პოეტების სახელები ბოდლერის, ვერლენის, სტ. მალარმესი და მრავალი სხვების, პირველად მისაგან გვსმენია. ფრანგ პოეტების გარდა ის ხშირად გვესაუბრებოდა ბალმონ-

ტზე, გუმილევზე და გერმანელ ლირკეზე და სხვებზე. ის გვიყობოდა მათ ბიოგრაფიებს და თავგადასავალთ და ხშირად რუსულ ან ქართულ თარგმანებში გვაცნობდა ხოლმე მათ ნანარმოებს“ (გამყრელიძე 1978: 41).

მემუარისტი ალნიშნავს იმასაც, რომ იშვიათად ვალერიან გაფრინ-დაშვილიც უკითხავდა მათ თავის გამოუქვეყნებელ ლექსებს, აზრს ეკითხებოდა და დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მათეულ შეფასებას. უხარიდა, თუკი ახალგაზრდა, ჯერ უცნობი პოეტები მის ლექსებს მოიწონებდნენ. მათი აზრი ათასჯერ ერჩია „ძველ და გამოცდილი ოს-ტატების აზრს“ (გამყრელიძე 1978: 41).

ვალერიან გაფრინდაშვილი ისე ძლიერ აუღევლებია გიორგი გა-მყრელიძის ახალგაზრდული ასაკისათვის შეუფერებელ გონივრულ შე-ფასებას მისი ლექსისა „INTERIEUR – პირველი“, რომ „ცისფერყანწელ-თა“ მომავალ უურნალში ერთი ლექსის დაბეჭდვას შეპირებია ჭაბუკს. „ასეთი დაპირება მაშინ ჩემთვის მიუწვდომელი ოცნება იყო. ცისფერ ყანწელებს ჰქონდათ მეტად მჭიდრო, ინტიმური ორგანიზაცია თუ ორ-დენი, როგორც ისინი უნიდებდნენ, და მათ ორგანოში ისანი მხოლოდ თავიანთი წევრების, უკვე გამოჩენილი მგონების ლექსებს ბეჭდავდ-ნენ და მე, დამწეულ მგოსანს როგორ უნდა მეფიქრა ასეთ დიდებაზე? მაგრამ როცა რამოდენიმე თვის შემდეგ გამოვიდა მათი უურნალის მორიგი ნომერი „მეოცნებე ნიამორები“, იქ პირველ გვერდზე იყო და-ბეჭდილი გრ. რობაქიძის ლექსი, ხოლო მეორე გვერდზე კი ერთი ჩემი ლექსი“ (გამყრელიძე 1978: 42).

გიორგი გამყრელიძე ვალერიან გაფრინდაშვილის პირვენულ თვი-სებებზეც ამახვილებს ყურადღებას. ალნიშნავს მის გულითადობას, სტუმართმოყვერეობას. ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში მასნავლე-ბლობის დროს „დარიბა მგოსანი მასნავლებელი, თავის ბინაზე, სტუმ-რებს ყოველთვის უმასპინძლდებოდა ჩაით, პურით და ხანდახან ძეხ-ვის ან ყველის ნაჭრითაც“ (გამყრელიძე 1978: 42).

საყურადღებოა მემუარისტის ცნობები ვალერიან გაფრნდაშვი-ლის შინაური გარემოსა და ბინის ანტურაუის შესახებ, მისი საყვარელი ნივთების, მხატვართა ნამუშევრების აღნერა, რასაც დიდი დახმარება შეუძლია გაგვინიოს სიმბოლისტი პოეტის ესთეტიკის, სიმბოლიკისა და პოეტიკის გასაგებად, პოეტური სახეების (მიზრაფი, ჭიანური, ვი-ოლინო...) განსამარტავად (ცერცვაძე 2016: 68-69).

„მის ოთახში იდგა როიალი, მაგრამ არ ვიცი თუ ის ვის ეკუთვნო-და; მის სახლის პატრონს თუ ნაქირავები ჰქონდა. როიალის სახურავი ნიგნების დასაწყობად ჰქონდა გამოყენებული. იქ ეწყო მრავალი წიგნი, ზოგი გახსნილი საკითხავად, ზოგიც ქალალდის არშიით ჩანიშნული.

წიგნებთან ერთად როიალზე იდო ჭიანურის მიზრაფი და სპილენძის ორი შანდალი კარტოფილის სანთლებით, იმ შემთხვევისათვის, თუ ელექტრო-მნათი უეცრად ჩაქრებოდა, რაც იმ დროს ხშირად ხდებოდა ხოლმე. როცა მიზრაფი დავინახე, გავიფიქრე, რომ ვალერიანი ჭიანურზე უკრავს მეთქი, მაგრამ შევცდი. ის არც ჭიანურზე უკრავდა და არც ჭიანური ჰქონდა. მიზრაფი კი მისთვის სიმბოლიური მნიშვნელობის საგანი იყო. საგანი სულის უფაქიზეს განცდებს ზედმინევნით გამოხატავს... ის მას უყურებდა როგორც მისტიურ-რომანტიულ საგანს. ამიტომ უყვარდა მას გერმანული რომანტიზმის დიდი მხატვარი – არნოლდ ბოკლინი და პირველად მის ბინაზე ვნახე ბოკლინის ორი სურათი: პირველი „ავტოპორტრეტი“ – სარკეში მზირალ მხატვარს, უკან სიკედილი უდგა ჭიანურით ხელში და არა ამქვეყნიურ სიმფონიას უკრავს. ბოკლინის მეორე სურათი კი, ნარმოადგენდა „დაქცეულ ციხე-კოშკს ზღვის პირად“, რომლის ნანგრევებზე ყვავილები სხედან. ბოკლინის გარდა ვალერიანს უყვარდა რუსი მხატვარი ვრუბელი. მწერალ-კლასიკოსებიდან კი, თაყვანს სცემდა უილიამ შექსპირს, განსაკუთრებით „პამლეტისათვის“, რომლის ოფელიას ის წმინდა პლატონიური სიყვარულით ეტრფოდა და მრავალი ლექსიც მიუძღვნა“ (გამყრელიძე 1978: 42).

ნარმოადგენილი კვლევა გიორგი გამყრელიძისა და „ცისფერყანწელთა“ ორდენის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ აფართოებს ჩვენს ცოდნას ქართველი სიმბოლისტი პოეტების ცხოვრება-შემოქმედებისა და ემიგრანტულ წრეებში მათზე არსებული შეხედულებებისა და გამოძახილის შესახებ, ხელს უწყობს ემიგრანტი პოეტის გიორგი გამყრელიძის პოპულარიზაციას მის სამშობლოში და ამდენად საყურადღებოა ქართული ლიტერატურისა და ემიგრაციის ისტორიისათვის.

### **დამოცვებანი:**

**გამყრელიძე 1963:** გამყრელიძე გ. ლექსები, მოთხოვებები და ნარკვევები ფრინველებზე. ვაშინგტონი: 1963.

**გამყრელიძე 1964:** გამყრელიძე გ. მოგონებები ქართველ პოეტებზე. კავკასიონი, XIX. პარიზი: 1978.

**გამყრელიძე 2011:** გამყრელიძე გ. გვიანი რთველი. თბილისი: „საარი“, 2011.

**იაშვილი 2004:** იაშვილი პ. საიუბილეო-საარქივო გამოცემა ორ წიგნად. წიგნი პირველი. თბილისი: „სეზანი“, 2004.

**ლიტერატურული უურნალები... 2011:** ლიტერატურული უურნალები 1910-1920-იანი წლები. მეორე წიგნი. თბილისი: გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის გამომცემლობა, 2011.

**ლომჯარია 2016:** ლომჯარია ზ. „ცისფერყანწელი“ ივი ყიფიანი. ანეული, №3, თბილისი: 2016.

**ნოზაძე 1976:** ნოზაძე გ. გიორგიგამყრელიძე. კავკასიონი, XVIII. პარიზი: 1976.

**რობაქიძე 2012:** რობაქიძე გრ. ნაწერები. წიგნი IV. თბილისი: გიორგი ლე-ონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის გამომცემლობა, 2012.

**შარაძე 1991:** შარაძე გ. უცხოეთის ცის ქვეშ. წიგნი I. თბილისი: „მერანი“, 1991.

**ცერცვაძე 2016:** ცერცვაძე მ. გიორგი გამყრელიძის „მოგონებები ქართველ პოეტებზე. გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი, № 7-8, ქუთაისი: 2016.

## MAIA JALIASHVILI

*Georgia, Tbilisi*

*Georgian Modernistic Novel's Narrative*

### Georgian Modernistic Novel's Narrative

In Georgian modernistic novels (Grigol Robakidze's "Snake's Skin", Demna Shengelaia's "Sanavardo", Konstantine Gamsakhurdia's "Dionisius Smile") the myth and music is shown as a power that determined the new vision of world, he even showed unfamiliar potentials of word. In fact many secrets are shown in these novels influencing the writer exactly through new mythical method of narration. This method first of all considers diverse variations of the synthesis of prose of poetry. Here philosophical and religious issues often have aesthetic value through poetical meditations. In such polyphony where are equally included macro and micro-cosmos, eternity and transience, human and divine.

**Key Words:** Modernism; Georgian Novel; Narrative

### მაია ჯალიაშვილი

საქართველო, თბილისი

ქართული მოდერნისტული რომანის ნარატივი

### ქართული მოდერნისტული რომანის ნარატივი

XX საუკუნის 10-იან წლებში ქართულ ლიტერატურაში იმდენად მოზღვავდა მცირე ფორმის ნაწარმოებები, რომ იშვიათად შეხვდებოდით ვრცელ მოთხრობებს. ლეო ქიაჩელი წერილში „ქართული რომანის ზოგი ამოცანა“, შენიშნავდა, რომ რომანის უქონლობა ფსიქოლო-

გიური მნიშვნელობის ფაქტი იყო: „ქართველ მწერლებს მეტნილად მომენტის ანალიზი ეხერხებათ, სახეებისა და იდეების შორი შეხება, სიმბოლოების ერთი – ორი დაყივლება. მე მგონია, რომ ჩვენი რომანებიც ამ საზომს არ გასცილებია. ამ თვალსაზრისით, ისინი უმრავლეს შემთხვევაში უფრო მოთხოვობებია. რომანი უთუოდ მოითხოვს დიდ სინთეზს და, რაც მთავარია, ამ სინთეზის იდეურ და მხატვრულ გაშლას, ეპიკური სიმბოლოების დარჯაკში გატარებას“ (ქიაჩელი 1986: 265).

ეს „დიდი სინთეზი“ კი განხორციელდა დემნა შენგელაიას, კონსტანტინე გამსახურდასა და გრიგოლ რობაქიძის მოდერნისტულ რომანებში. „სანაგარდოსა“, „დიონისოს ღიმილსა“ და „გველის პერანგში“ სრულყოფილად ნარმოჩნდა მოდერნიზმის პრინციპები. მოდერნისტულ რომანებში გამოვლინდა სამყაროსადმი მწერლის სრულიად ახლებური დამოკიდებულება. ავტორის „თანამედროვეობა“ განსაზღვრავდა რომანის სტილს. თანამედროვეობა კი გულისხმობდა ანმყოს იმგვარ აღქმას, რომელიც იერთებდა ნარსულსაც და მომავალსაც. თავის ცნობილ ესეში „ადამიანის სულიერი პრობლემა“ კ. იუნგი თანამედროვეობას განიხილავდა არა როგორც დროულ ქრონოლოგიასთან დაკავშირებულ მოვლენას, არამედ, როგორც კულტურულ – ფსიქოლოგიურს. მისი აზრით, თანამედროვე ადამიანად ყოფნა ნიშნავდა ანმყოს „გაგებას“ და რაც შეიძლება ნაკლებად ყოფნას არაც-ნობიერის ტყვეობაში. მიმდინარე დროის მომავლის თვალით შეხედვას და შეფასებას. იგი თანამედროვედ მიიჩნევდა რჩეულ ადამიანს (ყიასაშვილი 1988: 25). სწორედ ამგვარი რჩეულები იყვნენ ქართველი მოდერნისტები, რომელთა რომანის გმირებიც ეპოქის სულიერ ტკივილებს გამოხატავდნენ.

ქართველმა მოდერნისტებმა მწერლობა აქციეს წმინდა მხატვრულ-ესთეტიკურ ღირებულებად. აქ მკითხველს აღელვებდა არა მხოლოდ კონკრეტულ ადამიანთა სატკივარი, არამედ იგი განიცდიდა მხატვრულ ნაწარმოებს, როგორც განუყოფელ მთლიანობას. მკითხველი აქ მხოლოდ რეალურს მისადაგებულ განცდებსა და სურათებს კი არ დაეძებდა, არამედ ტკბებოდა რეალობის უჩვეულოდ ტრანსფორმირებული სახეებით. ამ რომანებში არაჩვეულებრივი ძალით ნარმოჩნდა, მართლაც, „წმინდა მხატვრულობა, წმინდა ძალმოსილება“ (ხოსე ორტეგა ი გასეტი).

ტრადიციული ქართული პროზის პერსონაჟები ძალიან ჰგავდნენ ჩვეულებრივ ადამიანებს. მოდერნისტულ რომანში კი გარკვეული ძალისხმევაა საჭირო, რომ „მიუხვდე“ მწერალს. აქ წინა რიგში ნამოინია „ესთეტიკური ტკბობის“ ფენომენმა. ზნეობრივ პრობლემებს გა-

დააჭარბა ფილოსოფიურ-რელიგიურმა და ესთეტიკურმა საკითხებმა. ოსკარ უაილდი, გოეთეს დარად, კათარზისს წმინდა ესთეტიკურ ფენომენად მიიჩნევდა. მისი აზრით, მხატვრულ ნაწარმოებში წარმოჩენილ განცდებთან ზიარებით მკითხველი განინმინდება არა ზნეობრივად, არამედ ესთეტიკურად. ამგვარი „განწმენდის“ ფუნქცია იტვირთა ქართულმა მოდერნისტულმა რომანმაც.

როგორც ცნობილია, XIX საუკუნის ქართულ პროზაში იშვიათად იყო პირნმინდად ესთეტიკური ელემენტები. ქართველი მწერლები ცდილობდნენ, რაც შეიძლება მკაფიოდ და ღრმად აესახათ ადამიანური ყოფა, ყოველდღიური თუ საზოგადო პრობლემები, წარმაგალი თუ მარადიული წყველა-კრულვიანი საკითხავები. ეს იყო რეალისტური რომანის უმთავრესი პრინციპები (წატურალისტური თუ რომანტიკული მიმართება სინამდვილესთან არსებითად არაფერს (ცვლიდა). ამ რომანების აღსაქმელად არ იყო საჭირო სპეციფიკური „მხატვრული აღქმა“. რომანის მხატვრული სიძლიერე იზომებოდა იმ ძალის ინტენსივობით, რასაც ის ინვევდა მკითხველში, უმთავრესი იყო, თუ როგორ იმსჭვალებოდა მკითხველი პერსონაჟების ტანჯვითა თუ სიხარულით (ქართული სალიტერატურო კრიტიკა XIX საუკუნის ქართულ რომანებს ძირითადად ამ კუთხით განიხილავდა). რომანი აღიქმებოდა, როგორც ცხოვრების ნაწილი და არა სინამდვილისაგან განსხვავებული სრულიად „ახალი სინამდვილე“. ზუსტად შენიშნავდა ხოსე ორტეგა ი გასეტი, რომ რეალისტური და რომანტიკული სკოლების მხატვრულ პროდუქციაში ჭარბობდა „ადამიანური, მეტად ადამიანური“ (გასეტი 1992: 9).

მოდერნისტი მწერლისთვის, საერთოდ, ამოსავალი „ცოცხალი რეალობის ასპექტი“ იყო, რა თქმა უნდა, გასეტის მოსწრებული შენიშვნით, ვაშლის შესაძლო მხატვრულ მეტამორფოზაში გათვალისწინებული იყო ვაშლის ის პირველადი ფორმა, რომელიც მას ჰქონდა იმ მომენტში, როცა ჩაკებეჩას უპირებდნენ. ყველა დანარჩენ ფორმაში კი, 1600 წელს დახატულს ავილებთ, თუ ბაროკოს სტილით შემნილი ვაშლისა და ორნამენტის კომბინაციას, თუ სეზანის ნატურმორტს, ან მარტივ მეტაფორას, სადაც ვაშლი ქალწულის ღაწვთანაა შედარებული, ყველა ფორმაში მეტ-ნაკლებად ინახება პირველადი ხატება (გასეტი 1992: 34).

ქართულ მოდერნისტულ რომანებში სინამდვილე ხან სიზმარში, ხან ჩევნებასა თუ ხილვაში, ხან ღეგენდასა და ზღაპარშია ტრანსფორმირებული ხშირად იმგვარად, რომ რეალობის „პირველადი ხატება“ თითქმის აღარ მოჩანს. სამყარო არა მხოლოდ საგნებისა და მოვლენების, არამედ ადამიანთა იდეებისგანაც შედგება. მოდერნისტმა მწერლებმა, რომელთა მზერა ადამიანთა შინაგანი სამყაროსკენ უფ-

რო იყო მიმართული, ვიდრე გარეთ, იდეები აქციეს მხატვრული გამოსახვის საგნად. ქართულ მოდერნისტულ პროზაში გვხვდება წმინდა მხატვრული ფორმები, ირეალურობა. ეს ფორმები ხშირად არღვევენ ადამიანთა სახეებისა თუ კაცთა ბედის ჩვეულებრივ წარმოდგენას.

„სანავარდოს“, „გველის პერანგის“, „დიონისოს ღიმილის“ „გამოგონილი ცხოვრება“ ერთგვარად აუქმებს „უშუალო ცხოვრებას“ და ეს ინვევს მხატვრულ ტებობას. ამ რომანთა ბევრი პასაჟი იწვევს სპეციფიკურ ესთეტიკურ გრძნობას – ერთგვარ მეორეულ ემოციას, რომელიც დაკავშირებულია ინტელექტსა და ინტუიციასთან. ამ რომანებში წარმოჩენილი სურათები ხშირად არ მოითხოვენ მყითხველის „ჩარევას“, პირიქით, იწვევენ ერთგვარ გრძნობიერ გულგრილობას, იმავდროულად, გონებისმიერ აქტივობას, ინტუიციური გზნების ინტენსივობას.

ქართულ მოდერნისტულ რომანებში განსაკუთრებული ყურადღება მიეკცა მეტაფორას და მას მიენიჭა დამოუკიდებელი სუბსტანციური მნიშვნელობა. აქამდე მას უფრო მეტად ჰქონდა ორნამენტის, დეკორაციის ფუნქცია. ახალი ძალით წარმოჩნდა ქართული სიტყვა, რომელიც იქცა არა მხოლოდ გარკვეული აზრის, არამედ ფერისა და მუსიკის მატარებლად.

მოდერნისტულ წარატივში სინთეზირდა პროზისა და პოეზის ელემენტები. ყურადღება გამახვილდა ფერწერული სიზუსტით შესრულებულ შუქ-ჩრდილის თამაშზე, ფერებისა და მუსიკალური რიტმის ნიუანსებზე. შარლ ბოდლერი რომანს „ნაბუშარ ქანრად“ მიიჩნევდა, რომელსაც არ გააჩნდა საზღვრები. სწორედ ამგვარი იყო ქართული მოდერნისტული რომანები.

კონსტანტინე გამსახურდიამ თვითონვე გამოკვეთა ის სიახლეები, რომლებიც „დიონისოს ღიმილში“ გამოვლინდა. ეს იყო: 1) კულტურული რომანი (XIX საუკუნის საქართველოში არ იყო ამის ტრადიცია); 2) რომანი „გამართული“ იყო პოეტური პროზით; 3) მოხდა ევროპული და სპარსული სამიჯნურო რომანის სინთეზი; 4) რომანი სავსე იყო ფორმალური ძიებებით; 5). რომანს ჰქონდა ურთულესი ფორმა (13 ქება და 59 ნოველა); 6) ქართული მოდერნისტული რომანი გენეტიკურად დაუკავშირდა დასავლურ რომანს; 7) რომანში წარმოჩნდნენ ახალი ტიპის პერსონაჟები, „ევროპული გაგების“ გმირები; 8) ყურადღება გამახვილდა ადამიანის სულიერ ტრაგიზმზე, მის „ზედმეტობაზე“; 9) რომანში აისახა ევროპული ცივილიზაციის სურათები; 10) რომანში აღორძინდა ძველი ქართული პროზის ტრადიციები (გამსახურდია 1992: 225).

ლიტერატურა, საზოგადოდ, გაიაზრება, როგორც მწერლის დიალოგი სამყაროსთან. მხატვარი პასუხობს რეალობას, ენინააღმდეგება ან ეთანხმება და შექმნილი სამყაროს სურათში ახდენს თავისი თავის

რეალიზებას. შილერი ამას განმარტავდა, როგორც ერთგვარ თამაშს. მოდერნისტულ პროზაში ამ თამაშის წესები გართულდა და გამრავალფეროვნდა. XX საუკუნის 20-იანი წლების ქართულ მოდერნისტულ პროზაში გაიზარდა შემოქმედი სუბიექტის აქტიურობა. მწერალი ხშირად პერსონაჟებად აქცევს თავის ცალკეულ თვისებას, ოცნებასა თუ მისწრაფებას. რომანი იქცა თვითშემცნების საშუალებად. სულში ჩაღრმავებამ თხრობაში შემოიტანა მისტიკურ-რელიგიური ინტონაციები. მხატვრული ტექსტი იქცა სამყაროს ერთგვარ შიფრად. გართულდა სიმბოლოების გამოცნობა, რადგან ცალკეულ სახეებს მიენიჭათ მრავალმნიშვნელოვნება.

ქართულ მოდერნისტულ რომანებში ერთმანეთს ენაცვლება რეალური და ირეალური სიბრტყეები. ხასიათების არქეტიპულობა ავლენს სამყაროს ზოგად კანონზომიერებებს. გმირი გაიაზრება, როგორც კონკრეტული ადამიანი კონკრეტულ ეპოქაში, იმავდროულად, იგი იხატება უმორეს წარსულთან მიმართებით (მითი, ბიბლია, ზღაპარი, ლეგენდა). ეპიზოდების სხვადასხვა „განზომილებაში“ გააზრება წარმოაჩენს მოდერნისტულ რომანში წარმოჩენილი პრობლემების სილრმეს.

„მოდერნი, მითოზირებული, მოითხოვს უდიდეს დაძაბულობასა, ცოდნას მოითხოვს, სიღრმისეულ ცოდნასა, მითებისა და მითოსისა, რელიგიებისა და რელიგიისა, ფილოსოფიებისა და ფილოსოფიისა, იდეებისა და იდეისა, ისტორიებისა და ისტორიისა, თეოლოგიისა, პოლიტიკისა, პოლიტეკონომიისა, ფსიქოლოგიისა, ბიოლოგიისა“, – წერს ოთარ ჩხეიძე (ჩხეიძე 1986: 315).

ქართულ მოდერნისტულ რომანში განსაკუთრებული ყურადღება მიექცა მითოსს. „სანავარდოსა“, „გველის პერანგსა“ და „დიონისოს ღიმილში“ მითოსი (ბერძნული, ქართული, შუამდინარული) მოხმობილია ტექსტის მხატვრული და აზრობრივი შრეების გასაღრმავებლად, სახეების განსაზოგადებლად. ამ რომანებში მითოსი ხშირად ასოციაციებით, რემინისცენციებითა და მინიშნებებითაა წარმოდგენილი. მწერლები მითოსურ და რეალურ სიბრტყეებს ერთმანეთს უნაცვლებენ და მკითხველს საშუალებას აძლევენ, რეალურ ფაქტებსა და მოვლენებში სამყაროსა და სულის უნივერსალური კანონები ამოიკითხონ. დემნა შენგელაიასთან, გრიგოლ რობაქიძესა და კონსტანტინე გამსახურდიასთან განსხვავებულადაა წარმოდგენილი მითოსის სახეთა მხატვრული ინტერპრეტაციები, მაგრამ საერთოა ის, რომ მათი საშუალებით ხდება პროფანული დროის გარღვევა და მარადისობასთან ზიარება. მოდერნისტულ ტექსტში სამყაროს მთლიანობა სულ სხვანაირად იქნა მოაზრებული. აქ ერთ სიბრტყეზე მოექცა მითი, ისტორია,

კულტურა და ადამიანი (როგორც მხატვრული ტექსტის სუბიექტი) სწორედ ამ სიბრტყეზე პროეცირდა.

მითი ამ რომანებში წარმოჩენილია, როგორც სიცოცხლის ნაწილი. ეს სიცოცხლე კი გააზრებულია არა მხოლოდ როგორც კონკრეტული კაცისა, არამედ კაცობრიობისა. ამიტომაც არის ასეთი ხელშესახები რომანებში დიონისესა თუ იშთარის მითის განცდა. მოდერნიზმის „სახარებად“ გამოცხადებულ ჯეიმს ჯონის „ულისეში“ ჰომეროსის „ოდისეასთან“ პარალელის გამოყენება ტომას სტერნზე ელიოტმა სამეცნიერო აღმოჩენის ტოლფასად ჩათვალა. იგი წერდა, რომ მანამდე რომანი ასეთ საფუძველზე არავის ჰქონდა აგებული. ელიოტის აზრით, ამ რომანის შემდეგ შესაძლებელი გახდა, თხრობის მეთოდის ნაცვლად მითოსური მეთოდის გამოყენება. ამ ახალ მეთოდს იგი ასე განმარტავდა: „ეს არის უბრალოდ შემოწმების, ფორმისა და მნიშვნელობის დადგენის გზა ამაოებისა და ანარქიის იმ უზარმაზარ პანორამაში, თანამედროვეობა რომ ჰქვია. ეს ის მეთოდია, მისტერ იეიტსმა რომ მოიმარჯვა და, დარწმუნებული ვარ, მისი საჭიროებაც თანამედროვეთაგან პირველად სწორედ მანვე შეიცნო“ (ელიოტი 1996: 420). ჯონისის ნაწარმოებთა მსგავსად, „მითოსურია“ თვით ელიოტის პოეტური შემოქმედება, განსაკუთრებით მისი „უნაყოფო მინა“. საზოგადოდ, XX საუკუნის 20-იან წლებში „მითოსურ მეთოდს“ ბევრმა მიმართა, მათ შორის, ყველაზე გამორჩეულნი იყვნენ ეზრა პაუნდი და უილიამ ბატლერ იეიტსი.

ქართველი მწერლები, როგორც ჭეშმარიტი ინტელექტუალები, კარგად იცნობდნენ ბერძნულ და შეუძინარულ მითოსს. იმავდროულად, ქართულსაც. სწორედ მაშინ მტკიცდებოდა ქართული ფოლკლორული სკოლის დიდი ტრადიციები. ივანე ჯავახიშვილისა და სხვათა ახალი გამოკვლევები ამდიდრებდნენ და აღრმავებდნენ წარმოდგენებს ქართველთა უძველეს ეთნოსზე. თვითონ დემნა შენგელაია ნაყოფიერად მოღვაწეობდა ფოლკლორის სფეროში და მრავალი საინტერესო წერილიც დაწერა. ცნობილია,  $H_2SO_4$ -ის ლიტერატურული ჯგუფი რა დიდ ყურადღებას აქცევდა ზღაპარს, შელოცვას და, საზოგადოდ, ხალხურ შემოქმედებას (ამ ჯგუფის წევრი იყო დემნა შენგელაიაც).

მითოსისადმი დამოკიდებულებას ქართული მოდერნისტული რომანის გმირები სხვადასხვანაირად ავლენენ: 1. მითი წარმოდგენილია, როგორც გმირის გარკვეული ცოდნის დასტური (გმირი იცნობს მითს, მითის გმირებს ასახელებს გარკვეულ კონტექსტში). მითი მოიხმობა, როგორც ტექსტი, საიდანაც შეიძლება ციტატების გამოყენება. კონსტანტინე გამსახურდია „დიონისოს ღიმილში“ როცა აღწერს სავარს-ამიძისა და ფარვიზის ცხენებით ჭენებას, ასეთ შედარებას მოიხმობს:

„თითქოს პოსეიდონს ბნელი სულები გამოეგზავნა ჰიპოლიტოსის ცხე-ნების დასაფერებლად“ (გამსახურდია 1992: 358).

2. რომანის გმირთა ცხოვრების გარკვეული ეპიზოდები მიემს-გავსება ცნობილი მითის გმირისას. ოლონდ ეს „მიმსგავსება“ ხან ეზოთერულია და ხან ეგზოთერული (მაგალითად, ბონდო – თამუზი, სავარსამიძე – დიონისე). თომას მანი წერდა ვაგნერზე: „ერთბაშად ნათდება პერსპექტივა და ადამიანური ხილვების უპირველეს და უადრეს ხატებთან გვაძრუნება... თამუზსა და ადონისა... ოზირისსა და დიონისოს... ყოველივეს სწვდება ეს მითიური მზერა“ (მანი 1995: 23).

შეიძლება ვისაუბროთ ქართველ მოდერნისტთა მითიურ მზერა-ზეც, რადგანაც ისინიც სწვდებიან უადრეს ხატებს და გვაბრუნებენ იმ უამში, როცა „ყველაფერი პირველად ხდებოდა“. მითის „მაკრო მო-დელში“ ირეკლება გმირის ცხოვრების „მიკროსამყარო“. მაგალი-თად, „სანაგარდოში“ იშთარ-თამუზის მითში ირეკლება ბონდო ჭილა-ძის ცხოვრების ძირითადი პრობლემები. რომანის გმირი სამყაროს ისევე განიცდის, როგორც მითის პერსონაჟი, ე. ი. ლალად, გახსნი-ლად, პირისპირ უმზერს საგანთა და მოვლენათა შუაგულს, გზნებს ნოუმენს. ხშირად ამგვარი „კონტაქტი“ სამყაროსთან ხორციელდება ექსტაზისას.

ქართველი მოდერნისტები ექსტაზს ექსპრესიონიზმის ქმედით ფორმად მიიჩნევდნენ. „ხელოვნება – ეს დაჭრაა საგნებზე ღვთის კვალისა. იგი იჭერს ღვთიურ ნომისს სამყაროსას. მაგრამ რა გზით? მხოლოდ ექსტაზით. ექსტაზით უნდა გაარღვიოს სულმა ტრანსცენსი. მხოლოდ მაშინ იხილავს იგი ღმერთს“ (რობაქიძე 1924: 23). სწორედ ამგვარად, ექსტაზით გაარღვევს ხოლმე არჩიბალდ მეკეშის სული ტრანსცენსს და იგზნებს არყოფლს, მაგრამ საგულვებელს, ხან ნარ-სულს „იყნოსავს“, ხან მომავალს. ექსტაზისას დრო თითქოს ჩერდება. „არის მხოლოდ ნარსული, აწმყო მიმქრალია. მომავალი ხანდახან თუ იელვებს, როგორც აზრი თუ ფიქრი. არის მხოლოდ ნარსული და ისიც – როგორც ზმანებულის მოგონება“ (რობაქიძე 1989: 121). ექსტაზი-სას „ასტრალური ლანდები გალურსულნი და თვალებდანისლულნი გაგუდულან და შინაგან იყურებიან“. სწორედ ექსტაზისას „ამოვარდება“ არჩიბალდი რეალობიდან და ირეალურში „გადაინაცვლებს“. ასეთ დროს მისთვის გასაგები და ახსნილი ხდება სხვა დროს გაუგებარი და გონებისთვის მიუწვდომელი: „ეხლა იგი წინაპარშია თვითონ და ხე-დავს: ხილვას სინას მთაზე – მოგზაურობას უდაბნოში – გახელებას და მცნებათა დაფის დახეთქებას – ჯიუტი და ურჩი ხალხის დაურვებას – სრაელის წყევას – უკანსკნელ სიმარტოვეს კაცისას. გზნობს ნაღვლს მისას“ (რობაქიძე 1989: 125).

ხშირად რომანში მითის მოვლენა ან მითის გმირი წარმოჩნდება, როგორც სიმბოლო გარკვეული ვნებისა. მაგალითად, დიონისე ამხელს, ერთი მხრივ, ადამიანის ნებას, მის ირაციონალიზმს, რაც ცნობიერ სამყაროში ხორციელდება ამბობით, შფოთით, ხოლო, მეორე მხრივ, სწრაფვით საიდუმლოს ახსნისკენ, დაფარულში შეღწევისკენ, დაკეტილის გაღებისკენ, რაც „ზედაპირზე“ ირეკლება განსხვავებული მოქმედებებით.

მითი ქართულ მოდერნისტულ რომანში ვლინდება, როგორც პირველყოფილი (ადამიანის ხელაუკარებელი) სამყაროს შემოქარეალობაში. სამივე რომანში გმირებს ნებისმიერი იდეალის ძიებსას მითის წყურვილი თან დაჲყვებათ და სტანჯავთ, რადგან არსად არ არის „ის“, რისი მოპოვებაც სურთ, ანუ შერთვა, შერწყმა სამყაროსთან. სიცოცხლეშივე იმ მდგომარეობის განცდა, რაც ადამიანს სიკვდილის მერე მიერიჭება.

ქართული მოდერნისტული რომანები უკვე იყო იმგვარი მხატვრული ტექსტები, რომელთა წაკითხვა შეიძლებოდა „მითის დონეზე“ ე. ი. გარკვეული მითის გააზრება მკითხველს აძლევდა რომანის სამყაროში შეღწევის ერთი გზის გასაღებს. (რაც გულისხმობს, რა თქმა უნდა, სხვა გზებსაც, ე. ი. რომანის წაკითხვას სხვა დონეზე, სხვა თვალსაზრისით).

თომას მანი მითს მოზეიმე სიცოცხლის მოდელს უწოდებდა, რისი მეოხებითაც წამი ხდებოდა განუზომლად დიდი, ხოლო პიროვნული არსებობა „თავს აღნევდა ვინრო ჩარჩოებს“. წერილში „ფრონდი და მომავალი“ იგი წერდა: „ცხოვრება მითში... ერთგვარი ზეიმია. აქ წარსული გარდაიქმნება აწმოდ, ის იქცევა რელიგიურ აქტად, ეკლესიის მსახური რომ აღასრულებს გარკვეული პროცედურების მერე. ის იქცევა წადიმად, ყოველწლიურ ნადიმებად, წარსულის აღორძინებად ანმყოში“ (მანი 1989: 489). მირსეა ელიადე აღნიშნავს, რომ მითება აღნერენ საკრალურის შემოქარას სამყაროში, რომ მითი ყველა უმნიშვნელოვანესი ადამიანური ქცევის მოდელად გვევლინება (ელიადე 1993: 101). ამის გათვალისწინებით წათელი ხდება ამა თუ იმ მხატვრული სახის არსი.

ქართულ მოდერნისტულ რომანებში პარალელურად არსებობენ რეალური და მითოსური სიბრტყეები. პერსონაჟები თითქოს ქანაობენ მათ შორის, ამიტომაც კონკრეტული ფაქტი გაიაზრება ხშირად რეალურადაც და სიმბოლურადაც. ემპირიულ პლანში ამ პერსონაჟებს აქვთ თავიანთი კონკრეტული ფუნქცია. უცხოეთში გადახვენილი არჩიბალდი დაეძებს მამას და სამშობლოს, ბონდო ჭილაძე უნაყოფობის სენის-გან თავდალწევას ცდილობს, კონსტანტინე სავარსამიქე ცხოვრებაში საკუთარ ადგილს დაეძებს. ამ პერსონაჟებს, ამასთანავე, სხვადასხვა

სიბრტყეში სხვა სიმბოლური მნიშვნელობებიც აქვთ. ისინი „მოძრაობები“ ბიბლიურ, მითოსურსა და რეალურ დროსივრცულ არეალში და სწორედ ეს განაპირობებს მათს სახეთა მრავალმნიშვნელოვნებასა და სიმბოლურობას.

თომას მანი საუბრობდა მითზე, როგორც პიროვნების „აქტივიზაციის“ ერთ-ერთ ხერხზე. „სანავარდოში“ იმთარ-თამუზის მითის მოხმობით გმირი უფერული ყოფიდან მწერალს გადაჰყავს ფერადოვან, მთლიან სამყაროში.

ქართული მოდერნისტული პროზა ბევრი რამით წააგავს ევროპულს, მაგრამ ერთი არსებითი ნიშნითაც განსხვავდება – ეს არის ინტერესი ეროვნული პრობლემებისადმი. დემნა შენგელაიას, კონსტანტინე გამსახურდიას, გრიგოლ რობაქიძის რომანებში ხან შეფარულად, ალექსანდრე ბირთა და სიმბოლოებით, ხან კი ცხადად და გამჭვირვალედ ირეკლება საქართველოს ბედი. ამით ის აგრძელებს XIX საუკუნის რომანის ტრადიციას, მაგრამ, რა თქმა უნდა, პრობლემის მხატვრული გადაწყვეტის გზით კი მნიშვნელოვნად განსხვავდება.

XX საუკუნის 20-იანი წლების ქართული მოდერნისტული რომანი იყო სრულიად ახალი ტიპის, ნოვატორულ-ექსპერიმენტული, ინტელექტუალური რომანი. ქართულ ლიტერატურულ სინამდვილეში მოხდა ევროპული მოდერნიზმის ერთგვარი ინტერპრეტაცია. იგი გამოვლინდა, როგორც ტრადიციისა და ნოვაციის სინთეზი, რამაც შექმნა ქართული ლიტერატურის განახლების ფუნდამენტი. ქართული მოდერნისტული რომანი წარმოადგენდა, უპირველესად, ესთეტიკურ ფენომენს და ქმნიდა სამყაროს, ადამიანისა და სულის ახალ მხატვრულ მოდელს. მასში გამოვლინდა ევროპული მოდერნიზმისთვის დამახასიათებელი ყველა ძირითადი ტენდენცია (დეკომპოზიცია, რეფლექსია, დაწმენდილი განცდა, ექსპერიმენტი, პლურალობა). იმავდროულად, ეროვნული პრობლემები კვლავ დარჩა მწერალთა უპირველეს საფიქრალად, თუმცა ერთი ბედის სატკივარიც მოდერნისტული თვალთახედვის პრიზმაში გარდატყდა.

ქართულ მოდერნისტულ რომანში თავისებურად გადამუშავდა ქართული კლასიკური პროზის მდიდარი ტრადიციები. ეს იყო ერთგვარი განახლებული არქაიკა (შუა საუკუნეებისათვის დამახასიათებელი მისტიკა, მეტაფორული ენა, სახეთა ალეგორიულობა და სხვა). ევროპულ მოდერნისტულ რომანებთან პარალელები ავლენს, რომ XX საუკუნის 20-იან წლებში ქართული კულტურა, მართლაც, „ევროპის რადიუსით გაიმართა“. მოდერნისტულ რომანებში ერთმანეთს შეერწყა იმპერიისონისტული, სიმბოლისტური, ექსპრესიონისტული ნაკადები, რამაც სტილის ერთგვარი ეკლექტურობა გამოიწვია.

ჯეიმს ჯოისისული „მითოსური მეთოდი“ ქართულ მოდერნისტულ რომანშიც გამოვლინდა, როგორც სინამდვილის მხატვრული გარდასახვის უპირველესი საშუალება. ბერძნული, შუამდინარული და ქართული მითოსური სახეების მხატვრული ინტერპრეტაციის გზით სამყაროსა და ადმიანის სულის სილრმეები ახლებურად წარმოჩინდა. ქართველი მოდერნისტი რომანისტები მითოსურ და რეალურ სიბრტყეებს ერთმანეთს უნაცვლებენ და მკითხველს საშუალებას აძლევენ რეალურ ფაქტებსა და მოვლენებში სამყაროსა და სულის უნივერსალური კანონები ამოიკითხონ.

ქართული მოდერნისტული რომანი იყო ისეთი მხატვრული ტექსტი, რომელიც სიმბოლური მრავალმნიშვნელოვნების გათვალისწინებით რამდენსამე დონეზე წაკითხვა-გააზრებას მოითხოვდა. მასში აქცენტირდა ინტელექტუალური ინტუიცია. ქართულ მოდერნისტულ რომანში უდიდესი ყურადღება მიექცა ეპიფანიის მხატვრულ ფუნქციას. წარცისიზმი ქართულ მოდერნისტულ რომანში გამოვლინდა მორალურ, ფსიქოლოგიურ და მითოსურ პლანებში. ამ რომანებში წინაპრისა და შთამომავლის დამოკიდებულება, წარმოდგენილია, როგორც მითოსური ერთობა.

რეალობის მოდერნისტული მეტამორფოზები ავლენს ავტორთა მრავალფეროვანა დამოკიდებულებას სინამდვილისადმი. ამ რომანებში ხდება ჩაღრმავება, ერთი მხრივ, ერთის სულში (გრიგოლ რობაქიძისეული კარდჰეს ძიება), მეორე მხრივ, მსოფლიო სულში. ქვეცნობიერის მხატვრულ გამოსახვას უდიდესი მნიშვნელობა მიენიჭა. ის, რასაც გალაკტიონი 20-იან წლებში ერთ წერილში ქართული პოეზიის შესახებ წერდა, თავისუფლად შეიძლება საერთოდ მაშინდელ მწერლობაზე გავავრცელოთ. მისი აზრით, თანამედროვე პოეზიას დიდი კავშირი ჰქონდა ძველ საქართველოსთან. ახალი ლიტერატურა შეცადა წარსულისგან „შეუსარულებელი“ იდეების გატარებას, შემოიტანა რა თანამედროვე პოეზიაში ახალი სტილი. სტილი უფრო ღრმა, ხელოვნური, ნიუანსებითა და ძიებებით სავსე, განშორებული წინანდელ ჩვეულებრივ ენას. პალიტრათა ყველა ფერით და ტექნიკურ ლექსიკოთა სიტყვებით, კლავიატურის ნოტებით. „იდეები უკანასკნელთა მიერ გადმოცემულნი არიან გამოუცნობელი და ძლივს შესამჩნევი, ძლივს დასაჭერი ანარეკლით, ფორმა კი გადმოცემულია ნისლიდან და დაბურულ სახეებით. სტილი სავსეა ნევროზით. მოუშორებელი იდეების პალუცინაციებით, რომელნიც პირდაპირ შემლამდე, შერყევამდე მიდის“. „ახალ სტილში არის ბუნდოვანება და ამ ნისლში ძლივს გასარჩევად ირევიან ცრუმორწმუნეობის სანთლები, უძილო ღამეების საშიშარი აჩრდილები, საშინელი ღამეები, სულიერი ქენჯნა, რომელიც იღვი-

ძებს სულ მცირეოდენ ხმაურობაზე, საოცარი ოცნებები, რომელიც გაუკირდებოდა დღის სიცხადეს, ერთი სიტყვით, ყველაფერი, რასაც კი მოწყენილს, გამოუსახველს და გაუგებრად საშინელს ინახავს სული თავის უძირო და შეუცნობელ ხვეულებში” (ტაბიძე 1986: 245).

კიტა აბაშიძემ ზუსტად შენიშნა 20-იანი წლების ქართულ პრო-ზაში მიმდინარე ტენდენციები. 1924 წელს თანამედროვე ქართულ ლიტერატურაზე დაკვირვებისას შენიშნავდა: „ქართული მწერლობა დაუბრუნდა თავის თავს, თავის მეს: ინდივიდუალიზმის, სულიერი კარ-ჩაკეტილობის პრინციპის აღიარებამდე მივიდა. ეს ადვილი ასახსნე-ლიც არის: ჩვენი ლიტერატურა ორგანიულად არ არის დაკავშირებული ეპოქის ქარიშხალთან. იგი სდგას თავის პოზიციაზე და გვიმტკიცებს: ხელოვანი იყო და იქნება დამოუკიდებელი, თავისუფალი. ჭეშმარიტი შემოქმედი მარტოა ყოველთვის, მას არავის დახმარება არ სჭირდება. მე არ მიკვირს, რომ კოლექტივიზმის ხანაში ჩვენში „ლონდა“ და „გარსი მარადი“ იწერება. პიროვნების უარყოფის უამს – პიროვნება აყვანილია უმაღლეს მნვერვალამდე“ (აბაშიძე 1924: 14). კონსტანტინე გამასახურ-დიასთვის მოდერნიზმი ნიშნავდა, იმავდროულად, უნივერსალიზმსაც. ახალ იდეებსა და ახალ ფორმებს – ევროპის გვერდიგვერდ სიარულს.

ეს რომანები წარმოჩნდა, როგორც თამაში – ოსტატობის სრულიად ახალ, განსხვავებულ დონეს რომ გულისხმობდა. მასში სრულყოფილე-ბამდე დაიხვენა კომპოზიციის, შენიღბვა-ჩანაცვლების ხერხები. იგი იყო ტექსტი საზღვრების გარეშე, რაც გულისხმობდა მკითხველის გონებაში „ფორმალური საზღვრების“ გადანაცვლებას. მასში ახლე-ბურად გამოვლინდა აქტანტის პრობლემა, რომელიც მისი გაორების ორიგინალურ ვარიაციებში გამომჟღავნდა. ყურადღება მიექცა გმირის ქვეცნობიერის დახატვას შინაგანი მონოლოგისა თუ ცნობიერების ნაკადის ტექნიკით. ქართულ მოდერნისტულ რომანებში გართულდა ნარაციის სხვადასხვა პლანის მონაცვლეობა. მასში წარმოდგენილი პრობლემები უმთავრესად ინტელექტუალური მკითხველისთვისაა გამიზნული. ამ რომანების გმირთა წუხილი ხშირად არის არა ემპირი-ულ-ფსიქოლოგიური, არამედ ექსისტენციალურ-ონტოლოგიური, ყო-ფიერების განმსაზღვრელი და განმაპირობებელი.

ამ რომანებში ხაზი გაესვა ადამიანის ნაკლს, მის ჩრდილოვან მხარეებს და ამგვარად თითქოს პოზიტიური იდეალი დაიკარგა. ამ თვალსაზრისითაც გმირი განიხილება არა მხოლოდ კონკრეტული გეოგრაფიული გარემოს, არამედ ევროპის და, საზოგადოდ, მთელი სამყაროს კონტექსტში. ამ რომანებში დროის მეტაფიზიკის ასპექტები წარმოჩნდია ადამიანის „მესთან“ კავშირში. აქ უმთავრესია დროში

განხორციელებული „მეს“ ცვალება და დროში „ჩაღრმავება“, რაც აწ-მყოს, წარსულსა და მომავალს ადამიანის სულიერი განვითარების გადასახედიდან წარმოაჩენს. დროსთან ავტორთა დამოკიდებულება თვითნებურია, გვხვდება დროის არსის როგორც ბიბლიური, ასევე მითოსური და ავტორისეული ინტერპრეტაციები. აქ საინტერესოდ წარმოჩნდა დროისა და მუსიკის ერთობა. ქართულ მოდერნისტულ რო-მანებში წარმოდგენილი პრობლემაზე მოიცავს ყოფიერების ყველა მხარეს, უპირველესად კი სულიერი კრიზისი, გაუცხოება (სამშობლო-სთან, გარემოსთან, საკუთარ თავთან) არის დახატული.

უდიდესი ყურადღება მიექცა ექსტაზის ფენომენს, რომელმაც გამოხატა ადამიანისა და სამყაროს თავისებური ურთიერთდამოკიდე-ბულება. ამ რომანებში გამოვლინდა თხრობის ახალი ტექნიკა, რაც უპირატესად, პროზისა და პოეზიის სინთეზის საფუძველზე გაჩნდა. რიტმული პროზა მთელი თავისი მრავალფეროვნებითა და ნიუანსებით გამოვლინდა ქართულ მოდერნისტულ რომანში. ფერს გამოკვეთილი მხატვრული ფუნქცია მიენიჭა. ფერი არის სიმბოლო, რომელიც, უპ-ირველესად, ადამიანის სულიერ მდგომარეობასა და მის გარემოსთან დამოკიდებულებას ასახავს. ფერი და მუსიკა ერთმანეთს შეერწყა. ქართულმა სიტყვამ მთელი თავისი მხატვრული შესაძლებლობები წარმოაჩინა ქართულ მოდერნისტულ რომანში. მასში წარმოდგენილი ტროპები ამჟღავნებენ როგორც შემოქმედის ინდივიდუალობას, ასევე ეპოქის სულს. ეს ტროპები, საზოგადოდ, მსგავსია XX საუკუნის 20-იანი წლების პოეტური მეტყველებისა.

ქართულ მოდერნისტულ რომანებში წარმოჩნდა ყველა ის ძება, რომლებიც დამახასიათებელია მსოფლიო მოდერნისტული ლიტერა-ტურისთვის. აქ გვხვდება იმპრესიონისტული, სიმბოლისტური, ექსპრე-სიონისტული მიმდინარეობების არსებითი ნიშნები. ცხადია, ქართულ მოდერნისტულ რომანს საფუძველი მოუმზადა ცალკეულ მწერალთა შემოქმედებაში წარმოჩენილმა მოდერნისტულმა ძიებებმა.

გრიგოლ რობაქიძე ფიქრობდა, რომ სშირად შეუცნობლად იპა-რება სულში „ატმოსფერული გავლენა იდების“: „მერეჟკოვსკის ერთ შარშანდელ ფელეტონში ეს ამგვარი აფორიზმით გამოთქვა: „ბევრ ჩვენგანს არ წაუკითხავს კანტის „კრიტიკა წმინდა გონგბის“, მაგრამ სიკვდილის დროს უსათუოდ იგრძნობს იმის გავლენასო“ (რობაქ-იძე 1996: 32). „ქართული პროზის რენესანსი მჭიდროდ უკავშირდება  $H_2SO_4$ -ის ლიტერატურულ სახელს“, – ნერდა 1927 წელს უკან. „მემარ-ცხენებაში“ აკაკი განერელია. საგულისხმოა, რომ დემნა შენგელაია ამ ჯგუფში მონაწილეობდა. კრიტიკოსი დემნა შენგელაიას პროზაულ

შემოქმედებას განიხილავს და განსაკუთრებულ ყურადღებას „ქართულ პროზაში რენესანსის“ ერთ-ერთ ძლიერ გამომხატველ „სანავარდოს“ აქცევს. სწორედ ამ ნანარმოებზე გამოთქმული შეხედულებები წარმოაჩენს დემნა შენგელაიას შემოქმედების ახალ, მოდერნისტულ ასპექტებს: „დემნა შენგელაია ირეალისტი უფროა, ვიდრე აბსტრაქციის გამართველი. მის შემოქმედებაში ირრეალი ტიპების თუ მოქმედ გმირების წარმოდგენებიდან გამოდის“. „ანდრეი ბელის შემოქმედებაში კოშმარები აბსტრაქციის ფონზე იშლებან, დ. შენგელაიას ირეალიზმი საგნების დალაგების შემდეგ მოდის. ირეალი მასში მოცემულია არა პირველად და აუცილებელ პირობად, როგორც აბსტრაქცია სიმბოლისტისათვის“). ა. განერელია მსგავსებას ხედავს დემნა შენგელაიასა და ფეოდორ დოსტოევსკის შორის. მისი აზრით, „დოსტოევსკი ირეალისტია უთუოდ: იგი ალაგებს საგნებს რეალისტის სიმშვიდით, მაგრამ მთელ შენობას ირეალ სფეროში გადაიტანს ხოლმე უეცრივ“ (განერელია 1927: 24).

მოდერნიზმი ქართულ რომანებში წარმოჩნდა, როგორც სამყაროს სრულიად ახლებური განცდის გამოხატვა. სამყაროს ამ რომანების პერსონაჟები განცდიან არა როგორც ერთხელ შექმნილსა და დასრულებულს, არამედ როგორც მარად ქმნადს, ამიტომაც როგორც თვითონ ფორმა ნანარმოებებისა, ასევე „შინაარის“ ერთგვარად დენადია, გარდამავალი, მოლივლივე. პერსონაჟს შეუძლია შეცვალოს დროის დინება, გადაადგილოს სივრცეები, ერთმანეთში შეურიოს ცა და მიწა და შექმნას ახალი, ჯერ არნახული სამყარო. როცა კაფეას პიკასოს ნახატი – ვარდისფერი ქალები უზარმაზარი ფეხებით – ალუნერეს და მხატვარს დეფორმატორი უწოდეს, მწერალს უთქვამს, რომ ეს ნახატი, უბრალოდ, აღნიშნავს სიმახინჯეს, რომელსაც ჩვენი შემეცნება ჯერ კიდევ ვერ იაზრებს. ხელოვნება ხან სარკეა, ხან კი წინ მიდის, როგორც საათი. ქართული მოდერნისტული რომანები ქართულ სინამდვილეში წარმოჩნდა, როგორც „წინ გასწრებული საათი“, ამიტომაც ეს მხატვრული ტექსტები არ იყო იოლად აღსაქმელი და გასაგები.

## დამონიტანი

**აბაშიძე 1924:** აბაშიძე კ. თავისუფალი შემოქმედი. ლეილა, № 3, 1924.

**გამსახურდია 1992:** გამსახურდია კ. „დიონისოს ლიმილი“. თბილებანი ოცნებად. ტ. II. თბილისი: „დიდოსტატი“, 1992.

**გასეტი 1992:** გასეტი ო. ი. ხელოვნების დეპუმანიზაცია. თბილისი: „ლომისი“, 1992.

**განერელია 1927:** განერელია ა. დემა შენგელაია. მემარცხენობა, № 1. 1927.  
**ელიოტი 1989:** ელიოტი ტ.ს. „მითი და წესრიგი“. ესეები. თბილისი: „მერანი“, 1989.

**ელიადე 1993:** ელიადე მ. მითის ასპექტები. ივერია (ქართულ-ევროპული ინსტიტუტის ჟურნალი), № 1, 2. თბილისი: 1992-1993.

**მანი 1995:** მანი თ. რიპარდ ვაგნერი. თბილისი: „მერანი“, 1995.

**მანი 1989:** მანი თ. „ფრონიდი და მომავალი“. ესეები. თბილისი: „მერანი“, 1989.

**რობაქიძე 1989:** რობაქიძე გრ. „გველის პერანგი“, „ფალესტრა“. თბილისი: „მერანი“, 1989.

**რობაქიძე 1924:** რობაქიძე გრ. ესპრესიონიზმი. კავკასიონი, № 1, 1924.

**ტაბიძე 1986:** ტაბიძე გ. „ძვირფასი საფლავები“. ქართული ლიტერატურული ესსე. თბილისი: „მერანი“, 1986.

**ქიაჩელი 1986:** ქიაჩელი ლ. „ქართული რომანის ზოგი ამოცანა“. ქართული ლიტერატურული ესსე. თბილისი: „მერანი“, 1986.

**ყიასაშვილი 1988:** ყიასაშვილი ნ. „თანამედროვეობა და მოდერნიზმი“. დასავალეთ ევროპის ლიტერატურა. თბილისი: „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 1988.

**ჩხეიძე 1986:** ჩხეიძე ო. რკალი. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“, 1986.

# მოდერნიზმის ესთეტიკა და ოპოზიციური რიტორიკა Easthetik of modernism and oppositional retorik

---

TATIANA BYSTROVA

*Russia, Moscow*

*Moscow City Pedagogical University*

## **The substance of pleasure in Gabriele D'Annunzio's works**

From his very first steps into the literature scene aestheticism and interpretation of pleasure from aesthetic point of view were characteristic of Gabriele D'Annunzio, a very famous Italian poet and writer. In the article we analyse the subject of pleasure on examples of two D'Annunzio's poems and two novels – «The Child of Pleasure» and «The Innocent».

**Key words:** Erotic, pleasure, D'Annunzio, decadence, aestheticism, Italian literature.

**Т.А. БЫСТРОВА**

*Россия, Москва*

*МГПУ*

## **Мотив наслаждения в творчестве Габриеле Д'Аннунцио**

Габриеле Д'Аннунцио – один из столпов итальянской литературы рубежа XIX-XX вв. Как правило, итальянские исследователи относят его творчество к декадентизму (см., напр.: Arcangelo 1989), одному из ответвлений модерна, сопоставимому с первой волной русского символизма, однако в последнее время появляются труды, показывающие, что во второй половине своего творческого пути писатель выходит за рамки какого бы то ни было течения и открывает дорогу смелым новаторским решениям литературы нового, XX века (Baldi 2008).

В России творчество Д'Аннунцио до сих пор изучено крайне мало. Основную информацию о нем можно почерпнуть из статей в энциклопедиях, словарях писателей, немногочисленных учебниках по истории зарубежной

литературы, предисловиях к его сочинениям (см., напр.: Потапова 1995). Это связано с тем, что в советский период декадентский писатель оказался исключен из списка разрешенных авторов, редкие упоминания о нем носят, в основном, критический характер. В 2000-е годы К.А. Чекалов (Чекалов 2008) и Ч. Де Микелис (Де Микелис 2000) внесли значительный вклад в разработку темы восприятия творчества Д'Аннуницио в России, однако интерес исследователей к этому писателю носит разовый и фрагментарный характер, в связи с чем перед российскими итальянистами встает вопрос об анализе и детальном изучении произведений Д'Аннуницио.

Дебютировал Д'Аннуницио как поэт, и уже в его юношеских стихах прослеживается мотив наслаждения. Первый сборник «*Primo vere*» (1879) носит подражательный характер. Ритмический образец стихотворений дебютанта – «Варварские оды» Джозуэ Кардуччи, от него же Д'Аннуницио наследует и увлечение античными мотивами. Новое, что вносит юный поэт – это и есть чувственное начало, то, как отдается лирический герой во власть природе и инстинкту, первобытная естественность чувства в сочетании с эстетствующим архаизмом лексики, позднее перекочевавшие и в первые прозаические опыты писателя.

Скандалное стихотворение «*Il Peccato di Maggio*» («Майский грех»), появившееся в важнейшем римском литературном журнале «Византийская хроника» 16 мая 1883 года, воспевает тайный побег поэта с юной Марией Ди Галлезе и раскрывает интимные подробности свидания влюбленной пары. Позднее стихотворение вошло в «*Intermezzo di rime*» (1884), один из самых провокационных и сексуальных сборников поэта. Уже в этом раннем произведении прослеживается тема любовного желания как смерти, и его удовлетворения как возрождения к жизни. Герои-любовники соотносятся с античными персонажами, а природа является неизменной составляющей эротической сцены. На русский язык стихотворение, как и большинство поэтического наследия Д'Аннуницио, не переводилось, поэтому предлагаем подготовленный нами подстрочник:

*Atterrata a que'sùbiti vibramenti d'ignote fibre, ella con aneliti, gemiti, con immote le pupille e convulsa la bocca, ormai perduta, ormai perduta senza scampo, ormai posseduta da la dolce e terribile forza a cui la foresta, era schiava in quell'ora, pendea su me...  
La testa  
in dietro all'improvviso abbandonò.*

*Le chiome  
effuse le composero un letto ov'ella, come per morire, si stesse. Un irrigidimento, quasi un gelo di morte, l'occupò. Lo spavento m'invasse, per un attimo, innanzi a quel candore mortale che parea cingerla d'un orrore mistico e da l'impuro desio che in me sì forte fiammeggiava disenderla per sempre. Ma fu morte breve. Tornò la vita ne l'onda del piacere. Chino a lei su la bocca io tutto, come a bere da un calice, fremendo di conquista, sentivo le punte del suo petto insorgere, al lascivo tentar de le mie dita, quali carnosí fiori.*

(D'Annunzio 2003: 61)

Охваченная ужасом волнующих, неизведанных прежде сил, тяжело дыша и стоная, она застыла с неподвижными зрачками и перекошенным ртом, потерянная, но не было уж больше избавления, ее уж подхватила ужасная и сладостная сила, которая царила в тот час в лесу и нависла надо мною.

Глава ее назад внезапно запрокинулась. И волосы разлились вокруг, она лежала на земле, словно на смертном ложе. Она застыла, точно скованная смерти льдом. И страх обнял меня на мгновение, в этой чистой смертной невинности царил мистический какой-то ужас, и во мне зажглось сильнейшее и грязное желанье навсегда ее защитить. Но смерть ее была недолгой. Жизнь вернулась к ней волною наслаждения.

Я наклонился весь ко рту ее, словно желая выпить из бокала, трепеща от сладости победы, и чувствовал возбужденные груди ее под похотливыми руками моими, прекрасные цветы плоти.

В этом небольшом отрывке довольно объемного стихотворения намечаются основные мотивы эротической поэзии Д'Аннунцио. Герои уединяются в лесу – волшебном пространстве, попав в которое они оказываются в сети чар наслаждения и занимаются любовью, словно потеряв самих себя, подобно фавнам и другим мифическим персонажам. В итальянских исследованиях тематика ранней поэзии Д'Аннунцио получает определение «sensualismo e panismo», «sensualismo panico» – «паническая сексуальность», «чувственность и слияние человека с природой», а также «panismo paganesimo» – язычество и поклонение богу пану (Segre, Martignoni 2007:380). Именно пан и нимфы являются божествами, сопровождающими влюбленных в лесу, посредниками между миром людей и миром природы, оказавшись в котором герои познают собственную сексуальность.

Эротические мотивы остаются постоянной составляющей поэзии Д'Аннунцио, однако в более позднем творчестве они представлены не настолько прямолинейно, а фонетическое оформление становится не менее важно, чем визуальный ряд.

Знаменитое стихотворение «*La pioggia nel pineto*» («Дождь в сосновом лесу», 1902) тонко сочетает в себе эстетическую и эротическую составляющие и разрабатывает ту же тему, что и «Майский грех»: тему встречи влюбленных на фоне природы. Героиня уже другая – не юная жена, а зрелая подруга – Элеонора Дузе. Д'Аннунцио не изменяет своему давнему пристрастию к античным отсылкам: стихотворение входит в сборник «Алкион», а героиня получает мифологическое имя Гермионы. Герой призывает возлюбленную прислушаться к звукам дождя и насладиться мимолетным настоящим, не случайно все глаголы в тексте стихотворения в настоящем времени. Визуальное и звуковое восприятие картины оказывается неразрывно слито: сочетание звуков и ритмический рисунок позволяют воссоздать и стук дождя, и трели цикад, и шелест листьев. Д'Аннунцио проявляет себя виртуозом звуковой игры, а описанная сцена выступает и литературой, и живописью, и музыкой. Однако в русском переводе, очень удачном в целом, к сожалению, мотив чувственного наслаждения оказывается значительно стерт.

Так, в переводе исчезает строка: «дождь струится по нашим обнаженным рукам» (*piove su le nostre mani ignude*), а некоторые важные эротические символы, например, «нетронутый персик» (*pesca intatta*) заменяются на более нейтральные («сердце плодом застыло сладким»).

Присутствие лексемы «*piacere*» – наслаждение – довольно частотно в произведениях Д'Аннунцио, однако в русских переводах оно либо опускается, либо передается иначе, например « страсть », что отнюдь не является синонимом. Так и в данном случае дождь на лице героини видится лирическому герою как плач наслаждения (*par che tu pianga ma di piacere*), однако в переводе ему лишь «кажется, что ты плачешь», – эротическая составляющая образа полностью исчезает.\*

Важнейшая тема стихотворения Д'Аннунцио – присутствие рядом с героями дикой природной силы, как бы захватывающей их в свои сети и пробуждающих в них наслаждение, в русском переводе также оказывается смазана. «*Volti silvani*» – загадочные, лесные, как у фавнов лица героев превращаются в «одинокие лица», слияние героев с природой и друг с другом (*noi siam nello spirto silvestre*) обращается в банальную встречу «на поляне, в роще», *tuo volto erbe* – лесное, слившееся с зеленью лицо

\* Текст оригинала и перевода см.: Д'Аннунцио 1995.

героини становится «строгим и вдохновенным». Интересно, что в тексте оригинала герои оказываются во власти *«verde vigor rude»* – грубой зеленой (лесной) силы, в переводе ставшей нейтральной «травой».\*

Потоки дождя на руках и лицах героев и прикосновения мокрых трав к их обнаженным ступням становятся эротической лаской, которая объединяет их, заставляя отдаваться любовному томлению (что частично компенсировано в переводе введением отсутствующей в оригинале строки «и дождь станет лаской»). Как и в стихотворении «Майский грех», природа заставляет героев отдаваться инстинктам, именно к этому призывает героиню поэт в начале каждой строфы: «молчи», «слушай», «ты слышишь?» – вопрошают он. По мысли Д'Аннунцио, инстинктивное является проявлением божественного в человеке, однако божества эти по-прежнему мифические фавны и древние духи леса.

Согласно интерпретации итальянских исследователей Ч. Сегре и К. Мартиньони, герои «Дождя» переживают «мифическое перевоплощение из людей в существа растительного мира» (Segre, Martignoni 2007:407), однако очевидный эротический аспект данного стихотворения полностью опускается, а связь стихотворения с более ранними поэтическими произведениями Д'Аннунцио также остается за рамками анализа.

Гармония визуального и аудиального плана, присутствие эстетически совершенных образов в сценах описания эротического наслаждения играют для Д'Аннунцио-романиста роль не менее важную, чем для Д'Аннунцио-поэта. Природа и лес сменяются городским пейзажем Рима и утонченным интерьером квартиры главного героя, а преклонение автора перед античностью проявляется в описаниях деталей пейзажа и обстановки (статуи, панорама Рима), а также совершенства человеческого тела (возлюбленная героя после любовной сцены).

Уже с юного возраста Д'Аннунцио было свойственно активное жизнетворчество – он распускал слухи о собственной смерти, заводил многочисленные романы, а женитьба на Марии Ди Галлезе позволила войти ему в высшее общество, о котором он так мечтал. Свою жизнь он строил как роман, себя же представлял утонченным эстетом-любовником.

В 1890 году издательство Fratelli Treves публикуют написанный годом ранее роман Д'Аннунцио «Il piacere» («Наслаждение») – ключевой текст, с которого начинается успех писателя за пределами Италии. Роман вбирает

\* Следует уточнить, что наши замечания ни в коей мере не направлены на то, чтобы поставить под сомнение поэтическую ценность прекрасно выполненного перевода А. Евдокимова, целью которого являлось, прежде всего, воссоздание звуковой палитры оригинала – Т.Б.

в себя все открытия европейского декаданса и в то же время позволяет составить представление о мировоззрении Д'Аннуцио в этот период жизни. Вдохновленный романом Ж. Гюисмана «Наоборот», итальянец возводит в кульп искусственно сконструированное пространство и утонченно аристократический образ жизни Дез Эссента, но в остальном остается верен себе, оживляя это пространство любовными интригами и эrotическими сценами. В «Наслаждении» отчетливо заметны следы влияния французских писателей-натуралистов, таких как Флобер, Мопасан, братья Гонкур, а также менее известных декадентов-эстетов и швейцарского эссеиста Анри-Фредерика Амьеля, чей «Интимный дневник» стал образцом душевной аналитики и использовался Д'Аннуцио и позднее в романе «Невинный». Д'Аннуцио впитывает в себя европейскую культуру через французские переводы, ассимилирует источники и преобразует их в собственное оригинальное творчество.

Главный герой романа, Андреа Сперелли, признается итальянскими исследователями *alter ego* автора, а его образ жизни – идеалом, к которому стремится писатель. С одной стороны Андреа – утонченный эстет и изысканный любовник, с другой – образец «свободной личности» рубежа веков. Д'Аннуцио создает своеобразный миф, в центре которого оказывается герой, обладающий утонченной индивидуальностью, видящий цель жизни «во всеобъемлющем наслаждении искусством, любовью, красотою вещного мира» (Потапова 1982:152). Он разрывается между каждой наслаждения, воплощением которого является его бывшая возлюбленная Элена, и искренним чувством, которое просыпается в нем к Марии, выходившей его во время болезни.

Перенасыщенность описаниями и внимание к мельчайшим деталям, в частности, в описании обстановки дома Сперелли, туалета его возлюбленной, ее тела после любовных утех, является характерной чертой ранних романов Д'Аннуцио. Нарядам, интерьеру придается большое значение, подчеркивается роль тела как предмета искусства. Тело возводится в кульп и уподобляется своеобразному инструменту для достижения наслаждения.

«Наслаждение», ключевое понятие раннего творчества Д'Аннуцио, не случайно выносится в название его программного романа. Согласно энциклопедии Треккани «наслаждение – это чувство удовлетворения жизнью, возникающее вследствие полной реализации физических и духовных желаний и потребностей» (Treccani). Действительно, именно к такому удовлетворению стремится главный герой, однако духовное и физическое сталкиваются в несовместимом противоречии, поскольку воплощается

в двух разных женщинах, которых он стремится слить в некий третий, идеальный образ.

Рассмотрев вышеупомянутый роман с точки зрения употребления лексемы «наслаждение» (*piacere*), мы выделили три основные «вида» наслаждения, практикуемые протагонистами:

- Эстетическое (внешний вид, голос, элементы интерьера, урбанистика Рима, природа);

- Эротическое (фантазии, возбуждение, любовные сцены);

- Духовно-нравственное (сюда, в частности, можно отнести наслаждение как страдание или временную смерть, когда духовная составляющая персонажа (Мария) препятствует ей ощутить полноту чувственного наслаждения, захлестнувшего героя).

Говоря об эстетической составляющей, следует отметить, что через восприятие красоты телесное и духовное у Д'Аннунцио стремится к нераздельности, изысканность чувственного наслаждения позволяет герою завоевать и душу женщины:

*I suoi gesti erano lenti e un poco irresoluti, come di chi operando abbia l'animo rivolto ad altro oggetto; le sue mani bianche e purissime avevano nel muoversi una leggerezza quasi di farfalle, non parendo toccare le cose ma appena sfiorarle; dai suoi gesti, dalle sue mani, da ogni lieve ondulamento del suo corpo usciva non so che tenue emanazion di piacere e andava a blandire il senso dell'amante. (D'Annunzio, 2016:16)*

Ее движения были медленны, несколько нерешительны, как у человека, чья душа во время работы занята другим; ее белые, изумительно чистые руки двигались почти с легкостью бабочек и, казалось, не дотрагивались до предметов, а лишь слегка касались их. От ее движений, от ее рук, от малейшего изгиба ее тела распространялось какое-то тончайшее дыхание наслаждения и ласкало чувства любовника.

В поисках наслаждения Андреа не знает меры, не случайно лексема «наслаждение» часто встречается с такими словами как «несказанное, безмерное», «поток, источник наслаждения» – оно соотносится с неудержимой стихией, которая захватывает героя, когда он полностью отдается во власть инстинкта. В роли «источника наслаждения» выступает чувственная возлюбленная героя – Элена, чье имя также символично отсылает к античному мифу о Елене Прекрасной, из-за которой разгорелась Троянская война. Она как дарит, так и умеет принимать любовную ласку:

|   |  |
|---|--|
| <p><i>Elena aveva chiuso gli occhi, come per gustare più intimamente il rivo di piacere che le saliva dal braccio. Volgeva la mano, sotto la bocca di lui, per sentire i baci su la palma, sul dosso, tra le dita, intorno intorno al polso, su tutte le vene, in tutti i pori.</i> (D'Annunzio 2016:8)</p> | <p>Элена закрыла глаза, как бы желая глубже изведать поток наслаждения, поднимавшийся по руке. Она поворачивала руку под его устами, чтобы чувствовать поцелуи на ладони и сверху, между пальцами, вокруг кисти, на всех жилах, во всех порах.</p> |
|---|--|

Основную группу контекстов, где встречается лексема «наслаждение», составляют эротические сцены. Наслаждение характеризуется как «изысканное», «возбуждающее», «неизведенное» и даже «пошлое», герой стремится познать его во всех видах и оттенках. После расставания с Эленой Андреа теряет не любимое существо, но комплекс эстетических и телесных ощущений, неповторимых наслаждений, которые лишь она была способна ему подарить.

С появлением Марии он познает наслаждение-страдание, наслаждение-разочарование. Для Марии наслаждение – это обман, источник греха и страха. Если имя Элены отсылает к античности – а для Д'Аннунцио это эпоха господства мифа, инстинкта, эротики и красоты, то Мария противопоставляется Элене как образ христианской доброты, смирения и духовности. Она способна на действительно глубокие чувства, а ее духовная сущность противится восприятию эротического как самоценного. Мария верит, что своей любовью способна очистить «падшую душу» Андреа, однако искренняя самоотдача возлюбленному губит ее.

При описании отношений героя с двумя женщинами Д'Аннунцио прибегает к технике зеркального отражения – обе при посещении Андреа поправляют вуаль перед зеркалом, ставят чашку на стол, садятся на кожаный стул, и так далее. Почти буквальное повторение сцен способствует возникновению у читателя ощущение *déjà vu*. Принимая Марию в комнате, где он был с Эленой, Андреа находит в этом новое, неизведенное наслаждение, в нем просыпается желание слить обе красоты и овладеть третьей, воображаемой, более настоящей, более идеальной.

В «Наслаждении» отчетливо прослеживается влияние «Дневника» и «Милочки» братьев Гонкур. В частности, образ Марии за фортепиано, описание ее опущенных плеч, в которых герой отмечает редкую аристократичность и грацию, требование Андреа от Марии залога расположения, перчатки, отсылает к французскому источнику.

Противопоставление физического и духовного, чувственного и нравственного находит продолжение в романе «Невинный» (1892). Роман написан в форме исповеди, а признание, которое совершает герой, является для него «непреодолимой моральной потребностью» (Потапова 1982: 173). Главная тема произведения – поиск наслаждения и пренебрежение моральной ответственностью. Подобно Андреа Сперелли, главный герой, Туллио, ставит себя выше общепринятых нравственных норм и живет в свое удовольствие, однако, в отличие от героя «Наслаждения», он связан узами брака.

Туллио Эрмиль – типичный даннунцианский герой, однако в «Невинном» прослеживаются интересные переклички с романами Достоевского: герой размышляет о вседозволенности для избранных личностей, однако в итоге попытка следовать этой философии приводит его к терзаниям ревности, а затем и убийству младенца. Измена жены опрокидывает эгоцентрическую картину мира героя, он наказан, поскольку Джулиана поступает с ним в рамках его же собственной морали. Роман строится на тонком и безжалостном самоанализе протагониста. Подобно Андреа Сперелли, герой ведом жаждой наслаждения, алчностью и любопытством к новому чувственному опыту:

*I miei torti verso di lei s'erano andati accumulando. Io l'aveva offesa nei modi più crudeli, senza riguardo, senza ritegno, trascinato dalla mia avidità di piacere, dalla rapidità delle mie passioni, dalla curiosità del mio spirito corrotto.* (D'Annunzio 2016:156)

Число моих проступков по отношению к ней увеличивалось все более и более. Я оскорблял ее самым жестоким образом, без стеснения, без удержанья, увлекаемый своей алчностью к наслаждениям, быстрой сменой своих увлечений, любопытством своего извращенного воображения.

Однако этот путь оказывается для него губительным: отвергнув духовную составляющую любовного чувства, герой решается на убийство ребенка, которого жена родила от любовника, и тем самым оказывается обречен на вечные муки совести.

Мотив самоосуждения героя свидетельствует о влиянии на Д'Аннунцио творчества Л.Н. Толстого: Туллио вместе с женой читает «Войну и мир» и рассуждает о том, что каждый человек способен сделать из своей жизни то или иное произведение. Туллио уже не тот эстет и денди, каким

был Андреа Сперелли, он – противоречивый и легко возбудимый человек со сложной психикой, чьи чувственные и интеллектуальные импульсы сменяются с исключительной скоростью. Это совершенно новый герой для итальянской литературы: эгоистичный, обуреваемый плотскими страстями, и в то же время рефлектирующий, страдающий и жаждущий прощения.

В более позднем творчестве Д'Аннунцио герой подтверждает свою «избранность» и выделяется из окружения уже не посредством эстетизации быта и тяги к наслаждениям, пренебрегая законами морали, а выводится на уровень «сверхчеловека», сочетающего в себе лучшие качества избранной личности. Новый персонаж, возникший под влиянием ницшеанских идей, не отрицает прежнего эстета-эротомана, но наделяется новыми функциями: герой возвышается над массой, и в то же время горит жаждой действия и созидания, тем самым влияя на формирование окружающей его действительности. Он не слепо принимает судьбу, но бросает ей вызов, нарушая привычный ход вещей, принимая на себя роль пророка в своем отечестве (например, поэт Стелио в романе «Огонь» (1900).

Тем самым, к 1900-му году мотив наслаждения, занимавший центральное место в раннем творчестве Д'Аннунцио, из основного переходит в разряд второстепенных, а позднее и вовсе сходит на нет.

#### ЛИТЕРАТУРА:

**Д'Аннунцио 1995:** Д'Аннунцио Г. *Леда без лебедя*: сборник. М., 1995, форзац.

**Де Микелис 2000:** Де Микелис Ч. Д'Аннунцио в русской культуре. // Начало века. Из истории международных связей русской литературы. СПб., 2000. С. 281-315

**Потапова 1995:** Потапова З., Многоликий Габриеле Д'Аннунцио // Д'Аннунцио Г. Леда без лебедя: сборник. М., 1995. С. V-XXII.

**Потапова 1982:** Потапова З.М. Облик итальянского декаданса в прозе Д'Аннунцио // Проблемы литературного развития Италии второй половины XIX-начала XX века. М., 1982. С. 149-184.

**D'Annunzio 2003:** D'Annunzio Gabriele. *Poesie*. Garzanti, 2003.

**Чекалов 2008:** Чекалов К. А. Д'Аннунцио на российской сцене: рубеж двух столетий. // Новые российские гуманитарные исследования. 2008, № 3.

**D'Annunzio 2016:** D'Annunzio Gabriele. I Romanzi. Prima edizione digitale, 2016. (Электронное издание).

**Arcangelo 1989:** Arcangelo Leone De Castris. *Il decadentismo italiano: Svevo, Pirandello, D'Annunzio*. Laterza, 1989.

**Baldi 2008:** Baldi, Guido. Le ambiguità della “decadenza”. *D'Annunzio romanziere*. Liquori, 2008.

**Segre, Martignoni 2007:** C. Segre, C. Martignoni. *Leggere il mondo: letteratura, testi, cultura*. Mondadori, 2007. P. 379-407.

**Treccani:** *Enciclopedia italiana*. [online]: <http://www.treccani.it/enciclopedia/piacere/>

## KONSTANTINE BREGADZE

*Georgia, Tbilisi*

*Shota Rustaveli Institute of Georgian Literature*

### **“This Century of the Mephistopheles”: Modernist Sensitivity in Galaktion Tabidze’s “Artistic Flowers”**

Modernist Literature in Europe and Georgia immediately react to the triple crisis revealed in the modern era – rational cognition, rational subjectivity and rational language, followed by the criticism of these three givens in the modernist literature, including modernist lyrics as well. In their triple criticism the authors of the literary modernism, heavily relied on the Nietzschean criticism of rationality, scientism, monolithic-rational subjectivity and conventional language.

Galaktion Tabidze’s (1891-1959) “Artistic Flowers” (1919) fully depict the destruction of the solid theocentric and anthropocentric beliefs in the fragile modern epoch and due to it the deconstruction of subjectivity (Ich-Dissoziation) (S. Vietta). The collection does not present a strong lyrical “me” with an exact point of view and deep personal passions and emotions, but on the very contrary gives us a dissimilated, dis-harmonic, de-personated lyrical hero.

**Key words:** Modernism, modernist, Friedrich Nietzsche, Galaktion Tabidze.

## პონსტანტინე ბრეგაძე

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

„ეს საუკუნე მეფისტოფელი“: მოდერნული მგრძნობელობა  
გალაკტიონ ტაბიძის „არტისტულ ყვავილებში“\*

### 1. მოდერნისტული ლირიკის პოეტიკა

მოდერნისტული ლიტერატურა ევროპასა და საქართველოში იმთავითვე რეაგირებს მოდერნის ეპოქაში გამოვლენილ სამმაგ კრიზისზე – რაციონალური შემეცნების, რაციონალური სუბიექტურობისა და რაციონალური ენის, რასაც მოჰყვა ამ სამი მოცემულობის კრიტიკა მოდერნისტულ ლიტერატურაში (ვიეტა 1998: 540), მათ შორის, მოდერნისტულ ლირიკაში. თავის სამმაგ კრიზიკაში ლიტერატურული მოდერნიზმის ავტორები დაეყრდნენ რაციონალიზმის, სციენტიზმის, მონოლითურ-რაციონალური სუბიექტურობისა და კონვენციონალური ენის ნიცხესეულ კრიტიკას (ვიეტა 1998: 541-542).

მოდერნისტული ლირიკა პრატიკასა და თეორიაში ცდილობს, პირველ რიგში, ენისადმი კრიტიკისტული მიდგომით, ანუ ტრადიციული კონვენციონალური ენის უკუგდებითა და „ირაციონალურ“ ენაზე ორიენტირებით, ერთგვარად გამოეხმაუროს „ღმერთის სიკვდილით“ (ნიცხე) გამოწვეულ გლობალურ სულიერ კრიზისს, მეორე მხრივ, ცდილობს დაძლიოს ეს კრიზისი და „ირაციონალური“, არაკონვენციონალური ენის საფუძველზე დასახოს ყოფიერების პოეტური განვრცობისა და ეგზისტენციალური „ხსნის“ გზები.

მოდერნისტული ლირიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პოეტოლოგიური და სტრუქტურული მახასიათებელია ის, რომ ტრადიციული ლირიკისაგან განსხვავებით, რომელიც ძირითადად ორიენტირებულია ლირიკული გმირის/ლირიკული „მე“-ს მკვეთრად გამოხატულ სუბი-

\* ფორმულირება „მოდერნული მგრძნობელობა“ შემოგვაქვს ბიდრიარის ფორმულირების „პოსტმოდერნული მგრძნობელობა“ ანალოგიით. ჩვენს ფორმულირებაში „მოდერნული მგრძნობელობა“ კი ვგულისხმობთ თანამედროვე ადამიანის, კერძოდ, მოდერნის ეპოქის ადამიანის ცნობიერებისა და ეგზისტენციის გარკვეულ კონდიციას, კერძოდ, ვგულისხმობთ მოდერნის ეპოქისათვის დამახასიათებელ და მის მი-ერ წახალისებულ ტოტალური დესკრალიზაციისა და დეპუმანიზაციის პროცესებთ გამოწვეულ ეგზისტენციალურ შიშს, თვითიდენტობის მოპოვების შეუძლებლობას, უსაზრისითის, აპოვალიფიციურობისა და ესქატოლოგიურობის განცდას, რასაც მოდერნის ეპოქის დისოცირებული, ანუ პიროვნებადაშლილი ადამიანი სრულად ექვემდებარება.

ექტურობასა და მის მსოფლმხედველობრივ და ემოციონალურ წიაღ-სვლებზე (მაგ., სენტიმენტალური, რომანტიკული, ან რეალისტური პოეზია), რომელსაც შემდგომ ეფუძნება ტრადიციული ლირიკული ტექსტის მთელი იდეურ-მსოფლმხედველობრივი, სახისმეტყველებითი და სტრუქტურულ-კომპოზიციური „სისტემა“, მოდერნისტულ ლირიკაში ამის საპირისპიროდ ან უკანა პლანზე გადადის, ან სრულიად გაუქმებეულია ე. ნ. ლირიკული გმირი/ლირიკული „მე“ და მისი მკვეთრად გამოხატული სუბიექტურობა. შესაბამისად, მოდერნისტული ლირიკის ლირიკული „მე“ ტექსტში უკვე აღარ ფუძნდება უმთავრეს საბაზისო სტრუქტურულ ერთეულად, ანუ ავტორისა და ტექსტის მყარი, მონოლითური მსოფლმხედველობრივი პოზიციისა და აუმღვრეველი, „დაწმენდილი“ ემოციონალური მდგომარეობის გამომხატველად, რომლის საფუძველზეც ტრადიციულ ლირიკაში აიგებოდა ხოლმე ლირიკული ტექსტის ერთიანი სტრუქტურულ-ფორმალური სისტემა (ტროპიკა, რიტორიკა, ვერსიფიკაცია) (ანდრიოტი 2009: 306-329). შედეგად, მოდერნისტულ ლირიკულ ტექსტში ე. ნ. ლირიკული „მე“ და მისი სუბიექტურობა ან სრულიად „განეიტრალებულია“, უკანა პლანზე გადადის, ან სულაც გაუქმებული და უკუგდებულია.

მოდერნისტულ ლირიკაში მოცემული ეს სტრუქტურული „რყევა“, ერთი მხრივ, გამოწვეულია ყოფიერების გონითი და რაციონალური მოწყობისადმი, სამყაროს პარმონიულობისადმი მოდერნისტი ავტორის უნდობლობით (ჰეგელის ნაკადის უარყოფა), მეორე მხრივ, გონების განმანათლებლური კულტისა და რაციონალური, მუდმივად მყარი სუბიექტის ყოვლისშემძლებლისადმი სკეპსისით (კანტიანური და ფიხტეანური ნაკადის უარყოფა).

ამიტომაც, მოდერნისტულ ლირიკულ ტექსტებში იმთავითვე გაცხადებულია სუბიექტურობის კრიზისი და ლირიკული გმირის სუბიექტურობისაგან დაცლა, მისი „განპიროვნება“ (Entpersönlichung), რაც, როგორც უკვე აღვნიშნე, აისახა მოდერნისტული ლირიკის თვით სტრუქტურულ დონეზეც კი, სადაც ლირიკული გმირის დეპერსონალიზებული, დასოცირებული, დაშლილი, დარღვეული სუბიექტურობა აღარ ფუძნდება ლირიკული ტექსტის საბაზისო სტრუქტურულ ერთეულად.

ჩემი აზრით, იმავე ავსტრიელი ექსპრესიონისტი ლირიკოსის, გეორგ თრაქლის (1887-1914) (ცნობილი ლექსი „ელისი“ (“Elis”) პარადიგ-მატულად ასახავს მოდერნისტული ლირიკის პოეტიკის ამ სპეციფიკას:

ელის, როცა შავ ტყეში შაშვი ძახილს დაიწყებს,

იცოდე, შენი აღსასრულია.

შენი ბაგენი შესვამენ ლურჯ კლდეთა წყაროს სიგრილეს.

სისხლად დაედინება შენს შუბლს  
ძველი ლეგენდები  
და ფრინველთმისანთა ბნელმეტყველება.

შენ კი ნელი ნაბიჯით გაუყვები ღამის ბილიკებს,  
ღამეს, შემკობილს მენამულ მტევნებით  
და სილურჯეში გაშლი შენს ნატიფ ხელებს.

აშრიალებულ ეკალპარდებში  
გამოჩნდება შენი მთვარეული თვალები.  
ო, უკვე რამდენი ხანია, მკვდარი ხარ, ელის.

შენი სხეული სუმბულია,  
რომელშიც ბერი ცვილის თითებს ჩააწოპს.  
ჩვენი დუმილი შავი მლვიმეა.

ხანდახან სათონ ნადირი გამოვა იქიდან  
და ნელა დახრის დამძიმებულ ქუთუთოებს.  
შენს საფეთქლებზე შავი ცვარ-ნამი დაიწყებს წვეთვას,

დაცვენილ ვარსკვლავთა უკანასკნელი ოქრო.  
(გერმანულიდან თარგმანი ჩემია – კ. ბ.) (თრაქლი 1994: 101).

## 2. „არტისტული ყვავილების“ პოეტიკა და სიმბოლიკა

### 2.1. პოეტიკა

გალაკტიონ ტაბიძის (1891-1959) „არტისტული ყვავილები“ (1919), როგორც ქართული მოდერნისტული ლირიკის უმაღლესი და სრულ-ყოფილი გამოვლინება, სრულად გამოხატავს და შეესაბამება მოდერნისტული ლირიკის ზოგად პარადიგმასა და დისოცირებულ ბუნებას, როგორც მსოფლმხედველობრივი, ისე პოეტიკური თვალსაზრისით.

აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ გალაკტიონის „არტისტული ყვავილები“ ეს არც რჩეულ ლექსთა კრებულია და არც ავტორის მიერ ბოლო პერიოდის ლექსთა ერთ კრებულში მექანიკური თავმოყრა, არამედ ერთიანი ტექსტია, დავამატებდი, თავისებური ონტოლექსტუალობაა, რომელიც შეკრულა და გამთლიანებულია ერთიანი მსოფლმხედველობრივი, სახისმეტყველებითი, პოეტიკური კონცეფციითა და სიუჟეტური ჩანაფიქრით. ამაზე მეტყველებს ისიც, რომ თვით კრებულის ლექსები ნუმერირებულია, რითაც მინიჭნებულია, რომ თითოეული ლექსი არის თავისებური ცალკე „თავი“ „კრებულის“ ერთიან ტექსტუალურ

ქსოვილში, რომ თითოეული ლექსი ერთდროულად ატომისტური და კოსმიური ყოფიერების ცალკეული წახნაგის წარმოჩენაა.

კომპოზიციურად „არტისტული ყვავილები“ „შეკრულია“ მონტაჟის პრინციპით: კრებულის თითოეული ლექსი, როგორც მთლიანი კომპოზიციის თითოეული შემადგენელი ნაწილი, როგორც ერთიანი ტექსტის ერთგვარი „თავი“, ერთმანეთს რამე ლოგიკური ჯაჭვით კი არ უკავშირდება, არამედ ასოციალური ბმით, განცდისმიერი ბმით, ასევე – დისოცირებული, ანუ პიროვნებადაშლილი ლირიკული გმირით, რომელიც ექსპრესიონისტული დრამისათვის დამახასიათებელი პოეტიკის მსგავსად ერთმანეთთან მონტაჟის პრინციპით „მიკერებულ“ ლექსებში (ანუ „თავებში“) სრულიად სხვადასხვა ეპიზოდში ჩნდება (ან სრულიად არ ჩნდება). „კრებულის“ ლექსები ჭრისა და ბმის მქეანიციზმით „ედებიან“ ერთმანეთს და ასე ქმნიან „კადრების ასხმას“, რითაც ვლინდება პოეტიკური რეაქცია სამყაროს არათან-მიმდევრულად დენადი, „მონტაჟური“ ბუნების მიმართ. შესაბამისად, უნდა ვისაუბროთ არა ცალკეული ლექსების სხვადასხვა ლირიკულ გმირზე, არამედ ერთ ონტოტექსტუალურ ლირიკულ გმირზე, „კრებულის“ ერთიან ლირიკულ გმირზე. ხოლო „კრებულის“ ის ლექსები, ანუ ერთიანი ტექსტის „სიუჟეტის“ ცალკეული ეპიზოდები, სადაც ჩნდება ეს პიროვნებადაშლილი ლირიკული გმირი, უნდა გავიაზროთ, როგორც ონტოტექსტუალური ლირიკული გმირის მარადიულად ერთი და იგივე დისოცირებული, თვითიდენტობადაკარგული მდგომარეობა. შესაბამისად, „კრებულის“ „სიუჟეტის“ ფარგლებში, რომელიც მონტაჟის პრინციპითაა „ანყობილი“, ლირიკული გმირი არა თანმიმდევრულად გადაადგილდება დროსა და სივრცეში, არამედ ნახტომისებურად.

კრებულში გამოვლენილია მოდერნისტული ლირიკისათვის დამახასიათებელი ორი აპროორული განზომილება – მასში მოცემულია თავისებური სტრუქტურული და მენტალური „რევეა“: ერთი მხრივ, შეინიშნება ტრადიციული ლირიკული გმირის, როგორც ტექსტის მთავარი საბაზისო სტრუქტურული ერთეულის, გაუქმების ტენდენცია, მეორე მხრივ, ვლინდება თეოცენტრისტული და ანთროპოცენტრისტული მენტალობის დესტრუქციით გამოწვეული სუბიექტურობისა და ყოფიერების პარმონიულობის რღვევა-დაშლა. ამას ერთვის კრებულშივე მოცემული მოდერნისტული ლირიკის სხვა პოეტიკური მახასიათებლები: ერთი მხრივ, პოეტური სიმბოლოს ფარგლებში სახე-აზრისა, და მეორე მხრივ, პოეტური სიტყვის ფარგლებში ბეგრა-აზრის მთლიანობათა გაუქმება და რღვევა და ამის ხარჯზე პოეტური მეტყველების სუგესტიურობისადმი და აბსოლუტური მუსიკისადმი ტენდირება.

ტრადიციული ლირიკისაგან განსხვავებით, კრებულის ლექსებში ლირიკული გმირი აღარ არის ტექსტის სტრუქტურული ბაზისი, ვინაიდან ლირიკული გმირის სუბიექტურობა აღარ ავლენს მყარ მსოფლიმსედველობრივ პოზიციას, მორალურ და ემოციონალურ მონოლითურობას, რომლის ბაზაზეც, როგორც წესი, აიგებოდა ხოლმე ტრადიციული ლირიკის სტრუქტურა და პოეტიკა. ამის საპირისპიროდ, „არტისტული ყვავილების“ ლირიკული გმირი ავლენს სრულ პიროვნულ რღვევას, რაც გამოიხატება მსოფლმხედველობრივ სკეპსისა („არჩენდა შენაპირი, ვერ ვნახე ვერაფერი“, „ჯვარს ეცვი თუ გინდა! საშველი არ არის, არ არის, არ არის!“, „განსასვენებელ ზიარებაზე ჩემთან არ მოვა შენი ხსენება!“ და ა. შ.) და ოვითიდენტობის შუძლებლობაში („რომელი სცნობს შენს სახეს, ან ვინ იტყვის შენს სახელს?“, „დავიკრეფ ხელებს და გრიგალივით გამაქანებულ სწრაფი ცხენება!“ და ა. შ.). ამიტომაც, კრებულის ლირიკული გმირის ცნობიერებასა და მსოფლგანცდაში ყოფიერება აღიქმება როგორც იმთავითვე დისპარმონიული მოცემულობა. შედეგად, ეს დეპერსონალიზებული ლირიკული გმირი „განერიტრალებულია“, ანუ, უკანა პლანზე გადადის, სრულიად „იხსნება“ და ქრება ტექსტის ქსოვილში. ხოლო ლირიკული გმირის პირველ და მეორე გრამატიკულ პირში თხრობა, რაც ტრადიციული ლირიკისათვის დამახასიათებელი აპრიორული რიტორიკული ხერხია, რომლის საშუალებითაც ტრადიციულ ლირიკაში ინტენცირებულია ლირიკული გმირის მყარი, მონოლითური სუბიექტურობა, საკუთარ თვითობასთან და სამყაროსთან სრული ჰარმონია, გალაკტიონთან უკვე იღებს საპირისპირო რიტორიკულ დატვირთვებს, ანუ სუბიექტისა და სამყაროს ჰარმონიულობის რღვევისა და დამლის გაინტენსივების რიტორიკულ ფუნქციას. შესაბამისად, ლირიკული გმირის სუბიექტურობის ნაცვლად ლირიკული ტექსტის მთავარ სტრუქტურულ ბაზისად უკვე ფუძნდება წმინდად ობიექტური, „საგნობრივი“, მეტასუბიექტური განზომილებანი – ლურჯა ცხენები (ლურჯა რაში), ქარი/გრიგალი, სასახლე, ბალი, გემი და ა. შ.

## 2.2 სიმბოლიკა

ახლა განვიხილოთ „კრებულის“, ჩემი აზრით, ორი ძირებული და წარმმართველი „მადისოცირებელი“, მოდერნული მგრძნობელობის გამაინტენსივებული სიმბოლო – а) ლურჯა ცხენებისა/ლურჯა რაშისა და б) ქარის/გრიგალის. ეს პოეტური სიმბოლოები „არტისტულ ყვავილებში“ ლაიტმოტივური ბუნებისაა, რაც კონცეპტუალურად უკავშირდება თავად ყოფიერების მარადგანმეორებად სტიქიურ, ირაციო-

ნალურ, გონზე (Geist) არდაფურმებულ ონტოლოგიურ ბუნებას. შესაბამისად, ეს სიმბოლოები „კრებულის“ ლექსებში მუდმივად ჩნდებიან და (მარად) ბრუნდებიან, ისინი „კრებულის“ მთლიან ტექსტუალურ ქსოვილს საფუძვლად “ჩაეფინება”, ისევე როგორც აბსოლუტური ნება (Wille) დაედება პირველსაწყისად მთელს ყოფიერებას.

## 2.2.1 ლურჯა ცხენების სახისმეტყველება

ლურჯა ცხენების სახისმეტყველებაში, ლურჯა ცხენების „პერსონაჟში“ ერთდროულად თავს იყრის სამაგი სემიოზისი, სადაც იკვეთება შემდეგი ონტოლოგიური და ეგზისტენციალური მახასიათებლები:

1. ერთი მხრივ, ლურჯა ცხენები განასახიერებენ სამყაროს/ყოფიერების ირაციონალურ პირველსაწყისს – აბსოლუტურ ნებას (შდრ. ნიკშეანური “Wille”) და მის დროსა და სივრცეში უმიზნო, უსაზრისო და უსასრულო გამოვლინებას თავისთავადი და სტიქიური წარმოქმნისა და გაქრობის, დაბადებისა და კვდომის ფორმით;

2. მეორე მხრივ, ლურჯა ცხენები განასახიერებენ თავად ყოფიერების არსობრიობას (Wesenheit), ანუ იმას, თუ როგორია არსებულის, როგორც არსებულის, არსებობის ფორმა. შესაბამისად, ლურჯა ცხენების სახისმეტყველებაში ასახულია ყოფიერების მარადებანერებადი არსი, რაც ყოფაში და ყოველი ცალკეული ადამიანის ეგზისტენციაში ვლინდება როგორც წარმოქმნისა და გაქრობის, დაბადებისა და კვდომის უსასრულო, უსაზრისო და მარადიულად ერთი და იგივე ონტოლოგიური აქტი.

3. და ბოლოს, ლურჯა ცხენების სახისმეტყველება კრებულის ონტოტექსტუალობაში ფუძნდება, ერთი მხრივ, როგორც ყოფიერების/ყოფის უსაზრისობის სიმბოლო, მეორე მხრივ, როგორც სუბიექტის დისოცირებული და ყოველგვარ საზრისს მოკლებული ეგზისტენციისა და მისი საბოლოო აღსასრულის, მისი ეგზისტენციის აპრიორული სასრულობისა და სრული ეგზისტენციალური გაქრობის სიმბოლო. აქედან გამომდინარე, კრებულის იმ ლირიკულ ტექსტებში, სადაც ლურჯა ცხენების სახისმეტყველება გახდება, სწორედ ეს სიმბოლიკა ფუძნდება უმთავრეს იდეურ და სტრუქტურულ საბაზისო ერთეულად, რასაც შემდგომ ემყარება ლირიკული ტექსტის დისოციალური სემანტიკა, ტოპიკა, ვერსიფიკაცია და რიტორიკა:

## II

მხოლოდ ნისლის თარეშში, სამუდამო მხარეში  
ზევით თუ სამარეში, წყველით შენაჩვენები

როგორც ზღვის ხეტიალი, როგორც ბედის ტრიალი  
ჩქარი გრვინვა გრიალით ქრიან ლურჯა ცხენები!  
(ტაბიძე 1993: 14)

ჩემი აზრით, ამ ჭრილში უნა მოვაქციოთ კრებულის შემდეგი ლექ-  
სებიც, სადაც გვხდება ლურჯა ცხენების/ლურჯა რაშის მადისოცირე-  
ბელი სახისმეტყველება: „მარია ანტუანეტა“, „სილაჟვარდე ანუ ვარდი  
სილაში“, „ვინ არის ეს ქალი“, „როგორ ეპრძოდნენ ზარებს ზარები“,  
„ნუგეში“ და სხვ.:

## XXVI

მიმაფრენდა ნაპრალებზე ლურჯა ცხენი,  
გადვიჩეხე,  
უკურნებლად დაჭრილი ვარ...  
დამეხსენი!  
(„ვინ არის ეს ქალი?“; ტაბიძე 1993: 62)

### 2.2.2 ქარის/გრიგალის სახისმეტყველება

სახისმეტყველებით ტრადიციაში ქარის/გრიგალის სიმბოლიკა  
რამდენიმე სემანტიკის შემცველია: 1. იგი განასახიერებს ღვთის მრისხ-  
ანებას, 2. ადამიანური ცხოვრების არარაობასა და ამაოებას, 3. ასევე,  
პოეტურ ინსპირაციას (მაგ., რომანტიზმში) (მეცლერის სიმბოლოთა ...  
2008: 424).

ქარის/გრიგალის სიმბოლიკა, ლურჯა ცხენების სიმბოლიკის მს-  
გავსად, ასევე მთლიანად მოიცავს „არტისტული ყვავილების“ ონ-  
ტოტექსტს და „ლირიკული გმირის“ ონტოტექსტუალური ეგზისტენ-  
ციაც მთლიანდ დეტერმინებულია ქარის/გრიგალის სიმბოლიკით.  
ლურჯა ცხენების მსგავსად ქარიც/გრიგალიც კრებულის ერთ-ერთი  
მთავარი „პერსონაჟია“ და კრებულის სიუჟეტურ განვითარებაში ისიც  
„გადაწეს“ ლირიკულ „მე“-ს მეორე პლანზე.

ქარის/გრიგალის სიმბოლიკა, ქარის/გრიგალის „პერსონაჟი“ „პერ-  
ბულის“, როგორც ერთიანი ტექსტის, „სიუჟეტურ“ განვითარებაში  
ამძაფრებს სამყაროში გონითი ცენტრის, საყრდენის არ არსებობის  
განცდას, ამძაფრებს ულვთობის, ღვთის დევნილობის განცდას. ქა-  
რის/გრიგალის, როგორც „პერსონაჟის“, დრამატურგიული ფუქნციაც  
სწორედ ეს არის. შესაბამისად, ქარის სიმბოლიკაც უხდა გავიაზროთ  
როგორც: 1. აბსოლუტური ნების („Wille“) განსახიერება, 2. ამავდრო-

ულად, თავად გალაკტიონის პოეზიის მოდერნისტული პოეტიკური მასასიათებელი – კერძოდ, პოეზია, რომელიც ადეკვატურად რეაგირებს ამ ახალ დისოცირებულ სამყაროულ კონდიციაზე და ამ რეაგირების შედეგად იქმნება სწორედ „ირაციონალურ“ ენაზე დამყარებული სუ-გესტიური პოეტური მეტყველება (შდრ.: „შენ ჩემო გენიავ – გრიგალ-მა დარეკა!“) (ტაბიძე 1993: 137), 3. ასევე, უნდა გავიაზროთ როგორც ლირიკული გმირის „მრავლობითი“, ქაოტური, არამყარი ანთროპოლოგიის განსახიერება, რის საფუძველზეც მინიშნებულია მისი ზმანების, მოგონებების ვითარებაში მუდმივი ყოფნა – მართლაც, „კრებულის“ „სიუჟეტურ“ „განვითარებაში“ ლირიკული გმირი მუდმივად დანთ-ქმულია საკუთარ ირაციონალურ, არაცნობიერ ანთროპოლოგიურ საწყისებში, შეპყრობილია საკუთარი არაცნობიერის უსასრულო ეფე-მერული და ქაოტური წარმოსახვებით:

## I

[...] დაქრიან უდაბნოს **ქარები**,  
მტანჯავენ და ვიცი: გახსოვარ!  
სამრეკლოს ანგრევენ ზარები...  
წმინდაო, წმინდაო მაცხოვარ!  
**გრიგალთა** სადაურ შებერვას  
მისდევენ ფოთლების შვავები...  
თებერვალს უხმობენ, თებერვალს,  
სამრეკლოს ჯვარიდან ყვავები!  
(„შემოდგომა უმანკო ჩასახების მამათა სავანეში“)  
(ტაბიძე 1993: 10).

ამ რიგში მოექცევა კრებულის შემდეგი ლექსები: „თოვლი“, „შე-რიგება“, „Voiles“, „სილაციურდე ანუ ვარდი სილაში“, „ათოვდა ზამთრის ბალებს“, „სამრეკლო უდაბნოში“, „ატმის ყვავილები“, „ვერხვები“, „ფარდების შრიალი“, „ავდრის მოლოდინი“, „არ-დაბრუნება“, „როგორ ებრძოდნენ ზარებს ზარები“, „ლოცვისთვის“, „სროლის ხმა მთაში“ და სხვ.

აღსანიშნავია, რომ „კრებულში“ ქარისა/გრიგალისა და ლურ-ჯა ცხენების სიმბოლიკა ხშირად ერთმანეთს ფარავს, ერთ კონცეპ-ტუალურ სიბრტყეს ქმნის და გვევლინება ორსახოვან „პერსონაჟად“, რომელიც განასახიერებს სიკვდილს, ფინალობას, არარას, ან თავად ლირიკული გმირის არაცნობიერი საწყისის სივრცეს, მაგ., იმავე, ლე-ქსში „როგორ ებრძოდნენ ზარებს ზარები“:

## XLVI

მოდის ზამთარი, მოდის სიცივე, მოდის სიკვდილი...

ჰე, **ლურჯა რაშო,**

მედგრად! კივილით მოედე ტყეებს... უსწორო იყოს  
შენი ავდარი!

შენთვის სამოთხედ გადაიშლება ლამე უვნებო  
და ურიყრაულ.

ეს მე ვარ, მე ვარ, ეს მე ვარ, **ქარი...** მე დაჭრილი ვარ,  
როგორც აფთარი.

(ტაბიძე 1993: 104)

საკუთარი არაცნობიერი ირაციონალური ანთროპოლოგიური სა-  
წყისების ამ ქაოტურ სივრცეში დანთქმულ ლირიკული გმირის ეფე-  
მერულ წარმოსახვებსა და აღქმებში სამყარო, ყოფიერება იმთავითე  
ქაოტური, არამყარი, წარმავალი, მუდამ, მარად ცვალებადი ფენომე-  
ნია, ლირიკული „მეს“-ს აღქმებში ყოფიერებას ალარ გააჩნია ლოგოსი-  
სეული, გონისმიერი საყრდენი. შესაბამისად, აქვე ისიც ცხადი ხდება,  
რომ ისტორიული პროცესი ტელეოლოგიურად კი არაა მოწყობილი,  
არამედ ცირკულარულად, რომლის ფარგლებშიც მუდამ ერთი და იგი-  
ვე სახით მეორდება ქარის/გრიგალის „ქროლვა“, ანუ აბსოლუტური  
ნების გამოვლინება (შდრ., „რამდენიმე დღე პეტროგრადში“, „შიში“ და  
სხვ.).

## დასკვნა

გალაკტიონ ტაბიძის „არტისტული ყვავილები“ (1919) ზედმინევ-  
ნით ასახავს მოდერნის ეპოქაში მიმდინარე მენტალობის ცვალება-  
დობით განპირობებულ მყარ წარმოდგენათა, ანუ თეოცენტრისტულ  
და ანთროპოცენტრისტულ წარმოდგენათა, რღვევას და, შედეგად,  
ამით გამოწვეულ სუბიექტურობის დაშლას (**Ich-Dissoziation**) (ს. ვი-  
ეტა), სუბიექტის განპიროვნებას. კრებულში წინა პლანზე გამოდის  
არა მყარი ლირიკული „მე“ საკუთარი მყარი მსოფლმხედველობითა  
და ღრმა და ამაღლებული პიროვნული განცდებითა და ემოციებით,  
არამედ აქ უკვე მოცემულია დაშლილი, დისპარმონიული, დეპერსონა-  
ლიზებული ლირიკული გმირი.

შესაბამისად, კრებულის ონტოტექსტუალობაში სამყარო ასახუ-  
ლია ისე, როგორიც ის არის თავის რეალურ არსში, ანუ სამყარო,  
რომელიც კრებულის ლირიკული „მე“-ს ცნობიერებისეული ნებელო-

ბის მიღმა, მისგან მოწყვეტილად და დამოუკიდებლად ეგზისტირებს (ფიხტეანური ნაკადის გაუქმება): ანუ, აქ გვაქვს ვითარება, როდესაც ლირიკული გმირის ირაციონალურ “ცნობიერებას” და განცდაში ყოფიერება ფუძნდება თავისი აპრიორული დისპარმონიულობით, უსაზრისობითა და მიზანსმოკლებულობით, რასაც იგი იმთავითუე ვერცვლის და ვერ უპირისისპირდება, არამედ პირიქით, ამ დისპარმონიულობასა და აპოკალიფსურობას, ამ „ესქატოლოგიურობას“ სრულად ექვემდებარება. „არტისტული ყვავილების“ დესუბიექტივირებული, „განპიროვნებული“ ლირიკული გმირიც სწორედ ასეთ დისპარმონიულ, დისოცირებულ, დაშლილ სამყაროში ეგზისტირებს და სრულად ატომიზდება მასში, საბოლოოდ ინთემება და ქრება არარაში, კრებულის ონტოტექსტუალობაში:

## XCVI

შევდივარ სასახლეში!

ნმინდაონ დამიცევ! სუროში საშიშრად მივარდნილ კედლებით  
ეს სახლი მაგონებს დაწყველილ სამარქს:  
აქ მკვდრები დაქრიან ზღაპრული რაშებით და ბედის ეტლებით,  
ჰაერი სიკვდილით დაფარეს.

(„დომინო“; ტაბიძე 1993: 166)

## დამოცვებანი:

**ანდრეოტი 2009:** Andreotti, M. *Die Struktur der Modernen Literatur*, 4. Aufl., Bern /Stuttgart: Haupt, 2009.

**ვიეტა 1998:** Vietta, S. “Die Modernekritik der ästhetischen Moderne”. in: *Ästhetische Moderne in Europa. Grundzüge und Problemzusammenhänge seit der Romantik*, hrsg. von S. Vietta und D. Kemper, München: Fink, 1998.

**თრაქლი 1994:** Trakl, G. *Abendländisches Lied. Gedichte*, ausgewählt von J. Amann, 2. Aufl., München: Piper, 1994.

**მეცნიერის სიმბოლოთა ... 2008:** Metzler Lexikon literarischer Symbole, hrsg. von G. Butzer, Stuttgart: Metzler, 2008.

**ტაბიძე 1993:** ტაბიძე გ. *Crâne aux fleurs artistiques* (არტისტული ყვავილები). თბილისი: „რუბიკონი“, 1993.

**MANANA GELASHVILI**

*Georgia, Tbilisi*

*Iv.Javakhishvili Tbilisi State University*

## **Modernist Chronotope in the Novel *To the Lighthouse* by Virginia Woolf**

One of the major innovations of the modernist novel is an innovative modeling of the Time and Space. One of the most interesting novels in this respect is *To the Lighthouse* by Virginia Woolf, the author who with her essays and novels played an important role in the establishment of modernist aesthetics.

The article studies some characteristic features of the modernist chronotope as they appear in *To the Lighthouse*. Particular attention is paid to the analysis of how the usage of stream-of-consciousness technique and non-linear narrative lead to a correlation between Time and Space which is different from the traditional novel.

**Key words:** Woolf, modernism, chronotope, subjective time.

### **მანანა გელაშვილი**

საქართველო, თბილისი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### **მოდერნისტული ქრონოტოპის გაგებისთვის ვირჯინია ვულფის რომანში „შუქურისკენ“**

მოდერნიტული რომანის ერთერთ უმნიშვნელოვანეს სიახლეს დროისა და სივრცის ნოვატორული მოდელირება წარმოადგენს. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საყურადღებოა ვირჯინია ვულფის შემოქმედება, რომელმაც როგორც მხატვრული ნაწარმოებებით, ისე ესეებით დიდი როლი შეასრულა მოდერნიზმის ესთეტიკის დამკვიდრებაში.

ახალი ფორმის ძიება ვულფის სხვა, უფრო ადრეულ რომანებშიც შეიმჩნევა („იაკობის ოთახი“, 1922, „მისის დელოუეი“, 1925), მაგრამ რომანი „შუქურისკენ“ (1927) უკვე შემდგარი ოსტატის მიერ შექმნილი ნაწარმოებია, რომელშიც მთელი სისავსით გამოვლინდა ის ნოვატორობა, რაც მოდერნისტულმა ლიტერატურამ მოიტანა. მოდერნისტული ქრონოტოპიც ერთერთი მათგანია.

ტერმინი ქრონოტოპი, რომელიც მ. ბახტინმა შემოიტანა ლიტერატურის თეორიაში მხატვრული დროისა და სივრცის კორელაციას აღნიშნავს, რომელიც ნებისმიერ მხატვრულ ნაწარმოებში არსებობს და ყოველი ეპოქის მწერალი მას ნებითა თუ უნებლიერ თავისებურად წყვეტდა და წყვეტს უკვე იმით თუ როგორ განალაგებს პერსონაჟებსა და ხდომილებათ დროსა და სივრცეში, როგორ მიმართებაში იქნება ერთმანეთთან ფაზულა და სიუჟეტი და სხვ. ბახტინის განმარტებით: „მხატვრულ ქრონოტოპში დროისა და სივრცის ინდიკატორები ერთ გულდასმით გააზრებულ კონკრეტულ მთლიანობას წარმოქმნის. დრო, თითქოს შესქელდება, ხორცს შეისხამს და მხატვრულად ხილული ხდება; შესაბამისად, სივრცეც იმუხტება და დროის, სიუჟეტისა და ისტორიის სკლას შეესაბამება“\* (ბახტინი 2011: 84). ბახტინმა ქრონოტოპი ჟანრების კლასიფიცირებისათვის გამოიყენა და ისიც დამაჯერებლად აჩვენა, თუ როგორ განსხვავებულ სახეს იძენს იგი სხვადასხვა ტიპის რომანში (მაგალითად: პიკარესკულ, აღზრდის, სათავგადასავლო და სხვ.). ბუნებრივია, რომ მოდერნისტულ ლიტერატურაში, რომელმაც ახალი ესთეტიკა მოიტანა, რომანის ქრონოტოპიც, რომელიც რომანის პოეტიკის ერთერთი კარდინალური საკითხია, ძირეულ ცვლილებას განიცდიდა.

რომანში „შუქურისკენ“ დრო და სივრცე უკიდურესად შეაუმშულია და რეალისტური რომანისაგან თვისობრივად განსხვავებულ ქრონოტოპს წარმოქმნის, სადაც დროცა და სივრცეც სიმბოლურ დატვირთვას იძენს. ობიექტური, ლინეარული დროის ადგილს სუბიექტური დრო, ან რამდენიმე პერსონაჟის სუბიექტური დროები იკავებს., რომელსაც მიმართულება არ გააჩნია, არ პროგრესირებს და ფრაგმენტულია.

რომანი სამი ნაწილისაგან შედგება, რომელთა სათაურები – „ფანჯარა“, „დრო გადის“ და „შუქურა“ – სიმბოლურია და ამასთანავე უაღრესად მნიშვნელოვანი რომანის ქრონოტოპის შექმნასა და აღქმაში. პირველი და მესამე ნაწილის სათაურები („ფანჯარა“ და „შუქურა“) ტოპოსზე აკეთებს აქცენტს და მათში დრო სივრცულ ფორმას იღებს. ორივე ნაწილი გმირების ცხოვრების ერთ დღეს მოიცავს, დაახლოებით ერთნაირი მოცულობისაა და ძირითადად პერსონაჟების ცნობიერების ნაკადის შინაგანი მონოლოგით არის წარმოდგენილი.

ვულფი ერთერთი პირველია მოდერნისტ მწერლებს შორის, რომლის შემოქმედებაში რომანმა გმირის ფსიქოლოგიაში უკიდურესი ჩაღრმავება დაიწყო. ამ მიზნით მოდერნისტებმა გმირის შინაგანი სამყაროს გამოსახავად ცნობიერების ნაკადის ტექნიკით დაწერ-

\* აქ და ქვემოთ (რომანის „შუქურისკენ“ ციტატების გარდა) ციტატების თარგმანი სტატიის ავტორს ეკუთვნის.

ილ შინაგან მონოლოგს მიმართეს. ესეში „თანამედროვე პროზა“ (1925), სადაც ვულფი თანამედროვე რომანისათვის სასიცოცხლო ცვლილებებზე საუბრობს, უპირველეს ყოვლისა რომანისგან გმირის შინაგანი სამყაროს ასახვასა და ამ ასახვისათვის შესაფერისი ფორმის მოძიების აუცილებლობას აღნიშნავს: „წარმოვიდგინოთ ერთი წუთით ჩვეულებრივი ადამიანის გონება ერთ ჩვეულებრივ დღეს. გონება მირიად შთაბეჭდილებას იღებს – ტრივიალურს, ფანტასტიკურს, წარმავალს ან ფოლადივით მტკეიცედ აღბეჭდილს. ყოველი მხრიდან მოდიან ეს შთაბეჭდილებები, უთვალავ ატომთა უწყვეტი ნაკადი“ (ვულფი www). ეს შთაბეჭდილებები, რომლებიც ადამიანის გონებას „აწვიშს“ რომელიმე ორშაბათს ან სამშაბათს ცნობიერების ნაკადს წარმოქმნის.

სწორედ ამგვარი ცნობიერების ნაკადის შინაგანი მონოლოგებით არიან წარმოდგენილი რომანის მთავარი პერსონაჟები ფილოსოფიის პროფესორი მისტერ რემზი და მისი მეულლე, რომლებიც რომანის პირველ ნაწილში შვილებთან და მეგობრებთან ერთად შოტლანდიაში, კუნძულ სკაიზე, საკუთარ აგარაკზე ისვენებენ. ორივე პერსონაჟის, მისტერ და მისის რემზების პროტოტიპებს ვირჯინია ვულფის მშობლები წარმოადგენენ. მამა – ლესლი სტივენი, ინტელექტუალი, კემბრიჯისა და ოქსფორდის უნივერსიტეტების საპატიო დოქტორი, კრიტიკოსი, ლიტერატორი, ოცზე მეტი წიგნის ავტორი და ეროვნული ბიოგრაფიის ლექსიკონის პირველი რედაქტორი იყო. რომანში მისტერ რემზი ფილოსოფისა, რომელსაც ახალგაზრდობაში ბრწყინვალე ნაშრომი შეუქმნია. ვულფი ძალიან ღრმა და საინტერესო პორტრეტს ქმნის ინტელექტუალისა, რომელსაც ადამიანური ურთიერთობები ძალიან ცუდად გამოსდის, რადგან ემოციური მხარე ნაკლებად აქვს განვითარებული.\*

სრულიად განსხვავებულია მისის რემზი, რომლის პროტოტიპს ვირჯინია ვულფის დედა, სილამაზით განთქმული ჯულია სტივენი წარმოადგენს. მისი მშვენება რამდენიმე მხტვრისა და ფოტოგრაფის შთაგონების წყაროდ იქცა, მათ შორის პრე-რაფაელიტი მხატვრის ედვარდ ბერნ-ჯონსის. რომანში მისის რემზის სულიერი სიფაქიზე, ადამიანებზე ზრუნვა და ყოვლისმომცველი სიყვარული განუზომელია.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, რომანის პირველი ნაწილი ძირითად ამ ორი პერსონაჟის შინაგანი მონოლოგით არის წარმოგენილი, რომელსაც დროდადრო სხვადასხვა სიხშირით სხვა პერსონაჟთა (ლილი ბრისკო, მისტერ ტენსლი, პატარა ჯეიმზი) შინაგანი მონოლოგები ენაცვლება. პერსონაჟთა შინაგანი მონოლოგები ფრაგმენტულია, წი-

\* ეს პრობლემა, ინტელექტუალისა და ემოციის გათოშვის, დისბალანსის, საერთოდ დამახასიათებელია მოდერნისტი მწელებისათვის. მაგ. ჯეიმზ ჯონსთანაც ვხვდებით ემოციის უნარს მოკლებულ ინტელექტუალებს მისტერ დაფის, გებრიელ კონროის.

ნადადებები ხშირად ელიფსს წარმოადგენს. ხოლო თხრობა კი არ ვითარდება, არამედ სპირალს წარმოქმნის. ვულფს მიაჩნია, რომ ამა თუ იმ მოვლენის გაზრება ერთი კუთხიდან ვერ მოგვცემს სრულ სურათს, ამიტომ ყველაფერი მრავალი სხვადასხვა წახნაგიდან არის წარმოდგენილი, სხვადასხვა პერსონაჟის თვალთახედვის პრიზმაში გატარებული. თხრობისას ვულფს ხშირად მიმართავს მონტაჟის ტექნიკას, რაც სამუალებას აძლევს დროში სიმულტანური და სივრცულად დაშორებული მოვლენები ერთმანეთზე „წაფინოს“. კუბისტი მხატვრების მსგავსად, სადაც საგანი ერთდროულად რამდენიმე განზომილებაშია წარმოდგენილი, ვულფი თხრობის ერთგანზომილებინ სივრცეს არღვევს და მრავალპერსპექტივიან თხრობას გვათავაზობს.

ცნობილია, რომ ლიტერატურა და მუსიკა დროული ჟანრებია, მხატვრობა და ქანდაკება კი – სივრცითი. „დრო თხრობის საშუალებაა“, როგორც თომას მანმა შენიშვა „ჯადოსნურ მთაში“. თუმცა ლიტერატურისა და ხელოვნების ისტორიამ ამ ჟანრული კანონზომიერების გაფართოების მცდელობის არაერთი მცდელობა იცის. ვირჯინია ვულფიც ერთერთი მათგანია. მისი ჩანაწერები რომანისათვის დამახასიათებელ წრფივ ნარატივში სიახლის შეტანის სურვილსა და მცდელობას ცხადყოფს. ტექსტის მუსიკალურ ნაწარმოებთან შედარებისას, ვულფი აღნიშნავს, რომ მუსიკასაც ლიტერატურასავით სეკვენციურობა ახასიათებს, მაგრამ მუსიკას მეტი საშუალება აქვს სიმულტანურობის გამოხატვის აკორდის საშუალებით, რომელიც რამდენიმე ხმის ერთდოულ ჟღერადობას წარმოქმნის. ვულფი ფიქრობდა, რომ თავის რომანებში ამ მუსიკალური ხერხის – აკორდის – შემოტანას თუ მოახერხებდა, ეს საშუალებას მისცემდა „წამის სისრულე გადმოეცა“ (“to give the moment whole”). ვულფის წერილებშიც არაერთხელ მეორდება მისი სურვილი, რომ რომანია დროის სიმულტანურობა გამოხატოს: „ვისურვებდი ერთდოულად ოთხი ადამიანის ცხოვრებაზე მეწერა, მათი ერთი და იგივე გრძნობა ერთდროულად გამომეხატა, როგორც ამას მუსიკოსი აკეთებს, რადგან მგონია, რომ იმდენი რამ ხდება სხვადასხვა დონეზე ერთდროულად“.

სწორედ ამგვარ მცდელობას, რამდენიმე ამბის ერთდროული თხრობისა ან ერთი და იმავე მოვლენის სხვადასხვა პრიზმაში ჭვრეტისა წარმოადგენს მისი რომანების რთული კომპოზიცია (რომანში „მისი დელოუეი“ ორი პერსონაჟის, კლარისასა და სეპტიმუსის ერთი დღის ერთმანეთზე „წაფენა“, რომანში „შუქურისკენ“ რამდენიმე პერსონაჟის შინაგანი მონოლოგებით ერთი და იმავე მოვლენის გარშემო ტრიალი, რომანში „ტალღები“ თხრობის ექვსი პერსონაჟისათვის განაწილება და მათი ცხოვრების ერთ დღეზე „წაფენა“).

მხატვრული ტექსტის ამგვარი ორგანიზება, მისი რთული კომპაზიცია (რომანში რამდენიმე მთხოვბელის შემოყვანა, ერთი და იმავე ისტორიის სხვადასხვა რაკურსით წარმოდგენა, დროში სიმულტანური და სივრცეში დაშორებული მოქმედებების მონტაჟის ტექნიკით გადმოცემა, და სხვ.) ტექსტს სივრცულ ფორმას ანიჭებს, დროულის ნაცვლად, რასაც თანამედროვე კრიტიკა მოდერნისტული ლიტერატურის ერთერთ უმნიშვნელოვანეს მახასიათებლად მიიჩნევს. (ფრენკი 1948).

ეს განაცხადი, რომ თანამედროვე რომანი სივრცული რომანია ერთი შეხედვით პარადოქსად შეიძლება აღვიქვათ რადგან ტრადიციულ რომანთან შედარებით მოდერნისტული რომანი გაცილებით უფრო შეზღუდულ სივრცეს მოიცავს და გმირის გადაადგილებისადმი, უფრო მეტიც მისი თავგადასავლებისადმი ინტერესი თითქმის სრულიად დაიკარგა. თუ გარგანტუასა და პანტაგრუელის ან დონკისოტის თავგადასავლებს გავიხსენებთ, ან თუნდაც ქრონოლოგიურად უფრო თანამედროვე გმირების გულივერის, ტომ ჯონსის, ან მისტერ პიკიკის ფათერაკებით აღსავს თავგადასავლებს ვახსენებთ, სავსებით ცხადი იქნება, რომ ფოლკნერის, ჯონისის, ვირჯინია ვულფის, თომას მანის გმირები ერთგვარ დახსულ, შეზღუდულ სივრცეში მოქმედებენ. მაგრამ ტრადიციულ რომანში ვრცელ სივრცეს ჩვეულებრივ შესაბამისი დროის მონაკვეთი ესადაგებოდა, რომელიც წრფივად მიედინებოდა და თანმიმდევრულად გვაცნობდა პერსონაჟების თავგადასავალს. მაშინ როცა მოდერნისტულ რომანს შეეუშული დროს წყვეტილობა, ფრაგმენტულობა, მიზეზ-შედეგობრივი თანმიმდევრობის რღვევა ახსიათებს, რაც მის დინებას სპობს და მხოლოდ „აქ“ და „ახლა“ არსებობს.

თხრობის ამგვარი მეთოდი კარგად გამოხატავს განცდის ფრაგმენტულობასა და სპონტანურობას, პიროვნების ეგზისტენციურ გაუცხოებას და კომუნიკაციის შეუძლებლობას. ვულფის რომანებში მთხოვბელი/ავტორი კი არ აღნიშნავს, რომ მის გმირები მეტნილად საკუთარ თავში არიან შეეტილნი და ადამიანებთან ურთიერთობა უჭირთ, არამედ თავად ფრაგმენტული, წყვეტილი და ნერვიული მოკლე ფრაზები, რომლითაც სავსეა პერსონაჟთა შინაგანი მონოლოგები, გვაგრძნობინებს ამ განწყობილებას.

ამ რომანშიც, ისევე როგორც ვულფის სხვა ნაწარმოებებში, მკაფიოდ უღერს ადამიანების გაუცხოების, მარტობის, კომუნიკაციის შეუძლებლობის თემა. ამიტომ არის ასეთი გამორჩეული ამ რომანში მისის რემზი – იგი აერთიანებს, კრავს, იმედს ასხივებს, ისევე როგორც მისის დელოუეი, (ვულფის მეორე რომანიდან “მისის დელოუეი”), სადაც კლარისას წვეულება, რომლითაც მთავრდება ნაწარმოები, სწორედ ამგვარ მცდელობად უნდა აღვიქვათ, მცდელობად ნამიერად მაინც

მოისპოს გაუცხოება ადამიანებს შორის. რა თქმა უნდა ვულფი შორსაა იმ აზრისაგან, რომ მარტოობის დაძლევა შესაძლებელია, ხვალინ-დელი დღე ალბათ ისევ ულიმდამო იქნება, მაგრამ „აქ და ახლ“ ერთი წამით მაინც შესაძლებელია ცხოვრების მშვენიერებისა და სისავსის შეგრძნება, რასაც ვულფი „ყოფიერების მომენტებს“ უწოდებს.

როგორც ალენიშნეთ, რომანის პირველი ნაწილის სათაურია „ფან-ჯარა“ და მას ძალიან საინტერესო დატვირთვა აქვს რომანის სივრცული ორგანიზების გააზრებაში: ფანჯარა ზღურბლია, იგი ერთსა და იმავე დროს გამოყოფს და აკავშირებს შიდა და გარე სივრცეს (სხვათა შორის, ვულფს ესეც აქვს დაწერილი სათაურით „კაცი ზღურბლთან“ ინგლისელი რომანტიკოსის სემუელ ტეილორ კოლრიჯის შესხებ, სადაც ზღურბლის სიმბოლიკაზე მსჯელობს.) ვულფის საოჯახო ალბომში ინახება ფოტო, რომელზეც ვულფის დედას სარკმელთან აღბეჭდილი. თვითონ ვირჯინიასაც აქვს ფოტო გადაღებული იგივე პირზე, რაც ერთხელ კიდევ გვანრმუნებს იმაში, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი იყო ეს ხატი მისთვის.

რომანში ფანჯარას ორმაგი პერპეტივიდან ვხედავთ: ერთი მხრივ, იგი ის ადგილია, საიდანაც მისის რემზი და პატარა ჯეიმზი ზღვასა და შუქურას გასცერიან და ჯეიმზი შუქურაზე ნასვლაზე ოცნებობს; ოცნება, რომელიც მხოლოდ წიგნის ბოლოს განხორციელდება მისის რემზის გარდაცვალების შემდეგ. მეორე მხრივ, ფანჯარასთან ჩამომჯდარ მისის რემზისა და მის კალთაში მოკალათებულ ჯეიმზს ეზოდან უმზერს სხვა პერსონაჟი – მხატვარი ლილი ბრისკო, რომელიც მათ დახატვას ცდილობს. ეს ნახატიცმხოლოდ წიგნის ბოლოს, მისის რემზის გარაცვალების შემდეგ დასრულდება. ამრიგად, ამ შემთვევაშიც რომანის პირველი და მესამე ნაწილების შედარებისას დრო თითქოს სპირალს წარმოქმნის, სადაც ერთსა და იმავე მოვლენას ვუბრუნდებით, მაგრამ უკვე შემდგარი, განხორციელებული სახით.

რომანის ნოვატორული ფორმა, რომელშიც მოდერნისტული ძიებები ირეკლება, მეორდება ლილი ბრისკოს ნახატზეც, რომელიც ასევე გამოიჩინა არაორდინარული, ახალი ხედვით. ლილის ნახატი, რომელიც მისის რემზისა და პატარა ჯემზის რეალისტური ხატის შექმნის ნაცვლად ფერითა და ფორმით ცდილობს გამოხატოს თავისი სათქმელი, გაკვირვებასა და გაუგებრობას ინვევს ადამიანებში.

„რის გადმოცემა სურდა ამ სამქათხა იისფერი ფორმით, „აი აქ?“ ჰკიოთხა მან. მისის რემზის, რომელიც ჯემზს წიგნს უკითხავს, მიუგო ლილიმ. მან იცოდა რას ეტყყოდა მისტერ ბენქსი – რომ ვერავინ შეიცნობდა მასში ადამიანს. მაგრამ მე ხომ არ მიცდია რაიმე მსგავსებისთვის მიმერნია. მაში გამოდის, რომ დედა და შვილი – ეს საყოველთაო

თაყვანისცემის ობიექტები, და ამ შემთხვევაში დედა, განთქმული თავისი სილამაზით – შეიძლება დავიყვანოთ, გავიაზროთ, როგორც ისამნისფერი ჩრდილი“ (კულტი 2014: 73).

ლილის საუბრიდან მისტერ ბენქსთან კარგად ჩანს, რომ ლილი ბრისკოს ნახატი ტრადიციული პორტრეტისგან განსხვავდება, ფერ-სა და ფორმაში გადაწყვეტილი და იმ ახალ ტენდენციებს ასახავს, რომელმაც მე-20 საუკუნის დასაწყისში იჩინა თავი მხატვრობაში და რითაც ვულფი და ბლუმსბერის ჯგუფი დიდად იყვნენ დაინტერესებული. ვულფის და ვანესა და მისი ქმარი დანკან ბელი ორივე მხატვრები იყვნენ. ვულფების მეგობრისა და ბლუმსბერის ჯგუფის წევრის ხელოვნებათმცოდნე და მხატვარის როჯერ ფრაის ინიციატივით ლონდონში 1910 წელს პირველად მოეწყო თანამდეროვე მხტვრობის გამოფენა „მანე და პოსტიმპრესიონისტები (თავად ტერმინი პოსტიმპრესიონისტებიც პირველად ფრაიმ იხმარა. ფრაის მცდელობა ფრანგული ავანგარდული მხტვრობა გააცნოს ინგლისის საზოგადოებას ზუსტად ასახავს ბლუმსბერის ჯგუფის მიზნებს, რომელიც ახალი ეს-თეტიკის გაცნობასა და დამკვიდრებას ისახავდა მიზნად, რაც საკუთარ შემოქმედებასთან ერთად სხვა მოდერნიზმისათვის მნიშვნელოვანი ავტორების პოპულარიზაციასაც ემსახურებოდა. საკმარისია ითქვას, რომ ვირჯინია და ლეონარდ ვულფებმა პირველებმა დაბეჭდეს ინ-გლისში ტომას ელიოტის პოეზია და ესეები, ფრონდის შრომები, დოსტოევსკის „ეშმაკები“, ბუნინის ნანრმოებები და სხვ. ეს ყველაფერი კი იმაზე მეტყველებს, რომ ვულფი არა მხოლოდ კარგად იცნობდა იმ ძიებებს, რომელიც ევროპულ ლიტერატურასა და ხელოვნებაში და მიმდინარეობდა, არამედ იგი, თავად აქტიურად იყო ჩართული ახალი ესთეტიკის შექმნისა და დამკვიდრების პროცესში.

რომანის მეორე ნაწილი ერთადერთია, რომლის სათაური „დრო გადის“ დროის დინებაზე აკეთებს აქცენტს და არა სტატიკურ ხატზე, როგორიც ფანჯრისა და შუქურის სიმბოლოებია. ეს ნაწილი წიგნის პირველ და მეორე ნაწილთან შედარებით ოთხჯერ-ხუთჯერ მცირე მოცულობისაა, მაგრამ დროის ათ წელს მრიცავს და არა პირველი და მესამე ნაწილივით ერთ დღეს. იცვლება თხრობის ტემპი და მანერა. თუ პირველ ნაწილში თხრობა ძირითადად შინაგან მონოლოგს წარმოადგენდა, ეს მონაკვეთი განყენებული, ობიექტური მთხრობელის მიერ არის გადმოცემული და რემზების მიტოვებულ სახლში დასადგურებულ ნგრევაზე მოგვითხრობს. ადამიანები თითქოს უმნიშვნელონი გახდნენ და მათი ამბავი (მაგალითად რემზების ორი შვილის – ფრუსა და ენდრიუს გარდაცვალების ამბავი) ასე სხვათაშორის არის მოხსენიებული. მშვენიერი ფრუ მშობიარობას გადაჰყოლია, ენდრიუ კი რო-

მელიც მეცნიერებაში დიდ იმედებს იძლეოდა, პირველ მსოფლიო ომში დაღუპულა. ასე გაკვრით ვიგებთ, რომ მსოფლიო ომიც ყოფილა.) ასე გაკვრით სხვათაშორის, ერთ წინადადებაში, რომელიც ამასთანავე ფრჩხილებშია მოთავსებული რათა მის უმნიშვნელობას კიდევ უფრო მეტად გაესვას ხაზი, ისიც არის ნახსენები, რომ მისის რემზი გარდაცვლილა. ამრიგად, რომანის მთავარი გმირი ნანარმოების შუაში კვდება, ისე რომ არც გარდაცვალების მიზეზი ვიცით, არც ახლობელთა მწუხარება გადმოცემული. რაც უანრის ყოველგვარ კანონს ენინააღმდეგება. ვფიქრობ, ამ შემთხვევაშიც, ისევე როგორც ყველაფერში, რა-საც ვულფი აკეთებს, ჩანს კონვენციური ფორმების, ლიტერატურული კანონის რღვევის მცდელობა. ამ შემთხვევაში ვულფს სურს პერსონაჟის შესახებ არსებული სტერეოტიპები დარღვიოს. ეს პროცესი კიდევ უფრო რადიკალურად ექსპერიმენტულ სახით მის შემდგომ რომანებში „ორლანდო“ და „ტალღები“ ვლინდება. ამათგან პირველში მთავრი პერსონაჟი, პოეტი ორლანდო სამ საუკუნეზე მეტ ხანს გამოივლის (ელისაბედის ხანიდან მოკიდებული იმ დრომდე, როცა ვულფი რომანის „ორლანდოს“ წერას ამთავრებს), კაციდან ქალად გარდაიქმნება და ელისაბედის ეპოქაში დაწყებულ ნანარმოებს მე-20-ში ასრულებს. რომანში „ტალღები“ კი ექვსი პერსონაჟია – სამი ქალი და სამი კაცი (ამათგან ერთერთის პროტოტიპი ტომას ელიოტი ითვლება), რომლებიც, ვულფის განცხადებით, ერთი ადამიანის, თავად ავტორის საკუთარი მე-ს სხვადასხვა წახნაგებია.

რომანის ამ ნანილის პროტაგონისტი იბიქტური დროა (პოლ შიჭანი მთელი რომანის პროტაგონისტად დროს მიიჩნევს. (შიჭანი 2015), რომელსაც მხოლოდ ნგრევა და სიკვდილი მოაქვს და რომელთან შედარებით პერსონაჟები უმიშვნელო და უსუსურები ჩანან. თხრობისას მთელი ყურადღება შიგნიდან გარეთ გადადის: სახლის, ბუნების აღნერაზე. ერთი წინადადებაც კი არ არის რომელიმე პერსონაჟის შინაგანი მონოლოგიდან, რომლითაც წიგნის პირველი და მესამე ნაწილებია დაწერილი.

თუმცა ობიექტური დროის ხატვისას ვულფი უკიდურესად სუბიექტურია. იგი იმპრესიონისტული მინიშნებებით, ფაქტიზი დეტალებით ქმნის რემზების ოჯახისა და სახლის დაკინინების ტრაგიკულ ისტორიას და ხატავს ბუნების შემაძრნუნებელ და დამთრგუნველ ძალას. ამიტომ მიუხედავად იმისა, რომ რომანის ამ ნანილის პროტაგონისტი ობიექტური დროა, ნანარმოების მხატვრული დრო ისევ სუბიექტურია, ოღონდ ამჯერად არა პერსონაჟების, არამედ მთხოვნელის.

რომანის ბოლო ნაწილი „შუქურა“ რომანის პირველი დღის ერთგვარი გაგრძელებაა. ათი წლის შემდეგ იგივე კუნძულ სკაიზე რემზე-

ბის აგარაკზე ისევ თავს იყრიან მისტერ რემზი და ის პერსონაჟები, რომლების დროის სისატიკეს გადაურჩნენ. ვულფის თხრობის ტექნიკა პირველი ნაწილისას იმეორებს, როგორც პერსონაჟები იმეორებენ იმას, რასაც პირველ ნაწილში გეგმავდნენ და ვერ განახორციელეს.

აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ რომანის ფინალში ვულფი მონტაჟს მიმართავს: ათი წლის წინ განუხორციელებელი ორი მოქმედება (შუქურაზე გამგზავრება და ლილი ბრისკოს ნახატი) დროში სიმულტანურად არის წარმოდგენილი. იმ დროს, როდესაც მისტერ რემზიმ და ჯეიმზმა შუქურას მიაღწიეს და ჯეიმზმა, როგორც იქნა მამის შექება და აღიარება დაიმსახურა, ლილი ბრისკომაც დაასრულა ხატვა დარწმუნებულმა, რომ მიუხედავად იმისა, რომ მისი სურათი „მწვანე და ლურჯი ფერების მთელი სიხასხასით, და აღმა-დაღმა კვეთილი ხაზების ორომტრიალით, აშკარა თამამ მცდელობას წარმოადგენდა“ და „წათხაპნს გავდა“ (ვულფი 2015: 278), ნახატი მაინც შედგა. ამ სურათზე საკმელთან ჩამომჯდარი მისის რემზია გამოსახული პატარა ჯეიმზთან ერთად (მინიშნება ლენისმობელსა და ყრმაზე) იმ პოზაში, რომელზეც რომანის პირველ ნაწილში გამახვილდა ყურადღება. ანუ მისის რემზი ათი წლის შემდეგ ნახატის სახით დაბრუნდა ნაწარმოებში. ლილის სიტყვები: „აი, როგორი ყოფილა ჩემი ხილვაო“, რომლითაც სრულდება ნაწარმოები, დაუსრულებლობის, ფინალის ღიაბის შეგრძნებას წარმოქმნის, რაც ზოგადად დამახასიათებელია ვულფის რომანის პიკისათვის.

ლია ფინალი პირველად „იაკობის ოთახში“ გვხვდება (ეს რომანი უპასუხო კითხვით მთავრდება). ასეთივე ლია ფინალი მეორდება რომანში „მისის დელოუეი“ (“and there she was”), ხოლო რომანს „შუქურისაკენ“ რამდენიმე ფინალი აქვს, რაც ფაქტიურად სპობს დასასრულის არსებობას და მის ნაცვლად ერთი და იგივე მოვლენის კონტრაპუნქტულ გამეორებას გვთავაზობს.

ამრიგად, რომანის ქრონოტოპის ანალიზი ცხადყოფს, რომ ვულფის ამ რომანში დრო და სივრცე უკიდურესად სუბიექტურია, დრო მოკლებულია პროგრესირებას და წყვეტილი, ფრაგმენტული მონაკვეთები-საგან შედგება, რაც რომანს სივრცულ ფორმას აძლევს. ქრონოტოპი წარმოდგენილია როგორც მეყსეული აწმყო, რომელიც „ყოფიერების მომენტებს“ ასახავს, რომელიც ინდივიდუალურ „აქ“ და „ახლა“-ს წარმოადგენს.

## **დამოცვებები:**

**ბახტინი 2011:** Bakhtin, M. *The Dialogic Imagination –four essays*. Austin: University of Texas press, 2011

**ვულფი 2014:** ვულფი ვ. შუქურისკენ. ინგლისურიდან თარგმნა ლ. დუმბაძემ. თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემობა, 2014

**ვულფი www:** Woolf V. The Common Reader. The University of Adelaide Library, University of Adelaide. <https://ebooks.adelaide.edu.au/w/woolf/virginia/w91c/index.html>

**ფრენჯი 1948:** Frank, J., Spatial Form in Modern Literature. In Criticism. Foundations of Modern Literary Judgment. Ed. by M. Schorer. N.Y., 1948

**შიჰანი 2015:** Sheehan, P. Time as Protagonist in *To the Lighthouse*. In: The Cambridge Companion to *To the Lighthouse*. Ed. by Allison Pease. Cambridge: Cambridge University Press, 2015.

**OLGA I. GLAZUNOVA**

*Russia, St. Petersburg*

*St.Petersburg State University*

### **The Artist and the State: on syntagmatic and paradigmatic relations of art images in the novel of M.Bulgakov “Master and Margarita”**

The plot of the Bulgakov’s novel is determined by the conflict between the Artist and the State. The author shows us the vertical hierarchy of characters. In the novel we see the representatives of heavenly and earthly forces. The wandering philosopher Ieshua and the main character of the novel – Master are placed between them. Besides, each of the main characters has their own environment. According to the degree of manifestation of their shared qualities they form a horizontal system of images. Such kind of plot structure allows to expand the art space, in which all components are moving sequentially – from one dominant theme to another, or in parallel order – if the conflict between themes presents implicitly on the conceptual level.

**Key words:** The Master and Margarita, plot, syntagmatic and paradigmatic relations of art images.

**О.И.ГЛАЗУНОВА**

*Россия, Санкт-Петербург  
СпбГУ*

**Художник и Власть:  
о синтагматике и парадигматике художественных  
образов в романе М.Булгакова «Мастер и Маргарита»**

Проблема творчества как способности человека создавать то, что не имеет аналогов в материальном мире, но может существовать в пространстве и времени, по-прежнему занимает исследователей. Процесс этот во многом мистический. Нельзя «сконструировать» талантливый текст, опираясь на принципы, выявленные в результате лингвистического и литературоведческого анализа, но можно попытаться разобраться в тех особенностях, которые составляют его основу.

Текст – явление подвижное и саморазвивающееся, как любая другая система в окружающем нас мире, которая прошла испытание временем. Всё в природе подчиняется единым законам мироздания, и талантливое литературное произведение отражает мироощущение не только автора, но и его современников – тех, кто жил рядом, но не смог разглядеть смысл происходящих событий.

В XX веке наиболее значимые произведения русской литературы несли в себе мысли, идеи и обобщения, дающие возможность читателю понять смысл того, что происходило вокруг. Как необычная форма «Котлована» Андрея Платонова позволила отобразить всю глубину противоречий эпохи строительства социализма и безнадежность существования в ней незаурядной личности, так и роман Булгакова «Мастер и Маргарита» рассказывает читателю не столько об истории любви двух людей, сколько о трагедии человека независимого и творчески одарённого в тоталитарном обществе.

Логика художественного повествования складывается, как правило, не благодаря, а вопреки происходящим в нём событиям, и лишь в конце читатель осознаёт, что повествование пришло не к тому концу, которого он ожидал, а как раз к противоположному – к тому, что составляло замысел художественного произведения. «Жизнь произведения – это не переход от одного варианта рукописи в другой, а исследование судьбы при помощи смены изображения. Поэтому один из главных элементов сюжета – это перипетии» (Шкловский 1983:114).

Перипетии, или неожиданные повороты в сюжетной линии, позволяют привлечь внимание читателя к узловым моментам развития сюжета, заставить его остановиться и рассмотреть происходящее более внимательно и под разными углами зрения. Значение художественной литературы состоит в том, что человек учится воспринимать мир не поверхностно, а сквозь увеличительное стекло, позволяющее за каждым событием увидеть сложный подтекст, который раскрывается в душевных переживаниях героев, сопровождающих любое, даже самое незаметное, на первый взгляд, действие.

Чтение художественной литературы даёт возможность, вместо одной жизни, отпущенной человеку при рождении, прожить несколько, приобретая те знания и навыки, которые он никогда не сможет получить в действительности. «Важным свойством художественного поведения является то, что практикующий его одновременно как бы реализует два поведения: он переживает все эмоции, какие вызвала бы аналогичная практическая ситуация, и в то же время ясно сознает, что связанных с этой ситуацией действий (например, оказания помощи герою) не следует совершать. Художественное поведение подразумевает синтез практического и условного» (Лотман 1998:75).

Совмещение в художественном тексте реального и воображаемого, теоретического и прикладного, логического и эмоционального, эстетического и морально-нравственного свидетельствует о широком спектре функциональных возможностей художественного творчества. «Язык искусства моделирует наиболее общие аспекты картины мира – её структурные принципы» (Шкловский 1983:31), и в этом состоит его сходство с научными исследованиями.

У художественной литературы есть много общего не только с наукой, но и игрой. Научная модель мира вскрывает закономерности, существующие в окружающем мире, игра учит выбирать оптимальный алгоритм действия, разрабатывать стратегию и тактику, моделировать принципы взаимодействие её участников. Литература совмещает в себе эти возможности, так как наряду с представлениями об окружающем мире она даёт читателю практические навыки поведения в той или иной ситуации, помогает лучше в них ориентироваться и даже позволяет прогнозировать возможные варианты развития событий.

Чтение талантливого художественного произведения пробуждает в читателе и азарт игрока, и скрупулёзность исследователя, способствуя развитию теоретических знаний и формированию практических навыков поведения в природе и обществе. «Целью искусства является истина,

выраженная на языке условных правил. Поэтому игра не может быть средством хранения информации и средством выработки новых знаний (она лишь путь к овладению уже добытыми навыками). Между тем именно это составляет сущность искусства» (Лотман 1998:78). Интерес «игрока», который возникает у читателя в процессе чтения, помогает на длительное время удерживать его внимание, делая процесс «обучения» не только полезным, но и захватывающим.

Знания об окружающем мире и о себе самом, умения человека ориентироваться в природной среде и выстраивать отношения с другими людьми относятся к пространственным представлениям. Не только каждая эпоха, но и каждый писатель отличается своим взглядом на художественную действительность и субъективными представлениями о пространстве литературного произведения.

Широкий спектр значений, между которыми можно установить соответствия, существенно расширяет возможности художественного пространства, образуя сложную и многоплановую структуру, в которой все составляющие двигаются в заданном автором направлении (от одной тематической доминанты к другой, в соответствии с возникающими по ходу развития сюжета причинно-следственными отношениями), или развиваются параллельно в том случае, если конфликт между темами имплицитно присутствует на понятийном уровне.

Идея художественного произведения связана с конфликтом, который определяет развитие сюжетной линии: художник и власть в «Мастере и Маргарите», чувство и долг в «Евгении Онегине», любовь и лицемерное равнодушие света в «Анне Карениной», преступление как воплощение зла и наказание в виде приговора суда, с одной стороны, и раскаяния главного героя, с другой, в романе Достоевского «Преступление и наказание» и т.д. Без конфликта, который движет сюжет, развитие повествования невозможно. Все попытки идеологов соцреализма – «единственно правильного творческого метода» в советское время – сориентировать писателей на написание произведений, сюжет которых строился бы на борьбе между «хорошим» и «лучшим», не дали никаких значительных результатов.

Заложенная в противостоянии тематических доминант полярность определяет сюжет литературного произведения, предполагая наличие сложного художественного пространства, в котором происходят события и развивается действие. Принцип соразмерности и гармонии входящих в его состав компонентов находит проявление как в его форме, связанной с композиционной структурой и взаимодействием персонажей, так и в содержании.

Если форма художественного произведения подчиняется законам симметрии, в основе которых лежит функциональное равновесие частей по отношению к целому, то содержание базируется на соотношении полярных признаков, степень проявления которых пульсирует от максимально возможного значения до нулевого, переходя в свою противоположность на другом конце вектора.

Движение от одной тематической доминанты к другой в структуре художественного текста может осуществляться в одном направлении (например от преступления к наказанию в романе Достоевского) или в противоположных направлениях (от чувства к долгу для Татьяны Лариной и от долга к чувству для Евгения Онегина в романе Пушкина). Если между тематическими концептами нет подчинительной связи, их развитие в тексте осуществляется параллельно при наличии определяющих конфликт точек соприкосновения (художник и власть в романе «Мастер и Маргарита», любовь и лицемерное равнодушие света в «Анне Карениной»). Иногда, как в «Мастере и Маргарите» Михаила Булгакова, два полноценных сюжета развиваются параллельно на протяжении всего произведения по типу «роман в романе», дополняя друг друга и создавая два центра притяжения для читателя. И хотя история жизни и смерти бродячего философа Иешуа Га-Ноцри развивается независимо от истории жизни Мастера, читатель воспринимает их как единое художественное целое.

Широкий спектр значений, между которыми можно установить соответствия, существенно расширяет возможности художественного пространства, образуя сложную и многоплановую содержательную структуру, в которой все составляющие двигаются в заданном автором направлении (от одной тематической доминанты к другой, в соответствии с возникающими по ходу развития сюжета причинно-следственными отношениями), или развиваются параллельно в том случае, если конфликт между темами имплицитно присутствует на понятийном уровне.

Параллельное сосуществование в художественном тексте нескольких вариантов одной и той же тематической доминанты сопровождается, как правило, динамикой развития одного из них на фоне сохранения консервативно-статического состояния другого. Например, тема художника в романе «Мастер и Маргарита» связана, прежде всего, с образом мастера и бродячего философа Иешуа Га-Ноцри. Развитие этой темы в романе происходит в рамках заданного автором направления: от страданий к избавлению, в то время как в жизни представителей МАССОЛИТА, которые тоже имеют отношение к литературному творчеству, на протяжении повествования практически ничего не меняются.

Соотношение разнополярных значений в структуре художественного текста создаёт, с одной стороны, устойчивость задействованных в нём смысловых значений, а с другой – обеспечивает поступательное развитие повествования. Мера как свойство симметрии определяет множество потенциально возможных вариантов проявления признаковых значений, а причинно-следственные соответствия, основу которых составляет асимметрия, определяют динамику их реализации в контексте художественного произведения под воздействием сложившейся ситуации и обстоятельств, которые ей сопутствуют.

В отличие от «Евгения Онегина» и «Анны Карениной», Булгаков включает в название романа имена двух героев, что вполне оправдано, если принять во внимание счастливый конец описанной им любовной истории. Однако не только отношения между мастером и Маргаритой составляют суть повествования. Противостояние в романе Булгакова основано не на изменении внутреннего состояния героев, а на внешнем конфликте между творческой личностью и государством. В сюжете существует вертикальные и горизонтальные иерархии героев и действующих лиц.

Парадигматика отношений между героями выстраивается следующим образом: в романе действуют представители небесных сил (Воланд и Иешуа после воскресения) и земных сил (Каифа, члены МАССОЛИТА). Между ними находятся бродячий философ Иешуа Га-Ноцри и главный герой романа – Мастер. Промежуточное положение, которое мастер и бродячий философ занимают в этой иерархии, весьма символично: творческие люди, действительно, являются посредниками между небесными и земными сферами, так как живут на земле, в то время как их творчество относится к сфере духовного. С другой стороны, – после завершения жизненного пути и мастер и Иешуа попадают на небо, хотя и в разные обители.

Надо отметить, что роман Булгакова построен на развёрнутой системе посредников: Маргарита является посредником между Воландом и мастером, Понтий Пилат – между Иешуа и Римской Империей, Левий Матвей приходит к Воланду просить за мастера по просьбе Иешуа, Иван Бездомный выступает посредником между мастером и остальными членами МАССОЛИТА и т.д.

Каждый из главных действующих лиц в романе имеет своё окружение, которое выстраивается на основе общности интересов, образуя горизонтальные системы образов в соответствии со степенью проявления объединяющих их признаковых значений: у Воланда – это его свита, у Иешуа – Левий Матвей и отчасти Понтий Пилат, у мастера – Маргарита и

Иван Бездомный, у первосвященника Каифы – Иуда, у государства – члены МАССОЛИТА и жители Москвы, которых испортил «квартирный вопрос».

Между действиями персонажей, входящих в состав разных окружений, просматривается определённая симметрия: Понтий Пилат наказывает Иуду – Маргарита громит квартиру критика Латунского; Римский, для того чтобы уехать из Москвы, предлагает на вокзале «первому попавшемуся человеку в белом фартуке и с бляхой» тридцать рублей за билет – «тридцать тетрадрахм» получает Иуда за предательство.

Тема противостояния власти в «Мастере и Маргарите» раскрывается через взаимоотношения Иешуа Га-Ноцри и Понтия Пилата, с одной стороны, и мастера с членами МАССОЛИТА, с другой. Собственно, государство как таковое у Булгакова практически не присутствует, автор даёт о нём читателю лишь общее представление, сосредоточив внимание на членах Московской Ассоциации Литераторов. То, что члены МАССОЛИТА (аббревиатура была придумана автором) вышли в романе на первый план, не случайно.

Ни один тиран, даже самый кровавый и беспощадный, не мог бы уничтожать столько талантов без активного участия тех, кто непосредственно окружал их в быту и на профессиональном поприще. В своё время пьесу Булгакова «Дни Турбинных» поддерживал Сталин, который смотрел спектакль более пятнадцати раз. В ответе (02.02 1929 г.) на письмо драматурга Билья-Белоцерковского, который жаловался на то, что пьесы Булгакова так часто ставят на сцене, и требовал запретить «Дни Турбинных», Сталин написал, что пьеса «не так уж плоха, ибо она даёт больше пользы, чем вреда», и этим спас жизнь писателю. С вопросами о правомерности творчества Булгакова в Советском Союзе к Сталину обращались и другие писатели на встрече в Кремле 12 февраля 1929 года.

Вероятно, поэтому гнев героини, которая, будучи ведьмой, могла наказать кого угодно, обрушивается на критика Латунского, который стал, по её мнению, причиной всех несчастий мастера. Описанная в романе казнь Иешуа тоже не состоялась бы, если бы не настойчивость первосвященника Каифы, который боялся, что из-за бродячего проповедника он может лишиться авторитета и власти.

На семантическом уровне конфликт в романе «Мастер и Маргарита» развивается между двумя полюсами: властью и творчеством. К существительному **художник** (**творец, создатель**) словарь даёт антоним – **разрушитель**, чем, собственно, и является Латунский и подобные ему представители МАССОЛИТА. Слово **власть** образует разные пары: с одной стороны, антонимом к нему будет **безвластие**, с другой, в качестве противопоставления выступает народ, т.е. обычные люди. Но среди этих

людей, есть недовольные, а есть и такие, кто приспосабливается и чувствует себя вполне комфортно при любой власти. Художник же, если он настоящий художник, не принадлежит ни к тем, ни к другим. С одной стороны, он противостоит власти, так как не может вписывать своё творчество в заранее устанавливаемые ею рамки, с другой стороны, – народу, который в своей основе является носителем так называемого массового сознания, несовместимого с творчеством. Показательно, что тема противостояния между творческими людьми и системой власти в России XX века стала предметом особого художественного и философского осмысливания.

Возникающие в романе взаимодействия и причинно-следственные связи раскрывают основную мысль автора: художник по своей сути чужд любой власти – и земной, и божественной. Но с небесными силами договориться проще: когда мастеру не остаётся места на земле, он покидает её вместе с Воландом.

В романе Бургакова соотношение характеризующих персонажей признаков выходит на качественно новый уровень. Художники – мастер и бродячий философ Иешуа – обладают талантом (это их духовная сила), но лишены власти; более того они вольно или невольно противостоят ей. Понтий Пилат способен мыслить и чувствовать, но в силу ответственности за возложенную на него власть он несвободен в своём выборе и полностью зависит от системы, которой служит. Члены МАССОЛИТА не обременены талантом, но в их руках сосредоточена власть над такими людьми, как мастер.

Пожалуй, только два земных персонажа в романе решаются на активную борьбу и противостояние системе – Маргарита и Иван Бездомный. Маргарита делает всё возможное и невозможное, чтобы спасти возлюбленного, а Иван после встречи с мастером осознаёт отсутствие у него таланта и отказывается от членства в МАССОЛИТе и весьма прибыльной для него карьеры пролетарского поэта.

Представленная в романе Булгакова модель развития взаимоотношений между художником и властью далека от оптимистической. Компромисс с системой невозможен, конфликт между ними достигает максимальной степени противодействия: бродячий философ Иешуа казнён, мастер помещён в психиатрическую лечебницу. И только после смерти Иешуа обретает власть так же, как мастер обретает покой, после того как он покидает землю вместе с Воландом.

Если в русской литературе XIX века развитие сюжета определялось внутренним состоянием героев и их поступками, то в наиболее значительных произведениях XX века конфликт развивается на основе

внешнего противостояния между системой в лице облагодетельствованных властью самых ярых её приверженцев и творческой личностью, которая не вписывается в заданные идеологические рамки. Мысль, к которой приходит Булгаков в «Мастере и Маргарите», не оставляет читателю никакой надежды на справедливое решение проблемы: настоящему художнику нет места на земле, потому что для выживания ему необходимо научиться приспособливаться к системе, а для него это хуже смерти.

Самый свободный и наиболее могущественный персонаж романа – Воланд, он обладает и силой, и властью. Образ Воланда в романе как противоположный полюс по отношению к Иешуа связывает два сюжета в единое художественное целое. Иешуа и Воланд в романе Булгакова не являются воплощениями абсолютных понятий света и тьмы. Образ Воланда нельзя рассматривать односторонне, в качестве источника зла,\* – он скорее искреняет его на земле своими небиблейскими методами; а Иешуа, который обретает власть после воскресения, оказывается бессильным в ситуации мастера: для его спасения он вынужден обратиться за помощью к Воланду.

Представление о непримиримости понятий добра и зла, которое присутствовало в романах XIX века, у Булгакова размывается. В конце романа, чтобы обрести заслуженный покой, Понтий Пилат и Мастер отправляются вместе с Воландом, а не с Иешуа. Следовательно, с точки зрения Булгакова, противостояние ада и рая тоже весьма условно. Возможно, подобная интерпретация была связана с двойственным восприятием автором Советского Союза как идеологического символа нового «рая на земле». А может быть, само творчество воспринималось писателем неоднозначно – как нечто, не вполне вписывающееся в библейские заветы и не соответствующее проявлению исключительно божественной воли.

Главный герой романа – мастер – метафорически повторяет крестный путь Иешуа Га-Ноцри. Он не праведник, он человек творческий и потому не заслуживает того, чтобы попасть в рай после смерти. Но он и не грешник, чтобы терпеть адовые муки, этих мук ему хватило и на земле. Жизнь мастера – это тоже жертва, как и жизнь Га-Ноцри. И хотя у мастера и Иешуа идеалы разные, между ними есть много общего, и это общее приводит одного к другому – сначала мастера к Иешуа, о котором он пишет роман, а затем Иешуа к мастеру для того, чтобы спасти его.

Но если между главными героями наблюдается больше сходств, чем отличий, то их спутники во многом являются антиподами. Маргарита после встречи с мастером отказывается от всего, что она имела, на что

---

\* Неслучайно Булгаков предваряет роман эпиграфом из «Фауста» Гёте: «Я – часть той силы, что вечно хочет зла и вечно совершает благо».

Понтий Пилат в романе Булгакова никак не может решиться. Разница в поведении Маргариты и Понтия Пилата приводит читателя к мысли о том, что любовь могущественней и здравого смысла, и целесообразности. Готовность героини пожертвовать всем делает её сильнее, в то время как нерешительность Понтия Пилата в ситуации, когда надо сделать выбор между долгом прокуратора и совестью обычного человека, приводит его к вечным страданиям.

Талантливое художественное произведение представляет собой сложную систему, в которой задействованы самые разные структурные и смысловые компоненты. Для того чтобы сознание читателя могло охватить весь этот огромный конгломерат форм и значений, автору необходимо придерживаться определённых правил. Процесс познания начинается со сравнения, при этом в поле зрения человека должно находиться не более двух сравниваемых объектов. Возможно, поэтому в художественных текстах происходит поэтапное введение действующих лиц – таким образом, чтобы перед глазами читателя одновременно находились только два персонажа, или каждый новый персонаж сравнивался бы с уже известными.

В первой главе «Мастера и Маргариты» читатель знакомится с двумя появившимися на Патриарших прудах «гражданами»: *Первый из них, одетый в летнюю серенькую пару, был маленького роста, упитан, лыс, свою приличную шляпу пирожском нес в руке, а на хорошо выбритом лице его помещались сверхъестественных размеров очки в чёрной роговой оправе. Второй – плечистый, рыжеватый, вихрастый молодой человек в заломленной на затылок клетчатой кепке – был в ковбойке, жеваных белых брюках и в чёрных тапочках.*

После того как читатель составил для себя первое впечатление о героях и получил возможность сравнить их друг с другом, автор называет их имена и должности: *Первый был не кто иной, как Михаил Александрович Берлиоз, председатель правления одной из крупнейших московских литературных ассоциаций, сокращенно именуемой МАССОЛИТ, и редактор толстого художественного журнала, а молодой спутник его – поэт Иван Николаевич Понырев, пишущий под псевдонимом Бездомный* (Здесь и далее выделено мною – О.Г.).

Далее автор описывает разговор литераторов с продавщицей газированной воды, после чего на Патриарших прудах появляется Коровьев, которого Берлиоз принял за возникшую в его голове галлюцинацию. Продавщица в романе не удостоилась описания, вероятно, в силу кратковременности своего появления, а вот о Коровьеве автор сообщает читателю следующее: *Прозрачный гражданин престранного вида. На*

*маленькой головке жокейский картузик, клетчатый кургузый воздушный же пиджачок... Гражданин ростом в сажень, но в плечах узок, худ неимоверно, и физиономия, прошу заметить, глумливая.* Можно было бы не обращать внимания на некоторые странности во внешности нового персонажа, если бы не его необычное появление прямо из воздуха и не последнее замечание автора относительно выражения его «физиономии». Решив, что возникший ниоткуда Коровьев не более чем видение, Берлиоз постарался забыть о нём, продолжив разговор с поэтом о его новой антирелигиозной поэме.

\* Максимов Д.Е. О мифопoэтическом начале в лирике Блока. Предварительные замечания // Максимов Д.Е. Русские поэты начала века. – Л., 1986. – С.200.

Мережковский интерпретирует поэзию Лермонтова таким образом, чтобы пересоздать и «достроить» концепцию Вечной Женственности В.Соловьева. В некоторых лермонтовских произведениях критик находит воплощение образа Вечной Женственности, символизирующей сближение «духа» и «плоти». В мистических интуициях поэта Мережковский выявляет составляющую, отсутствующую у Соловьева, – «Вечное Материнство».

Как и в книге «Л.Толстой и Достоевский», главный вывод, сделанный в эссе «М.Ю.Лермонтов. Поэт сверхчеловечества», направлен на преодоление особого рода духовной антитезы. Если противопоставление Толстого и Достоевского означало противоположение «плоти и духа», то оппозиция «Пушкин – Лермонтов» выражала полярность «созерцания и действия». В конечном итоге Мережковский не отрицает ценность для русской литературы «пушкинского пути», но считает, что он должен быть дополнен художественными и религиозными «открытиями» Лермонтова.

Перспективы дальнейшего изучения литературной критики Мережковского видятся на пути расширения контекстного подхода. Необходимо более основательно сопоставить критическое наследие Мережковского с творчеством его современников, прежде всего с работами В.Брюсова, Вяч.Иванова и А.Белого, также стремившихся активно программировать литературный процесс с опорой на достижения русской классики. Небесперспективным представляется продолжение сопоставления критической деятельности Мережковского с исканиями авторов, связанных с другими художественными течениями и утверждавших иные эстетические ориентации (В.Розанов, И.Анненский, Ю.Айхенвальд, А.Горнфельд и др.). Новые смыслы литературной критики Мережковского могут быть открыты и через более глубокое постижение особенностей ее поэтики. А соотношение литературно-критических работ Мережковского русского и эмигрантского периодов позволит осознать его творческую эволюцию и скорректировать представление о нем как о критике: выявить внутри системного единства его наследия богатство содержания и формы.

#### **ПРИМЕЧАНИЯ:**

1. См., к примеру, работы Ю.Айхенвальда, В.Базарова, А.Белого, Н.Бердяева, А.Богдановича, Г.Брандеса, В.Брюсова, С.Булгакова, А.Волынского, Е.Герцык, А.Горнфельда, Б.Грифцова, А.Долинина, Вяч.Иванова, В.Кранихфельда, Е.Лундберга, С.Лурье, Н.Минского, Н.Михайловского, В.Розанова, А.Скабичевского, В.Соловьева, П.Струве, С.Франка, Л.Шестовой, К.Чуковского, Б.Эйхенбаума, Эллиса и многих др.

2. См., к примеру, работы Т.А.Александровой, Е.А.Андрушченко, С.Н.Бройтмана, А.Л.Гришунина, И.Ю.Искрицкой, Е.Г.Кабаковой, А.П.Казаркина, В.А.Келдыша, Ю.Р.Кричевской, В.Н.Крылова, О.В.Кулешовой, Н.П.Лебеденко, В.М.Марковича, З.Г.Минц, Н.Н.Мостовской, Е.Ю.Осмоловской, С.Н.Поварцова, Я.В.Сарычева, Л.А.Сугай, И.Е.Усок, Л.Г.Фризмана, М.А.Хуберт, А.П.Чудакова, В.В.Шабаршиной, Т.С.Шевчук, Л.Пильд, М.Астмана, И.Надя и др. Важно то, что в работах ряда исследователей была затронута проблема генезиса и жанровой специфики литературной критики Мережковского (В.Н.Крылов, В.В.Шабаршина), показана ее мифотворческая сущность (Е.В.Кардаш, В.Н.Крылов, В.М.Маркович, И.С.Приходько, В.Л.Семигин, А.В.Чепкасов).

3. Об этом подробнее: Юрина, Н. Г. *Творчество М. Ю. Лермонтова в русской критике конца XIX – начала XX века* / Н. Г. Юрина. – Саранск: ООО «Референт», 2006. – 134 с.

4. Отдельные критические работы 1890–1900-х гг., посвященные творчеству Лермонтова, фрагментарно освещались либо в монографиях о писателе (Е.Н.Михайлова, Л.Я. Гинзбург и др.), либо при изучении лермонтовских традиций в творчестве литераторов ХХ в. (Д.Е.Максимов, А.П.Авраменко и др.), либо в общих трудах по истории литературы и критики (В.И.Кулешов, А.А.Носов и др.). Роль религиозно-философской критики в интерпретации лермонтовского наследия осмысливается современными исследователями (см., к примеру, Соснина, Е. *Русские философы о Лермонтове* / Е. Соснина // Сура. – 2002. – № 2. – С. 196–202; Милявская, Н. И. *Проблема «демонического хозяйства» М. Ю. Лермонтова (в критике В. С. Соловьева)* / Н. И. Милявская // Трансформация и функционирование культурных моделей в русской литературе ХХ века. – М. : МГУ, 2002. – С. 25 – 32; Маркович, В. М. *Миф о Лермонтове на рубеже XIX–XX веков* / В. М. Маркович // Имя – сюжет – миф : межвуз. сб. – СПб. : Изд-во Санкт-Петерб. ун-та, 1996. – С. 115–139; Усок, И. Е. «*Ночное светило русской поэзии*»: (Мережковский о Лермонтове) /И. Е. Усок // Д. С. Мережковский: Мысль и слово. – М.: МГУ, 1999. – С. 258–273.), но, думается, требует более пристального внимания.

5. Публикация Мережковского о Лермонтове вызвала противоположные оценки. П.П.Перцов отмечал, что автор приблизился к пониманию «загадки» Лермонтова («Загадка» Лермонтова, 1909). К.Чуковский указал на «страшную произвольность» мысли автора («Мережковский и Лермонтов: Заметки читателя», 1909). Вл.Краухфельд («Литературные отклики: Новые наследники «Переписки» Гоголя», 1909) назвал Мережковского «словесным эквилибристом», обвинил в использовании авторитета другого писателя для про-возглашения собственных взглядов.

## ЛИТЕРАТУРА

- Белый 1991:** Андрей Белый. Мережковский. Силуэт // Мережковский Д.С. В тихом омуте. Статьи и исследования разных лет. М., 1991.
- Белый 1994:** Андрей Белый. Мережковский // Андрей Белый. Символизм как миропонимание. М., 1994. С. 375-382.
- Бердяев 1993:** Бердяев Н.А. О новом религиозном сознании // Бердяев Н.А. О русских классиках. М., 1993. С. 224-253.
- Бонецкая 2011:** Бонецкая Н.К. Андрогин против сверхчеловека // Вопросы философии. 2011. №7. С. 81-95.
- Герцык 1996:** Герцык Е. Воспоминания. М., 1996.
- Журавлева pdf:** Журавлева А.А. Д.С.Мережковский – критик Л.Н.Толстого // URL: [http://www.webcitation.org/673T2UPwW\\_pdf](http://www.webcitation.org/673T2UPwW_pdf).
- Маркович 2002:** Маркович, В. М. Лермонтов и его интерпретаторы / В. М. Маркович // М. Ю. Лермонтов: pro et contra. Личность и творчество Михаила Лермонтова в оценке русских мыслителей и исследователей: Антология. – СПб. : РХГИ, 2002. – С. 7–50.
- Маркович 1996:** Маркович, В. М. Миф о Лермонтове на рубеже XIX–XX веков / В. М. Маркович // Имя – сюжет – миф : межвуз. сб. – СПб. : Изд-во Санкт-Петербургского ун-та, 1996. – С. 115–139.
- Мережковский 1990:** Мережковский Д.С. О мудром жале // Литературная газета от 17.01.1990. С. 5.
- Мережковский 1991:** Мережковский Д.С. В тихом омуте. Статьи и исследования разных лет. М., 1991.
- Мережковский 1995:** Мережковский Д.С. Л. Толстой и Достоевский. Вечные спутники. М., 1995.
- Мережковский 1996:** Мережковский Д.С. Иисус Неизвестный. М., 1996.
- Соловьев 1991:** Соловьев В.С. Лермонтов // Соловьев В.С. Философия искусства и литературная критика. М., 1991. С. 379-398.

# გალაკტიონ ტაბიძე და ქართული მოდერნიზმი Galaktion Tabidze and Georgian Modernism

---

ZAZA ABZIANIDZE

*Georgia, Tbilisi*

*Shota Rustveli Institute of Georgian Literature*

## In extremis

### (The final period of Galaktion Tabidze's and the probable cause of his suicide)

In our essay we retrace how Galaktion Tabidze zealously moulded his “side-show self-portrait” (that is: the myth about “the greatest rhapsodist of Soviet era”) in accordance with the ideograms of the time. But, along with this, we see an evident suicidal ideation, which, from the Soviet times on, has been associated with the poet’s alcoholism. According to our conception, this ideation at the dusk of Galaktion’s life (already in the post-Stalinist era) can be explained by his total disillusionment with the Soviet values. The clearest example of this is the poem “Saguramo”, the reader of which will not be surprised that its author took his own life.

The tragic, but providential gesture has preserved the virtue of Galaktion Tabidze’s genius: In many a generation’s memory, at the expense of his own life, he managed to oppose his life story to the very Soviet farce that he had unintentionally been part of for so many years.

**Key words:** Galaktion Tabidze. Post-Stalinist era. Suicidal ideation.

## ზაზა აპზიანიძე

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

### დასალიერზე

(გალაკტიონის ცხოვრების ბოლო პერიოდი და  
თვითმკვლელობის საგარაუდო მიზეზი)

„არის სიკვდილი. და არის მკვდარი სიკვდილი. მათ შორის დიდი განსხვავებაა. სიცოცხლიდან ნებისმიერი წასვლა უნდა იყოს საჯარო, ხმამაღლა სახელდებული და საყოველთაოდ გაცხადებული. მაშინ ეს სიკვდილი სიცოცხლეში მონანილეობს.“

მერაბ მამარდაშვილი

**პორტრეტი:** თითქმის ნახევარი საუკუნე გავიდა მას შემდეგ, მაგრამ ახლაც ცხადლივ ვხედავ გალაკტიონის „პარადულ“ პორტრეტს, რომელიც ლიტერატურის ინსტიტუტში ეკიდა: ერთი შეხედვით, ნამდვილად გალაკტიონი იყო – წვერით, ჰალსტუხით, კოსტიუმის ლაცკანზე დამაგრებული ლენინის ორდენით... ისე, თავდაპირველად, სწორედ ეს კოსტიუმი დაგაეჭვებდა და უკვე შემდეგ – თავად ფიგურა, იმ რაღაც სპეციფიკური შემართებით, მხედარობითავრებსა და სახელმწიფოს ლიდერებს რომ ახასიათებთ... საბოლოოდ, დაადგენდი, რომ ჩვენი სამხატვრო ფონდის ოსტატების ნაეშმაკარი იყო: კრემლში მორიგი, „წმენდის“ ამბავს გაიგებდნენ თუ არა, სასწრაფოდ „აკეთილშობილებდნენ“ შერისხულ პარტოკრატთა პორტრეტებს. გალაკტიონის „პროტოტიპი“, ვგონებ, მალენკიოვი იყო...

დღეს ამ ამბავს მხოლოდა იუმორით თუ გავიხსენებდით, ერთობ სიმბოლური რომ არ იყოს და გალაკტიონის ცხოვრების თვალიდევნებისას, რაღაც გულსაკლავ ანალოგიას არ ვხედავდეთ ბედოვლათი მხატვრის „მიმსგავსებულ პორტრეტსა“ და იმ პარადულ ავტოპორტრეტს (ანუ – მითს) შორის, რომელსაც ახლა უკვე თავად გალაკტიონი ძერნავდა... ძერნავდა იმ ანონიმი მხატვრის გულმოდგინებით, ოღონდ საპირისპირ ამოცანით: თავისი პორტრეტი ისე უნდოდა გადაეკეთებინა, რომ იმდროინდელი იდეოგრამების შესაბამისად, რომელიმე იმპოზანტურ ბელადს ან მხედარობითავარს თუ არა, „საბჭოთა ეპოქის უდიდეს მეხოტეს“ მაინც დამსგავსებოდა.

„საპარადო პორტრეტის“ დრამა ნაკლებ დამანგრეველი იქნებოდა, გალაკტიონი თვითონეფლექსიას მოკლებული ადამიანი რომ ყოფილიყო და თვითონვე არ გაეშიფრა ამ „საყვალელთაო მიმიკრიის“ მექანიზმი:

ცხოვრება, როგორც ცინიკი – ღორი  
მსგავსება რუბბის,  
გთხოვს, გხევენება იგემო ტბორი —  
ჩაეშვა წუმბეს.  
სახე ნერონის თუ თემურ-ლანგის  
კედლით გილიმს,  
ის სიმბოლოა გულწრფელი ჩანგის  
განყვეტილ სიმის.  
არ მოგცემს საშველს, სანამ თავისთავს  
არ დაგამსგავსებს —  
მსურველი, სადმე ფეხი დაგიცდეს  
და მოჰყვე ნავსებს.

(ტაბიძე 2008: 111)

ამ ლექსს – „საგურამოს“ საინტერესო სტატია უძლვნა თამაზ ვა-საძემ „გალაკტიონოლოგიის“ მეხუთე წიგნში: „ის „კედელი“, საიდანაც „ნერონის თუ თემურ-ლანგის“ სახე იღიმება, ილიას სახლის კედელია, რომელსაც ძველი ტირანების მემკვიდრის – სტალინის ფოტოპორტრეტი ამშვენებს...

დიტატორის ცინიზმით გაუღენთილი სოციალური სინამდვილე ვერ ეგუება, რომ მის სულის დამშლელ ზემოქმედებას ვინმე გადაურჩეს, ვინმე სულის სისუფთავე და სიმაღლე შეინარჩუნოს...

ლექსის თვითირონიული და უიმედოდ მშვიდი ტონიც საგრძნობს ხდის სულიერების გამაჩანაგებელი „პაციაადამიანური“ და სტალინური რეალობის გამოუვალობას“ (ვასაძე 2010: 218).

„სტალინური რეალობა“ ბელადის სიკვდილთან ერთად რომ არ გამქრალა, ამის დრამატული დასტურია გალაკტიონის ცხოვრებისა და შემოქმედების ბოლო ათწლეული, სადაც ომისშემდგომი პერიოდის საბჭოურ რიტორიკასთან სრულიად შეუთავსებელი მედიტაციური ლირიკის შედევრები მეზობლობას, ხოლო „საგურამოს“ სარკაზმთან – „ძველი ტირანების მემკვიდრისადმი“ გულწრფელი პიეთეტით აღსავსე მისტიფიკაცია.

**მისტიფიკაცია:** „გვიანდელი“ გალაკტიონის ფსიქოლოგიური პორტრეტის ამოსაცნობად ბევრისმთქმელია ერთი მისი მისტიფიკაცია, რომელზეც გალაკტიონის ძმისშვილი და ბიოგრაფისი ნოდარ ტაბიძე

გვიყვება: „გალაქტიონს არაერთხელ გაუხსენებია, რომ მოსკოვში იგი შესვდა ი.სტალინს. ეს ფაქტი ძალზე ლაკონურად ფიქსირებული აქვს ერთ მოგვიანო ჩანაწერში. პოეტის არქივში ვერ მივაკვლიერ სტალინთ-ან საუბრის თუნდაც მოკლე შინაარსს. ამიტომაც დავესესხებით 1954 წელს ჩვენს შორის გამართული ერთი დიალოგის ზუსტ ჩანაწერს:

„— ძალზე კარგად მიმიღო სტალინმა. საქართველოს ამბებით ინტერესდებოდა. საერთო ნაცნობებიც მოიკითხა. მთელი საათი ვისაუბრეთ.

— ჰქონდა ამდენი დრო? — ვეჭვობ მე.

— საუბარი ხელს არ უშლიდა სხვა საქმეებიც ეკეთებინა. შემოდიოდნენ და გადიოდნენ ფარაჯიანი ჯარისკაცები...

— რით დამთავრდა თქვენი შეხვედრა?

— შემომთავაზა სასწრაფოდ შუა აზიაში გავმგზავრებულიყავი და სათავეში ჩავდგომოდი ბასმაჩების წინააღმდეგ მებრძოლ დიდ რაზმს.

— მერე?

— მეორე დღეს ავად გავხდი. ცუდად ვიყავი ჩაცმული... ისე, კაცმა არ იცის, იქ რომ წაცსულიყავი, ეყოლებოდა თუ არა საქართველოს სახალხო პოეტი.

კარგად მახსოვეს, როცა ამას ამბობდა, თავს ოდნავ მაღლა წამოსწევდა. შუბლი ელარებოდა. ძნელი არ იყო შეგემჩნიათ, რომ სერიოზულად უძებნიდა გამართლებას, თუ რატომ არ წავიდა შუა აზიაში.

ეს ფაქტი დოკუმენტურად რომც არ დადასტურდეს, მაინც მნიშვნელოვნად მიგვაჩინა. მაშინ იგი პიროვნებაზე ტოტალური სახელმწიფოსა და ერთმართველი პარტიის ზენოლის არასახარბიელო კონიუქტურის არგუმენტად გამოდგება“ (ტაბიძე 2000: 436).

გალაკტიონის ძმისშვილის მობოლიშება „დოკუმენტურად არდადასტურებული ფაქტის“ თაობაზე, რაღა თქმა უნდა, დელიკატური პირობითობაა. მან სხვაზე უკეთ იცის, რომ მთელი ეს ერთსაათიანი მიზან-სცენა სტალინის კაბინეტში – „საერთო ნაცნობების“ გახსენებით, კინემატოგრაფიული „ფარაჯიანი ჯარისკაცებითა“ და ბასმაჩებთან საბრძოლო რაზმის სარდლობის შეთავაზებით – მხოლოდა გალაკტიონის ფანტაზიის ნაყოფია. ბოლო, კადრი, ახლა უკვე ჩვენ შეგვიძლია წარმოვისახოთ: ფერგანის ველზე ახალტეკინურ ულაყზე ამხედრებული გალაკტიონი მოელვარე ხმლითა და უკან მოვდებული მაუზერით... – როგორია?!

ნუთუ, ეს, მართლაც ამოუცნობი, მარტოსული ადამიანი, „ლეჩკომბინატის“ უსახურ პალატაში, ღამღამობით, ლოურენს არაბიელის კარიერაზე ოცნებობს და ისეთ ეგზოტიკურ მიზანსცენებს ქმნის, – მის პედაგოგს მოსკოვის სარეზისორო კურსებზე – აკსაგარსკისაც კი არ

მოელანდებოდა... ვინ გაგცემს პასუხს?! ანდა, რამდენი სავარაუდო პასუხი არსებობს?!

რა ჰგონია სამოკს მიტანებულ „გულუბრყვილო ბავშვს“ (ამ ეპითეტის ავტორზე – ქვემოთ), რომ მისი ძმისშვილისაგან გავრცელებული „მითის“ სარწმუნოობაში არავის ეჭვი არ შეეპარება და ერთგვარი „ხელშეუხებლობის სიგელის“ მაგივრობას გაუწევს?

თუ, ათი წლის წინ დაარსებული სტალინური პრემიის არმილებით განაწყენებული, სატისფაციის ესოდენ ორიგინალურ ფორმას მიმართავს: განა ის ფაქტი, რომ ბელადი მას შემწეობას თხოვს, ისე, როგორც, თავის დროზე – დავით კურაპალატი თორნიკე ერისთავს, პრემიაზე უფრო საამაყო არაა!?

თუ... ლიტერატურული ინტრიგებით გაბეზრებულს, მიზანთროპიამდე მისულს, მტერთან ხმალდახმალ მიჭრილი წინაპრების შეშურდა და მიამიტ მითოლოგიაში „შეფუთა“ ის ფეთქებადი მუხტი, რომელმაც ექვსიოდე წლით ადრე, მისი ბოლოდროინდელი ლირიკის შედევრი – „ასპინძა“ დააწერინა:

ისეთი დღეა, გული მხოლოდ  
გრძნობით დათვრება,  
ისეთი დღეა – გამარჯვებას  
რომ ეკადრება!  
მაგრამ უეცრად ყოველივე  
მოიჩადრება,  
რაღაც შემაკრთობს... და კვლავ ომი  
მომენატრება...  
(ტაბიძე 2005: 254)

გალაკტიონის შედევრებს ჩვენ კიდევ მივუბრუნდებით. აქ კი, მინდა დადაგაკონკრეტო, რომ ამ ესსეს სათაურში გატანილი „დასალიერი“ პოეტის ცხოვრების ბოლო ათწლეულს გულისხმობს: იმ მიმწუხრს, რომელიც გალაკტიონს უკევ თავისთავად თრგუნავდა („და აი დგება ჩემს ცხოვრებამი / უსაზიზღრესი ხანა: სიბერე!“) და რომელმაც მას, ტრიუმფის მომღლოდინეს, განხიბლვა და მწარე გულისტკენა მოუტანა. თვალშისაცემია ისიც, რომ წინანდელ, ელემენტარულ შეჭირვებას ახლა მენტალური კრიზისი შეენაცვლა, რამაც, ჩანს, შეამზადა 1959 წლის 17 მარტის ტრაგიული ფინალი. სწორედ ასეთი რაკურსით გადავხედოთ რამდენიმე ეპიზოდს იმ ავბედითი ათწლეულიდან, რომლის ათვლასაც, პოეტის უფროსი ძმის, პროკლე (აბესალომ) ტაბიძის გარდაცვალებით ვიწყებთ – 1948 წლის შემოდგომაზე...

**აბესალომ, აბესალომ:** თორმეტი წელი გაივლის ოლია ოკუჯავას თავზარდამცემი დაპატიმრებიდან (1936 წლის 11 ნოემბერს: „ასეც არ შეიძლება, / ამხანაგო სტალინი!“ – ჩაწერს თავის დღიურში მიხაილოვის საავადმყოფოდან დაცარიელებულ სახლში დაბრუნებული მისი ქმარი) და ბედისწერა გალაკტიონს ახალ განსაცდელს განუმზადებს: „ამოვარდა ძლიერი ქარი. სახურავებს ლენდა, ხეებს სტეხდა ქარი. არ მახსოვს, რომ ასეთი ამინდი ყოფილიყოს, რაც იყო 1948 წ. 2 ოქტომბერს ღამით, პირველის ორ წუთზე, როდესაც გარდაიცვალა აბესალომი“ (ტაბიძე 1975: 402).

„უფროს ძმასთან ერთად, გალაკტიონს ყველაზე საიმედო სასიცოცხლო საყრდენი გამოეცალა: „...გალაკტიონი ადგილს ვერ პოულობდა. სასმელს მიეძალა, – იგონებდა ნოდარ ტაბიძე, – ცდილობდა ღვინოში ჩაეკლა დარდა. თვე-ნახევარი არ გამოფხიზლებულა. მერე ძმის პატივსაცემად წვერი მოუშვა და გაჩნდა კიდევ ერთი საფიცარი: „აბესალომის სულს გეფიცები“ (ტაბიძე 1982: 61).

გალაკტიონი უნდა შეჩვეოდა ცხოვრებას ძმის გარეშე, რომელიც მასზე უფროსი სულ ორიოდე წლით იყო, მაგრამ, რეალურად, მზრუნველი მამის მაგივრობას უწევდა. აბესალომის თავდადება და ამოუნურავი ჭირთათმენა იმ სათუთი ადამიანური თვისებებიდან მომდინარეობდა, რომლებმაც მისი მერხის მეგობარს ალექსანდრე თვარაძეს ათქმევინებს: „მისებრი კაცი ბევრი აღარ შემხვედრია ცხოვრებაში. აბესალომი ერთი იმათთაგანი იყო, ვისაც ცხოვრების ჭუჭყი რაღაც სასწაულით არ ეკარება ხოლმე; რანაირ გარემოცვაშიც უნდა მოხვედრილიყო, მისი სპეციალურობა ზნეობა და ნათელი გონება არასოდეს აიმღვრეოდა“ (ტაბიძე 1982: 58).

არც ისაა შემთხვევითი, რომ აბესალომმა ეპისტოლარული მემკვიდრეობის გარდა, ფაქტიზი მოთხრობების მოკრძალებული კრებულიც დატოვა, ავტორის სიკვდილის შემდგომ, მისი ვაჟის მიერ გამოცემული. ისე, მგონია, სწორედ აბესალომზეა ზედამოჭრილი ლევ ტოლსტოის სიტყვები თავის უფროს ძმაზე: „სერგეის თუნდაც უმნიშვნელო ხინჯი რომ ჰქონოდა, მისგან დიდი ხელოვანი გამოვიდოდაო“.

და კიდევ: აბესალომი იმ იშვიათ გამონაკლისს ეკუთვნოდა, ვინც თავიდანვე იწამა გალაკტიონის გენია და ჩასწერდა მისი შინაგანი ბუნების თავისებურებას. სწორედ ამ თავისებურებაზე წერდა აბესალომი ოლია ოკუჯავას, რათა აეხსნა გალაკტიონის ბუნება ქმარზე განაწყენებული თავისი რძლისათვის: „ოქვენ ჭკვიანი ქალი ხართ და გალაკტიონის შესახებაც გექნებათ შემდგარი ერთგვარი აზრი. უმთავრესი ის არის, რომ მას ისე ვერ გავზომავთ, როგორც ჩვეულებრივ ადამიანს: „პოეზია უპირველეს ყოვლისა“ და გარეშე პოეზიისა, ოცნებისა და მაღლა-

მაღლა ფრენისა მას არაფერი აინტერესებს. დიდებულია იგი, როცა მაღლა დაფრინავს, მხოლოდ სასაცილოა, როდესაც ძირს ეშვება და ჩვეულებრივა ადამიანის სახეს იდებს. ამიტომ, დაო, ბევრი რამ უნდა ვაპატიოთ, თუ იგი გვიყვარს,... მაინც უნდა გვიყვარდეს ეს უცნაურ ვარსკვლავზე დაბადებული დიდი ადამიანი და გულუბრყვილო ბავშვი“ (ტაბიძე 1997: 156).

ძნელია თქმა, რამდენად დაამშვიდა ოლია ოკუჯავა აბესალომის მრავალგზის ციტირებულმა ამ წერილმა, მაგრამ გალაკტიონის ბიოგრაფიისა და შემოქმედების მევლევარებს მან „უცნაურ ვარსკვლავზე დაბადებული“ პოეტის რამდენიმე „მისამართი“ დაუტოვა, მისეული სახელდებებით აღნიშნული. ვცადოთ, მივაკითხოთ ამ „მისამართებს“...

**„მაღლა მფრენი“:** ჩვენგან უსამართლობა იქნებოდა, ოლია ოკუჯავამ ამ „მისამართზე“ არ გადმოინაცვლოს, რადგან სადაა სხვაგან სიყვარულის ასპარეზი, თუ არ პოეტთან ერთად „მაღლა ფრენისას“...

1941 წლის 6 სექტემბრის დღიურში, გულნატენი გალაკტიონი აღწერს, როგორ დაინახა „ლეჩერომისისის“ ფანჯრიდან („ის “ ფანჯარა არაა!) კატაფალკზე დასვენებული მომცრო კუბო და მცირერიცხოვანი პროცესია, სულ 10-15 კაცი: „ასაფლავებდნენ არა პატარა ბავშვს, არამედ მხცოვან მწერალ ქალს – დარია ახვლედიანს“, – გალაკტიონის ოდინდელ გულშემატკივარსა და მოამაგეს. ამიტომაც, თავის ჩანაწერს ბოლოში დაურთავს, რომ ამ დაკრძალვაზე არდასწრება მისთვის „მეტის მეტად სამარცხვინო საქმე იყო“...

ნეტავ, რას ჩაწერდა ამავე რვეულში გალაკტიონი სულ ხუთი დღის შემდეგ, 11 სექტემბრის ლამეს, მისტიკური ხილვისას რომ დასიზმრებოდა, როგორ უხმობს მას საშველად, უსიერ ტყეში დასახვრეტად გაყვანილი ოლია ოკუჯავას! 1

ცხოვრების ბოლო წლებში, გარეგნულად, გალაკტიონი თითქოს შეეგუა კიდეც ილიას დაღუპვას; მაგრამ, ხომ გავიგია „ფანტომური ტკივილები“ – ადამიანს უკვე ამპუტირებული კიდურის ტკივილი რომ სტანჯავს: სად არ გამოკრთის ილიას სახე ამ წლებში – კაფე „რუსთაველში“ გაკეთებულ სახელდახელო ჩანაწერში, ზოგჯერ, უბრალოდ, ისეთ, არაადამიანური სიმწრით ამოგმინვაში, რომლის შემსწრენი, დიდი ხნის მერცეც კი, ბოლომდე არ იყვნენ დარწმუნებულნი, – მოესმათ, თუ იგულისხმეს ამ ამოგმინვისას, ოლიას სახელი (ერთი ამათგანი აკაკი განერელია გახლდათ, რომელმაც ეს გულსაკლავი ეპიზოდი გაიხსენა).

ოლია ოკუჯავასა და გალაკტიონის სიყვარულის ისტორია უნებლიერ ფლობერის ცნობილ სიტყვებს გვაგონებს – „მხოლოდ იმის სიყვარულია შესაძლებელი, რაც გვანამებსო“. ძნელია თქმა, იყო თუ არა ოლია ოკუჯავა ერთადერთი ქალი, რომელიც გალაკტიონს მართ-

ლა უყვარდა, მაგრამ დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ოლია იყო „მისი ცხოვრების ქალი“. თუ პურიტანულ პრეტენზიებს გვერდზე გადავდებთ, ისეთი შთაბეჭდილება გექმნებათ, რომ სულიერი თანაზიარობის თვალსაზრისით, გალაკტიონი ცხოვრების ბოლომდე მისი ერთ-გული დარჩა.

ოლიაზე თხრობას არ ვწყვეტთ, მაგრამ ქვესათაურის შეცვლა კი მოგვინევს.

**„უცნაური ვარსკვლავი“:** გალაკტიონი არ ღალატობს ოლიას იქ, სადაც ნამდვილად უნდა ეღალატა! ანუ: ბოლომდე ვერ ღალატობს ოლიას პოლიტიკურ რომანტიზმს და მის სახელთან ჯერ კიდევ „დალანდში“ საბედისწეროდ დაწყვილებულ ონომასტიკონს: „შენ და მოსკოვი, პეტროგრადი, ლენინი, კრემლი!“ (სიტყვის მასალად როდი ამბობდა ოლიას რძალი აშენ ნალბანდიანი – „ოლიას ისევე ფანატიკურად უყვარდა გალაკტიონი, როგორც პარტიაო!“).

გასული საუკუნის 50-იანი წლების ბოლოს ადამიანი არ დარჩენილა გალაკტიონის გარშემო, რომელსაც არ სცოდნოდეს შინაარსი ე.წ. „დახურული წერილისა“, სტალინიზმის სულისშემძვრელ დანაშაულთა აღწერით... უკვე აღმოხდა „საგურამო“ – შემზარავი რეჟიმისადმი და საკუთარი თავისადმი გამოტანილი განაჩენით...

და მაინც, მექსიერებიდან ვერ ნარიხოცა ერთარსებად ქცეულ სატრფოთა აღტაცება 1917 წლის ამბოხით, მათი ოდინდელი, ახალგაზრდული იმედებითა და ილუზიებით ნასაზრდოები პოლიტიკური რომანტიზმი...

წავიდა ის დრო, როცა გალაკტიონს მწერალთა კავშირიდან წერილობით ატყობინებდნენ: „თქვენ და ვა ლებ ული გაქვთ ლექსის ნარმოთქმა ლენინის ხსოვნისადმი მიძღვნილ საღამოზე... მწერალთა ფედერაციის სამდივნო გა ვა ლებ თ მიიღოთ მონაწილეობა აღნიშნულ საღამოში“. წავიდა ის დრო, მაგრამ გალაკტიონს კარგად ახსოვდა თავისივე ჩანაწერი: „С политическими идеями играть нельзя. Они опаснее огня. Нельзя играть свастью“. ახსოვდა იმ, 24-საათიანი დაპატიმრების გაკვეთილი 1924 წლისა, რომელმაც, მისი ლაბილური ფსიქიკის პატრონს, ხელისუფლების შიში ერთხელ და სამუდამოდ დამართა. ასეა – ერთს, ძლიერი ხასიათისას, ოცნლიანი კატორდა ვერ გასტეხს; მეორეს, ნიცშეს „ტურინის ცხენისა“ არ იყოს, ქუჩაში უდვითო სცენის დანახვაც კი გონს დააკარგვინებს. ამიტომაც, ვგონებ, „პოეტების მეფის“ 24-საათიანი დაპატიმრება – გამიზნული დაშინება უფრო იყო, ვიდრე სასჯელი.

წავიდა ის დრო, მაგრამ ტოტალიტარული სახელმწიფო დარჩა და მის ყოველ მოქალაქეს („პირველ პოეტს“ – პირველ რიგში!) ერთი

წამითაც არ უნდა დავიწყებოდა, ვისგან იყო დამოკიდებული მისი ცხოვრების ყველა სფერო. ხელოვნებაში პირდაპირი დიქტატი ახლა „სოციალურმა დაკვეთა“ შეცვალა და მას, ვინც ალღოს ვერ აუღებდა ამ „დაკვეთას“, ან არ სურდა სამყაროს უალტერნატივო სურათი გაეზიარებინა, სოციალურ კიბეზე დაღმასვლა გარანტირებული ჰქონდა....

სანდაზმული გალაკტიონის მთელი ტრაგიზმი – გამოუვალი სიტუაცია: დროს უკან ვეღარ დაბრუნებ – არჩევანი გაკეთებელია! რაც არ უნდა ულმობლად ხედავდეს იგი რეალობას და გრძნობდეს, რამდენი დრო და ენერგია შეალია ქიმერების სამსახურს – ვერაფერს შეცვლის. კვლავინდებურად, მის იმედად მყოფი ოჯახის სარჩენად, იძულებულია იგი ულმობელი ექსპლოატაცია გაუწიოს თავის ტალანტს: ერთადერთი „მარჩენალი“ პროფესია აქვს – პოეტისა (რომც უნდოდეს, მთარგმნელობითაც კი ვერ ირჩენს თავს, როგორც ეს არაერთმა მისმა კოლეგამ მოახერხა საბჭოებში, – არ გამოუდის თარგმანი). ამიტომაც, „ინდუსტრიული“ მეთოდებით მუშაობს (ნინასნარ გამზადებული რითმებითა და უცილობლად დასანერი სტრიქონების ყოველდღიური გრაფიკით); ამ მეთოდით მუშაობს იქაც, სადაც განზრახ, „მარცხენა“ ხელით წერს („მაგნებისთვის“!); მაგრამ, ზოგჯერ იქაც, სადაც დარწმუნებულია, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ტოლფას შედევრს შექმნის: 12 წელს მოადომებს „მშვიდობის წიგნს“ (დასასრულ, დაასკვნის, რომ პოემა – „მსოფლიო სახელს მოიპოვებს!“); პასუხად კი, უურნალ „მნათობის“ რედაქციისაგან გამოგზავნილ წერილში ნაიკითხავს: „ამ პოემის ამ სახით გამოქვეყნება მხოლოდ ჩრდილს მიაყენებს თქვენს დიდ სახელსო“. რაც უფრო დიდია მოლოდინი – მით უფრო მწარეა განხიბლვა: ლიტერატურულ ასპარეზზე მრავალი წყენის მიუვედავად, გალაკტიონს, ასეთი სიმაფრით, ვგონებ, არცერთი მარცხი არ განუცდია.

მართლაც და, რა უცნაურია ეს მისი ბედის ვარსკვლავი, რომელიც მარტო ტოვებს სწორედ მაშინ, როცა გვერდზე მდგომი ერთგული მრჩეველი სჭირდება, რომელიც გულახდილად ეტყვის, რომ მისი დიდი ჩანაფიქრი „ინდუსტრიული მეთოდებით“ ვერ განხორციელდება... თუმცა, დაუჯერებდა კი ვინმეს ეს „თავგადაკლული, ათრთოლებული, ვიტყვი – წერას ატანილი, შეშლილის პათოსით შეპყრობილი“ პოეტი (თვარაძე 1972: 220).

რა გასაკვირია, რომ კოლეგების კეთილგანწყობაში ისედაც დაეჭვებული გალაკტიონი, „მნათობის“ რედაქციის პასუხს „მშვიდობის წიგნის“ თაობაზე, ობიექტურ შეფასებად კი არ აღიქვამს, არამედ მტრულ ჟესტად – კიდევ ერთ შტრიხად მისი „გამიზნული იგნორირების“ საერთო სურათში (ამჯერად, ვგონებ, ასე ნამდვილად არ იყო). აი, სამი წლის შემდეგ, „მნათობში“, გალაკტიონის საიუბილეოდ გამოქვეყნებულ,

მაგრამ მართლაც დამაკინებელ წერილში, მთელი მისი წვლილი XX საუკუნის ქართულ პოეზიაში „საბჭოთა ეპოქის მგზნებარე მომდერლის“ „როლამდე იყო დაყვანილი. ერთი შეხედვით, სწორედ ასეთი „ანტი-ბიოგრაფია“ მიესადაგებოდა გალაკტიონისავე დაუინებით შექმნილ „პარადულ პორტრეტს“, მაგრამ „საიუბილეო“ წერილის ადრესატს არ გასჭირვებია ამ „პანეგირიკის“ ქვეტექსტის ამოცნობა.<sup>2</sup>

როგორ გინდა, ამდენი განხიბლვის შემდეგ, კვლავ მიუჯდე შენს საწერ მაგიდას?! გალაკტიონის „დაბმული ჭინკა“ „მნათობთან“ კონფლიქტზე რამდენიმე წლით ადრე თარიღდება, თუმცა, სწორედ ამგვარ, დეპრესიულ განწყობაზე თუ დაინერებოდა ეს უცნაურად შემაშფოთებელი ლექსი:

ჩემი სამწერლო მაგიდის ფეხზე  
მიბმული ჭინკა

ტირის: რად გინდა, რად გინდა ლექსი  
და ალის ჭიქა?

რად გინდა ბროლის რიტმი, მუსიკა?  
სიკვდილი გელის!

წრიალებს ჭინკა, ხმაურობს ჭინკა  
და მნარედ მწყევლის.

არის აქ შეშლა და ჯოჯოხეთი  
თუ ისტერია —

შენ მართალი ხარ! მართლაც, რომ ბედი  
არ მიწერია!

შენ მართალი ხარ! ლურჯი ედემი  
ქარმა დაბურდა,  
მაისი გაჰქრა და ბალი ჩემი  
გაუდაბურდა!

უჩინრად რბიან დღენი და თვენი,  
არ ვთვლი მათ დენას

და გამარჯვება, უდაბნოვ, შენი  
მე მართმევს ენას,  
საუკუნეთა ვდგევარ წინაშე  
ასე გულმევდარი,  
თან ქვითინებენ: ჭინკა ბინაში  
და გარედ ქარი.

(ტაბიძე 2011: 200)

**პორტრეტი:** მოდით, ახლა „გვიანდელი“, განაწყენებული გალაკტიონის უკვე არა „პარადულ“, არამედ რეალისტურ „სიტყვიერ პორ-

ტრეტს“ დავხედოთ, რომელიც ქართული ჰერალდიკის მკვლევარს, მიხეილ ვადგოლსკის ეკუთვნის: „დიდი ხნის უნახავები ვიყავით და ცვლილებები მით უფრო საჩინო იყო, – იხსენებდა გალაკტიონის იერს პოეტთან 1956 წელს სტუმრობისას, მიხეილ ვადგოლსკი, – დამძიმებულიყო და წვერიანი „სმოლენშჩინის გლეხს“ დამსგავსებოდა. წვერზე ხშირ-ხშირიად ხელის ჩამოსმას დასჩვეოდა, თვალები კი ძელებურად ხან ბავშვური, კეთილი, სუფთა, ხან ღრმა, ეკლიანი და გამჭოლი დარჩენოდა. იგი ძლიერი და წელმაგარი ადამიანის შთაბეჭდილებას მოახდენდა, ლოყის ხშირი თრთოლა და თითების კანკალი რომ არა“ (ვადბოლსკი 2003: 285).

**„მაღლა მფრენი“:** რამდენადაც უმწეოა გალაკტიონი ყოფით ურთიერთობებში, იმდენადვე უცთომელია იგი თავისი პოეტური მისიის განჭვრეტისას: „ჩემთვის დღესავით არის ნათელი, / რას იტყვის ჩემზე შთამომავლობა, – ურყევი თვითდაჯერებით წარმოთქვა 25 წლისამ; ორმოცს გადამცდარმა, უკვე იცის, რომ – შოთას, ილიას, აკაკისა და ვაჟას პანთეონს მიაკუთხნებენ და, რადგან „პანთეონი“ ვახსენე, იმ ერთ უთარილო სტროფსაც გავიხსენებ, რომელშიც წინასწარ მიგვინიშნა თავისი მარადიული განსასვენებელი:

რომ მახარებდეს შური ბინდისა,  
დამძიმებული მუქი ხავერდით,  
დამასაფლავეთ მე მთანმინდაზე  
აკაკის გვერდით.  
(ტაბიძე 1966: 446)

გალაკტიონის პროვიდენციალიზმი ისეთივე ამოუხსნელია, როგორც მისი გენია, რომელიც პოეტის ცხოვრების ბოლოს, როდესაც, ერთი შეხედვით, ყველა რესურსი ამონურულია – სულიერიც და ფიზიკურიც, მოულოდნელად გამოანათებს ხოლმე, როგორც მზის სხივი მოქუფრულ ცაზე.

**„შეჯამება“:** თვითმკვლელობამდე რამდენიმე წლით ადრე, გალაკტიონმა თავის დღიურში (დღიური 337 – 1955 წელი) ასეთი ჩანაწერი გაკეთა: „ყოველმა პატიოსანმა ქართველმა მწერალმა საბოლოოდ უნდა გაარკვიოს თავისი დამოკიდებულება გალაკტიონ ტაბიძისადმი, ვინაიდან ამით იგი გაარკვევს თავის დამოკიდებულებას მეოცე საუკუნის ქართული მწერლობისადმი“. მაშინ, ამ ჩანაწერს ყოვლად კონკრეტული ადრესატები ჰყავდა გალაკტიონის ლიტერატურული გარემოცვიდან. ლიტერატორთა მომდევნო თაობები, გალაკტიონის სიცოცხლესა და სიკვდილზე დაფიქრებისას, ამ ფრაზას აღიქვამენ, როგორც პიროვნულ

გამოწვევას და ერთგვარ ზნეობრივ ტესტს. უკვე ჩვენს დროშიც კი, რამდენი „ტაბუ“ დაძლევა მოუწიათ იმ მკვლევარებს, ვინც დაუფარავად ლაპარაკობდა გალაკტიონის ტოტალურ სიმარტოვეზე ჭილა-ძისეული „გოდორიდან“ ამომძვრალი კაშელების გარემოცვაში; იმ „ლიტერატურულ ამქარზე“, რომელმაც თავისი პირველი პოეტისათვის უფრო იოლად გაიმეტა საფლავი აკავის გვერდით, ვიდრე ბინა თავის სამეზობლოში, სწორედ მთაწმინდის სიახლოვეს...

გვინდა თუ არა ეს ჩვენ, საბოლოოჯამში, გალაკტიონის ცხოვრების ბოლოდროინდელი პერიოდის თვალიმდევნებისას (და არა მხოლოდ ბოლოდროინდელის: იხ. ჩვენი წერილი „ეგზისტენციალური შიში“ „გალაკტიონილოგიის“ | წიგნში) სუიციდალური ინტენციის მიზეზებს ვეძებთ და ჩვენს კითხვებს მივყევართ პოეტის „ყოფნა-არყოფნის“ დილემსათან, რომელიც გალაკტიონის მთელ ცხოვრებას გასდევს და ვერანაირად ვერ აიხსნება მხოლოდ ყოფითი პრობლემებითა და პროფესიული ვნებათაღელვით.

საფიქრებელია, რომ პოეტის რეფლექსირებად ნატურას თან სდევ-და ის „გაორების მწარე შიში“, რომელიც მან ერთხელ, ესოდენ პათეტიკურად უარყო („ამ ჩემს თმებში ვერცხლის ჩრდილებს / სიბერის დრო აქსოვა...“), რადგან კარგად იცოდა, რომ ცხოვრებისეულ გაორებას, სულიერი ბზარი მოსდევს და არ უნდოდა აბჯარშესსნილი დახვედრო-და წარმოსახულ მტრებს.

გალაკტიონს მაინცადამაინც არ მოსწონდა, მაიაკოვსკის რომ ადარებდნენ, მაგრამ თუ პოეტის თვითმკვლელობაზეა ლაპარაკი, ამ ორ ტრაგედიაზე მსგავსი მაგალითი ძნელი მოსაძებნია. ვის შეუძლია დაიჯეროს: მაიაკოვსკიმ იმიტომ მოიკლა თავი, რომ მისმა ბოლო სატრფომ – ვერონიკა პოლონსკაიამ არ ისმინა პოეტის მუდარა („დარჩი, თორემ თავს მოვიკლავო!“), რადგან თეტრში, რეპეტიციაზე აგვიან-დებოდა. (თავზარდაცემული პოლონსკაია, რომელმაც სადარბაზოდან გასვლისას გაიგონა გასროლის ხმა, მერელა წაიკითხავს მაიაკოვსკის რამდენიმე დღით ადრე გამზადებულ გამოსათხოვარ წერილს, სადაც ისიცა მოხსენიებული პოეტის ოჯახის წევრთა შორის).

როდესაც თვითმკვლელის იარაღზე ჩახმახი უკვე შეენებულია, ყოველთვის მოიძებნება მიზეზი სასხლეტის გამოსაკრავად: გალაკტიონს არ დაუტოვებია გამოსათხოვარი წერილი, მაგრამ მისი ბოლო-დროინდელი ჩანაწერები განა იგივე მზაობაზე არ მეტყველებენ?! არ მინდა გავიმეორო აქ, „ეგზისტენციალურ შიში“ თვალმიდევნებული „სუიციდალური ინტენციის“ გამოვლინებანი გალაკტიონთან მისი ცხოვრების, პრაქტიკულად, ყველა პერიოდში. ერთადერთი, რასაც

აღვნიშნავთ, ისაა, რომ, ჩვეულებრივ, ამგვარად დამძიმებულ ფსიქიკაში სუიციდალურ განწყობილებათა მიზეზები, როგოც წესი, დროთა განმავლობაში მონაცვლეობენ და გალაკტიონთანაც ასე იყო: მისი ჩანაცერებიდან და დღიურებიდან გამომდინარე, რატომდაც მგონია, რომ დედის მუცლიდან გამოყოლილ ეგზისტენციალურ შიშს, თანდათან, დოსტოევსკისთან („ეშმაპნი“) აღწერილი „კირილოვის კაზუსი“ შეენაცვლა, რომლის მიხედვითაც – თვითმკვლელი, ანუ სიკვდილის შიშს დამთრგუნველი ადამიანი ღმერთს უტოლდება! პოეტის ცხოვრების დასალიერზე, ამ „საკრალური აქტის“ აღსრულებას ისეთი მოტივაცია მიემატა, როგორიცაა შემოქმედისათვის ყველაზე მტკიცნეული და ყველაზე შემაშფოთებელი საკრამენტული კითხვა: „რამდენად უცთომელი იყო მისი ცხოვრების გეზი და მისი გენისათვის საბედისწერო ხომ არ აღმოჩნდა ხელისუფალთათვის ასე უხვად გაღებული ხარჯი?!“

არ მეგულება გალაკტიონის ცხოვრებისა და შემოქმედების მკვლევარი, რომლისათვისაც ვახტანგ ჯავახაძის უმდიდრესი ბიოგრაფიული ნარატივი სამაგიდო წიგნი არ იყოს. მაგრამ, სამწუხაროდ, „უცნობში“, გალაკტიონის თვიმკვლელობის მიზეზთა 13-პუნქტიან ჩამონათვალში, რატომდაც გამოტოვებულია პოეტის ცხოვრების ბოლო წლების თვითგანსამართლებრივი მედეგი.

პირადად მე, ეს მიზეზი უმთავრესი მგონია, რადგან არ მინდა დავიჯერო, რომ პოეტს სიცოცხლესთან ანგარიშსწორება მხოლოდ გარემოებათა ზენოლამ აიძულა და არა თვითრეფლექსიამ, რომელიც თვითგვემასა და თვითგანადგურების იდეაფიქსში გადავიდა... ვერ წარმომიდგენია, რომ ის დრამატული კითხვები, გალაკტიონის ყოველ ჩაკვირვებულ კითხველს რომ ებადება, თავად გალაკტიონს არ მოსდიოდა თავში. თავის ჩანაცერებში და დღიურებში იგი, გასაგები მიზეზების გამო, გაურბოდა ამ თემას. მაგრამ პოეტი რისი პოეტია, თუ ერთხელ მაინც არ აღმოხდება ყველაზე მტკივანი სათქმელი და სწორედ ლექსად არ იტყვის იმას, რასაც უჯრაში გადამალული დღიურის ფურცლებსაც კი არ ანდობს...

სწორედ ასეთი პოეტური აღსარებაა „საგურამო“, ჩვენი ესსეს და-საწყისში რომ გაიიხსენეთ და ნამდვილად არ მიკვირს, რომ არ ამ შემაძრნუნებელი პოეტური დოკუმენტის დამწერს მოუნდა „გულწრფელი ჩანგის განყვეტილი სიმით“ თავი მოეშთო...

ტრაგიკულმა, მაგრამ პროვიდენციალურმა ჟესტმა ღირსება შეუნარჩუნა დიდი პოეტის გენიას: „ხმამაღლა სახელდებული და საყველთაოდ გაცხადებული“ სიკვდილით (მერაბ მამარდაშვილის

განსაზღვრება რომ გავიმეოროთ), თაობათა მეხსიერებაში, თავისი ბიოგრაფია გალაკტიონმა სამუდამოდ დაუპირისპირა იმ „საბჭოურ ფარსს“, რომელშიც, ნებსით თუ უნებლიერ, მონაწილეობდა და ცხოვრების უმეტესი ნაწილი შეალია.

### შენიშვნები:

1) ოლია ოქუჯავა დანარჩენ 156 პატიმარან ერთად, დახვრიტეს 1941 წლის 11 სექტემბერს დამით, ქ. ორიოლთან, ტყეში. ლ.ბერიას მიერ წარდგენილ დასახვრეტ პირთა სიას ი.სტალინის რეზოლუცია ადევს („Известия ЦККПС“, 1990, №18).

2) „მნათობის“ 1959 წლის იანვარ-თებერვლის გაერთიანებულ ნომერში გამოქვეყნებული სტატიის ავტორი გახლდათ გიორგი (გია) მარგველაშვილი. ტექსტი იმდენად ტენდენციური იყო, რომ ვახტანგ ჯავახაძემ გალაკტიონის თვითმკვლელობის მიზეზთა 13-პუნქტიან ჩამონათვალში მე-9 პუნქტად შეიტანა („უცნობი“, 2013 წ, გვ. 806) და ამით, ავტორი, ფაქტობრივად, ესასეისტ ფრენსის ჯეფრის გაუთანაბრა – კიტსის „ლიტერატურულ მკვლელს“. შემდგომში, გია მარგველაშვილი გალაკტიონის შემოქმედების პოპულარიზაციითა და თარგმნით, თავდაუზოგავად ცდილობდა გამოესწორებინა თავისი შეცოდება.

### დამოწმები:

**ვადბოლსკი 2003:** ვადბოლსკი მ. „შეხვედრები გალაკტიონ ტაბიძესთან“. გალაკტიონობლოგია. წიგნი II. თბილისი: 2003.

**ვასაძე 2010:** ვასაძე თ. „სტალინური რეალობის სახე“. გალაკტიონობლოგია. წიგნი V. თბილისი: 2010.

### თვარაძე 1972:

**ტაბიძე 1966:** ტაბიძე გ. თხზულებანი 12 ტომად. ტ. II. თბილისი: 1966.

**ტაბიძე 1975:** ტაბიძე გ. თხზულებანი 12 ტომად. ტ. XII. თბილისი: 1975.

**ტაბიძე 2005:** ტაბიძე გ. რჩეული. თბილისი: 2005.

**ტაბიძე 2008:** ტაბიძე გ. საარქივო გამოცემა. ტ. IV. თბილისი: 2008.

**ტაბიძე 2011:** ტაბიძე გ. საარქივო გამოცემა. ტ. VIII. თბილისი: 2011.

**ტაბიძე 1982:** ტაბიძე ნ. გალაკტიონი. თბილისი: 1982.

**ტაბიძე 2000:** ტაბიძე ნ. გალაკტიონი. თბილისი: 2000.

**ტაბიძე 1997:** ტაბიძე პ. მოთხრობები, ბარათები გალაკტიონთან. თბილისი: 1997.

**TAMAR BARBAKADZE**

*Georgia, Tbilisi*

*Shota Rustaveli Institute of Georgian Literature*

## **Galaktion Tabidze's Stable Verse Forms**

At the beginning of the 20th century an acute interest in stable verse forms against the background of reformation of modernism and national verse can be considered a signal of general semantic function.

For penetration into the mysteries of the “creative and technic side” of the verse Galaktion considered it necessary mastering of both theory and practice of stable forms: sonnet, rondo, octave, tercet, triolet, sextine, ballad, gazela, sestine, pantum, canzone, villanelle, etc.

Georgian modernists with more or less accuracy took into account foreign sources of Georgian stable verse forms

**Key words:** sonnet, octave, ballad, gazela, villanelle.

### **თამარ ბარბაკაძე**

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

### **გალაკტიონ ტაბიძის მყარი სალექსო ფორმები**

ქართული მყარი სალექსო ფორმების მიმართ გამძაფრებული ინტერესი XX ს. 10-იან წლებში, მოდერნიზმისა და ეროვნული ლექსის რეფორმაციის ფონზე, ზოგადი სემანტიკური ფუნქციის მაუწყებლად უნდა ვაღიაროთ: გალაკტიონი, „ცისფერყანხელები“ და მოდერნიზმის ეპოქის სხვა ქართველი პოეტები (იოსებ გრიშაშვილი, ალექსანდრე აბაშელი, ტერენტი გრანელი, სიმონ ჩიქოვანი, სანდრო შანშიაშვილი, კოტე მაყაშვილი და ა. შ.) ლექსის სტრუქტურის განახლების გარეშე შეუძლებლად მიიჩნევდნენ ეროვნული პოეზის (იდეურ, თემატურ) მოდერნიზაციას.

გალაკტიონი ლექსის „შემოქმედებითი და ტექნიკური მხარის“ საიდუმლოთა წვდომისათვის აუცილებლად თვლიდა მყარი ფორმების: სონეტის, რონდოს, ოქტავის, ტერციის, ტრიოლეტის, სექსტინის, ბალადის, გაზელის, სიცილიანის, პანტუმის, კანცონის, ვილანელის და ა.შ. როგორც თეორიის, ასევე პრაქტიკის ათვისებას.

ქართული მყარი სალექსო ფორმების უცხოურ წყაროებს მეტ-ნაკლები სიზუსტით ითვალისწინებდნენ ქართველი მოდერნისტები. თარგმნილსა თუ ორიგინალურ ლირიკაში ბევრი არაკანონიკური, სახ-ეშეცვლილი სონეტი, ტრიოლეტი, რონდო, ოქტავა და ა.შ. გვხვდება.

გალაკტიონის მყარი სალექსო ფორმების შესწავლა გვარწმუნებს, რომ პოეტი ზედმინევნით ღრმად, საფუძვლიანად ეცნობოდა უცხოურ ორიგინალს, ხანგრძლივად ეუფლებოდა და ხვენდა წერის ტექნიკას: თუ 1908-1914 წწ. დაწერილი მყარი ფორმები ჯერ კიდევ არაკანონიკურია, 1915-1922 წლებში გალაკტიონმა დაწერა კანონიკური: ტერციონებით („აივანზე“), ვილანელი („ყოველივე, ქარი და ჩვენება“), ტრიოლეტი („ალაზანთან“), კანცონა, ოქტავა, გაზელა და ა.შ. სალექსო ტექნიკის საკითხები განიხილა „გალაკტიონ ტაბიდის უურნალმა“ (1922). ჩვენ მი-ვაკვლიეთ, აგრეთვე, გალაკტიონის ცნობილი ლექსის „ცხოვრება ჩემი უანკარეს ღვინის ფერია“ უცნობ სონეტურ ვარიანტს, რომელიც 1922 წლით თარიღდება (ბარბაქაძე 2009: 93-99).

გალაკტიონის „ერთი ლექსის“ სალამოზე წარმოთქმული სიტყვა (1956) წართლად წარმოგვიდგენს პოეტის განუწყვეტლივ ზრუნვას „პოე-ზიის ტექნიკის“ დაუფლებისათვის. მას ეჭვი არ ეპარებოდა, რომ „მიღ-წევები დიდი პოეტებისა, გენიალური პოეტების ტექნიკური ოსტატო-ბისა ხანგრძლივი, გულმოყვარეს, თავდადებული მუშაობის შედეგია... მაგრამ ისინი შესწავლილნი არ არიან“ (ტაბიძე 1975: XII, 202).

ცნობილია, რომ გ. ტაბიძეს პირველ წიგნში (1914) ორი ევროპული მყარი სალექსო ფორმა შეუტანია: „ლაურა. სონეტი“ და „მე მესიზმ-რები“ (რონდო). მყარი სალექსო ფორმების ქართველი მკვლევარი როლანდ ბერიძე გ. ტაბიძის რონდოებს: „ჩვენი უურნალი“, „სდგას ხეივანი“, „არიან დღენი“ და „ქარი მოგონებათა“ კლასიკურ რონდოე-ბად მიიჩნევს (1927 წ. კრებული). რ. ბერიძემ პირველმა მიაქცია ყურ-ადლება, აგრეთვე, გალაკტიონის ხელნაწერს, რომელსაც შემოუნახვას პოეტის ე.ნ. „რონდო უბოლოო...“ მკვლევარი გალაკტიონის ლექსებს „დღეთა კარებთან ვდგავარ წუხილით“, „ზღვას ცისფერად ედებოდა შუქი...“ პანტუმებად მიიჩნევს (ბერიძე 2010: 292-303).

გალაკტიონის პირველი სონეტი „ლაურა“ ე.ნ. „საარქივო გამო-ცემაში“, სამწუხაროდ, შეცვლილი სათაურითა („ჟამსა სევდისას“) და გრაფიკით არის დაბეჭდილი (ვარიანტი ა: 28898-50, გვ. 49) (ტაბიძე 2005: I, 259) და არა პირველი პუბლიკაციის მიხედვით (ტაბიძე 1914: I, 86). ამგვარი დაუდევრობა აძნელებს ჭეშმარიტების დადგენას მყარი სალექსო ფორმებს ისტორიისა და თეორიის საკითხების კვლევისას.

გალაკტიონმა, ჩანს, 1914 წელს პირველი სონეტი იტალიური წარ-მომავალობის მყარ ფორმად გაიაზრა, ამიტომაც უწოდა მას „ლაურა“.

ამ სათაურის შეცვლა დაუშვებლად მიგვაჩნია; მით უფრო, რომ ქართულ პოეზიაში სონეტის შემოტანისა და დამკვიდრების პირველი ეტაპიც (XIX ს. 30-იანი წლები) ლაურას სახელს უკავშირდება: ამ დროს გიორგი ერისთავმა თარგმნა პეტრარქას LXI სონეტი „კურთხევა“, აგრეთვე, ადამ მიცევიჩის „ყირიმული სონეტების ციკლიდან“ – „მოგონება“ (1838), რომელიც ლაურას ეძღვნება.

გალაკტიონმა პირველ კრებულში ორი ევროპული მყარი სალექსო ფორმის ინვარიანტული სახე წარმოგვიდგინა, რომელთა არაკანონიკურობა მოსალოდნელი იყო.

სონეტი, როგორც ორიგინალური ფორმა ლექსისა, ყურადსალებად მიუჩნევია გალაკტიონს თავისი ლექსების I კრებულის განხილვისას: „წიგნში არის სონეტი“, – წერდა პოეტი 1950 წლის 17 ნოემბერს წერილში „საკუთარი ლექსების შესახებ“ (ტაბიძე 1975: 152).

გ. ტაბიძის ორიგინალურსა და თარგმნილ სონეტებს საგანგებოდ განვიხილავთ სონეტისადმი მიძღვნილ ჩვენს ნაშრომში (ბარბაქაძე 2008: 138-153).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, „ერთი ლექსის“ საღამოზე წარმოთქმულ სიტყვაში გ. ტაბიძე საგანგებოდ აღნიშნავდა უცხოური მყარი სალექსო ფორმების წერის წესების შესწავლის აუცილებლობას: „და ჩვენ მოვალენი ვართ, ვიცოდეთ კანონები ყველა ფორმებისა, კანონები, რომლებიც უბრალოდ არ დამკვიდრებულან. ჩვენ უნდა ვიცოდეთ ყველაფერი“ (ტაბიძე 1975: 203). ცნობილია, რომ გალაკტიონ ტაბიძე საგანგებოდ მსჯელობდა „ბალადის“, როგორც ევროპული მყარი სალექსო ფორმის, თავისებურებასა და მისი დამკვიდრების აუცილებლობაზე ქართულ პოეზიაში. გ. ტაბიძემ ოდნავ სტილიზებული სახით შექმნა ფრანგული ბალადის ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუში: „\*\*\*აქ მარმარილოს მალალი სვეტი“ (ტაბიძე 2005: III, 239). საგულისხმოა, რომ ამ ბალადის პირველი ვარიანტი 1916 წელს არის შესრულებული, სახელწოდებით: „ბალადა და ანერილი ბაგრატის ტაძრის ნანგრევებში“. ეს ლექსი 1916 წელს დაუწერია გ. ტაბიძეს, რომელსაც ფრანგული ბალადის სტროფიკა და გარითმვის სისტემა შემოლოდ 1927 წლის კრებულში შესული ზემოხსენებული ლექსისათვის მოურგია (ტაბიძე 2005: III, 433).

ევროპული მყარი სალექსო ფორმების მიმართ ინტერესი გალაკტიონმა განსაკუთრებული სილრმით გამოამჟღავნა 1935-1939 წლების უბის წიგნაკებსა და ჩანანერებში. საარქივო გამოცემის ოცტომეულის XV წიგნი ადასტურებს პოეტის დაუცხრომელ ზრუნვას ფრანგული ლექსის თეორიის ასათვისებლად. მას კონსპექტურად დაუმუშავებია (რუსულ ენაზე) 1938 წელს, მოსკოვში გამოცემული წიგნი: „Хрестоматия по западно-европейской литературе. Литература средних веков (IX-XV вв.)

Сост. проф. Р.О. Шор.“ გალაკტიონს გადმოუწერია ფრანსუა ვიონის ბალადები, „დიდი ანდერძის“ ნაწყვეტები, რონდო და ა. შ. (ტაბიძე 2008: 251-259). საარქივო გამოცემის მეოხებით მივაკვლიერ გალაკტიონის ბალადას, სახელწოდებით „გორი“. კერძოდ, „დ-127(293)“-ში, ანუ გალაკტიონის ნაცრისფერყდიან უბის წიგნაში, რომელიც 30 გვერდს მოიცავს (1939 წ.), პოეტის ამგვარ ჩანაწერს ვკითხულობთ: „ტეხნიკურად რა არის ამ წიგნში ახალი?..

... 4. ახალია ფორმა თანამედროვე ბალლადის. ლექსში „გორი“ (ამ ფორმით იგი პირველი ქართული ლქსია)... ახალია ფორმა ბალლადის – (შესავალი „გორი“ -ს) (ტაბიძე 2008: 607). ამ ჩანაწერის გაცნობის შემზე დავიწყე ძებნა გალაკტიონის ლექსისა „გორი“, რომელსაც მაღენავანყდი ამავე წიგნში, 313-ე გვერდზე:

ჩვენი ლიახვი, თხრობის  
გადაქცეული უინად,  
დიდი ბელადის ყრმობის  
მხარეს ამშვენებს წინად  
აქ ცეცხლში ბრძმედილ რკინად  
იდგა ტოლი და სწორი  
ომი მიაჩნდათ ლხინად,  
ასეთი იყო გორი.

გზებად – ველები მტრობის,  
ციხის კედლები – ბინად,  
ალყა მრავალი სწობის  
დარტყმა მეხად და გვრგვინვად,  
ძვლებს, აქ მიმოყრილს ზვინად  
ფრთებს აზომებდა ქორი  
ომი მიაჩნდათ ლხინად,  
ასეთი იყო გორი.

ალბათ, უყვარდა კობას  
აქ დაფიქრება ხშირად  
სამშობლო მხარის, ძმობის  
მცველებს სამარედ სძინავთ!  
მტერთან გარედ და შინად  
არა ერთი და ორი,  
თავს დასტებია გმინვა,  
ასეთი იყო გორი.

კაცობრიობის ბრნეინვად  
სჩანდა ვარსკვლავი შორი,  
ყრმა გასცქეროდა: „სძინავთ“.

ასეთი იყო გორი.  
(ტაბიძე 2008: XV, 313-314)

ამ უბის წიგნაკის ხელნაწერი ოლღა დარიუსს ეკუთვნის, ალბათ, ამიტომაც ლექსის ბოლოს ინიციალებია: „ლ. დ.“.

როგორც ჩანაწერი გვაუწყებს, გალაკტიონის აზრით, „გორი“ თანამედროვე ბალადის ახალი ფორმაა. თუ გავითვალისწინებთ, რომ გალაკტიონს 1938 წელს პროფ. რ. შორის მიერ გამოცემული ქრესტომ-ათიის მიხედვით, „ბალადის“ განმარტება ჩაუწერია, „გორის“ კომპოზი-ციასა და სტრუქტურაში უნდა არ ეკლილყო იგი. „ბალადა-ლექსი, რო-მელიც სამი სტრონფისაგან შედგება, უკანასკნელი სტროფი (envoy) შედარებით მოკლეა, გამართულია სამჯერადი რითმით, აუცილებე-ლია რეფრენი, ტაეპების რიცხვი სტროფში უნდა დაემთხვეს მარც-ვალთა რაოდენობას ტაეპში (8-10)“ (ტაბიძე 2008: XV, 251). გალაკტიო-ნის „გორი“ 3 სტროფისაგან შედგება. თითოეულ სტროფში 8 ტაეპია, რომელთაგან თითოეული 7-მარცვლიანია (5/2). რითმები: თხრობის – ყრმობის, ჟინად – წინად – რკინად – ლხინად, სწორი – გორი, მტრო-ბის – სნობის, ბინა – გრგვინვად – ზვინად – ლხინად, ქორი – გორი და ა. შ. ე.ო. ჯვარედინად განლაგებული სამკეცი რითმის მიხედვით არის გარითმული. ბალადის რეფრენია: „ასეთი იყო გორი“. ბალადის 3 სტროფი მთავრდება გზავნილი (envoy):

კაცობრიობის ბრნეინვად  
სჩანდა ვარსკვლავი შორი,  
ყრმა გასცქეროდა: „სძინავთ“.

ასეთი იყო გორი.

როგორც ვხედავთ, გ. ტაბიძე თავის „ბალადას“ სახელწოდებით „გორი“ სახელმძღვანელოში მოცემული განმარტების დაცვით წერს. გ. შენგელის აზრით, „ფრანგული ბალადის“ განვითარების ადრინდელ საფეხურზე, envoy, ანუ გზავნილი მიმართული იყო პრინცისადმი, ვი-საც პოეტი თავის თხზულებას უძღვნიდა. გზავნილის სამი ტაეპი წინა სამი სტროფის შინაარსიდან გამომდინარეობს და განმტკიცებულია შემაჯამებელი სტრიქონით (შენგელი 1960: 297).

გალაკტიონს „გორი“ 1939 წლის 30 აგვისტოს უკვე ამგვარი ფორმით ჩაუწერია: „ბალადა, დაწერილი გორის ციხესთან“:

### **ბალადა, დაწერილი გორის ციხესთან**

- მითხარ, ლიახვო, გრძნობის, გადაქცეულო ჟინად,  
დიდი ბელადის ყრმობის არე რა იყო ზინად?
- წინად? ფოლადის რკინად იდგა ტოლი და სწორი,  
ომი მიაჩნდათ ლხინად... ასეთი იყო გორი.

გზებათ ველები გზნობის, ციხე-კედლები ბინად,  
ალყა მრავალი ხნობის, დარტყმა მეხად და გრგვინვად,  
ძვლებს აქ მიმოყრილს ზვინად, ფრთას აზომებდა ქორი.  
ომი მიაჩნდათ ლხინად... ასეთი იყო გორი...

გულანთებული კობა აქ ოცნებობდა ხშირად,  
საშმობლო მხარის, ძმობის მცველებს სამარედ სძინავთ.  
მტერთან – გარედ და შინად, არა ერთი და ორი  
ომი მიაჩნდათ ლხინად... ასეთი იყო გორი.

კაცობრიობის ბრნყინვად სჩანდა ვარსკვლავი შორი.

1939, 30 აგვისტო  
5 საათი დიღის  
(ტაბიძე 2005: VIII. 519)

პირვანდელი ვარიანტი ბალადისა 14-მარცვლიანი საზომით (5/2//5/2) შესრულებულ მყარ ფორმად გარდასახულა, რისთვისაც 8-ტაეპიანი სტროფები კატრენებად გადაქცეულა. ყოველი კატრენი, ძველი ვარიანტის მიხედვით, ბოლოვდება რეფრენით: „ომი მიაჩნდათ ლხინად... ასეთი იყო გორი...“ შეცვლილია „ბალადის“ საბოლოო ვარიანტის „გზავნილი“: „კაცობრიობის ბრნყინვად სჩანდა ვარსკვლავი შორი“.

როგორც ვხედავთ, გალაკტიონი ბევრს ფიქრობდა, სწავლობდა და პრაქტიკულად ხვეწდა „ბალადის“ მყარ სალექსო ფორმას. თუ 1927 წლის კრებულში დაბეჭდილი პირველი ბალადა „\*\*\*აქ მარმარილოს მაღალი სვეტი“ სიმეტრიული ათმარცვლებით (5/5) შესრულებული სამი რვატაებედისგან შედგება, რაც, ნანილობრივ, „გორის“ სტროფიკაშიც განმეორდა, „ბალადა, დაწერილი გორის ციხესთან“ – კატრენებით არის შესრულებული...

როგორ უკვე ვთქვით, ბალადის თეორიაზე საგანგებოდ მსჯელობს გალაკტიონი 50-იან წლებში. „დღიური – 269“, რომელიც 1951 წლით თარიღდება, გვაცნობს გ. ტაბიძის ჩანაწერს: „პირველი ქართული ბალ-ლადები“ (ტაბიძე 2008: XVIII, 166-167).

გალაკტიონი საგანგებოდ ემზადებოდა საღამოსათვის, რომელიც „ბალადას“ მიეძღვნებოდა.

გალაკტიონის დამსახურებად უნდა მივიჩნიოთ 1922 წელს ქართულ პოეზიაში ვილანელისა და გაზელის//ღაზელის შემოტანა.

XIX ს. 10-20-იანი წლების ქართული პოეზიის თავისებურებას განსაზღვრავდა ე.ნ. ნეო-ორიენტალიზმი, რაც ახალი დასავლურ-ალმოსავლური სინთეზი იყო (კენჭოშვილი 1999: 59). ვიზიარებ ი. კენჭოშვილის აზრს, რომ ქართული პოეზიის განვითარებაზე, ლექსის ფორმის გააზრებაზე ზეგავლენა იქონია სპარსულმა პოეზიამ, რომლის ნიმუშები „სიტყვებისაგან შედგენილი ნამდვილი მუსიკალური კომპოზიციებია“ (ო. სენკოვსკი). ისევე, როგორც არაბულმა პოეზიამ ხელი შეუწყო დანტეს ტერცინების სამმაგ რითმებს, ასევე უდავოა აღმოსავლური, უპირველესად – სპარსული პოეზიის წვლილი ქართული სრულყოფილი, ზუსტი, იდენტური რითმის დამკვიდრებისას.

როგორც ფრანგი პოეტები მიუბრუნდნენ რონდოს, ტრიოლეტებს, ვილანელსა და დიდი ხნის წინათ მივიწყებულ სხვა „მუსიკალურ“ სალექსო ფორმებსა და საზომებს, ასევე, გალაკტიონშია დაიწყო ზრუნვა ქართულ პოეზიაში ვილანელისა და გაზელას, მისი ვარიაციების დამკვიდრებისათვის.

„გალაკტიონ ტაბიძის უურნალის“ პირველსავე ნომერში გამოქვეყნებულია წერილი „გაზელა“ და ამ აღმოსავლური მყარი საღექსო ფორმის ნიმუში: „არა ზეცა, არა ლანდი, არაფერია“; ჟ. „კანდელის“ 1-2 ნომრების ბიბლიოგრაფიული მიმოხილვისას კი საუბარი ვილანელზე („გალაკტიონ ტაბიძის უურნალი“ 1922: I, 33, 39) გვიდასტურებს პოეტის დაუმცხრალ ძებას ქართული პოეზიის ახალი ფერისცვალების გზისა. შეიძლება, თამამად ითქვას, რომ გალაკტიონის დაკვირვებანი გაზელაზე//ღაზელზე დღესაც საყურადღებოა და განსაკუთრებით კი გასათვალისწინებელია პოეტის მოსაზრება უცხოურ სალექსო ფორმაში ქართული სულის ჩანერგვის“ თაობაზე. გ. ტაბიძე ბესიკის პოეზიის თავისებურებად მიიჩნევს სულის, ტემპერამენტის გადმოტანას და ფორმის უგულებელყოფას (დოიაშვილი 2003: 42).

ცალკე საკითხია გალაკტიონის პოეზიაში ოქტავების დამკვიდრების საკითხი. ტრადიციულად, ისტორიულად, ცნობილია, რომ ოქტავა, როგორც მყარი სალექსო ფორმა, მსოფლიო პოეზიაში ჯერ ეპიკურ უანრში – პოეზიაში – გამოჩნდა. ოქტავებით პოემის წერა ტრადიციულად იქცა

ევროპაში (ჯოვანი ბოკაჩი, ლუიჯი პულჩი, მათეო ბოიარდი და ა.შ.), ხოლო შემდეგ ლირიკაშიც დამკვიდრდა (ბერიძე 1995: 323). გალაკტიონიც ამაყობდა: „ოქტავებით ვწერ პოემას...“, თუმცა მისი საუკეთესო ოქტავები ლირიკული ლექსებია („ლილიან ფრთებით“, „ოქტავები“). „ლილიან ფრთებით“ თავდაპირველად „ლურჯ ხომალდთან“ ერთად იყო დაბეჭდილი. 1927 წლის კრებულში კი დამოუკიდებელ ლექსებად წარმოადგინა ორივე. „ლილიან ფრთებით“ კლასიკური ოქტავა: ჯვარედინად გარითმული ექვსტაეპედი და მოსაზღვრე, წყვილადი რითმით გამართული ორტაეპედი: abababcc. ასეთივე კანონიკური სამი ოქტავა დაუწერია პოეტს 1935 წლის 2 დეკემბერს სათაურით „ოქტავები“ (ტაბიძე 2006: V, 71). ერთ-ერთი, შუა ოქტავა გვაუწყებს:

ამოინურა ის ფანტაზია,  
მასთან ყოველი და ყველაფერი,  
გარემო თითქოს ისევ ნაზია,  
მაგრამ სიკვდილით არის ნაფერი.

ცხოვრება ისევ ქვეყანაზედა —  
არ არის ნიჭი ციtot მონაბერი.  
არს კარიერა ახალი რასის —  
ჰელავს სევდა, როგორ ოდესმე რასინს.

„გაზელა“ კი 1925 წელს დაწერილ ლექსშიც „ჩვენი დრო ისევ რუსთაველს ელის“ გაიხმიანებს:

შორეულ დღეებს მახლობლად უზის  
მცოდნე ჰაფიზის, მცოდნე გაზელის  
ცივი ოცნება შხეფავს აუზის  
ჩვენი დროც ისევ რუსთაველს ელის.  
(გალაკტიონი 2005, III: 142)

#### დამოცვებანი:

**ბარბაქაძე 2008:** ბარბაქაძე თ. სონეტი საქართველოში. თბილისი: „უნივერსალი“, 2008.

**ბარბაქაძე 2009:** ბარბაქაძე თ. „გალაკტიონ ტაბიძის ცნობილი ლექსის უცნობი სონეტური ვარიანტი“. სჯანი. 10. თბილისი: 2009.

**ბერიძე 1995:** ბერიძე რ. „მყარი სალექსო ფორმები“. ლიტერატურის თეორიის საფუძვლები. თბილისი: თსუ გამომცელობა, 1995.

**ბერიძე 2010:** ბერიძე რ. „შენ ზღვის პირად...“. გალაკტიონოლოგია. ტ. V. თბილისი: 2010.

**დოიაშვილი 2003:** დოიაშვილი თ. „არტისტული ყვავილების“ პროლოგი“. გალაკტიონოლოგია. ტ. II. შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, გალაკტიონის კვლევის ცენტრი. თბილისი: 2003.

**კენჭოშვილი 1999:** კენჭოშვილი ი. გალაკტიონ ტაბიძის სამყაროში. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი. თბილისი: 1999.

**ტაბიძე 1914:** ტაბიძე გ. ლექსები. ტ. I. თბილისი: 1914.

**ტაბიძე 1975:** ტაბიძე გ. ოხულებანი თორმეტ ტომად. ტ. XII. თბილისი: 1975.

**ტაბიძე 2005:** ტაბიძე გ. საარქივო გამოცემა 25 წიგნად. წიგნი I, წიგნი V, წიგნი VIII. თბილისი: „ლიტერატურის მატიანე“, 2005.

**ტაბიძე 2008:** ტაბიძე გ. საარქივო გამოცემა 25 წიგნად. წიგნი XV (დღიურები. უბის წიგნაკები. ჩანაწერები. 1935-1939). წიგნი XVIII (1950-1954). თბილისი. „ლიტერატურის მატიანე“, 2008.

**შენგელი 1960:** შენგელი გ. *Техника стиха*. Москва: 1960.

**LEVAN BREGADZE**

*Georgia, Tbilisi*

*Shota Rustaveli Institute of Georgian Literature*

### **Galaktion Tabidze's Poem „Akaki Tsereteli“**

(Poetical observations)

Galaktion Tabidze's (1891-1959) long poem „Akaki Tsereteli“ (1940) is very interesting from the point of view of interrelation between poetical tradition and novation. The poem aims at due assessment of the creative work and public life of Akaki Tsereteli (1840-1915), as a great poet and a leader of the national liberation movement. From the point of view of poetic form, the poem attracts readers' attention, on the one hand, by its basing on the forms characteristic for Akaki Tsereteli's poetics, and, on the other hand, by a full (even to the utmost) development of poetic figures existing in Akaki Tsereteli's works in embryonic or less emphasized forms, which gives an impression of poetic competition with the great predecessor.

**Key words:** Galaktion Tabidze, Akaki Tsereteli, poetic competition.

## ლევან ბრეგაძე

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

### გალაკტიონ ტაბიძის პოემა „აკაკი წერეთელი“ (პოეტიკური დაკვირვებანი)

გალაკტიონ ტაბიძის პოემა „აკაკი წერეთელი“ (1940) მეტად საინტერესოა პოეტური ტრადიციებისა და ნოვაციების ურთიერთ-მიმართების თვალსაზრისით. ეს არის ესეისტური პოემა, რომელიც აკაკი წერეთლის, როგორც დიდი პოეტისა და ეროვნულ-განამათ-ავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერის, შემოქმედებისა და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ლირსულად შეფასებას ისახავს მიზნად. პოეტური ფორმის თვალსაზრისით იგი იმით იქცევს ყურად-ღებას, რომ, ერთი მხრივ, ეყრდნობა (ესესხება, იმეორებს) აკაკი წერეთლის პოეტიკისთვის დამახასიათებელ ფორმებს (სტროფის აგების წესს, რითმათა სისტემას, ლექსიკას, სიტყვათნარმოებას, სა-საუბრო მეტყველებასთან მიახლოებულ სინტაქსს...), ხოლო მეორე მხრივ, სრულად, შეიძლება ითქვას, უკიდურესობამდე ავითარებს აკაკი წერეთლის შემოქმედებაში ჩანასახის ფორმით არსებულ თუ შედარე-ბით ნაკლებად აქცენტირებულ პოეტიკურ ფიგურებს (ასონანსური თუ კონსონანსური რითმა, მარგინალურ მეტყველების ნაწილთა სარითმო სიტყვად გატანა, პროზაიზმების გამოყენება...), რაც დიდ წინაპართან პოეტური გაჯიბრების შთაბეჭდილებას ახდენს.

მთელი პოემა (რამდენიმე სტროფის გამოკლებით) სამჯერადი რითმით შესრულებული კატრენებისაგან შედგება (aaba). ქართულ ხალხურ პოეზიაში გავრცელებულ ამ სალექსო ფორმას ხშირად იყ-ენებდა აკაკი წერეთელი, ასე რომ, გალაკტიონის მიერ აკაკი წერეთლის შესახებ დაწერილი პოემისთვის ამ სალექსო ფორმის შერჩევა უთუოდ ამან განაპირობა. აკაკი ხინთიბიძე წიგნში „აკაკის ლექსი“ წერს:

„განსაკუთრებით საინტერესოა აკაკი – სამჯერადი რითმის ხე-ლოვანი (...). გარითმების ეს სახეობა, რომელიც ჩვენს ზეპირსიტყვიერე-ბაშია გავრცელებული, აკაკიმ თავის ერთ-ერთ დამახასიათებელ ხერხად აქცია. ბევრი საუკეთესო ლექსი პოეტს ამ რითმაზე აქვს ანუო-ბილი (...). სამჯერადი რითმა (aaba) ქართული კლასიკური ლექსისათვის დამახასიათებელი არ ყოფილა; ნაკლებად გვხვდება იგი რომანტიკოს-თა შემოქმედებაშიც. ასე რომ, აკაკი ფაქტიურად პირველი პოეტია, რომლის ლექსებში გარითმვის ამ სახეობამ რელიეფურად იჩინა თავი“ (ხინთიბიძე 1972: 154).

პოემა ათმარცვლიანი (5/5) სამჯერადი რითმით დაწერილი სტროფებით იწყება, ასეთია პირველი ოცი სტროფი, მერე კი ბოლომდე რვამარცვლიანი მაღალი შაირით (4/4) მიმდინარეობს თხრობა, ძირითადად კვლავაც სამჯერადი (ალაგ-ალაგ ჯვარედინი, ინტერვალიანი და კატრენული) რითმით შესრულებული ლექსით.

რა ძვირფასი ფერებია,  
რა ნარნარი ჩქერებია,  
მოძრაობენ იმნაირად,  
თითქო სულიერებია!  
(ტაბიძე 1972: 19)

მკითხველს, რომელსაც აკაკის უპოპულარესი ლექსის – „სალამურისა“ და მრავალი სხვა შედევრის (\*\*\* „ერთხელ ვნახე მეტად ვერა“, \*\*\* „ალექსანდრა გამიხელდა“, „სიმღერა“: „სამეფო ძველთა ძველო“) მელოდია ყურში აქვს ჩარჩენილი, შეუძლებელია არ გაახსენდეს იგი ამ პოემის კითხვისას.

პოემის სტრიქონები გარითმულია როგორც ზუსტი, ასევე არაზუსტი – ასონანსური, კონსონანსური და დისოსანსური – რითმით, ანუ ყველა თაობის რითმას ვხვდებით გალაკტიონთან, ოთხმარცვლიანი ომონიმებით დაწყებული (შეიძლება [კარი]: **შეიძლება** [ფერით] [ტაბიძე 1972: 55]; „სადაც ვარდი და იები / ეს მუდმივი დაიები“ [ტაბიძე 1972: 69] და დამთავრებული მხოლოდ თითო საყრდენი თანხმოვნის მქონე დისონანსური რითმით (**მაშინ : ავშარს** [ტაბიძე 1972: 112]), აკაკისთან კი არაზუსტი რითმა, ასონანსს თუ არ ჩავთვლით (**მშობელს : სოფელს** [წერეთელი 1950ბ: 101; შდრ. ხინთიბიძე 1972: 123]; **ნამგალი : სამკალი** [წერეთელი 1950ა: 126; შდრ. ხინთიბიძე 1972: 123]), მეტად იშვიათია და მოულოდნელიც, ვინაიდან არაზუსტი რითმების დრო ჯერ არ დამდგარიყო. სწორედ ამიტომ ის თითო-ოროლა კონსონანსი თუ დისონანსი, რომელიც აკაკი წერეთელთან გვხვდება, მეტად საგულისხმოა რითმის ისტორიისა და, თუ შეიძლება ასე ითქვას, სარითმო გემოვნების განვითარების თვალსაზრისით (ცვალებადია : ბადეა; და მე არა : დამიარა; ჯალაბო : მოჩანჩალობო; მონება : მე ნება [ხინთიბიძე 1972: 126] და სხვ.). აი აკაკის ერთი ხმოვანნაკლული კონსონანსი (თანამედროვე პოეზიაში ერთობ პოპულარული სახეობა რითმისა) ლექსიდან „სიმღერა მყის დროს“, რომელიც სამჯერადი რითმით არის დაწერილი:

მეთაურო, **თაბაგარო**,  
ნუ გგონია, რომ **დაგვჩაგრო!**

ნახავ მკაში, რომ შენც ჩვენთან  
ბევრი ოფლი გადმოღვარო!  
(წერეთელი 1950ა: 126)

(კლასიკური რითმა რომ გამოვიდეს, უნდა იყოს ან თაბაგარო :  
დაგვჩაგ[ა]რო, ან თაბაგრო : დაგვჩაგრო).

აკაკისთან აქა-იქ გვხვდება ბოლოხმოვანგანსხვავებული კონსო-  
ნანსებიც, რაც ამჟამად ასევე ძლიერ პოპულარულია, მოდურია:

თვითო დღე და თვითო **ლამე**  
იყო მათის ტანჯვის **ჟამი**.  
(წერეთელი 1950ა: 116; შდრ. ხინთიბიძე 1972: 126)

მომხიბლე, ქალო, მომეც **სიამე**,  
ეს მოტყუუბა იქნება ტკბილი,  
სიცოცხლეც მექმნეს გინდ ერთი **წამი**  
და წამის შემდეგ მწარე სიკვდილი.  
(წერეთელი 1950ა: 182; შდრ. ხინთიბიძე 1972: 126)

აკაკი ხინთიბიძის დაკვირვებით, „ბგერის გადანაცვლება რითმაში,  
თანხმოვანთა და ხმოვანთა არაპირდაპირი შეხვედრები, ტაეპის ჩართ-  
ვა რითმის ევფონიაში და სხვა მისთანები, რომლებიც ჩვეულებრივია  
თანამედროვე რითმის პრაქტიკაში, ნანილობრივ მაინც აკაკის დამსახ-  
ურებაცაა. მაგრამ თავისუფალი რითმა აკაკის პოეზიაში მხოლოდ ჩა-  
ნასახის ფორმითა მოცემული; მას შემდგომი გაშლა-განვითარება და  
გაღრმავება ესაჭიროებოდა, რაც მომდევნო პოეტურმა თაობამ შეას-  
რულა“ (ხინთიბიძე 1972: 164-165).

„მომდევნო პოეტურ თაობაში“ რითმის განვითარების თვალსაზ-  
რისით გალაკტიონ ტაბიძის დამსახურება განუზომელია, კერძოდ,  
კონსონანსურ-დისონანსური რითმა გალაკტიონის შემოქმედებაში  
არაჩვეულებრივ მომხიბლელობას იძენს. გავიხსენოთ საუკუნის რით-  
მად აღიარებული **სილაში ვარდი : სილაუვარდე**.

ვნახოთ კონსონანსურ-დისონანსური რითმის ნიმუშები განსახი-  
ლავი პოემიდან:

მისი წაქცევა თუ უნდა **დემონს**,  
სიკვდილი დევდეს თვითონ, **დეე, მას!**  
(ტაბიძე 1972: 7)

ან კიდევ ასეთი მეტად თამამი დისონანსები:

არ დავხანდე მე, **მოხეტე,**  
მისალმებით მხნედ მივიღე  
ჯგუფთან, ალ ზე გალანდულთან,  
მძლავრი ცეცხლის ლივლივითა.  
(ტაბიძე 1972: 29)

როცა საქმე ითხოვს[,] **მაშინ**  
მაგრად მოსწევს ცხენის **ავშარს,**  
იხდის თავის ანაფორას,  
და იმოსავს ჯაჭვს და ჯავშანს.  
(ტაბიძე 1972: 112)

**ხალხის სამსახურის აზრით**  
**აქ ილია ბუმბერაზი**  
„საქართველოს მოამბე“-ს სცემს,  
ლოზუნგებით საესე გაზეთს.  
(ტაბიძე 1972: 94)

თუ ამ დისონანსებს აკაკი წერეთლის დროინდელ რითმებს შევადარებთ, დავინახავთ რა ძლიერ შეცვლილა რითმის ესთეტიკა მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში. თუმცა, კვლავ უნდა გავიმეოროთ, რომ ამ მოვლენის ჩანასახი აკაკის პოეზიაშვე შეინიშნება, ხოლო „გალაკტიონმა კონსონანსი – ხმოვნების შეუთანხმებლობა რითმაში – ეს, ერთი შეხედვით, უხეში სახეობა რითმისა, ჩვენი სმენისათვის მის-აღებ, კეთილხმოვან მოვლენად აქცია“ (ხინთიბიძე 1987: 237).

\* \* \*

ყურადღებას იქცევს პოემაში ანუანბემანების არაჩვეულებრივი სიუჩვე. ანუანბემანი ანუ გადატანა, რაც კლასიკურ პოეზიაში ნაკლად ითვლებოდა (დოიაშვილი 2000: 5-6), რომანტიკოსებიდან მოკიდებული ერთ-ერთ უაღრესად უფექტურ პოეტიკურ ფიგურად იქცა. აკაკი წერეთლიც ხშირად მიმართავდა მას.

აკაკი ხინთიბიძის მონოგრაფიაში „აკაკის ლექსი“ ვკითხულობთ: „აკაკის ლექსის რიტმი მნიშვნელოვან როლს ასრულებს გადატანა (ანუანბემანი), რომელიც სალექსო ფრაზის სინტაქსურ წყობაზე რიტ-მული ძალდატანების შედეგს წარმოადგენს“ (ხინთიბიძე 1972: 74).

ამ პოეტური ფიგურის, ვ. უირმუნსკის სიტყვით, „მხატვრულად გათვლილი დისონანსის“ (დოიაშვილი 2000: 35) ზუსტი დეფინიცია ასეთია:

„ანუანბემანი ანუ გადატანა ეწოდება ისეთ რიტმულ-სინტაქსურ ფიგურას, რომელიც წარმოიქმნება მეტრული რიგისა და სინტაქსური დაყოფის შეუთავსებლობისას. მისი რეალზაციისათვის, როგორც წესი, აუცილებელია გრამატიკული პაუზის არქონა ტაეპებს შორის და შიდა პაუზის არსებობა ტაეპის შიგნით“ (დოიაშვილი 2000: 31).

აკაკი ხინთიბიძის სიტყვით, მართალია, ანუანბემანის, როგორც შეგნებული მხატვრული ხერხის, სათავეებთან ჩვენს სინამდვილეში ნიკოლოზ ბარათაშვილი დგას, მაგრამ „ასეთი სისრულით, სიფართოვით, მრავალსახეობით ანუანბემანი პირველად აკაკის პოეზიაში გამოვლინდა“ (ხინთიბიძე 1972: 85).

ვნახოთ ტაეპობრივი ანუანბემანის რამდენიმე ეფექტური ნიმუში აკაკი წერეთლის შემოქმედებიდან:

არც შურია, არც ძრახვა  
იქ... არც რამე მტრობაო.  
(წერეთელი 1955: 142; შდრ. ხინთიბიძე 1972: 77)

(მგელი უხატავს გუგულს არკადიას – მიწიერ სამოთხეს. ანუანბემანით ხაზგასმულია, გაძლიერებულია არკადის მნიშვნელოვანება).

ყოველგვარი მოსავალი  
კაცის თავზე უნებური  
ღვთის რისხვაა და ტყვილად ბედს  
რას უჩივი, რას ემდური.  
(წერეთელი 1956: 242)

ამ ოთხტაეპიან სტროფში სამი ანუანბემანია (მაქსიმუმი!) – სალესო მეტრით გათიშულია სამი სინტაგმა.

„კიდევ უფრო იშვიათი და მოულოდნელია ე. წ. სტროფული ანუანბემანი: ერთ სტროფში დაწყებული სალექსო ფრაზის მეორეში გადატანა და დამთავრება. (...) კლასიკურ პოეზიაში წერტილდაუსმელი სტროფი ძნელი წარმოსადგენია“ (ხინთიბიძე 1972: 82).

ამავე მოვლენის გამო თემურაზ დოიაშვილის მონოგრაფიაში, რომელიც ანუანბემანს ეძღვნება, ვკითხულობთ:

„რამდენადაც სტროფი მეტრულ-ინტონაციური დამოუკიდებლობით და სემანტიკური დასრულებულობით ხასიათდება, სტროფული ანუანბემანი გადატანის შედარებით იშვიათი სახეობაა და თავისი იშვიათობის გამო – განსაკუთრებით ეფექტურიც“ (დოიაშვილი 2000: 58).

ვნახოთ აკაკი წერეთლის სტროფული ანუანბემანები ლექსში „სალამური“:

.....  
როცა მწყემსი გიპყრობს ხელში  
და გაპეივის მთა და ველში,  
ტკბილსა ხმასა ცაში ჰკარგავს  
და სევდისას – შავს ქვესკნელში,

მაშინ ფიქრი ჩემი შენს ხმას  
გარს ეხვევა, ვითა ძმა ძმას,  
და შენი კვნესით მაგონებს  
საქართველოს მნარე მოთქმას.

.....  
მაგრამ, ზოგჯერ, რომ ტკბილი ხმა  
სანუგეშოდ მიჰტრენს ალმა  
და ჩემთ გიჟთა ოცნებათა  
ხარბად ინთქავს უფსკრული ღრმა,

თავგანწირულს მამულის მცველს  
წარმოვიდგინ მაშინ ქართველს:  
მტერს შეჰყვირის: „ჰკა მაგასა!“  
გამოსული ბრძოლისა ველს.  
(წერეთლი 1950ა: 87-88)

გალაკტიონმა კიდევ უფრო გაამრავალფეროვნა ანუანბემანი საზოგადოდ თავის შემოქმედებაში, ხოლო ამ პოემაში ხომ ამ მხრივ ყველა რეკორდი მოხსნა!

ანუანბემანი ყველა შემთხვევაში სალექსო ფრაზის ამა თუ იმ ნაწილის აქცენტირებას ახდენს. ხოლო თუ ასეთი აქცენტირება შინაარსობრივად იმაზე მეტად არის მოტივირებული, ვიდრე ამ ნაწილზე უბრალოდ ყურადღების გამახვილებისთვის იქნებოდა საჭირო, მაშინ ანუანბემანი არაჩვეულებრივ გამომსახველობას სძენს პოეტურ სახეს.

თეომურაზ დოიაძვილის მონოგრაფიაში ვკითხულობთ:

„ცნობილი ფრანგი ესთეტიკოსი ჟან მარი გუიო ალნიშნავს, რომ გადატანის მეშვეობით „ლექსი იტევს მეტ იდეებს, მეტ გრძნობებს, მასში გროვდება, ასე ვთქვათ, მეტი ფარული ემოცია, მეტი წერვი-ული ძალა...“. ეს ნიშნავს, რომ ანუანბემანს უკავშირდება გარკვეული აზრობრივ-სემანტიკური და გრძნობად-ემოციური შინაარსი. (...) გაუაზრებელი გადატანა, სიტყვათა მექანიკური გათიშვა არამცთუ მხატ-

ვრულ ეფექტს იძლევა, არამედ გაუმართავ ფრაზას და დეფექტურ ლექსს ქმნის. ამიტომ, როგორც ბ. ტომაშევსკი აღნიშნავს, ყოველთვის საჭიროა ანუანბემანის მოტივირება, გამართლება“ (დოიაშვილი 2000: 35).

დავაკვირდეთ ამ თვალსაზრისით გალაკტიონის ანუანბემანებს განსახილავ პოემაში.

გიმნაზიაში არსებული აღმზრდელობითი მეთოდის სისასტიკეზე გალაკტიონი ასე გვიყვება:

სხვაგვარ ზრდიდნენ, სხვაგვარ წრთვნიდნენ[,]  
სხვაგვარ ჭეუას ასწავლიდნენ

**წეპლით.** წეპლა ითვლებოდა  
მომავალის გზად და ხიდედ.

(ტაბიძე 1972: 63-64)

გადატანის იმ სახეობამ, რომელსაც “reget”-ს უწოდებენ, ინტონაციურად ისეთნაირად გამოყო სიტყვა „წეპლით“, რომ ამ წეპლს დარტყმის ხმაც გვესმის და თითქოს მოქნეული წეპლის მოძრაობასაც ვხედავთ.

მომდევნო სტროფში კი აკაკი წერეთლის ლექსის ერთ უმთავრეს თავისებურებაზე ამახვილებს გალაკტიონი ყურადღებას და აღნიშნავს, რომ „სულიკოს“ ავტორმა იმ ხანად რამდენადმე „დამძიმებულ“ ქართულ ლექსს სიმსუბუქე, სილალე დაუბრუნა:

ახალი დრო აგუგუნდა,  
ლექსი სიმძიმისგან უნდა  
**გამოხსნას,** რაც არ ვარგა,  
მიეყაროს ქვა და გუნდა.  
(ტაბიძე 1972: 82)

აქ სიტყვა „გამოხსნას“ ინტონაციურად თვითონაც **გამოხსნილია** სტროფიდან, ანუ ანუანბემანი შინაარსობრივად მოტივირებულია, რითაც მეტი გამომსახველობაა მიღწეული.

აგერ, გადის ასი წელი,  
რაც აკაკი წერეთელი  
**დაიბადა,** ჩვენთვის ეს დღე  
ძვირფასია, საყვარელი.  
(ტაბიძე 1972: 128)

სიტყვა „დაიბადა“ ინტონაციურად ისეა გამოყოფილი სტროფი-დან, თითქოს ახალშობილი გამოეყოო დედის სხეულს.

ამ პოემაში სტროფული ანუანბემანიც მრავლად გვხვდება, რო-მელთაგან ორიოდე მაგალითს მოვიყვათ სანიმუშოდ.

მუზების არ-მადლიერი,  
უბინაო და მშიერი,  
დადიოდა, და არ იყო  
ქვეყნად კაცი ღვთისნიერი –

მისი ტანჯვა დაენახა,  
შველა მიზნად დაესახა –  
წყარო არსებობისათვის  
რამე მისთვის მოენახა.

(ტაბიძე 1972: 90)

აქ სტროფული გადატანის მეოხებით აქცენტი კეთდება ახალგაზ-რდა აკაკი წერეთლის ტანჯვაზე, რაც პოეტის შეჭირვებული მატერი-ალური მდგომარეობით იყო გამოწვეული.

ცოტა ქვემოთ კი ანუანბემანი უკვე სამ სტროფს აერთიანებს. ეს ის ეპიზოდია, სადაც იმაზეა ლაპარაკი, რომ ნიჭიერ ყმანვილს, თანამე-დროვე ტერმინი რომ ვიხმაროთ, სპონსორი გამოუჩნდა, რომელიც მოიხიბლა ახალგაზრდა კაცის გამძლეობით, პირდაპირობით, მიზნი-სკენ დაუოკებელი სწრაფვით, ირწმუნა მისი დიდი მომავალი („შორს წავაო წერეთელი“. – ტაბიძე 1972: 91) და

შეამჩნია, დააფასა,  
მგოსნის ახალგაზრდობასაც  
თითქო აპატია რამე  
და უფასო შესთავაზა

ბინა, ღვინო და სადილი.  
აუსრულეს რა წადილი,  
რაკი გაუმართეს სელი,  
მგოსანმა ეს მცირე წვლილი

თვით სამოთხის ძლვნად ჩასთვალა,  
მოიკრიბა მთელი ძალა,  
დღით და ღამით თავისუფალ  
მუშაობას დაეძალა.

(ტაბიძე 1972: 92)

ანუანბემანის ერთი ფუნქცია რიტმის მონოტონურობის დარღვევაც არის, რაც ციტირებულ ფრაგმენტში იმით ხორციელდება, რომ კატრენულ სტროფში მეოთხე ტაქტის ბოლოს მოსალოდნელი ხანგრძლივი, სულის მოსათქმელი, პაუზა მომდევნო სტროფის პირველი ტაქტის ბოლოს არის გადატანილი ორგზის. ინტონაციურად ისე გამოდის, თითქოს ხუთტაეპიანი, ოთხტაეპიანი და სამტაეპიანი სტროფები წაგვეკითხოს და არა სამი ოთხტაეპიანი. ეს კი ამ მონაკვეთს, მინიმუმ, ყურით ერთობ საინტერესო აღსაქმელს ხდის.

ზემოთ აკაკი წერეთლის „სალამურიდან“ დავიმოწმეთ ფრაგმენტი, რომელიც ორ სტროფულ ანუანბემანს შეიცავდა, რთული ქვეწყობილი წინადადება იყო სტროფიდან სტროფში გადატანილი – დამოკიდებული წინადადება მე-4 სტრიქონის ბოლოს მთავრდებოდა, სადაც მძიმე იყო დასტული, ხოლო მთავარი წინადადება მომდევნო სტროფში გადადიოდა. კიდევ უფრო ეფექტურია გალაკტიონის ახლახან ციტირებული სტროფული ანუანბემანის ნიმუშები, სადაც უკვე სინტაგმებია სალექსო საზომის რიტმის მიერ გათიშული, რასაც კლასიკურ ქართული პოეზიაში ვერ ვხვდებით.

პირველი წაკითხვისას ყოველთვის ერთპაშად ვერ მივხვდებით, ანუანბემანის მიღლოდინი რომ უნდა გვქონდეს, მაგრამ თუ სტრიქონი ისეთი მარგინალური მეტყველების ნაწილით ბოლოვდება, როგორიც არის მაპირისპირებელი კავშირი ან ნაწილაკი, ვთქვათ, **ხოლო, მაგრამ, კი**, მაშინ სრულიად აშკარაა, რომ ანუანბემანთან გვექნება საქმე, და მკითხველიც მომზადებულია საამისოდ, ანუ მომზადებულია იმისთვის, რომ, რაც ამ უდეტრებს მოჰყვება, იმას განსაკუთრებული, საგანგებო ყურადღება მიაქციოს.

ვნახოთ, რა ეფექტურად იყენებს გალაკტიონი ამ დანიშნულებით მაპირისპირებელი კავშირის ფუნქციის შემსრულებელ „კი“ ნაწილაკს:

ხალხის რჩეულის ხმა, პოეზია!  
დასაბამიდან მკვიდრი ფესვია –  
ის უყვართ, ხალხის სიყვარული კი\*  
ყოველ ჯილდოზე უმაღლესია!  
(ტაბიძე 1972: 8)

გაიღვიძოს ყველა ერმა,  
სკოლას მოჰყვეს გზა და ფერმა,

\* აქ თორმეტტმეულშიც და ამ პოემის 1940 წლის გამოცემაშიც (ტაბიძე 1940: 114) მძიმეა დასტული, რაც სწორი არ არის.

მდიდრებს დავცემთ და მერე **კი**  
ვერ დაგვძლიოს ვერაფერმა.  
(ტაბიძე 1972: 32)

ახლა ისეთი შემთხვევები ვნახოთ, როდესაც „კი“ ნაწილაკი რითმად არის გატანილი ტაეპის ბოლოს, რაც კიდევ უფრო შთამბეჭდავს ხდის ანუანბემანს („გადატანის ზემოქმედება გაცილებით უფრო ძლიერია, თუ ტაეპი, საიდანაც გადატანა ხორციელდება, გარითმულია“. – ხინ-თიბიძე 1972: 80). საზოგადოდ, მარგინალურ მეტყველების ნაწილთა ანუ უდეტრების (მორისდებულების, ნაწილაკების, მაკავშირებელი და ხმაბაძიეთი სიტყვების...) გარითმვა (რაც კლასიკურ პოეზიაში მეტად იშვიათია) და ამ გზით მათი აქცენტირება, ერთი მხრივ, უთუოდ რითმის განახლებისაკენ სწრაფვის შედეგია, მაგრამ, მეორე მხრივ, ეს ახალი დროისთვის დამახასიათებელი დემოკრატიზაციის, სოციალური და სხვა სახის იერარქიების მოშლის პროცესსაც შეიძლება ეხმიანებოდეს. აკაკი უდეტრებს იშვიათად რითმავს, უფრო – სატირულ-იუმორისტულ ლექსებში. გალაკტიონთან კი ასეთი რამ უკვე ხშირია.\*

პოემა „აკაკი ნერეთელში“ „კი“ ნაწილაკის გარითმვის ექვსი შემთხვევა შევნიშნეთ:

მაგრამ ჩვენი ბავშვები **კი**,  
ვით ახალი სჯობს ნეს-რიგი,  
სწავლას მიესწრაფებიან,  
სწავლისკენ აქვთ თადარიგი.  
(ტაბიძე 1972: 30)

ყველაფერში გაჩნდა ნასკვი[.]  
თვითონ ქართულ ღმერთშიაც-კი  
ეროვნული სულის სახეს  
ნახულობდა მრავალს, **ასკეცს.**  
(ტაბიძე 1972: 51-52)

შორი დასავლეთიდან **კი**  
საამური უღერდა ჩანგი,  
ჰქუბდა ახალ ამბავებად  
როგორც ჰიმალაით განგი.  
(ტაბიძე 1972: 76)

\* ამის თაობაზე იხ. ჩვენი სტატია „უდეტრები რითმად“ (ბრეგაძე 2011: 42-50).

რიგი მტრობდა, მაგრამ რიგი  
გულგრილობდა, მრავალი კი  
კელავ ღელავდა. მაშ ვის უნდა  
აღეარებია იგი?  
(ტაბიძე 1972: 87)

-კი-ზე დამთავრებული ორი საკუთარი სახელი გაერითმა „კი“  
ნაწილაკს. ერთი თვით ამ პოემის პროტაგონისტისა გახლავთ:

მოხუცები დრტვინვენ: „**რა კი**  
**ეს აკაეთ თუ ბაკაკი**  
არ ისვენებს, ნურც იქნება  
მასზე ბევრი ლაპარაკი“.  
(ტაბიძე 1972: 88)

მეორე კი ცნობილი რუსი რევოლუციონერი დემოკრატის გვარია –  
ჩერნიშევსკი:

მძლავრი ფანტასტიურ მდევზე  
იდეა... იდეებს-კი  
ჯერ არ ნახულ ენერგიით  
აღრმავებდა ჩერნიშევსკი.  
(ტაბიძე 1972: 73)

დავაკვირდეთ კონტრასტს: ერთი მხრივ, „უაღრესად სერიოზული,  
„ლონიერი“ ლექსიკა („მძლავრი“, „ფანტასტიკური დევი“, „იდეები“,  
„ენერგია“, „აღრმავებდა“), ხოლო, მეორე მხრივ, კალამბურული ხასია-  
თის რითმა, რაც კომიკურ ელფერს ანიჭებს მთელ სტროფს იმის მიუხე-  
დავად, ჰქონდა თუ არა ამგვარი ჩანაფიქრი ავტორს. ამასვე ვერ ვიტყ-  
ვით წინა სტროფზე, სადაც პოემის პროტაგონისტის სახელია რითმაში  
გათამაშებული, ვინაიდან აქ ესოდენ სახალისო რითმა არ გვაქვს, და  
რომც გვქონდეს, რაკი ახალგაზრდა აკაკისადმი „მოხუცების“ უპა-  
ტივცემლო დამოკიდებულებაა ამ სტროფში გადმოცემული, ფორმა და  
შინაარს ერთმანეთთან კონფლიქტში ვერ მოვიდოდნენ.

\* \* \*

აკაკი წერეთლის პოეტური ხელწერისთვის დამახასიათებელია  
მრავალმარცვლიანი სიტყვების გამოყენება. ამის თაობაზე აკაკი  
ხინთიბიძე წერს:

„ხალხური ლექსის ანალოგით, აკაკის უყვარს მრავალმარცვლი-ანი სიტყვები, როთაც ზოგჯერ თითქმის მთელ ტაეპს ავსებს: „და გამო-სახმარისებლად /შიგ ეყენა მხოლოდ წყალი“, ანდა: „ვნახავ ყოველგვარ სანახავს, / რაც გასაკვირველიაო“, ან კიდევ: „ერთ ბომონში კერპი იდგა / გამოქადაკებული“. [...] ეს გრძელი სიტყვები თითქმის შეუფერხე-ბლად, ერთი ამოსუნთქვით იყითხება და ტაეპს სილალეს აძლევს. რამ-დენადაც ერთმარცვლიანი სიტყვები ხშირი პაუზებით ამუხრუჭებენ ტაეპის რიტმს, იმდენად მრავალმარცვლიანი სიტყვები ხელს უწყობენ რიტმის ბუნებრივ მდინარებას, თითქოსდა, აფართოებენ ტაეპის საზღ-ვრებს“ (ხენთიბიძე 1972: 44-45).

თუ აკაკი წერეთელი მრავალმარცვლიანი (შვიდმარცვლიანი) სი-ტყვებით „ზოგჯერ თითქმის მთელ ტაეპს ავსებს“, გალაკტიონის პო-ემა „აკაკი წერეთელში“ ზოგჯერ მთელი რვამარცვლიანი ტაეპი ერთი სიტყვაა:

ხან გზა ვარდით უნდა ჰფაროს;  
თავისი გზა გაიაროს,  
**თანამემამულეები**  
დაანაფოს უკვდავ წყაროს.  
(ტაბიძე 1972: 110)

ასეთი სიტყვები მეტ გამომსახველობას იძენენ, როცა ისინი რაღაცნაირად შინაარსის, სათქმელის რომელიმე ნიუანსსაც აძლიერე-ბენ სწორედ ამ თავიანთი მრავალმარცვლიანობით:

მისი ლექსის მკვეთრი სხივი,  
იყო მჩატე, მაგრამ მკვრივი,  
მისით ფორმა იქმნებოდა  
**ძალადაუტანებლივი.**  
(ტაბიძე 1972: 83)

ამ სტროფში რვამარცვლიანი სიტყვა „ძალადაუტანებლივი“, რო-მელიც მთელ სტრიქონს ავსებს, თითქოს იმის ილუსტრაციაც არის როგორი მჩატე/მსუბუქი და ამავდროულად მკვრივიცაა აკაკის ლექსი. შემდეგ:

და პოემა თორნიკესი  
მომავალის არის გეზი,  
იგი არის მოწოდება,  
ქადაგება უმძაფრესი.

ძახილია პოეტისა,  
ძმებისათვის, სხვებისათვის,  
მთელი საქართველოს მკვიდრთა  
**გაერთიანებისათვის.**  
(ტაბიძე 1972: 111)

აქაც ეს, ჩვენ მიერ ხაზგასმული, სიტყვა-სტრიქონი თითქოს იმ გაერთიანების / ერთიანობის ილუსტრაცია თუ სიმბოლოა, რომელზეც ამავე სტროფშია საუბარი.

გრძელი სიტყვებით ზოგჯერ ირონიული დამოკიდებულების გამოხატვაც ან გაძლიერებაც ხერხდება:

და მეფე კი თვითმშეყრობელი,  
მრისხანე და ულმობელი,  
ღვთისგან მირონცხებული და  
**„განმათავისუფლებელი“.**

(ტაბიძე 1972: 101)

რვამარცვლიანი სიტყვა-სტრიქონის („განმათავისუფლებელი“) – ირონიული ინტონაციით წაკითხვა ბევრად უფრო მოსახერხებელია, ვიდრე ორ- ან მეტსიტყვიანი ტაეპისა.

იმპერატორ ალექსანდრე მეორის მკვლელობის ამბავი (როგორც ცნობილია, ამ მოვლენას მიეძღვნა აკაკი წერეთლის ლექსი „გაზაფ-ხული“ [„დღეს მერცხალი შემოფრინდა“]. ამის შესახებ იხ. წერეთელი 1950ა: 452-453) პოემაში ასეა მოთხოვილი:

ბოლოს გზა აქვს – ცეცხლის გიზგიზს[,]  
მეფე მსხვერპლი ხდება ბიძგის,  
იფეთქებს და ყოველივეს  
სწყვეტს ყუმბარა გრინევიცკის:

და თუნდ წამით გაანათა  
უეცარი შუქით – მათი  
**უდიდებულესობისა\***  
მოკვლით ნისლი და წყვდიადი.  
(ტაბიძე 1972: 104)

\* აქ თორმეტტმეულშიც და ამ პოემის 1940 წლის გამოცემაშიც (ტაბიძე 1940: 114) მძიმეა დასმული, რაც სწორი არ არის.

ირონიას აქ, რვამარცვლოვანი სიტყვა-სტრიქონის გარდა („უდიდებულესობისა“), მაღალფარდოვანი მყარი გამოთქმის („მათი უდიდებულესობა“) შემადგენელი სიტყვების ანუანბემანით გათიშვაც აძლიერებს.

\* \* \*

წინამდებარე ნაშრომი წინასწარი, დაზვერვითი, სამუშაოა პოემა „აკაკი წერეთლის“ შესწავლის გზაზე, – პოემისა, რომელიც როგორც შინაარსის, ასევე სალექსო ფორმის თვალსაზრისით მრავალ სიურ-პრიზს გვპირდება.

### დამოცვებანი:

**ბრეგაძე 2011:** ბრეგაძე ლ. ლიტერატურული (გამო)ძიებანი. თბილისი: „არტანუჯი“, 2011.

**დოიაშვილი 2000:** დოიაშვილი თ. *Enjambement*. თბილისი: საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, 2000.

**ტაბიძე 1940:** ტაბიძე გ. აკაკი წერეთელი. თბილისი: „ფედერაცია“, 1940.

**ტაბიძე 1972:** ტაბიძე გ. თხზულებანი თორმეტ ტომად. ტ. 9. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“, 1972.

**წერეთელი 1950ა:** წერეთელი ა. თხზულებათა სრული კრებული თხუთმეტ ტომად. ტ. 1. თბილისი: საქართველოს ს.ს.რ. სახელმწიფო გამომცემლობა, 1950.

**წერეთელი 1950ბ:** წერეთელი ა. თხზულებათა სრული კრებული თხუთმეტ ტომად. ტ. 2. თბილისი: საქართველოს ს.ს.რ. სახელმწიფო გამომცემლობა, 1950.

**წერეთელი 1955:** წერეთელი ა. თხზულებათა სრული კრებული თხუთმეტ ტომად. ტ. 4. თბილისი: საქართველოს ს.ს.რ. სახელმწიფო გამომცემლობა, 1955.

**წერეთელი 1956:** წერეთელი ა. თხზულებათა სრული კრებული თხუთმეტ ტომად. ტ. 5. თბილისი: საქართველოს ს.ს.რ. სახელმწიფო გამომცემლობა, 1956.

**ხინთიბიძე 1972:** ხინთიბიძე ა. აკაკის ლექსი. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“, 1972.

**ხინთიბიძე 1987:** ხინთიბიძე ა. გალაკტიონის პოეტიკა. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1987.

**NANA GONJILASHVILI**

*Georgia, Tbilisi*

*Shota Rustaveli Institute of Georgian Literature*

## **“The Knight in the Panther’s Skin” – Interpretations and Tests in Galaktion Tabidze’s Poetry**

Uniqueness of Rustaveli and his „The Knight in Panther’s Skin“ as something giving feeling with love, wisdom and heroism is characteristic for lyrics of Galaktion. Rustaveli – „meskhi“, singer tiger, poem of tiger, in Galaktion’s poetry refers to new images. It doesn’t deal with „The Knight in Panther’s Skin“ only, but is expressed in other thematic verses. For Galaktion „being in panther’s skin means eternity of love. Real poet is a tiger wounded with love, enchainment Amiran looking through the eyes of a tiger; bravery of people impregnated with „strife of ideas“ facing future faith.

**Key words:** Rustaveli Galaktion Images-symbols Panther’s Skin

### **ნანა გონჯილაშვილი**

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

### **„ვეფხისტყაოსანი“ – ინტერპრეტაციები და ცდანი გალაკტიონ ტაბიძის პოეზიაში**

შოთა რუსთაველის სწორუპოვრობისა და „ვეფხისტყაოსანის“ შთა გონებით ახალ სახეექმნადობათა ამეტყველება და ინტერპრეტაცია, თუ შეიძლება ითქვას, ყველაზე მეტად გალაკტიონის ლირიკაში იხილვება. პოეტი სისხლხორცეულად გრძნობს და განიცდის „ვეფხისტყაოსანს“, ვითარდა „მზიური გრძნობის“, სიყვარულის, სიბრძნისა და გმირობის სადიდებელ პოემას. შოთა რუსთაველი – „მესხი“, „მომღერალი ვეფხვის“, „ვეფხისტყაოსანი“ – „ვეფხის პოემა“ – გალაკტიონის პოეტურ სიტყვაში ახალ განსახოვნებათა დასაბამია. „ეაშლი ვეფხისტყაოსანს და ვეფხად გადაიქცევი“ (...ნაძვის ხეების ელვარება...) – ამბობს პოეტი და ეს გარდასახვა პოემის სისხლხორცეულ, სულით ხორცამდე განცდას, გათავისებასა და აღქმა-გააზრებას გულისხმობს. „ვეფხის პოემა – აი, მართლა აკადემია“ („შოთას უკვდავის სახელდება“ – ტაბიძე 1973: 139), – როგორც გალაკტიონი „ვეფხისტყაოსანს“ უწოდებს, მის ლირი-

კაში ვეფხის განსახოვნებათა ერთგვარი განმსაზღვრელია. ეს ეხება არა მხოლოდ „ვეფხისტყაოსანთან“ დაკავშირებულ პოეტურ სიტყვაქმნადობებს, არამედ სხვა თემატიკის ლექსებსაც. მიჯაჭვული ამირნის „ვეფხვის თვალით“ გამოხედვა (პოემა „ამირანი“), „იდეების უინით“ გაჯერებული მომავლის რწმენასთან პირისპირ მდგომი ადამიანივეფხვის გულუშიშრობა – „როს ვეფხვი ხარ და მომავლის, გჯერა, არ გეშინია“ („ათას ცხრაას ორმოცი წელი“ – ტაბიძე 1970: 215), გმირული შემართების წარმომაჩენელი „ფხიანი ვეფხვის ნახტომი“ („აფხიარცა“ – ტაბიძე 1967: 284) და მრავალი სხვა სტრიქონი მითოსურ სახეებთან ერთად „ვეფხისტყაოსნის“ სიმბოლიკითაა ნასაზრდოები. გალაკტიონს მრავალი ლექსი აქვს მიძღვნილი რუსთაველისა და მისი პოემისადმი. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ მათგანში ლირიკული სუბიექტის ჩანაცვლება ხდება და რუსთაველის სიტყვას გალაკტიონის ხმა უერთდება. ლექსში „შოთა რუსთაველი შავი ზღვის პირად“ პოეტის წარმოსახვით შავი ზღვის სანაპიროდან მშობლიურ მინას მიადგა გადახვეწილი მოყმე – რუსთაველი, რომელიც ქებას ასხამს დანაზრებულ მხარეს და ემადლიერება ყველაფრისათვის. იგი მზადაა სამშობლოს შესწიროს თავი.

სამშობლოს მიმართ რუსთაველის ერთგვარ მონოლოგ-აღსარებას გალაკტიონი საკუთარ სათქმელად იხდის და, შესაბამისად, მშობლიური მინის სიყვარულის სადიდებელში მისი დამოკიდებულება მჟღავნდება, „უთვალავი ფერით“ შემცული ქვეყნის ედემად აღქმა მისი სუბიექტური განცდაა. გალაკტიონი საქართველოს პირობულობით აღბეჭდავს და მისი შინაგანი ბუნების, მახასათებლად ახალ ოდენობას იშველიებს – „ვეფხვობას“. „ვეფხვობა“ აქ პირდაპირ რუსთაველის სახისმეტყველებას მიემართება და ქვეყნის შეუპოვარ ბუნებასთან ერთად, მისი მშვინიერების განცდასაც ითავსებს. გალაკტიონისათვის „ვეფხვობა“, როგორც ჩანს, საუკეთესოდ წარმოაჩენს ქართველი ადამიანის ხასიათის თვისებებს. ამდენად, „ვეფხისტყაოსნის“ კონკრეტული სახე-სიმბოლოს შინა-არსი გალაკტიონის ლექსის მიხედვით, ზოგადქართული ბუნების თავისებურებად წარმოდგება.

ლექსი „მესხის გამოხედვა“ კვლავაც ქართველის საამაყო „ერთვინმე მესხს“ – რუსთაველს – ეძღვნება. გალაკტიონი ვეფხვის სიმბოლიკას აქაც იმავე შინაარსით მოიხმობს:

ვეფხვების შემოგარეებს  
სხვა ვერვინ იტყვის მესხურად.  
(ტაბიძე 1966: 198)

ვეფხვის სახე-სიმბოლო გალაკტიონის სხვა ლექსშიც – „მესხეთ-ჯავახეთი“ – წარმოჩნდება. პოეტი რუსთველური სიტყვით სახელდებს ამ კუთხეს და მას საქართველოს „სახეს“, მის „ფერს“ უწოდებს. აქვე ხმიანდება პოეტის ნატვრა-ოცნება:

ამოძრავდეს მთა და ქედი, გამოპრწყინდეს ქართლის ბედი,  
ახმაურდეს ვეფხი მეტი, მეტის ძალით და იმედით —  
დღეგრძელობდეს მესხი, თან ის მესხი უახლოეს ხანის,  
მესხი „ვეფხისტყაოსანის“, მესხი – მესხეთ-ჯავახეთის!  
(ტაბიძე 1966: 232)

აქ „ვეფხვი“ და მისი „ხმაური“ ქართველ კაცს მიემართება და ვეფხებრი სიძლიერის, შემართების და იმედით აღვსების ნატვრას უკავშირდება. ვეფხვი, ერთგვარად, წარსულისა და ანტყოს გამაერთიანებელი ადამიანის სახეა, რომელიც „ვეფხისტყაოსანის“ მესხს, რუსთაველსა და გალაკტიონის თანადროული მესხეთ-ჯავახეთის მკვიდრთ, ქვეყნის შემოქმედთა სისხლხორცეულ კავშირს გულისხმობს.

ვეფხვის ქვეყნის სახე-სიმბოლოდ აღქმა, ჩვენი აზრით, ვიზუალურ მხარესთან (კონტრასტულ და ფერადოვან გარემოსთან) ერთად, ქვეყნის რაობას, ერის მსოფლმხედველობას (ევროპული და აზიური ბუნებისა და ცნობიერების სინთეზს, სიკეთე-სიყვარულისთვის და ბოროტებასთან მებრძოლ ბუნებას, თავდაჭერილობასა და სიციცხეს, მიმტევებლობასა და შეურიგებლობას, სტუმართმოყვარეობასა და მტრის მტრულად დახვედრას და ა.შ.) მიემართება. ამავდროულად, რუსთაველის მიერ ნესტანის (და ზოგადად – ქალის) ვეფხვის სახებად აღქმა დედა-ვეფხვის დედა-სამშობლოს ცნებასთან მიმართებასაც გამოკვეთს, რაც, ვთიქრობთ, სამშობლოსა და ქალის ერთი და იმავე სახისმეტყველებით, ვეფხვის სიმბოლოთი გააზრებას „უცხო და საკვირველ“ პოეტურ ხილვად აღარ აქცევს.

„ვეფხისტყაოსანის“ ნესტანის ვეფხვის სახებად წარმოსახვა საფუძველი და შთამაგონებელია გალაკტიონის ლექსში „ჩვენი საზღვრები გადმოლახა“ ომში მიმავალი მეომარი ქალის სახისა. მჭედელი მამა ქალიშვილს გულის გასართველად ომში „ვეფხისტყაოსანს“ ატანს და ეუბნება:

როდესაც გნახო, ვეფხვო, მოსული  
გზებით მარჯვენით... (ტაბიძე 1967: 35).

ომში მიმავალი ქალი გალაკტიონის წარმოსახვაში სწორედ ნესტანის სახე-სიმბოლოს განასახიერებს, მასავით შეუპოვარს, მრისხანეს,

ბობოქარს, დაუდგრომელს და იმავდროულად მშვენიერს, ნაზს და მომხიბგლელ არსებას.

„ვეფხისტყაოსნი“ ავთანდილის ვეფხისტყაოსნობას და ვეფხვის ნატებს უკავშირდება გალაკტიონის ლექსი „ჩვენი დრო ისევ რუსთა-ველს ელის“:

ქველ სასახლეში ვეფხვის ტყავებით  
ფარავდა ვინმე გობელენს, მანდილს,  
შვენოდა იგი ფერ აყვავებით  
აქ სადარბაზოდ მოსულ ავთანდილს.  
(ტაბიძე 1966: 199)

გალაკტიონის წარმოსახვაში ვეფხვის ტყავის ფერებით „დამშვენებული“ ავთანდილი, „არაპეთიდან მოსული მონა“, „მცოდნე ჰაფიზის, მცოდნე გაზელის“, რუსთაველის სახედ აღიქმება, რომელსაც თამართან „ლექსების კონა“ მიაქვს. გალაკტიონის მიერ ავთანდილის სახეში რუსთაველის წარმოდგენა მიჰყვება სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებებს, რომელთა მიხედვით, რუსთაველი თავის სახე-ფერად ტარიელს ან ავთანდილს სახავს.

პოემა „სინათლის ყვავილი“ კიდევ ერთხელ გააცოცხლებს ვეფხის ტყავით მოსილ ველად გაჭრილ მიჯნურს – თამსირს:

უეცრად მივიდა  
კაცი ხანდაზმული,  
მხარზე ვეფხვის ტყავი  
ჰქონდა გადაცმული (ტაბიძე 1973: 22).

ვეფხისტყაოსანი კაცი წვეულებაზე ერთ ქალს, მეგის, „სინათლის ყვავილს“ მიართმევს, წინა დღით რომ შეპპირდა. საბოლოოდ ირკვევა, რომ მისი შეხვედრა სხვა მეგისთან ასი წლის წინ იყო.

აღნიშნულ ლექსთან დაკავშირებით მ. გუგუშვილი ნაშრომში – „რუსთაველი გალაკტიონის პოზიაში“ – აღნიშნავს: „პოემის დრა-მატულ ვარიანტში, რომელიც რამდენიმე ხელნაწერითაა შემონახული, მასპინძელი მიმართავს თამსირს:

თამსირ! ვით ატარე  
შენ ეს ასი წლი?  
რისთვის რუსთაველის  
გახდი ტარიელი? (იქვე)

ამრიგად, ტარიელის პროტოტიპია სატრფოს დავალებით ველად გაჭრილი მიჯნური, რომელიც ას წელს ეძებდა სინათლის ყვავილს და გვინ, მაგრამ პირნათლად ბრუნდება სატრფოსთან, ვეფხის ტყავით შემოსილი“ (გუგუშვილი 1975: 43).

ჩვენი აზრით, „სინათლის ყვავილი“ პოეტურ შემოქმედებას გულისხმობს (რუსთაველი, თამარი, „ვეფხისტყაოსანი“ – თამსირი, მეგი, „სინათლის ყვავილი“. ზოგადად, გალაკტიონი ამ განსახოვნებით წარმოაჩენს რუსთაველური ჭეშმარიტი სიყვარულის მარადიულობას, რომელიც ყველა ეპოქის კუთვნილებაა და რომელსაც ყველა დროში ჰყავს თავისი ვეფხისტყაოსანი, სატრფოსათვის ველად გაჭრილი რაინდები, „ვეფხისტყაოსნითა“ და „სინათლის სხივით“ დამშვენებული.

გალაკტიონი ლექსში „ვწერ ვინმე მესხი მელექს“ საკუთარ თავს წარმოსახავს მესხს მელექსედ, რომელიც მის შემოქმედებაში რუსთაველს განასახოვნებს. ეს ლექსი ერთგვარად წარმოაჩენს გალაკტიონის მეორე პოეტურ „მეს“, აქაც ხდება ლირიკული სუბიექტის ჩანაცვლება და ლექსის სტრიქონებში შესაძლოა რუსთაველის და იმავდროულად, გალაკტიონის სიტყვის ამოკითხვა:

შმაგი, ვით ვეფხვი დაჭრილი,  
მშობლიურ მთა და ველებზე,  
ვარ ოცნებისთვის გაჭრილი  
მე, ვინმე მესხი მელექს (ტაბიძე 1966: 128).

„ვეფხისტყაოსნის“ ეპილოგისეული „ვინმე მესხი მელექს“, რომელიც გალაკტიონის შემოქმედებაში თამარზე გამიჯნურებული „დიდებული“, „ლუთაებრივი“, „მზეთა მზე“ რუსთაველის პიროვნებადაა მიჩნეული, პოეტისათვის იმავდროულად საკუთარი პოეტური „მე“-ს იდენტობად მოიაზრება, სიყვარულითა და პოეზიით „დაჭრილი ვეფხის“ სახებად:

ჯერ ლექსი მწვავდა, მერე მზე,  
ჯერ მზე და მერე ლექსები (იქვე, 127).

ზემოგანხილული ლექსების საფუძველზე შესაძლებელია თქმა იმისა, რომ გალაკტიონის შემოქმედებაში არაერთგზის ვლინდება შო-თა რუსთაველის პოემის სათაურის და მისი მთავარი სიმბოლოს – ვეფხვის – პარადიგმული სახისმეტყველება, რომელიც ამასთანავე ახლებურ დატვირთვას იძენს და მრავალმხრივი შინაარსით წარმოჩნდება. გალაკტიონისთვის „ვეფხისტყაოსანი“ სრულიად საქართველოა, ამიტომაც

იხილვება მის პოეზიაში „ვეფხვობა“, „ვეფხვების შემოგარენი“, ვეფხვის ტყავის საღებავებით გაჯერებული სივრცე, ვეფხვისდარი ქართველი, „ვეფხვის თვალით“ გამოხედვა, „ფხიანი ვეფხვის ნახტომი“ და თავად „ოცნებით გაჭრილი“ პოეტი, სიყვარულით „დაჭრილი ვეფხვი“.

„პოემა ვეფხვისა“ სრულიად განსხვავდება გალაკტიონის მიერ „ვეფხისტყაოსნის“ თემატიკაზე შეთხზული ლექსების ციკლისაგან. იგი ცალსახად მოდერნისტულია; ერთდროულად ექსპრესიონიზმისა და იმპრესიონიზმის, ნაწილობრივ ეგზისტენციალიზმის, უმეტესწილად კი სიმბოლიზმის ნიშნებს ითავსებს. შესაბამისად, „პოემა ვეფხვისა“ მრავალპლანიანი აზრობრივი შრეების წვდომისაკენ მიმართავს მკითხველის ფიქრსა და წარმოსახვას, განსჯასა და ხედვას, რაც აზრის პლურალიზმის განმაპირობებელი და განმსაზღვრელია. ლექსში კონკრეტულთან და ამ კონკრეტულის მიმანიშნებლებთან ერთად, რომლებიც „ვეფხისტყაოსანს“ უკავშირდება, პოეტი ვიზიონერული მხატვრული სამყაროსა და აპსტრაქციის გზით, მკითხველის გულიყურს მასშტაბური ხედვა-ჭვრეტისაკენ წარმართავს. ეს იმგვარი, რაღაც არაცნობიერი და ღრმა იდუმალებით გამსჭვალული ფიქრი-წარმოსახვაა, რომელიც დრო-სივრცის საზღვრებს ერთგვარად მოხაზავს და იმავდროულად კიდევ შლის და არღვევს, სიახლოვე-სიშორის და უდროო-დროის განზომილებით წარმოდგება. „პოემა ვეფხვისა“ მოდერნიზმისათვის დამახასიათებელ თავისებურებებს ამჟღავნებს; მასში მოდერნიზმის ესთეტიკა და პოეტიკა ვლინდება.

ლექსის სათაური „პოემა ვეფხვისა“ იმთავითვე „ვეფხისტყაოსნისკენ“ მიმართავს ფიქრს და მკითხველიც ამგვარი მზაობით აღჭურვილი მიჰყვება სტრიქონებს, თუმც კი გალაკტიონი, რუსთველისეული მეტაფორული აზროვნებისდა კვალობაზე, ახალ, პირად-ინდივიდუალური გრძნობად-განცდებით გამსჭვალულ სივრცეებს მიგვაახლებს. ეს გალაკტიონის შეგრძნებათა, განწყობათა, ხედვათა წყებებია და, შესაბამისად, მკითხველი რუსთაველის ფიქრზე ნაფიქრს საფიქრალად იხდის და თავადაც (ცნობიერებდ თუ უცნობლობით) ახალ ფიქრთა, მსჯელობათა და ხედვათა „დამბადი“ ხდება. ამდენად, გალაკტიონი ერთგვარი მედიუმია რუსთაველსა და მკითხველს, შესაძლებელსა და შეუძლებელს, რეალურსა და მიღმურს, არსებულსა და სასურველს შორის. მკითხველი „ორგემაგე“ მეტაფორა-სიმბოლოების ამომცნობ-ამომხსნელის ურთულეს როლში აღმოჩნდება და ეპოქათა დრო-სივრცით დახაზულ ლაპირინთში ვარაუდებითა და ალბათობებით გზის გამკვალავის ფუნქცია ენიჭება. გალაკტიონის ზმანებადქცეულ ფიქრთა ხევულებში „ვეფხისტყაოსნისეული“ პასაჟების გარდათქმათა ჩართვა მკითხველს

რუსთველის ნათქვამისაგან მოწყვეტის საშუალებას არ აძლევს, თუმც კი დრო-სივრცული განზომილების მასშტაბურობა ამისკენ უბიძგებს.

ლექსის სათაური – „პოემა ვეფხვისა“, რუსთაველის პოემის გალ-აკტიონისეულ ხედვასა და აღქმას ითავსებს, კერძოდ, ლექსის სახ-ელდებაში არ ჩანს ვეფხვის ტყავის მატარებელი გმირი და მხოლოდ ნესტანის სახე-სიმბოლო, ვეფხვი, წარმოჩნდება. ვფიქრობთ, გალაკ-ტიონის ლექსის სათაური, უფრო მეტად, მყითხველზეა ორიენტირებუ-ლი, რათა იმთავითვე გაცხადდეს ლექსის თემატიკა, უანრის მითითება კი თვალნათლივ გამოკვეთს „ვეფხისტყაოსანთან“ მიმართებას (და, ალბათ, განასხვავებს მას ხალხური „ლექსი ვეფხისა და მოყმისაგან“). და მართლაც, „პოემა ვეფხვისა“ რეციპიენტის წარმოსახვაში მხოლოდ და მხოლოდ „ვეფხისტყაოსანს“ მიემართება, რამეთუ ქართველი მყითხველი ვეფხვთან დაკავშირებულ სხვა პოემას არ იცნობს.

„პოემა ვეფხვისა“ კლასიკური ლექსის კანონის ფარგლებს ნაწილო-ბრივ მისდევს. პოეტის ამგვარი არჩევანი, ალბათ, ლექსის შინა-არსმაც განაპირობა – რუსთაველი გარკვეული პირობითობებისგან თავისუფ-ალი მოაზროვნე და „ვეფხისტყაოსანი“ – ახალი, რენესანსული სულის, პიროვნული თავისულებისკენ მსწრაფი და თავისუფლებას ნაზიარები ადამიანების სამყარო. ამგვარი შინა-არსის ლექსი კლასიკური საზომის ჩარჩოებში ვერ „დაეტევა“. აქ სუბიექტურ სინამდვილეს მხატვრული სინამდვილე უდევს საფუძვლად და ეს მხატვრული სამყარო ახალ მხ-ატვრულ განსახოვნებას ესაძირკვლება. გალაკტიონის პირად-ინდი-ვიდუალურს რუსთველური საყოველთაო განსაზღვრავს და წინამძღვ-რობს, გარკვეულ გზასა და გეზს აძლევს.

ლექსის დასაწყისი სტრიქონები – „აქ დასიცხული თვლემით გრძნობენ ვეფხვთა სიარულს, თითქო ცეცხლში ხარ და განნირულ სიტყვას ჰკიოდე...“ (გვ. 305) – ერთგვარად ასოცირდება ედვარდ მუნ-კის ნახატთან „ყვირილი“, რომელიც, თავის მხრივ, „ყვირილის ხე-ლოვნების“, ექსპრესიონიზმის დასაბამს უკავშირდება. „...ჰერმან ბარი ამ მიმდინარეობის შესახებ წერდა: „არასდროს არ ყოფილა ასეთი დრო; საშინელებით, მომაკვდინებელი შიშით შეპყრობილი დრო. არასდროს არ ყოფილა სამყარო ასეთი მკვდარივით მდუმარე. არასდროს არ ყო-ფილა ადამიანი ასეთი უსუსური. არასდროს არ ყოფილა ის ასეთი დაშინებული. არასდროს არ ყოფილა სიხარული ასეთი მკვდარი. გას-აჭირი ღრიალებს, ადამიანი საკუთარ სულს უხმობს, დრო გასაჭირის გამომხატველ ღრიალად იქცევა. ხელოვნების ღრიალი წყვდიადში უერთდება ამ ყველაფერს. ეს ღრიალი დახმარებისკენ მოწოდებაა, ის სულს უხმობს. ეს არის ექსპრესიონიზმი“ (ბოიდი 1925: 236)“ (ლომიძე 2016: 12).

ეს სიტყვები გალაკტიონის თანადროულ ეპოქას და პოეტის სულიერ მდგომარეობას სავსებით შეესატყვისება, რასაც ლექსის ზემომოხმობილი სიტყვები ცხადყოფს. ამ აზრს ამონშებს სიტყვა „აქ“, რომელშიც, ვფიქრობთ, საქართველო იგულისხმება, სადაც ვეფხვის-დარ გმირთა „სიარულს“ ყოველგვარ ფსიქო-სომატურ მდგომარეობაში მყოფი „გრძნობენ“ და „ხედავენ“ („თვლემაშიც“ კი). „აქ“ ერთგვარად შემოსაზღვრავს და აკონკრეტებს სივრცესა და დროს, რომელიც „ცეცხლში“ ყოფნასთან ასოცირდება. და ამ შეჯირვებასა და გაუსაძლის ტკივილში, სიკედილს რომ აახლოვებს, გალაკტიონისთვის ერთადერთი და მთავარი შევება სიტყვის ამოთქმა, „სიტყვის კივილია“, რომელიც, მისი თქმით, „განწირულია“. ეს მთავარი სიტყვა, როგორც ლექსში იკითხება, „ვეფხისტყაოსანს“ უკავშირდება –

ცას, დედამიწას, ადამიანურს  
„ვეფხისტყაოსნის“ სტრიქონებში ვხედავ არეულს.  
(ტაბიდე 1973:305)

ეს ორი ტაქტი ერთიანად იტევს „ვეფხისტყაოსნის“ შინა-არსა, ამქვეყნიურის იმქვეყნიურთან მიმართებას და უმთავრესს, „ადამიანურს“, რომელიც რუსთაველის ეპოქის მთავარი სიახლეა, რენესანსული სულის გამომხატველი და რომელიც გალაკტიონის ეპოქისათვის ერთობ გაუცხოებული და შორეულია.

ლექსში „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრული სინამდვილის და მისი განმასახოვნებელი შხატვრულ ენის წიაღში პირად-ინდივიდუალური განწყობის, სიზმრისეული ნარმოსახვის და ალუზია-რემინსცენციების გზით, ახალი მხატვრული სინამდვილე და სახეებმადობათა წყება იქმნება, მკითხველი რუსთაველსაც ეზიარება და გალაკტიონისეულ გააზრებასაც საფიქრალად იხდის. გალაკტიონი „ვეფხისტყაოსანსა“ და მკითხველს შორის ერთგვარი მედიუმია, „გზა და ხიდი“.

ზემომოხმობილი ტაქტები, გარკვეულწილად, შესავალია, რომელიც ლექსის შინაარსს განსაზღვრავს და „ვეფხისტყაოსნის“ გალაკტიონისეულ ხედვასა და სისხლხორცეულ გრძნობა-განცდას ათვალსაჩინოებს. ლექსის მომდევნო სტრიქონები, ვფიქრობთ, ჯვარსახოვნებითაა წასაკითხო, რამეთუ მათში „ვეფხისტყაოსნის“ პასაუებთან ერთად, შესაძლებელია, გალაკტიონის თანადროული ყოფის სინამდვილის ამოიკითხვა –

ვით სულდგმულები, ირევიან მცენარეები,  
ვეფხვი მოქმედობს ლმობიერი და თან მრისხანე,  
ხან მნგრეველების არის ყოილობა:

იფეთქა ცეცხლმა, იბუგება მთელი ქვეყანა –  
ზეცით სიცივე და გულგრილობა  
ვის სურდა ქვეყნად ჩამოეყვანა? (იქვე: 305)

მოხმობილი წანების მითავითვე ცხადყოფს „ვეფხისტყაოსნი-სეულ“ მხატვრულ სინამდვილეს, რომელიც „უთვალავი ფერით“ შემკულ ქვეყანას, ადამიანის გარემომცველ სივრცეს ერთიანად ასული-ერებს, თვით უსულო საგნებსაც კი ასულდგმულებს, სიცოცხლით აღავსებს. „ლმონბიერი და თან მრისხანე ვეფხი“ წესტანის პიროვნებას, მის შინა და გარე სახეთ მიემართება – „ვეფხი შევენიერი“ და „ვეფხი პირგამეხებული“, რომელიც „მოქმედობს“, რამეთუ მისი ჩანაფიქრით, სიტყვითა და მოწოდებით პოემაში ახალი, ხიფათითა და ტრაგიზმით აღსავსე გზა იწყება.

გალაკტიონი „მნგრეველების ყრილობაში“, შესაძლოა, გულისხ-მობდეს ნესტანის გათხოვებასთან დაკავშირებით ფარსადანის, მისი მეუღლისა და სამ დიდებულთა თათბირს, რომელსაც ქვეყანაში არეულობა, ტახტის მემკვიდრის გადაკარგვა-გაუჩინარება და დიდი უბედურება მოჰყვა (იგულისხმება შემდგომში ხატაელთა შემოსევაც). გალაკტიონის შეკითხვა, რომელიც ამქვეყნად „ზეცის სიცივისა და გულგრილობის“ დასადგურების მოსურნეთა ვინაობის გაგებას ეხება, შესაძლოა, ფარსადანს და ნესტან-ტარიელსაც მიემართებოდეს, რა-მეთუ აღნიშნული ეპიზოდის მრავალგვარი წაკითხვაა შესაძლებელი. შესაბამისად, პოეტის შეკითხვა არ აზუსტებს ადრესატს და ამდენად, რუსთაველის კვალობაზე, მკითხველს საფიქრალად უტოვებს, ამოიცნოს, ვინ არის ამ „ნგრევა“-არეულობის მომწყობი მთავარი მოქმედი პირი.

ვერტიკალური წაკითხვით, რომელიც ზემოაღნიშნული ტაპების მეორე პლანს გულისხმობს, შესაძლებელია, აქ იგულისხმებოდეს კო-მუნისტური და, ზოგადად, დიქტატორული რეჟიმის სისასტიკე და უმოწყალო რეპრესიები, რომლებიც ადამიანთა გარკვეულ ჯგუფს – „მნგრეველებს“, აერთიანებს („იფეთქა ცეცხლმა, იბუგება მთელი ქვეყანა“). „ზეცით სიცივე და გულგრილობა“, ვფიქრობთ, დამნაშავეთა კვლავაც „ბოგინს“ და მათ მიერ ჩადენილი უსჯულოების განუკითხაობას უნდა მიემართებოდეს.

შესაძლებელია, „მნგრეველების ყრილობა“, ზოგადად, ბოროტების კრებითი სახელი იყოს და მასში სიკეთის „მნგრეველთა“, ყოველივე ადამიანურის წინააღმდეგ მიმართული ძალის სიმბოლო იგულისხმებოდეს.

გალაკტიონი ლექსის „შემდგომ ტაეპებში მკითხველს მიმართავს და „ვეფხისტყაოსნის“, „ჯერ არნაზული“, „უცხო და საკვირველი“ სამყაროსკენ მიაპყრობინებს მზერას, თავად კი ამ თვალით უხილავი, წარმოსახვითა და გონების თვალით „საჭერეტი“, დრო-სივრცით უკიდეგანო ქვეყნიერებისკენ მიუძღვის. და ამ გზაზე, უპირველესად, ერთ-ერთ საოცრებას – ნაპირზე მოსასმენად გამომსხდარი ქვების სულიერებას („შეხედეთ: ქვებიც გამომსხდარან მოსმენად მშვიდი“ – 306) – დაანახვებს და შეაგრძნობინებს. „ვეფხისტყაოსნის“ სტრიქონთა გალაკტიონისული გარდათქმა აკთანდილის „გალობიდანაა“, რომელშიც წამყვანია აზრი, რომ სამყაროში ყველაფერი ღვთიურობითაა აღბეჭდილი, რომ ადამიანია სამყაროს გვირგვინი („ჩვენ კაცთა მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერითა“) და სწორედ ის წარუძღვება ამქუვეყნიურობას უფლის წიაღისაკვენ.

„ტრადიციასთან კავშირის, გარკვეული კულტურული კოდების, ციტატურობის განსაკუთრებული ინფორმაციული და კონსტრუქციული მნიშვნელობა, მათი გამოყენება ლექსის იერსახის განმსაზღვრელ საწყისად გალაკტიონის ლექსის ერთ-ერთი არსებითი ნიშან-თვისებაა. მის ლექსებში ცხადად ისმის სხვადასხვა პოეტურ სისტემებთან და ლიტერატურულ და კულტურულ ტექსტებთან უწყვეტი დიალოგი, რითაც მუდმივად შეგვახსენებს, რომ არა მხოლოდ თავისი, არამედ სვხისი სიტყვებითა და ინტონაციით მეტყველებს, რომ მის ლექსებში არა მხოლოდ პირადად მისი და ქართული, არამედ სხვადასხვა კულტურა ხმიანობს“ (კენჭოშვილი 2016: 160).

გალაქტიონის გააზრებით, „ვეფხისტყაოსანი“ მათრობელი „მშვიდი სამუმისა“ და „მშვიდი ჭავლეთის“ წიაღია, სადაც ყოველივე, სანსკრიტის მსგავსად, სიძველით სუნთქავს. პოეტი რუსთველის ქმნილებაში საყოველთაო სიბრძნესა და ჭეშმარიტებას ხედავს, აღმოსავლეთივით ძველს და ამავდროულად – მარად ახალს, განახლებადს (აღმოსავლეთის უძველესი სიბრძნის ყოველგვარი გამოვლინების დასავლეთისგან მიღების, განახლებისა და გარდასახვის კვალობაზე) –

აქ ძველი არის ყველაფერი, როგორც სანსკრიტი,  
მაგრამ ახალი მუდამ, როგორც აღმოსავლეთი (იქვე: 306).

ეს ორი ტაეპი საესებით იძლევა საფუძველს თქმისა – გენიალური შემოქმედის გენიალური წვდომა. და მართლაც, „ვეფხისტყაოსანი“ – შუასაუკუნეებისა და რენესანსის სააზროვნო ნაკადთა შორის „გზად და ხიდად“ გადებული, აღმოსავლეთისა და დასავლეთის სხვადასხვა მოძღვრებათა, სიბრძნეთა და კულტურათა დამტევი, მათს საძირკელ-

ზე ამოზრდილი და ახალ „შტოთა“ გამომდები. „ვეფხისტყაოსანი“ – ქართველთა ეროვნულ-სარწმუნოებრივი იდეალების „ნათლის სვეტი“, სამქევეყნო და საიმქევეყნო იდეალების პარმონიული თანაყოფნის მქადაგებელ-შემსხმელი; ადამიანის ახალი იდეალისა და პიროვნულ-ინდივიდუალური საწყისის დამამკვიდრებელი; ამაღლებულის მშვენიერების, სულის განსხვაულების შემსხმელი; მხატვრულ სიტყუაში განსახოვნების ყოველი ფორმის შემთავსებელი და კიდევ მრავალი სხვა.

ამდენად, გალაკტიონმა პოეტური „იდუმალი გზნებით“ ორიოდ ტა-ეპში გააცხადა საკითხთან დაკავშირებით მეცნიერ-მკვლევართა მრავალრიცხვან ნაშრომებში გამოთქმული შეხედულებანი და სჯანი. ლექსის მომდევნო სტრიქონები, თითქოს, კვლავაც არაბეთის სპასპეტს და მის „გალობას“ დასტრიალებს, მაგრამ აქ, სავარაუდოდ, პოეტის ლირიკული „მე“ შემოდის, რომლის ხმა ამ „გალობას“ ეხმიანება, მხოლოდ – თანადროულ ეპოქასთან მიმართებით:

ასეთ ოცნებას ხსნა არ მოელის,  
სიმძერა აღარ იგრძნობს დაასრულს.  
დაცხრება სული უდაბნოების,  
გულცივი ზეცა რომ გადასაზროს (იქვე: 306).

პირველი ტაეპის შინაარსიდან გამომდინარე, პოეტს, სავარაუდოდ, იმის თქმა სურს, რომ „ვეფხისტყაოსანი“ ახდენილი ოცნებაა და ამგვარი საოცნებო სრულქმნილების შექმნა აღარაა საგულვებელი, რომ რუსთაველმა „ვეფხისტყაოსნით“ ამონურა სათქმელი და „იგრძნო დასასარული“. მსგავსად ამისა, მისი „ქნარი“ დასასრულს ვერ შეიგრძნობს. ალბათ, ამას გულისხმობდა პოეტი, რომ „უცხოსა და საკვირველის“ შექმნას თავისი დრო და უამი აქვს, რომელიც პოეტმა უნდა იგრძნოს და გაასრულოს, როგორც რუსთაველმა – „ვეფხისტყაოსანი“ და ავთანდილმა – „გალობა“, მიჰყვეს რუსთველის ნათქვამს შაირობისა და სხვადასხვა რიგის მელექსეთა შესახებ; „უდაბნოები“ კი – ზემომხმობილი ტაეპებიდან გამომდინარე, რუსთაველი უნდა იყოს (რაც, შესაძლოა რუსთველის ბერად შედგომის გადმოცემას უკავშირდებოდეს, ან სიმბოლურად – მწყურვალ მეუდაბნოეს, წყურვილის დაოკებთ, „ვეფხისტყაოსნის“ გასრულებით, სულის მომშვიდება-„დაცხრომა“ რომ შეძლო). მხოლოდ ამგვარი გზითა (სულის მომშვიდებით) შესაძლებელი, როგორც გალაკტიონი ამბობს, „ზეცის გადასაზვრა“, საკუთარი ნაზრევით, ფიქრითა და განსჯით ზეცას მიწვდომა (გავიხსენოთ ავთანდილის სიტყვები – „მით ვისწავლებით, მოგვეცეს შერთვა ზესთ

მწყობრთა წყობისა“ – 781, 4). ამავე ტაეპში „გულცივი“ ზეცა გალაკტიონისეულ შეფასებად წარმოდგება, რომელიც შესაძლოა, რუსთაველს მიემართებოდეს, ვითარცა მისი „არ წყალობისა მთოველი“ (რაც მისი პიროვნების შესახებ არსებულ გადმოცემებს უნდა მიჰყებოდეს) ან თავად გალაკტიონის სულიერი განწყობის, უიმედობისა და მიუსაფრობის გამომხატველი იყოს (რასაც პოეტის ბიოგრაფია და მისი არაერთი ლექსი მონმობს).

ლექსში უეცარი გადასვლები, თითქოს დაუმთავრებელი და შეწყვეტილი აზრები ერთგვარი მინიშნებებია, რომლებიც მკითხველისაგან ელის დასრულებას; გალაკტიონის წარმოსახული სამყარო მსგან თანაშემოქმედებას ითხოვს. და ეს იოლი არაა, რთული შემოქმედებითი გზაა, გულითა და გონებით საგრძნობ-საძიებელი და იმავდროულად – საფრთხილო. პოემაში თავშენილი მხატვრული პარადიგმები წმინდა რუსთველურ ორიგინალურ სახექმნადობებთან ერთად, პოეტის მიერ სხვადასხვა კულტურული კოდების, სიმბოლოების, ალუზიების, რემინისცენციების მოხმობით წარმოჩნდება. აქვე უნდა ითქვას, რომ ეს უკანასკნელნი არა პირდაპირ, უცვლელად არის გადმოტანილი, არამედ რუსთაველის განსახოვნებათა კვალობაზე, ძველის შენარჩუნებით და ახალ თვალსანიერთა (თუნდ ერთი მტრიხის) გახსნით ვლინდება.

ლექსში ზოგჯერ ლოგიკური კავშირების დაფიქსირება ძნელდება, თუმც ფსიქოლოგიური კავშირი შენარჩუნებულია „... რაც ექსპრესიონიზმისა და სურრეალიზმის გავლენით ეგზომ თვალსაჩინოა მოდერნისტების შემოქმედებაში“ (კენჭოშვილი 2016: 36).

ლექსში დროის უწყვეტობის განცდას „საუკუნეთა მღვრიე მრავლობის“ გასვლის და შთამომავლობის შთამომავლობით ჩანაცვლება-„ჩამოცლის“ აღნიშვნა ქმნის და მეოთხველიც, გალაკტიონთან ერთად, გადაევლება საუკუნეთა მდინარებას და მოულოდნელად „მსოფლიოს დედის“, მაიას, ნიაღში აღმოჩნდება. აქ სათქმელი თითქოსდა „ვინწროვდება“ და მოულოდნელად პოეტის მზერა, ერთი შეხედვით, სრულიად მოულოდნელ სურათს ხატავს –

ქარმა ველებზე ძნები დაშალა  
და მიმოფანტა ქვეყნის კიდეზე:  
შევუნთოთ ცეცხლი, რომ იყი ალი  
იყოს უვრცესი და უდიდესი! (იქვე: 306)

ეს წიაღსვლა ამგვარ შთაბეჭდილებას მხოლოდ ერთი შეხედვით ქმნის. ვფიქრობთ, ძნები, სიმბოლურად, ერთად თავმოყრილი იმ კულტურის სულიერი საგანძურია, რომლიც თავისი ბრწყინვალებით მთელ

ქვეყანას წვდება. სავარაუდოდ, ამგვარი გააზრებითაა შესაძლებელი, აიხსნას გალაკტიონის მონიდებაც ამ ძნებზე ცეცხლის შენთებისაკენ, რათა მისი ნათელი და მხურვალება კონკრეტული სივრცის ფარგლებს გასცდეს.

ლექსში ამ სამყაროს სხვა სამყარო მოსდევს და ზენდების სამხრეთ-დასავლეთისკენ სვლას, „ინდოთა ჩანგის“ სამხრეთ-აღმოსავლეთით ამუსიკება ენაცვლება. აქ, სხვა სამყაროთაგან განსხვავებით, გალაკტიონი მეტ ყურადღებას ინდოეთს უთმობს, რაც საესებით ბუნებრივია. ინდისა და პენჯის ხეობის, განგისა და პიმალაის ხსენებას კვლავაც აბსტრაქტული და ფერადოვანი ხილვის მსგავსი სურათი მოჰყვება –

გადაიშლება კვამლი მხუთარი  
და გადიქცევა მზის ვუალებად,  
შემდეგ იფეთქებს, რომ საკუთარი  
ნარს მისცეს სუნთქვის საშუალება (იქვე: 306).

წინარე სტროფის მსგავსად, როგორც ჩანს, გალაკტიონი ინდოეთის სამყაროს განსახოვნების ბოლო ნაწილს ბუნების მოვლენათა არაორ-დინალური პოეტური ხილვით ასრულებს, რომელიც კვლავ და კვლავ პოეზიას უკავშირდება. გაშლილი „მხუთარი კვამლი“ – სიმბოლურად, სიცოცხლის მომწამვლელი და ჩამკლავი გარემო – გალაკტიონის ხე-დვაში „მზის ვუალებად“ გადაიქცევა და „იფეთქებს“, რამეთუ ჭეშ-მარიტების, სიკეთის შემცველი აზრი (რომელიც რაღაც პერიოდში გაუსაძლის გარემომცველი სივრცით სუნთქვას) არ იკარგება, მხატ-ვრულ სიტყვად, „ქნარის“ ამოსუნთქვად იქცევა.

ლექსის მომდევნო სტროფიც, რომელიც უეცრად „მოვარდნილი ღვართქაფის“ პიმალაის მწვერვალების გზებისა და უფსკრულებისკენ სვლას და ზეცას მიწვდომას ხატავს, ვფიქრობთ, ამ „ქნარის“ ამუსიკების სიმბოლური სახექმნადობაა, მოძრაობით, სიძლიერით, შეუპოვრობით დამუხტული და სულიერებით ზეცამდე ამაღლებული, ზეცას ნაზიარები –

ავა ზეცამდე – და შეეხება  
იქ, ლაჟვარდებბში რომ გემებია.  
აპა, ალისფერ ნაღმით შეღება,  
თითქო ის ცეცხლიც უგემებია (იქვე: 306).

გალაკტიონი ინდოთ ქნარის ამუსიკების შემდგომ ლაკედემონის და ელადის სიბრძნის ხსენებით, ძველი საბერძნეთის ცივილიზაცია-

საც სწვდება, ეგვიპტის მძლავრ გენიასაც ახსენებს და ეს ყველაფერი „ვეფხისტყაოსნის“ შინა-არსს მიემართება. ამას ცხადად მიანიშნებს აღნიშნულ მონაცემთში პოემის ამბის შესატყვისი რამდენიმე ტაქპის ჩართვა – „მეგობარს კიდევ მეგობარი შეურჩენია“ და „ისარი გულზე ვის არა სოდეს?“ (307). ეს სტროფიც პოეზიის ხსენებით სრულდება –

იყო მრავალი განადგურება,  
ლექსთა სიკვდილი კი – არასოდეს (იქვე: 307).

ამდენად, გალაკტიონისათვის ყველგან და ყოველთვის, ყველა დროსა და სივრცეში პოეზია ხმიანობს („პოეზია – უპირველეს ყოვლი-სა“), ის ყოველგვარ ნგრევასა და უბედურებას, ქარ-ცეცხლსა და ნიაღვარს თავს აღწევს, საუკუნეებს გადასაზღვრავს და „გადასაზრავს“ და არასოდეს კვდება, რამეთუ ჭეშმარიტი პოეზია უკვდავია. ლექსში გაბ-ნეული ყველა დრო-სივრცე საზრისს „ვეფხისტყაოსანთან“ მიმართებით იძენს. ამას, როგორც უკვე აღინიშნა, გალაკტიონი რუსთაველის ნააზრევის კვალობაზე გამოთქმული ტაეპების ჩართვით აღწევს, რათა მყითხველმა ამ წარმოსახვათა ლაპირინთში გზა არ დაკარგოს და გალაკტიონის გულისა და გონების თვალით დანაზული კულტურული მსოფლიოს თვალსაწიერი „ვეფხისტყაოსნის“ გასაზრებლად წარმართოს –

ომებში ლომი – ნახტომიდან შამბის არშიით,  
ტაიჭინ ჰქერიან, როგორც მძაფრი ისრები ქარში,  
მაგრამ ხანდახან დაუნდობელ გრძნობებზე სტირის  
ელეგიური დღე იზიდას და ოზირისის (იქვე: 307).

ეს სტროფი სავსებით თვალნათლივ წარმოაჩენს „ვეფხისტყაოსნის“ ჰასაჟებს, ლომი ტარიელის მამაცობასა და „შამბის არშიით“ ნახატ გარემოს, ტაიჭინა ქროლას, იზიდასა და ოზირისის ელეგიური დღის ხსენებით კი – ნესტანისა და ტარიელის სიყვარულის ამბავს.

აქვე იხილვება „ვეფხისტყაოსნის“ არაბეთი, რწმენისა და „ოცნების ქვეშევრდომი“, „ძლიერი, გამძლე და ამაყი ტომი არაბთა“. გალაკტიონი ცხადი მინიშნებით როსტევან მეფესაც ახსენებს –

მას რაინდული ჰქონდა სული, სავსე ანთებით,  
ლაშქართ მრავალი აღტაცება მისდევდა თანა (იქვე: 307).

და ამ ეპიზოდშიც პოეზია ჩნდება. გალაკტიონის წარმოსახვაში როსტევანის სამეფო საგანძურები „დაგროვილი ფოლიანტებითაა“

აღვსილი, მისი ეპოქა კი „პოეზიით მდიდარ ხანად“ წარმოდგება. გალაკტიონი ამ ეპოქისათვის მთავარს ამგვარად გამოკვეთს –

რაც ამ ხანაში არის მთავარი  
და რაც ყველაზე უფრო შორია,  
ეს: გადამრჩენი წვიმას ყავარი,  
რითაც იფარავს ძველს ისტორია (იქვე: 307).

ვფიქრობთ, ყავარი, რომლითაც ისტორია სიძველეს ინახავს და იფ-არავს, სიტყვაა, როგორც პოეტი ამბობს, „საგანძურებში დაგროვილ ფოლიანტებში“ აღბეჭდილი სიტყვა. და თუ გავითვალისწინებთ ლექ-სის თემასა და მთავარ სათქმელს, აქ მხატვრული სიტყვა, თავად პოე-ზია უნდა იგულისხმებოდეს.

„ვეფხისტყაოსნის“ ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის შესახებ არაერთი თვალსაზრისია გამოთქმული, თუმცა გალაკტიონის წარმო-სახვა ყველა საზღვარს „გადარკალავს“ და პოემაში მოცემულ გეო-გრაფიულ არეალთან ერთად, კვლავაც სხვადასხვა უძველეს ცივილი-ზაცასა და კულტურას ჩართოას, რამეთუ რუსთაველის პოემაში მათს განსახოვნებას, ყველა ეპოქის სუნთქვასა და ფერს შეიგრძნობს და ხედავს. ლექსში ჩნდება „უდაბნოთა ბედუინები“, უხსოვარი დროით და უსაზღვრო მანძილით დამორჩებულ, ოდესალაც თავისუფალ ქალაქთა სიმდიდრეც გამოკრთის, რომელთა ადგილას ახალ მხარეთა სახელები ჩნდება. ამ ხილვა-წარმოსახვას გალაკტიონი „ცნობას მიაფერებს“ და დასძენს, რომ ამ ახალმა

...არ წაშალა იმ ხმათა დარგი,  
მუდამ ყველაზე უფრო ახალი  
და უფრო კარგი (იქვე: 308).

აღნიშნულ ტაეპებში, როგორც ჩანს, გალაკტიონი კვლავ იმეორებს ერთხელ უკვე თქმულს, რომ ძველი მუდამ ახალია და უფრო კარგი, რამეთუ ის პარადიგმათა, უნივერსალიათა წიაღია და ამდენად, გა-ნახლებადი და შეუცვლელიც.

ლექსში წარმოსახულ სამყაროში უდაბნოთა ბედუინებს აქლემთა ქარავნებისა და ცხვრების ჯოგიცვლის, თვალწინ მშვენიერი კარვებით მოფენილი გარემო იშლება და სტუმართმოყვარე და მამაც ადამიანთა ლანდები ჩნდება. სიმყუდროვესა და „საღამოს ქარვების“ სიმშვიდეს პოეტი ქარცეცხლითა და შერყევით, „ქაოსის შერხევით“ არღვევს. იქ ეღვადქცეული პოეზია „იფეთქებს“. გალაკტიონისათვის ყველაფერი პოეზიით იწყება და ყველგან პოეზიაა.

განსახოვნებათა ამგვარი დინამიკა, კადრებად რომ იშლება და ერთიანი ხილვის მოწოდებისთვისაა გამიზნული, ქვეყანათა, სამყაროთა ცვლის სურათს აფიქსირებს და დროსივრცულ გარემოს კუმშავს, ავინწროვებს. ამგვარი აღქმა პერსპექტივის მასშტაბური ხედვისაკენ წარმართავს მკითხველის მზერასა და ყურადღებას (გვახსენდება დიმიტრი მეფის სიტყვები შიო მლვიმელისადმი მიძღვნილი საგალობლიდან – „მდგრმე ფართოობს სამყაროდ“). გალაკტიონისეული ასოციაციათა წყების აღქმა-გაზრება, რომელიც „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის ახლებურ წაკითხვას ითხოვს, კვლავ და კვლავ მკითხველის შინაგან სამყაროზეა დამოკიდებული.

„გალაკტიონის სიმბოლისტური პოეტიკით შექმნილ ლექსებში „ხილულ ელემენტებში“ სხვა რეალობა გამოკრთის. შემოქმედებით პროცესზე დაკვირვება გვითვალსაჩინოებს, რომ პოეტი-სიმბოლისტი საწყის სტადიაზე ემპირიული სინამდვილიდან ამოდის, შემდგომ კი თანდათანობით მიინევს სიღრმისაკენ: იშლება რეალობის კონტურები და ჩნდება „უსხეულო ქვეყანა“, აგებული მშვენიერების კანონებით“ (დოიაშვილი 2016: 175).

გალაკტიონი ზემოაღნიშნული სტროფით ერთგვარად ასრულებს „ვეფხისტყაოსნის“ საზრისის ამოცნობას, მისი შინაგანი სამყაროს ხედვას, რომელიც „სულითა ხოლო საცნაურია“. ლექსის შემდგომ ნაწყვეტებში პოეტი მკითხველს იმ დროის „შესანდობრის“ შესმისაკენ მოუწოდებს, როდესაც პოეტი მსოფლიო ძალად მიაჩნდათ და ნუგეშივით უყვარდათ; როდესაც იგი არა მარტო პოეტი იყო, არამედ ბედუინიც, მეომარიც და მოსამართლეც; როდესაც მისი სიტყვა გრიგალად აღიქმებოდა და ქვეყნიერებას არყევდა.

პოეტი კვლავ „ვეფხისტყაოსანის“ უბრუნდება და ფიქრობს, რომ პოემას შეინახავს ალმოსავლეთი და პერგამენტები, პალმის ფოთლებზე „სისხლიანი ცრემლებით“ (შდრ. რუსთაველის „სისხლითა ცრელმდათხეული“) ნანერი ან სპილოს ძვალზე „სასოებით ამოკვეთილი“. გალაკტიონის თქმით, „ვეფხისტყაოსანი“ საუკუნეთ წევბას, „დროთა ბაზაკებს“ გასცდება, მას მომავლიდან კვლავაც შესცემულიან და სხვაგვარი დიდება ელის. პოეტი ამ ფრაზებით „ვეფხისტყაოსნის“ უნივერსალობასა და მის ცხოველმყოფელობას გამოკვეთს. შესაბამისად, გალაკტიონის თქმით, მას წარსული ინახავს, თუმც კი იგი აწმყოსა და მომავლის სიტყვაა, ახალი აზრის, ინტერპრეტაციის, ფიქრისა და განსჯის ასპარეზია.

ლექსის დასასრულს გალაკტიონი „ვეფხისტყაოსნის“ ძალმოსილებაზე, ზეციურთან წილნაყარობაზე (ზეცის „გადარკალვაზე“), მასთან ზიარების სიხარულზე ამახვილებს ყურადღებას. სტროფს ასრულებს

„ვეფხისტყაოსნის“ მეტაფორადქცეული ცნობილი ასტროლოგიური სურათის – მზისა და ლომის შეყრის – გალაკტიონისეული განსახოვნება –

საუკუნეთა ტყეებს იქით მოჩანს ბუნაგი:  
იქ ესალმება შუქი ნათელს ზოდიაკალურს (იქვე: 309).

გალაკტიონს ამ სურათის ხილვა იმედად ესახება, რომ ომიანობის ჟამს გადამალულ, ჩამალულ თუ „ჩაკალულ“ ძველ ხელნაწერებს სრულიად შემთხვევით აღმოაჩენენ. აღნიშნულით სრულდება „პოემა ვეფხისა“, „ვეფხისტყაოსნის“ მოდერნისტული ხედვით გააზრების უაღრესად საინტერესო ნიმუში, რომელმაც

...არ წაშალა იმ ხმათა დარგი,  
მუდამ ყველაზე უფრო ახალი  
და უფრო კარგი (იქვე: 308).

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ლექსში „პოემა ვეფხისა“ უკიდეგანო გამომსახველობითი შესაძლებლობების მეშვეობით, მოძრაობა რეალური პლანიდან რაღაც უცნობსა და ამოუცნობისებ მიემართება. სასრულში უსასრულოს ძიება-ჭვრეტა, რეალურში წარმოსახულის, თვალით არნახულის ხილვის გაცხადება, მრავალგვარი და მრავლისმეტყველი ასოციაციები, იდუმალების ეს-თეტიკით გამსჭვალული გაუცნაურების შეგრძნება გალაკტიონსა და მკითხველს ერთ მთლიანობად აქცევს.

ლექსი „პოემა ვეფხისა“ მრავალგანზომილებიანი შრეებისგან შედგება. იქმნება ერთგვარი ქრონოტოპული კოლაჟი, რომელიც მოდერნიტების შემოქმედებისათვის ერთობ ნიშნეულია. ლექსში წარმოსახულ სამყაროთა (გარდა ინდოეთისა და არაპეտისა) სურათი „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრული ტექსტის რეალობის მიღმა იხატება. მათ შორის კავშირთა ახსნა მხოლოდ სიმბოლური გააზრებითა და სიღრმისეული წვდომითაა შესაძლებელი. რუსთაველის პოემაში უძველეს ცივილიზაციათა დანახვა მსოფლიო კულტურაში დამკვიდრებული მათი შინაარსით ხდება საცნაური. სურრეალურის მხატვრულ რეალობაში ჩართვა და პოეზიის ძალით დრო-სივრცეთა ლოგიკური კავშირებით შეკვრა ლექსში უმთავრეს სათქმელს ქმნის. პოემის მხატვრულ სინამდვილეში დროით განუსაზღვრელი სხვადასხვა კულტურული კოდების დანახვა-შემოტანას გარკვეული მიზანდასახულება და ფუნქცია აქტს, კერძოდ, რუსთაველის გენიალობის, მისი ხედვის მასშტაბურობის, „ვეფხისტყაოსნის“ ყოვლისმომცველი შინა-არსის, მისი უნივერსალობის ჩვენება.

## **დამოცვებანი:**

**გუგუშვილი 1975:** გუგუშვილი მ. რუსთაველი გალაკტიონის პოეზიაში. თბილისი: „მეცნიერება“, 1975.

**კენჭოშვილი 2016:** კენჭოშვილი ი. „გალაკტიონის პოეტური კანონი“. ქართული მოდერნიზმის ტიპოლოგია. თბილისი: „მერიდიანი“, 2016.

**ლომიძე 2016:** ლომიძე გ. „მოდერნიზმი, როგორც ინვარიანტი“. ქართული მოდერნიზმის ტიპოლოგია. თბილისი: „მერიდიანი“, 2016.

**ტაბიძე 1966:** ტაბიძე გ. „პოეზია“, ტ. 2. თორმეტტომეული. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“, 1966.

**ტაბიძე 1966:** ტაბიძე გ. „პოეზია“. ტ. 3. თორმეტტომეული. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“, 1966.

**ტაბიძე 1966:** ტაბიძე გ. „პოეზია“, ტ. 4. თორმეტტომეული. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“, 1966.

**ტაბიძე 1967:** ტაბიძე გ. „პოეზია“, ტ. 5. თორმეტტომეული. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“, 1967.

**ტაბიძე 1970:** ტაბიძე გ. „პოეზია“, ტ. 8. თორმეტტომეული. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“, 1970.

**ტაბიძე 1973:** ტაბიძე გ. რჩეული. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“, 1973.

**ტაბიძე 1973:** ტაბიძე გ. „პოეზია“. ტ. 10. თორმეტტომეული. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“, 1973.

**KETEVAN ELASHVILI**

*Georgia, Tbilisi*

*Shota Rustaveli Institute of Georgian Literature*

## **Wine as a Destiny**

Artistic language of modernism represented “intellectual epatage” – aggravated by the picturesque aspect, and that, from its part, created the feeling of “culturological discussion” and relevantly, completely new space of thinking was liberated – “deriving” the perception from chrestomathic, philosophical and literary “references”. This was the case of Galaktioni as well, who set the uncommon “winespeech” poetics. Perhaps that’s why Galaktioni perceived wine as his vital “principle” and forever dizzy, was waiting for the lustration of his restless soul till the “serenest wine color” and for the creative coziness. Paradoxically, wine for Galaktioni was the survival instinct of “poetic dignity” – covered by the occultism of destiny.

**Key words:** Galaktioni, Wine, Destiny, Modernism.

## პეთევან ელაშვილი

საქართველო, თბილისი  
შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

## ღვინო როგორც ბედისწერა

„გარეთ ზუზუნებს ქარი,  
შიგნით ხმაურობს ღვინო...“  
გალაკტიონი

მოდერნიზმის მხატვრული ენა წარმოადგენდა „ინტელექტუალურ ეპატაჟს“ – გამძაფრებულს სახისმეტყველებითი ასპექტით, რამაც, თავის მხრივ, წარმოშვა კულტუროლოგიური დისკურსის განცდა. შესაბამისად, გამოიკვეთა სრულიად ახალი სააზროვნო სივრცე – შემცნების ერთგვარი „გაყვანა“ ქრესტომათიული ფილოსოფიური თუ ლიტერატურული „ბმიდან“.

მხატვრული ხედვის ეს დიაპაზონი ავტორს უკვე თავსუფალ ლიტერატურულ „ფორმატს“ სთავაზობდა, ბუნებრივია, შემოქმედებითი სილრმის გათვალისწინებით. ასე იყო გალაკტიონის შემთხვევაშიც, რომელმაც დაამკვიდრა ღვინისმეტყველების უჩვეულო პოეტიკა, რადგან მისთვის ღვინო ბედისწერა იყო უმთავრესად და ჩიხში აქცევდა პოეტის ბიოგრაფიას.

ალბათ, ამიტომაც მიიჩნია გალაკტიონმა ღვინო საკუთარი ცხოვრების „ზნედ“ და მარადშემთვრალი ელოდა მბორგავი სულის დაწმენდასა თუ შემოქმედებით სიმუშდროვეს.

და მაინც, – რა იყო ღვინო გალაკტიონისათვის?!

ყველაზე უკეთ ამაზე „სიტყვათა სანახახელში“ მოქცეული ღვინო მეტყველებს – სრულიად უჩვეულო პოეტური ილუსტრაციების მეშვეობით. ლექსთა ამ თემატურ რკალში, ამჯერად, დათარიღებას არ ენიჭება ძირეული მნიშვნელობა, რადგან ეს მისი ცხოვრების ნებისმიერი პერიოდის თანმდევი ემოციაა.

დროის უსასრულობას ადევნებული პოეტი ისე იყო „ღვინის არტახებს“ ჩაჭიდებული, როგორც დამფრთხალი ცხენის სადაცებს ჩაფრენილი მეეტლე. სწორედ ღვინის დაბინდული „ქცევით“ უამარული გალაკტიონი ამ წუთისოფელში საკუთარი მიუსაფრობის შეცნობას ბოდლერისეული მედიტაციებით „მთვრალი“ ლამობდა (ბოდლერის წერილი – „იყავით მთვრალი“); თუმცალა გალაკტიონს „მემთვრალეობის“ თავისი კონცეფცია ჰქონდა და „ღვინის სათის“ უსასრულობაში ბოლომდე მაინც არ იძირებოდა...

იყო შარლ ბოდლერი: „მწარე და ძვირფასი  
თრობის საათია, ღვინის საათია!“  
ასე იძლეოდა პასუხს შეკითხვაზე –  
რომელი საათია?

(„რომელი საათია?“,  
ტაბიძე 1966: 256)

გალაკტიონი საკუთარ „უამს“ ღვინოსთან განდობილი<sup>1</sup> ელოდა  
მოთმინებით;

„მარტობის ორდენის კავალერი“ მხოლოდ ლექსთამეტყველებით ამოთქვამდა სულის ტკივილს; მაგრამ რატომდაც, ცრემლთცვენა ოდენ „ცისფერი ღვინოებით“ იყო მოძალებული („სტიროდა სული ცისფერ ღვინოებს“). ეს ლექსი გალაკტიონის ერთგვარი ავტოპორტრეტია – შესაბამისად, სულთან წილნაყარი. ამიტომაც, ამ პოეტურ სივრცეში ღვინის ტრადიციული ფერი სრულიად წარმოუდგენელი იქნებოდა (აქ, ღვინო მამაკაცური ნებელობისა თუ შინაგანი პათოსისაგან დაცლილია – ქ.ე.), რადგან ის იდუმალების, ტანჯვის, მარადიული „ყულფით“ თვით-ლიკვიდაციის უჩვეულო გამოვლინება იყო. თუმცადა, იმავდროულად, ცრემლთცვენით გაბრნჟინებულ თვალთა ნათებაც, რომელიც მთელი ცხოვრება სულს უნისლავდა პოეტს და არსებობას კიდევ უფრო ილუზორულს ხდიდა:

სტიროდა სული ცისფერ ღვინოებს,  
ღვინო ეძებდა სულ სხვას პირიქით  
და შემდეგ უცნობ პიანინოებს  
ატრიალებდა ტანჯვის ლირიკით.  
„სტიროდა სული ცისფერ ღვინოებს“,  
ტაბიძე 1966ა: 67)

„ფერთამეტყველებით ლექსის სულის შეგრძნება ეს ერთგვარი მისტიკაა, რადგან „ფერი“ თვალსაწიერის შეუცნობელი ემოციაა, – მძაფრად მომნუსხავი და იმპულსური, სრულიად მოუხელთებელი და დაუმორჩილებელი, ფერი ერთგვარი ბერვის ხიდია წუთისოფლის ვნებათა ჭიდილში, რომ არ ნაიმალო და შინაგანი მეტყველება რომ შენარჩუნო. ფერთა ამოთქმით ხომ სული იხსნება და არა მარტოდენ თვალი. თვალი ოდენ მყისიერად ამოაფრქვევს ფერებს“ (ელაშვილი 2012: 93). აი, ამიტომაც, გალაკტიონთან „ცისფერი ღვინო“ არაა მარტოდენ „მოშხიბლავი არაარსი“ (ლურჯი ფერის გოეთესეული სახელდება). აქ „სიცისფრეს“ ლურჯ ფერში (ემოციებისგან ჩამქრალი) თეთრი ფერის

შეჭრა იწვევს, რითაც ცისფერი სრულიად იცლება ზემგრძნობელობისგან, უსასრულობისგან თუ ეზოთერიზმისგან. ფერთა ეს „შეუსაბამო თანარსებობა“ კი „ღვინის პოეტიკას“ აბსოლუტურად უცვლის გეზს. „განა ხელოვნებისა და ლიტერატურის ისტორიაში ცოტა შემთხვევაა, როცა შემოქმედებითი ექსტაზის, გონების ილუმინაციის, ნათელმხილველობის, მძაფრი შეგძნებისა თუ განცდების გამოსაწვევად არა ხელოვნურ, არამედ ბუნებრივ პრეპარატს – ღვინოს ან, როგორც ბოდლერი წერდა, – „თხევად მზეს“ ეძალებოდნენ... არც ისაა დასამალი, რომ ამ ცდუნებას, გალაკტიონიც ვერ ასცდა. ჩვენ ხომ ვიცით, რომ დროდადრო ისიც უხდიდა ხარჯს „თხევადი მზის“ კულტს. მართალია, უფრო ცხოვრებაში, ვიდრე ხელოვნებაში“ (კვესელავა 1977: 417).

თუმცა მთლად ასეც არ იყო – ღვინოს ერთგვარ ხარჯს გადაკეტიონი თავისი პოეზიითაც უხდიდა. ამიტომაც იყო, რომ „ქაოსის ნისლში“ („საახალწლო ეფემერა“) მას ერთადერთ გზამკვლევად მხოლოდ „მუსიკა, ღვინო და ყვავილები“ ესახებოდა. შესაბამისად, საკუთარი ცხოვრების ბილიკიც მხოლოდ „ღვინისფერი მდინარის“ სადარი იყო („ღვინისფერი მდინარევ“). ამქვეყნიური ყოფაც – თავისი „დრომატული შენაკადებით“ წყლისა თუ ღვინის უსასრულობაში შთანთქმება. ცხოვრებისეული „დიდების“ ნალებაც მეყსეულად წყალს დააკისრა და არა ღვინოს, რადგან ღვინოს ოდითგანვე უცდომელი გზა აქვს თავისი დაგმანული ჭეშმარიტებით. აქედანაა: ერთგან – „ღვინომ მიიღოს ღვინისა“ („ხვალემ იზრუნოს ხვალისა“); მეორეგან – დიდი მწუხარების მომტანი სასმელი („მწუხარება შეზე“), სადაც ღვინო სულის ტკივილის ნიღაბია, თასების შევსებაა დარდით და მწუხარების უნაპირობაა; მესამეგან – ინვერსიულ მეტაფორად გარდაისახება – სიძლიერითა და ნებელობით აღსავსე პათეტიკურ „ალის თასად“.

საგულისხმოა ისიც, რომ მიუსაფრობის „დიდი ტკივილი“ ღვინის არსობრივი ტრანსფორმაციით იცვლება და წამიერად ჩნდება „შვების სხივი“. ეს შუადღის უამია („შუადღის გულმოდგინება“) – მზის „მწიფობაა“. ამიტომაც იჩენს პოეტის გული „მოდგინებას“ რაღაც „ახალი ილუზიების“ შესაცნობად და, სავსებით ბუნებრივია, რომ დროის ამ მონაკვეთში ღვინომაც განიცადოს ფერიცვალება – ის ხომ მაისის უმწიკვლო მზის ნაჟურად უნდა იქცეს და „შუადღე დაათოროს მაისის ღვინით“ („მაისის ღვინოში“ – ერთგვარი შეუსაბამობაც იკვეთება – სიძლიერისა და სიახლის სრული შეუთავსებლობით – ქ.ე.).

ეს ერთგვარი სიმბოლოცაა გალაკტიონის სულსაწიერისა: მან წუთისოფლის მთელი მისტერია, ისევ და ისევ, „ღვინოს აპეიდა“ და გადაწყვიტა „შეუცნობლობის ბურუსში“, ერთხელ და სამუდამოდ, ამ რეპლიკით გაუჩინარებულიყო:

სადაც უნდა შევიარო,  
ღვინოს დამაძალებენ,  
მწუხარება ვერ დავფარო:  
ღვინოს დააბრალებენ!  
(„ღვინოს დააბრალებენ“,  
ტაბიძე 1966ა: 32)

მაგრამ ცხოვრებასთან „უბრადმყოფ“ გალაკტიონს ზეალსვლის თუ ზესწრაფვის შთაგონებას, თუნდაც წამიერად, ბროლის თითები („ხელები“) უბრუნებს – მზისგან ალისფერი ღვინით „მეტყველი“. თუმცა, არც ეს იყო გამოსავალი „შამარეული“ პოეტისათვის, რომელიც ბედნიერებასთან თავისი „დრამატული პერიპეტიების“ სრულ აცდენას განიცდიდა და, ასეთ დროს, ერთი რამდა რჩებოდა – განურჩევლობის სიცარიელე:

სულ ერთი არის: ღვინით ან ქალით  
ან ყვავილებით – გაქრნენ ვნებები.  
(„დგება შემოდგომა“, ტაბიძე 1966ა: 75)

შემოქმედის ყოველდღიური დილემა – მარადიულ უსასრულობასთან უთანასწორო ჭიდილით, სულისმოთქმა „უანკარეს ღვინით“ („ცხოვრება ჩემი“), გალაკტიონისათვის მთელი ცნობიერი ცხოვრების თანმდევი ემოცია იყო. ოღონდ ერთ რამეს ყოველთვის ითვალისწინებდა: ცდილობდა უკიდურესი სიმთვრალის დროსაც კი, რომ „თვალის სიფხიზლე“ შეენარჩუნებინა და „ღვინო თვალს არ მოჰკიდებოდა“ („ძველისძველი ღვინო“). – ეს ხომ საოცარი ხელოვნებაა, ერთგვარი „ილუზიონისტობაცაა“, სიმთვრალის ფლობის უმაღლესი კატეგორიაა – ღვინო ნიღბად იმგვარად აქციო, რომ იმავდროულად სულის სიფხიზლის „როლიც“ დააკისრო. ბუნებრივია, ღვინოსთან „საოცარი ინტიმის“ რეპუსიც თავად გალაკტიონს უნდა აეხსნა ჩვენთვის:

შენ მხარზე დოქით, მე ხელში წიგნით  
მოვედით მარანს;  
არ ჩნდა მემარნე და ჩვენ ძვირფასი  
ღვინო მოვიგნეთ,  
უკვდავი ღვინო: შენ ჩემი თასით,  
მე შენი წიგნით...  
(„მოგონება“, ტაბიძე 1973: 588)

აქ, წიგნისა და ლვინის „სიმბოლური თანაარსებობა“ ლვინისმეტყველებას უფრო მასშტაბურს ხდის და ლვინოც მკვიდრდება, როგორც „ცხოვრების უშვენიერესი მეტაფორა“. ერთ-ერთ ლექსში კი („ო, მეგობრებო, ჩვენი სერობა“) ლვინო უკვე ზეპუნებრივადაა გაცხადებული, „სტიქის საგნად“, რომელსაც პოეტმა „საკუთარი ოცნება და სიყვარული“ მიაბარა („ისევ ოცნება და სიყვარული“). ამიტომაც გალაკტიონი, რომელიც მარადუამ „ყოფით იყო მთვრალი“, „მთვრალი იყო ცეცხლით“, უმთავრესად, მაინც „ლვინით მთვრალი“ ეგონა ყველას („მთვრალია ყოფით, მთვრალია ცეცხლით“)...

იმაზეც ერთხმად თანხმდებოდნენ, რომ გალაკტიონი ლვინოსთან<sup>2\*</sup> სრულიად უჩვეულოდ იყო წილნაყარი, რასაც „უბის წიგნაკს“ განდობილი ეს ჩანაწერი კიდევ უფრო საცნაურს ხდის (1949 წლის 9 მაისი):

ლვინოს არ ვსვამდი, ეხლა დავიწყე,  
სახეს მასხარის გრიმი წავიცხე...  
(„უბის წიგნაკი“ 1992: 120)<sup>3</sup>

აქ კიდევ ერთხელ ხაზგასმით იკვეთება, როგორ გაურბის „ლვინის ნილაბს“ ამოფარებული პოეტი ცხოვრების გულისგამანვრილებელ „პროზაულობას“ და მოჩვენებითი – წამიერი იმპულსურობით როგორ ცდილობს, „ერთ იმათთაგანად“ არ გადაიქცეს. ამასთანავე ისიც უნდა დავამატო, რომ გალაკტიონი არათუ ლექსთამეტყველებით, არამედ თავისი წერილითაც – „ნარკოზი და ხელოვნება“ ცდილობს „თრობის“<sup>4</sup> ფენომენის თავისებურ გათავისებას – შემოქმედებითი თვალსაწილერისა და „ჰალუცინაციური სამყაროს“ ერთმანეთისგან კატეგორიული გამიჯვნით: „სადაც ხელოვნების სახელით იკრიბებიან ადამიანები, იქ ადგილი არ აქვს მთვრალ კომპანიას... ხელოვნებას გამოყავს ადამიანი თავისი „მეს“ საზღვრებიდან და არღვევს მის ეგონისტურ კარჩაკეტილობას და განცალკევებას. სვამენ მოწყენილობისა და ბოლმის გამო, მწუხარების გამო... იკმაყოფილებენ თრობის წყურვილს მღვრიე წყაროებისაგან... მაგრამ ლვინოს არ შეუძლია შექმნას შინაგანი შეგნება...“ (ტაბიძე, 1975: 165).

ერთი შეხედვით, ლვინის „არაფრისმთქმელი თავისუფლება“ რატომღაც ბევრ მწერალსა თუ არამწერალს საშუალებას აძლევდა თავი გალაკტიონის მეინახედ გამოეცხადებინა, ანდა იმის მტკიცებას შედგომოდა, რომ მას თითქოსდა ლვინო აწერინებდა მარტოოდენ...

გალაკტიონის ცხოვრებას თავისი მემატიანეც გაუჩნდა – მისი „შემოქმედებითი ზესწრაფვით“ მოწყესული ვახტანგ ჯავახაძე. სწორედ მან შექმნა პოეტის სრულიად უჩვეულო ისტორია სახელ-

დებით „უცნობი“, გამსჭვალული გალაკტიონის სიდიადისა და განუმეორებლობის შეგრძნებით: „ნასვამი იშვიათად წერდა: – ეხლა მე მთვრალი ვარ და იმიტომ ვწერ. ხვალ ფხიზელი შევწუხდები. არაფერია...“. იქვე „საკუთარ თავს მოძღვრავდა: – ღვინო საჭირო არ არის. მთვრალი კაცი ყოველთვის სისულეელს ამბობს. ფხიზელი მე ყოველთვის კარგ შთაბეჭდილებას ვახდენ, მხოლოდ სითამამე არ მაქვს. კარგია ფხიზელი სითამამე...“ ამგვარი რამეც ჩაუნიშნავს საგანგებო სახელდებით „ღვინო“: ყანწის შემდეგ ღვინო აპითურებს უანგის. დალევს კაცი ღვინოს და გადმოიღვრება უანგი, გამომჟღავნდება ყველა საიდუმლო. დალევ ღვინოს და დატრიალდებან მთები, აივებიან ღრუბლები („მთები, ღრუბლებო, რა მოგივიდათ, ღვინოს მე ვსვამ, და თქვენა თვრებით?“) (ჯავახაძე 1988: 90-93).

კიდევ ერთსაც დავამატებ, რისი გვერდის ავლაც შეუძლებელია – ესაა ვახტანგ ჯავახაძის მიერ გალაკტიონის „ზენა ნიჭის“ ერთგვარი ამოცნობის მცდელობა: „მისი შედევრები ერთი ამოსუნთქვით დანერილებს ჰეგანან. თითქოს ღმერთი კარნახობდა და ქალალდზე გადატანის მეტი აღარაფერი დარჩენოდა (ზებუნებრივი მუხტის გამო – ქ.ე.). ლეგ-ენდაც შეუქმნეს, მხოლოდ ნასვამი წერდაო...“ (ჯავახაძე 1988: 124).

გალაკტიონის „ღვინოსთან შეთამაშებას“ მისი უახლოესი გარე-მოცვაც იხსენებს; აქედან ერთ-ერთი ნოდარ ტაბიძეა – გალაკტიონის ძმისშვილი, რომელიც „შემთვრალ პოეტს“ ასე გვიხატავს: „როცა ბაზუსი ელაციცებოდა, დიდად არ დაგიდევდათ საზოგადოებრივ აზრს...“ (ტაბიძე 2002: 142).

„მსუბუქი დაუდევრობა“ (ასეთ დროს) მისი გამოგონილი „როლი“<sup>5</sup> იყო, რათა „აუმდვრეველი“ კანონმორჩილი საზოგადოება თავისებურად გამოიწვია დეულში. და ამიტომაც სვამდა დაუსრულებლად... ერთ-ერთი ამგვარი ეპიზოდთაგანი – მისთვის ოლია ოკუჯავას რეპრესიის პერიოდი იყო, კერძოდ კი – 1937 წელი; „უიმისოდაც სასმელს შეჩვეული რამდენსამე თვეს გონს აღარ მოსულა... სიმთვრალეს აპათია მოსდევდა, მერე – ისევ ეჭვი, შფოთვა და ყოველდღიურობაში გაურკვევლობა ბრალიანისა და უბრალოს ერთ ჯამში მოქცევა, მაინცდამაინც მტრად მიჩრევა“ (თვარაძე 1972: 176-183). თუმცა, ამ უშეღავათო ბრძოლაში საკუთარ მარცხს სავსებით რეალურად ჭვრეტდა და „მარტოსულობის დემონს“ მთელი სიმძაფრით უპირისპირდებოდა... ასეთ წუთებში ღვინის „მღვრიე დინებას“ აფარებდა თავს და საგულდაგულოდ ინილბებოდა. ამით კი – ვითომდა „კეთილმოსურნეთა“ განქიქების მსხვერპლიც ხდებოდა ხოლმე.

გალაკტიონის „განუმეორებლობის“ აღქმნელნი შეგნებულად გვერდს უვლიდნენ ამ „დელიკატურ თემას“<sup>6</sup> და მხოლოდ საჭიროე-

ბის შემთხვევაში ცდილობდნენ საგულდაგულოდ გაეთავისებინათ და ამოეცნოთ გალაკტიონი „მემთვრალეობის უამს“.

მიხეილ კვესელავა წერდა კიდეც ამის შესახებ, ოლონდ საოცარი სიყვარულითა და დანდობით; „გულწრფელი არ ვიქწებით, თუ გალაკტიონზე საუბრის დროს ამას გვერდს ავუვლით, რადგან ჩვენს თაობას ბევრი მითქმა-მოთქმა გაგვიგონია. ბევრჯერ თვითონაც გვინახავს მთვრალი გალაკტიონი, მაგრამ აბა, ეს რა სალაპარაკოა. დარწმუნებული იყავით, ამაზე არც მე ჩამოვაგდები სიტყვას, რომ ამ „სიმთვრალეს“ თავისი პოეტური ასპექტიც არ ჰქონდეს... რომლიდანაც იგი ძალიან იშვიათად თუ გამოდიოდა, რადგან ეს ხელოვნებით ორობი იყო და არა ღვინოთი. გალაკტიონი ამას „ხელოვნებით გაბრუებას“ უწოდებდა... გალაკტიონი თუ რამეთი მთვრალი იყო – პოეზით; სიმღერით (თვითონ წერს „სიმღერით დათვრაო“), მუსიკით, გრძნობით, სიყვარულით, სიხარულით, სილამაზით, მწუხარებით, ახალ-ახალი სანახაობით; ზევით ცით, ქვევით დედამინით, ატმის ყვავილებით, ალუბლის ღიმილით, ცისფერი თოვლით, ლურჯი ზღაპრებით... და „მაინც ღვინით ჰგონიათ მთვრალი“ (კვესელავა 1977: 418-420).

პოეტის ღვინოსთან განაპირებასთან დაკავშირებით, ერთი ნიშან-დობლივი დეტალი გრიგოლ რობაქიძეს შეუნიშნავს: „... ერთხელაც არ მინახავს ნადიმზე და არც მსმენია როდესმე ელხინოს მას: ჩვენებურად, ქართველურად...“ (რობაქიძე 2012: 291)

ცხადია, ეს პორტრეტი სრულყოფილი არ იქნებოდა, რომ ავტორს გალაკტიონის სულსაწიერის „უკურნებელი სენი“ – მარტოსულობა, როგორც პოეტური სულის უმძაფრესი ტკივილი ისე არ გაეთავისებინა. რადგან, ამის გარეშე, ყოვლად შეუძლებელი იქნებოდა დიდი შემოქმედის უჩვეულობისა თუ მისი უცნაური მემთვრალეობის ჯეროვანი შეცნობა.

გალაკტიონიც ასეთ დროს მთელი ძალით ღვინოს ენაფებოდა, რათა როგორმე თავი დაეღწია, „მარტობის საცეცებისგან“ და „თრობის სითამამით“ სულის ბორგვა ჩაეხშო. ამიტომაც იყო, რომ ის ბოლომდე არც პოლ ვალერისეული „ინტელექტუალური თრობის“ გზას ადგა. ის მხოლოდ თავის გზას მიუყვებოდა ეულად... და, რაც არ უნდა პარადოქსულად უდერდეს, ღვინო გალაკტიონისათვის „პოეტური ლირსების“ თვითგადარჩენის ინსტიქტი იყო – ბედისწერის ეზოთერიზმით დაბურული.

დაბოლოს – მცირედი დაფიქრება ღვინისმეტყველებაზე:

„ღვინო უხსოვარი დროიდან იყო სიმბოლო ღვთაებრივი შეცნობისა, ხოლო ვაზი უკვდავების... ქართულმა ცივილურიზაციამ ღვინის კულტთან დაკავშირებით მრავალი რიტუალი გაითავისა და საკუთარ

ყალიბში მოაქცია. ამის შედეგად შეიქმნა ქართული სუფრის უნიკალური ტრადიცია, რომელმაც, თავის მხრივ, ასაზრდოვა განუმეორებელი ქართული მრავალხმიანობაც, ხელოვნებაც და მწერლობაც“ (აბზიანიძე, 2012: 102-103).

თუმცა იმავ მწერლობაში – ღვინის მხატვრული დიაპაზონი ერთობ მნირი სახითაა წარმოდგენილი. მარტო გალაკტიონისათვის კი არ იქცა ღვინო ერთგვარ ბედისწერად, არამედ თავად ღვინოსაც დაებედა სრულიად უჩვეულო ბედი ვაზის ისტორიულ სამშობლოში – საქართველოში. რატომდაც, ვაზის თაყვანისცემის მიუხედავად, დღემდე „წარმართულ ბურუსშია“ გახვეული დიონისეს „ქართული ორეული“ და ამიტომაც, არც ანაკრეონტული პოეზიის უძველესი ნიმუშები მოგვეპოვება XIX საუკუნემდე (იქნება ეს ალ. ჭავჭავაძის „მუხამბაზური ციკლი“, რაც მათ რომანტიკულ სულისკვეთებას ეჭვევება აყენებდა კიდეც – ქ. ე.).

საოცარია ისიც, რომ შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც რელიგიურ-ფილოსოფიური არსის მხატვრული წვდომის საზრისს წარმოადგენს, ერთობ დაცლილია ღვინის<sup>7</sup> თაყვანისცემის პოეტური ინტერპრეტაციებისაგან. აქ „ის“ მარტომდენ – სამეფო კარის თუ უმაღლესი არისტოკრატიის კეთილშობილების, სილალისა თუ თვითგამოხატვის ერთგვარ საშუალებად გვევლინება.

თავისთავად უჩვეულოა ისიც, რომ ღვინისმეტყველების არც აღმოსავლური იდუმალება იკვეთება ქართულ მწერლობაში. არადა, სპარსული პოეზიის „ბანგმორეულ ჟღერადობას“ თითქოსდა დიდი გატაცებით ეწაფებოდნენ ჩვენშიც. განსაკუთრებული ხიბლით კი სუფისტები სარგებლობდნენ, რადგან, „როდესაც სუფისტი საუბრობს, ყურქენი ნიშანეს ჩვეულებრივ ეზოთერიკულ რელიგიას, ღვინო კი, მისი წვენი, დაფარულ მნიშვნელობას, არსს რელიგიისას, ეზოტერიზმს. ამიტომაც არის ღვინის სმა მისტიური შემეცნების სიმბოლო ხაიამთან და სხვა სუფისტებთან“... (გამსახურდია 1991: 106).

მაგრამ ეტყობა ამ მონუსხვის მიუხედავად, ღვინის ევქარისტულმა არსმა<sup>8</sup> მაინც წარმოშვა ერთგვარი, „მხატვრული ვაკუუმი“ და მხოლოდ XIX საუკუნეში (როგორც ზემოთ უკვე მივანიშნე) შეიმჩნევა ღვინოსთან გარკვეული „სწორფრობაც“: თუმცა, ღვინომ ღიტერატურულ სიმბოლოდ ქმნადობის ურთულესი გზა მხოლოდ „ცისფერყანწელებთან“ დაიწყო. ამაზე ამ ოდენის სახელდებაც მეტყველებს – „ცისფერი ყანწები“ (ნათლია – პაოლო იაშვილი). მხოლოდ მათ შეძლეს ღვინის აუთვისებელი, დაგმანული შემოქმედებითი იმპულსის სიმბოლოს ყალიბში მოქცევა.

თუმცა, „თრობის ლაპირინთში“ შეღწევა და ღვინის იდუმალი ტაბუს დარღვევის მისია მაინც გალაკტიონს დაეკისრა. ეგებ, ამანაც აქცია ღვინო მისთვის უჩვეულო ბედისწერად?!

### შენიშვნები:

1. ერთადერთი გამონაკლისია ლექსი – „ყვავილები და ღვინო“, რომელიც მუხამბაზივით ჟღერადობისაა. ამ ლექსს ი. კენჭოშვილი 1927 წლით ათარიღებს („გალაკტიონ ტაბიძის სამყაროში“, თბ., 1999, გვ. 27); ხოლო რ. თვარაძე კი მისი შექმნის თარიღად 1916 წელს მიიჩნევს („გალაკტიონი“, თბ., „ნაკადული“, 1972, გვ. 87).

2. გალაკტიონის ღვინოსთან მიმართებაზე იხ. თ. შარაბიძის წერილი – „ვაზი და ღვინო ქართულ მწერლობაში“, სადაც ერთ-ერთი ქვეთავი საკუთრივ გალაკტიონზეა (კრებული – „ვაზი სიცოცხლის ხე“, თბ., 2014, გვ. 145-149).

3. გალაკტიონის „უბის წიგნაკში“ ეს უსათაურო ლექსი 1949 წლის 9 მაისსაა ჩანარილი. აღსანიშნავია, რომ ციტირებული სტროფი, რამდენადმე იერცვლილი, 1956 წლის 20 იანვრით დათარიღებულ „უძილო ღამეებში“ გვხვდება (ტ. VI, გვ. 254).

4. ღვინო, როგორც შემოქმედთა შთაგონების წყარო საგანგებოდ აქვს განხილული იან პარანდოვსკის თავის წიგნში „სიტყვის ალქიმია“ (Ян Парандовский. Алхимия слова. М.: „Правда“, 1990: 123-125).

5. ზოგჯერ გალაკტიონი, ფხიზელიც კი მთვრალის ნიღაბს ირგებდა (ჯ.ჩარკვიანი, „ორი შეხვედრა“, გალაკტიონოლოგია. ტ. IV. თბ., 2008).

6. მნერალთა საპედისსერო მიჯაჭვულობა სასმელზე – იხ.: ბ. აკუნინი, მნერალი და თვითმევლელობა, „ინტელექტი“, 2014: 384-388. თუმცა, რაც შეეხება გალაკტიონს – აქ სულ სხვა რამ იკვეთება. – ქ.ე.

7. ღვინო „ვეფხისტყაოსანში“: ვ. ნოზაძე, ვეფხისტყაოსნის საზოგადოებათმეტყველება, სანტიაგო დე ჩილე. 1958, გვ. 284.

8. ღვინო მათეს სახარების მიხედვით „მაცხოვრის სისხლია“ (მათე, 26: 27-28), ხოლო ძველი აღთქმის წიგნებში კი „სახარების სიკეთედა“ სახელდებული. (იგავ., 9: 2-5; ესაი 25: 6; 55:2).

### დამოცვებანი:

**აპზიანიძე, ელაშვილი 2012:** აპზიანიძე ზ., ელაშვილი ქ. სიმბოლოთა ილუსტრირებული ენციკლოპედია. ტ. II. თბილისი: „ბაკმი“, 2012.

**აკუნინი 2014:** აკუნინი ბ. მნერალი და თვითმევლელობა. თბილისი: „ინტელექტი“, 2014.

**გამსახურდია 1991:** გამსახურდია ზ. ვეფხისტყაოსნის სახისმეტყველება. თბილისი: „მეცნიერება“, 1991.

**ელაშვილი 2012:** ელაშვილი ქ. „ცისა ფერის მხატვრული დიაპაზონი „ცის-ფერყანწლებთან“. ლექსმცოდნეობა. ტ. V. თბილისი: ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2012.

**თვარაძე 1972:** თვარაძე რ. გალაკტიონი. თბილისი: „ნაკადული“, 1972.

**კენჭოშვილი 1999:** კენჭოშვილი ი. გალაკტიონ ტაბიძის სამყაროში. თბილისი: 1999.

**კვესელავა 1977:** კვესელავა მ. პოეტური ინტეგრალები. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“, 1977.

**ნოზაძე 1958:** ნოზაძე ვ. ვეფხისტყაოსნის საზოგადოებათმეტყველება. სან-ტიაგო დე ჩილე: 1958.

**რობაქიძე 2012:** რობაქიძე გრ. ნანერები. წიგნი მეოთხე. თბილისი: ლიტერატირის მუზეუმი, 2012.

**პარანდოვსკი 1990:** Парандовский Ян. *Алхимия слова*. Москва: “Правда”, 1990.

**ტაბიძე 1966:** ტაბიძე გ. თხზულებანი. ტ. I. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“, 1966.

**ტაბიძე 1966ა:** ტაბიძე გ. თხზულებანი. ტ. II. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“, 1966.

**ტაბიძე 1973:** ტაბიძე გ. რჩეული. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“, 1973.

**ტაბიძე 1975:** ტაბიძე გ. თხზულებანი. ტ. XII. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“, 1975.

**ტაბიძე 1992:** ტაბიძე გ. უბის წიგნაკო. თბილისი: 1992.

**ტაბიძე 2002:** ტაბიძე ნ. გალაკტიონოლოგია (ძიებანი და არაბესკები). თბილისი: 2002.

**შარაბიძე 2014:** შარაბიძე თ. „ვაზი და ღვინო ქართულ მწერლობაში“. ვაზი სიკოცელის ხე. თბილისი: „ქართული ღვინის ასოციაცია“, 2014.

**ჯავახაძე 1988:** ჯავახაძე ვ. უცნობი. თბილისი: „ნაკადული“, 1988.

## GOCHA KUCHUKHIDZE

*Georgia, Tbilisi*

*Shota Rustaveli Institute of Georgian Literature*

### One Detail from Galaktion Tabidze's Biography

According to the memories of Georgian emigrant Valiko Chubinidse, Georgia's former Prime Minister Noe Ramishvili in 1927 had created a special group in order to offer Georgian writers moving from the Soviet Union to France for residence.

According Galaktion's relative Vasil Kikvadze, Galaktion Tabidze told about his invitation to Paris by Georgian emigrants.

The similarities of memories of Valiko Chubinidze and Vasil Kikvadze make us think that Galaktion Tabidze has really met to emigrant or emigrants and refused to stay in emigration because he would be more useful in Georgia.

**Key words:** Galaktion Tabidze and Georgian emigration.

## გორჩა კუტურის

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

## ერთი დეტალი გალაქტიონ ტაბიძის ბიოგრაფიიდან

ქართველი პოლიტიკური ემიგრანტის – ვალიკო ჩუბინიძის მოგონებაში, რომელიც გამოქვეყნებულია პარიზში გამომავალ ქართულ გაზეთში – „თავისუფლების ტრიბუნა“ (1981, №35), ყურადღებას იქცევს ერთი ცნობა, რომელმაც, შესაძლოა, საინტერესო დეტალით შეავსოს გალაქტიონ ტაბიძის ბიოგრაფია. მოგონებაში ვკითხულობთ, – 1927 წელს ნოე რამიშვილი „შემეკითხა ქართველი მწერლების შესახებ, ვინ უფრო აქტიურობს, ან ვისი ჩამოყვანაა სასურველი აქ სამუშაოდ“. ჩემი პასუხი იყო გალაქტიონ ტაბიძე. რაში გამოიხატება გალაქტიონის ეს აქტიურობა? მკითხა ნოემ. მე მივუგე: გალაქტიონ ტაბიძემ შესანიშნავი ლექსი დაბეჭდა „მნათობ 5“-ში 1924 წლის აჯანყების შესახებ. მაშინ „მნათობის“ რედაქტორად იყო ცნობილი ძველი ბოლშევიკი მიშა კახიანი. „მნათობის“ ამ ნომერს მთლიანად რეკვიზიცია უყვეს, კახიანი მოხსნეს და მის მაგივრად დანიშნეს სილვია თოდრია. გალაქტიონს ძველ ბოლშევიკებს შორის ჰყავდა მეგობრები, რომლებმაც დაჭრას გადაარჩინეს. „მნათობის“ ეს ნომერი, სხვა ფოსტასთან ერთად მე გადმოგზავნილი მქონდა სტამბოლში. გ. ტაბიძე კარგია, მითხრა 6. რამიშვილმა, მაგრამ ის რომ არ დათანხმდეს ჩამოსვლაზე, მაშინ? მაშინ, მივუგე მე, არიან: კონია გამსახურდია, დათიკო თურდოსპირელი (ჩხეიძე), დამფუძნებელი კრების ჩვენი პარტიის დეპუტატი, და გრიგოლ რობაქიძე მეთქი. ნოე რამიშვილმა ეს საკითხი დააყენა ცენტრალურ ბიუროში, 1927 წლის დეკემბერში. ბიურომ აირჩია კომისია: ნოე რამიშვილი, დათიკო შარაშიძე და ვასო ნულაძის შემადგენლობით; ვალიკო ჩუბინიძე განაგრძობს: „ამის შემდეგ დიდი დრო არ ვასულა, პარიზში, მსოფლიო მწერალთა ყრილობაზე დასასწრებლად ჩამოვიდა გალაქტიონ ტაბიძე. მის სანახავად, სხვათა შორის, მივიდნენ: სიმონიკა ბერეზიანი, ილია ზდანევიჩი და ჩვენი გოგი ნოზაძე. არ ვიცი, ესენი მიიღო თუ არა გ. ტაბიძემ, მაგრამ ნოე რამიშვილის დავალებით ის ინახულა

დათიკო შარაშიძემ, ერთად ივახშმეს, ბევრი იმუსაიფეს. გ. ტაბიძემ უარი უთხრა აյ ჩამოსვლაზე სამუშაოდ. მე იქ მეტს გავაკეთებო. მხოლოდ დ. შარაშიძემ ბევრი საინტერესო ცნობები მიიღო მისგან, რომ-ლებიც გამოიყენა მის წიგნში ანრი ბარბიუსის „შესახებ“ (ჩუბინიძე 1981: 68-69).

1935 წელს პარიზში ფაშიზმისაგან კულტურის დასაცავად მწერალთა კონგრესი გაიმართა, მასში 36 ქვეყნის 230 ნარმომადგენელი მონაწილეობდა. კონგრესის მოწვევის ინიციატორები იყვნენ: ანდრე ჟიდი, ანრი ბარბიუსი, ანდრე მალრო, რომენ როლანი... საბჭოთა კავშირიდან მონაწილეობდნენ: ილია ერენბურგი, ნიკოლაი ტიხონოვი, ალექსეი ტოლსტოი, ბორის პასტერნაკი, ალექსანდრ კორნეიჩუკი და სსვები, საქართველოდან – გალაკტიონ ტაბიძე; დაუსწრებლად საბჭოთა კავშირიდან მონაწილეობას დებულობდნენ: მაქსიმ გორკი და მიხაილ შოლოხოვი. თავის მოგონებაში სწორედ ხსენებულ კონგრესს გულისხმობს ვალიკო ჩუბინიძე.

რამდენადაც იმხანად საბჭოთა კავშირი, როგორც ფაშიზმთან დაპირისპირებული ძალა, მწერალთა და ხელოვანთა გარკვეულ წრეებში საკმაოდ პროგრესულ ქვეყნად მიიჩნეოდა, კონგრესის გამართვის იდეას ბევრი მხარდაჭერი ჰყავდა. როგორც ფაშიზმთან დაპირისპირებული – ეს კონგრესი საყოველთაო ყურადღების ცენტრში მოექცა. ფაშიზმის .წინააღმდეგ სიტყვით გამოვიდნენ: ანდრე ჟიდი, ლუის არაგონი, თომას მანი, პაინრიჩ მანი, ლიონ ფონტგანგერი, ოლდოს პაქსლი, სელმა ლაგერლოფი, სხვები და სხვები.

სიტყვით გამოვიდა გალაკტიონ ტაბიძეც:

– „მე ჩამოვედით თავისუფალი ქვეყნიდან. მე ვლაპარაკობ ენაზე, რომელიც დღეს თავისუფლად ვითარდება და ძველი ქართული ლიტერატურის მდიდარ მემკვიდრეობაში ცოცხლობს. საქართველომ ძლიერი გარდაქმნები განიცადა. მიუვალი, გაძარცული, დაჩაგრული ქვეყნიდან იქცა ინდუსტრიულ, თავისუფალ ქვეყნად, ნაციონალური შუღლი დღეს მხოლოდ ნარსულ მოგონებად დარჩა“ (ტაბიძე 1975: 101).

გალაკტიონის სიტყვა, ფრანგულად თარგმნილი, სხვამ წაიკითხა.

ცხადია, პარიზში საბჭოთა დელეგაციის წევრების შერჩევა გასაგზავნი კანდიდატურების პიროვნებათა ყოველმხრივი გათვალისწინების გარეშე არ მოხდებოდა. ზოგს, იქნებ, რაიმე განსაკუთრებული დავალება ჰქონდა მიცემული, ზოგს კი მხოლოდ იმიტომ უბოძებდნენ გამგზავრების ნებას, რომ დარწმუნებული იყვნენ, – მომავალი დელეგატი არავითარ ზიანს არ მიაყენებდა საბჭოთა კავშირს, არ გადასცდებოდა იმ საზღვრებს და ნორმებს, რომლებსაც გამგზავრების წინ მისცემდნენ და მრავალთა წინაშე გამოჩნდებოდა, რომ მართლა ნიჭიერი ადამიანი

დაფასებულია და არავინ კეტავს მას საბჭოეთში. გალაკტიონ ტაბიძის გაგზავნა სწორედ ამ ნიშნით იქნებოდა განპირობებული.

გალაკტიონ ტაბიძე საფრანგეთში გამგზავრების წინ ლავრენტი ბერიასთან იყო დაბარებული. ცხადია, მას საფრანგეთში მოქცევის შესახებ დაარიგებდა ლავრენტი ბერია, ასეთი მაღალი რანგის შეხვედრა განსაკუთრებულად აგრძნობინებდა პასუხისმგებლობას გალაკტიონს.

ამ საკითხებს გასულ წელს წიგნი მიუძღვა ენვერ ნიუარაძემ (ნიუარაძე 2015). აგტორს, სხვა არაერთ საკითხთან ერთად, იმ გარემოებაზეც აქვს ყურადღება გამახვილებული, რომ 1934 წელს გალაკტიონ ტაბიძემ მონაწილეობა ვერ მიიღო საბჭოთა კავშირის მწერალთა კავშირის პირველი ყრილობის მუშაობაში. სტალინმა მოიკითხა, მოინაკლისა იგი. წიგნის ავტორი სავსებით მართებულად ვარაუდობს, რომ, შესაძლოა, „სტალინმა განაპირობა მისი შეყვანა საბჭოთა წარგზავნილობაში“ (ნიუარაძე 2015: 54). საბჭოთა უშიშროების ორგანოები, პირადად სტალინი, ცხადია, მშვენივრად იცნობდნენ გალაკტიონს, იცოდნენ, რომ საბჭოთა კავშირთან გაცხადებულ ბრძოლას არ დაიწყებდა იგი და საბჭოეთის საქებრად ზოგადი ფრაზების თქმაზეც ვერ გაძედავდა უარს.

გალაკტიონი თავის ჩანაწერებში, პარიზის დღეებზე მოგონებების დროს, ცხადია, არ არის თავისიუფალი, – წერს იმას, რაც საშიში არაა, რაც მისაလებია საბჭოთა ცენზურისათვის.

„იდუმალი მეთვალყურე“, ცხადია, დიდი ყურადღებით დააკვირდებოდა საბჭოთა დელეგატების ყველა საქციელს, სხვა მრავალს შორის, დააკვირდებოდა იმასაც, შეხვდა თუ არა გალაკტიონი ქართველ ემიგრანტებს, თუ შეხვდა, რა ისაუბრეს ერთმანეთში. გალაკტიონს ამ საკითხეზე აუცილებლად ექნებოდა ლავრენტი ბერიასაგან გაფრთხილება მიღებული.

ქართული პოლიტიკური ემიგრაცია პოლიტიკური მოსაზრებებით განუდგა ხსენებულ კონგრესს და მასთან სიახლოვე არ ისურვა. მაგრამ, როგორც ვნახეთ, გალაკტიონის მიმართ მათ, ყოველ შემთხვევაში, ნოე რამიშვილს, ვალიკო ჩუბინიძეს, კეთილგანწყობა ჰქონიათ, – მიაჩნდათ, რომ გალაკტიონმა პოემაში – „მოგონებები იმ დღეების, როცა იელვა“ 1924 წლის აჯანყება აღნერა, რომ ამ აჯანყებას გულისხმობდა სიტყვებში – „გამარჯვებულნი სასტიკ ხელით აღრჩობენ ტყვეებს, ჰყაფავენ, ხვრეტენ, ხალხის სახელით უსპობენ დღეებს“... „და მთელი კვირა სადგურს იქით მატარებელი, იდგა, შიგ მკვდრები ეყარა რიგით უფარებელი“... პოემაში აღწერილი მოვლენები, თითქოს, საქართველოში არ ხდება, მაგრამ ქართველ ემიგრანტებს გალაკტიონისეულ მატარებელში ის მატარებელი ამოუცვნიათ, რომელშიც ამბოხებულები

ჩაცხრილეს ბოლშევიკებმა. საბჭოთა კავშირშიც სწორედ ასე აღიქვეს გალაკტიონის პოემა და ამიტომ გაანადგურეს უურნალის ტირაჟი და დააპატიმრეს გალაკტიონი. შემდეგ ოლია ოკუჯავას მეგობრები დახემარნენ გალაკტიონს გათავისუფლებაში.

გასარკვევია, მივიღნენ, თუ არა, პოეტის სანახავად საქართველო-დან გახიზნული ქართველები, რამდენად შეესაბამება სიმართლეს ვალიკო ჩუბინიძის ცნობა გალაკტიონისა და დათიკო შარაშიძისა, თუ რამდენიმე ქართველი ემიგრანტის, შეხვედრის შესახებ.

ნოე რამიშვილი 1930 წელს მოკლეს, გალაკტიონი კი 1935 წელს ჩავიდა საფრანგეთში. გამომდინარე აქედან, გამოითქმულია მოსაზრება, რომ ცნობა გლაკტიონისა და ქართველი ემიგრანტისა, თუ ემიგრანტების, შეხვედრის შესახებ არ არის სწორი, მიჩნეულია, რომ, რამდენადაც ნოე რამიშვილი კონგრესის გამართვის დროს, ე. ი. 1935 წელს, გარდაცვლილი იყო, იგი, ცხადია, ველარაფერს დაავალებდა დათიკო შარაშიძეს.

მაგრამ სენებულ საკითხზე ფიქრისას, ბუნებრივია, იბადება კითხვა, – საიდან მოაქვს ვალიკო ჩუბინიძეს ცნობა, რომლის თანახმად, ყველა მის მიერ სენებული ქართველი ემიგრანტი თუ არა, – დათიკო შარაშიძე შეხვდა გალაკტიონს და რომ მათ ბევრი იმუსაიფეს და გალაკტიონმა უარი უთხრა პარიზში გადასახლებაზე იმ მოტივით, რომ საქართველოში მეტ საქმეს გააკეთებდა? რატომ წერს ვალიკო ჩუბინიძე, რომ მათი შეხვედრის ინიციატორი ნოე რამიშვილი იყო?

შეხვედრისა და საუბრის, გალაკტიონისაგან უარის ფაქტს ქართველი ემიგრანტი ვერ გამოიგონებდა, არაფერში სჭირდებოდა მსგავსი რამ. ძალიან საეჭვოა, რომ დეტალები „ბევრი მუსაიფის“ შესახებ გამოგონილი იყოს.

ეს ფაქტები ფანტაზიდან მოტანილს არ გავს, ამ შემთხვევაში სულ სხვა რამ არის საფიქრებელი:

ან უნდა მივიჩნიოთ, რომ ვალიკო ჩუბინიძეს მოგონებების წერის დროს მოხუცებულობის გამო აღარ ახსოვდა, რომ 1935 წელს ნოე რამიშვილი ცოცხალი აღარ იყო, ან ის არის საფიქრებელი, რომ მან გალაკტიონთან დათიკო შარაშიძის შეხვედრა ნოე რამიშვილის მიერ 1927 წელს მიცემული დავალების შესრულებად აღიქვა, შესაძლოა, კარგად ახსოვდა, რომ ამ კონგრესის გამართვამდე საკმაოდ ადრე, 1927 წელს, ნოე რამიშვილმა გალაკტიონთან შეხვედრა დაავალა დათიკო შარაშიძეს და 1935 წლის შეხვედრის ფაქტი, შესაძლოა, ისე აღიქვა, რომ უკვე გარდაცვლილი ნოე რამიშვილის დავალება მოგვიანებით შეასრულა დათიკო შარაშიძემ. ვფიქრობთ, რომ ეს მეორე მოსაზრება უფრო ახლოსაა სიმართლესთან.

ქართველი ემიგრანტის მიერ ფაქტების გადმოცემაში, ვფიქრობთ, არაფერია არაბუნებრივი, – იგი გვამცნობს, რომ ნოე რამიშვილმა 1927 წელს დავით შარაშიძეს გალაკტიონთან მოლაპარაკება დაავალა, შემდეგ კი გვიამბობს, თუ როგორ შეხვდა ქართველი ემიგრანტი 1935 წელს, ანუ იმ დროს, როცა, როგორც ვიცით, ნოე რამიშვილი ცოცხალი უკვე აღარ იყო, გალაკტიონს. არაფერია ამ მონათხრობში გაურკვეველი. არ არსებობს მტკიცე საფუძველი, რამაც შეიძლება, რომ ვალიკო ჩუბინიძის მოგონების სიმართლეში დაგვაეჭვოს.

ორსავე შემთხვევაში ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ კონგრესის მიმდინარეობის დროს გალაკტიონი მართლაც შეხვედრია დათიკო შარაშიძეს, თუ რამდენსამე ქართველ ემიგრანტს, და ვალიკო ჩუბინიძეს ეს შეხვედრა იმ მიზნის განხორციელებად აღუქვამს, რომელიც 1927 წელს ნოე რამიშვილმა დასახა. ვალიკო ჩუბინიძის თანახმად, როგორც ვნახეთ, დათიკო შარაშიძის გარდა, სიმონ ბერეჟიანი, ილია ზდანევიჩი და გოგი ნოზაძე უნდა მისულიყვნენ გალაკტიონთან. გადაჭრით ძნელია თქმა, დათიკო ჩუბინიძის გარდა, ზუსტად რომელ ქართველ ემიგრანტთან შეეძლო გალაკტიონს შეხვედრა.

ყოველივე ზემოთქმულთან დაკავშირებით ძალიან საყურადღებოა ერთი ფაქტი, რომელსაც, ვფიქრობთ, მეტი სინათლე შეაქვს საკითხში. არსებობს სხვა ცნობაც პარიზში გალაკტიონისა და ქართველი ემიგრანტების შეხვედრის შესახებ:

გალაკტიონის მეუღლის დეიდაშვილს, ვასილ კიკვაძეს, მოთხრობილი აქვს გალაკტიონის ერთი მოგონების შესახებ, – გალაკტიონს მისთვის უთქვამს:

– „ერთხელ ჩემი საღამო იყო დანიშნული, მაგრამ მოვიდნენ ქართველი ემიგრანტები და გადამადებინეს საღამო, წამობრძანდით ჩვენთან და უკეთეს საღამოს მოგინყობთო.“ შემდეგ: – „ჰი, ჰი, ქართველი რომ არ იშლის ქართველობასო! – გულიანად ჩაიცინა“ (ზარნაძე 2004: 247).

გალაკტიონის ეს მოგონება პარიზს შეეხება და, რამდენადაც ვალიკო ჩუბინიძის მოგონებასთან ახლოს დგას პოეტის მონათხრობი, რამდენადაც ორი მოგონება ერთმანეთს ემთხვევა, გალაკტიონის მოგონება პოეტის მისტიფიკაციას არ გავს, – საფიქრებელი ხდება, რომ ერთ-ერთი ქართველი, რომელსაც გალაკტიონი პარიზში შეხვედრია, დათიკო შარაშიძე კი არა, – რამდენიმე ქართველი მისულა გალაკტიონთან.

თუ ვირწმუნებთ, რომ შეხვედრა სუფრაზე მოხდა, მაშინ ძნელი არ არის იმ ატმოსფეროს წარმოდგენა, რომელიც იქ იქნებოდა გამეფებული, – ამ შემთხვევაში საფიქრებელი ხდება, რომ მეგობრული შეხვედრა

გამართულა, რომ ამ დროს უხსენეს გალაკტიონს პარიზში გადასვლა და სწორედ მაშინ თქვა, რომ საქართველოში უფრო მეტ კარგ საქმეს გააკეთებდა ქვეყნისთვის, ვიდრე – ემიგრაციაში წასვლით.

თუ მივიჩნიერთ, რომ სუფრაზე არ წასულა გალაკტიონი, მაშინ ის ხდება საფიქრებელი, რომ მიწვევით მართლა მიიწვიეს იგი სუფრაზე, რომ მიპატიუჟაზე უარი თქვა და ემიგრირება სწორედ მაშინ უხსენეს. ამ შემთხვევაში უნდა ვივარაუდოთ, რომ სუფრაზე არა, მაგრამ სხვა ადგილას ჰქონდათ ამ საკითხზე საუბარი და ემიგრაციაში წასვლაც მაშინ შესთავაზეს გალაკტიონს, დასაშვებია აზრი, რომ სწორედ აქედან იღებს სათავეს ვალიკო ჩუბინიძის ცნობა ბევრი მუსაიფის შესახებ. როგორც ჩანს, სიტყვები იმის შესახებ, რომ საქართველოში მეტ საქმეს გააკეთებდა, სადღაც მაინც ითქვა, – თუ სუფრაზე არა, სხვა ადგილას მაინც გაიმართებოდა ეს „მუსაიფი“. მაშინ ჯერ 1937 წელი არ იღგა და შიშიც იმდენად ძლიერი არ იყო. პარიზში გამართულ შეკრებას რუსი ემიგრანტები სტუმრობდნენ ხოლმე. მარინა ცვეტაევას, მაგალითად, თავისუფალი ურთიერთობა ჰქონდა თავის საბჭოელ კოლეგებთან. იგი, როგორც ეს ილია ერენბურგის მოგონებებიდან ირკვევა, თავის ლექსებს უკითხავდა ბორის პასტერნაკს... ასეთ ვითარებაში არაფერია იმაში უჩვეულო, რომ გალაკტიონის მიმართ ლოიალურად განწყობილი ზოგიერთი ქართველი ემიგრანტიც მისულიყო პოეტან, ეცადა მასთან საუბარი. ვითარება ისეთი ჩანდა, რომ გალაკტიონს ამით განსაკუთრებული საშიშროება არ შეექმნებოდა. ყოველ შემთხვევაში, შესაძლოა, ასე მიიჩნიეს ქართველმა ემიგრანტებმა და იმიტომაც გაბედეს მასთან სტუმრობა და სუფრაზე მიწვევა. ვიმეორებთ, – რუსი ემიგრანტები მიდიოდნენ კონგრესზე რუს პოეტებთან და მეგობრებთან შესახვედრად და არაფერია იმაში უჩვეულო, იგივე რამდენიმე ქართველ ემიგრანტსაც გაეკეთებინა, – მას, რომელსაც უარყოფითი, ან ბოლომდე უარყოფითი, დამოკიდებულება არ ჰქონდა ქართველი პოეტის მიმართ. საერთოდ, ქართველი პოლიტიკური ემიგრანტები დადებით დამოკიდებულებას ვერ ამჟღავნებდნენ იმ მოღვაწეთა მიმართ, ვინც, ნებსით თუ უნებლიერ, აღიარებდნენ საბჭოთა წყობილებას.

ჩვენ უფრო გვგონია, რომ სუფრაზე არ მოხდებოდა ეს შეხვედრა. მიუხედავად იმისა, რომ, გალაკტიონზე შემონახული მოგონების თანახმად, პოეტს უთქვამს, – გადამადებინეს შეხვედრაო, დარწმუნებით მაინც ვერ ვიტყვით, რომ სუფრაზე ეწვია პოეტი ქართველ ემიგრანტებს. გალაკტიონის სიტყვები ან არასწორად იქნება შემონახული, ან – არასწორად გაგებული... ის კი აშკარად საფიქრებელი ხდება, რომ სადღაც მაინც მოხდა შეხვედრა, მიწვევა და საუბარი. არ არის შეუძლე-

ბელი, რომ ქართველი ემიგრანტი, თუ რამდენიმე ემიგრანტი, პარიზში კონგრესზე ყოფნისას მართლა ეწვია გალაკტიონს და რომ სუფრაზეც მიიჩვეის იგი. ვალიკო ჩუბინიძისა და თავად გალაკტიონის მოგონებები ცხადად მიგვანიშნებს ამ გარემოებაზე, ეს ორი ცნობა ჰარმონიაშია ერთმანეთთან. ვიმეორებთ, – როგორც ჩანს, სადღაც მაინც ითქვა სიტყვები, რომ საქართველოში მეტი კარგი საქმის გაეთება იქნებოდა შესაძლებელი, სრულიად უსაფუძვლოდ ვერ გაჩნდებოდა ვალიკო ჩუბინიძის ცნობა გალაკტიონისაგან ემიგრირებაზე უარის შესახებ. თუ მიპატიუებაზე უარი თქვა გალაკტიონმა, თუ პარიზზე პოეტის მოგონება ამა თუ იმ მიზეზის გამო ბოლომდე ზუსტად ვერ ასახავს რეალობას, ორი ცნობის ურთიერთსიახლოვე იმ ვარაუდს მაინც აშკარად ბადებს, რომ რაღაც ურთიერთობა ჰქონია გალაკტიონს ემიგრანტებთან. პოეტის მოგონების თანახმად, გალაკტიონთან შეხვედრა ყოფილა დანიშნული და სწორედ მაშინ მიუპატიუებიათ იგი ქართველ ემიგრანტებს. შესაძლოა, ეს მოგონება ბოლომდე ზუსტად ვერ ასახავდეს სიმართლეს, – არ არის გამორიცხული, რომ საბჭოთა მწერლებთან და, მათ შორის, გალაკტიონთან, დანიშნულ ერთ-ერთ შეხვედრაზე, შესაძლოა, ამ შეხვედრის წინ, ეწვივნენ გალაკტიონს ქართველი ემიგრანტები. ალბათ, ექნებოდა პოეტს მათთან სუფრაზე მისვლის სურვილი, იქნებ, შემდგომში იმას ყვებოდა, რომ ლამის გადაადგინეს და ჩააშლევინეს ეს შეხვედრა ქართველმა ემიგრანტებმა, მაგრამ საეჭვოა, რომ ოფიციალურ შეხვედრაში მონანილეობაზე უარი ეთქვა და სანადიმოდ წასვლაზე დათანხმებულიყო, – ეს ძალიან საშიში ნაბიჯი იქნებოდა მისი მხრიდან. მოსანახულებლად მისულ სტუმარს, თუ სტუმრებს, კი ვერსად დაემალებოდა და შეხვედრა მართლაც მოხდებოდა. საბჭოთა ორგანოები სტუმრისაგან დამალვას, ალბათ, არ მოსთხოვდნენ დელეგაციის წევრებს. და, თუ ვინმე ეწვია პარიზში გალაკტიონს, თუ სუფრაზე წასვლაზე უარი თქვა პოეტმა, სწორედ მაშინ გადაუკრავდნენ სიტყვას ემიგრაციაში წასვლის შესახებ. როგორც უკვე ითქვა, ჩვენ უფრო ეს მეორე აზრი გვგონია სიმართლესთან ახლოს.

ვფიქრობთ, პარიზში 1935 წელს ქართველ ემიგრანტებთან ამა თუ იმ სახით ურთიერთობა ჰქონია გალაკტიონს. და, თუ კვლევამ დაადასტურა ვარაუდის სისწორე, პოეტის ბიოგრაფიის ეს მცირე დეტალი, მისი ცხოვრების გადმოცემისას, ცხადია, უყურადლებოდ არ უნდა დარჩეს.

## **დამოცვებანი:**

**ზარნაძე 2004:** ზარნაძე გ. ოქუპაციის და სხვები, ესეი, პაროდია. თბილისი: 2004.

**ნიუარაძე 2015:** ნიუარაძე ე. საქართველო-პარიზი სხვადასხვა ქნარებია. თბილისი: 2015.

**ტაბიძე 1975:** ტაბიძე გ. „პარიზის ჩანაწერები“. ტაბიძე გ. თხზულებანი. ტ. XII. თბილისი: 1975.

**ჩუბინიძე 1981:** ჩუბინიძე ვ. „ჩემი დღიურიდან“. გამ. „თავისუფლების ტრიბუნა“, № 35, 12. პარიზი: 1981.

## **MAIA NATCHKEBIA**

*Georgia, Tbilisi*

*Shota Rustaveli Institute of Georgian Literature*

### **“Vanutas Vanitatum” and the “Life is Dream” in Galaktioni’s Villanelle**

#### **(Dialogue Nature of the motifs: Baroque and Modernism)**

Dialogue nature of Baroque is illustrated by the fact that in the following epochs it permanently accumulates its substance through creative motifs, images and techniques, determining, to certain extent, the dynamics of these epochs. Crisis epochs are characterized with turning to the religious themes. Baroque was one of such epochs and later, to certain extent, modernism could be regarded in the same context. Galaktion Tabidze’s “Villanelle” demonstrating the dialogue nature with such motifs of Baroque literature as ‘*vanitas vanitatum*’ and ‘*life is a dream*’.

**Key Words:** Baroque, Modernism, Galaktion Tabidze, “Villanelle”, ‘*vanitas vanitatum*’, ‘*life is a dream*’.

## მაია ნაზევგია

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

“*Vanitas vanitatum*” და „*ცხოვრება – სიზმარია*“

გალაკტიონის „ვილანელში“

(მოტივების დიალოგურობა: ბაროკო და მოდერნიზმი)

ყოველი ლიტერატურული ეპოქა სულიერი პროცესების რთული ურთიერთებავშირებისგან შედგება და თავისებურად ასახავს სინამდვილეს. დიალოგის ძირითად ტენდენციებს ამა თუ იმ მოვლენებთან დაკავშირებული კულტურული სახე-ხატები გამოხატავენ, ამის ილუსტრაციად კი ბაროკოს მოვიხმობთ, რომლის ბუნების დიალოგურბა იმაში მდგომარეობს, რომ შემდგომ ეპოქებში იგი მუდმივად ახდენს თავისი არსის კუმულირებას მხატვრული მოტივების, სახეებისა და ხერხების მეშვეობით, რაც გარკვეულნილად განსაზღვრავს ამ ეპოქების ფორმირების დინამიკას. კრიზისული ეპოქებისთვის დამახასიათებელია მიბრუნება რელიგიური თემებისკენ, ასეთი ეპოქა იყო ბაროკო, გარკვეულნილად ამავე ჭრილში, მოტივების დიალოგურობის თვალსზერისით, შეიძლება განვიხილოთ ბაროკოსა და მოდერნიზმის ლიტერატურული მოტივები. ბაროკოს ფილოსოფიურ ბაზად „ეკლესიასტე“ იქცა, რომელშიც ამ ეპოქის ავტორებმა მათთვის ყველაზე ორგანულ ტექსტს მიაკვლიერს. ეკლესიასტეს ანტინომიურობა მაგნიტივით იზიდავდა ბაროკოს ეპოქის ავტორებს, რომელთათვისაც ანტითეზა სააზროვნო სისტემას წარმოადგენდა. წარმავალ, ამოუხსნელ სამყაროში „ეკლესიასტე“ ადამიანის სულიერ ძიებებს პასუხობდა და ამიტომ იქცა მის დევიზად „ამაოება ამაოთა, ამაოება ამაოთა, ყოველივე ამაო“ (ეკლესიასტე 1:2). ვინაიდან კრიზისულ ეპოქებში წინა პლანზე ყოველთვის წამოინევს ხოლმე რელიგიური ძიებანი, ამ მხრივ საყურადღებოა რუსული ლიტერატურის „ვერცხლის საუკუნე“: რუსეთში XX საუკუნის დასაწყისი ალბეჭდილი იყო რელიგიურ-ფილოსოფიური კამათებით, ხდებოდა საერო ფილოსოფიისა და ლიტერატურის დაახლოება მართლმადიდებელ ღვთისმეტყველებასთან და ასე ეყრებოდა საფუძველი „ვერცხლის საუკუნის“ სინთეზურ ფილოსოფიას. ეს პერიოდი მეტად საინტერესოა ფილოსოფიური და მხატვრული ტექსტების დაახლოებითაც, რომელიც ეფუძნებოდა ხელოვნებათა და მეცნიერებათა სინთეზს – ერთიან, პარმონიულ ცოდნას. ამის ერთ-ერთი ნიმუშია ფილოსოფიური ფრაგმენტის დაახლოება ლიტერატურულ ჟანრებთან:

ფილოსოფიური ფრაგნებტი და ლირიკული ფრაგმენტი – ლექსი. „ვერცხლის საუკუნის“ სინთეზური ფილოსოფია ცდილობდა დაეძლია სასულიერო პირებსა და საზოგადოებას შორის არსებული გაუცხოება, „ვერცხლის საუკუნის“ ფილოსოფოსების და ლიტერატორების ოცნებამ სინთეზზე, ცოდნაზე, რომელშიც შეხამებულია ფილოსოფია და ხელოვნება მიიყვანა ტრადიციული ფილოსოფიური ჟანრების გადააზრებამდე, ეს კი განპირობებული იყო „ვერცხლის საუკუნის“ შემოქმედთა მისწრაფებით გაერთიანებინათ ფილოსოფია და ლიტერატურა, ფილოსოფია განევრცოთ, გაეფართოებინათ ლიტერატურის საზღვრებამდე. ამრიგად, რუსული ლიტერატურის „ვერცხლის საუკუნისთვის“ დამახასიათებელია ფილოსოფიური ჟანრების „გალიტერატურულება“. ფილოსოფიური ჟანრების ტრანსფორმაციასთან ერთად ხდებოდა ლიტერატურული ჟანრების დეკანონიზაციაც, სადაც ჟანრულ სისტემაში წამყვანი ადგილი ლირიკამ დაიკავა. მსხვილი ეპიკური ფორმები ჩაანაცვლა მცირე ფორმებმა, სალექსო ფორმებს შორის დომინანტური ადგილი ლირიკულმა ლექსმა დაიკავა, ამავდროულად, „ვერცხლის საუკუნის“ რუსმა პოეტებმა აღადგინეს არქაული ჟანრები: იდილია, სონეტი, ტრიოლეტი, სექსტინა, კანცონა, ბალადა, ტერცინა, ვილანელი. ამასთან, უნდა ითქვას, რომ თავისი აზრების გადმოსაცემად პოეტურ ჟანრებს ფილოსოფოსებიც იყენებდნენ (ფლორენსკი, სოლოვიოვი, კორსავინი). „ვერცხლის საუკუნის“ პოეტებმა, გარდა იმისა, რომ გადაახალისეს ჟანრული სისტემა, დანერგეს ახალიაც, მაგალითად – „ლირიკული დრამა“, მაგრამ ეს ამბოხი ჟანრული სისტემის წინააღმდეგ შერწყმული იყო კლასიციზმის, ბაროკოს, რენესანსის, შუა საუკუნეთა ევროპის და ანტიკური ჟანრული ფორმებისადმი გამძაფრებული ინტერესით.

რელიგიურ-ფილოსოფიური კამათების ფონზე არ არის გასაოცარი ამ პერიოდის რუსულ ლიტერატურაში ზოგადად რელიგიური თემებისა და მოტივების სიუხვე, ჩვენთვის კი ამ მხრივ საყურადღებოა კონკრეტულად „ეკლესიასტეს“ თემაზე შექმნილი ნაწარმოებები. ასეთებია კონსტანტინე ბალმონტის „ეკლესიასტეს მოტივზე“ (1895) და ალექსანდრე ბლოკის „ეკლესიასტე“ (1902). უნდა ითქვას, რომ ერთ-ერთი უმთავრესი წიგნი, რომელმაც ალექსანდრე ბლოკის პოეტურ კონცეფციაზე მოახდინა გავლენა, „ეკლესიასტე“ იყო. 1902 წელს დაწერილ ლექსში სათაურით „ეკლესიასტე“ ბლოკი ბიბლიური თემას ამუშავებს, რაც ლექსში ვლინდება ბიბლიიდან ნასესხები მყარი სახეებით: ქარი, წრე, წრებრუნვა, რომელიც ბლოკის პოეტურ სისტემაში მარადისობის სიმბოლოდ იქცევა (პოროლი 2012: 62-67).

„ეკლესიასტეს“ თემას ამუშავებს „ვილანელში“ (1922)\* გალაკტიონ ტაბიძე და ცხრამეტსტრიქონიან ლექსში იგი მარადიულ თემებს უყრის თავს. მოგვყავს ლექსის სრული ტექსტი:

### ვილანელი

ყოველივე ქარია და ჩვენება!  
ოჲ, სიცოცხლეც უეცარი ქარია...  
მარადია ერთადერთი: შვენება.

ყოველგვარი ღამეების თენება,  
კარგად იცი, სულო, რომ სიზმარია,  
ყოველივე ქარია და ჩვენება.

ყოველივე მერნის გადაჭენება  
ნათქვამია, როგორც ძველი არია...  
მარადია ერთადერთი: შვენება.

ისევ ნგრევა, ისევ ისე შენება  
მოსაწყენი, მგლოვიარე ზარია,  
ყველაფერი ქარია და ჩვენება.

ყოველივე: ცხედრის გამოსვენება  
მხოლოდ მაგრე ქვეყნის სულს უხარია,  
მარადია ერთადერთი: შვენება.

სამუდამო ძილი და მოსვენება  
როგორ მინდა, მაგრამ როგორ მწარეა...  
ყველაფერი ქარია და ჩვენება,

მარადია ერთადერთი: შვენება.

ლექსი ცხოვრების ნარმავლობის განცდით არის გამსჭვალული: „ყველაფერი ქარია და ჩვენება“ – ამ სტრიქონით იწყება გალაკტიონის „ვილანელი“ და ამ სიტყვებით იგი თითქოს გამოიხობს ბიბლიურ ბრძენ ეკლესიასტეს, რომელმაც ყველაფერს მიაღწია, რაც სურდა ცხოვრებაში, განიცადა ყოველივე, რაზედაც ოცნებობდა და მივიდა იმ დასკვ-

\* ვილანელს, როგორც სალექსო ფორმას, ამჯერად არ შევეხებით. ამასთან დაკავშირებული თეორიული საკითხები დაწვრილებით გვაქვს განხილული სტატიაში: „გალაკტიონის „ვილანელის“ რელიგიურ-ფილოსოფიური ასპექტები“, ლიტერატურული ძიებანი XXV, თბილისი 2004, გვ.: 331-341.

ნამდე, რომ ეს მხოლოდ ჩვენებათა უშუდეგო დევნა იყო: „ამაოება ამაოებათა, – თქვა ეკლესიასტემ, ამაოება ამაოებათა, ყოველივე ამაო“ (ეკლესიასტე, 1;2). „ვილანელის“ პირველ სტრიქონში კოდირებული ამქვეყნიური ილუზორულობის ხატის დატვირთვა ლექსში თანდათან ღრმავდება. ლექსს შინაგანი ანტითეტურობის ფესვები მის შინაარსში არის საძიებელი. ამ ანტითეტურობის არსი მდგომარეობს წარმავალი-სა და ილუზორულის: „ყველაფერი ქარია და ჩვენება“ – მარადულთან დაპირისპირებაში: „მარადია ერთადერთი: შვენება“.

ორივე ეს სტრიქონი, როგორც ლაიტმოტივი, ლექსში ოთხჯერ მე-ორდება, რაც თვითონ ვილანელის, როგორც სალექსო ფორმის სტრუქ-ტურაშია ჩადებული და რაც გალაკტიონშია გამოიყენა ლექსისათვის განსაკუთრებული ექსპრესიულობის მისანიჭებლად: პოეტმა განმეო-რებად სტრიქონებს თეზისა და ანტითეზისის ფუნქციი დაკისრა – „ყოველივე ქარია და ჩვენება“ – ინყებს პირველ ტერცეტს და როგორც დამამთავრებელი ტაეპი, ასრულებს მეორე, მეოთხე და მეექვსე ტერ-ცეტებს. „მარადია ერთადერთი: შვენება“ – ამთავრებს პირველ, მესამე და მეხუთე ტერცეტებს და მეცხრამეტე ტაეპის სახით წარმოადგენს დასკვნას. პირველი სტრიქონის გარკვეული ინტერვალით გამეორება ცხოვრების უსასრულო წრებრუნვის მოდელს წარმოადგენს, მეოთხვ-ელში ამაოების განცდის გაღრმავებას ინვეცს და ჩნდება ეკლესიასტეს სიტყვების ასოციაცია: „რაც ყოფილა, იგივე იქნება და რაც მომხდარა, იგივე მოხდება, არაფერია მზის ქვეშ ახალი“ (ეკლესიასტე, 1;9).

მთელი ლექსის მანძილზე ამგვარი ემოციური შეფერილობა არ ნელდება, იცვლება თავად სურათი, რომელიც აზუსტებს სიტუაციას, პირველი სტრიქონიდან მომდინარეობს და თემის გაშლას წარმოადგენს. შეიძლება პირობითად ითქვას, რომ ლექსში ორი პოლუსი ან ორი „სიდიადეა“, რომელთაგან ერთი წარმოადგენს პესიმისტურ განსჯას წუთისოფლის პრინციპულ საკითხებზე, ხოლო მეორე მუდმივია; მას არ ახლავს თემის დაზუსტება თუ განსჯა, იგი ფორმულის სახით არის ჩამოყალიბებული და როგორც მარადიულ რელიგიურ კატეგორიას, არ სჭირდება დასაბუთება – იგი წნმენის საგანს წარმოადგენს. მასა-სადამე, პოეტის ერთგვარ გაორებას, რომელიც საკუთარ თავთან კა-მათში გამოიხატა, ქმნის თეზისის – „ყოველივე ქარია და ჩვენება“ და ანტითეზისის – „მარადია ერთადერთი: შვენება“ – დაპირისპირება, სა-დაც საბოლოოდ იმარჯვებს ანტითეზისი, რადგანაც შემთხვევითი არ არის ლექსის დასრულება სტრიქონით – „მარადია ერთადერთი: შვენე-ბა“, რომელიც ამავე დროს პოეტის მსოფლმხედველობის გამოხატვაა დასკვნის სახით.

რაც შეეხება ლექსის ცვლად „სიდიდეებს“, უნდა აღინიშნოს, რომ ამ მონაკვეთებს აყალიბებს ისეთი ლექსიკა, როგორიცაა: „ყოველივე ქარია და ჩვენება“, „ოჳ, სიცოცხლეც უეცარი ქარია“, „ნათქვამია, როგორც ძველი არია“, „ისევ ნგრევა, ისევ ისე შენება“. ამაოების განცდის გამომწვევა ამ სტრიქონებს აშკარა პარალელები ეძებნება „ეკლესიასტესში“. ამგვარად, გალაკტიონის „ვილანელში“ შეიძლება გამოიყოს ეკლესიასტეს სამი ძირითადი პოსტულატი:

**ამაოება**

**ამაოებათა:**

1) „ყოველივე ქარია და ჩვენება!“

2) „ოჳ, სიცოცხლეც უეცარი ქარია...“

**არაფერია მზის**

**ქვეშ ახალი:**

1) „ნათქვამია, როგორც ძველი არია...“

**ცხოვრების**

**დამქრინცველი**

**წრებრუნვა:**

1) „ისევ ნგრევა, ისევ შენება“

„აანვიცადუ ყოველი საქმე, რაც კი მომხდარა მზის ქვეშეთში; და აპა, ვცანი – ამაო არის ყველაფერი და ქარის დევნა“ (ეკლესიასტე, 1;14).

„და შევიძულე მე ეს ცხოვრება, რადგან მემნარა ყველაფერი, რაც მზის ქვეშ ხდება, რადგან ყოველი ამაოა, ქარების დევნა“ (ეკლესიასტე, 2;17).

„რაც ყოფილა იგივე იქნება და რაც მომხდარა, იგივე მოხდება; არაფერია მზის ქვეშ ახალი. ნახავენ რასმე და იტყვიან: აპა, ახალი, ესეც ყოფილა ჩვენს წინარე საუკუნეებში“ (ეკლესიასტე, 1;9-10).

„ყოველივეს თავის დრო აქვს და ყველაფერს თავისი ჟამი ამ ცისქვეშეთში“ (ეკლესიასტე, 3;1).

„ჟამი მოკვდინებისა და ჟამი განკურნებისა, ჟამი ნგრევისა და ჟამი შენებისა“ (ეკლესიასტე, 3;3).

ცხოვრება სასრული და ეფემერულია, ყოველივე დროებითი და წარმავალია, ხოლო სწრაფვა რაიმეს მოპოვებისა ან მოხელთებისაკენ მხოლოდ „ქარის დევნა“ და „ამაოებაა“, ასკვნის ბრძენი ეკლესიასტე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „ამაოება“ ეკლესიასტესთან და საერთოდ წმინდა წერილში ნიშნავს არა მხოლოდ პატივმოყვარეობასა და ზრუნვას წვრილმანებზე, არამედ ცარიელ ცხოვრებას, ანუ ცხოვრებას, რომელშიც არ არის ღმერთი. ამაოდ ცხოვრება – ესაა დაბადება, შრომა, ტანჯვა, ყოველგვარი დროებითი სიამოვნება და საბოლოოდ სიკვდილი. ყოველივე ეს კი არაფერია მარადიულთან შედარებით. ბრძენი ეკლესიასტე თავის მელანქოლიურ განსჯაში ადამიანის ცხოვრების რაობაზე ასკვნის, რომ სამყარო უცვლელია თავის წრებრუნვაში, შემოქმედისა და მისი გზების განგება კი ამოუცნობი, ამიტომაც იგი მოუწოდებს ადამიანებს: „მოვისმინოთ ყველაფრის თავი და ბოლო: ლვთისა გეშინოდეს და დაიცავი მცნებანი მისნი, რადგან ეს

არის კაცის თავი და თავი. რადგან ყველა საქმეს სამსჯავროზე მიიტანს ლერთი, ყოველივე დაფარულს, კეთილს თუ ბოროტს“ (ეკლესიასტე, 12; 13-14). „ეკლესიასტეს“ ფუნქცია არის ის, რომ მან დაუსახოს ადამიანებს გზები, რომლებიც მას მიიყვანენ მარადიულთან შერწყმასთან. ცნობიერების გარკვეულ ეტაპზე მიწიერი სიკეთე აღიქმებოდა, როგორც საზღაური ჩადენილი სიკეთისათვის. ეს იყო ზნეობრივი მსოფლწესრიგის უმარტივესი მოდელი და მასში უეჭველად იყო ჭეშმარიტების მარცვალი, მაგრამ ადამიანის შეგნებისა და პირადული საწყისის გაღრმავებასთან ერთად უნდა გახსნილიყო ახალი სულიერი პორიზონტები, ამისათვის ადამიანს ნათლად უნდა დაენახა, რამდენად „მაო“ და „არამყარია“ წარმავალი სიკეთენი! ამგვარად, შეიძლება საუბარი „ეკლესიასტეს“ „ამქვეყნიური“ ილუზიებისაგან ერთგვარ გამომაფხიზლებელ ფუნქციაზე. საბოლოო ჯამში „ეკლესიასტე“ არ იძლევა პასუხს მარადიულ შეკითხვებზე, მაგრამ იგი ხელს უწყობს იმას, რომ მათ მკაფიო ფორმა მიიღონ, პასუხებს კი ბიბლიის შემდეგ წიგნებში, ძირითადად ახალ აღთქმაში ვპოულობთ.

როგორც უკვე ითქვა, ამაოების მოტივი ბაროკოს ადამიანის სულიერ ძებულებს პასუხობდა და ამიტომ იქცა ამ რთული ეპოქის დევიზად „ამაოება ამაოთა, ამაოება ამაოთა, ყოველივე ამაო“ (ეკლესიასტე 1:2). ამაოებას განცდა, ადამიანისა და მისი ყოფიერების წარმავლობის თემა ხშირად ისმის გერმანული ბაროკოს წარმიმადგენლის, გრიფიუსის პოეზიაში: „რად მეძახით, სადაც ყოველივე იმსხვრევა, ქრება, ყოფნა იცვლება არყოფნით და სიამე – გლოვით!“ (გრიფიუსი 1975: 61). ამასთან, ამაოების განცდას უკავშირდება სამყაროს მეტამორფოზის, მისი მარადიული ცვალებადობის თემა, ლაკონურად ფორმულირებული ფრანგული ბაროკოს წარმომადგენლის, ცნობილი რომანის – „ასტრეს“ ავტორის, ონორე დ'ურფის ფრაზაში: „არაფერია ისეთი მარადიული, როგორც ცვალებადობის მუდმივობა“, რომელიც ზუსტად გამოხატავს ბაროკოს ადამიანის განცდებსა და განწყობილებებს (ნაჭყებია 2016: 20).

\* \* \*

„ეკლესიასტეს“ მოტივები „ვილანელის“ მხოლოდ ერთი – ბიბლიური პლანია, მეორე პლანი კი ფილოსოფიურია და ევროპულ ლიტერატურაში ცნობილია, როგორც მეტაფორა: „ცხოვრება – სიზმარია“. ბაროკო არ ცნობდა რეალური სინამდვილის უშუალო შეცნობასა და გამოხატვას და ამიტომ წინა პლანზე ისევ წამოინია მეტაფიზიკურმა და რელიგიურმა ფასეულობებმა, წარმოუდგენლად გაიზარდა რელიგიის მნიშვნელობა და მისი ემოციური არსის ზეგავლენა ადამიან-

ებზე. გრძნობით, ამქვეყნიურ ცხოვრებას და რეალურ სინამდვილეს გამოხატავდნენ ნიშნების, სიმბოლოებისა და ემბლემების სახით და ამიტომაც, სიმბოლოების, ემბლემების, ალეგორიების, პარალელების ახსნა ბაროკოს შეცნობის წყაროდ იქცა. სინამდვილის სწორედ ასეთ მხატვრულ განმარტებაზე იყო დამოკიდებული ადამიანის სიცოცხლის ახსნა, როგორც მოჩევნებითისა და ილუზორულისა: ცხოვრება აღიქმებოდა როგორც **სიზმარი ან თეატრი**. ბაროკოს ეპოქის ლიტერატურაში ფართოდ გავრცელებული „ცხოვრება – ძისლის“, „ცხოვრება – სიზმრის“ მოტივი დაკავშირებული იყო იმ „სამყაროსს სურათთან“, რომელსაც ხედავდა რეალობაში იმედგაცრუებული ადამიანი და იგი უკავშირდება ისეთ წარმოდგენებს, როგორიცაა ამსოფლიური ცხოვრების სიცრუე, სიმუხტლე, უხანობა, მიუნდობლობა. აი, როგორ განმარტავს ცხოვრებას პოლონური ბაროკოს ერთ-ერთი წარმომადგენელი: „ცხოვრება ძილი და ჩრდილია.... იმას, რითაც ვარსებობთ, ამაოდ ვუწოდებთ ცხოვრებას. ეს მხოლოდ სიზმარია, სიზმარი, რომელიც მხოლოდ წამით მოგვეცა“ (სოფრონოვა 1982: 85), ამ თემის დაგვირგვინება კი ევროპული ბაროკოს უდიდესი წარმომადგენლის, პიედრო კალდერონის პიესაა. მისი მორალურ-ფილოსოფიური დრამა – „ცხოვრება – სიზმარია“ 1635 წელს დაიწერა და მასში გადმოცემულია მისი მნარე ფიქრები ამსოფლიური ცხოვრების რაობაზე, მყიფე ზღვარზე სინამდვილესა და წარმოსახულს შორის. დრამაში კალდერონი შეეხო მთელ რიგ ფილოსოფიურ პრობლემებს, რომლებიც საერთოდ დამახასიათებელი იყო ბაროკოსთვის მთლიანობაში, საბოლოოდ კი დრამაში კალდერონი ამკვიდრებს სიკეთის დაუმარცხებლობის იდეას და სიკეთესა და დმერთს შორის ტოლობის ნიშანს ათავსებს.

„ვილანელში“ არის ასეთი სიტყვები:

„ყოველგვარი ღამეების თენება  
კარგად იცი, სულო, რომ სიზმარია“.

პირველი სტრიქონის „ღამეების თენებას“ ხსნის და აზუსტებს შემდეგი სტრიქონის „სიზმარია“, მაშასადამე, „ღამეების თენება“ უდრის „სიზმარს“. თითქოს პარადოქსი გამოდის, მაგრამ რისი თქმა სურდა ამით გალაკტიონს? სწორ გზას იგი თავად გვაკარნახობს იმით, რომ გაგვახსენებს ყველა იმ ღამეს, რომელიც მას გაუთენებია, ანუ აფართოებს არეალს და ამით „ვილანელის“ სივრცეში შემოდის ის ლექსები, სადაც ღამე პოეტს დაკავშირებული აქვს შემოქმედებით წვასა თუ განსჯასთან:

„ეხლა, როცა ამ სტრიქონს ვწერ, შუალამე იწვის, დნება“;  
„ოღონდ ვთქვა, თუ ღამემ სულში როგორ ჩაიხედა“.  
(„მე და ღამე“)

ა6 „და ვიცი ღელვათა საგანი,  
როდესაც ღამეა უკუნი“.  
(„შემოდგომა „უმანკო ჩასახების“ მამათა სავანეში“)

ამ სტრიქონებიდან კარგად ჩანს, რომ სწორედ ღამით ქმნის თავის შედევრებს პოეტი, რომ ღამე მისთვის შემოქმედებითი წვის ხანაა, ეს სწორედ ის დროა, როდესაც მის სულში „იხედება ღამე“ – როდესაც ის „წერს სტრიქონს“ და „ღელავს“ ანუ საბოლოო ჯამში ცხოვრობს. თუ „ვიღანელის“, „ღამების თენებას“ ჩავანაცვლებთ არსობრივად მისი ეკვივალენტური ცნებით – ღვიძილით, მაშინ გამოდის, რომ ღვიძილი „სიზმარია“, ხოლო რაკი ღვიძილი ანუ ფხიზლად ყოფნა რეალური ცხოვრების სინონიმია – რადგან მხოლოდ ღვიძილის დროს აღიქვამს ადამიანი სამყაროს ადექვატურად და მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი რეალური მოქმედების განხორციელება – ვიღებთ ტოლობის შემდეგ სურათს „ღამების თენება“ = „ცხოვრებას“ = „სიზმარს“, ე. ი. „ცხოვრება – სიზმარია“. სხვათა შორის ეს მეტაფორა პირდაპირ არის მოცემული გალაკტიონის „სიღაურდეში“, სადაც იგი ამბობს: „ჩემი ცხოვრების გზა სიზმარია“.

ეკლესიასტედან მომდინარე ამაოების თემა რომ უნივერსალურია და სხვადასხვა ეპოქის ქრისტიანი მწერლები მას არაერთხელ მიმართავდნენ, ფაქტია; მაგრამ საყურადღებო ის არის, რომ ამ თემების შემდგომი განვითარება საბოლოოდ მიდიოდა ბაროკოს ეპოქის ერთ კონკრეტულ წარმოდგენამდე – „ცხოვრება – სიზმარია“. ამაზე მეტყველებს ის, რომ ევროპისაგან სრულიად მოწყვეტილ საქართველოში სამყაროს ამგვარი ხედვა სავსებით დამოუკიდებლად გაჩნდა და მისი ავტორები „ვეფხისტყაოსნის“ გაგრძელებათა ანონიმი ავტორები არიან (ნაფეხია 2009: 28-31):

„აზომ არ არის სოფლისა საღამო, არცა დილია,  
სიზმრისა უფრო სიზმარი, ჩრდილისა უფრო ჩრდილია“ (2106).  
„გასრულდა ესე ამბავი, ვითა სიზმარი ღამისა“ (2121).  
„ცუდია ესე სოფელი, ვითა სიზმარი ღამისა“ (2124).

\* \* \*

როგორც სტატიის დასაწყისში ითქვა, ვილანელი კონცეპტუ-  
ალური თვალსაზრისით ანტითეტური ლექსია, სადაც ორი, ურთი-  
ერთსანინააღმდეგო პოლუსი გვერდიგვერდ პირველსავე ტერცეტშია  
მოქცეული:

თეზისი – ყოველივე ქარია და ჩვენება!  
ოჳ, სიცოცხლეც უეცარი ქარია...  
ანტითეზისი – მარადია ერთადერთი: შვენება.

მათი დროებითი „დაზავება“ ლექსისათვის ერთგვარ ამოსავალ  
წერტილს წარმოადგენს, საიდანაც თვითონულ მათგანს გაეხსნა გზა,  
რათა ლექსის სივრცეში დამოუკიდებელი ცხოვრება მისცემოდათ,  
ხოლო თუ რა კონტექსტში მოქცეოდნენ ისინი, ეს უკვე მხოლოდ პოე-  
ტის მსოფლმხედველობაზე იყო დამოკიდებული. თეზისის – „ყოველივე  
ქარია და ჩვენება!“ უკავშირდება „ცხოვრება – სიზმარიას“, „ეკლესი-  
ასტეს“ და სამუდამო ძილის მოტივები და იგი ყველა ამ შემთხვევაში  
ტერცეტის დამასრულებელ სტრიქონს წარმოადგენს:

- 2) „ყოველგვარი დამების თენება,  
კარგად იცი სულო, რომ სიზმარია,  
ყოველივე ქარია და ჩვენება“.
- 4) „ისევ ნგრევა, ისევ ისე შენება  
მოსაწყინი, მგლოვიარე ზარია,  
ყველაფერი ქარია და ჩვენება“.
- 6) „სამუდამო ძილი და მოსვენება  
როგორ მინდა, მაგრამ როგორ მწარეა...  
ყველაფერი ქარია და ჩვენება“.

ეს სტრიქონები მთლიანად გაუდენთილია ამაოების განცდით, ეს  
არის ცხოვრების ილუზორულობისა და წარმავლობის უიმედო სუ-  
რათები. მაგრამ რა გამოხატავს პოეტის მრნამსს? ეს არის სიტყვები –  
„მარადია ერთადერთი: შვენება“, და ეს „ერთადერთი“ „ყველაფერს“,  
„ყოველივეს“, ე. ი. **მრავალს** უპირისპირდება. აქ საუბარი არ უნდა იყოს  
ესთეტიკურ კატეგორიაზე, რადგან მარადიული მხოლოდ მორალურ-  
ეთიკური კატეგორიებია. ამ თვალსაზრისით საინტერესოა გალაკ-  
ტიონის ერთი ჩანაწერი: „...მოვიგონოთ მონამენი, რომელთაც თავი

დადვეს თავიანთი სარწმუნოებისათვის, რომლებიც ღვთისმსახურებას ასრულებდნენ თავიანთ სალოცავ ტაძრებში და მთრთოლვარე ხელით ანთებდნენ სანთლებს მშვენიერების წინ“ (5,61). აქ „მშვენიერება“ რელიგიურ ასპექტშია გააზრებული, „შვენება“ და „მშვენიერება“ კი ერთიდაიგივე დატვირთვის მატარებელი სიტყვებია. მაგრამ მაინც რა „შვენებაზე“ ლაპარაკობს გალაკტიონი? ვფიქრობ, აქ აუცილებლად უნდა გავიხსენოთ დოსტოევსკის ცნობილი გამოთქმა “Красота спасет мир”, რომლის შინაარსის გაგებასაც დაზუსტება ესაჭიროება. დოსტოევსკისეულ „красота“-ს ხმირად ესთეტიკურ კატეგორიად მიიჩნევენ და ამ კონტექსტში ხმირად ხმარობენ კიდეც, სინამდვილეში კი იგი ეთიკურ-მორალური კატეგორიაა და დოსტოევსკისადმი მიძღვნილ ნერილში მისი შესანიშნავი განმარტება ვ. სოლოვიოვმა მოგვცა: “В своих убеждениях он никогда не отделял истину от добра и красоты; в своем художественном творчестве он никогда не ставил красоту отдельно от добра и истины. И он был прав, потому что эти три живут только своим союзом. Добро, отделенное от истины и красоты, есть только неопределенное чувство, бессильный порыв, истина отвлеченная есть пустое слово, **а красота без добра и истины есть кумир**. Для Достоевского же это были только три неразлучные вида одной безусловной идеи. Открывшаяся в Христе бесконечность человеческой души, способной вместить в себя всю бесконечность божества, – **эта идея есть вместе и величайшее добро и величайшая истина и совершеннейшая красота**. Истина есть добро, мыслимое человеческим умом; красота есть то же добро и та же истина, телесно воплощенная в живой конкретной форме. И полное ее воплощение – уже во всем есть конец и цель и совершенство, и **вот почему Достоевский говорил, что красота спасет мир** (დოსტოევსკი 1990: 575-576). ამრიგად, გალაკტიონის „შვენება“ მაცხოვრის და მხენელის – იესო ქრისტეს მეტაფორაა.

\* \* \*

დაბოლოს, სალექსო ფორმა ვილანელის წარმოშობისთვის: იტალიურად მას უბოდებენ villanella-ს, ფრანგულად – villanelle-ს; სახელწოდება მომდინარეობს ლათინური ვილლანუს-იდან, რაც ნიშნავს – გლეხურს, სოფლურს და წარმოადგენს განსაკუთრებული ფორმის ლირიკულ ლექსს. თავდაპირველად, შუა საუკუნეთა იტალიისა და საფრანგეთის ხალხურ პოეზიაში ვილანელი სიმღერა იყო (ლექსიკონი 1974: 46); რენესანსის ეპოქაში ვილანელი იქცა ფრანგული ბუკოლიკური პოეზიის სალექსო ფორმად (ლექსიკონი 1984: 403); მე-16 საუკუნის ლიტერატურაში იგი გვხვდება უ. დიუ ბელლესთან და „პლეადის“

სხვა პოეტებთან (ენციკლოპედია 1962: 967). სწორედ ამ დროს მოხდა მისი ფორმის საბოლოო ჩამოყალიბება.

მაშადადამე, სალექსო ფორმა ვილანელის სახელწოდება ლათინური villanus-დან მომდინარეობს, რაც ქართულად ნიშნავს გლეხურს, სოფლურს და რომ მოვინდომოთ ვილანელის ქართული თარგმანის, ქართული შესატყვისის მოქებნა, ეს იქნება „გლეხური“, „სოფლური“. ჩვენთვის სწორედ ეს მეორე მნიშვნელობა არის საინტერესო და აირატომ: სიტყვა „სოფელს“ ქართულ ენაში ორმაგი დატვირთვა აქვს – „სოფელი-ი (სოფლისა) – 1. უპირატესად გლეხებით დასახლებული ადგილი, რომლის ძირითადი მოსახლეობა სოფლის მეურნეობას მისდევს... 3. (ქვ.) ქვეყანა, მსოფლიო... იმ სოფელში (ძვ.) – საიქიოში. ამ სოფელში (ძვ.) სააქაოში, ამ ქვეყნად“ (ქეგლ 1984: 411). ამ სიტყვის სემანტიკურ ბინარულობაზე რ. სირაძე წერს: „სოფელი“. ბინარული სემანტიკის პრინციპი თვალსაჩინოვდება ძველ ქართულ ტექსტებში „სოფლის“ მნიშვნელობათა მაგალითზე. ეს სიტყვა კონკრეტული მნიშვნელობით იხმარება უძველეს ქართულ ტექსტებშივე, სადაც სოფელი ნიშნავს დაბას. ასევე, ძველთაგანვე ეს სიტყვა იხმარება ფართო მნიშვნელობით: ქვეყანა, ცხოვრება, სამყარო. ამგვარი ფართო მნიშვნელობის საზრისს წარმოაჩენს „წუთისოფელი“, რომელიც მიგვანიშნებს ადამიანური ცხოვრების დროულ და სივრცულ რაობას (წუთი-სოფელი). ძველქართულში მას ენაცვლება „საზუთრო“ (სირაძე 2002: 27). მაშასა-დმე, ვილანელის ქართული თარგმანი რომ დავაზუსტოთ, მივიღებთ: ვილანელა→სოფლური→წუთისოფლური ანუ ლექსი წუთისოფელზე, ცხოვრებაზე. ვილანელის ამგვარი განმარტება, ვფიქრობ, გვაახლოებს სათაურის გალაკტიონისეულ გააზრებასთან, სადაც მან მოახდინა ფორმისა და შინაარსის გასაოცარი სინთეზი.

გალაკტიონის პოეტურმა შთაგონებამ უამრავ სალექსო ფორმათა შორის ამოარჩია სწორედ ის ერთადერთი, რომელიც საშუალებას მისცემდა თავისი პირდაპირი, დადგენილი მნიშვნელობის გარდა დაეტია სულ სხვა, ახალი, მოულოდნელი მნიშვნელობა თავად ამ სალექსო ფორმისათვის, როგორადაც ის ევროპაში ჩამოყალიბდა. სალექსო ფორმის სახელწოდების საზღვრების ვირტუოზული გაფართოებით მან შექმნა ერთგვარი ლექსი-ენიგმა. ფორმის მხრივ გალაკტიონის „ვილანელი“ კლასიკური ვილანელის ნიმუშს წარმოადგენს, რაც ლექსის მხოლოდ ერთი პლანია; მეორე, დაფარული კი მდგომარეობს იმაში, თუ როგორ გაათამაშა მან სალექსო ფორმის ლათინურ-ფრანგულ-იტალიური სახელების შინაარსი ქართული ენის შესაძლებლობათა სფეროში და რა აზრი ჩადო მასში. „სოფელი-წუთისოფელი“ – ეს უკვე მნიშვნელობის სულ სხვა სემანტიკურ ველში გადატანაა და სწორედ სიტყვის

ამ ტროპული მნიშვნელობის განგრძობაა მთელი ლექსი, რომელიც წუთისოფლის, ამქვეყნიური ცხოვრების გააზრებას წარმოადგენს.

### დამოცვებანი:

**გრიფიუსი 1975:** გრიფიუსი ა. ქეთევან ქართველი ანუ გაუტეხელი სიმტკოცე, ტრაგედია ხუთ მოქმედებად, გერმანულიდან თარგმნა აკაკი გელოვანმა. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“, 1975.

**დოსტოევსკი 1990:** Достоевский, Ф. М. Избранные сочинения. М., 1990.

**ლექსიკონი 1974:** Словарь литературоведческих терминов, М., 1974.

**ლექსიკონი 1984:** Slovník literárni teorie, Praha, 1984.

**ენციკლოპედია 1962:** Краткая Литературная Энциклопедия, М., 1962.

**ნაჭყებია 2004:** ნაჭყებია, მ. „გალაკტიონის „ვილანელის“ რელიგიურ-ფილოსოფიური ასპექტები“. ლიტერატურული ძიებანი, XXV. თბილისი: 2004.

**ნაჭყებია 2009:** ნაჭყებია, მ. ქართული ბაროკოს საკითხები. თბილისი: გამომცემლობა მერანი: 2009.

**ნაჭყებია 2016:** ნაჭყებია, მ. „რენესანსული ანტროპოცენტრიზმიდან ბაროკოულ თეოცენტრიზმადე“. სჯანი 17. თბილისი: 2016.

**პოროლი 2012:** Пороль О.А. Библейский дискурс в раннем творчестве А. Блока// ВЕСТНИК ОГУ №4 (140)/апрель2012: 62-67).

**სირაძე 2002:** სირაძე რ. „ქართული პარადიგმული სახისმეტყველებისათვის“. სჯანი, III. თბილისი: 2002.

**სოფრონოვა 1982:** Софонова Л. А. „Принцип отражения в поэтике барокко“. Барокко в славянских культурах. МоскваL Наука: 1982.

**ქეგლ 1984:** ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. თბილისი: 1984.

### NATIA SIKHARULIDZE

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

### Galaktion and “Haidamaks” By Taras Shevchenko

“That time flew like a dream” a poem by Galaktion Tabidze is analyzed in the article. The poem was inspired by the creative spark the poet received while reading „Haidamaks”, an epich poem of Taras Shevchenko. Understanding the main message of „Haidamaks” as that of a source, helps us analize and appreciate the deeper layers of the Georgian poet’s work.

**Key words:** Galaktion Tabidze, Taras Shevchenko, “Haidamaks”.

## ნათია სიხარულიძე

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

### გალაკტიონი და ტარას შევჩენკოს „ჰაიდამაკები“

გალაკტიონ ტაბიძის ლექსების ციკლი – „ეპოქა“ 1928-1929 წლებში შურნალ „მნათობში“ დაიტექდა, მოგვიანებით კი – 1930 წელს ცალკე წიგნადაც გამოიცა. „ეპოქა“, ძირითადად, სოციალსტური სინამდვილის განმადიდებელ, პროპაგანდისტულ ტექსტებს აერთიანებს: ასახვის საგანია „ამშენებლობა და ცოცხალი ცხოვრება“, რევოლუცია და მისი შედეგები, ის ხანა, რომელიც „იშვა და გაიზარდა სამოქალაქო ბრძოლების რეალში“.

„ო, დღე არ გავა, არ შემიყვარდეს ახალ სიტყვაში მყოფი სამყარო“, – აცხადებს „ეპოქის“ ერთ ლექსში პოეტი და ცდილობს დაგვარწმუნოს, რომ „ოცნება იგივ სინამდვილეა, თუ შრომის ხმებით გუგუნებს ქნარი“...

პროპაგანდისტული ტექსტების ფონზე განსაკუთრებით იქცევს ყურადღებას მკითხველისათვის ნაკლებად ცნობილი, სამსტროფიანი უსათაურო ნაწარმოები „ის დროება სიზმარივით წავიდა“, რომელიც, მართალია, ახალ ცხოვრებას ეძღვნება, მაგრამ, ამავე დროს, ციკლში შეტანილი სააგიტაციო ნაწარმოებებისგან ლირიზმითა და თავისებური ინტონაციით გამოირჩევა:

ის დროება სიზმარივით წავიდა,  
ოდეს ბავშვი იყავ მოხეტიალე,  
რკინისგზები – სავსე სანახავითა,  
რონდები ცივი, ოხერტიალი.

ნუ იგონებ მწარე თავგადასავალს,  
როს მშიერი, დასისხლული ფეხებით  
მთელი ქვეყნის ასავალს და დასავალს  
შენ სწონიდი მედგრად, გულგამეხებით.

ყველაფერი სიზმარივით წავიდა,  
როგორც ქარი, როგორც ყინვა და თოვლი.  
სავსე არის ახალ სანახავითა  
ისევ ბრძოლა, ბრძოლა თანადროული.  
(ტაბიძე 1966: 139)

გარდა ლირიზმისა და ინტონაციისა, „ის დროება სიზმარივით წავიდა“ სხვა ასპექტითაც იწვევს ინტერესს: ვგულისხმობთ ალუზიებს, გადაძახილს გალაკტიონის სხვა, დაახლოებით ამავე პერიოდის – 1920-იანი წლების – ლექსებთან.

მინიშნების ობიექტი ამ ნაწარმოებში, უპირველესად, ცნობილი ლირიკული ტექსტია – „იმ ატმებს გაუმარჯოს, იმ ატმის ყვავილებს“, სადაც ცხოვრების სიზმარივით სწრაფწარმავალობის მოტივია დამუშავებული (შდრ.: „ყველაფერი სიზმარით წავიდა“ და „ყველაფერი სიზმარივით გათავდა“). თუმცა, მოტივთა მსგავსების მიუხედავად, ამ ორ ლექსს შორის აშკარად შეინიშნება არსებითი განსხვავებაც: ესაა წარსულთან, კონკრეტულად – ბავშვობასთან და აწმყოსთან მიმართების მოდუსის ცვლილება ჩვენთვის საინტერესო ნაწარმოებში.

ლექსში „იმ ატმებს გაუმარჯოს...“ წარსულის, ყრმობის მონატრების განცდაა აქცენტირებული; საპირისპირო ვითარებაა საანალიზო ტექსტში, სადაც ბავშვობა და, ზოგადად, წარსული ლირიკული გმირისათვის მხოლოდ „მწარე თავგადასავალია“. ეს განსხვავება განსაკუთრებით თვალშისაცემია გალაკტიონის წინარე ხანის პოეზის ერთიან ფონზე, რადგან ბავშვობა, სიყმაწვილე მის ლირიკაში იდეალიზებულია და მკვეთრად უპირისპირდება სასტიკ აწმყოს.

ყურადღებას იქცევს კიდევ ერთი, ლექსიკური ალუზია, რომელსაც ქმნის ორგზის გამეორებული იშვიათი სიტყვა „სანახავი“. ეს სიტყვა გალაკტიონთან მანამდე მხოლოდ ერთხელ გვხვდება: იგი გამოყენებულია ლექსის – „ჩემო იარალი“ ბოლო სტროფში:

მე ვდგევარ მთაზე, მე ვდგევარ მარტო,  
დამთვრალი ახალ სანახავითა,  
რითი გაგართო, როგორ გაგართო?  
ჩემო იარალი, ის დრო წავიდა!  
(ტაბიძე 1966: 236)

ტექსტებს შორის გადაძახილზე პოეტი იდენტური რითმებითაც მიგვანიშნებს: ლექსში „ის დროება სიზმარივით წავიდა“ გამეორებული ლექსიკური ერთხული „სანახავითა“ ორივეჯერ გარითმულია სიტყვასთან „წავიდა“, სწორედ ისე, როგორც ეს არის ლექსში „ჩემო იარალი“. უფრო მეტიც, ორივე ნაწარმოებში სიტყვას „სანახავი“ ახლავს ერთი და იგივე განსაზღვრება – ახალი.

ვფიქრობთ, სრულიად აშკარაა, რომ პოეტი საგანგებოდ მივითოთებს ლექსზე – „ჩემო იარალი“, რომელშიც ძველ თბილისთან სინაულიანი გამოთხოვების განცდაა აღბეჭდილი და, თავის მხრივ,

ეხმაურება გრიგოლ ორბელიანის ცნობილ ნაწარმოებს – „იარალის“. გალაკტიონთან წინამორბედი პოეტი წარმოდგენილია, როგორც ყაბახის ლომი, ღვინისა და სალომეს მომღერალი, ვინც წარსულის დიდ ტკივილს, – დამოუკიდებლობის დაკარგვას ლხინით იქარვებდა.

რომანტიკოსი პოეტის წარმოებთან მიმართების გათვალისწინებით, საფიქრებელია, რომ გალაკტიონი ლექსში „ჩემო იარალი“ ახლახან, 1921 წლის თებერვალში დაკარგულ თავისუფლებაზე მიგვანიშნებს: დრო, რომლის წასვლაც აწუხებს ლირიკულ გმირს, არის არა მხოლოდ შორეული ისტორიული წარსული, არამედ – ის წლებიც, რომლებმაც მის თვალწინ ჩაიარა. ამ ვარაუდს განამტკიცებს ისიც, რომ ავტოგრაფში (ხელნაწერში ტექსტის სათაურია „წარიყალაზე“) რეფრენი „ის დრო წავიდა“ რამდენჯერმე მეორდება, ხოლო ადრესატი იარალი კი არ არის, არამედ – მეგობარი („ის დრო წავიდა მეგობარო, ის დრო წავიდა!“). ამ ლექსის მიხედვით, „ახალი სანახავი“ ცრემლებით სველი ძველი ნარიყალაა, მატარებლების კივილს რომ გაჰყურებს.

ლექსში „ის დროება სიზმარივით წავიდა“, როგორც ითქვა, სიტყვა „სანახავი“ ორჯერ გვხვდება: პირველსა და მესამე სტროფებში. ტექსტში ერთმანეთს უპირისპირდება ძველი და ახალი ცხოვრება, ბავშვობა და აწმყო, ძველი სანახავი და ახალი სანახავი. თუ წარმოების დასაწყისში „სანახავი“ მწარე ბავშვობასთან, სიჭაბუკის ხანასთან, ცივ, ოხერტიალ „რონოდებთანაა“ დაკავშირებული და უარყოფითი შინაარსი აქვს, ლექსის დასასრულს საპირისპირო ვითარებაა – „ახალი სანახავი“, რომელიც ახალ ცხოვრებას გულისხმობს, თანამედროვეობას, თანადროული ბრძოლის პათოსს განადიდებს.

როგორც ვხედავთ, ორ ტექსტს შორის აქაც კონცეპტუალური სხვაობაა: ძველი და ახალი „სანახავის“ დაპირისპირებისას პოეტი ერთ შემთხვევაში („ჩემო იარალი“) წარსულის გაქრობის გამო წუხს, მეორეგან („ის დროება სიზმარივით წავიდა“) კი პირიქით – თანამედროვე ეპოქის უპირატესობა სწორედ წარსულის უარყოფითი შინაარსის აქცენტირების ფონზეა ნაჩვენები.

„ის დროება სიზმარივით წავიდა“ 1928 წლით თარიღდება, ხოლო ლექსები, რომლებზეც პოეტი მიგვანიშნებს – „იმ ატმებს გაუმარჯოს, იმ ატმის ყვავილებს“ და „ჩემო იარალი“ – 1926 წლამდეა შექმნილი.

წარმოებების დანერის თარიღებს შორის ამგვარი მცირე განსხვავება საფუძვლიან ინტერესს აღძრავს: რამ გამოიწვია პოეტის პოზიციის მკვეთრი ცვლილება? – იგი „ახალ ცხოვრებას“, გართულებულ იდეოლოგიურ ვითარებას უნდა უკავშირდებოდეს თუ, შესაძლოა, სხვა მიზეზებით აიხსნას?

\* \* \*

„ის დროება სიზმარივით წავიდა“ გალაკტიონ ტაბიძის აკადემიური თორმეტტომეულის მესამე ტომშია დაბეჭდილი. ამ გამოცემის მიხედვით, ჩვენამდე ლექსის არცერთ ავტოგრაფს არ მოუღწევია (ტაბიძე 1966ბ: 460). იგივე ინფორმაცია მეორდება გალაკტიონის საარქივო გამოცემის შესაბამის ტომშიც (ტაბიძე 2005: 547).

ავტოგრაფების არარსებობის გამო ჩვენ მიერ დასმული კითხვა პოეტის პოზიციის ცვლილების თაობაზე, ალბათ, უპასუხოდ დარჩებოდა, რომ არა ერთი გარემოება:

გალაკტიონ ტაბიძის ახალი აკადემიური თხუთმეტტომეულის მომზადებისას, პოეტის 20-იანი წლების უბის წიგნაჟში (დ-16, გვ. 61) აღმოჩნდა ტექსტი, რომელიც, ვთქიერობთ, ჩვენთვის საინტერესო ნაწარმოების თავდაპირველ მონახაზად უნდა ჩაითვალოს:

ის დროება სიზმარივით წავიდა,  
ოდეს ბავში ვიყავ მოხეტიალე,  
უკრაინა სავსე სანახავითა,  
გონგრას ხმალი, მისი ველად ტრიალი.  
სად ოდესმე ვლიდა გაიდამაკი,  
მე მშიერი, დასისხლული ფეხებით,  
დავეძებდი მე ერთად ერთ მეგობარს,  
თავგანწირვით, ცხარე გულგამეხებით.

ტექტს სათაურის ნაცვლად მიწერილი აქვს: ტ. შევჩერნკო. „გაიდამაკებიდან“.

ამგვარი მინაწერებით, როგორც ახალ აკადემიურ გამოცემაზე მუშაობამ დაგვარჩენა, პოეტი, ჩვეულებრივ, იმ ტექსტზე მიგვანიშნებს, რომელთანაც, რაღაც ასპექტით, მისი ნაწარმოებია დაკავშირებული. ამის გათვალისწინებით, გაჩნდა ვარაუდი, რომ ამ მინაწერმაც საყურადღებო მინიშნება შემოგვინახა.

ვარაუდის გადამოწმებისას გაირკვა, რომ პოეტის დღიურში ჩაწერილი სტრიქონები თარგმანია უკრაინული ლიტერატურის კლასიკის – ტარას შევჩერნკოს ცნობილი პოემის – „ჰაიდამაკების“ ეპილოგისა, კერძოდ, მისი საწყისი სტრიქონებისა.

„ჰაიდამაკები“ XX საუკუნის 20-30-იან წლებში, როგორც საქართველოში, ისე რუსეთში, ძალიან პოპულარული იყო. ქართულად პოემა 30-იანი წლების ბოლოს ითარგმნა, ამდენად, საფიქრებელია, რომ გალაკტიონი „ჰაიდამაკების“ რუსულ თარგმანს გაეცნო. კონკრეტულად ეს უნდა ყოფილიყო 1924 წელს გამოქვეყნებული „უკრაინული პოეზიის ანთოლოგია“ („Антология украинской поэзии в

русских переводах”), сафаку да беჭдилла პოემის რამდენიმე მონაკვეთი, მათ შორის – ეპილოგიც.

უკრაინული პოეზიის აღნიშნულ ანთოლოგიას გალაკტიონი კარგად იცნობდა. სწორედ ამ წიგნში დაბეჭდილი ვასილ ალექსანდრე ლექსის – „ცხოვრების წყაროებს მივაშუროთ“ პასუხს წარმოადგენს გალაკტიონ ტაბიძის 20-იან წლებით დათარიღებული ნაწარმოები „მივაშუროთ“ (სიხარულიძე 2015: 18-27).

პოეტმა ამ შემთხვევაშიც „უკრაინული პოეზიის ანთოლოგიით“ რომ ისარგებლა, ერთი დეტალიც მიგვითითებს: დღიურის იმავე გვერდზე, სადაც ჩვენთვის საინტერესო ლექსის ავტოგრაფია, მიწერილი და გადახაზულია რამდენიმე სტრიქონი და იქვე მითითებულია ავტორიც – ვასილ ელლან. ამ ავტორის ნაწარმოებები სწორედ ზემოთ-დასახელებულ ანთოლოგიაშია დაბეჭდილი.

შევადაროთ „ჰაიდამაკების“ ეპილოგის დასაწყისი და გალაკტიონის დღიურში ჩანსრილი ტექსტი:

შევჩენკო:

Минуло то время, давно миновало,  
Когда я ребенком голодным блуждал  
По той Украине, где Гонта, бывало,  
С ножем освященным, как ветер, гулял.  
  
Минуло то время, как теми путями,  
Где шли гайдамаки, босыми ногами  
Ходил я, стараясь найти где-нибудь  
Людей, чтоб к добру указали мне путь.

(ნავიდა ის დრო, დიდი ხანია ნავიდა,  
როდესაც ბავშვი მშიერი დავეხეტებოდი  
იმ უკრაინაში, სადაც გონტა  
ნაკურთხი დანით, როგორც ქარი, ისე დაქროდა.  
ნავიდა ის დრო, როდესაც იმ გზებით  
ჰაიდამაკები რომ მიდიოდნენ, შიშველ ფეხებით  
მივდიოდი მე და ვცდილობდი, სადმე მეპოვა ადამიანები,  
რათა ეჩვენებინათ სიკეთისკენ მიმავალი გზა...).  
(შევჩენკო 1924: 281)

გალაკტიონი:

ის დროება სიზმარივით ნავიდა,  
ოდეს ბავშვი ვიყავ მოხეტიალე,  
უკრაინა სავსე სანახავითა,  
გონტას ხმალი, მისი ველად ტრიალი.

სად ოდესმე ვლიდა გაიდამაკი,  
მე მშიერი, დასისხლული ფეხებით,  
დავეძებდი მე ერთად ერთ მეგობარს,  
თავგანწირვით, ცხარე გულგამეხებით.  
(გალაკტიონის ფონდი, დ-16, გვ. 61)

ვფიქრობთ, ზედაპირული შედარებისასაც აშკარაა, რომ გალაკტიონის დღიურში ჩაწერილი სტრიქონები თავისუფალი თარგმანია „ჰაიდამაკების“ ეპილოგის დასაწყისისა.

ავტოგრაფზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ პოეტს თარგმნისთანავე დაუწყია ამ ფრაგმენტის სწორება და, უპირველესად, შევჩენკოს ტექსტთან სიახლოვის დამადასტურებელი ლექსიკური ერთეულები შეუცვლია: „უკრაინა“ გადახაზულია და მინერილია „ქუთაისი“, „ჰაიდამაკი“ „შეცვლილია შესიტყვებით „ჩემი ოცნება“, ხოლო საკუთარი სახელი „გონტა“ – ზოგადი სიტყვით „მებრძოლი“.

კვლევის ამ საფეხურზე ჩნდება კითხვა: რატომ დაინტერესდა გალაკტიონი „ჰაიდამაკებით“ და რა მიზნით დატოვა დღიურში მინიშნება პირველწეროზე?

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად, ვფიქრობთ, აუცილებელია გალაკტიონის მიერ შევჩენკოდან ნათარგმნი სტრიქონების ზოგადი კონტექსტის გათვალისწინება: „ჰაიდამაკები“ XVIII საუკუნის უკრაინის ისტორიის კონკრეტულ მოვლენებს ასახავს: ესაა 1768 წელს მომხდარი გლეხთა აჯანყება, რომელიც ისტორიაში „გაიდამატჩინის“ სახელითაა ცნობილი... პოემაში ნაჩვენებია უკრაინელი ხალხის გმირული სულისკვეთება, მათი თავგანწირვა და თავისუფლებისაკენ ლტოლვა.

„ჰაიდამაკებში“, ძირითადი ამბის დასრულების შემდეგ, ეპილოგში პოეტი იხსენებს ბავშვობას, როდესაც იგი ფეხშიშველი, მშიერი დაეხეტებოდა უკრაინაში, გონტას – ჰაიდამაკთა მეთაურის ნაკვალევზე... ეს სწორედ ის მონაკვეთია, რომელიც გალაკტიონმა თარგმნა და დღიურში ჩაიწერა. ვნახოთ, როგორ გრძელდება ტექსტი უკრაინელ პოეტთან:

Припомнил – и плачу, что горе минуло,  
О, еслиб ты снова ко мне завернуло,  
Я отдал бы с радостью счастье мое  
За прежние слезы, за горе-житъе!

(გამახსენდა და ვტირი, რომ მწუხარებამ გაიარა,  
ო, რომ შეიძლებოდეს და მისი კვლავ დაბრუნება,

მე სიხარულით დავთმობდი ჩემს ბედნიერებას  
წინანდელი ცრემლებისა და უბედურების სანაცვლოდ).  
(შევჩენკო 1924: 281)

როგორც ვხედავთ, შევჩენკოსათვის, ბავშვობა, წარსული, მიუხედავად ცრემლებისა და უკიდურესი გასაჭირისა, უფრო ძვირფასი და სანატრელია, ვიდრე ბედნიერი აწმყო. წარსული, ბავშვობა სანატრელია იმდენად, რამდენადაც უკრაინელი გმირები ცოცხლები იყვნენ, ხალხის უფლებებისა და ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის იბრძოდნენ, „მშვიდი“ აწმყო კი ყოველივე ამას მოკლებულია.

თუ „ჰაიდამაკების“ ამ სტრიქონებსაც გავითვალისწინებთ და გალაკტიონის ლექსს ამ ფონზე წავიკითხავთ, ცხადი გახდება, რომ ნაწარმოების შინაარსს მიღმა ფარული აზრიც იკითხება. წარსული, მართალია, მძიმეა, მაგრამ გალაკტიონს კვლავ სურს ძველი, გმირული დროის დაბრუნება, რადგან იგი დამოუკიდებლობასთანაა დაკავშირებული.

ამრიგად, გალაკტიონის ნაწარმოების შთაგონების წყაროს გათვალისწინებით ირკვევა, რომ ლექსში „ის დროება სიზმარივით წავიდა“ პოეტს პოზიცია არ შეუცვლია; უბრალოდ, გამოქვეყნებულ ტექსტში, გასაგები მიზეზების გამო, სინამდვილისადმი თავისი რეალური დამოკიდებულება დაფარა. მასზე მინიშნება კი გალაკტიონის ჩვენ მიერ მიკვლეულმა, დღემდე უცნობმა ხელნაწერმა შემოგვინახა.

#### დამოცხვანი:

**სიხარულიძე 2015:** სიხარულიძე ნ. წარსულისა და აწმყოს კოლიზია. გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი, 2015, №5-6.

**ტაბიძე 1966:** ტაბიძე გ. თხზულებანი თორმეტ ტომად. ტ. II. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“, 1966.

**ტაბიძე 1966:** ტაბიძე გ. თხზულებანი თორმეტ ტომად., ტ. III. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“, 1966.

**ტაბიძე 2005:** ტაბიძე გ. საარქივო გამოცემა ოსდახუთ წიგნად. ნ. IV. თბილისი: „ლიტერატურის მატიანე“, 2005.

**შევჩენკო 1924:** Шевченко Т. Из поэмы „Гайдамаки“. Антология украинской поэзии в русских переводах. Издательство: Госиздат Украины, 1924.

**გალაკტიონის ფონდი:** გ. ლეონიძის სახელობის საქართველოს ლიტერატურის მუზეუმი, გალაკტიონის ფონდი.

# **Модернизм и феминизм**

---

**SVETLANA ANANYEVA**

*Kazakhstan, Almaty*

*M.O.Auezov Institute of Literature and Art*

## **Summer Evening, Prairie Night, Land of Golden Wheat: Reflection of the Beauty of Everyday Life in the Works of Female Kazakh Poets**

The latest anthology of Kazakh literature «Summer Evening, Prairie Night, Land of Golden Wheat» presents English-speakreaders prose and poetry of Kazakhstan, including the works of F. Ongarsynova, K. Akhmetova, M. Hakimzhanova, T. Abdrakhmanova, M. Aitkhozhina, A. Baitygereeva, A. Dzhaganova and R. Mukanova. Arttranslation serves as means of interaction and mutual enrichment of cultures. Art in itself is a source of learning about Kazakh ethnic group and as a result promotion of our cultural values. Abay prize laureate F. Ongarsynova and National writer K. Akhmetov are united in their art by «hidden autobiography» and contribute to the brightness of national poetry. They understand their international feminist soul mates, sisters and friends and represent Kazakhstan's feminists. They see the world in which women live, through their eyes. In compiling Anthology the aim was as widely as possible to reflect peculiarity of the thought of Kazakh poets, reveal their style and manner of writing, to show different guises Poetic Muse can take which symbolizes the contradictions of the world. In compiling Anthology the aim was as widely as possible to reflect peculiarity of the thought of Kazakh poets, reveal their style and manner of writing, to show different guises Poetic Muse can take whichsymbolizes the contradictions of the world. Spirituality is formed through the prism of relations between man and nature. Harmony between man and nature is the eternal theme for art as is the reflection of the beauty of everyday life.

**Key words:** anthology, folk epics, national poetry, hidden autobiography

**С.В. АНАНЬЕВА**

*Казахстан, Алматы*

*Институт литературы и искусства им.М.О.Ауэзова МОН РК*

## **Summer Evening, Prairie Night, Land of Golden Wheat: отражение красоты бытия в творчестве казахских поэтесс**

Литературы США и Казахстана в последние годы находятся в особой динамике развития. В содержании культурных универсалий сплавлены общечеловеческие и исторически особенные интерпретации жизненных смыслов, которые и определяют национально-этнические особенности каждой культуры, принятую в них шкалу ценностей. В 2016 году отмечается 25-летие установления дипломатических отношений между США и Республикой Казахстан. Посол США в Республике Казахстан Джордж Крол называет вхождение Казахстана, полноправного члена международного сообщества, в число непостоянных членов Совбеза ООН историческим событием: «Казахстан – это страна, которая находится в центре Азии, это перекрёсток культур, это перекрёсток истории».

Все более прочные позиции занимает «новый реализм», термин этот практически укоренился. Американист Александр Мулярчик, тщательно рассмотрев ситуацию в заокеанском литературном пространстве, прослеживает тенденцию возвращения американского читателя от постмодерна к традиционным ценностям, в США происходит «триумфальное шествие реализма». «Ассоциация литературоведов и критиков» (Association of Literary Scholars and Critics) представляет собой филиал консервативного академического объединения «Национальная ассоциация ученых» (National Association of Scholars). **Методологической инновацией современной компаративистики являются проблемы сравнительной рецепции (К. де Грев) и имагологии (Г. Дизеринк).**

Составшиеся в Институте литературы и искусства им.М.О.Ауэзова КН МОН РК встречи с американскими литературоведами, лекторами Новой Школы социальных наук К. Кооп и Дж. Витчем (Нью-Йорк), К. Кларк (Йельский университет), Ф. Дерин (университет Висконсин-Мэдисон), Р. Абазовым (Колумбийский университет), Н. Каффи (Аризонский университет) значительно расширили горизонты сотрудничества, представляя совершенно новый материал для изучения научных и литературных связей. Американские публицисты и литературоведы, запечатлевая образ Казахстана как страны с удивительной культурой, проводят параллели между творчеством современных казахских прозаиков и

поэтов и американскими писателями. Кетти Кооп анализирует схожесть литературной ситуации в Казахстане и США, видя ее в том, что многие этнические меньшинства нашли в Казахстане дом и родину. В Нью-Йорке также живут представители многих национальностей. В самом факте их мирного сосуществования в США и Казахстане велика роль литературы, отражающей многокультурность американского и казахстанского общества. Литературный процесс в Казахстане включает развитие казахской, русской, уйгурской, немецкой, корейской, татарской, курдской, белорусской, узбекской литературы. Издаются произведения турецких писателей, есть представители болгарской, осетинской, чеченской, украинской, дунганской литературы. **В современных условиях подобная схожесть литературной ситуации США и Казахстана особо важна. Мультикультурализм выступает объединительным фактором.**

Итогом активизирующегося международного сотрудничества стал совместный проект Министерства образования и науки Республики Казахстан, Посольства Республики Казахстан в США, Колумбийского университета и Института литературы и искусства им. М.О. Ауэзова по подготовке и изданию впервые на английском языке антологий современной казахской литературы «The Stories of the Great Stepp». First Edition (New-York Columbia University: Cognella Academic Publishing, 2013) и «Summer Evening, Prairie Night, Land of Golden Wheat». The Outside World in Kazakh Literature. First Edition (New-York Columbia University: Cognella Academic Publishing, 2015). Выход антологии «Summer Evening, Prairie Night, Land of Golden Wheat» осуществлен в рамках научного проекта «Казахско-американское литературное сотрудничество новейшей эпохи» (научный руководитель – С.В. Ананьева). Издание книги стало важной вехой в продвижении достижений казахской литературы за рубеж и повышении ее международного имиджа. Книга служит укреплению дружбы и понимания между нашими народами, а также помогает американским студентам, магистрантам и докторантам, читающей общественности глубже узнать состояние развития казахской литературы за годы обретения Независимости.

По мнению американских ученых, «Рассказы Великой степи» позволяют совершить «интеллектуальное и литературное путешествие в Казахстан» (Роберт Д. Гутман, Johns Hopkins University) и открывают англоязычному читателю «новый мир литературы Центральной Азии – разнообразие культуры и полиязычие Казахстана» (Пол Майкл Тейлор, Smithsonian Institution). «The Stories of the Great Stepp» применяется в качестве учебного пособия в университетах США, студенты которых

изучают Казахстан и казахскую культуру. Антология «Летний вечер, ночь в прерии, земля золотой пшеницы: зарубежный мир в казахской литературе», включающая литературные тексты XIX – XX веков, позволяет представить творчество казахских поэтов и прозаиков в историко-литературной перспективе и проследить, как развивалась, обогащалась и выходила на новый уровень осмысливания экологическая тематика, эволюционировало изучение проблемы «человек и природа».

Поэты разных стран мира и поэтических направлений в своем, личном ключе решают вопрос о смысле человеческой жизни, выстраивая ассоциативно-образную конструкцию художественного текста и особые пространственно-временные отношения в творчестве. Поэтические и прозаические произведения мастеров художественного слова от Абая до Б. Канапьянова, от М.О. Ауэзова до Р. Мукановой помогают западному читателю понять Казахстан. Разница между западной и центрально-азиатской цивилизациями заключается в том, как народы относятся к природным богатствам, пейзажу. В Казахстане речь идет о диалоге человека с природой. Во многих казахских легендах, песнях и книгах человек понимает животных, разговаривает с растениями, что является уникальной концепцией. Роднят культуры и литературы двух стран общие образы: американской культуре это образ ковбоя, в казахской – кочевника.

В произведениях Абая, И. Алтынсарина, Ж. Жабаева, С.-М. Торайгырова, М. Жумабаева, С. Сейфуллина, М.О. Ауэзова, С. Муканова, М. Макатаева, К. Бекхожина, А. Тажибаева, Ж. Нажимеденова, С. Маulenова, Ф. Онгарсыновой, М. Хакимжановой, Т. Абдрахмановой и многих других раскрыто восприятие природы кочевниками, хрупкость окружающего мира, экологическая тематика и проблематика. Тематика публикаций в антологии «Summer Evening, Prairie Night, Land of Golden Wheat. The Outside World in Kazakh Literature»\* не случайна, она иллюстрирует читателям зарубежных стран особое очарование богатой флоры и фауны Казахстана, глубокое восприятие природы и ее отражение в жизненном укладе и традициях казахского народа. Казахская литература, продолжая классические традиции, выходит на новый уровень повествования, значительно расширяя границы бытования и изучения. Г.Мусрепов, М. Макатаев, А. Кекилбаев, Д. Амантай, Р. Сейсенбаев, О. Бокеев, Т. Абдиков, М. Магаунин, О. Сулейменов, Иран-Гайып, Ф. Онгарсынова, Ж. Абдрашев, Б. Канапьянов, Ш. Сариев предлагают новое прочтение истории, свое открытие современности и

---

\* Summer Evening, Prairie Night, Land of Golden Wheat. *The Outside World in Kazakh Literature. First Edition*. Edited by R. Abazov. New-York Columbia University: Cognella Academic Publishing, 2015, 223 p.

размышления о времени. Прозаические и поэтические произведения отечественных авторов, как подчеркивают исследователи из США, объединяют общие темы Родины, природы, любви.

Значителен вклад Ф. Онгарсыновой, К. Ахметовой, М. Хакимжановой, Т.Абдрахмановой, М. Айтхожиной, А. Бахтыгереевой, Ш. Кумаровой, А. Джагановой,

Р. Мукановой и многих других писательниц и поэтесс в национальную литературу. Составители Антологии ставили цель максимально широко отразить ментальное своеобразие казахских поэтесс, раскрыть стиль и манеру письма, показать разные обличья Поэтической Музы, символизирующей противоречивость окружающего мира. Поэзия, по мнению Ф. Онгарсыновой, должна разить, как алмазный клинок, а не услаждать слух. Выросшие на Западе (Ф. Онгарсынова) и Юге (К. Ахметова) Казахстана поэтессы поэтизируют родную землю: степь и волны Каспия. В их поэзии «веет ветер, песками шурша», снежные бури летят над травами. Лирические героини стихотворений ликуют, когда природные стихии проявляются бурно, открыто, ощущают себя частицей взбунтовавшегося моря и знойной, потрескавшейся пустыни, соколом в вышине, степной грозой, рекой в половодье.

Поэзия, как считает Ф. Онгарсынова, должна резать как острие бритвы, а не только ласкать слух. Характерно в этом плане ее лирическое стихотворение «Верблюжья колючка» («Camelthorn»):

Пустыня течет, точно время в песочных часах,  
В обход, по холмам караванные выются дороги;  
Здесь жизнь умещается в редких колючих кустах, –  
Расставив иголки, торчат на пути недотроги...  
И праздно, и звездно раскинувшись над головой,  
Пустынное небо песок равнодушьем оспорит.  
Душа вдруг взъершится, цепляясь за стебель живой,  
Который от жажды цветенья такыры пропорет.  
Цветущей колючкой торчу у ветров на пути,  
Как стебель шершавый, цепляясь корнями за землю.  
Мне хочется тоже из недр многожильной рости:  
В песках горемычных и вечных бессмертие – зелень.

Образ времени в песочных часах, зыбкость и текучесть песка передают, как нельзя лучше, настроение безразличия и равнодушия к происходящему, что может нарушить вечный покой караванных дорог.

Даже небо – и то пустынно. Но верблюжья колючка, «цепляясь корнями за землю», воплощает, по сути, символ жизни, что передает удачно и цветовая гамма стихотворения: золотые иголки и зелень на фоне такыров, песков горемычных.

Реалиями степной казахской жизни и быта кочевника (затвердевшая под порывами ветра земля; сбивающий с пути ветер; клубящиеся в небе тучи, «как нашествие мрака на скорбную землю») наполнено глубоко философское по содержанию стихотворение Ф. Онгарсыновой «Только холод собачий в бесснежной степи...», названное по его первой строчке. В английском варианте: «It is bitter cold in the snowless steppe...». Короткие назывные предложения удачно передают зарисовку картины зимней стужи в степи:

Двое конных. Отара. Там, вдали – табуны.

Разговор о зиме, что жестока на редкость.

Точны и лаконичны портретные описания чабанов: «Даже скулы опали, сжаты ветром они...»; «В малахе и шубе мехом внутрь ... / Внешним видом своим так похожи на предков».

Эпический размер стихотворной строки – удачная находка поэтессы.

Чабаны – это сила, что превыше всех сил,  
Их смелее и лучше нельзя быть, уж право.  
Их покрытые льдом жестяные усы,  
Словно пика батыра, торчащая браво.

Яркие казахские поэтессы демонстрируют женский взгляд на культурную сферуnomадов. «Я силой слов смогу металлы разрушить», – признается К. Ахметова, в поэзии которой героини казахских эпических легенд Кыз Жибек и Баян, «как заря над краями восходят родными». И это подтверждают ее стихи, посвященные надписи на мавзолее легендарной красавицы Айша-биби, являющемуся памятником любви и скорби, – «Inscription on the Mausoleum Aysha-Bibi»:

*Веет ветер, песками шурша,  
Ни дворцов, ни лачуг не жалея,  
Но жива, как и прежде, Айша.  
В этих смуглых камнях мавзолея  
Благородство ее красоты*

*В этих строках, простых и высоких,  
В этих стенах, где, вспыхнув, цветы*

*Не растратят подземные соки.  
Так же ярок их летний наряд  
Ранним утром и полночью лунной,  
Как и восемь столетий назад  
Под ногами красавицы юной.  
Вновь и вновь мы приходим к Айше...  
Сквозь запреты, сковавшие цепью,  
Поклонение женской душе  
Подняло мавзолеи над степью!*

Народные эпические сказания, воспевающие красоту родной земли и подвиги ее героев, в разных ракурсах воплощаются в творчестве К. Ахметовой и Ф.Онгарсыновой, символизируя связь времен и поколений, прошлого и настоящего.

Пейзажная лирика Т. Абрахмановой представлена стихотворением «Summer evening». В переводе на русском языке стихотворение Т. Абрахмановой озаглавлено «Летним вечером» (перевод Т. Кузовлевой). Лирическая героиня не только любуется ровной поверхностью воды, тихой прохладой напоенного луга, ощущая прикосновение чуть ощутимого ветра над озером и следя «за радостно легкой» рыбьей пляской чебачков и тенью чайки. Картина природы – лишь повод:

Но, вспоминая  
Тихий вечер тот,  
Познаю вновь  
И мимолетность боли,  
И бытия пронзительный исход.

Человеческая жизнь для казахской поэтессы так же мимолетна и преходяща, порой, кратка, как весенняя пора в природе.

И вновь весна – начало возрожденья,  
Когда и камень тянется к цветению,  
И мир таит такую красоту,  
Что взгляд не отвести ни на мгновенье.

В стихотворении «Весна» (в переводе на английском представлены акценты в названии произведения – «It is spring again») раскрыты картины возрождения всего живого под ослепительными лучами солнца. И почти тютчевский мотив в последних четверостишиях:

Так юность будоражила когда-то,  
    Так сердце в высоту рвалось крылато,  
И пели, не смолкая, соловьи,  
    И было все цветением объято.

Весна – в ней ключ от дум и настроенья,  
    Неистовость и взлетов, и паренья.  
Все дышащее ждет своей весны,  
    Но коротко ее прикосновенье.

Более объемно лирическое стихотворение М. Айтхожиной «Наедине с природой» («One on one with nature»), представляющее диалог героини с ветерком – самал, «в дыханье еле слышном» принесшем радость: «Грустить нельзя».

Стихотворение по жанру ближе к балладе. Необычайной красоты озеро у подножья сопки привлекает внимание автора и читателей.

Был переливчат и певуч  
Узор волны рассветной.  
И целовал ей губы луч  
Дрожащие от ветра.

Летний ветерок – самал одушевлен и наделен человеческими качествами. Он безмятежно наклоняет до земли легкие травы вокруг озера, затем распрямляет «их нежно». И волна летит, «звеня», тревожит сладко.

И я с природою сольюсь  
Свою клеткой каждой,  
И все увиденное пусть  
Войдет в мой стих однажды.  
Вберу в себя и плач людской,  
И каждый вздох печальный,  
И к небу поднимусь звездой,  
Взлечу к вершине дальней.

Медленно плывущий по озеру лебедь, крылом белым касающийся «чуть вспененных, прозрачных вод», выступает символом надежды:

Я лишь тогда найду покой,  
Когда расстанусь с песней.  
И тает лебедь в тишине,

И чуткой, и безбрежной.  
Но тенью лебедя во мне  
Покоится надежда.

В ином поэтическом ключе – очаровательная зарисовка М. Айтхожиной «Маркаколь» («Markakol»), озеро на Южном Алтае. Описание безмолвной красавицы «в пленау грозных каменных громад» дано в сказовых тонах и в традициях восточной классической поэзии:

В нем тишина исполнена открытий.  
Чуть задеваются звезды и луна  
За волны как за шелковые нити.

В немые воды смотрятся рассветы,  
Толпятся скал крутые минареты.

Вокруг озера, которому мир к лицу, «берез и сосен древнее величье» и «тишина исполнена открытий», поэтому лирическая героиня стихотворения мечтает о такой же красоте, о пьянящих мотивах птичьих:

Дай мне, природа, ту же красоту –  
Я чудо-песней стану для планеты!

Иной поэтический размер избирает для стихотворения «Мне нравятся маки» («I like poppies») А. Бактыгереева. В диалог вступают друг и автор текста, которая на вопрос о любимом цветке отвечает: «Любимец мой – степной весенний мак», обосновывая свой выбор тем, что «он самым первым ловит луч весны».

Зарисовка поэтическая родного аула – «Мой аул» («My ayl») А. Бактыгереевой стала, безусловно, украшением Антологии. Это встреча с родным аулом, свидание с детством. Верно подмечены детали географического расположения аула: камыш у озера, где «уснул ветер», цветущие тюльпаны, колодец, «птиц озерных гортанный клекот». Взрослеет героиня, но детство рядом всегда:

Слышиу в шелесте листвьев радость,  
Солнце брызжет,  
Глаза слепя...  
Детство, детство!  
Ты где-то рядом.  
Разве можно забыть тебя?

Риторический вопрос обращен ко всем, кто прочитает удивительное признание в любви к родному дому. О любимой с детства реке – стремительном и широком Тоболе – стихотворение М. Хакимжановой «Тобол, мой Тобол» («Tobol, o my Tobol»). В данном случае идеально на русском и английском языках совпадают названия стихотворения, а река взрослеет вместе с лирической героиней. Если в детстве «озирайась, косы заплетала» в его воде прибрежная трава» (яркий и зримый образ. – С.А.) и глупая кукушка куковала, «сама себя искала и звала», вольно было чувствам и стихам, то во взрослой жизни героини Тобол по-прежнему «был рядом, врачуя и любя»:

И счастьем были долгие минуты,  
Когда внимал ты, трепетный и чуткий,  
Моим стихам, отчаянью, любви  
И лжи смывал мучительные путы.

Читатель Антологий в англоязычных странах уже познакомился с описанием зимней степи, нелегкого труда чабанов в поэтическом творчестве Ф. Онгарсыновой. Картина летнего жайляу («Zhaylay») – в одноименном стихотворении М.Хакимжановой. Жайляу – это не только летнее пастбище, озаренное солнечным светом и мерцанием звезд, но и место встречи друзей.

И песня чабана над пастбищем несется,  
Не слышала давно я песни веселей.  
Ей вторит в вышине сияющее солнце,  
Небо и земля –  
Все в мире вторит ей.

А ночью в вышине зажжется звезд немало,  
От песен ли, от звезд – но будет вновь светло.  
Здесь встретила я всех, по ком я тосковала, –  
Всех братьев и сестер здесь пастбище свело.

Творчество казахских поэтесс становится все более узнаваемо в мире. Лауреатом Международного литературного фестиваля и книжного форума «Open Eurasia and Central Asia book forum and literature festival – 2015» в номинации «Прорыв года – 2015» стала Раушан Буркитбаева-Нукенова, лауреат Международной премии имени Абая, член Союза писателей Казахстана и Казахского ПЕН-клуба.

Символ времени – вороного быстроного коня, несущегося над степью – контрапункт поэзии Р. Буркитбаевой-Нуkenовой. Ее поэтическое творчество современно, ассоциативно, обращено к читателю думающему, неравнодушному, который умеет ценить художественное слово и воспринимает окружающий мир как открытие, в котором «любимые ждут у родных берегов». Поэт ответственен перед памятью предков: как сохранить отчий край, дарованный навеки, хрупкий миг и мир, «наполнить жизнью, влагою все реки и не прервать времён дрожащих, судеб нить!».

Муза современного поэта предстает в разных обличьях, ведь душевница постоянно в пути. Муза Р. Буркитбаевой-Нуkenовой – «скрип пера. Пара ангельских крыл». В «тиши ночной, когда умолкнут звуки», слова, «как жемчуг, выбросит порой». Поэту остается лишь уловить их «невидимою нитью, и перлы нанизать, собрав колье».

Стихи придут!  
Как в май приходят грозы.  
В горсти песка –  
Вселенная поет!

Р. Буркитбаева-Нуkenова посвящает свои произведения казахским поэтам и деятелям культуры – Сакену Сейфуллину, Олжасу Сuleйменову, Батырхану Шукееву, Айман Мусаходжаевой и Гаухар Мурзабековой («Волшебная сила любви и искусства шлифует, как ноты, жемчуг река»). Но ведущие ее поэтические жанры – стихотворения, посвящения и элегии («Когда бы ты ветром мог стать легкокрылым...» и др.). Душевно-трепетное «Друзьям» и проникновенно-лиричное «Стихов разрозненных страницы», лирическая героиня которого уйдет вслед за птицами, сбившимися в стаи, прихватив оборванные сны:

Но свет моих далеких глаз  
И озорство степной речушки  
Сыны увидят, и не раз  
В капризах маленькой девушки.

Ее поэтическое пространство постоянно расширяет границы, включая все новые города и страны, ведь «у каждого в жизни расписан маршрут». И живет она, порой, «на перепутье судеб, дорог», прекрасно осознавая, что жизнь лишь преходящий миг, а душа – кочевница шальная. Автор и лирический герой летят птицей из степных просторов в Париж, Лондон,

Москву и многие столицы и города мира. Жизнь играет новыми гранями, дарит новые перспективы. Но по-прежнему «туманится далью дорога...», возвращая все, милое и близкое сердцу, в акваторию памяти, к вечному огню, амплитуда горения которого охватывает костры на джайляу в ночном ущелье, гирлянды ночных огней Астаны, свет далеких ярких звезд, которые несут свой караул в космической дали.

Художественные образы ее необычайно поэтичны и неповторимы, поскольку только ей удаются эксперименты со словами и мыслеформами, как у Велимира Хлебникова: Как холод соблазна – снег / Мир перевернувший. Или: Жаждут люди вдох-(мг)новений. И «преобразуя всплеск энергий, сверхновую рождает взрыв».

